114
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

111
98

5-6

1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 72-ე № 5–6 1996 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება 3

პროზა, პოეზია

გურამ გეგეშიძე — ნაცრის ქექვა. რომანი 21
იზა ორჯონიკიძე — ლექსები 75
ჯემალ ქირია — კიბე იაკობისი. რომანი. დასასრული 85
გურამ გიორგობიანი — ლექსები 113
მერაბ შათირიშვილი — საკენის ცოდვა. მოთხრობა 117
ნოდარ გაძრაძე — ლექსები 141
ლადო სულაბერიძე — ცხადსიზმარიანა (თავგადასავალი). ნაწილი მეორე. გაგრძელება 143

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თეიმურაზ მიბჩუანი — ვინ მოუგო ომი ქართველებს 154
რევაზ კვერენჩხილაძე — არც იანიჩრებს ინდოგდნენ, არც თავისი ერის ერთგულებს 168
მანანა ჯავახიშვილი — ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან . . 173
დავით თევზაძე — ვასილ წერეთელი 180

გამომცემლობა „სამშობლო“ თბილისი, მ. კოსტავას 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდწითელი, ალექსანდრე გომიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), **ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **რევაზ ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია

ძველი აღთქმა

ეზეკიელ წინასწარმეტყველი

თავი ოცდამეთოთხმეტე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნა-
თქვამი: 2. ადამის ძევ! იწინასწარმეტ-
ყველე ისრაელის მწყემსებზე, იწინას-
წარმეტყველე და უთხარი მათ მწყემ-
სებს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი:
ვაი ისრაელის მწყემსებს, რომლებიც
საკუთარ თავს მწყემსავენ! განა ცხვარს
არ უნდა მწყემსავდნენ მწყემსები? 3.
ქონს ჭამთ, მატყლით იმოსებით, ნასუ-
ქალს ხოცავთ, ცხვარს კი არ მწყემსავთ!
4. დაუძლურებულთ არ აძლიერებთ, და-
ნნეულებულთ არ განკურნავთ, ჭრილო-
ბებს არ შეუხვევთ, გატაცებულს უკან
არ აბრუნებთ, დაკარგულს არ ეძებთ,
მძლავრობით და სისასტიკით ბატონობთ
მათზე. 5. გაიფანტნენ უმწყემსოდ და-
რჩენილნი, მინდვრის მხეცების კერძნი
გახდნენ, გაიფანტნენ! 6. დაეხეტება ჩე-
მი ცხვარი და არავინაა მათი მომკითხა-
ვი, არც მძებნელი. 7. ამიტომ ისმინეთ
უფლის სიტყვა, მწემსებო! 8. ცოცხა-
ლომც ვარ, ამბობს უფალი! რაკი მიტა-
ცებულია ჩემი ცხვარი და მიწის მხე-
ცების კერძი გამხდარა უმწყემსოდ და-
რჩენილი ჩემი ცხვარი, რაკი არ მოუ-
კითხავთ ჩემს მწყემსებს ჩემი ცხვარი,
რაკი საკუთარ თავს მწყემსავენ მწყემ-
სები, ჩემს ცხვარს კი არ მწყემსავენ,
9. ამიტომ ისმინეთ უფლის სიტყვა,
მწყემსებო! 10. ასე ამბობს უფალი ღმე-
რთი: აჰა, ისევ მწყემსებს მოვკითხავ
ჩემს ცხვარს და გადავაყენებ მათ
ცხვრის მწყემსობიდან, რომ კვლავ აღა-
რასოდეს მწყემსავდნენ მათ. პირიდან
გამოვგლეჯ მათ ჩემს ცხვარს, რომ მა-
თი კარძი აღარ იყოს. 11. რადგან ასე
ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე თავად
მოვიკითხავ ჩემს ცხვარს და მოვძებნი!
12. როგორც მწყემსი ეძებს თავის
ცხვარს და დავიხსნი ყველა იმ ადგილი-
დან, სადაც კი გაიფანტნენ ნისლიან და
ღრუბლიან დღეს. 13. გამოვიყვან ხალ-
ხებიდან და გამოვკრებ ქვეყნებიდან, მი-
ვიყვან მათ საკუთარ მიწაზე და დავმ-
წყემსავ მათ ისრაელის მთებზე, ნაკა-
დულთა ნაპირებზე და ყველგან, ქვეყნის
დასახლებულ მხარეში. 14. საუკეთესო
საძოვრებზე დავმწყემსავ მათ და ისრა-
ელის მაღალ მთებზე ექნებათ სად-
გომი. იქ დაბინავდებიან საუკეთესო სა-
ძგომებში და ნოყიერ საძოვრებზე მო-
ძოვონ ისრაელის მთებში. 15. მე თავად
დავაბინავებ, ამბობს უფალი ღმერთი.
16. დაკარგულს მოვიძიებ, გატაცებულს
დავაბრუნებ, დაჭრილს ჭრილობებს შე-
ვუხვევ, დაუძლურებულს მოვაძლიერებ,
მსუქანს და ძლიერს მოვუვლი. სიმარ-
თლით დავმწყემსავ მათ. 17. თქვენზე კი,
ჩემო ცხვარო, ასე ამბობს უფალი ღმე-
რთი: აჰა, მე ვიქნები მსაჯული ცხვარ-
სა და ცხვარს შორის, ვერძებსა და ვა-
ცებს შორის! 18. ნუთუ გეცოტავებათ
საუკეთესო საძოვარი, სადაც დაბალა-
ხობთ, რომ თქვენი საძოვრის დანარჩე-
ნსაც ფეხით თელავთ? ანკარა წყალს
რომ სვამთ და დანარჩენსაც ფეხით ამ-
ღვრევთ? 19. თქვენი ფეხით განათელი
უნდა ძოვოს ჩემმა ცხვარმა და თქვენი

2 0 6 2 2
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხით ამღვრეული უნდა სვას? 20. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ვიქნები მსაჯული მსუქან ცხვარსა და მჭლე ცხვარს შორის! 21. რაკი ფერდებით და მხრებით ეჯახებით, რქებით რქენთ დაუძლურებულთ, რომ გარეთ გაფანტოთ ისინი, 22. მე თავად გადავარჩენ ჩემს ცხვარს და აღარ იქნება დატაცებული. მე ვიქნები მსაჯული ცხვარსა და ცხვარს შორის.23. ერთ მწყემსს დავუყენებ და ის დამწყემსავს მათ. ჩემს მსახურს დავითს დავუყენებ. ის დამწყემსავს მათ და ის იქნება მათი მწყემსი. 24. მე, უფალი, ვიქნები მათი ღმერთი. ჩემი მსახური დავითი კი წინამძღოლი იქნება მათ შორის. მე, უფალმა, ვთქვი. 25. დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სატიკ მხეცებს, რომ მშვიდად იცხოვრონ უდაბნოში და იძინონ მაღნარებში. 26. კურთხევად ვაქცევ მათ და ჩემი მაღლობის მიდამოებს, დროულად ვადინებ წვიმას და ჩემი წვიმა კურთხევა იქნება. 27. მინდვრის ხე თავის ნაყოფს გამოისხამს და მიწა მოსცემს თავის მოსავალს, და მშვიდად იქნებიან თავიანთ მიწაზე, და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, როცა დავწყვეტ მათი უღლის საკვრელებს და მათი დამმონებლების ხელიდან დავიხსნი. 28. აღარ იქნებიან ნადავლად ხალხებისათვის და მიწის მხეცები აღარ შეჭამენ მათ. მშვიდად იცხოვრებენ და აღარ ეყოლებათ დამაფრთხობელი. 29. აღვუდგენ სახელად ნერგს და აღარ გაწყდებიან შიმშილით ამქვეყნად. აღარ ექნებათ დასათმენი შეურაცხყოფა ხალხებისაგან. 30. და მიხვდებიან, რომ მე, უფალი, მათი ღმერთი, მათთანა ვარ და ჩემი ერია ისინი — ისრაელის სახლი, ამბობს უფალი ღმერთი. 31. თქვენ, ჩემო ცხვარო, ჩემი საძოვრის ცხვარო, ადამის მოდგმა ხართ, მე კი ღმერთი ვარ თქვენი! ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ოცდამეთხუთმეტე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! სეყირის მთისკენ მიაქციე პირი და იწინასწარმეტყველე მასზე, 3. უთხარი, ასე ამბობს თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ, სეყირის მთაო! ხელს მოგიღერებ და უდაბნოდ და უდაბურად გაქცევ. 4. შენს ქალაქებს ოხრად დავაგდებ და შენც უდაბური გახდები, და მიხვდები, რომ უფალი ვარ. 5. რაკი საუკუნო მტრობა გქონდა და მახვილს მიუგდე ისრაელიანები მათი გასაჭირის ჟამს, საბოლოო სასჯელის ჟამს. 6. ამიტომაც, ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი: სისხლად გაქცევ და სისხლი დაგედევნება. ხომ არ გძულებია სისხლი და სისხლი დაგედევნება. 7. უდაბნოდ და უდაბურად ვაქცევ სეყირის მთას, ამოვძირკვავ იქიდან გამვლელს და მცხოვრებს. 8. დახოცილებით ავავსებ მის მთებს. მახვილით დახოცილნი დაეცემიან შენს გორაკებზე, ხევებში და მდინარეებში. 9. საუკუნო უდაბნოდ გაქცევ და გაუკაცრიელდება შენი ქალაქები, და მიხვდებით, რომ უფალი ვარ. 10. რაკი ამბობდი, ჩემი იქნებაო ეს ორი ხალხი და ეს ორი ქვეყანა, ჩვენ დავიმკვიდრებთო, თუმცა უფალი იყო იქ. 11. ამიტომაც, ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი ღმერთი, თუ მოგექცე შენი რისხვისა და შენი შურისამებრ, რომელიც შენი სიძულვილით გამოიჩინე მათ წინააღმდეგ. მაშინ გავცხადდები, მათში როცა მსჯავრს დაგდებ. 12. მიხვდები, რომ მე, უფალს, მესმოდა შენგან ყოველი აუგი, რომელიც გითქვამს ისრაელის მთებზე: გაუდაბურდნენ, ჩვენ მოგვეცა შესაჭმელადო. 13. მედიდგულებოდით ბაგეებით და ამრავლებდით სიტყვებს ჩემს წინააღმდეგ. მე მესმოდა. 14. ასე ამბობს უფალი ღმერთი: როცა მთელი ქვეყანა გაიხარებს, მაშინ გაგაუდაბურებ. 15. როგორც ისრაელის სახლის სამკვიდროს გაუდაბურება გიხაროდა, ასევე მოგექცევი შენც. გაუდაბურდებით, სეყირის მთაო და მთელო ედომო, ერთიანად! მაშინ მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

თავი ოცდამეთექვსმეტე

1. შენ, ადამის ძევ, უწინასწარმეტყველე ისრაელის მთებს და უთხარი: ისრაელის მთებო, ისმინეთ უფლის სიტყვა! 2. ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი მტერმა თქვა თქვენზე: აჰა, სამკვიდროდ დაგვრჩაო საუკუნო გორაკები, 3. იწინასწარმეტყველე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რაკი ყოველის მხრიდან ნატრობენ თქვენს აოხრებას და შთანთქმას, რომ სამკვიდროდ დარჩეთ სხვა ხალხებს, რაკი სალაპარაკოდ და ხალხის საჭორაოდ ხართ გამხდარი, 4. ამიტომ, ისრაელის მთებო, ისმინეთ უფალი ღმერთის სიტყვა. ასე ეუბნება უფალი ღმერთი მთებსა და გორაკებს, ხევებს და ხეობებს, უკაცრიელ ნაოხარებს და მიტოვებულ ქალაქებს, რომლებიც ნადავლად და შთასანთქმელად დარჩათ დანარჩენ ხალხებს, გარშემო რომ არიან. 5. ამიტომ ასე ამბობს უფალი, ღმერთი: ნახავთ, თუ ჩემი შურის ცეცხლით არ ვილაპარაკე დარჩენილ ხალხთა წინააღმდეგ და მთელი ედომის წინააღმდეგ, რომელთაც მიისაკუთრეს ჩემი ქვეყანა სამკვიდროდ და მთელი გულით უხარიათ ზიზღით აღსავსეთ, რომ დაიტაცეს მისი დოვლათი. 6. ამიტომ იწინასწარმეტყველე ისრაელის მიწაზე და უთხარი მთებს, გორაკებს, ხევებს და ხეობებს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, ჩემი შურით და ჩემი რისხვით ვილაპარაკე იმის გამო, რომ შეურაცხოფას ითმენთ ხალხებისაგან. 7. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ხელი აღვმართე და ნახეთ, თუ შეურაცხყოფა არ ატარონ ხალხებმა, თქვენს გარშემო რომ არიან! 8. თქვენ კი, ისრაელის მთებო, გაშალეთ ტოტები და ატარეთ თქვენი ნაყოფი ჩემი ერისათვის, ისრაელისათვის, რადგან მალე მოვლენ. 9. რადგან, აჰა, თქვენკენა ვარ, თქვენკენ შემოვბრუნდი —მოიხვნებით და დაითესებით! 10. გაგიმრავლებთ ხალხს, მთელს ისრაელის სახლს, ერთობლივ, დასახლდება ქალაქები და ნაოხრები აშენდება. 11. გაგიმრავლებ კაცსა და პირუტყვს, ძალა-ვლებენ და ინაყოფიერებენ. დაგასახლებთ წინანდებურად და კეთილად მოგექცევით, როგორც თავდაპირველად გექცეოდით, და დაინახავთ, რომ უფალი ვარ. 12. მოვიყვან თქვენთან ხალხს — ჩემს ერს, ისრაელს, რათა დაგიმკვიდროს და გახდე მისი წილხვედრი, რომ აღარასოდეს გახადო შვილმკვდარი. 13. ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი გეუბნებიან, კაცის მჭამელი და შენი ხალხის შვილმკვდარმყოფელი ხარო, 14. ამიტომ კაცს აღარ შეჭამ და შენს ხალხს შვილმკვდარს აღარ გახდი, ამბობს უფალი ღმერთი. 15. აღარ მოგასმენინებ შეურაცხყოფას ხალხებისაგან და აღარ გექნება მოსათმენი ლანძღვა-თრევა ტომებისაგან, აღარ წააფორხილებ შენს ხალხს, ამბობს უფალი ღმერთი. 16. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 17. ადამის ძევ! ისრაელის სახლმა გააუწმიდურა მიწა, სადაც ცხოვრობს, თავისი გზებით და მოქმედებით. მირეული ქალის უწმიდურებასავით არის მათი გზა ჩემს წინაშე. 18. გადმოვანთხიე მათზე ჩემი რისხვა სისხლის გამო, მიწაზე რომ დასთხია, და კერპების გამო, რომლითაც გააუწმინდურა იგი. 19. და გავფანტე ისინი ხალხებში, და მიმოვაბნიე ქვეყნებში. მათი გზისაებრ და მათ საქმეთაებრ განვსაჯე ისინი. 20. მივიდნენ ხალხთან, სადაც მივიდნენ, და შელახეს ჩემი წმიდა სახელი. თქვეს მათზე: უფლის ხალხია ესენი და თავისი ქვეყნიდან გამოვიდნენო. 21. მაგრამ მე დავითმინე ჩემი წმინდა სახელის გამო, რომელიც შელახა ისრაელის სახლმა იმ ხალხში, სადაც მივიდნენ. 22. ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: თქვენი გულისათვის არ აღვძრულვარ, ისრაელის სახლო, არამედ ჩემი წმინდა სახელისთვის, რომელიც შელახეთ იმ ხალხში, სადაც მიხვედით. 23. წმიდავყოფ ჩემს დიად სახელს, შელახულს იმ ხალხებში, რომელთა შორისაც თქვენ შელახეთ. მაშინ მიხვდებით, რომ უფალი ვარ, ამბობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი ღმერთი, როცა ჩემს სიწმიდეს გამოვაჩენ თქვენში მათ თვალწინ. 24. გამოგიყვანთ ხალხებიდან, გამოგკრეფთ ყველა ქვეყნიდან და მოგიყვანთ თქვენს მიწაზე. 25. გასხურებთ განწმედილ წყალს და გაგწმედთ ყოველი უწმიდურებისაგან და ყოველი თქვენი კერპისაგან გაგწმედთ თქვენ. 26. მოგცემთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით. ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ. 27. ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი შეასრულოთ. 28. იცხოვრებთ იმ ქვეყანაში, რომელიც თქვენს მამა-პაპას მივეცი, და იქნებით ჩემთვის საკუთარ ერად და მე თქვენი საკუთარი ღმერთი ვიქნები. 29. გიხსნით ყველა უწმინდურობისაგან. გამოვიხმობ პურს, გავაუხვებ მას და აღარ მოვავლენ თქვენზე შიმშილს. 30. გავამრავლებ ხის ნაყოფს და მინდვრის მოსავალს, რომ აღარ ითმენდეთ სირცხვილს ხალხთა შორის შიმშილის გამო. 31. მაშინ გაიხსენებთ თქვენს უკეთურ გზებს და უკეთურ საქმეებს და შეგზარდებათ საკუთარი თავი თქვენს დანაშაულთა და სისაძაგლეთა გამო. 32. თქვენი გულისათვის არ აღვიძრები, ამბობს უფალი ღმერთი. შეიგნეთ, გრცხვენოდეთ და გაწითლდით თქვენი გზების გამო, ისრაელის სახლო! 33. ასე ამბობს უფალი ღმერთი: როცა ჩამოგრეცხავთ ყოველგვარ დანაშაულს, დავასახლებ თქვენს ქალაქებს და აშენდება თქვენი ნაოხარები, 34. დამუშავდება უკაცრიელი მიწა, უდაბურად რომ უჩნდა ყოველ ჩამვლელს. 35. იტყვიან: ედემის ბაღად იქცაო ეს უდაბური ქვეყანა და ნაოხარი! გაუღაბურებული და დანგრეული ქალაქები შემოიზღუდება და დასახლდება. 36. და მიხვდებიან ხალხები, რომლებიც შემორჩებიან თქვენს გარშემო, რომ მე, უფალმა, ვთქვი და აღვასრულებ. 37. ასე ამბობს უფალი ღმერთი: აი, კიდევ რა მთხოვა ისრაელის სახლმა, რომ გავუმრავლო მათ ადამიანი. 38. ხომ ბევრია შესაწირავი ცხვარი, იერუსალიმის ცხვარი მის დღესასწაულებზე, ასევე სავსე იქნება ნაოხარი ქალაქები ადამიანთა ფარით და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

1. იყო უფლის ხელი ჩემზე და გამიყვანა უფალმა სულით და დამსვა შუაგულ ველზე, რომელიც სავსე იყო ძვლებით 2. შემომატარა მათ გარშემო და, აჰა, ძალზე ბევრი ეყარა ველზე და, აჰა, ძალზე გამხმარი იყო. 3. მითხრა: ადამის ძევ! თუ გაცოცხლდება ეს ძვლები? უფალო ღმერთო, შენ იცი-მეთქი. 4. მითხრა: უწინასწარმეტყველე ამ ძვლებს და უთხარი მათ: გამხმარო ძვლებო, ისმინეთ უფლის სიტყვა! 5. ასე ეუბნება უფალი ღმერთი ამ ძვლებს: აჰა, შევიყან თქვენში სულს და გაცოცხლდებით. 6. მოგცემთ ძარღვებს, შეგასხამთ ხორცს და კანს გადაგაკრავთ, სულს ჩაგიდგამთ და გაცოცხლდებით, მიხვდებით, რომ უფალი ვარ. 7. ვიწინასწარმეტყველე, როგორც მებრძანა, და იყო ხმა, როცა ვწინასწარმეტყველებდი და, აჰა, შეიქმნა ზანზარი და ძვალი ძვალს მიედგა. 8. დავინახე: აჰა, ძარღვები ჩნდება მათზე, ესხმით ხორცი და ზედ კანი ეკვრით, მაგრამ სული არ არის მათში. 9. მითხრა: უწინასწარმეტყველე, ადამის ძევ, და უთხარი სულს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ოთხივე ქარიდან მოდი, სულო, და შთაებერე ამ დახოცილებს, რათა გაცოცხლდნენ. 10. მეც ვიწინასწარმეტყველე, როგორც მიბრძანა, და შევიდა მათში სული და გაცოცხლდნენ, დაწამოდგა ფეხზე დიდძალი ლაშქარი. 11. მითხრა: ადამის ძევ! მთელი ისრაელის სახლია ეს ძვლები. აჰა, ამბობენ: გამხმარია ჩვენი ძვლები და წარხოცილია ჩვენი სასო, გამწყდარნი ვართო. 12. ამიტომ უწინასწარმეტყველე მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, გავხსნი თქვენ საფლავებს და ამოგიყვანთ თქვენი საფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავებიდან, ჩემო ერო, და მოგიყვანთ ისრაელის მიწაზე. 13. მიხვდებით, რომ უფალი ვარ, როცა გავხსნი საფლავებს და ამოგიყვანთ თქვენი საფლავებიდან, ჩემო ერო. 14. ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაცოცხლდებით. დაგსვამთ თქვენს მიწაზე და მიხვდებით, რომ მე, უფალმა, ვთქვი და აღვასრულებ, ამბობს უფალი. 15. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 16. შენ, ადამის ძევ! აიღე ხის ერთი ნაჭერი და ზედ წააწერე: იუდასათვის, მათ თანამდგომთათვის. აიღე ხის მეორე ნაჭერი და ზედ წააწერე: იოსებისათვის (ეფრემის შტო) და მთელი ისრაელის სახლისათვის, მის თანამდგომთათვის. 17. ერთმანეთს მიადგი შენთვის ხის ნაჭრები და იყოს, როგორც ერთი, შენს ხელში. 18. როცა შეგეკითხებიან შენი ერის შვილები, ხომ არ გვეტყვი, ეს რა გაქვსო? 19. უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, ავიღებ იოსების ხეს, რომელიც ეფრემის და ისრაელის შტოთა, მის თანამდგომთა, ხელშია და მივუდგამ მას იუდას ხეს, გადავაქცევ ერთ ხედ და ერთი იქნება ჩემს ხელში. 20. როცა ეს ხეები, რომლებზეც წააწერე, შენს ხელში იქნება შენს თვალწინ, 21. უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, გამოვიყვან ისრაელიანებს ხალხებიდან, რომლებთანაც არიან წასული, გამოვკრეფ მათ ყოველი მხრიდან და მოვიყვან მათ თავიანთ მიწაზე, 22. ერთ ხალხად გავხდი მათ ქვეყანაში, ისრაელის მთებზე, ერთი მეფე იქნება ყველასათვის მეფედ. აღარ იქნებიან ორ ხალხად და აღარ იქნებიან გაყოფილნი ორ სამეფოდ ამიერიდან. 23. აღარ გაუწმიდურდებიან თავიანთი კერპებით და სიბაძგლეებით, არანაირი დანაშაულით, და ვიხსნი მათ ყოველი მათი საცხოვრებლიდან, სადაც კი შეუცოდავთ. გავწმედ მათ და ერად მეყოლება ისინი, მე კი მათი ღმერთი ვიქნები. 24. ჩემი მსახური დავითი იქნება მათზე მეფედ და ერთი მწყემსი იქნება ყველასათვის. ივლიან ჩემს სამართალზე და ჩემს წესებს დაიცავენ. 25. იცხოვრებენ ამ ქვეყანაში, რომელიც ჩემს მსახურს იაკობს მივეცი, სადაც თქვენი მამა-პაპა ცხოვრობდა. იცხოვრებენ იქ ისინი, მათი შვილები და მათი შვილთაშვილები უკუნისამდე და დავითი, ჩემი მსახური, იქნება იქნება მათი მთავარი უკუნისამდე. 26. დავუდებ მათ მშვიდობის აღქმას და საუკუნო აღთქმა იქნება მათთვის. დავამკვიდრებ მათ და გავამრავლებ, მათ შორის დავდგამ ჩემს საწმიდარს საუკუნოდ. 27. იქნება მათზე ჩემი მოვანება, ვეყოლები მათ ღმერთად, ისინი კი ჩემი ერი იქნებიან. 28. და მიხვდებიან ხალხები, რომ უფალი ვარ, ისრაელის განმწმედელი, ჩემი საწმიდარის საუკუნო მყოფობით მათ შორის.

თავი ოცდამეთვრამეტე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! მიაქციე პირი გოგ მაგოგელისაკენ — როშის, მეშექის და თუბალის მთავრისაკენ, და იწინასწარმეტყველე მასზე, 3. უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ, გოგ, როშის, მეშექის და თუბალის მთავარო! 4. გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ. გამოგიყვან შენ და მთელს შენ ლაშქარს, ცხენებს და მხედრებს, ყველას დიდებულად შემოსილთ, უშქარ კრებულს, თოროსანთ და ფარსმპყრობელთ, ყველას, მახვილიანს — 5. სპარსს, ქუშსა და ფუტს მათთან ერთად, ფარებითა და დელამფარებით, 6. გომერს მთელი თავისი ურდოთი, თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდეებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად. 7. გაემზადე შენ და მთელი შენი კრებული, შენს წინაშე შემოკრებილი, და მცველად დაუდექი მათ. 8. მრავალი დღის შემდეგ დაგიდგება ჟამი და უკანასკნელ წლებში შეხვალ მახვილს გადარჩენილ ქვეყანაში, მრავალი ხალხისაგან შემოკრებილში, ისრაელის მთებზე, რომელიც მუდამ უკაცრიელი იყო. გამოვლენ ისინი

ხალხებიდან და უზრუნველად იცხოვრებენ ყველანი. 9. აღიძრები და ქარიშხალივით შეხვალ, ღრუბელივით დაფარავ ქვეყანას მთელი შენი ურდოთი და ურიცხვი ხალხით, შენთან რომ არის. 10. ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმ დღეს ფიქრები აღგეძრება გულში და ავ ზრახვებს განიზრახავ, 11. იტყვი: გავილაშქრებ შემოუზღუდველ დაბებზე, თავს დავესხმები უზრუნველ ხალხს, მშვიდად მცხოვრებთ, უგალავნოდ რომ ცხოვრობენ ყველანი და არც ურდულები აქვთ და არც კარები, 12. რომ წარვტყვევნო და ვიალაფო, მივმართო შენი ხელი აწ გაშენებულ ნაოხარებზე, ხალხებიდან გამოკრებილ ერზე, პირუტყვისა და დოვლათის მქონებელზე, ქვეყნის ჭიპში რომ ცხოვრობს. 13. შება და დედანი, თარშიშელი ვაჭრები და ყველა მისი დაბა, გეტყვიან შენ: ხომ წარსატყვევნებლად ხარ მოსული? ხომ საალაფოდ შემოგიკრეფია შენი კრებული, რომ წაიღო ვერცხლი და ოქრო, წაასხა საქონელი და იალაფო დიდძალი დოვლათი? 14. ამიტომ იწინასწარმეტყველე, ადამის ძევ, და უთხარი გოგს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: როგორ ფიქრობ, არ დაემკვიდრება იმ დღეს ჩემი ერი, ისრაელი, უზრუნველად? 15. მოხვალ შენი ადგილიდან, ჩრდილოეთის კიდეებიდან, შენ და შენი ურიცხვი ხალხი შენთან ერთად, ყველანი ცხენებზე ამხედრებულნი, დიდძალი კრებული და ურიცხვი ლაშქარი, 16. წამოხვალ ჩემს ხალხზე, როგორც ქვეყნის დამფარავი ღრუბელი. უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ წამოგიყვან ჩემ ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ. 17. ასე ამბობს უფალი ღმერთი: შენ ის არა ხარ, ვისზეც ვლაპარაკობდი ძველ დროში ჩემ მსახურთა ისრაელის წინასწარმეტყველთა პირით, იმ დღეებზე რომ წინასწარმეტყველებდნენ, როცა შენ მოგიყვანე მათ წინააღმდეგ? 18. სწორედ იმ დღეს, გოგის თავდასხმის დღეს ისრაელის მიწაზე, ამბობს უფალი ღმერთი: ხალხნი ჩემი რისხვა ჩემს ნესტოებში. 19. ძურითა და რისხვის ცეცხლით ვლაპარაკობ, რომ იმ დღეს მოხდება დიდი შეზანზარება ისრაელის მიწაზე. 20. შეიძრებიან ჩემს წინაშე ზღვის თევზები და ცის ფრინველები, მიწის მხეცები და ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, ყოველი კაცი, ვინც კი არის მიწის პირზე. ჩამოიქცევა მთები და ჩამოშავდება ქარაფები, ქვეყნის ყოველი კედელი ჩამოწვება. 21. მოვუწოდებ მახვილს მის წინააღმდეგ ისრაელის ყოველ მთაზე, ამბობს უფალი ღმერთი და ერთმანეთისაკენ ექნებათ მიმართული მახვილები. 22. დავსჯი მათ შავი ჭირით და სისხლით. თავსხმას, ქვის სეტყვას, ცეცხლსა და წუმწუმას ვაწვიმებ მათზე, მის ურდოებზე და ურიცხვ ხალხზე, მასთან რომ არიან. 23. მაშინ გამოვაჩენ ჩემს სიდიადეს და სიწმიდეს და გავცხადდები უამრავი ხალხის თვალწინ, და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

თავი ოცდამეცხრამეტე

1. ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ როშის, მეშექის და თუბალის მთავარო! 2. მოგატრიალებ, გამოგათრევ და წამოგიყვან ჩრდილოეთის კიდეებიდან და მოგიყვან ისრაელის მთებზე. 3. გაგაგდებინებ შვილდს მარცხენა ხელიდან და ისრებს მარჯვენა ხელიდან დაგაყრევინებ. 4. ისრაელის მთებზე დაეცემი მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, თან რომ გახლავს. ყოველგვარ ონავარ ფრინველს და ველის მხეცებს მიგცემ შესაჭმელად. 5. ტრიალ მინდორზე დაეცემი, რადგან მე ვთქვი, ამბობს უფალი ღმერთი. 6. გავგზავნი ცეცხლს მაგოგში და უზრუნველ ზღვისპირელებში და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ. 7. გავაცხადებ ჩემს წმიდა სახელს ჩემს ერში, ისრაელში, და აღარ შევალახვინებ ჩემს წმიდა სახელს. და მიხვდებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაელში. 8. აჰა, მოვა და ახდება, ამ-
ბობს უფალი ღმერთი, იმ დღეს, რომ-
ელზეც ვთქვი. 9. გამოვლენ ისრაელის
ქალაქთა მცხოვრებნი, ცეცხლს წაუკიდ-
ებენ და დასწვავენ იარაღს, ფარსა და
აბჯარს, მშვილდსა და ისრებს, ლახტსა
და შუბს. შვიდ წელიწადს ეყოფათ ცეც-
ხლის დასანთებად. 10. მინდვრიდან არ
დაიწყებენ შეშის ზიდვას და ტყეშიც არ
მოჭრიან რადგან იარაღით დაანთებენ
ცეცხლს. გაძარცვავენ თავიანთ გამძაც-
ველთ და დაარბევენ თავიანთ დამარბე-
ველთ, ამბობს უფალი ღმერთი. 11. იმ
დღეს იქნება, რომ მივცემ გოგს დასა-
მარხავ ადგილს ისრაელში, დასავლეთი-
დან მომავალთა ხეობაში და გზას გადა-
ულობავს მომავალთ. იქ დამარხავენ
გოგს და მთელ მის ურდოს, და დაერქ-
მევა გოგს ურდოსხევი. 12. შვიდ თვე-
ში დამარხავს მათ ისრაელის სახლი
ქვეყნის განსაწმედად. 13. დამარხავს
ქვეყნის მთელი ხალხი და სასახელო
იქნება ის დღე, როცა დიდებით გამოვჩ-
ნდები, ამბობს უფალი ღმერთი. 14. სა-
განგებო ხალხს გამოარჩევენ ქვეყნად
მავალთაგან, რომ მათთან ერთად დამარ-
ხონ ქვეყანაში დარჩენილნი მის განსა-
წმედად. შვიდი თვის ბოლოს ძებნას
დაუწყებენ. 15. ჩაივლიან ქვეყნად მავა-
ლნი და ნახავენ ადამიანის ძვალს და
ააგებს მის გვერდით ძეგლს, ვიდრე და-
მმარხველნი დამარხავენ მას გოგის ურ-
დოსხევში. 16. ქალაქის სახელიც ურდო
იქნება და განწმედენ ქვეყანას. 17. შენ
კი, ადამის ძევ! ასე ამბობს უფალი ღმე-
რთი. უთხარი ფრინველს, ყოველგვარ
ფრთოსანს და მინდვრის ყოველ მხეცს:
თავი მოიყარეთ და მოდით, შემოკრბით
ჩემი მსხვერპლის გარშემო, რომელსაც
დავკლავ თქვენთვის, დიდი მსხვერპლის
გარშემო ისრაელის მთებზე. და შეჭამთ
ხორცს და შესვამთ სისხლს. 18. გმირ-
თა ხორცს შეჭამთ და ქვეყნის მთავართა
სისხლს შესვამთ, როგორც ბაშანში გა-
მოკვებილ ვერძების და თიკნების, თხე-
ბისა და ხარების სისხლს. 19. გაძღო-
მამდე შეჭამთ ქონს და თრობამდე შეს-
ვამთ სისხლს ჩემი მსხვერპლიდან, რო-
მელსაც დავკლავ თქვენთვის. 20. გამ-
ღებით ჩემს სუფრაზე ცხენებთან და
მხედრებთან ერთად, ძლიერებთან და
მეომარ ხალხთან ერთად, ამბობს უფა-
ლი ღმერთი. 21. მოვავლენ ჩემს დიდე-
ბას ხალხებში და დაინახავს ყოველი
ხალხი ჩემს მსჯავრს, რომელსაც აღვას-
რულებ, და ჩემს ხელს, დავდებ მათზე,
22. და ეცოდინება ისრაელის სახლს ამ
დღეს და მერმისაც, რომ მე უფალი ვარ,
მათი ღმერთი. 23. ეცოდინებათ ხალხ-
ებს, რომ მისი დანაშაულის გამო წარი-
ტყვევნა ისრაელის სახლი, რომ შემ-
ცოდეს და მეც პირი ვირიდე მათგან,
მტრის ხელში ჩავყარე ისინი და ყვე-
ლანი მახვილით დაეცნენ. 24. მათ უწმი-
დურობათა და შეცოდებათა გამო მოვი-
ქეცი ასე და პირი ვირიდე მათგან. 25.
ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი:
ამიერიდან დავაბრუნებ დატყვევებულ
იაკობს და შევიწყალებ მთელს ისრაე-
ლის სახლს, შურს გამოვიჩენ ჩემი წმი-
და სახელის გულისთვის. 26. დაივიწყებ-
ენ თავიანთ სირცხვილს და ყოველ დანა-
შაულს, რაც ჩემს წინააღმდეგ ჩაიდინეს,
როცა დასახლდებიან თავიანთ მიწაზე
უზრუნველად და არავინ იქნება დამაფ-
რთხობელი. 27. როცა გამოვაბრუნებ
ხალხებიდან მათ და გამოვკრებ მათი
მტრების ქვეყნებიდან, მაშინ გამოვაჩენ
ჩემს დიდებას მათში უამრავი ხალხის
თვალწინ. 28. მიხვდებიან, რომ მე უფა-
ლი ვარ, მათი ღმერთი, როცა ხალხებში
გაბნეულებს შევკრებ მათ მიწაზე და იქ
აღარავის დავტოვებ. 29. აღარ მოვარი-
დებ მათ ჩემს სახეს, რათა გადმოვღვა-
რო ისრაელის სახლზე ჩემი სული, ამ-
ბობს უფალი ღმერთი.

თავი მეორმოცე

1. ჩვენი ტყვეობის ოცდამეხუთე წელს,
წლის დასაწყისში, თვის ათში, ქალაქის
დანგრევიდან თოთხმეტი წლის შემდეგ,
სწორედ იმ დღეს, იყო უფლის ხელი
ჩემზე და მიმიყვანა იქ. 2. ღვთიურ ხილ-
ვაში მიმიყვანა ისრაელის ქვეყნად და
დამსვა ერთ ძალზე მაღალ მთაზე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთის მხარეს რაღაც ქალაქისმაგვარი იყო აშენებული. 3. მიმიყვანა იქ, და აჰა, კაცი, რომლის სახე რვალის სახეს ჰგავდა, სელის თოკი და ლერწმის საზომი ეჭირა ხელში და კარიბჭესთან იდგა. 4. დამელაპარაკა ეს კაცი: ადამის ძევ! იხილე შენი თვალით და შენი ყურით მოისმინე, გულში ჩაიდევი ყველაფერი, რასაც გახილვინებ, რადგან იმისთვის ხარ მოყვანილი აქ, რომ გახილვინო. გამოუცხადე ისრაელის სახლს ყველაფერი, რასაც იხილავ. 5. აჰა, კედელია ტაძრის გარეთ, მის ირგვლივ, და კაცს ლერწმის საზომი აქვს ხელში, ექვსწყრთიანი (წყრთა მტევნითურთ). გაზომა შენობის სიგანე და იყო ერთი ლერწამი და სიმაღლე — ერთი ლერწამი 6. მივიდა აღმოსავლეთისაკენ მიმართულ კარიბჭესთან და ავიდა მის საფეხურებზე გაგაზომა კარიბჭის ერთი ზღურბლი: სიგანე ერთი ლერწამი, მეორე ზღურბლის სიგანეც, ერთი ლერწამი.7. თითო სენაკის სიგრძე ერთი ლერწამი და სიგანეც ერთი ლერწამი. სენაკებს შორის ხუთი წყრთა, კარიბჭის ზღურბლი შიდა კარიბჭის სტოასთან ერთი ლერწამი.8. გაზომა კარიბჭის სტოა — ერთი ლერწამი. 9.გაზომა კარიბჭის სტოა — შვიდი წყრთა, მისი სვეტები ორ-ორი წყრთა. კარიბჭის სტოა შიგნით იყო-10. აღმოსავლეთის კარიბჭეს ერთ მხარეს სამი სენაკი ჰქონდა, მეორე მხარეს — სამი. ერთი ზომის იყო სამივე, ერთი ზომის იყო ორივე მხარის სვეტები. 11. გაზომა კარიბჭის შესასვლელის სიგანე — ათი წყრთა, კარიბჭის სიგრძე — ცამეტი წყრთა. 12. სენაკების წინ ფართობი თითო წყრთა იყო ორივე მხარეს. სენაკები — ექვსი წყრთა ერთ მხარეს და ექვსი წყრთა მეორე მხარეს.13. გაზომა კარიბჭე ერთი სენაკის სახურავიდან მეორე სენაკის სახურავამდე — სიგანე ოცდახუთი წყრთა. კარი კარის პირისპირ იყო. 14. სამოცი წყრთა გამოუვიდა სვეტები. სვეტების წინ ეზო და კარიბჭე იყო ირგვლივ. 15. შესასვლელი კარიბჭითან შიდა კარიბჭის სტოამდე — ორმოცდაათი წყრთა. 16. ცხაურიანი სარკმლები ჰქონდა სენაკებს და სვეტებს კარიბჭის შიგნით, ირგვლივ, და ასევე სტოებს. სარკმლები იყო ირგვლივ შიდა მხარეს და სვეტებზე პალმები იყო დახატული. 17. მიმიყვანა გარეთა ეზოში და, აჰა, ოთახები და ქვაფენილია მოწყობილი ეზოში ირგვლივ, ოცდაათი ოთახი ქვაფენილიანი. 18. ქვაფენილი კარიბჭეთა გვერდით იყო, მთელს სიგრძეზე. ეს იყო ქვედა ქვაფენილი. 19. გაზომა სიგანე ქვედა კარიბჭიდან შიდა ეზოს ბოლომდე ასი წყრთა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით.20. გარეთა ეზოს ჩრდილო კარიბჭის სიგრძე და სიგანეც გაზომა. 21. სენაკები ერთ მხარეს სამი იყო, მეორე მხარეს — სამი. მისი სვეტები და სტოა პირველი კარიბჭის ზომისა იყო — სიგრძე ორმოცდაათი წყრთა და სიგანე ოცდახუთი წყრთა. 22. სარკმლები, სტოები და პალმის ჩუქურთმები იმავე ზომისა ჰქონდა, როგორიც აღმოსავლეთის კარიბჭეს. შვიდი საფეხური იყო ასავლელი და სტოა მის წინ, 23. შიდა ეზოს კარიბჭე ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კარიბჭის პირდაპირ იყო. და გაზომა კარიბჭიდან კარიბჭემდე ასი წყრთა. 24. წამიყვანა სამხრეთისაკენ და, აჰა, სამხრეთის კარიბჭე. გაზომა მისი სვეტები და სტოა, და იგივე ზომებისა იყო. 25. ჰქონდა სარკმლები და სტოები ირგვლივ ისეთივე, როგორიც სხვა სარკმლები იყო, სიგრძე ორმოცდაათი წყრთა და სიგანე ოცდახუთი წყრთა. 26. იყო ასავლელი შვიდსაფეხურიანი, სტოა მის წინ და პალმის ჩუქურთმები მის სვეტებზე, თითო-თითო ორივე მხარეს. 27. შიდა ეზოს კარიბჭე სამხრეთისაკენ იყო. გაზომა კარიბჭიდან მეორე კარიბჭემდე სამხრეთისაკენ ასი წყრთა. 28. შემიყვანა შიდა ეზოში სამხრეთის კარიბჭით და გაზომა სამხრეთის კარიბჭე იმავე ზომების მიხედვით. 29. სენაკები, სვეტები და სტოა იმავე ზომებისა იყო, სარკმლები და სტოა ჰქონდა ირგვლივ: სიგრძე ორმოცდაათი წყრთა და სიგანე ოცდახუთი წყრთა. 30. სტოები იყო ირგვლივ: სიგრძე ოცდახუთი წყრთა და სიგანე ხუთი წყრთა. 31. მისი სტოა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთა ეზოსკენ იყო, სვეტებს პალმის ჩუქურთმები ჰქონდა და ასასვლელი რვა საფეხურიანი იყო. 32. შემიყვანა შიდა ეზოში აღმოსავლეთის კარიბჭით და გაზომა კარიბჭე იმავე საზომების მიხედვით. 33. სენაკები, სვეტები და სტოა იმავე ზომებისა იყო. სარკმლები და სტოა ჰქონდა ირგვლივ: სიგრძე ორმოცდაათი წყრთა და სიგანე ოცდახუთი წყრთა. 34. მისი სტოა გარეთა ეზოსკენ იყო, სვეტებს პალმის ჩუქურთმები ჰქონდა და ასასვლელი რვასაფეხურიანი იყო. 35. მიმიყვანა ჩრდილოეთის კარიბჭესთან და გაზომა იმავე ზომების მიხედვით. 36. სენაკები, სვეტები, სტოები და სარკმლები ჰქონდა ირგვლივ: სიგრძე ორმოცდაათი წყრთა და სიგანე ოცდახუთი წყრთა. 37. მისი სვეტები გარეთა ეზოსაკენ იყო. სვეტებს პალმის ჩუქურთმები ჰქონდა ორივე მხარეს და ასასვლელი რვასაფეხურიანი იყო. 38. ჰქონდა ოთახი თავისი შესასვლელითურთ კარიბჭის სვეტებთან. აქ ასუფთავებენ აღსავლენ მსხვერპლს. 39. კარიბჭის სტოაში ერთ მხარეს ორი მაგიდა იყო, მეორე მხარესაც ორი ტაბლა იყო აღსავლენის, ცოდვის გამოსასყიდის და დანაშაულის გამოსასყიდის მსხვერპლის დასაკლავად. 40. გარეთა ფრთაზე, ასასვლელთან, ჩრდილოეთის კარიბჭის შესასვლელთან ორი ტაბლა იყო, მეორე ფრთაზე კარიბჭის სტოასთან ორი ტაბლა იყო, 41. ოთხი ტაბლა ერთ მხარეს და ოთხი მაგიდა მეორე მხარეს, კარიბჭის ფრთასთან, რვა ტაბლა იყო მსხვერპლის დასაკლავად. 42. ოთხი ტაბლა აღსავლენი მსხვერპლისათვის თლილი ქვისგან იყო: სიგრძე ერთნახევარი წყრთა, სიგანე ერთნახევარი წყრთა და სიმაღლე ერთი წყრთა. მათზე ეწყო იარაღები, რომლებითაც კლავენ აღსავლენს და სხვა მსხვერპლს. 43. ორკაპი ჩანგლები, ერთი მტკაველი სიგრძის, მიმაგრებული იყო შიგნით ირგვლივ, ტაბლებზე კი შესაწირავი ხორცი ელაგა. 44. შიდა კარიბჭის გარეთ მგალობელთა ოთახები იყო, შიდა ეზოში, რომელიც ჩრდილოეთის კარიბჭის ფრთასთან, ჩრდილოეთისაკენ იყო მიქცეული. 45. მითხრა: ეს ოთახი, სამხრეთისაკენ რომ არის მიქცეული, მღვდლებისთვისაა, რომლებიც ტაძრის სამსახურს ასრულებენ. 46. ხოლო ოთახი, ჩრდილოეთისაკენ რომ არის მიქცეული, მღვდლებისთვისაა, რომლებიც სამსხვერპლოს სამსახურს ასრულებენ. ესენი ცადოკის ძენი არიან, რომლებიც ლევიანთა შორის, უფალს მიახლოებულნი, ემსახურებიან მას. 47. გაზომა ეზო: სიგრძე ასი წყრთა, ოთხკუთხედი იყო. სამსხვერპლო იდგა ტაძრის წინ. 48. მიმიყვანა ტაძრის სტოასთან და გაზომა სტოა: ხუთი წყრთა მეორე მხარეს. კარიბჭის სიგანე სამი წყრთა ერთ მხარეს და სამი წყრთა მეორე მხარეს. 49. სტოას სიგრძე ოცი წყრთა და სიგანე თორმეტი წყრთა. აღსავალთან, რომლითაც ადიან, სვეტები იყო, ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს.

თავი ორმოცდამეერთე

1. მიმიყვანა სასახლესთან და გაზომა სვეტები: სიგანე ექვსი წყრთა ერთ მხარეს და სიგანე ექვსი წყრთა მეორე მხარეს. ეს იყო კარვის სიგანე. 2. შესასვლელის ფრთა ხუთი წყრთა ერთ მხარეს და ხუთი წყრთა მეორე მხარეს, გაზომა მისი სიგრძე — ორმოცი წყრთა და სიგანე — ოცი წყრთა. 3. შევიდა შიგნით და გაზომა შესასვლელის სვეტი — ორი წყრთა და შესასვლელი — ექვსი წყრთა, და შესასვლელის სიგანე შვიდი წყრთა. 4. გაზომა მისი სიგრძე ოცი წყრთა და სიგანეც ოცი წყრთა სასახლესთან და მითხრა: ეს არის წმიდათა წმიდა. 5. გაზომა ტაძრის კედელი ექვსი წყრთა და გვერდითი სენაკები ირგვლივ ოთხი წყრთა, ტაძრის ირგვლივ. 6. გვერდითი სენაკები ერთმანეთის ზემოთ იყო სამ სართულად, თითო სართულში ოცდაათი, და მიუყვებოდა ტაძრის კედელს ირგვლივ, რომ ერთმანეთით ყოფილიყვნენ გამაგრებული და ტაძრის კედელს არ დაყრდნობოდნენ. 7. გვერდითი სენაკების სიგანე ფართოვდებოდა მაღლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა, ისე რომ ქვედა სართულიდან ზედა სართულზე შუადან იყო ასასვლელი. 8. დავინახე, სახლს ჰქონდა შემაღლებული ბაქანი ირგვლივ. გვერდითი სენაკების საძირკველი სრული ექვსი წყრთა იყო. 9. სენაკების კედლის სიგანე გარეთა მხარეს იყო ხუთი წყრთა, ხოლო ცარიელი ადგილი სენაკებს შორის ტაძრის იყო. 10. მანძილი ოთახებს შორის ოცი წყრთა იყო ტაძრის ირგვლივ. 11. გვერდითი სენაკიდან ცარიელ ადგილზე იყო გასასვლელი, ერთი გასასვლელი ჩრდილოეთისაკენ და ერთი გასასვლელი სამხრეთისაკენ. ცარიელი ადგილის სიგანე ხუთი წყრთა იყო ირგვლივ. 12. შენობა, რომელიც შემოკავებული ადგილის წინ იდგა, დასავლეთისაკენ, სიგანით სამოცდაათი წყრთა იყო. შენობის კედლის სიგანე ხუთი წყრთა იყო ირგვლივ და სიგრძე-ოთხმოცდაათი წყრთა. 13. გაზომა ტაძრის სიგრძე ასი წყრთა. შემოკავებული ადგილი შენობითურთ და მისი კედლები სიგრძით ასი წყრთა. 14. ტაძრის სიგანე წინა მხარეს და შემოკავებული ადგილისაკენ აღმოსავლეთისაკენ — ასი წყრთა. 15. გაზომა ტაძრის სიგრძე შემოკავებულის მხარეს, მის უკან, თავისი სვეტნარით ორივე მხარეს — ასი წყრთა. ასევე შიდა სასახლე და ეზოს სტოა. 16. ზღურბლები, ცხაურიანი სარკმელები და სვეტნარი ირგვლივ, იატაკიდან სარკმლებამდე (სარკმელები ყრუ იყო), 17. შესასვლელის თავზე, ტაძრის შიდა და გარეთა მხარე, მთელი კედელი ირგვლივ, შიგნიდან და გარედან, თანაზომიერი იყო. 18. ამოკვეთილი იყო ქერუბიმები და პალმები. პალმა ქერუბიმსა და ქერუბიმს შორის იყო. ორი სახე ჰქონდა ყოველ ქერუბიმს. 19. კაცის სახე პალმისაკენ იყო მიქცეული ერთ მხარეს და ლომის სახე პალმისაკენ იყო მიქცეული მეორე მხარეს. ასე იყო გაკეთებული მთელს ტაძარში ირგვლივ. 20. იატაკიდან შესასვლელის თავამდე ქერუბიმები და პალმები იყო გამოხატული, ასევე სასახლის კედელზე. 21. სასახლის წყრთილები ოთკუთხედი იყო, საწმიდარსაც იგივე შესახედაობა ჰქონდა. 22. ხის სამსხვერპლოს სიმაღლე სამი წყრთა იყო, სიგრძე — ორი წყრთა. მისი კუთხეები, კვარცხლბეკი და კედლები ხისა იყო. და მითხრა მან: ეს საკურთხეველია უფლის წინაშე. 23. ორ-ორი კარი ჰქონდა სასახლეს და საწმიდარს. 24. ორი ფრთა ჰქონდა თითო კარს, ორივე ფრთა მოტრიალე იყო. ორი ფრთა ერთ კარს და ორი ფრთა მეორე კარს. 25. გამოსახული იყო მათზე, სასახლის კარებზე, ქერუბიმები და პალმები. ისევე როგორც კედლებზე იყო გამოსახული. ხის ზღურბლი იყო სტოას წინ, გარეთ. 26. ცხაურიანი სარკმლები და პალმები აქეთ-იქით, სტოას გვერდებზე, ტაძრის გვერდითი სენაკები და ზღურბლები.

თავი ორმოცდამეორე

1. გამომიყვანა გარეთა ეზოში ჩრდილოეთის გზით და შემიყვანა ოთახში, რომელიც შემოკავებული ადგილისა და შენობის პირდაპირ იყო მოთავსებული, ჩრდილოეთ მხარეს. 2. მისი სიგრძე ჩრდილოეთის შესასვლელთან ასი წყრთა იყო, სიგანე — ორმოცდაათი წყრთა. 3. ოცი წყრთის გაყოლებაზე შიდა ეზოში და ქვაფენილის გაყოლებაზე გარეთა ეზოში სვეტნარი იყო ერთმანეთის პირდაპირ სამ სართულად. 4. ოთახების წინ გასასვლელი ათი წყრთა სიგანით და შიდა გზა ერთი წყრთა. შესასვლელები ჩრდილოეთისაკენ იყო. 5. ზემო ოთახები უფრო ვიწრო იყო, რადგან სვეტნარი იკავებდა მათ ადგილს შენობის ქვედა და შუა ნაწილიდან. 6. რადგან სამ სართულად იყო ისინი და არ ჰქონდა სვეტები ეზოს სვეტების მსგავსად და ამიტომაც შევიწროებული იყო იატაკიდან და შუა სართულისაკენ. 7. გალავანი,რომელიც გარეთ იყო ოთახების გასწვრივ ჩრდილოეთის ეზოსაკენ, ოთახების პირდაპირ, სიგრძით ორმოცდაათი წყრთა იყო. 8. რადგან გარეთა ეზოს ოთახების სიგრძე იყო ორმოცდაათი წყრთა და, აჰა, მთელი სიგრძე სასახლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწვრივ — ასი წყრთა. 9. ამ ოთახების ქვემოთ აღმოსავლეთის მხრიდან შესასვლელი იყო გარეთა ეზოდან შესასვლელად. 10. ეზოს გალავნის სიგანეზე აღმოსავლეთის მხარეს, შემოკავებულის და შენობის პირდაპირ, ოთახები იყო მოთავსებული. 11. მათ წინ ისეთივე გზა იყო, როგორც ჩრდილოეთის ოთახების წინ. ისეთივე სიგრძე და სიგანე, მათი გამოსასვლელები, მათი განლაგება და კარები ისეთივე იყო. 12. სამხრეთის ოთახების კარები ისეთივე იყო როგორიც იმ გზის თავში, რომელიც მიუყვებოდა გალავანს აღმოსავლეთისაკენ, შესასვლელად. 13. მითხრა მან: ჩრდილოეთის ოთახები და სამხრეთის ოთახები, შემოკავებულის პირდაპირ რომ არის განლაგებული, წმიდა ოთახებია, სადაც უფალს მიახლოებული მღვდლები ჭამენ წმიდათა წმიდა მსხვერპლს. ძღვენს, ცოდვისა და დანაშაულის გამოსასყიდ შესაწირავს, რადგან წმიდა ადგილია. 14. აქ შემოსული მღვდლები ვერ გავლენ ამ საწმიდარიდან გარეთა ეზოში, ვიდრე აქ არ დააწყობენ საწესო შესამოსელს, რადგან წმიდაა ისინი, და სხვა სამოსელს არ ჩაიცვამენ. მხოლოდ ამის შემდეგ მიუახლოვდებიან საერო ადგილს. 15. დაასრულა შიდა ტაძრის გაზომვა და გამიყვანა აღმოსავლეთისაკენ მიქცეულ კარიბჭეში და გაზომა ის ირგვლივ. 16. გაზომა აღმოსავლეთის მხარე საზომი ლერწმით და გამოვიდა ხუთასი ლერწამი ირგვლივ. 17. გაზომა ჩრდილოეთის მხარე და გამოვიდა ხუთასი ლერწამი, ლერწმის საზომით, ირგვლივ. 18. სამხრეთის მხარე გაზომა და გამოვიდა ხუთასი ლერწამი, ლერწმის საზომით. 19. შემოტრიალდა დასავლეთისაკენ და გადაზომა ხუთასი ლერწამი ლერწმის საზომით. 20. ოთხ მხარეს გაზომა ეს ადგილი. გარს კედელი ერტყა სიგრძით ხუთასი წყრთა და სიგანით ხუთასი წყრთა, წმიდისა და ნალახის განსაცალკევებლად.

თავი ორმოცდამესამე

1. მიმიყვანა კარიბჭესთან, იმ კარიბჭესთან, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იყურება. 2. და, აჰა, ისრაელის ღვთის დიდება მოდიოდა აღმოსავლეთის გზით, მისი ხმა დიდი ნიაღვრის ხმასავით იყო და ქვეყანა განათდა მისი დიდებით. 3. ეს ხილვა იმ ხილვას ჰგავდა, რომელიც ვიხილე, როცა მოვედი ქალაქის გასანადგურებლად. იმ ხილვებს ჰგავდა რომლებიც ვიხილე მდინარე ქებარის პირას. და პირქვე დავემხე. 4. უფლის დიდება შევიდა ტაძარში იმ კარიბჭით, აღმოსავლეთისაკენ რომ არის მიქცეული. 5. ამიტაცა სულმა და შემიყვანა შიდა ეზოში, და აჰა, უფლის დიდებით იყო ტაძარი ავსებული. 6. გავიგონე, რომ მელაპარაკებოდა ტაძრიდან. ის კაცი კი ჩემს გვერდით იდგა. 7. მითხრა: ადამის ძევ! ეს არის ადგილი ჩემი ტახტისა და ადგილი ჩემს ფეხთა ტერფებისა, სადაც საუკუნოდ ვიქნები ისრაელიანთა შორის. აღარ გააუწმინდურებს ჩემს წმიდა სახელს ისრაელის სახლი, არც ის და არც მისი მეფეები, თავიანთი გარყვნილებით და თავიანთ მეფეთა ძეგლებით გორაკებზე, 8. თავიანთი ზღურბლის ჩემს ზღურბლთან გათანაბრებით, თავიანთი წყრთილების ჩემს წყრთილებთან გათანასწორებით და კედლის აღმართვით ჩემსა და მათ შორის. აუწმიდურებდნენ ჩემს წმიდა სახელს თავიანთი სისაძაგლეებით, რომელთაც სჩადიოდნენ, და მე ვშთანთქე ისინი ჩემს რისხვაში. 9. ამიერიდან გამარიდებენ თავიანთ გარყვნილებას და თავიანთ მეფეთა ძეგლებს და დავმკვიდრდები მათ შორის საუკუნოდ 10. შენ კი ადამის ძევ, აუწყე ისრაელის სახლს ამ ტაძრის ამბავი, რომ შერცხვეთ თავიანთი უკეთურობებისა და გაზომონ შენობა. 11. თუ შერცხვებათ ყველაფრისა, რაც ჩადენილი აქვთ, გამოუცხადე მათ ტაძრის ნახაზი, მისი აღნაგობა, მისი შესასვლელ-გამოსასვლელები, მთელი მისი ნახაზი და ყოველი წესი და კანონი, დაუწერე, რომ დაიცვან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მისი ნახაზი და წესი, და შეასრულონ. 12. ეს არის ტაძრის რჯული: მთელი მიდამო მთის წვერზე წმიდათა წმიდაა ირგვლივ. აჰა, ეს არის ტაძრის რჯული. 13. აი, სამსხვერპლოს ზომები წყრთებში (წყრთად ითვლება წყრთა ხელის მტევანთან ერთად): კვარცხლბეკი ერთი წყრთა და სიგანე ერთი წყრთა, ძგიდე მის კიდეზე ირგვლივ ერთი მტკაველი. ეს არის სამსხვერპლოს ზურგი. 14. მიწაზე მდგარი კვარცხლბეკიდან ქვემო შვერილამდე ორი წყრთა და სიგანე ერთი წყრთა. მცირე შვერილიდან დიდ შვერილამდე ოთხი წყრთა, სიგანე ერთი წყრთა. 15. საკურთხევლის სიმაღლე ოთხი წყრთა. საკურთხევლიდან ზემოთ ოთხი რქა ამოდის. 16. საკურთხევლის სიგრძე თორმეტი წყრთაა, თორმეტი წყრთა სიგანე, ოთხკუთხედია თავის ოთხივე მხარეს. 17. შვერილის სიმაღლე თოთხმეტი წყრთა, სიგანეც თოთხმეტი წყრთა მის ოთხივე მხარეს. ძგიდე მის ირგვლივ ნახევარი წყრთა, მისი კვარცხლბეკის ირგვლივ ერთი წყრთა. მისი საფეხურები აღმოსავლეთისაკენაა. 18. ადამის ძევ! ასე ამბობს უფალი ღმერთი: ეს არის წესები სამსხვერპლოსი იმ დღისთვის, როცა გაკეთდება, აღსავლენის შესაწირად და მასზე სისხლის სასხურებლად. 19. მიეცი ლევიან მღვდლებს, ცადოკის მოდგმისანი რომ არიან, ჩემთან დაახლოებულთ, ამბობს უფალი ღმერთი, ხბო ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლისათვის, რათა მემსახურონ. 20. აიღო მისი სისხლიდან და ასხურე სამსხვერპლოს ოთხ რქას, შვერილის ოთხ მხარეს და ძგიდეს, ირგვლივ, ამით გასწმედ ცოდვისაგან და გაასუფთავებ მას. 21. აიღე ხბო ცოდვის გამოსასყიდად და დაწვი იგი ტაძრის დათქმულ ადგილას, საწმიდარის გარეთ. 22. მეორე დღეს შესწირე საღი თხა ცოდვის გამოსასყიდად. ამით განსწმედ სამსხვერპლოს, როგორც ხბოთი განწმიდეს. 23. როცა განწმედას მორჩები, შესწირე საღი ხბო და საღი ვერძი ფარიდან. 24. მიიყვანე უფლის წინაშე და დააფრქვიონ მათზე მღვდლებმა მარილი, აღსავლენად აღუვლინონ უფალს. 25. შვიდი დღის მანძილზე ამზადებდე თითო თხას დღეში ცოდვის გამოსასყიდად. ხბო და ფარის ვერძიც საღი მოამზადონ. 26. შვიდი დღის მანძილზე შეასრულონ გამოსყიდვის წესი სამსხვერპლოსთან, განწმიდონ ის და აუვსონ ხელი. 27. როცა შესრულდება ეს დღეები, მერვე დღეს და მის შემდეგ შესწირონ მღვდლებმა სამსხვერპლოზე თქვენი აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლი, და წყალობას გამოვიჩენ თქვენდამი, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ორმოცდამეოთხე

1. დამაბრუნა საწმიდარის გარეთა კარიბჭის გზით, ჩრდილოეთისაკენ რომ არის მიქცეული. ჩაკეტილი იყო იგი. 2. მითხრა უფალმა: ეს კარიბჭე ჩაკეტილი იქნება, არ გაიღება, კაცი შვილი ვერ შევა იქ, რადგან უფალი, ისრაელის ღმერთი შედის იქ, ამიტომაც დაკეტილი იქნება. 3. მხოლოდ მთავარი დაჯდება მთავრად იქ პურის საჭმელად უფლის წინაშე. კარიბჭის სტოას გზით შევა და იმავე გზითვე გამოვა. 4. მიმიყვანა ტაძართან ჩრდილოეთის კარიბჭით და ვიხილე, აჰა, ავსებული იყო უფლის დიდებით უფლის სახლი, და პირქვე დავემხე. 5. მითხრა უფალმა: ადამის ძევ! გულში ჩაიდე, საკუთარი თვალით იხილე და საკუთარი ყურით ისმინე ყველაფერი, რასაც გეტყვი უფლის ტაძრის წესებზე და მთელს მის რჯულზე. დაიმახსოვრე ტაძარში შესასვლელი და ყველა გამოსასვლელი საწმიდარიდან. 6. უთხარი ისრაელის ურჩ სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: გადააჭარბეთ ყველა თქვენს სისაძაგლეს, ისრაელის სახლო, 7. როცა შემოიყვანეთ უცხოთესლნი — გულდაუცვეთელნი და ხორცდაუცვეთელნი ჩემს საწმიდარში სამყოფოდ, რომ შეელახათ ჩემი ტაძარი, როცა სთავაზობდით ჩემს პურს, ქონსა და სისხლს. დაარღვიეს ჩემი აღთქმა და ეს ზედ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ყველა თქვენს სისაძაგლეს. 8. არ
ასრულებდით ჩემი საწმიდარის სამსახ-
ურს და თქვენს სანაცვლოდ ისინი გყავ-
დათ დაყენებული სამსახურის აღმასრუ-
ლებლად ჩემს საწმიდარში. 9. ასე ამბ-
ობს უფალი ღმერთი: არც ერთი უცხო-
თესლი — გულდაუცვეთელი და ხორ-
ცდაუცვეთელი — არ უნდა შემოვიდეს
ჩემს საწმიდარში. არც ერთი უცხო თე-
სლი, ისრაელიანთა შორისაც რომ
ცხოვრობდეს. 10. მაგრამ ლევიანებიც,
რომლებიც გამერიდნენ, როცა განმიდგა
ისრაელი და გაედევნა თავის კერპებს,
იტვირთავენ თავიანთ დანაშაულს. 11.
რადგან ისინი მსახურობდნენ ჩემს საწ-
მიდარში ტაძრის კარიბჭეთა მცვლე-
ბად და ემსახურებოდნენ ტაძარს. ისინი
ხოცავდნენ აღსავლენს და მსხვერპლს
ერისათვის, ისინი იდგნენ მათ წინაშე
მათ სამსახურად. 12. რაკი ემსახურებო-
დნენ მათ მათი კერპების წინაშე და
ცოდვაში ჩააგდეს ისრაელის სახლი,
ამიტომაც აღვმართე მათზე ხელი, ამბ-
ობს უფალი ღმერთი, და იტვირთავენ
თავიანთი ცოდვის სასჯელს. 13. ვერ
მომეკარებიან, რომ მღვდლობა გასწი-
ონ ჩემს წინაშე და მიეახლონ რაიმე
წმიდას ჩემსას და წმიდათა წმიდას,
არამედ იტვირთავენ თავიანთ სირცხ-
ვილს და სისაძაგლეებს, რომელთაც
სჩადიოდნენ. 14. მე დავადგენ მათ ჩემი
ტაძრის სამსახურის შესასრულებლად
ყველა საქმეში და ყველაფერში, რაც იქ
კეთდება. 15. ხოლო ლევიანი მღვდლე-
ბი, ცადოკის შთამომავალნი, რომლებიც
ასრულებდნენ სამსახურს ჩემს საწმი-
დარში, როცა ისრაელიანები განმდგარ-
ნი იყვნენ ჩემგან, მომეახლებიან, რომ
მემსახურონ. დადგებიან ჩემს წინაშე,
რომ მომართვან ქონი და სისხლი, ამბ-
ობს უფალი ღმერთი. 16. ისინი შემოვ-
ლენ ჩემს საწმიდარში და ისინი მოეახ-
ლებიან ჩემს ტაბლას, რომ მემსახურონ
და აღასრულონ ჩემი სამსახური. 17.
შიდა ეზოს კარიბჭეებში შემოსვლისას
სელის სამოსელით უნდა იყვნენ შემო-
სილნი, მატყლის არაფერი ემოსოთ
შიდა ეზოს კარიბჭეებში და ტაძრის
სამსახურის დროს 18. სელის თავსაკ-
ვრელი უნდა ჰქონდეთ თავზე და სელის
არდაგი თეძოებზე, გაოფლილნი არ უნდა
ირტყავდნენ სარტყელს. 19. გარეთა ეზ-
ოში, გარეთა ეზოში ხალხთან გასვლი-
სას უნდა გაიხადონ შესამოსელი, რომ-
ესაც მსახურების დროს იცვამენ, და
დააწყონ საწმიდარ ოთახებში. სხვა სა-
მოსელი უნდა ჩაიცვან, რომ სიწმიდე არ
გადასდონ ხალხს თავიანთი სამოსელით.
20. თავი არ უნდა გადაიპარსონ და თმა
არ უნდა მოიზარდონ. შეკრეჭით კი უნ-
და შეიკრიჭონ თავი. 21, მღვდელთაგან
არავინ ღვინო არ უნდა დალიოს შიდა
ეზოში შესვლისას. 22. ქვრივი და გაშ-
ვებული ცოლად არ უნდა მოიყვანონ,
მხოლოდ ქალწული ისრაელის სახლის
მოდგმიდან და ქვრივი, მღვდლის ნაცო-
ლარი, მოიყვანონ. 23. უნდა ასწავლონ
ჩემს ხალხს წმიდისა და ნალახის გარ-
ჩევა და განასხვავებინოს ერთმანეთისა-
გან გაუწმიდურებული და გაწმედილი.
24. დავის დროს უნდა დადგნენ ჩემი
სამართლით განსასჯელად და განსაჯონ,
დაიცვან ჩემი რჯული და ჩემი წესები
ყველა დღესასწაულში და წმიდად შეი-
ნახონ ჩემი შაბათები. 25. მკვდარ კაცს
არ უნდა მიეკარონ, რათა არ გაუწმიდ-
ურდნენ. მამისა, დედისა, ძისა, ასულ-
ისა, ძმისა და გაუთხოვარი დის გამო შე-
უძლიათ გაუწმიდურდნენ. 26. განწმედ-
ის შემდეგ კიდევ შვიდი დღე უნდა
გადათვალონ. 27. იმ დღეს, როდესაც
შიდა ეზოში შედიან საწმიდარში სამს-
ახურად, მიიტანონ ცოდვის გამოსასყი-
დი, ამბობს უფალი ღმერთი. 28. მათთვ-
ის სამკვიდრო ის იქნება, რომ მე ვარ
მათი სამკვიდრო. ნუ მისცემთ მათ საკ-
უთრებას ისრაელში: მე ვარ მათი საკ-
უთრება. 29. ძღვენი, ცოდვის გამოსას-
ყიდი მათ უნდა შეჭამონ და ყოველი
დარისხებული ისრაელში მათ ეკუთვნით.
30. ყოველი ნათავარი, ყოველი პირველ-
მოწეული და ყოველი აღსამართავი შე-
საწირი თქვენს აღსამართავთაგან
მღვდლებს ეკუთვნით. თქვენი ცომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი მღვდლებს მიეცით, რომ კურთხევამ დაივანოს თქვენს სახლზე. 31. არ უნდა ჭამონ მღვდლებმა არც მკვდარი და არც ნამხეცავი ფრინველი თუ პირუტყვი.

თავი ორმოცდამეხუთე

1. როცა წილისყრით დაანაწილებთ ქვეყანას სამკვიდროდ, გამოუყავით უფალს წმიდა ადგილი ქვეყანაში სიგრძით ოცდახუთი ათასი წყრთა და სიგანით ათი ათასი წყრთა. ეს წმიდა უნდა იყოს მთელს მის საზღვარში, ირგვლივ. 2. აქედან საწმიდარად იყოს ოთხკუთხი ნაკვეთი ხუთასი წყრთა ხუთასზე, ირგვლივ, და ორმოცდაათი წყრთა მის შემოგარედ, ირგვლივ. 3. ამ გადასაზომიდან გადაზომავ სიგრძით ოცდახუთი ათას წყრთას და სიგანით ათი ათას წყრთას. აქ ექნება საწმიდარი, წმიდათა წმიდა. 4. წმიდა უნდა იყოს ეს ქვეყანაში. მღვდლებს, საწმიდარის მსახურებს, უნდა ეკუთვნოდეთ, რომლებიც მიახლებულნი არიან უფლის სამსახურად: თავიანთი სახლების ადგილად და საწმიდარის ნაკვეთად უნდა ჰქონდეთ. 5. ოცდახუთი ათასი წყრთა სიგრძით და ათი ათასი წყრთა სიგანით უნდა ჰქონდეთ ლევიანებს, ტაძრის მსახურებს, საკუთრებად ოც ოთახთან ერთად. 6. ქალაქის საკუთრებად მიეცით სიგანით ხუთი ათასი წყრთა და სიგრძით ოცდახუთი ათასი წყრთა შეწირული ნაკვეთის გასწვრივ — მთელს ისრაელის სახლს უნდა ეკუთვნოდეს. 7. მთავარს კი ეკუთვნის შეწირული ნაკვეთის და ქალაქის საკუთრების ორივე მხარე. შეწირული ნაკვეთისა და ქალაქის საკუთრების გვერდით დასავლეთის მხარეს, დასავლეთის მიმართულებით და აღმოსავლეთის მხარეს, აღმოსავლეთის მიმართულებით, სიგრძით ერთ-ერთი წილის კვალობაზე დასავლეთის საზღვრიდან აღმოსავლეთის საზღვრამდე. 8. ეს იქნება მისი მიწა, მისი საკუთრება ისრაელში, რომ აღარ შეავიწროონ მთავრებმა ჩემი ერი და მისცენ დანარჩენი მიწა ისრაელის სახლს შტოებისდა მიხედვით. 9. ასე ამბობს უფალი ღმერთი: კმარა, ისრაელის მთავრებო! მოეშვით მძლავრობას და ძარცვას. ქმენით მართალი სამართალი და შეწყვიტეთ ჩემი ერის დევნა, ამბობს უფალი ღმერთი. 10. მართალი სასწორი, მართალი ეფა და მართალი ბათი უნდა გქონდეთ. 11. ეფა და ბათი ერთი საწყაო უნდა იყოს: ბათი ხომერის მეათედს უნდა შეიცავდეს და ეფაც — ხომერის მეათედს. ხომერი უნდა იყოს წყვე. 12. შეკელი ოცი გერაა, ოცი შეკელი, ოცდახუთი შეკელი და თხუთმეტი შეკელი ერთი მანე უნდა იყოს თქვენთვის. 13. აი, შესაწირავი, რომელსაც უნდა სწირავდეთ: ეფის მეექვსედი ერთი ხომერი ხორბლიდან და ეფის მეექვსედი ერთი ხომერი ქერიდან. 14. ზეთზე დადგენილია: ერთ ბათ ზეთში მეათედი ბათი ქორიდან. ათი ბათი ერთი ხომერია, რადგან ხომერში ათი ბათია. 15. ერთი ცხვარი ორასი სული ფარიდან, ისრაელის საძოვრიდან — საძღვნოდ, აღსავლენად და სამშვიდობო მსხვერპლად — სამონანულოდ, ამბობს უფალი ღმერთი. 16. მთელმა ქვეყნის ერმა უნდა გაიღოს ეს შესაწირავი ისრაელის მთავრებისათვის. 17. მთავრებს კი ევალებათ აღსავლენები, ძღვენი და საღვრელი დღესასწაულებზე, ახალმთვარობებზე, შაბათებზე, ისრაელის სახლის ყოველ ზეიმზე. მან უნდა მოამზადოს ცოდვის გამოსასყიდი, ძღვენი, აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლი ისრაელის სახლის სამონანულოდ. 18. ასე ამბობს უფალი ღმერთი: პირველი თვის პირველში აიღე საღი ხბო და გაწმიდე საწმიდარი. 19. აიღოს მღვდელმა მსხვერპლიდან სისხლი და სცხოს სახლის წყრთილებს, სამსხვერპლოს ითხივე კუთხეს და შიდა ეზოს კარიბჭის წყრთილებს. 20. ასე მოიქეცი თვის შვიდშიც ყველასათვის, ვინც შესცოდა უნებლიეთ თუ უმეცრებით, და გაწმედ სახლს. 21. პირველი თვის თორმეტში გექნებათ პასექი — შვიდდღიანი დღესას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაული. უფუარს უნდა ჭამდეთ. 22. გაამზადებს მთავარი ამ დღეს თავისთვის და მთელი ქვეყნის ერისათვის ხბოს ცოდვის გამოსასყიდად. 23. დღესასწაულის შვიდი დღის განმავლობაში გაამზადებს უფლისათვის აღსავლენს: შვიდ საღ ხბოს და შვიდ საღ ცხვარს. ამ შვიდეულის თითო დღისთვის, და თხას ცოდვის გამოსასყიდად ყოველდღიურად. 24. გაამზადებს მარცვლეულის ძღვენს — ერთ ეფას ხბოზე და ერთ ეფას ცხვარზე, და ერთ ჰინ ზეთს ეფაზე. 25. მეშვიდე თვის თხუთმეტში, ღღესასწაულზე, ამასვე გააკეთებს შვიდი დღის განმავლობაში: ისეთსავე ცოდვის გამოსასყიდს, ისეთსავე აღსავლენს, იმდენსავე ძღვენს და იმდენსავე ზეთს.

თავი ორმოცდამეექვსე

1. ასე ამბობს უფალი ღმერთი: შიდა ეზოს კარიბჭე, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული, დაკეტილი უნდა იყოს ექვს სამუშაო დღეს, შაბათობით კი ღია უნდა იყოს და ახალი მთვარის დღესაც ღია უნდა იყოს. 2. შევა მთავარი გარედან კარიბჭის სტოას გზით და დადგება კარიბჭის წყრთილებთან, ხოლო მღვდლები გაამზადებენ აღსავლენს და სამშვიდობო მსხვერპლს, ის თაყვანს სცემს კარიბჭის ზღურბლთან და გავა. კარიბჭე არ დაიკეტება საღამომდე. 3. თაყვანი უნდა სცეს ქვეყნის ერმა უფალს ამ კარიბჭის შესასვლელთან შაბათობით და ახალმთვარობისას. 4. აი, აღსავლენი, რომელიც უნდა მიუტანოს მთავარმა უფალს შაბათ დღეს: ექვსი საღი ბატკანი და ერთი საღი ვერძი. 5. ძღვენი — ერთი ეფა ვერძზე, ხოლო ბატკნებზე ძღვენი — შეძლებისდაგვარად, და ერთი ჰინი ზეთი ერთ ეფაზე. 6. ახალი მთვარის დღეს საღი ხბოები, ექვსი საღი ბატკანი და ვერძი უნდა იყოს. 7. ხბოზე და ვერძზე თითო ეფა ძღვენი უნდა გაამზადოს, ბატკნებზე კი — როგორც ხელი მიუწვდება, და ერთი ჰინი ზეთი ერთ ეფაზე. 8. როცა მთავარი შედის, კარიბჭის სტოას გზით უნდა შევიდეს და იმავე გზით უნდა გავიდეს. 9. როცა ქვეყნის ერი მივა უფლის წინაშე დღესასწაულებზე, ჩრდილოეთის კარიბჭის გზით სათაყვანებლად შემსვლელნი კი ჩრდილოეთის კარიბჭით უნდა გავიდნენ. არ უნდა გაბრუნდნენ იმავე კარიბჭით, რომლითაც შევიდნენ, არამედ საპირისპიროთი უნდა გავიდნენ. 10. მთავარი მათ შორის იქნება: მათი შესვლისას შევა და მათი გასვლისას გავა. 21. დღესასწაულებზე და ზეიმებზე ხბოები და ვერძზე თითო ეფა ძღვენი უნდა იყოს, ბატკნებზე კი შეძლებისდაგვარად. და ერთი ჰინი ზეთი ეფაზე. 12. როცა მთავარი გაამზადებს ნებაყოფლობით აღსავლენს ან ნებაყოფლობით სამშვიდობო მსხვერპლს უფლისათვის, მისთვის გაიღება აღმოსავლეთის კარიბჭე და ის შესწირავს თავის აღსავლენს და სამშვიდობოს როგორც შაბათობით სწირავს, და გავა. მისი გასვლისას კარიბჭე იკეტება. 13. წელგამოვლილი საღი ბატკანი შესწირე ყოველდღიურად უფალს აღსავლენად. ყოველ დილას შესწირე. 14. ძღვენი უნდა გაუმზადო მასთან ერთად დილაობით — ეფის მეექვსედი, ხოლო ზეთი ჰინის მესამედი, გამტკიცული ფქვილის მოსაზელად. ეს არის საუფლო მუდმივი ძღვენის საუკუნო წესი. 15. გაამზადონ ბატკანი, ძღვენი და ზეთი დილაობით მუდმივი აღსავლენისთვის. 16. ასე ამბობს უფალი ღმერთი: თუ მთავარი მისცემს თავის ერთერთ შვილს საჩუქარს თავისი სამკვიდროდან, ეს მისი შვილების იქნება, მათი საკუთრება იქნება მემკვიდრეობით. 17. თუ მისცემს საჩუქარს თავისი სამკვიდროდან თავის ყმათაგანს ვისმე, მისი იქნება აზატობის წლამდე, მერე კი მთავარს დაუბრუნდება. მისი სამკვიდრო მხოლოდ მისი შვილებისაა, მათ ეკუთვნით. 18. ვერ აიღებს მთავარი ვერაფერს ხალხის სამკვიდროდან მათთვის საკუთრების წართმევით. მხოლოდ თავისი საკუთრებიდან შეუძლია მისცეს სამკვი-

2. „მნათობი" № 5-6.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროდ თავის შვილებს, რომ არავინ მოწყდეს ჩემი ხალხიდან თავის საკუთრებას. 19. შემიყვანა კარიბჭის გვერდითი შესასვლელით მღვდელთათვის განკუთვნილ წმიდა ოთახებში, ჩრდილოეთისაკენ რომ არის მიქცეული, და აჰა, იქ ერთი ადგილი იყო დასავლეთით. 20. მითხრა: ეს არის ის ადგილი, სადაც უნდა ხარშავდნენ მღვდლები დანაშაულის და ცოდვის მსხვერპლს და აცხობდნენ ძღვენს გარეთა ეზოში გატანის გარეშე, რომ სიწმიდე ერს არ გადასდონ. 21. გამიყვანა გარეთა ეზოში და მომატარა ეზოს ოთხივე კუთხე და, აჰა, თითო ეზო იყო ყოველ კუთხეში. 22. ეზოს ოთხივე კუთხეში ოთხი მომცრო ეზო იყო ორმოცი წყრთა სიგრძისა და ოცდაათი წყრთა სიგანისა. ოთხივეს ერთი ზომა ჰქონდა კუთხეებიდან. 23. ირგვლივ კედელი ერტყა მათ, ოთხივე კუთხეს ირგვლივ, და სამზარეულოები იყო მოწყობილი კედლების ძირას, ირგვლივ. 24. მითხრა: ეს არის მზარეულთა სახლი, საღაც ხარშავენ ტაძრის მსახურნი საერო მსხვერპლს.

თავი ორმოცდამეშვიდე

1. დამაბრუნა ტაძრის შესასვლელთან და, აჰა, წყალი მიედინება ტაძრის ზღურბლის ქვეშიდან აღმოსავლეთისაკენ, რადგან აღმოსავლეთისაკენ იყო მიქცეული ტაძარი. წყალი გამოდის ქვეშიდან, ტაძრის მარჯვენა მხრიდან, სამსხვერპლოს სამხრეთით. 2. გამიყვანა ჩრდილოეთის კარიბჭის გზით და გამატარა გარეთა გზით გარეთა კარიბჭისაკენ, გარეთა გზით, ჩრდილოეთისაკენ რომ მიემართება, და აჰა, მოედინება წყალი მარჯვენა მხრიდან. 3. როცა ეს კაცი აღმოსავლეთისაკენ წავიდა ლარით ხელში, გაზომა ათასი წყრთა და გამიყვანა წყალში. კოჭებამდე იყო წყალი. 4. გაზომა კიდევ ათასი და გამატარა წყალში — მუხლამდე იყო. გაზომა ათასი და გამატარა — წელამდე იყო. 5. გაზომა ათასი და უკვე მდინარე იყო, რომელიც ველარ გადავლახე, რადგან ამაღლდა წყალი, გადასაცურავი გახდა. ფეხით გადასვლა არ იქნებოდა მდინარეზე. 6. მითხრა: ხომ დაინახე, ადამის ძეო! წამიყვანა და დამაბრუნა მდინარის ნაპირას. 7. დავბრუნდი და, აჰა, ბევრი ხე იყო მდინარის ნაპირზე, ორივე მხარეს. 8. მითხრა: ეს წყალი მიედინება აღმოსავლეთის მხარეს და ჩადის ველზე, შეერთვის ზღვას და, როცა აღმოჩნდება ზღვაში, გამტკნარდება წყლები. 9. ყოველი სულდგმული, რომელიც ფუთფუთებს ყველგან, სადაც ეს მდინარე ჩაივლის, გაცოცხლდება, დიდათ გამრავლდება თევზი, რადგან სადაც ეს წყლები ჩაივლის, გამტკნარდება წყალი. ყველაფერი იცოცხლებს, სადაც კი ეს წყალი ჩაივლის. 10. იდგებიან იქ მეთევზეები და ენგადიდან მოყოლებული ენყეგლაიმამდე იქნება დაგებული ბადეები. იმგვარივე თევზი ექნებათ მათ, როგორიც დიდ ზღვაშია, დიდზე დიდძალი. 11. ჭაობები და ჭანჭყობები არ გამტკნარდება, სამარილედ დარჩება. 12. მდინარის ორსავე ნაპირზე გაიზრდება ყოველგვარი ხე, საკვების მომცემი. არ დაჭკნება მისი ფოთოლი და არ მოილევა მისი ნაყოფი. საჭმელად იქნება და მისი ფოთოლი — განსაკურნებად. 13. ასე ამბობს უფალი ღმერთი: აი, საზღვრები, რომელთა თანახმად უნდა დაუნაწილო ქვეყანა ისრაელის თორმეტ შტოს — იოსებს ორი წილი. 14. თანაბრად გაუნაწილე ყველას, რადგან ხელის აწევით შევფიცე თქვენს მამა-პაპას, რომ მათ მიეცემდი ამ ქვეყანას და თქვენ გერგებათ ის სამკვიდროდ. 15. აი, ქვეყნის საზღვარი: ჩრდილოეთით დიდი ზღვიდან ხეთლონის გზით ცედადამდე, 16. ხამათამდე, ბეროთამდე, სიბრაიმამდე, დამასკოს საზღვარსა და ხამათის საზღვარს შორის რომ არის მოქცეული, და შუა ხაცერამდე, ხავრანის საზღვართან რომ მდებარეობს. 17. გავა საზღვარი ზღვიდან ხაცარ-ყენონამდე, დამასკოს და ცაფონის საზღვართან, ჩრდილოეთით, და ხამათის საზღვარიან. ეს არის ჩრდილოეთის მხარე. 18. აღმოსავლეთის მხრიდან ხავრანსა და დამასკოს შორის, და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაადსა და ისრაელს შორის — იორდანე, ჩრდილოეთის საზღვრიდან აღმოსავლეთის ზღვამდე გადაზომე. ეს იქნება აღმოსავლეთის მხარე. 19. სამხრეთის მხრიდან სამხრეთისაკენ — თამარიდან მერიბოთ-კადეშის წყლებამდე, მდინარემდე, დიდი ზღვისაკენ. ეს იქნება სამხრეთის მხარე, სამხრეთით. 20. დასავლეთის მხრიდან იქნება დიდი ზღვა სამხრეთის საზღვრიდან ხამათის მისადგომამდე. ეს იქნება დასავლეთის მხარე. 21. დაინაწილეთ ეს ქვეყანა ისრაელის შტოთა შორის. 22. დაინაწილეთ წილისყრით სამკვიდრო თქვენ და თქვენმა მდგმურებმა, თქვენს შორის რომ მდგმუობენ და შვილები გააჩინეს თქვენს შორის. ძირეულნი უნდა იყვნენ თქვენთვის ისინი ისრაელიანებში და თქვენთან უნდა იყარონ წილი ისრაელის შტოთა შორის სამკვიდროსათვის. 23. რომელ შტოშიც იქნება მდგმურად, იქ მიეცით სამკვიდრო, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ორმოცდამერვე

1. ესენია შტოთა სახელები: ჩრდილოეთის კიდიდან ხეთლონის გზის გასწვრივ, ხამათის და ხაცარ-ყენანის მიმართულებით, დამასკოს საზღვარი ჩრდილოეთ ხამათის გასწვრივ — მხარე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ეკუთვნის დანს. ერთი შტო. 2. დანის საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთამდე აშერია — ერთი შტო. 4. ნაფთალის საზღვართან აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მენაშეა — ერთი შტო. 5. მენაშეს საზღვართან აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ეფრემია — ერთი შტო. 6. ეფრემის საზღვართან აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რეუბენია — ერთი შტო. 7. რეუბენის საზღვართან აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე იუდა — ერთი შტო. 8. იუდას საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე შეწირული ნაკვეთი იქნება, რომელსაც შესწირავთ, სიგანით ოცდახუთი ათასი წყრთა და სიგრძით ერთ-ერთი წილის ტოლი, აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე. ეს იქნება საწმიდარი მის შორის. 9. შეწირული ნაკვეთი, რომელსაც შესწირავ უფალს, იქნება სიგრძით ოცდახუთი ათასი და სიგანით ათი ათასი. 10. ამათთვის იქნება წმიდა ნაკვეთი, მღვდლებისთვის: ჩრდილოეთით ოცდახუთი ათასი და დასავლეთით სიგანე ათი ათასი, აღმოსავლეთით სიგანე ათი ათასი, სამხრეთით სიგრძე ოცდახუთი ათასი; იქნება უფლის საწმიდარი მის შორის. 11. ეს ნაკურთხი მღვდლებისთვისაა, ცადოკის შთამომავალთაგან, რომლებიც ასრულებდნენ ჩემს სამსახურს და არ განმდგარან ისრაელიანთა განდგომის დროს, როგორც ლევიანები განდგნენ. 12. მათთვის იქნება ნაწილი შეწირული მიწის ნაკვეთიდან, როგორც წმიდათა წმიდა, ლევიანთა მოსაზღვრედ. 13. ლევიანებს ექნებათ მღვდელთა საზღვრის გასწვრივ სიგრძით ოცდახუთი ათასი და სიგანით ათი ათასი, მთელი სიგრძე ოცდახუთი ათასი და სიგანე ათი ათასი. 14. ვერ გაყიდიან მისგან ვერაფერს, ვერც გაცვლიან და ვერც გაასხვისებენ მიწის ნათავარს. რადგან უფლის წმიდაა. 15. დანარჩენი ხუთი ათასი სიგანით და ოცდახუთი ათასი სიგრძით საერო მონაკვეთია ქალაქისათვის, დასახლებლად და სანახებად. ქალაქი მის შორის იქნება. 16. აი, მისი ზომები: ჩრდილოეთით — ოთხიათას ხუთასი, სამხრეთის მხარეს — ოთხიათას ხუთასი, აღმოსავლეთის მხარეს — ოთხიათას ხუთასი, დასავლეთის მხარეს — ოთხიათას ხუთასი. 17. ქალაქის სანახი ჩრდილოეთით იქნება ორას ორმოცდაათი, სამხრეთით ორას ორმოცდაათი, აღმოსავლეთით ორას ორმოცდაათი, დასავლეთით ორას ორმოცდაათი. 18. სიგრძეში მორჩენილი წმიდა ნაკვეთის გასწვრივ — ათი ათასი აღმოსავლეთით, ათი ათასი დასავლეთით. ეს იქნება ნაკვეთის გასწვრივ. მისი მოსავალი ქალაქში მომუშავეთა გამოსაკვებად იქნება. 19. ქალაქში კი ისრაელის ყოველი შტოდან იქნებიან მომუშავენი. 20. მთელი შეწირული ნაკვეთი შეადგენს ოცდახუთი ათასს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდახუთი ათასზე, ოთხკუთხედს. შესწირეთ ეს წმიდა ნაკვეთი ქალაქის საკუთრებასთან ერთად. **21.** დანარჩენი ეკუთვნის მთავარს წმიდა ნაკვეთისა და ქალაქის საკუთრების ორივე მხარეს. ნაკვეთის გასწვრივ ოცდახუთი ათასის გაყოლებაზე აღმოსავლეთის საზღვრამდე და დასავლეთით ოცდახუთი ათასის გაყოლებაზე დასავლეთის საზღვართან, წილთა შესაბამისად, მთავრისაა. წმიდა ნაკვეთი და ტაძრის საწმიდარი მის შუაში იქნება. **22.** ლევიანთა საკუთრების და ქალაქის საკუთრების გამოკლებით, რაც კი მთავრის საკუთრების შუაშია მოქცეული, იუდას საზღვარსა და ბენიამინის საზღვარს შორის, ყველაფერი მთავრის უნდა იყოს. **23.** დანარჩენ შტოებს: აღმოსაულეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე ბენიამინს — ერთი შტო. **24.** ბენიამინის საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე სიმონს — ერთი შტო. **25.** სიმონის საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე ისაქარს — ერთი შტო. **26.** ისაქარის საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე ზებულონს — ერთი შტო. **27.** ზებულონის საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე გადს — ერთი შტო. **28.** **გადის** საზღვართან, სამხრეთის მხარეს, სამხრეთისაკენ, იქნება საზღვარი თამარიდან მერიბათ-კადეშის წყლებამდე, მდინარემდე დიდ ზღვასთან. **29.** ეს არის ქვეყანა, რომელიც წილისყრით უნდა დაუნაწილოთ სამკვიდროებად ისრაელის შტოებს და ესენია მათი ნაკვეთები, ამბობს უფალი ღმერთი. **30.** ეს იქნება ქალაქის გასასვლელები: ჩრდილოეთის მხარეს ოთხიათას ხუთასი ზომა. **31.** ქალაქის კარიბჭეები ისრაელის შტოთა სახელზე იქნება. სამი კარიბჭე ჩრდილოეთით: ერთი რეუბენის კარიბჭე, ერთი რეუბენის კარიბჭე, ერთი იუდას კარიბჭე, ერთი ლევისა. **32.** აღმოსავლეთის მხარეს ოთხიათას ხუთასი. სამი კარიბჭე: ერთი იოსების კარიბჭე, ერთი ბენიამინის კარიბჭე, ერთი დანის კარიბჭე. **33.** სამხრეთის მხარეს ოთხიათას ხუთასი ზომა. სამი კარიბჭე: ერთი სიმონის კარიბჭე, ერთი ისაქარის კარიბჭე, ერთი ზებულონის კარიბჭე. **34.** დასავლეთის მხარეს ოთხიათას ხუთასი, სამი კარიბჭე: ერთი გადის კარიბჭე, ერთი აშერის კარიბჭე, ერთი ნაფთალის კარიბჭე. **35.** სულ ირგვლივ თვრამეტი ათასი. ქალაქის სახელი იმ დღიდან იქნება: უფალი იქ არის.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროზა პოეზია

ზურამ ბეგეშიძე

ნაცრის ქექვა

რომანი

1.

უკანასკნელი ხმებიც მიწყდა, ხალხი დაიშალა, მგლოვიარენი შინ წაიყვანეს. ფართოდ ტოტებგაშლილ ასწლოვან ხეთა ჩრდილდაფენილი სასაფლაო ისევ მდუმარებამ მოიცვა. მიხაკო ნიგურიანი საფლავის ლოდებს შორის მიაბიჯებდა. ჰაერში ცაცხვის ფოთლების, ვარდების და ზამბახების მძაფრი სუნი იგრძნობოდა. მიწა რბილი ხავსით იყო დაფარული. ეკლესიის ნანგრევებზე სურო ამოსულიყო და ქვის კედელი აემწვანებინა. მიხაკოს თავისი მეზობელი ქალის სალომეს უბედურება გულს უკუმშავდა. ოცდაათი წლის წინათ ქმარი რიონში დაეხრჩო. ორი ვაჟი კომუნისტებმა დაუხვრიტეს. ერთადერთი ქალიშვილი ტანჯვით აღზარდა, გაათხოვა, შვილიშვილიც შეეძინა და აი, ერთი კვირის წინ, ეს ბავშვი ღელესთან მიცანცალდა, ჩაიკუზა ნაპირთან წყალში სათამაშო ნავის ჩასადებად, ფეხი დაუცდა გასლიპულ თიხაზე, წყალში ჩავარდა და ჩაიხრჩო. წისქვილთან იპოვეს გაგუდული და სილით გავსილი...

და აჰა, დაკრძალეს ეს უცოდველი ბალღი, დატოვეს მიწაში და ყველანი შინ წავიდნენ. მიხაკოს ჯერ კიდევ ყურთ ჩაესმოდა საფლავზე დამხობილი, სასოწარკვეთილი სალომეს ხმაჩახლეჩილი ძახილი:

— მომკალით! მომკალით! მომკალით!..

იგი გულწრფელად ეხვეწებოდა ირგვლივ შეკრებილ ხალხს, რადგან ბედისგან სასტიკად დასჯილს მართლა არ უნდოდა სიცოცხლე. მაგრამ ვინ მოკლავდა, ვინ შეუწყვეტდა გაუსაძლის ტანჯვას? მიხაკომ ღრმად ამოისუნთქა და თავისიანების საფლავებს მიაშურა. სასაფლაოს განაპირას, გალავნის სიახლოვეს განისვენებდნენ მიწაში მისი მამა-პაპანი, მისი მშობლები, მისი ნაადრევად წასული ძმები. ბალახი მოსდებოდა იმათ განსასვენებელს. მიხაკო იშვიათად იცლიდა აქ მოსასვლელად და უცებ მან გაიაზრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ეს საფლავებიც გაქრებოდნენ, წარიხოცებოდნენ, აღარავინ მოვიდოდა აქ, სხვებს დამარხავდნენ ამათ ადგილას, მერე კიდევ სხვებს, მერე კიდევ სხვებს...

რამდენი საფლავი იყო ირგვლივ უპატრონოდ მიტოვებული და დავიწყებული...

მიხაკო სივრცეს მიაშტერდა. სუროდამოდებულ გალავანს მიღმა მოჩანდა სოფელი წიფლნარი. ლაჟვარდოვან, უშფოთველ ცის ქვეშ მყუდროდ განაბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო ძველისძველი საცხოვრისი. საიდანაც ხეზე ჩამომჯდარი შაშვის გალობა ისმოდა, ჰაერი ფრთოსანთა ჟღურტულით იყო აღსავსე. ჩასასვლელად გადახრილი მზე ყოვლისმომცველ სიმშვიდეს ჰფენდა დედამიწას და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ქვეყნად ომი მძვინვარებდა, ხალხი ერთმანეთს ხოცავდა, ინგრეოდა ქალაქები, ნადგურდებოდა ჭირნახული.

მიხაკო ომსაც მოსწრებოდა, რევოლუციასაც, აჯანყებასაც. კარგა ხანია დარწმუნდა იგი, რომ ცხოვრება მუდმივი შფოთია, მუდმივი იმედგაცრუება, მუდმივი სისხლისღვრა, წინააღმდეგობა და დაპირისპირება. მას ენახა შეშლა ხალხისა, როცა ძმა ძმას კლავს, ნათესავი ნათესავს ებრძვის, როცა ადამიანები თვითონვე სპობენ იმას, რაც ძალზე საჭირო და აუცილებელია მათი არსებობისათვის, როცა თვითვე ანადგურებენ საუკუნეების მანძილზე საკუთარი ხელით გულმოდგინედ ნაშენებს. ქვეყანა მშვიდი და დალაგებული რომ გეჩვენება, სიკვდილი მაშინაც მბრძანებლობს, იქნევს ცელს შეუჩერებლივ და ბოლოს ულებს ადამიანთა ოცნებებს იმედებს, ნაღვაწს და ნამოქმედარს. მაგრამ ომი ერთბაშად წარმოაჩენს ხოლმე ცხოვრების ყველა სიდუხჭირეს და საშინელებას, და წყვეტს იმ სუსტ ძაფს, რომელიც ადამიანს მომავლის იმედს აღუძრავს.

მიხაკო თავისი ძმის ვენეს საფლავს დასცქეროდა. ოცდაექვსი წლისა დაიფერფლა ვენე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ვიღას ახსოვდა დღეს მისი თავდადება? აღარავის! პირიქით, საქართველოსათვის თავდადებულ ვენერთა ხსენებაც კი აკრძალული იყო დღევანდელ ხელისუფალთაგან. გმირებად ის ბოლშევიკები ითვლებოდნენ, რომელთაც ბევრი იღვაწეს საკუთარი სამშობლოს კვლავ დიდ იმპერიასთან შესაერთებლად. მას მოაგონდა ვენეს დაკრძალვა, ამ საფლავთან შეგროვილი უამრავი ხალხი, ვნებათა ჭიდილი, ფორიაქი. თვალწინ წარმოუდგა, ვენეს მეგობარმა ირაკლი ჩხენკელმა მაუზერი რომ ესროლა სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოსულ ვასო ვაშაკიძეს ბოლშევიკური პროპაგანდისათვის. თორნიკე აბაშიძის აკრულმა ხელმა იხსნა ვასო სიკვდილისაგან, გასროლილი ტყვია მიზანს ასცდა. იმიტომაც დასდევდა შემდეგ ვასო მოსაკლავად ემიგრაციიდან დაბრუნებულ ირაკლი ჩხენკელს: ოცდაოთხ წელს ირაკლი მაინც მოკლეს ბოლშევიკების საწინააღმდეგო აჯანყებაში მონაწილეობისათვის, არავინ იცოდა მისი საფლავი. ოცდაჩვიდმეტ წელს ვასოც დახვრიტეს ტროცკისტობისათვის, არავინ იცოდა მისი საფლავი. მიხაკოს ძმა, ძველი ბოლშევიკი იასეც დახვრიტეს ოცდაჩვიდმეტ წელს, არავინ იცოდა მისი საფლავი. შესანიშნავი ვაჟკაცი და მამულიშვილი თორნიკე აბაშიძეც სადღაც გადაიხვეწა, არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. დღეს ეს ხალხი აღარავის ახსოვდა, აღარავის სჭირდებოდა. გაქრნენ, წარიშალნენ საქმენი მათნი.

მიხაკო უკან გამობრუნდა. თავჩაღუნული მოდიოდა, დასცქეროდა მიწას. იგი გრძნობდა დროის გამანადგურებელ ძალას, მომავალს წარსულად რომ გადააქცევს უცბად, მოსალოდნელს — განვლილად, ჯერ არ დაწყებულს — დამთავრებულად. ყოველივე ქრება, როგორც ქარის მონაბერზე ნისლი, როგორც მდელოზე გართხმული ჩრდილი. თვით შვილები, ვიზეც იმედს ამყარებდი, ის ბალღები აღარ არიან დღე და ღამე მათზე რომ ზრუნავდი, მათ რომ შეჰხაროდი. ისინი იზრდებიან, დამოუკიდებელ ადამიანებად ყალიბდებიან, თანდათან გშორდებიან, უცხოვდებიან, არც თუ იშვიათად გიპირისპირდებიან. ეს კავშირიც სუსტდება, ზოგჯერ, სულ წყდება. რამდენი იმედგაცრუებაა მთელი ცხოვრების მანძილზე?! კაცი რომ ბერდება, მხოლოდ მაშინ ხედავს თავის ოდესღაც ჩადენილ შეცდომებს და ზოგჯერ, ნანობს კიდეც, მაგრამ სინანული რას უშველის იმას, რაც უკვე მოხდა, რამაც თავის შედეგი გამოიღო. ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობს თავის მოქმედების გამართლებას, მაგრამ რა იცვლება ამით? წუთისოფელი განა ყოველთვის გაძლევს საშუალებას მართებული ნაბიჯის გადადგმისა? ადამიანი ხომ შემთხვევით იბადება და მთელი მისი ცხოვრება ხომ მისთვის აუხსნელი შემთხვევების თამაშზეა დამყარებული?

შვილიშვილი მოაგონდა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა. გულში სითბო ჩაეღვარა,მაგრამ სევდაც შემოეპარა. ძალიან მოენატრა ოქროსთმიანი ბალღი, რომელიც ახლა შორს იყო მისგან. მუდამ ებრალებოდა ვეება სიხარულის მომტანი ეს დაუცველი პატარა ანგელოზები. კვლავ სალომე წარმოუდგა თვალწინ, კვლავ ჩაესმა ყურში მისი სასოწარკვეთილი, ჩახლეჩილი ხმა. იქ, სადაც, რუსეთის უსაზღვრო სივრცეებში ჩვენი ბიჭები იხოცებოდნენ. მალე მაინც დამთავრდებოდეს ეს წყეული ომი, გაიფიქრა მიხაკომ, თუ მოსაგებია დროზე მოიგონ ამ ოჯახქორმა გერმანელებმა და თუ წაგებაა, დროზე წააგონ. მისთვის სულერთი იყო ვინ იქნებოდა ქვეყნის ბატონ-პატრონი, ოღონდ უდანაშაულო ხალხი ნუ გაიწირებოდა ტყუილუბრალოდ. მაგრამ ისიც იცოდა მიხაკომ, რომ ომს იოლად არავინ თმობს და კვლავ ჭმუნვა შემოაწვა გულზე.

სასაფლაოს ჭიშკარს მიუახლოვდა, გამოაღო რკინის კარები, ქვის სვეტზე ამოჭრილ წარწერას თვალი მოავლო: „1891 წელსა, მე გიორგი გულოს ძე სტურუამ ჩემი საფასით ავაგე“. მრავალჯერ ჰქონდა ეს წარწერა წაკითხული. თუთუნი გაახვია და გააბოლა. იყო დრო, როცა ხალხი ქვეყნისთვის ზრუნავდა, მაგრამ ის დრო წავიდა, ის ხალხი გადაშენდა. შორს, საქონელმა დაიბღავლა . მიხაკომ ბოგირი გადმოიარა. ჰორიზონტამდის დახრილი უზარმაზარი მზე უკანასკნელ სხივებს აფენდა სოფელ წიფლნარს.

2.

ომამდელი წიფლნარი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სოფელს ჰგავდა. მღვრიე ღელეებით დასერილ; ღობეშემოვლებულ ყანების გარშემო მწვანედ ბიბინებდნენ თხმელისა და ალვის ხეებით შემოსაზღვრული ტრიალი მინდვრები. აქ იყო წიფლნარელთა საძოვრები, სადაც მთელი დღე ბალახობდა ნებაზე მიშვებული ნახირი, საღამოობით კი, დაღლილი მზე ოქროსფერ დალალებს შორეულ ტყეში რომ გაბლანდავდა, თეთრი ვერხვების შრიალა ტოტებით დაფარულ შუკებში საძოვრიდან დაბრუნებული მაძღარი საქონლის ზმუილი ისმოდა, შინ დარჩენილი პატარა ხბორების მოუთმენელი გაბმული ბღავილით ნაპასუხევი, წიფლნარელებს კარმიდამოები ჯერ კიდევ კოხტად ჰქონდათ მოვლილი, თუმცა გლეხებს კარგა ხანია მიწები ჩამოართვეს და ერთ სულზე მეტი საქონლის ყოლაც აუკრძალეს, მაგრამ ეზოებს ჯერ კიდევ გულმოდგინედ პატრონობდნენ, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ აცრუებოდათ გული საკუთარ სახლკარზე, არ გარბოდნენ მშობლიური ადგილებიდან, ისლის ქოხის ან ყავრით თუ წითელი კრამიტით დახურულ ოდასახლების წინ ლამაზად ბიბინებდა ხასხასა მოლი, ტყრუშულ ღობესთან იდგა სასიმინდე, შუა ეზოში მოჩანდა ჭის წითელი გვიმი და ვედროჩამოკიდებული ოწინარი, სახლის წინ ჰყვაოდნენ ბრდღვიალა ვარდები და ყვავილთა სურნელით გაჟღენთილი იყო ჰაერი.

ყაბალახით თავდაბურული და პირში გარჭობილი გრძელი ყალიონით გზაზე მომავალი ხურჯინგადაკიდებული წიფლნარელი გლეხი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა წინა საუკუნის ადამიანთა გარეგნულ ნიშნებს, და თუმცა ახალგაზრდები ველოსიპედებით დაჰქროდნენ თემშარაზე, მამაპაპეული ურემი კვლავ ძირითად ტრანსპორტს წარმოადგენდა; ურმით მოჰქონდათ ტყიდან შეშა, ყანიდან ჭირნახული, ურმით მიდიოდნენ ბაზარში სავაჭროდ ან მეზობელ სოფელში სტუმრად მოკეთესთან. ეტლები, პრალიოტკები, ტაჭკები ცხენის ფლოქვების მონოტონური თქარუნით დროგამოშვებით ისევ ბზრავდნენ სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახების უძრავ მყუდროებას, მაგრამ ხანდახან ძარიანი ავტომობილიც ჩაიგრუხუნებდა შარაზე და სვეტად აშლილ მტვერს თან გაიყოლიებდა ხოლმე.

სოფელი ჯერ კიდევ ასწლოვანი ხეებით იყო დაბურული, უზარმაზარი ტოტებდამძიმებული ცაცხვები და ჭადრები ამშვენებდნენ მდუმარე სასაფლაოებს, გაშლილ მინდვრებს, ზოგიერთი ძველი მოსახლის ეზოებს და ამ ხეთა ჩრდილში მძაფრად იგრძნობოდა გარდასულ დროთა იდუმალება.

მწვანე ტევრში იყო ჩაფლული მიხაკო ნიგურიანის კარმიდამოც. უწინდებურად შრიალებდნენ ღობეების გასწვრივ აღმართული ტანწერწეტა ალვები, ვერცხლისფერი ვერხვები, განიერი ჭადრები, ეზო ხეხილით იყო მდიდარი, კვლავინდებურად ვრცელი, მოვლილი, მშვენიერი კოინდრით აბიბინებული, ოღონდ სახლი ცოტა მოძველებულიყო თავისი პატრონივით, დრომ ფიცრები გამოაშრო, გაამუქა, და შორიდან ოდა მუქლურჯად ჩანდა. ყავარიც დაალპო წვიმამ და ქარმა და მიხაკომ იგი მრგვალი კრამიტით შეცვალა. სახლს უკან ერთი ოთახიც მიუმატა თავისი პატარა აივნით. ფქვილისა და ჩირის სუნით გაჟღენთილ ამ პატარა ოთახში ატარებდნენ ზამთარს, ბუხარში ცეცხლს აგიზგიზებდნენ. კედლებზე ძველი გაზეთები იყო აკრული მოძველებული ამბების მაცნენი და ფანჯრიდან ჩანდა ტოტებშემობელილი დიდი ბჟოლის ხე, რომელზედაც ქათმები იბუდებდნენ ღამით.

მიხაკოს პატარა შვილიშვილს გიორგი უნდილაძეს ძლიერ უყვარდა ამ ოთახის ფანჯრიდან გაშლილი სივრცის ცქერა. იგი ხშირად ჩამოჰყავდათ სოფელში ბებიასთან და ბაბუასთან. მიხაკოს ქალიშვილი ნათელა ისეთი ქალი იყო, რომელსაც ქმარი თავს ერჩივნა, ზოგჯერ ბავშვი ღლიდა, ქმართან მარტო დარჩენა ენატრებოდა და დაუწყებდა თავის პირმშოს მოფერებას, სოფლის მშვენიერებათა აღწერას, სადაც უამრავი ცხოველები და ფრინველებია, და ბოლოს ნაზად შეაპარებდა ხოლმე, გინდა სოფელში ბებიასთან და ბაბუასთან წაგიყვანო?

— კი! — ომახიანად პასუხობდა პატარა გიორგი და საღამოს ბიძამის ნიკუშას კალთაში ჩაუსვამდნენ, ტროლეიბუსში სხდებოდნენ და სადგურში მიემგზავრებოდნენ. ეს მოგზაურობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვზე. ვერის დაღმართიდან იგი ხედავდა მტკვრის გაღმა ქალაქის აციმციმებულ სინათლეებს და იმ შორეული ციმციმა წერტილების შუქი ჯადოსნურ უცნაურობას წარმოადგენდა მისთვის. თვითონ სადგურიც აოცებდა, უზარმაზარი ხალხმრავალი მოსაცდელი დარბაზის ხმაური, ვაგონები და ორთქლმავლები, მხოლოდ რკინიგზის დამახასიათებელი განსაკუთრებული სუნი აღგზნებდა, ამხნევებდა, იწყებდა ტიტინს, მაგრამ მატარებლის წასვლამდე მაინც ეძინებოდა, დედა საბანს შემოუკეცავდა, წაუღიღინებდა და მეორე დილით პატარა გიორგის სულ სხვა სამყაროში ელვიძებოდა, თავისთვისვე მოულოდნელად აღმოჩნდებოდა მინადორას, მართას და მიხაკოს გარემოცვაში, რომელთაც მზე და მთვარე ამოსდიოდათ ოჯახის პირველ შვილიშვილზე და დაუსრულებელი ალერსით გალაღებული ბალღი მთელი დღე მხიარულად დარბოდა აბიბინებულ ეზოში, თვალყურს ადევნებდა ქათმებს, ბატებს, ხბოებს, კუდში დასდევდა მართა ბებიას, რომელიც ეზოს ყველა კუნჭულს მოატარებდა და ბოლოს იმ ოთახში შეჰყავდა, სადაც წკნელის ლასტებზე თეთრი აბრეშუმის ჭიები ბჟოლის ფოთლებს ხრავდნენ. ამ ოთახში იდგა განსაკუთრებული სუნი, უსიამოვნო, ცივი, სამაგიეროდ სამზადი ქოხი, მუდამ თბილი, ნაცრისა და ხმელი სუნელების სურნელით გაჟღენთილი მეტისმეტად იზიდავდა. მას უყვარდა ცქერა, როგორ აცხობდნენ კეცის მჭადს კერიაზე, როგორ ხდიდნენ არაყს, ჭაჭის გამაბრუებელი ბანგი რომ ვრცელდებოდა მთელ ეზოში, როგორ ხარშავდნენ მურაბას, ოითბრის პატარა ტაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებში, როგორ წველიდნენ ძროხას, ხბო როგორ ლოკავდა ჯიქანს, როგორ იქაფებოდა რძე ქოთანში, როგორ მოფრინავდნენ მერცხლები აივნის სვეტებთან გაკეთებულ ბუდეებთან. ეს ყველაფერი ძალზე საინტერესო იყო, მაგრამ საღამოს, ლამპას რომ აანთებდნენ და დარაბებს მიხურავდნენ, სანთელივით ქრებოდა მისი ხალისი და უცებ დედა მოუნდებოდა ხოლმე. ვერაფრით ვერ ამშვიდებდნენ, ვერავითარი დაპირებით, ვერავითარი ალერსით, ყველაფერი უცხო ხდებოდა მისთვის და დედას მონატრებული გულამოსკვნილი ტიროდა, ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა და ყოფილა შემთხვევა, როცა თავგაბეზრებულ ნიკუშას იგი იმავე საღამოს წაუყვანია თბილისში. სანამ წასასვლელად ემზადებოდნენ, ბავშვი შარვალში ჩაავლებდა ხელს ბიძას და არ შორდებოდა, თან დასდევდა, არ გამეპაროსო, აღარც ბაბუა ახსოვდა და აღარც ბებიები და მეორე დღეს, უკვე თბილისში, ჩუმად იდგა მშობლების წინაშე აივანზე ატუზული, დარცხვენილი და თავჩაღუნული.

მაგრამ ერთხელ, როცა იგი სამი წლისა იყო, მოხდა ისე, რომ სამი თვით დატოვეს სოფელში ბებიასთან და ბაბუასთან და ისე შეეჩვია სოფელს, დედა ისე გადაავიწყდა, რომ სამი თვის მერე წიფლნარში ჩამოსული ნათელა ვერც კი იცნო და არც ეკარებოდა, სრულიად გაიუცხოვა და ალბათ, იმ დროიდან გაეღვიძა ბებიასა და ბაბუასადმი განსაკუთრებული სიყვარული, სამუდამოდ შეუყვარდა წიფლნარი, აქაური გარემო, ძველი ოდა-სახლისა და ფართო ეზოს სურნელება და იქნებ, იმ დროიდანვე განიმსჭვალა პირველად მშობლებისადმი სიუცხოვის განცდით, რაღაცნაირი სიმარტოვის შეგრძნებით, რაც მერე, მთელი ცხოვრების მანძილზე მისი არსებობის ნიშან-თვისებად იქცა.

მიხაკო უკვე პენსიაში იყო გასული, რკინიგზას თავი მიანება და მოლარედ დაიწყო მუშაობა ზოოტექნიკურ ტექნიკუმში, რომელიც ნესტორ ვარდანიძისეულ სახლში გახსნეს. იქვე სტადიონი გააშენეს, საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა ბურთის ბათქუნი და ახალგაზრდების ჟრიამული. მიხაკოს ბევრი საქმე არა ჰქონდა, შუადღეზე შინ ბრუნდებოდა და სიამოვნებით გასცქეროდა ეზოში მოცუცუნე შვილიშვილს. ბავშვი საბოლოოდ შეეჩვია აქაურობას. საღამოობით, მიხაკოს ბიძაშვილი სანდრო შემოივლიდა ხოლმე, უკანა ოთახში სხდებოდნენ და ლაპარაკობდნენ ამ ბრისას და იმ ბრისას. ბნელოდა, მაგიდაზე დადგმული ლამპა მკრთალად ანათებდა ოთახს, სანდრო კედელთან მიდგმულ ტახტზე იჯდა, რომლის ზემოთ საბჭოთა კავშირის რუკა ეკიდა, შუბლზე თმაჩამოყრილი პატარა გიორგი, მკერდით რომ სწვდებოდა ტახტს, მიადგებოდა სანდროს და თხოვდა, რკინიგზა გამიკეთეო. სანდრო ჯიბიდან ასანთს ამოიღებდა, ღერებს გადმოყრიდა და ტახტის მთელ სიგრძეზე ორ პარალელურ ხაზად აწყობდა. ეს იყო ლიანდაგი, ხოლო ასანთის კოლოფი იყო მატარებელი და პატარა გიორგის დაჰყავდა ეს მატარებელი მიხვეულ-მოხვეულ ლიანდაგზე და წარმოსახული ფანჯრიდან ხედავდა ღამეს, ბნელში მოციმციმე სინათლეებს, ლიანდაგის პირას გადმოწოლილ ხეთა ტოტებს და ხეზე დასაძინებლად მოკალათებულ მურა დათვს. ზოგჯერ მას ესმოდა ჩიხში ჩაყენებული ორთქლმავლის შიშინი, ცხვირში სცემდა გავარვარებული ნახშირის სუნი და ხედავდა ცალი მხარით ფანჯარაზე გადმოწოლილ მემანქანეებს, მეორე ხელით სახელურებს რომ ამოძრავებდნენ ზედ ორთქლის ქვაბთან. ამ იდუმალი მოგზაურობისას მას ესმოდა ორთქლმავლების კივილი, ბნელი ღამის საამურ დუმილს რომ კვეთავდა, და სადღაც, უცნობ შორეთში მიმავალი ვაგონების ბორბლების დაგადუგი, ასანთის კოლოფი კი კვლავ მიჰყვებოდა ასანთის ღეროებს და ზოგჯერ, გიორგის მატარებელი ჩერდებოდა ბნელში თეთრად მოლაპლაპე მყუდრო სადგურზე. სადგურის უკან იდგნენ ურმები, სიბნელეში ისმოდა ხრეშის ხრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუნი და ადამიანთა ხმები და ყოველივე ეს ხდებოდა სადღაც, უსასრულობაში, რადგან გიორგისთვის დრო იყო უძრავი, სივრცე-ბურუსიანი, შეზღუდული, შთაბეჭდილებები — შემთხვევითი, უთანმიმდევრო და ახლა, ასანთის მატარებელს რომ დაატარებდა ასანთის ლიანდაგზე, ერთბაშად ცოცხლდებოდა შეგნებაში ყველაფერი, რაც მას ენახა და ახსოვდა. მის მეხსიერებაში აღბეჭდილი მოვლენები სულაც არ იყო განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი. ის, რაც მას ამახსოვრდებოდა, სიზმარს ჰგავდა და სიზმარივით ბუნდოვანი იყო, რადგან მისი მთვლემარე ცნობიერებისათვის სიზმარსა და სიცხადეს შორის ზღვარი თითქმის არ არსებობდა.

ასეთი იყო ცხოვრება მისთვის, რადგან ასეთია ბავშვობის ხანა, სადაც ზღაპარი და სინამდვილე ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან წარმოსახვას არ ზღუდავს ცოდნის სიცხადე და ცხოვრება შორეული, შეუცნობადი მითი უფროა, ვიდრე გარკვეული მიზეზებისა და შედეგების უწყვეტი ჯაჭვი. თვით ეს მამაპაპეული ძველი ოდა-სახლი გიორგის აღქმაში ნოეს კიდობანივით იდუმალი და გრძნეული რამ იყო, ოდესღაც დაკარგული სამყაროს ნაშთი, თავის ყოველ კუნჭულში განუცხადებელი საიდუმლოს შემცველი. მას უყვარდა ოთახებში ბოდიალი, კედლებზე გაკრული სურათების და გობელენების თვალიერება. დიდ ოთახს „ზალას“ ეძახდნენ და აქ, ცისფერი შპალიერით აკრული კედლები განსაკუთრებით ბევრი სურათით იყო მოფენილი. გიორგი იდგა და ათვალიერებდა მათ. ერთ კუთხეში შოთა რუსთაველის და აკაკი წერეთლის პორტრეტები ეკიდა, ფარდაგდაფარებულ მუთაქებიან ტახტს ზემოთ ოფიცრის ფორმიანი ვენეს სურათი, საწოლის თავთან მიხაკოსა და მინადორას ჯვრისწერის დღეს გადაღებული გადიდებული ფოტო. ამ ფოტოზე სრულიად ახალგაზრდა მიხაკოს კოხტა სერთუკი ეცვა, გახამებულ საყელოზე მოკლე ბაფთა ეკეთა, მინადორა თეთრ, საქორწილო კაბაში იყო გამოწყობილი, ცალ ხელში ყვავილებიანი პატარა კალათა ეჭირა. ასეთნაირად ჩაცმული ხალხი ნამდვილ ცხოვრებაში გიორგის არ ენახა. დანარჩენი სურათებიდანაც გიორგისთვის უცხო ადამიანები, უცნაურად ჩაცმულნი, გაღიმებული, სანდომიანი სახეებით იმზირებოდნენ და აშკარად იგრძნობოდა, რომ ხალხი მაშინ სხვანაირად, სხვა წესებით ცხოვრობდა. გიორგის სჯეროდა, რომ ეს სახლი მის ბინადართა გარდა, უამრავი უცნობი პიროვნებით იყო დასახლებული. საღამოობით, ლამპას რომ აანთებდნენ და ნელ-ნელა ჩამოწოლილი ბინდი ოთახსაც დათალხავდა, გარდასული აჩრდილები იწყებდნენ მოძრაობას, თითქოს გამოდიოდნენ თავიანთი საიდუმლო სამყოფელიდან და სულგანაბული გიორგი გაფაციცებით უგდებდა ყურს ყოველგვარ გაფაჩუნებას, სულ უმნიშვნელო ჩქამს, რომლითაც სავსე იყო სახლი და სახლის ირგვლივ უკუნი სივრცე, თითქოს იქ ვიღაცეები უხილავად დადიოდნენ, და გიორგის სურდა ჩასწვდომოდა რაღაცას ვერხილულს, მაგრამ არსებულს. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უჩინარი სულებით გარემოცულ სახლში უჩინარი ცხოვრება გრძელდებოდა. ამის შეგრძნება აფრთხობდა და საღამოობით კუდში დასდევდა ბებიას, ნაბიჯით არ შორდებოდა ჩაის გასაწყობად პატარა ოთახში გასულს, და უცნაური იდუმალებით გამსჭვალულ ღამეს ისე აღიქვამდა, ვითარცა ამოუხსნელ სასწაულს.

მისი ცხოვრება ნახევარსიზმარს ჰგავდა, სადაც სრული თანაფარდობა იყო წარმოსახულს, სიზმარში ნახულს თუ რეალურს შორის. სოფელში მისი სილაღე და თავისუფლება არაფრით იზღუდებოდა და როცა ისევ თბილისში მიჰყავდათ, თან მიჰქონდა გამოუთქმელი სევდა და გულისტკივილი და ასეთსავე სევდასა და გულის ტკივილს უტოვებდა ამ სახლის მკვიდრთ. ამიტომ ძლიერ უხაროდა ბებია და ბაბუა რომ ჩამოაკითხავდნენ თბილისში, ჩურჩხელებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩირს რომ ჩამოუტანდნენ, უცნაური თბილი სურნელება რომ ჩამოჰქონდათ თან და სიამოვნებდა პატარა გიორგის მათთან ყოფნა, ბაბუასთან ერთად ქუჩებში გასეირნება. ერთხელ, ბაბუამ ბიცოლა მაიკოს დედის პანაშვიდზე წაიყვანა. საღამო ხანს, რიყის ქვებით მოკირწყლულ ვიწრო ეზოში შეაბიჯეს, რომელსაც შუშაბანდებიდან გამოსული ნარინჯისფერი შუქი ანათებდა. პირველი სართულის ხის მოაჯირიან გრძელ აივანზე ხალხი შეგროვილიყო. ბაბუა და შვილიშვილი აივნიდან ერთერთ ოთახში შევიდნენ, სადაც მუსიკოსები ისხდნენ სკამებზე და უკრავდნენ, ხოლო მევიოლინე მთელი ტანით ქანაობდა დაკვრისას. ისინიც დასხდნენ დამკვრელების გვერდით. აქედან, ფართოდ გაღებული უზარმაზარი კარიდან მოჩანდა მეორე ოთახი, რომლის შუაგულში იდგა მაგიდა, მაგიდაზე იდო კუბო, კუბოში იწვა ჩიხტაკოპიანი მანდილოსანი. მაგიდასთან მდგარი მაიკო ბიცოლა დასცქეროდა ჩიხტაკოპიანს, დასტიროდა და რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ პასუხი ვერ იღებდა. კედელთან მიდგმულ სკამებზე ჩამწკრივებული ქალები წყნარად შესცქეროდნენ ამ სურათს. უცებ გიორგი ბაბუას მიუბრუნდა, მიცვალებულისკენ ხელი გაიშვირა და ხმამაღლა ჰკითხა: ~~თხითეს, იმ ღამეს კი გიორგიმ სიზმარი~~

— ბაბუა, რატომ არ ლაპარაკობს ის ქალი?

— რანაირად ილაპარაკებს, ბატონო? — მიუგო მიხაკომ, მუსიკოსებმა ჩაიხითხითეს, იმ ღამეს კი გიორგიმ სიზმარი ნახა ჩიხტაკოპიანი მანდილოსანი კუბოში წამოჯდა. ეს ხატი მისთვის სამუდამოდ გაერთიანდა, ჯგუფად მსხდარი მუსიკოსები და კუბოში წამომჯდარი მიცვალებული დიდი ხნის მანძილზე მისთვის სრული რეალობა იყო, საზღვარწაშლილი უცნაური ზმანება.

რა თქმა უნდა, თავისი საწუხარი გიორგისაც ჰქონდა, როგორც ყველა ბავშვს, ერთი შეხედვით ვითომ უზრუნველს, ვითომ უდარდელს, მაგრამ ადამიანი როდის არის უზრუნველი, ყოველთვის თან სდევს მას თავისი შიში, სირცხვილი, ტკივილი თუ სიმარტოვე. ბავშვური სამყაროს ბუნდოვანება იცავს მას ბასოწარკვეთილებისაგან და ამაშია ბავშვის უპირატესობა. მალე ავიწყდებოდა გიორგისაც ყოველივე, სწრაფად გადაჰქონდა სხვა საგანზე ყურადღება და სამთვლიან ველოსიპედს რომ დააგრიალებდა თბილისში თავისი სახლის გრძელ აივანზე, თავი ტარიელი ეგონა ოცნებით გარემოცულსა და წარმოდგენა არა ჰქონდა რა ხდებოდა დარაბებმიხურულ ფანჯრებს იქეთ ჩამყუდროებულ ოთახებში, ჩინური კედელივით რომ აღმართულიყო მისი სამყაროს კიდეზე.

ამ ჩინური კედლის მიღმა ცხოვრობდა ხალხი გამოუსწორებელი შეცდომებით და გამოუსყიდველი ცოდვებით გულდამძიმებული, ხალხი ჩათრეული ცხოვრების ნაკადში, უგემურად ჩართული მარადიულ ფერხულში, შეშინებული ან მხიარული კმაყოფილი ან სასოწარკვეთილი, და როცა გიორგი ხალისიანად დააგორებდა ველოსიპედს მზიან აივანზე, ეს ხალხი ელოდა დაწინაურებას, გამდიდრებას, მიზნის მიღწევას, ან დაჭერას, გადასახლებას, მსოფლიო ომს.

ომს ელოდა ყველა. უკვე ზანზარებდა დედამიწა, სადღაც, შორს, მკერდშენგრეულ მიწას უკვე აწყაოდა სისხლის წვიმები, შავად შებოლილი ცის ლაჟვარდი და წითლად შეღებილი მდინარეები თავდაყირა აყენებდნენ ჩვეულ ცნებებს და წარმოდგენებს. ომოწყლოდ ნადგურდებოდა აქამდე შექმნილი ფასეულობანი, პირისაგან მიწისა იგვებოდა საუკუნოვანი ქალაქები და კულტურის ძეგლები, გერმანია ევროპის დაპყრობას აპირებდა, იტალია — აფრიკისას, იაპონია — აზიისას, და გაზეთებს რომ მიიღებდა მიხაკო ნიგურიანი, იქ, თავის მყუდრო სოფელ წიფლნარში, ხის ძირში ჩამომჯდარი, პირში ყალიონგაჩრილი, უწინარეს ყოვლისა, ომის ამბებს ეწაფებოდა, განიცდიდა მოსალოდნელ კატასტროფას და ნატრობდა, არ დარღვეულიყო მეგობრობისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიასა და რუსეთს შორის დადებული, რომ აქაც არ ადულებულიყო ზღვა სისხლისა, წინა ომში მილიონობით ადამიანი რომ ჩაყლაპა.

მაგრამ არ გამართლდა მიხაკოს იმედები, პაქტი დაირღვა, ომი დაიწყო.

მაშინ მიხაკო სამოცდაორი წლისა იყო. მან იცოდა, იარაღით ხელში ცეცხლის წინა ხაზზე ბრძოლა აღარ მოუწევდა. ომი ახალგაზრდების საქმე იყო, ყოველთვის ახალგაზრდები ეწირებოდნენ და ეწირებიან ომს, რადგან ომის მოთხოვნებს ყველაზე უკეთ ისინი აკმაყოფილებენ. ახლაც ბევრი ახალგაზრდა დაიღუპებოდა, იცოდა მიხაკომ და სინანულით გასცქეროდა თავის უმცროს შვილს ავთოს, რომელიც სწორედ ომის გამოცხადების დღეს ჩამოვიდა წიფლნარში რუსეთიდან. ღმერთმა იცის, სად უკრავდნენ თავს, რა ბედი ელოდა? მიხაკოს ენანებოდა ეს ჯანმაგარი, გრუზაქოჩორა ბიჭი, მთელ იმ კუთხეში ტოლი რომ არ მოეპოვებოდა ჭიდაობაში და ლელობურთში. დღეს ან ხვალ აუცილებლად გაიწვევდნენ, წიფლნარელ ახალგაზრდებს უკვე მოსდიოდათ უწყებები სამხედრო კომისარიატიდან და ისინიც მიდიოდნენ ომში, ზოგნი მხნედ, გულადად, ომახიანი სიმღერით, აღგზნებულნი და დაძაბულნი, ზოგნი შინაგანად გატეხილნი, დუნედ, მორჩილად, თითქოს გული სადღაც დაბლა ჰქონდათ ჩავარდნილი. მაგრამ მაინც მიდიოდნენ ყველანი, რადგან სხვა გზა არ იყო. ასეთი იყო აუცილებელი მოთხოვნა დროისა, ბედისა, უტეხი გარდუვალობისა. შინ დარჩენილნი, გაწვევას რომ ელოდნენ წუთი-წუთზე, დღედაღამ ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ, ან ჩხუბობდნენ, დავაქრობდნენ, განუწყვეტელი აყალ-მაყალით და ღრეობებით ეგებებოდნენ საბედისწერო ჟამს. ავთოც ყოველ ღამ მთვრალი მოდიოდა შინ და მიხაკოს აწუხებდა შვილის ასეთი საქციელი. თვითონ მოლხენის მოყვარული კაცი იყო, მაგრამ ზომიერი და დარბაისელი, ავთო კი აშკარად ვერ იტანდა სასმელს, ღრიალებდა, ბღაოდა, ჭკუას კარგავდა, თვითონაც არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა და რას აკეთებდა და მიხაკოს ძალიან აფიქრებდა მისი მდგომარეობა, რამე შარს არ გადაეყაროსო. მთელი დღეები გადაკარგული იყო, მშობლებს ვერ გაეგოთ, სად დადიოდა, დროს ვისთან ატარებდა. მიხაკოს გაგებული ჰქონდა, რომ მეზობელ სოფელ ჩხენიშში ავთოს შეყვარებული ჰყავდა, ოცი წლის ტანწერწეტა ქალიშვილი თინა ნინუა სოფლის საბჭოს ბუღალტრის უფროსი ქალიშვილი, ნუთუ ყოველ დღე იქ დადიოდა? იმ გოგოს მამა ლოთი კაცი იყო, ნუთუ ის ასმევდა ავთოს ყოველ ღამე? რამდენჯერ მოუყვანიათ ავთო შინ ტანსაცმელშემოფლეთილი, ნაჩხუბარი, უგონოდ მთვრალი და იმდენად არ მოსწონდა მიხაკოს ყოველივე ეს, რომ ზოგჯერ გულში ფიქრობდა, ასეთ ყოფას სჯობს, დროზე გაიწვიონ, იქნებ, გონს მოეგოსო.

ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც მოუვიდა ავთოს უწყება. ამ დროისათვის წიფლნარი თანდათან იცლებოდა ახალგაზრდებისაგან. ავთომ ქაღალდი გულდასმით გადაიკითხა, ერთბაშად გამოერკვა და გამოფხიზლდა. მოახლოვდა ის წუთი, რომლის მოახლოებას ქვეშეცნეულად უფრთხოდა, გაურბოდა, მაგრამ მოსახდენს სად გაექცეოდა? ომში წასვლა არ უნდოდა, მაგრამ ომის ექო თანდათან ახლოვდებოდა, ცეცხლი წინ მოიწევდა, მსხვერპლი დიდი იყო, საშიშროება საშინელი, ომში მოხალისედ წამსვლელთა რიცხვი თანდათან კლებულობდა, ცნობები ფრონტზე დაღუპულთა შესახებ თანდათან მატულობდა, უკვე ბევრ ოჯახში ისმოდა გლოვის ზარი. ავთო ბრძოლას თავს ვერ აარიდებდა, დილით კომისარიატში რომ არ გამოცხადებულიყო, დეზერტირობას დაბრალებდნენ და მკაცრადაც დასჯიდნენ. ცხადად შეიგრძნო, რომ იშლებოდა მისი ცხოვრება, მისი გეგმები და იმედები. დრო აღარ რჩებოდა. უწყება ჯიბეში შეინახა, თავისი ბიძაშვილის ნიკუშას ველოსიპედს შეაჯდა და სატრფოსკენ გასწია. ომში წასვლა მეზობელ სოფელში გასეირნება ხომ არ იყო, რა პირობა გაქვს იმისა, რომ უეჭველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნდები შინ? მომავალი ბეწვზე ეკიდა და ასეთ ვითარებაში ყველაზე ძლიერი სურვილი, რაც მას გაუჩნდა, იყო თინას დაუფლება.

მას უნდოდა თინა მისი ყოფილიყო. ამ ჟინს, ალბათ, სიყვარული ერქვა. ველოსიპედი ვიწრო შარაგზას მიუყვებოდა. ხის მერქნის, ხმელი ნეშოს და ცოცხალი ფოთლების საამო სურნელით შეზავებული ჰაერი სახეზე ელამუნებოდა და მან იცოდა, რომ მშობლიური ქვეყნის ფერადები და სურნელებანი ხვალიდან სანატრელი გაუხდებოდა და თან წაყვებოდა დარდად უცხო მხარეში და ბევრჯერ უსასოო სევდით აავსებდა. მის სულს. ეს სევდა უკვე გამოცდილი ჰქონდა შორეულ რუსეთში სამსახურისას, მაგრამ ახლა უარესი ელოდა, სად საკუთარ ქვეყანასთან ნებაყოფლობით განშორება და სად იძულებით, სად ომი და სად მშვიდობა, სად სამოთხე და სად ჯოჯოხეთი? ველოსიპედი ნელა უახლოვდებოდა თინას სახლს, სოფლის განაპირა შუკაში მდგარს. საღამოს ბინდი ბურუსში ახვევდა გარემოს, აქა-იქ უკვე ინთებოდნენ ლამპები და ჭრაქები და ციცინათელებივით ბუუტავდნენ სიბნელეში, სოფლის თბილი მყუდროება ძნელად დასაჯერებელს ხდიდა იმ ამბავს რომ ამ სოფლის მკვიდრნი, სადღაც უცხო მიწაზე, უცხო ტომის ხალხს ებრძოდნენ, ხოცავდნენ და თავადაც იხოცებოდნენ.

ავთომ ველოსიპედი შეაყენა, ჩამოხტა და ფეხით შეუყვა შუკას. გამოჩნდა თინას სახლი, შუა ეზოში მდგარი დიდი კაკალი. ამ გოგოს ავთო კარგა ხანია იცნობდა. პირველად რომ ნახა, ლელობურთის მერე, სადაც ჩვეულებისამებრ თავი ისახელა და ლელო გაიტანა, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გრძელნაწნავიანი გოგონა იყო. ავთოს იგი იმთავითვე მოეწონა, გამოელაპარაკა და შეატყო, რომ გოგონა მას იცნობდა და მასთან საუბარი სიამოვნებდა. იმ დღეს შინაც მიაცილა სხვა გოგოებთან ერთად. მერე რამდენჯერმე შეხვდა ჯარიანობაზე, ცალკე გაიყვანა და აქეთურ-იქეთურზე ელაპარაკა. გოგო რომ ბიჭს ცალკე გაყვებოდა და დაელაპარაკებოდა, ეს სოფელში სიყვარულის დასაწყისს ნიშნავდა. თინას ამხანაგი გოგოები ეშმაკური ღიმილით უყურებდნენ განცალკევებულ წყვილს და დედათა წესის თანახმად ყველანაირად ხელს უწყობდნენ იმათ შეყრას, ჩხენიშელი ბიჭები კი ზოგნი იბოღმებოდნენ, ზოგნი კი ეოხუნჯებოდნენ ავთოს და ამხნევებდნენ. ერთხელ, მამამისიც გაიცნო, ალექსი. ერთად დალიეს დუქანში ღვინო. ალექსი ლელოს მოყვარული გამოდგა. ამ კუთხეში ბადალი არა გყავსო, უთხრა ავთოს. კარგად რომ შეთვრნენ, ქალიშვილი უნდა მოგტაცოო, უთხრა ავთომ. შენისთანა სიძეს არ დავიწუნებდიო, მიუგო ალექსიმ. სიმღერით გამოვიდნენ კარში, ერთმანეთს გადაეხვივნენ და მეგობრებად დაშორდნენ. მერე ავთო რუსეთში სამუშაოდ გაჰყვა გეოლოგ ნათანზონს და რომ დაბრუნდა, ომიც დაიწყო. კარგა ხანი იყო, თინა აღარ ენახა. რუსეთში იგი გადაავიწყდა კიდეც. რუსის ქალებს ავთო მოსწონდათ და ისიც ხან ვის გადაეყრებოდა და ხან ვისა. ერთხელ სუსუნათიც აიკიდა და ძლივს მოირჩინა. სერიოზული ურთიერთობა არავისთან ჰქონია. არ იყო ქალების მადევარი კაცი, უფრო უადვილდებოდა მათთან დამეგობრება, დაძმობილება. ნათანზონის ოჯახში თითქმის ნათესავად, ახლობლად, ოჯახის წევრად ითვლებოდა. ნათანზონის მეუღლეს დასავით უყურებდა და ყველანაირად ეხმარებოდა წვრილმან, საოჯახო საქმეებშიც კი. მაგრამ როცა ერთხელ ნათანზონი მივლინებაში გაემგზავრა და ავთო მის კაბინეტში ათევდა ღამეს, ეს ქალი შუაღამეზე ლოგინში შემოუწვა. იმ დღიდან ნათანზონს თვალს ვერ უსწორებდა და საქართველოში დაბრუნებულმა დიდი ტვირთი მოიცილა მხრებიდან, თითქოს სირცხვილისგან განთავისუფლდა. მაგრამ ახლა ომი დაიწყო და კვლავ სადარდებელი გახდა ყოფნა-არყოფნა. ყოველდღე მიჰყავდათ ბიჭები ჯარში. ხალხი აფორიაქდა, ერთბაშად გაჭირდა თავის გატანა, გაძვირდა ბაზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, გაქრა საქონელი. ერთ მშვენიერ ღღეს, სამტრედიის სადგურზე თინას მოჰკრა თვალი. იგი ძალიან გაზრდილიყო, აწოწილიყო, ყოველშემთხვევაში, იმაზე მაღალი ქალი იმ ღღეს ახლომახლო არავინ ჩანდა. ავთოს ისევ ძალიან მოეწონა თინა და იმის დანახვაზე გული შეუტოკდა. მიუახლოვდა და მიესალმა, ქალიშვილმა მყისვე იცნო და გაუღიმა. ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს. სანამ ავთო რუსეთში იყო, თინას ზოოტექნიკუმი დაუმთავრებია. იმ ღღეს ავთომ ფაიტონი დაიქირავა და ისე მიაცილა თინა შინ, ხეებით დაბურული ჩუმი შუკების გავლით. სადაც სხვა დროს თასში ერთხელ თუ ჩაივლიდა ეტლი. მთელმა სოფელმა დაინახა იმ ეტლში მსხდარი ქალ-ვაჟი. მეორე ღღეს ჩხენიშელმა ძმაკაცებმა ავთოს უთხრეს, მაგაზე კარგ გოგოს შენ აქ ვერ იშოვი, ხომ ხედავ მოსწონხარ, ნუ გაუშვებ ხელიდანო. თვითონაც ასე ფიქრობდა და ამ რჩევამ წააქეზა. ხშირად მიდიოდა ჩხენიშში. ზოგჯერ ღობესთან იდგნენ გოგო-ბიჭები და ლაპარაკობდნენ, ვიღაცა ჩონგურს ააწკრიალებდა, სადღაც შორს, მინდვრებისა და ტყეების მიღმა, წითელი მზე იწურებოდა ნელ-ნელა. ომი ნაღვლიან გუნებაზე აყენებდა ყველას და ამ შეკრებებს სიხალისე აკლდა. უწყება რომ მიიღო, ავთო მიხვდა, სამუდამოდ დაჰკარგავდა თინას, თუ რაღაცას არ იღონებდა. ის იყო, ველოსიპედს დააჯდა და ჩხენიშში გასწია...

ჭიშკართან შეჩერდა და თინას დაუძახა. სახლის უკან, თხმელნარიდან ამოცოცებული მთვარე მქრქალი შუქით ფერავდა მიდამოს. პატარა ოდის ერთადერთ დიდ ოთახში ლამპა ენთო. ვიღაც გამოვიდა ოთახიდან აივანზე და რომელი ხარო, იკითხა.

— ავთო ვარ, ნიგურიანი!

— მობრძანდი, ავთო! — გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა. ეს თინას მამა იყო, ალექსი.

— არა მცალია, თინასთან მაქვს პატარა საქმე.

სიბნელეში გაილანდა თეთრი კაბა და მალე თინა გამოჩნდა ჭიშკართან.

— ხომ მშვიდობაა?

— კი, — უთხრა ავთომ და ქვემოთ დაეშვა. თინა ეზოდან გამოვიდა, ჭიშკარი მიხურა და გვერდით მიჰყვა. მათ შორის ველოსიპედი იყო, რომელსაც ავთო მოაგორებდა. ბუჩქებში ჭრიჭინობელები ჭრიჭინებდნენ და აქა-იქ ციცინათელები გაიელვებდნენ ხოლმე.

— რა საქმე გაქვს? — გაჩერდა თინა.

— ხვალ დილით ჯარში მივდივარ, გამომიძახეს.

თინას ხმა არ ამოუღია, თავი ჩაღუნა და ნაწნავის წვერს დაუწყო წვალება. ღამე იყო თბილი და ნაზი, უშფოთველი...

— ცოლად უნდა წამომყვე! —უთხრა უცებ ავთომ.

თინა ხმას არ იღებდა.

— გაიგე, რას გეუბნები?

—ყრუ კი არა ვარ?!

— მერე?

ისევ სიჩუმე. მაშინ ავთომ თინას ხელი მოხვია, ველოსიპედზე შეისვა და წიფლნარისაკენ გარეკა. თინამ ვითომ გაიბრძოლა, ასე როგორ შეიძლებაო, ჩემიანები რას იტყვიანო. ერთი იმათი დედაც ვატირე, რაც უნდა ისა თქვანო, მიუგო ავთომ და სიჩქარეს უმატა.

შუაღამეზე მიიყვანა ქალი შინ. მშობლებს და მართას განუცხადა, ცოლი მოვიყვანე, ხვალ დილით კი ომში მივდივარო. ორივე ეს ამბავი მეტისმეტად მოულოდნელი იყო, მინადორა და მართა სახტად დარჩნენ, მიხაკომ ღვინო გამოიტანა, უგემურად წაივახშმეს. მერე უკანა ოთახში გაუშალეს ახალგაზრდებს ლოგინი და ისინი გაუხდელად დაწვნენ.

— ხელუხლებლად გტოვებ, — უთხრა ავთომ, — თუ გადავრჩი, შეგირთავ და ერთად ვიცხოვრებთ, მანამდე დამიცადე, თუ დავიღუპე, ქალიშვილი ქალი ხარ და შენს თავს მიხედავ.

მთელი ღამე ერთად იწვნენ ფანჯრიდან შემოღვრილი მთვარის ნათელში. თინას ავთოს მკლავზე ედო თავი და ჩუმად იცრემლებოდა. ავთო კოცნით უშრობდა ცრემლებს. მეტი არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხდარა. არც ულაპარაკიათ და არც განძრეულან. ალიონზე მამლებმა რომ ყივილი დაიწყეს და ცვარიანმა ცისკარმა სიგრილე შემოიტანა ოთახში, ცოტა ხანით ჩაეძინათ. სულ რომ გათენდა, ავთო წამოდგა, სატრფოს, დედას, მამას, ბიცოლას გამოემშვიდობა, მხარზე საველე ტომარა გადაიკიდა და შესაკრებ პუნქტში გასწია.

3.

ომი რომ დაიწყო, გიორგი უნდილაძე შვიდი წლისა იყო. ის დღე მას სამუდამოდ დაამახსოვრდა. ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა დედას კოჯორში მთავარი ქუჩის მაღალ ტროტუარზე საკურორტო ბაღის გასწვრივ, სადაც მწვანედ შეღებილი მესერის იქით, თეთრად შეღებილი საქანელა ნავები და ერთადგილიანი თვითმფრინავებით, პირდაღებული ლომებით და ყალყზე შემდგარი რაშებით დამშვენებული კარუსელები გაუნძრევლად დუმდნენ სურნელოვანი ცაცხვების ფართო ჩრდილში. „ომი დაიწყო“, მწუხარე ხმით უთხრა დედამ და თუმცა გიორგიმ არ იცოდა, რა იყო ომი და რას უქადდა ეს მოვლენა, დედის შეწუხებული სახის შემხედვარემ საოცრად მოიწყინა, ამ წუთამდე ჯერ გამოუცდელი შეშფოთება დაეუფლა და ხმა არ ამოუღია.

მაგრამ ასევე უცბად გადაუარა ამ შეშფოთებამ და თბილისში რომ ჩამოიყვანეს, ბიძამისი ნიკუშა მოიკითხა, რადგან იგი შინ არ დახვდა. ნიკუშა, თურმე, ომში წაეყვანათ. ერთ მშვენიერ დღეს, მამამ ამბავი მოიტანა, დღეს ნავთლუღიდან გადის ეშელონი, რომელსაც ნიკუშა ბაქოში მიჰყავსო და წავიდნენ გასაცილებლად. ტრამვაი დიდხანს მიჭრიალებდა და მიხრიგინებდა უცნობ ადგილებში და ფანჯარას აკრული გიორგი დიდი ინტერესით აკვირდებოდა მიდამოს. ამ მოგზაურობას სოფელში მოგზაურობას ადარებდა, ნიკუშას რომ მიჰყავდა ზოგჯერ ბებიასთან და ბაბუასთან და ფიქრებში გართულმა ვერც კი გაიგო, როგორ გაჩერდა ტრამვაი, ალბათ, უკანასკნელ გაჩერებაზე. დედამ და მამამ ხელი ჩაავლეს, ტრამვაიდან ჩამოვიდნენ და ხალხით გაჭედილ მოედანს მიაშურეს, რომლის აუწერელი ხმაური ორკესტრის ხმას ფარავდა. ხალხის ნაკადი გაარღვიეს და როგორც იქნა, ბაქანზე გავიდნენ. ლიანდაგზე გრძელი მატარებელი იდგა, ვაგონის ფანჯრებიდან თავგამოყოფილი ჯარისკაცები ხელებს იქნევდნენ, იცინოდნენ, ზოგიერთებს თაიგულები ეჭირათ ხელში, ზოგიერთები შეშფოთებული სახეებით რაღაცას გაიძახოდნენ, ძირს დარჩენილი ქალები იცრემლებოდნენ, დაღვრემილი და ნაძალადევად გაღიმებული სახეები ერთმანეთს ცვლიდნენ და გიორგის კინაღამ თავბრუ დაეხვა ამ ორომტრიალში. ყველა ვაგონი მოირბინეს „ნიკუშა, ნიკუშას“ ძახილით, მაგრამ ნიკუშა არ ჩანდა, არც ფანჯარაში და არც არსად. მერე მატარებელი დაიძრა და რაღაც უცნაურმა ძრწოლამ დაუარა აქ შეგროვილთ, ისინი კი ისევ „ნიკუშა, ნიკუშაო“, იძახოდნენ და თვალს აყოლებდნენ ომში მიმავალ ეშელონს. გიორგის სასტიკად დაწყდა გული, რომ ბიძა ვერ იხილა. დაღონებულები დაბრუნდნენ შინ. კარგა ხნის შემდეგ წერილი მოვიდა ბაქოდან, კონვერტში სამხედროფორმიანი ნიკუშას ფოტო იყო, რომელსაც მეორე მხარეს ლამაზად ეწერა: „ჩემს საყვარელ დისწულს, გიორგის, ბიძია ნიკუშასაგან“.

გიორგიმ იცოდა, რომ ბიძამისი ნიკუშა ომში იყო, ბიძამისი ავთოც ომში იყო, მაგრამ ომის საშინელება მას არ ესმოდა, ცხოვრება მარტივი და ურყევი ეგონა, შემოდგომის დამდეგს კი სკოლაში მიაბარეს და ეს მოვლენა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისთვის, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც აქამდე განეცადა. ეს იყო არაჩვეულებრივი შეგრძნება, პირველად რომ დაინახა თავისი ამხანაგები, პატარა, მოკლეშარვლიანი ბიჭები და პატარა, მოკლეკაბიანი გოგონები, ვისთანაც ერთად დიდხანს მოუწევდა აქ სიარული, ამ ძველ, სამსართულიან გრძელ შენობაში, სადაც ახლა ორი სკოლა იყო მოთავსებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი და მეთოთხმეტე, რადგან მეთოთხმეტე სკოლაში, რომელიც მისი სახლის გვერდით მდებარეობდა, სამხედრო ჰოსპიტალი გახსნეს და ბავშვები აქ გადმოიყვანეს სასწავლებლად. ამ ბავშვებიდან ზოგიერთი უკვე უმამოდ და უპატრონოდ იყო დარჩენილი, ზოგს ომში უკვე დაღუპვოდა მშობელი, ზოგიერთებს ოცდაჩვიდმეტ წელს დაუჭირეს და დაუხვრიტეს და ახლა სამადლოდ პატრონობდნენ მათ ნათესავები, მაგრამ შემოდგომის იმ მშვენიერ, ოქროსფერი სინაზით მოსილ დღეებში ადამიანთა უბედურება არ იგრძნობოდა, სადაც შორს იყო ამ ბავშვებისათვის სასტიკი ომი, რომელიც მიწას აზანზარებდა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შთანთქა, დაასახიჩრა, შეიწირა, უსახლკაროდ და უპატრონოდ დასტოვა უცოდველი ბავშვები, აქაური ბავშვების თანატოლნი, ზურგზე ჩანთა მოკიდებული რომ მიდიოდნენ ყოველ დილით სკოლაში, სადაც ისინი გულმოდგინედ სწავლობდნენ „აი იას“, და ერთხანს გიორგი მხოლოდ თავისი ახალი ამხანაგებით იყო გატაცებული და ქვეყნის ამბები ჯერ ვერ ახდენდა გავლენას მის შთაბეჭდილებებზე. ახალი სასკოლო ჩანთისა და წიგნების სუნი, საანგარიშო ჩხირები, კოლოფში ჩაწყობილი ფერადი ფანქრები, საცობდაცული სასკოლო სამელნე და კალამი სრულიად ახალ და უჩვეულო სამყაროში ასახლებდია მას. სკოლის გზაც უაღრესად საინტერესო ეჩვენებოდა, იგი თანდათან შეეჩვია ამ გზის მარტო გავლას, მშობლები ვერ იცლიდნენ შვილების საპატრონოდ და მარტოკა უშვებდნენ მათ სკოლისაკენ. და გიორგიც ყოველ დილით გაივლიდა თავის ქუჩას, ჩაივლიდა კიროვის ქუჩის დაღმართს, ბერიას მოედნიდან პიონერთა სასახლემდე მივიდოდა, სადაც აუცილებლად უნდა გაევლო ამაღლებულ ვიწრო ლავგარდანზე, რომელიც ტროტუარს სასახლის მისადგომთან ჰყოფდა, და მერე ჩაუვლიდა შთავრობის სასახლეს, სადაც წინათ სამხედრო ტაძარი მდგარა და 1921 წელს ტაბახმელა-კოჯრის ფრონტზე დაღუპულთა საფლავები ყოფილა. მაგრამ ახლა ნასახი აღარ იყო იმ საფლავებისა და აღარც იმ ტაძრისა. ეს ყველაფერი გიორგიმ მამისაგან იცოდა და ისევე უცხო და უცნაურ რამედ ეჩვენებოდა, როგორც ძილის წინ მოსმენილი ცეროდენას ზღაპარი.

ამასობაში ომი თანდათან უფრო ღრმად იჭრებოდა ცნობიერებაში, ბავშვები უკვე გრძნობდნენ გაჭირვებას, შიმშილის აჩრდილმა დაიწყო ხეტიალი ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში, მალე შუქშენიღბვა შემოიღეს, სარდაფები თავშესაფრებად გადააკეთეს, სადაც თავქუდმოგლეჯილნი ჩარბოდნენ ყველანი, როგორც კი საჰაერო განგაში გამოცხადდებოდა და სირენები გულისწამღებად იწყებდნენ კივილს. ბავშვები ამასაც შეეჩვივნენ და ძალიან მოსწონდათ დახუთულ სარდაფში ერთად ყოფნა და რაიმე თამაშის მოგონება. მეორე დღეს ვიღაც ამბობდა სკოლაში, გერმანელთა თვითმფრინავმა წუხელის ბომბები ჩამოყარა თბილისში და არსენალის მთაზე დაეცაო, არა, ზოოპარკშიო, უსწორებდა მეორე, მხეცებს არაფერი მოუვიდათო, კითხულობდა მესამე. ფრონტი შორს იყო, თბილისს არ ბომბავდნენ, მაგრამ ასეთი დღისთვის გამალებით ემზადებოდნენ, რადგან ფრონტი თანდათან ახლოვდებოდა. ქუჩებში ხშირად წააწყდებოდით დახეიბრებულ რუს ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, რომლებიც საშინლად თვრებოდნენ და ყველაფერს ლეწავდნენ ირგვლივ. ისინი ქართველებსაც აგინებდნენ, თქვენს ტერიტორიაზე ომს გადაურჩითო და ხალხს ეშინოდა მათი. პატრულები იჭერდნენ მათ და ჰოსპიტალში მიათრევდნენ, ერთხელ კი, დეზერტირის ბაზარში რამდენიმე მეზღვაური ადგილზე დახვრიტეს თურმე, მოსახლეობის აწიოკებისა და ჩხუბის გამო, რომლის დროსაც ვიღაც უდანაშაულო ჭაბუკი შემოკვდომოდათ.

ქურდობა და ჯიბგირობა თანდათან ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, უსაშველოდ გაიჭიმა პურისა და ნავთის რიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები და ელექტრონით გაბრჭყვიალებული დიდი გასტრონომი მოედნის კუთხეში, სადაც წინათ ბიძამის ნიკუშას შეჰყავდა ხოლმე გიორგი საღამოობით და გემრიელი ნამცხვრით უმასპინძლდებოდა, — დაკეტეს, როცა აცივდა, უსარგებლო ქაღალდებით და ძველი გაზეთებით ოდნავ შემთბარ ღუმელთან ჯდომა უფრო აშკარას ხდიდა იმ უბედურებას, რაც თავს დაატყდა ხალხს. მაგრამ გიორგისთვის ყველაფერი მაინც თავისი გეზით და თავისი წესით მიემართებოდა, ეს იყო ცხოვრება და არაფერი არსებობდა არც ამაზე უკეთესი და არც ამაზე უარესი. თანდათან ამახსოვრდებოდა ამხანაგები, ერთი მეტიჩარა გოგო ია, თვალმინაბული რომ კითხულობდა ლექსებს, ძალზე სასაცილოდ და გაპრანჭულად, თუმცა მასწავლებლებს ძლიერ მოსწონდათ და აქებდნენ. თვითონ გიორგის მოსწონდა ბუთხუზა ბიჭი ლევან ყანჩელი, რომელიც უფროს დას მოჰყავდა სკოლაში და მასვე მიჰყავდა. ის, თურმე, გერმანიაში იყო დაბადებული, მამამისი, თურმე, დიდი მეცნიერი იყო. ლევანი ცოტა ხნის წინ ჩამოიყვანეს საქართველოში და ამიტომ უჭირდა ქართული, ცუდად წერდა, სამაგიეროდ კარგად ხატავდა და თანაც მარცხენა ხელით. ხატვა ხუჭუჭთმიან შაქრო შუბლაძესაც ეხერხებოდა, მაგრამ ის მარჯვენა ხელით ხატავდა და ამიტომ, ცხადია, ლევანის უნარით ვერ დაიტრაბახებდა. ერთხელ, ამ შაქროს მამამ მოაკითხა სკოლაში, თურმე, ომში ჩიდიოდა და გამოსამშვიდობებლად მოვიდა. მან გულში ჩაიკრა შაქრო და თვალებზე ცრემლები მოადგა, ბავშვები კი გაოცებული უყურებდნენ აცრემლებულ მამაკაცს. მხოლოდ მერე, დიდი ხნის შემდეგ გაიგეს, რომ შაქროს მშობლები გაყრილები იყვნენ და შეიძლება, შაქროს მამას ის ატირებდა, რომ ომში მიმავალს შვილი თავისთან არ ეგულებოდა.

ისინი მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ტოვებდნენ ოჯახებს, ტოვებდნენ ახლობლებს, საყვარელ ადგილებს, დაუმთავრებელ საქმეებს, განუხორციელებელ ოცნებებს, ზოგჯერ იმედის ნატამალსაც, მიდიოდნენ სიკვდილის შესახვედრად გაურკვევლობის მორევში შთანთქმულნი და ტოვებდნენ შიშსა და შიმშილს, გაჭირვებასა და უსასოობას. სკოლიდან დაბრუნებული დამშეული ბავშვები ბერიას მოედნის კუთხეში, შტაბის შენობის დაბალ ფანჯარას მიაწყდებოდნენ ხოლმე, სადაც სარდაფში ოფიცერთა სასადილო იყო, და დაუშრეტელი წყურვილით შესცქეროდნენ, როგორ შეექცეოდნენ ბედნიერი ოფიცრები ცხელ ბორშჩსა და თეთრ პურს, როგორ ემსახურებოდნენ მათ კოხტად ჩაცმული, თეთრწინსაფრიანი, ქერათმიანი რუსის ოფიციანტი ქალები. ბავშვებისათვის საოცნებო რამ იყო ნოყიერი საჭმელი, გემრიელი პური, თბილი ტანსაცმელი, ომს მოჰქონდა სულ უფრო ახალი და ახალი უკეთურებანი, იგი რყვნიდა ადამიანებს, აგულქვავებდა, აბოროტებდა, მდაბალ ვნებებს უღვიძებდა და ყურადღება მოკლებული ბავშვები, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილნი, ადვილად ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ იმ ნაგავს, რასაც ბინძური ქუჩა გულუხვად უყრიდა მათ. ისინი ყოველ დღე ხედავდნენ სადარბაზოში ყომარის სათამაშოდ ჩაცუცქულ ჯიბგირებს, არავის რომ ერიდებოდნენ, ტრამვაიში მომუშავე ჯიბის ქურდებს. „ნაკოლკებიან“, გადათხუპნულ ქუჩის კახპებს. ყველაფერი ეს ცხოვრება იყო და იზიდავდა მათ, აინტერესებდათ, ისევე, როგორც ომის ამბები და ომზე გადაღებული კინოფილმები, სადაც მახინჯ და მშიშარა გერმანელებს ყოველთვის ამარცხებდნენ გმირი რუსები, თუმცა სინამდვილეში, სწორედ ისინი, გერმანელები მოიწევდნენ წინ და სწორედ ჩვენები, ანუ რუსები იხევდნენ უკან.

იმავე ხანებში ნახა გიორგიმ ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირი. იგი ქუჩაში გააჩერეს პატრულებმა და საბუთები მოთხოვეს. დეზერტირს საბუთები არ ჰქონდა და გაქცევა სცადა, მაგრამ ახალგაზრდა პატრულები დაე

გურამ გეგეშიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევნენ და დაიჭირეს, ერთმა ჰაერშიც კი ისროლა. დეზერტირი პატრულებზე უფროსი იყო, დიდი ხნის გაუპარსავი, უქუდო, გახუნებული სამხედრო ფორმა ეცვა, უმაზაროდ გამოსულიყო კარში, თუმცა უკვე ზამთარი იდგა და ციოდა, შეიძლება მაზარა საჭმელში გადაცვალა ან გაყიდა. არაფრით არ უნდოდა პატრულებს ჩაბარებოდა, რადგან იცოდა, უეჭველად დახვრეტდნენ. ასეთი იყო კანონი და ის იხვეწებოდა, იმუდარებოდა, თავს იმართლებდა, ბოლოს მიწაზე გაწვა და ჩოჩიალ-ჩოჩიალით წაათრიეს სადღაც, სეირზე შეგროვილი გულგრილი ბრბოს თვალწინ. და თუმცა გიორგის ყველანაირად უნერგავდნენ, რომ დეზერტირი მოღალატეა, მაინც ძლიერ შეეცოდა ის კაცი, ასე გამწარებით რომ ებღაუჭებოდა ქვაფენილს, მიწას, სიცოცხლეს...

ცხოვრება პირქუში იყო და დღითი დღე უფრო პირქუში ხდებოდა. პატარა გიორგი ცხოვრობდა ჩამოღამებულ გარემოში და ვერ განიცდიდა ბავშვურ სილაღეს, რადგან ცოტა რამ იყო ირგვლივ სასიხარულო, ათასი წვრილმანი წნეხივით აწვა სულს, მუდამ შეჭირვებულს, გაუბედავს, თამაშიც კი მხოლოდ უბრალო გართობა იყო და არა ძლიერი სიხარულის წყარო, იგი ვერ ხედავდა გახარებულ ადამიანებს და არც თვითონ იცოდა რა არის ნამდვილი სიხარული. მის ირგვლივ ქვეყანა იყო ჩამაფიქრებელი, საშიში, ხიფათის შემცველი, ტკბილი სიტყვა იშვიათად ესმოდა და არ იცოდა მისი ფასი; ქუჩაში, კედელთან ატუზული ხელგამოწვდილი მათხოვრები იწვევდნენ სევდას, ხოლო როცა სკოლაში ნინო მასწავლებელი „შვლის ნუკრის ნაამბობს" უკითხავდა ბავშვებს, გული საშინელი დარდით უმძიმდებოდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე, რადგან ის გუმანით გრძნობდა მარადიული მარტოობის, მიუსაფრობის, სულით ობლობის სიდუხჭირეს. ერთ ზაფხულს კიდევ ერთხელ წააწყდა დაზერტირებს. ამჯერად კოჯრიდან ბრუნდებოდნენ ქალაქში, ტენტიანი, გადახურული პიკაპით. გზად დაღამდათ და მაშინ, როდესაც ჰაერიც დათბა, სადღაც, ოქროყანასთან მანქანა გააჩერეს მკაცრი, ხასტი შეძახილით. ვიღაც მოვიდა მანქანასთან და რაღაც თქვა რუსულად ხმამაღლა, მკაცრად. სიბნელეში ისმოდა ნალდაკრული ჩექმების მკვახე ბრახუნი, შორიდან კი, სადაც მინდვრები მშრალი ხევისკენ ეშვება, უცნაური ხმები მოისმოდა, მოთქმა თუ გოდება. პიკაპის ძარაში მსხდარი ქალები, გიორგის დედა და კიდევ ვიღაცეები შეწუხებული ოხრავდნენ, ვიშვიშებდნენ, „ალბათ, დეზერტირები... დასახვრეტად..." ესმოდა გიორგის მათი ცალკეული სიტყვები, მაგრამ მთლიანი აზრი ვერ გამოჰქონდა. მერე გაისმა თოფების ბათქი, ძარაზე გადახურული გაცრეცილი ბრეზენტის მიღმა, სადღაც ცეცხლმა იელვა და გაქრა. წყვდიადიდან ისევ მოისმა ხმები.

— რა მოხდა? — იკითხა გიორგიმ.

— არაფერი.

— რატომ გაგვაჩერეს?

— პატრულები მანქანებს ამოწმებდნენ, მალე გაგვატარებენ.

მართლაც მალე გაატარეს და ისევ ალაპარაკდნენ და ავიშვიშდნენ ქალები, იგივე სიტყვებს იმეორებდნენ, „დეზერტირები... დახვრეტა..." და გიორგიმ რაღაც იაზრა თითქოს მახვდა, რომ ადამიანების ლახოცვას შეეწყრო ღ გაოცებული, გაოგნებული იყდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა მაინც სადღაც, მისთვის ძალიან შორს, სრულიად უცნობ განზომილებაში, რომელთანაც მის დაბინდულ ცნობიერებას არაფითარი შეხება არა ჰქონდა.

სიკვდილი მისთვის გაუგებარი რამ იყო. როდესაც კინოში ხედავდა ბრძოლის ველზე დაცემულ მებრძოლს, მოსწონდა კიდეც, ძლიერ მოსწონდა, როგორ ეცემოდნენ ისინი და კვდებოდნენ, რაღაცნაირი გულგრილობა თუ დაულევრობა ძირს დაცემული ჯარისკაცისა, მიმზიდველი ეჩვენებოდა. ომობანას თამაშისას, თვითონაც სიამოვნებით ვარდებოდა მიწაზე და „კვდებოდა" და თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს გარედან უყურებდა თავის თავს, ლამაზად, გმირულად დაცემულს და გაუნძრევლად მდებარეს. მასში მოწიწებას იწვევდა უჩვეულო პოზაში მიწაზე გართხმული ჯარისკაცის გვამი, კინოსურათში ან ფოტოზე ნანახი, რადგან არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა გვამებზე, ადამიანის სხეულის ხრწნაზე, გახრწნილი სხეულის სიმყრალეზე და სიმახინჯეზე. თამაშის დროს ცდილობდა გმირი ყოფილიყო, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში გმირობას ვერ ავლენდა. ქუჩა საშიში იყო, უფროსი ბიჭები უმოწყალოდ ჩაგრავდნენ უმცროსებს, ხან ჩანთას წაართმევდნენ, ხან ქუდს, ხან პანღურს ამოჭრავდნენ. ერთ ზამთარს, ქუჩაში მომავალს, ახალთახალი თბილი ბეწვის ქუდი მოსტაცეს და გაიქცნენ, დიდხანს სდია იმ ბიჭებს ტირილით, რადგან ჯერ ეგონა მეხუმრებიანო, მაგრამ როცა ისინი თვალს მიეფარნენ, გულამოსკვნილი დაბრუნდა შინისკენ, დანაშაულის შეგრძნებით აღსავსე, ახლა უკვე იმის შიშით აფორიაქებული, რომ ახალი ქუდის დაკარგვისთვის გაუჯავრდებოდნენ. მაგრამ არ გაუჯავრდნენ, პირიქით, მამამ დაამშვიდა, არა უშავს, ნუ ტირი, მე ვიპოვი იმ ხულიგნებსო, მაგრამ მაინც ტიროდა, რადგან დაკარგული ქუდიც ენანებოდა და თანაც მოულოდნელი თანაგრძნობა გულს უჩუყებდა, მაგრამ ყოველთვის ვის სცალია თანაგრძნობისათვის ყოველთვის ვინ გაგიგებს? ერთხელ, როცა პურის რიგში მდგარმა წიგნაკები დაკარგა და შინ ხელცარიელი დაბრუნდა, გამწარებულმა დედამ სილა გააწნა და მან იგრძნო, რა უმწეო და დაუცველი იყო ამ გულგრილ წუთისოფელში, სადაც იგი ისეთ მოვლენებზე იყო დამოკიდებული რომელთა შესახებ წარმოდგენა არა ჰქონდა.

ამიტომ უნდოდა ჰყოლოდა მფარველი, უფროსი ძმა, რომელიც დაიცავდა, რომლის იმედი ექნებოდა. შეიძლება ეს სურვილი შემთხვევით არც გასჩენია. ერთხელ ფანჯარასთან იდგა და რაფას დაყრდნობილი რაღაცას ხატავდა. დედა გვერდით ჩამოუჯდა და თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა. კმაყოფილმა გიორგიმ ხატვას თავი მიანება, იდაყვებით დედის თბილ კალთას დაეყრდნო, სახეში შეხედა და ჰკითხა:

— დედა, ამ ქვეყნად ყველაზე უფრო ვინ გიყვარს?

— მამაშენი!

ამ პასუხმა მეტისმეტად გააკვირვა, სახტად დარჩა, რაღაც გაცივდა, რაღაც ჩაწყდა გულში. თითქოს ხელი ჰკრეს და შორს მოისროლეს.

— მერე? — მაინც იკითხა იმედგაცრუებულმა ჩავარდნილი ხმით.

— მერე შენ! — დაამშვიდა ვითომ დედამ, მაგრამ ეს სულაც არ იყო დამშვიდება, ეს იყო უარყოფა. რა იცოდა გიორგიმ, რომ ზოგიერთი სერიოზული მოაზროვნის დაკვირვებით, არსებობს ქალის ორი ტიპი, ერთი — რომლისთვის მთავარია შვილი, და მეორე — რომლისთვის მთავარია მამაკაცი. ვისი ბრალი იყო, თუ დედამისი სწორედ მეორე ტიპის ქალებს განეკუთვნებოდა და ამ ნიშანთვისებით თავისდაუნებურად დაღს ასვამდა თავის შვილის ბედს?

დედის უადგილო გულახდილობამ გაუღვიძა იმის გრძნობა, რომ მარტოა ქვეყნად, რომ ოჯახში ზედმეტია და არავის უყვარს მაინცდამაინც. ეტყობა, ეს გაუაზრებელი შეგრძნება მარტოობისა უღრავდა სურვილს მფარველობისა და ეძებდა იგი მფარველს გარეთ, წარმოსახვაში, საკუთარი ფანტაზიის უკიდეგანო საუფლოში.

მის გვერდით, კარის მეზობელს ჯანაგოვს ჰყავდა გერმანელი ცოლი ლიდია ივანოვნა, რომელსაც ყველანი ლიდივანოვნას ეძახდნენ. ეს იყო წეროსავით აწოწილი, მხრებში მოხრილი, სადად თმადავარცხნილი ხანდაზმული ქალი, ამ ქალთან ზოგჯერ სტუმრად მოდიოდა ოცდაოდე წლის ჭაბუკი ალბერტი, საშუალო ტანის ახალგაზრდა, ხვეული ქერა თმებით, ცისფერთვალება, მოკლე, კეხიანი ცხვირით და თხელი ულვაშით. იგი ზოგჯერ მოტოციკლეტით მოგრიალდებოდა ხოლმე, ეზოში, აივანთან დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებოდა და მოაჯირზე დაყრდნობით ლიდივანოვნას რაღაცაზე ელაპარაკებოდა. ისინი გერმანულად საუბრობდნენ, გიორგის აინტერესებდა უცხო ენის მოსმენა და თავისი სამთვლიანი ველოსიპედით რომ ჩაიგრიალებდა აივანზე, აუცილებლად შორიახლო გაჩერდებოდა და ინტერესით უსმენდა მოსაუბრეებს. ერთხელ, ალბერტმა გაუცინა და მოტოციკლეტით გასეირნება შესთავაზა, წინ დაისვა და რამოდენიმე ქუჩა მოატარა, რამაც ისე გაახარა გიორგი, რომ იმ დღიდან აღტაცებით შესცქეროდა ალბერტს, იმის გამოჩენას ეზოში ზეიმად აღიქვამდა და ტოლებშიც კი ყვებოდა რაღაც ზღაპრებს თავისი უფროსი, ღონიერი და ყოჩაღი ბიძაშვილის შესახებ, რომელსაც საკუთარი მოტოციკლეტი ჰყავს და მის ტარებას გიორგისაც ასწავლის. მან საბოლოოდ წარმოიდგინა ალბერტი მფარველად, უფროს ძმ დ. გულშემატკივრად, რომლის იმედი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც, მაგრამ მალე ალბერტი სადღაც გაუჩინარდა, აღარ მოდიოდა სტუმრად ჯანაგოვებთან და ერთხელ ლიდივანოვნას ჰკითხა, ალბერტი სად არიო, ომში წავიდაო, უპასუხა ლიდივანოვნამ და მოიოხრა. მოკლე ხანში, ლიდივანოვნა, როგორც გერმანელი ციმბირში გადაასახლეს და გიორგიმ ალბერტისა ველარაფერი შეიტყო.

4.

ალბერტი მართლაც ჯარში წავიდა, მოხალისედ ჩაეწერა და ქუთაისში უკრეს თავი. აქ იყო შესაკრები პუნქტი. საქართველოს ყველა კუთხიდან მოჰყავდათ ჯმუხი, ჯანმაგარი ბიჭები გამოციებულ ყაზარმებში და ახარისხებდნენ საზარბაზნე ხორცს გრანდიოზულ სასაკლაოზე გასაგზავნად. ამ ბიჭების უმეტესობას იარაღი არასოდეს სჭერია ხელში, ისინი შეჩვეული იყვნენ ყანაში მუშაობას, თოხსა და ნამგალს, ან ქარხნის დაზგას თუ სახარატე ჩარხს, აქ იყვნენ სკოლის მასწავლებლები, ახალგაზრდა ინჟინრები და ექიმები, იყვნენ სტუდენტები, ერთი სიტყვით, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები, გლეხები, მუშები, ინტელიგენტები, საქართველოს ყველა ოჯახის შვილები, ზოგჯერ თითო ოჯახიდან რამოდენიმე, ძმები. ბიძაშვილები, ზოგჯერ მამა-შვილიც კი, მოჰყავდათ დედისერთანი და დედმამიშვილიანნი, მოჰყავდათ ოჯახის მარჩენალნი, მოჰყავდათ ყველა, ვისაც შეეძლო იარაღის ხელში დაჭერა. აქ, ამ შესაკრებ პუნქტებში მოდიოდნენ ისინი დაბნეულნი, აღგზნებულნი, სხვადასხვაგვარნი, სხვადასხვა წარსულით, სხვადასხვა მრწამსით, სხვადასხვა შემართებით, ყველას აცმევდნენ ჯარისკაცის ერთფეროვან ტანსაცმელს, უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს ერთმანეთს აშორებდნენ, ჰყრიდნენ ვაგონებში და სადღაც აგზავნიდნენ, სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა ნაწილში.

იმ დღეს, ისინი გრძელ მწკრივში იდგნენ, მზის გულზე, გრძელი, ერთსართულიანი ქვის შენობის პირდაპირ, სადაც იარაღის საწყობი იყო მოთავსებული. ცხელი ზენა ქარი სუნთქვას აძნელებდა. ისინი ხმაურობდნენ, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ხუმრობდნენ. ერთი კუთხის შვილნი, ერთმანეთის ნაცნობები ერთად იდგნენ. მხოლოდ ალბერტი იყო მათ შორის უცხოსავით, მხოლოდ მას არ ეკიდა მხარზე საველე ტომარა. რაც ეცვა, ეს იყო მისი ავლადიდება, გახუნებული ხალათი, გაცრეცილი შარვალი, დაკერებული ფეხსაცმელი. სულერთია, ამასაც გახდიდნენ და სამხედრო ფორმას ჩააცმევდნენ სულ მალე. იგი ხმას არ იღებდა, რადგან აქ არავის იცნობდა, მაგრამ ერთი ბრგე ვაჟკაცი, შუბლზე ქოჩორჩამოყრილი გამოელაპარაკა, სადაური ხარ, ძმობილოო?

— თბილისელი, — უპასუხა ალბერტმა.

— რა გქვია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბერტი მქვია, ანანიაშვილი ვარ გვარად.

— მე ავთო ვარ, ნიგურიანი, სამტრედიიდან, ნეტავ სად გვიკრავენ თავს, ალბერტ?

— აბა, რა ვიცი? — მხრები აიჩეჩა ალბერტმა.

შემდეგ ავთომ უამბო, რომ დიდხანს მუშაობდა რუსეთში, რომ შინ ახალშერთული ცოლი დატოვა, რომ თბილისში და და სიძე ჰყავს, სიძე ცნობილი ექიმია. ალბერტი ყურადღებით უსმენდა. შენობის ჩრდილში რუსი ოფიცრები იდგნენ და რაღაც სიას კითხულობდნენ, მაგრამ ალბერტი მათ ყურს არ უგდებდა. ქუთაისში ის მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი, ბავშვობაში, არ ეგონა აქ ასეთი ხორშაკი ქარი თუ იცოდა. ავთოს ღვარად ჩამოსდიოდა კისერზე ოფლი. ეს ქარი, ეტყობა, ყველას აწუხებდა, თვით ოფიცრებსაც კი, ერთი შეხედვით, ყოველივეს შეგუებულნი და ქვისაგან გამოკვეთილნი რომ ჩანდნენ. ისინი აგრძელებდნენ სიის კითხვას. სამტრედიელებიც გამოიძახეს.

— მშვიდობით, ძმაო! — თავისი დიდი ხელი გამოუწოდა ავთომ ალბერტს.

— მშვიდობით გევლოს! — ხელი ჩამოართვა ალბერტმა.

— ვინ იცის, იქნებ, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს?!

— ღმერთმა ქნას, — გაუღიმა ალბერტმა.

ამ დროს თავისი გვარი გაიგონა. შეთხელებული მწკრივიდან გამოვიდა და ოფიცრებისკენ გაეშურა. ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა ალბერტი სპეცგანყოფილებაში წაიყვანა, თავად გაუძღვა ყაზარმისკენ თეთრად შეფეთქილი რიყის ქვებით შემოსაზღვრული ბილიკით, რომლის იქეთ, მწვანე მდელო უკვე გაეთელა დუნდგოდ თავშეყრილ ხალხის ნაკადს. ნაწილში განუწყვეტელი მოძრაობა იყო, ერთმანეთში ირეოდნენ სამხედროები და ახალწვეულნი. ყაზარმის მეორე სართულის კორიდორში გაჯისა და საღებავების სუნი იდგა, ეტყობა, რემონტის დამთავრება ვეღარ მოესწროთ. აქ ვიღაცეები დადიოდნენ საქმიანად. ოფიცერმა ალბერტი მოზრდილ ოთახში შეიყვანა, სადაც მაგიდას შინსახკომის წარმომადგენელი უჯდა, საკმაოდ ზორბა, მხარბეჭიანი, მაძღარი სახის კაცი, წვერულვაშგაპარსული რუსი, შინსახკომელის ფორმაში გამოწყობილი, ეტყობოდა, დიდი ჩინის ჩიტი იყო. ალბერტმა ფარული ზიზღით შეხედა მას. ახალგაზრდა ოფიცერმა რაღაც უთხრა შინსახკომელს და საქაღალდე გადასცა. შინსახკომელმა ალბერტს სკამზე მიუთითა. ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც აქ მოიყვანა, ალბერტის პირდაპირ დაჯდა. ქარის შხუილი წამით არ წყდებოდა, ფანჯარასთან ტანაყრილი ვერხვის ხის ტოტი წამდაუწუმ მინას ეხლებოდა.

—რა გვარი ხართ? — ჰკითხა ჩეკისტმა ალბერტს.

— ანანიაშვილი.

ჩეკისტმა საქაღალდე გახსნა, შიგ ჩაწყობილი ქაღალდები გაშალ-გადმოშალა და მერე თავი ასწია.

— მე თქვენ ნამდვილ გვარს გეკითხებით! — სახეზე უნდობლობა და დაუნდობლობა ეწერა.

მტრულმა გარემოცვამ ალბერტი ერთბაშად დაძაბა, სამშობლოს დამცველ მოხალისედ კი არა, პატივაყრილ ტყვედ იგრძნო თავი.

— მამაჩემის გვარი გახლავთ ბრუნერი.

— მერე რატომ არ აღნიშნეთ?

— იმიტომ რომ დედაჩემის გვარს ვატარებ.

ახალგაზრდა ოფიცერი რაღაცას გულმოდგინედ იწერდა, ყოველივე ეს დაკითხვას ჰგავდა და ალბერტს ეჭვი შეეპარა, დაპატიმრებას ხომ არ მიპირებენო, მაგრამ ეს ეჭვი თვითვე უკუაგდო.

— ესე იგი,, თქვენ გერმანელი ხართ?!

— მე ქართველი ვარ!

— საიდან? მამა გერმანელი ყოფილიათ, — დამცინავად ჩაიცინა ჩეკისტმა.

— მე ჩემს თავს ქართველად ვთვლი და ქართულ გვარს ვატარებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ დაანებეთ სწავლას თავი. რატომ ჩაეწერეთ მოხალისედ?

— მინდა მშობლების დანაშაული სამშობლოს წინაშე გამოვისყიდო!

ამ სიტყვების წარმოთქმისას, იგი აღარ გრძნობდა სირცხვილს. ეს იყო ფორმულა, რომელიც აუცილებლად უნდა წარმოგეთქვა თუ თავის გადარჩენა გინდოდა. ამ ფორმულის მიღმა სხვა აზრი იგულისხმებოდა, თუმცა პირველ ხანებში უდანაშაულო მშობლების დაგმობა სულს უფორიაქებდა და სინდისის ქენჯნა გულს უღრღნიდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ხალხის მტრის საშინელ დამღას სხვანაირად ვერ მოიშორებდა ამ სასტიკ და ულმობელ სახელმწიფოში. მას კი სურდა გაეძლო, გადარჩენილიყო, ხმამაღლა ხომ ვერ ილაპარაკებდა იმას, რასაც გულში ფიქრობდა, იმწამსვე დაიჭერდნენ, დაბრალებდნენ მავნებლობას, მოსავლის ან წყლის მიწამვლას აპირებდაო, ან სხვა რამეს, ბერიას ან ვინმე დიდი ბობოლას მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილიო და თუ არ დახვრეტდნენ, ციხეში ჩაალპობდნენ ან გადასახლებაში დაღუპავდნენ, როგორც დაღუპეს ასობით და ათიათასობით უდანაშაულო ხალხი. მუდმივი ეჭვის ქვეშ ცხოვრება აუტანელი იყო და მოხალისედ იმიტომ წამოვიდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო ეჭვისა და უნდობლობისაგან.

— რა კავშირი გაქვს მიშა გედევანიშვილთან?

— არავითარი.

— როგორ თუ არავითარი? თქვენი მშობლები იცნობდნენ მაგის მშობლებს.

— მე ეგ კაცი თვალით არ მინახავს, როცა იგი გერმანიაში გაიქცა, მე სულ პატარა ბავშვი ვყოფილვარ.

— მისი ოჯახის წევრებს თუ იცნობდით?

— დას ვიცნობდი, ელზას, სანამ დაუპატიმრებდნენ, ზოგჯერ, ჩვენს ოჯახში მოდიოდა სტუმრად.

— თქვენი ოჯახის წევრები რატომ დააპატიმრეს?

ალბერტს ხმა არ ამოუღია.

მამამისი, გერმან ბრუნერი, გერმანიის ჯარს ჩამოჰყვა საქართველოში 1918 წელს. საქართველოს იგი იცნობდა მხოლოდ და მხოლოდ არტურ ლაისტის წერილებით და კნუტ ჰამსუნის წიგნით „მოგზაურობა ზღაპრულ ქვეყანაში," რომლის მიხედვით ქართველებზე და ქართულ კულტურაზე ბევრს ვერაფერს შეიტყობ. მიუხედავად ამისა, ეს ახალგაზრდა ოფიცერი ძლიერ გაიტაცა საქართველომ დიდი სურვილი გაუჩნდა ქართულ საზოგადოებასთან დაახლოებისა. ამის საშუალება ადვილად მიეცა. რადგან ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილები თავბრუ დახვეულნი იყვნენ თბილისში ჩამოსული ევროპელებით. ახლაც იგივე მეორდებოდა, რაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა წარჩინებული ქართველი ლამაზმანები დაუფიქრებლად მიჰყვებოდნენ ცოლად საქართველოში დამპყრობლებად ჩამოსულ რუს ოფიცრებსა და ჩინოვნიკებს. როგორც ჩანს, როცა ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაშია, ამ ქვეყნის ასულნი, უკეთესი ცხოვრების იმედით, ხალისით მიყვებიან უცხოელებს. საუკუნოვანი ტრადიცია, ჩანს, წინ უძღოდა ამას, თუ გავიხსენებთ რამდენ ქართველ ასულს დაულევია დღენი თვისნი სპარსეთისა თუ თურქეთის ჰარამხანებში. ამის გათვალისწინებით, ილიას ცნობილი ლექსი „ქართვლის დედას," რომელიც ქართველი ქალის სულიერი სიმაღლის და პატრიოტიზმის აპოლოგიაა, დიდაქტიკურ შეგონებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალური სინამდვილის ასახვას, მით უმეტეს, რომ სწორედ იმავ ხანებში, დიდი აკაკი, ბევრ თავის წერილში, მის თანამედროვე ქართველ ქალებს ქარაფშუტობას საყვედურობს და არც თუ სანიმუშო მეულლეებად სახავს. ცხადია, ეს მთლად ასე არ არის, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რა აწერინებს ქართველ მწერალს, მხოლოდ და მხოლოდ დიდი გულისტკივილი.. .

გერმან ბრუნერი გაეცნო თბილისელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელებს და მათი საშუალებით ქართველებსაც. გედევანიშვილების ოჯახში, რომლის დიასახლისი გერმანელი ქალი გახლდათ, იგი შეხვდა ახალგაზრდა ანეტა ანანიაშვილს, დაუახლოვდა და ერთ მშვენიერ დღეს, როცა გერმანელთა ჯარი დიდ ომში დამარცხების გამო საქართველოს ტოვებდა, ცოლად შეირთო და თან წაიყვანა გერმანიაში, რითაც დიდათ დაამწუხრა ანეტას თბილისელი ნათესავები და განსაკუთრებით უფროსი ძმა, ქართული ჯარის ოფიცერი, რომელსაც უცხოელზე გათხოვილი ქალი სამშობლოსთვის დაკარგულად მიაჩნდა. უმეტეს წილად, ეს მართლაც ასეა, მაგრამ გერმანიაში ცხოვრებამ ანეტას სამშობლო ვერ დააავიწყა. ახალ ქვეყანას და ახალ კულტურას ზიარებული მაინც თავის ქვეყანაზე დარდობდა. 1921 წლის საქართველოს კატასტროფამ გული დაუმძიმა, ხოლო როცა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ბოლშევიკებმა საყვარელი ძმა დაუხვრიტეს და ეს ამბავი იქ, უცხოეთში დაგვიანებით შეიტყო, უკვე სრულიად დაკარგა გერმანიაში ცხოვრების ხალისი და ქმარს განუცხადა, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, საქართველოში დავბრუნდეთ, ჩემს მიწაში მინდა დავიმარხოო. ბოლშევიკურ ქვეყანაში დაბრუნება, როცა ბევრი იქიდან გაქცევას ცდილობდა, სიგიჟეს ჰგავდა, მაგრამ ქმარს მართლაც სიგიჟემდე უყვარდა ანეტა და დაჰყვა ცოლის ნებას. 1926 წელს ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ. ბრუნერი ნიჭიერი ინჟინერი იყო, ყოველგვარი პოლიტიკისაგან შორს მდგარი და იმედი ჰქონდა, საბჭოთა ქვეყანაში საქმეს გამონახავდა. მართლაც გამონახა, კონსულტანტად მოეწყო მშენებლობის კომისარიატში, ანეტამ კი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო, გერმანულს ასწავლიდა თბილისის ერთერთ ქართულ სკოლაში. ალბერტი მაშინ სამი წლისა იყო.

მან თითქმის არ იცოდა ქართული, მაგრამ მალე ქართული მისი მშობლიური ენა გახდა. მიუხედავად ამისა, გერმანული სულაც არ დავიწყებია. ოჯახში ქართულადაც ლაპარაკობდნენ და გერმანულადაც, თუმცა მშობლების დაპატიმრების შემდეგ გერმანულის ცოდნას მალავდა. იგი ქართულ სკოლაში სწავლობდა, ქართველი ნათესავების და ნაცნობ-მეგობრების გარემოცვაში ცხოვრობდა, ოჯახს თბილისელ გერმანელებთანაც ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ ალბერტი ქართველად ჩამოყალიბდა, თუმცა ეროვნული თვითკმაყოფილება, მეტადრე სიამაყე, მისთვის უცხო რამ იყო. შეიძლება, ორი სხვადასხვა კულტურის ზეგავლენით აღზრდილს ორივე ამ კულტურის უპირატესობებთან ერთად, მათი ნაკლის დანახვაც შეეძლო. როგორც ჩანს, იგი თავიდანვე ფხიზლად უყურებდა ცხოვრებას და იმიტომაც გაძლო. ოცდაჩვიდმეტში მშობლები რომ დაუჭირეს და თოთხმეტი წლის ბიჭი ქუჩაში დარჩა, ერთბაშად იწვნია ადამიანთა სიკნინე და უმადურობა და მიხვდა, ასეთი იყო წუთისოფელი, ულმობელი და მკაცრი, მდაბალი და წვრილმანი ვნებებით განსაზღვრული. ამიტომაც მეტისმეტად სასაცილოდ ეჩვენებოდა ბრიყვული მსჯელობა ქართველთა რაღაც თანდაყოლილ, განსაკუთრებულ რაინდულ თვისებებზე. ამ თავის დამამშვიდებელი ზღაპრის სრული უსაფუძვლობა თვითონვე გამოსცადა, მშობლები რომ დაუხვრიტეს და მეზობლები ზედიზედ წერდნენ სახივრებს მისი ბინის ხელში ჩასაგდებად, რასაც მალე მიაღწიეს კიდეც. ჯანსაღ პატრიოტიზმს ნაციონალიზმისაგან იმთავითვე ანსხვავებდა, ყოველგვარი ნაციონალიზმი ეზიზღებოდა და ქვეყნიერების გამთიშველად მიაჩნდა. რა რაინდობა, რის რაინდობა, ცალკეული სულით მაღალი პიროვნებები მართლაც იქცევიან ხოლმე რაინდულად, ხალხები კი — არასოდეს. ყველა ხალხს ახასიათებს ნათელი და ბნელი გამოვლინებანი. საბჭოთა სისტემის პირობებში ქართველები არავისზე უკეთ არ ამჟღავნებდნენ თავს, აბეზღებდნენ ერთმანეთს, არ ინდობდნენ, ღუპავდნენ მოყვასს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურდათ ახლობლების წარმატება, ხელს უშლიდნენ ნიჭიერთ, დევნიდნენ ღირსეულთ. საკუთარი ბინიდან გამოგდებულს და კიბისქვეშა სოროში შეხიზნულს, სადაც მხოლოდ გასაშლელი ლოგინი ეტეოდა, — ნაცნობები თვალს არიდებდნენ შიშისაგან, ნათესავები და ოჯახის ყოფილი მეგობრები ემალებოდნენ, უმეტესობას აზრად არ მოსდიოდა დახმარების ხელი გამოეწვდინა ჭირში ჩავარდნილისათვის, აუტკივარ თავს ვერ იტკიებდნენ და ალბერტს ეს არ უკვირდა და არც წყინდა. ასეთი იყო ცხოვრება და ცხოვრების წესები, ვითარება აყალიბებდა ადამიანის საქციელს და არა მისი წარმავლობა. ზოგიერთები ზიზღითაც კი უცქერდნენ, როგორც გერმანელი ჯაშუშის შვილს, რადგან სჯეროდათ, რასაც ჩასჩიჩინებდნენ, სხვანაირად არც შეიძლებოდა ამ გრანდიოზული აწიოკების გამართლება, მაშინ ქვეყანა უზარმაზარ საგიჟედ უნდა მიგეჩნია. მამამისი სწორედ აგენტობის ბრალდებით დახვრიტეს, თუმცა ამ პატიოსან კაცს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, თავის სამშობლოსთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა და მხოლოდ და მხოლოდ საქმე აინტერესებდა. მაგრამ იმ განუკითხავ ანგარიშსწორების ჟამს ვინ დაეძებდა სიმართლეს?

მრავალი მისი თანატოლი, მის ბედქვეშ მყოფი ქუჩამ ჩაითრია და მრუდე გზას გაუყენა. არც ალბერტი იყო ამისგან დაზღვეული, მაგრამ იმ საშინელ ვითარებაშიც გამოჩნდნენ ხალხი, რომელთაც გული შესტკიოდათ უსამართლოდ დაჩაგრულზე. ერთმა შორეულმა ნათესავმა გარაჟში მოაწყო რემონტიორის დამხმარედ. ალბერტი საღამოს სკოლაში გადავიდა, დღისით მუშაობდა და ლუკმა პურს შოულობდა. მაგრამ ისე იღლებოდა, საღამოს, სკოლაში რომ მიდიოდა თავისი გაზუნთხული ტანსაცმლით, უკანასკნელ გაკვეთილზე აუცილებლად ეძინებოდა, მაინც მოახერხა სკოლის დამთავრება. უნდოდა მამის გზას დადგომოდა და ინჟინერი გამხდარიყო, მაგრამ საინჟინროზე არ მიიღეს, ვითარცა მავნებლის შვილი და უცხო ენების ფაკულტეტზე ჩააბარა, რადგან ამ ფაკულტეტს ძირითადად ქალები ეტანებოდნენ და ვაჟებს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ, თუ ცოტათი ტვინს გაანძრევდნენ. ეგონა, მეშველაო, მაგრამ სტუდენტი რომ გახდა, ასჯერ მაინც დაიბარეს სპეცგანყოფილებაში, განუწყვეტლივ ამოწმებდნენ მის წარმომავლობას, ერთხელ გარიცხვასაც უპირებდნენ, ვითარცა არასაიმედოს, არც კომკავშირში მიიღეს და თან ტვინს უჭყლიტავდნენ, რატომ კომკავშირის წევრი არა ხარო. დღენიადაგ გულის კანკალი ჰქონდა თავისი მომავლის გამო, თუმცა ერთი უპირატესობაც იყო ამაში, გაჭირვებამ ნაადრევად დააბრძენა და დააკაცა. ომი რომ დაიწყო, მიხვდა, ერთადერთი გზა მუდმივი უნდობლობის ჩამოშორებისა, იყო ფრონტზე მოხალისედ წასვლა და დაწერა კიდეც განცხადება.

გაბღენძილმა ჩეკისტმა საქაღალდე დახურა.

— თქვენ იმიტომ ჩაეწერეთ მოხალისედ, რომ მტრის მხარეზე გადასვლას აპირებდით, ჩვენ გვაქვს ცნობები ამის შესახებ. თქვენ დაპატიმრებული ხართ! — მოკლედ მოჭრა და წამოდგა.

საკანი ბნელი და ნესტიანი იყო. ალბერტი მარტო იჯდა ვიწრო ოთხკედელში. პირველ ღამეს არ დაეძინა, შფოთავდა, წრიალებდა, თავს დატეხილ უბედურებას ვერ ეგუებოდა. გაურკვევლობამ კალაპოტიდან ამოაგდო. დილით, ჩეჩმაში რომ გაიყვანეს, გუშაგების მტრულ მზერას წააწყდა. უკან რომ ბრუნდებოდა ვიღაც ჯარისკაცმა მუშტი გლიჯა სახეში, შენი შპიონი დედაცო, ადგილზე უნდა დაიხვრიტოსო, დაიღრიალა მეორემ, მერე ვიღაცამ ხელი ჰკრა ზურგში და ისევ საკანში შეაგდეს. კიდევ კარგი, რომ კარი ურდულით ჩაკეტეს, თორემ ვინ იცის, შეუვარდებოდნენ და აქვე ჩაქოლავდნენ. ცხვირიდან წამსკდარ სისხლს სა-

ხელოთი იწმენდდა და გაოგნებული იჯდა ნარზე. ცხადი იყო მოღალატედ თვლიდნენ. რატომ, რისთვის? განა თავის ნებით არ განაცხადა ფრონტზე წასვლის სურვილი? როცა სხვებთან ერთად ელი ხიფათს, საშიშროება არც ისე საშინელი ჩანს, ახლა ეგი მარტო იყო, საერთო ვითარებიდან ამოგლეჯილი, თუმცა თავისი უდანაშაულობის სრული რწმენა იმედის ნატამალს მაინც უტოვებდა, რაღაცას მაინც ელოდა, მაგრამ თავს დატეხილი უსამართლობა ბოლმით ავსებდა ყოველგვარი სურვილისგან დაცლილს. მერე თანდათან შეეჩვია თავის მდგომარეობას და ფიქრი დაიწყო. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გარედან რაღაც ხმები ისმოდა, მაგრამ გარეთ მყოფთა ინტერესები სულ სხვა იყო, თუმცა ერთი დღის წინ, თვითონაც არაფრით განირჩეოდა სხვებისგან, აქ თავშეყრილი ბიჭებისგან, სიკვდილის შესახვედრად რომ მიჰყავდათ ომში. სხვანაირად შეუტრიალდა ბედი, სანატრელი გაუხდა ომში წასვლა. მეომრად, ჯარისკაცად ყოფნა. რა არის მიზეზი იმისა, ერთ ცალკეულ ადამიანს ასე უსაშველოდ რომ განასხვავებს ყველა დანარჩენისგან? ნუთუ თავს ვერ დააღწევდა ციხის ჯურღმულს? ნუთუ მასაც მშობლების ბედი ერგო? ფიქრისგან თავი უსკდებოდა,. ნუთუ ყველაფერი მემკვიდრეობით ეძლევა ადამიანს? ეტყობა, ასეა, ფიქრობდა ალბერტი. ფიზიკური სხეული, ხასიათი, მიდრეკილებანი დაუსაბამო მემკვიდრეობის წყალობით ეძლევა კაცს და მემკვიდრეობის უღრმეს წიაღში ოდესღაც წარმოქმნილი მიზეზების შედეგია. ახლა აღარ უკვირდა, რომ წინასწარ დასახულს ვერ აერიდა და მასაც ის შეემთხვა, რაც მისიანებს, მის მშობლებს, მის ბიძას, ციხეში რომ ჩახოცეს ტყუილუბრალოდ. თვითონ რა ელოდა, ჯერ არ იცოდა, მაგრამ აშკარა იყო, თავისიანების ბედს იმეორებდა, თუმცა ერთი შეხედვით, სხვა გზით მიდიოდა. ნეტავ რას დააბრალებდნენ, რას შეუთითხნიდნენ, რას უსაყვედურებ... მთელი ღამე ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე. რა ჰქონდა მოსაგონარი? ბევრი არაფერი. ბავშვობაში დედის მიერ წაკითხული ზღაპრები, მამის მიერ დახატული სურათები, მერე სკოლა, სკოლის ამხანაგები, რომლებიც თანდათან შემოეფანტნენ, როგორც კი მშობლები დაუპატიმრეს და უპატრონოდ დარჩა. მერე სამოთახიანი ფართო ბინიდან გასახლება და კიბისქვეშა ფიცრულში ცხოვრება, საოცარი გულაცრუება რომ ახლდა თან. მის ბინას და ქონებას ოპერის ერთი ცნობილი მომღერალი ქალი დაეპატრონა, მაგრამ შეძლო მაშინ თავის გატანა, შეძლო ფეხზე დადგომა და იმის შედეგად იყო რაღაც თბილი მოსაგონარი, თუნდაც თბილისის მყუდრო ქუჩები, გაზაფხულის თბილი საღამოები, ნარინჯისფერ ფანჯრებზე ფარდის ფრიალი, პიანინოს ხმა, საღამოს სკოლიდან მომავალს ქუჩაში რომ ესმოდა, ბაღიდან ჩიტის გალობა, ხეების სასიამოვნო შრიალი, მანქანის ზეთის და ბენზინის სუნით გაჟღენთილი გარაჟი და სიხარულის განცდა, გაფუჭებულ დეტალს სწორად რომ ააწყობდა, ჯანაგოვების ბაზი და დედის მეგობართან, ლიდივანოვასთან საუბარი, აივანზე სამთვლიანი ველოსიპედით მოგრიალე პატარა ბიჭუნა გიორგი, რომელიც ერთხელ თავისი ოსტატისგან ნათხოვარ მოტოციკლეტზე დაისვა და სოლოლაკის ქუჩებში გაასეირნა...

ნეტავ, იმ პატარა ბიჭს თუ დავამახსოვრდები? გაიფიქრა ალბერტმა.

მესამე დღეს, ვიღაც სოხუმელი დანელია შემოიყვანეს საკანში. ამ კაცმა გაამხნევა. ამხანაგის ყოლა ყველა ვითარებაში ამაგრებს ადამიანს, დანელია კი ნაომარი, გამოცდილი კაცი იყო, ხასანის ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა და მისი საუბარი ალბერტს ამშვიდებდა.

— სოხუმიდან ქუთაისში ჩამოგვიყვანეს, მოგვცეს თბილი ტანსაცმელი, ცხენებიანად შეგვყარეს ვაგონებში და დავიძარით. ორმოცდახუთი დღე ვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ გზაში, სად მივდიოდით არ ვიცოდით, წყურვილით ვიხრჩობოდით. მახსოვს ერთხელ, მატარებელი ტრიალ ველზე გაჩერდა, მოშორებით მყრალი გუბე იყო და იმას დავეწაფეთ სუყველანი, ვინ დაეძებდა წყლის გემოს და სისუფთავეს?! უსურიაში რომ ჩაგვიყვანეს, მაგარი ყინვები დაიჭირა. ზოგჯერ, კაციჭამია ვეფხვები ესხმოდნენ წითელარმიელებს და ჭამდნენ, სისხლს წოვდნენ. მე რომ ჩავედი იქ, სწორედ მაშინ დაიჭირეს მარშალი ბლუხერი. — ყვებოდა დანელია.

— შენ რაღაზე დაგაპატიმრეს? — შეეკითხა ალბერტი.

— ვიცი? — მხრები აიჩეჩა დანელიამ. — შენ?

— არც მე ვიცი.

ერთი კვირის შემდეგ ალბერტი თბილისის შიდა ციხეში გადაიყვანეს და ბრალდება წაუყენეს. თურმე უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ შეთქმულთა ჯგუფს, რომელშიც სტუდენტები და ასპირანტები შედიოდნენ ერთერთი პროფესორის ხელმძღვანელობით, გერმანელთა დახმარება ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს განთავისუფლების მიზნით, თურმე მტრისთვის მნიშვნელოვანი ცნობების გადაცემას აპირებდნენ, თურმე ალბერტს კავშირი ჰქონდა ამ ჯგუფთან და მოხალისედ იმიტომ ჩაეწერა, რომ როგორც კი მოახერხებდა მტრის მხარეზე გადასულიყო და შეერთებოდა მოღალატე ქართველებისგან შემდგარ ბატალიონს.

—მე მაგ ხალხზე წარმოდგენა არა მაქვსო — პირველ დაკითხვაზე განუცხადა ალბერტმა გამომძიებელს.

— მაგას ვნახავთ, — უთხრა გამომძიებელმა, მაგრამ სამი თვე ისე გავიდა, რომ ალბერტი არავისთვის დაუპირისპირებიათ და ისევ ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ, ვისთან გქონდა კავშირიო. არავისთანო, სამი თვე უარყოფდა ალბერტი ამ ბრალდებას, არც მუქარა ჭრიდა, არც ცემა.

ეტყობა, გამომძიებელმაც კარგად იცოდა, რომ ალბერტი უბრალო იყო, ერთ ღამეს ისევ გამოიძახა. ამჯერად ღამის ნათურა აღარ მიუნათებია მისთვის სახეში, ჩვეულებრისამებრ. პირიქით, ოთახში სინათლე აანთო, სანათური ჩააქრო, გისოსებიან ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა და თავაზიანად შესთავაზა ჩაი და პაპიროსი. ალბერტმა პაპიროსი გააბოლა, გამომძიებელი წინ დაუჯდა და დაღლილი ხმით უთხრა:

— ალბერტ, მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. თავს რად იწვალებ, ან მე რად მაწვალებ? სულერთია, არავინ გამოგიშვებს ციხიდან, ასეთი რამე არ ხდება, აქედან ასე იოლად ხალხს არ უშვებენ. არც მე მომეშვებიან, თუ ეს საქმე ბოლომდე არ მივიყვანე. გერმანელები წინ მოიწევენ, მოსკოვს უახლოვდებიან. ეს ომი მალე არ დამთავრდება, სამი-ოთხი წელი მაინც გასტანს. კიდეც რომ გაგათავისუფლონ, რად გინდა? პირდაპირ ჯიკრავენ თავს და სადმე ჩაგკლავენ. არ გირჩევნია, ისეთი ვერსია შევთხზათ, რომ ხუთი წელი მოგისაჯონ? ვითომ შენ სადღაც თქვი, რომ ტყვედ ჩაბარებას აპირებ. ამაზე ხუთი წელია. ხუთი წელი იჯდები ციხეში, ამასობაში ომიც დამთავრდება და გამოხვალ ისევ გარეთ. დამიჯერე ჯელი კაცი ხარ, ცხოვრება წინა გაქვს მე შენთვის ცუდი არ მინდა, ვიცი, უდანაშაულო ხარ, მაგრამ მაინც უნდა ჩაჯდე!

ეს რჩევა ალბერტს, ბოლოს და ბოლოს, ჭკუაში დაუჯდა. ერთად შეთხზეს ვერსია, რომელიც ხუთი წლით პატიმრობას ითვალისწინებდა. ალბერტი გაასამართლეს, ხუთი წელი მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს.

5.

ზაფხულში, სოფლად რომ ჩაიყვანეს, გიორგიმ იქაურობა ძლივსღა იცნო. დიდი ეზო, სადაც წინათ ბუნჩულა ხბოები თავისუფლად ნავარდობდნენ, სანამ ფურები საძოვარზე ბალახობდნენ, ბაბუას სიმინდის ყანად გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქცევია. ჭიშკრიდან სახლამდე ვიწრო ბილიკი იყო დატოვებული და მხოლოდ ბოსტნის გვერდით, ტალავერქვეშ ბიბინებდა ხასხასა მოლი. ძველი სახლი სიმინდით იყო გარშემორტყმული და გიორგის გული დაწყდა, აღარ მოეწონა აქაურობა, რადგან გაშლილი ეზოს სილაღე უყვარდა, თუმცა ბებიას რქენია ძროხა ქუჩუ ეზოში იყო აშვებული, აივნიდან ძირს ჩასვლას ვერ ბედავდა. ეს მართლაც საშიში იყო. მიხაკოს ბიძაშვილის, სანდროს უმცროსი ბიჭი ზურია, გიორგიზე სამოოთხი წლით უფროსი, დიდხანს იჯდა ხოლმე ღობეზე, სანამ სახლისკენ გამოიქცეოდა. იგი ხელსაყრელ მომენტს ელოდა და როცა ამ ჭირვეულ ძროხას შორს დაიგულებდა, უცბად გადმოხტებოდა ღობიდან და სახლისკენ მორბოდა თავქუდმოგლეჯილი, მაგრამ თუ ეზოს მეორე კუთხეში მობალახე ძროხა შეამჩნევდა, აუცილებლად გამოეკიდებოდა ხოლმე და გიორგის გული უკანკალებდა, სანამ ზურია აივნის კიბემდე მოაღწევდა და ამოირბენდა. მას ხიბლავდა ამ ბიჭის გაბედულება და მოხერხება. ძლიერ უყვარდა ეს შავქოჩორა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი, სანამ სოფელში იყო ერთად ერთობოდნენ, ერთად თამაშობდნენ, წისქვილში ერთად მიდიოდნენ, ზურია სავსე ტომრებს გორგოლაზე დააწყობდა, გიორგის შიგ ჩასვამდა და გარბოდა და გიორგის იგი ცხენად ჰყავდა წარმოდგენილი, ტაჭკებს რომ დაარბენინებდნენ წიფლნარის შუკებში და ორღობეებში, თავისი თავი კი მეტაჭკედ. უფროსებს ზურია ეცოდებოდათ, რადგან დედით ობოლი იყო. ხშირად იგონებდნენ უდროოდ გარდაცვლილ დედამისს და რადგან უბრალო ხალხში მორიდება არ არსებობს და ყველაფერს ყვებიან ბავშვებთანაც კი, ბევრი ისეთი რამე ესმოდა გიორგის, რაც, როცა წამოიზარდა, მხოლოდ მერე გაიგო და გაიაზრა ნათლად. თურმე ოცდაჩვიდმეტ წელს სანდროც დაუჭერიათ და ჩაუსვამთ ციხეში. სანამ ქმარი ციხეში მჯდარა, ამ ქალს საყვარელი გაუჩენია და ეს ამბავი გახლდათ, თურმე, თვითონ გიორგის ბიძა ტიტიკო, სანდრო მალე გამოუშვიათ ციხიდან. ქალი ამ დროს ფეხმძიმედ ყოფილა და ღალატი რომ დაეფარა, მუცელი მოუშლია, სისხლი მოწამლია და მომკვდარა. ბებიას და მართას ძლიერ ებრალებოდათ ნაადრევად დაღუპული ახალგაზრდა ნათესავი, წყევლიდნენ ტიტიკოს, რომელმაც შეაცდინა წესიერი ქალი, საყვედურობდნენ სანდროს, რომელსაც არ ენაღვლებოდა ცოლის სიკვდილი, და იცოდებდნენ ობლად დარჩენილ პატარა ბიჭებს, ზურიას და მის უფროს ძმას. გიორგის კი გაუაზრებელი დანაშაულის შეგრძნება და სირცხვილი ქენჯნიდა, თითქოს რაღაცაში ბრალი ედო ვიღაცის წინაშე.

უცნაური იყო, მაგრამ შეგრძნება დანაშაულისა მუდმივად ღრღნიდა მას სოფელში ყოფნისას. სამოსშემოძარცული სიდუხჭირე და გულმიწრეტილი შიმშილი ყვედრებასავით ხვდებოდა თვალში. ქალაქშიც ყველას უჭირდა, რა თქმა უნდა, მაგრამ მას მშობლები თავზე ადგნენ, აქ კი იგი ხედავდა უპატრონოდ დარჩენილ ნახევრად ტიტველ, ფეხშიშველა ბავშვებს, მშივრებს და ჩაუცმელებს, თვალს რომ ვერ გისწორებდნენ თვალში, სათამაშოდ რომ არასოდეს ეცალათ, თოხს, რომ უბაყუნებდნენ დღენიადაგ გამხმარ მიწას. მათი გაუხარელი სახეები, დათრგუნული მზერა, რომელშიც ირეკლებოდა საზრდოზე ზრუნვა, ძალაუნებურად რიყავდა მათგან გიორგის და ბებიების და ბაბუას ყურადღებით გარემოცული იმდენად გააზრებული სიბრალულით კი არ იყო შეწუხებული, რამდენადაც იმ შეგრძნებით, რომ უცხო ჩიტივითაა თანატოლთა შორის. გაშიშვლებული სიღატაკე აქ აშკარად ჩანდა, თუმცა გაჭირვება ყველგან მძვინვარებდა, მაგრამ მიხაკო ჯერ კიდევ ჯანმაგარი კაცი იყო, სიმინდიც მოჰყავდა, ბოსტანსაც უვლიდა და სოფელში ჩამოსულ შვილიშვილს საკვებს არ აკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა. ომში დაღუპულთა დაქვრივებულ ქალებს სად შეეძლოთ მაგდენი? ერთი ასეთი მეზობლის ოჯახი ყოველ დილით ჩაივლიდა ხოლმე ნიგურიანების ჭიშკართან. დედა და შვილები, მაღალი გამხდარი ქალი, გახუნებულ ჭუჭყიან შავ კაბაში, შუბლზე შავხილაბანდ აკრული, გიორგიზე ოდნავ უფროსი გამხდარი ბიჭი, გიორგის ტოლი მეორე ბიჭი, ყველაზე უმცროსი პატარა გოგონა, სუყველანი ფეხშიშველნი, მხარზე თოხგადებულნი მიდიოდნენ კოლექტივის ყანაში სამუშაოდ და საღამოს ბრუნდებოდნენ შინ. საქონლებივით მუშაობენ, მაგრამ საჭმელი მაინც არა აქვთო, ამბობდა ზოგჯერ ბებია და ცდილობდა დახმარებოდა ფქვილით ან ბოსტნეულით, მაგრამ სხვისი ჭირი მაინც ღობეს ჩხირია და ამათი შემყურე გიორგი წამით უცნაურ გაუცხოვებას გრძნობდა, რომელიც მას, როგორც ჩანს, ბავშვური უდარდელობის მიღმა, ქვეცნობირების სიღრმეში, მაინც აწუხებდა. ზოგჯერ, ბებია დაუძახებდა ამ უმამო ბავშვებს, მჭადის ნატეხით და ყველის ნაჭრით უმასპინძლდებოდა, ისინი მორცხვად დგებოდნენ კუთხეში თავდახრილნი და ხარბად ჭამდნენ. გიორგი გრძნობდა თავის უპირატესობას, ბატონიშვილივით რომ გამოიყურებოდა ამათთან შედარებით, და არ სიამოვნებდა, თუმცა საწყალი სოფლელები დიდი კაცის შვილად რომ მიიჩნევდნენ და ამის გამო მოწიწებით ეპყრობოდნენ, სხვა დრო პატივმოყვარეობას უკმაყოფილებდა. ზოგჯერ გიორგის ხელს უშლიდა ბებიას მეტისმეტი მზრუნველობა, რომელშიც აშკარა ამპარტავნობა გამოსჭვიოდა და ზღუდავდა მას. ერთხელ, მეზობლის მოხუცი ქალი გარდაიცვალა. გამოსვენების დრომ რომ მოაწია, სასულე ორკესტრის განწირული ჟღრიალით გაყრუებულ ეზოში ბავშვები შეგროვდნენ, სახლის აივანზე მოფუსფუსე ჭირისუფლები მათ გვირგვინებს ურიგებდნენ, გიორგიც იქვე ტრიალებდა, მასაც უნდოდა გვირგვინის წაღება სასაფლაომდე. ხუთ-ექვსი, ბოლოს შეამჩნიეს, გვირგვინი მისცეს და გაბარებული ისიც ჩადგა თანატოლთა მწკრივში, მაგრამ ბებიამ მოძებნა, გვირგვინი გამოსტაცა, სხვა ბავშვს გადასცა, „რა შენი საქმეა გვირგვინის თრევაო“, და უფროსების პროცესიას შეუერთდა, რითაც ძლიერ დასწყვიტა გული. ასეთ გამოცალკევებაში იყო რაღაც გამთიშავი და ამას გიორგი გუმანით გრძნობდა. ხანდახან თვითონაც კი ტრაბახობდა გაოცებულ ტოლბიჭებში, მამაჩემი გენერალიაო, მაძის ღირსების წარმოჩენით თითქოს თვითონაც მაღლდებოდა სხვათა თვალში, მაგრამ ეს ტყუილი ხომ ამპარტავნობა არ იყო? ეს იყო სინამდვილის შელამაზება, სასურველის რეალურად მიჩნევა. გაჭირვებული ადამიანის უკადრისობა და ქედმაღლობა, რასაც იგი ხშირად ამჩნევდა ადამიანებს, შეიძლება ითქვას, გაუცნობიერებელი სირცხვილით მსჭვალავდა.

უნდილაძეები გიორგისათვის უფრო უცხონი იყვნენ, ვიდრე ნიგურიანები. დედულეთში იზრდებოდა და თვითონაც ნიგურიანობა უნდოდა, ამათ კი გულზე არ ეხატათ მამამისის მოყვრები, დაუფარავად, გიორგის თანდასწრებით კილავდნენ იმათ და თავისდაუნებურად, ჩაუნერგეს ბავშვს თავისიანებისადმი სიუცხოვის განცდა, თუმცა ისინი, მამიდა ცუცას გამოკლებით, ყოველთვის გულთბილად ხვდებოდნენ მათთან სტუმრად მიყვანილს. ბაბუა ამბაკო დაუზარებლად უყვებოდა ზღაპრებს დათვის, ტურას და მგელის დაძმობილებაზე, რომელიც იმით დამთავრდა, რომ დათვმა თავისი მეგობრები შეჭამა. ერთხელ ორლულიანი თოფი ასროლინა ხეზე ჩამომჯდარი მგალობელი შაშვისათვის და გიორგის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა ჩიტი ხიდან რომ ჩამოვარდა თავდაღმა, მაგრამ იმავ წამს, გალობა რომ შეწყდა, უცნაურმა სინანულმა შეიპყრო. ბიძია ტიტიკოს კურდღლებზე სანადიროდ დაჰყავდა, თუმცა ამ ნადირობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირი არასოდეს მოუკლავთ. ერთხელ, საღამო ხანს, ტრიალ მინდორში ერთ უზარმაზარ ხეზე ავიდნენ და აქედან ჩაუსავრთდნენ კურდღელს, რომელიც ტიტიკოს სიტყვით, ჯაგებიდან უნდა გამომძვრალიყო, მაგრამ კურდღელი მაშინაც არ გამოჩნდა. სანამ ხეზე იჯდა თოფმომარჯვებული ბიძის კალთაში,, ვიორგი ხედავდა ლურჯად აზიდულ მთებს დაბლობის ორივე ბოლოში, რომელიღაც განმარტოებული მოსახლის ფართო ეზოს ტყის პირას, სადაც წითელკაბიანმა ვოვომ გაიარა და თივის ყვითლად მბზინავ ზვინთან მივიდა, ესმოდა ვიღაც ბიჭის ხმა, ვიღაცას რომ ეძახდა შორს, ტყეში. მერე მზე ჩავიდა, სულ დაბნელდა, აღარაფერი ჩანდა, ისინი ხიდან ჩამოვიდნენ და შინ დაბრუნდნენ, როგორც ყოველთვის ხელცარიელები.

განსაკუთრებით ალერსიანად ეპყრობოდა ბიცოლა ქეთევანი, რომელსაც გიორგი ისე უყვარდა, თავს ევლებოდა და მის მზეს ფიცულობდა, თუმცა თვითონ ორი შვილი ჰყავდა, კაკო და ბადრი, ძალზე მაღალი, ქერათმიანი ბიჭები. ბადრი გიორგიზე ექვსი წლით უფროსი იყო, მას ნამდვილი ველოსიპედი ჰქონდა. შეისვამდა ამ ველოსიპედზე ვიორგის და მთელ სოფელს მოატარებდა. ეს იყო ზღაპრული მოგზაურობა გრძნეულ მხარეში. გზად ხვდებოდათ გაშლილი მინდვრები, მღვრიე ღელეები, მორაკრაკე წისქვილები, დაბურული სასაფლაოები დანგრეული ეკლესიის ნაშთით, სხვადასხვაგვარი სახლები, სხვადასხვაგვარი ეზოები, და ეს უცნაური გარემო, უზარმაზარ ხეთა მხრებქვეშ მყუდროდ შეყუჟული ღრმად ებეჭდებოდა მეხსიერებაში. შინ დაბრუნებულს ელოდა ბიცოლას გამოცხობილი ცხელი მჭადი, მარილიანი რძე და ალერსიანი სიტყვა. ბიცოლა განსაკუთრებით უყვარდა, იგი მთელ სოფელს უყვარდა, რადგან მეტისმეტად კეთილი ადამიანი იყო. ამბობდნენ, ძველი თავადის ჯამბაკურ ვარდანიძის ქალიშვილიაო. ერთხელ ბადრიმ აჩვენა ვარდანიძეების გაუდაბურებული ნასახლარი საიდუმლოებით მოცულ ტრიალ მინდორზე, სადაც ერთ დროს, ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. იქ, ახლაც იდგა უზარმაზარი ასწლოვანი ცაცხვის ხე, რომლის ჩრდილქვეშ არხეინად ნადიმობდა ძველი ხალხი, სამუდამოდ წასულნი და წაშლილნი ამ ადგილებიდან.

— აი, ეს ადგილი, ბაბუაჩემის ნასახლარია, — ერთგვარი სიამაყით უთხრა ბადრიმ.

ზოგჯერ ბიცოლა ხელს ჩასჭიდებდა და დაატარებდა მეზობლებში, ყანაში, ჩაის პლანტაციაში, მიჰყავდა თავის ძმასთან ტარიელ ვარდანიძესთან, სადაც გიორგის ყველანი სიხარულით ეგებებოდნენ, განსაკუთრებით მისი თანატოლი ბიჭები, ტარიელის ვაჟები ავთანდილი და ფრიდონი, და ვიდრე უფროსები ერთმანეთში საუბრობდნენ, იგი ამ ბიჭებთან ერთად დარბოდა ეზოში, თამაშობდა ან ჭიდაობდა.

ერთხელ ბიცოლამ და ტარიელმა აბრეშუმის პარკი გოდრებით დააწყეს ურემზე, ბავშვებიც ჩასხეს შიგ და წაიღეს ჩასაბარებლად სამტრედიაში და უკანა გზაზე ცარიელ გოდორში მოკალათებულ გიორგის დაეძინა, ძლივს გააღვიძეს შინ მოსული, მაგრამ მას კარგად დაამახსოვრდა ძაფსაღები ფაბრიკის გრილი და ფართო საამქროები, სადაც გროვად ეყარა თეთრი და ყვითელი აბრეშუმის პარკი.

უყვარდა გიორგის თავისი ბიძაშვილის ბადრის სახელმძღვანელოების ქექვა და თვალიერება, პატარა მაგიდაზე რომ ეწყო, ფანჯარასთან. დიდხანს დასცქეროდა იგი ეპოლეტებიანი პოეტების ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის სურათებს, ვერ გაეგო პოეტები ამავე დროს რატომ იყვნენ სამხედროები; კითხვა კარგად იცოდა და ცდილობდა მათი მუხამბაზებისა და მუსტაზადების ჩაკითხვას, მაგრამ ლექსის უცნაური წყობისა და მრავალი გაუგებარი სიტყვის გამო, ბევრს ვერაფერს გებულობდა. საინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესო იყო ისტორიის სახელმძღვანელოში დაბეჭდილი გრავიურების თვალიერება, სადაც გამოსახული იყო რუსეთის მეფის პეტრე პირველის მიერ ქალაქ პეტერბურგის აშენება და აზოვის ზღვაზე ფლოტის შექმნა. წიგნის ფურცლების სუნი განსაკუთრებით იზიდავდა და საათობით შეეძლო ამ ფურცლების შლა, და უფროსებს უკვირდათ ასეთი პატარა ბიჭი წიგნის სიყვარულს რომ ამჟღავნებდა.

განსაკუთრებით აინტერესებდა ცხოველთა ცხოვრება, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ცხოველებს ყველაფერი ესმოდათ, როგორც ადამიანებს, მათ ჰქონდათ თავისი ენა, ერთმანეთისთვის გასაგები, ჰქონდათ გრძნობა და გონება და ადამიანებივით განიცდიდნენ ტანჯვას და სიხარულს. თუ ასე არ იყო, რატომ ლოკავდა ძროხა თავის ხბოს, რატომ დასდევდა კვიცი დედას, ან რატომ უხაროდა ასე ძლიერ მართას გაზრდილ ძაღლს ერთი წლის უნახავი გიორგის ჩამოსვლა სოფელში, ჭიშკართანვე რომ უგორდებოდა ფეხებში? ამიტომ ბებია დასაკლავად რომ დაიჭერდა წიწილას, ვერაგულად რომ მიიტყუებდა, ვითომ საკვები უნდა მიეცა და მოულოდნელად ხელს რომ სტაცებდა, გიორგის ეცოდებოდა იგი, მისი განწირული, სიკვდილის წინა კრიახი, გუნებას უშხამავდა და ვერ კმაყოფილდებოდა ბებიას განმარტებით, ეს ჩვენთვის ღმერთს საზრდოთ მოუცია, ქათმის დაკვლა ცოდვა არ არისო. შემზარავი იყო იმის წარმოდგენაც, რომ პატარა, სასაცილო და საყვარელი გოჭები, არხეინი ღრუტუნით რომ დასდევდნენ პატრონს უკან, დასაკლავად და შესაჭმელად უნდა გაემეტებინათ. ყოველივე ამაში ჩანდა ცხოვრების დაუნდობლობა, ცოცხალი არსებების მტრობა, ერთის მიერ მეორის დამორჩილება. დრუნჩს რომ უკოცნიდა ბუნჩულა ხბოს, გიორგი ხედავდა მის მომავალ ერთფეროვან მძიმე ცხოვრებას, უღლისაგან გახეხილ კისერს, სახრის ცემით გატყავებულ ზურგს, დაუსრულებელ შეუსვენებელ შრომას, მაგრამ განა მეხრეს ცხოვრებაც ასეთი არ იყო? გიორგი ხედავდა, რომ ადამიანები ჩაგრავდნენ ცხოველებს, ძლიერები სუსტებს, და დაჩაგრულები ეცოდებოდა.

ერთხელ, ბაბუა ამბაკო ყანის სახნავად წავიდა და გიორგიც თან წაიყვანა. წინა ღამის ნაწვიმარი, ღრუბლიანი, გრილი და თეთრი დღე იყო. ჩიტები დაუცხრომლად ყღურტულებდნენ ნოტიო ჰაერში. სურომოდებული ეკლის ხეებით და მაყვლის ბუჩქებით შემოსაზღვრულ ნაკვეთში მეზობლის კაცებმა ხარები მოიყვანეს და გუთანში შეაბეს. გუთანს თვითონ ამბაკო მოეკიდა, ხოლო გიორგის ხარების გაძღოლა დაავალა, ასწავლა როგორ უნდა გაჰყოლოდა კვალს, როგორც შემობრუნებულიყო ახალი სვრელის გასატანად. რქადალესილი ხარები მორჩილად მიჰყვებოდნენ მხარზე სახრეგადებულ პატარა გუთნისდედას და გიორგის სიამაყით ავსებდა ამ ცხოველთა ერთგულება და ნდობა, თითქოს მათ იცოდნენ, რომ გიორგი სწორად მიმართავდა მათ მოქმედებას და უყოყმანოდ სჯეროდათ მისი. ეს შეგრძნება ხარებისადმი მადლიერებით უვსებდა გულს, გრძნობდა პასუხისმგებლობას და საკუთარი თავის მნიშვნელობას. ამიტომ, შუადღეზე, სადილად რომ დასხდებოდნენ ხის ძირში, მოლზე, ნახნავის პირას, მჭადი, ყველი და მჟავე კიტრი რომ ამოალაგეს თავიანთი გუდებიდან და გაშალეს ღარიბული სუფრა მიწაზე, გიორგი თავის ხარებთან მივიდა, ჩალა დაუმატა და უდიდესი კმაყოფილება იგრძნო ხარებმა რომ ამოხედეს თავიანთი დიდრონი თვალებით და ჩალის ხრამუნი გააგრძელეს. თითქოს რაღაც პატრიარქალურმა მოგონებამ გაიღვიძა მის არსებაში, როცა ხარი და ადამიანი ერთ ძალას წარმოადგენდნენ ღა გაცილებით ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, აუცილებლობით და ბედით გადაჯაჭვულნი. მან ამაყად გახედა ჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებით სავსე ბელტებად ქცეულ მიწას, თავის ნამოქმედარს, და წამით, მიწ. დმოქმედის მიძინებულმა ინსტინქტმა გაიღვიძა მის არსებაში. იმ დღეს, დადად კმაყოფილი დაბრუნდა შინ, ბაბუამისი ამბაკოც გახარებული იყო შვილიშვილს რომ ასიამოვნა. მერე კი ბებია მინადორამ ისევ თავისთან, ნიგურიანებში წაიყვანა და გიორგი ამაყად მოჰყვა, როგორ ხნავდა მიწას, როგორ მიუძღოდა ვეებერთელა ხარებს წინ. და მოხდა მისთვის სრულიად მოულოდნელი რამ, ბებია მინადორა გაფიცხდა, როგორ, ქალაქელ ბავშვს, ექიმის შვილს, სოფელში დასასვენებლად ჩამოსულს რა სინდისით ამუშავებს ყანაში ის უნამუსო ამბაკო უნდილაძეო. ეს ამბავი გაიგო გიორგის დედამ, ნათელამაც, ჩამოუშვა ცხვირი და გიორგი ვერაფრით ვერ მიხვდა რა დააშავა ბაბუამისმა ამბაკო უნდილაძემ, რადგან მაშინ წარმოდგენა არა ჰქონდა, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველთა დამოკიდებულება ფიზიკური შრომისადმი საკმაოდ მახინჯი და კუდაბზიკურია. თუმცა ამაზე ფიქრით თავი დიდად აღარ შეუწუხებია, განაგრძობდა ომობანას თამაშს ბებიას მზრუნველობით გარემოცული, უნდილაძეებს კი ისედაც ბევრი უმადური ჰყავდა ამ სოფელში. ეს ერთ დროს მდაბიო გლეხები, ახლა სოფელში თავკაცობას იჩემებდნენ, გარემოებამ აღაზევა ისინი, პისტისა და ამბაკოს ოთხი შვილიდან ერთი ექიმი გახდა, ერთი აგრონომი, ერთი — რაიკომის მდივანი, ტიტიკოს კი მართალია უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ისედაც გამორჩეულ კაცად ითვლებოდა წიფლნარში. ყოველივე ამით უნდილაძეებს თავი მოსწონდათ. ერთხელ, გაზეთ „კომუნისტის“ მთელი გვერდი დაუთმეს ამ ოჯახს, გიორგის ბევრჯერ უნახავს ის გაზეთი, რომელსაც მამამისი საწერი მაგიდის უჯრაში ინახავდა. იქ, პისტისა და ამბაკოს სურათები იყო დაბეჭდილი, ვითარცა ბედნიერი კოლმეურნეებისა, ცოტა ქვევით სხვა სურათი იყო: გიორგის მამა შამშე, თეთრ ხალათში გამოწყობილი, ავადმყოფს სინჯავდა, ცოტა გვერდით: გიორგის ბიძა იუზა, კომკავშირის რაიკომის მდივანი, თავის კაბინეტში იჯდა და ტელეფონის მილი ეჭირა ხელში, კიდევ უფრო ქვევით: გიორგის მამიდა ცუცა და მისი ქმარი ვანო ჯაფარიძე ეენახს ათვალიერებდნენ გაღიმებული სახეებით და სულ ქვევით: ცხენზე ყოჩაღად მჯდარი ტიტიკო. მთელი ოჯახი უნდილაძეებისა გაზეთში იყო გამოფენილი და ალბათ, ამგვარი რამეებით გათამამებულნი აბუჩად იგდებდნენ ისინი სხვებს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მწარე ენა, სხვისი დაცინვისა და დამცირების ჩვევა ჯიშად მოსდგამდათ. ცხადია, ასეთი ადამიანები გარეშეთა დიდ სიყვარულს ვერ იმსახურებდნენ და გიორგი ამას გრძნობდა და გულის სიღრმეში წყინდა, თუმცა იმასაც ხედავდა, რომ მამამისს ეს არ ეხებოდა, იგი სპეტაკ და წესიერ კაცად იყო მიჩნეული. გიორგის ეს სიამოვნებდა, დანარჩენებზე ფიქრით მაინდამაინც თავს არ იცხელებდა. ისედაც ბევრი რამ ხდებოდა საინტერესო, მეზობელ სოფელში აეროდრომი მოაწყვეს და ხალხს ყური წაღებული ჰქონდა სავარჯიშო გაფრენებითა და საჰაერო ბრძოლების იმიტაციებით, სოფლის ბავშვებისათვის კი ეს სანახაობა მეტისმეტად მიმზიდველი რამ იყო. ზოგჯერ თვითმფრინავები ისე დაბლა ეშვებოდნენ, რომ გარკვევით ჩანდნენ შიგ მსხდარი მფრინავები, ერთხელ კი, ერთი თვითმფრინავი ტიტიკო უნდილაძის სახლს უკან გაშლილ ტრიალ მინდორზე დაჯდა, სადაც ცხენების რემა იყო გაფანტული. ცხენები დაფრთხნენ, გაიქცნენ...

გიორგის უყვარდა ცხენები, ცხენის გაჭენება ოცნებად ჰქონდა. უფროს ბიძაშვილებს ეხვეწებოდა ცხენოსნობა მასწავლეთო და კაკო და ბადრი მათი სახლის უკან უკიდეგანო გაჭიმულ. ხშირი თხმელნარით შემოსაზღვრულ საძოვარზე გაიყვანდნენ, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომიდან ჩამოყვანილი, დაჭრილი და დასახიჩრებული ცხენების რემა ბალახობდა, დაიჭერდნენ მშვიდად მობალახე ბებერ, თეთრ ცხენს, შესვამდნენ ზედ გიორგის, გააფრთხილებდნენ, მუხლები მაგრად მოუჭირე ფერდებზეო და გააქანებდნენ. ცხენი ზარმაცად გარბოდა, ბიძაშვილები აქედან-იქიდან მოსდევდნენ და ამხნევებდნენ, თვითონ ფაფარს ჩაეჭიდებოდა და ფეხებს შორის მოძრავ თბილ, სურნელოვან, ცოცხალ სხეულს მიკრული ცდილობდა როგორმე არ გადმოვარდნილიყო. მაგრამ გაზაფხულის მიწურულს კაკო ჯარში წაიყვანეს და გიორგის ცხენოსნობაც შეწყდა.

ომში რომ წაიყვანეს, კაკო თვრამეტი-ცხრამეტი წლისა იქნებოდა. ის იყო მეტისმეტად ჩუმი ბიჭი, არც უნდილაძეებს ჰგავდა და არც ვარდანიძეებს. რაღაცნაირი განწირულების ნიშანი აჩნდა თითქოს სახეზე. ქუთაისიდან პირდაპირ მარუხის უღელტეხილზე მოხვდა. სწორედ იმ დღეს, ნაწილში რომ ჩავიდა, მთელი ბატალიონის თვალწინ დახვრიტეს ორი ქართველი ბიჭი. ისინი თავიანთ სოფელში გაპარულიყვნენ ორიოდე დღით თავისიანების სანახავად, იქედან ცოტა რამ საგზალი და სასმელი ამოეტანათ ამხანაგებისათვის და კვლავ დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ უნებართვოდ წასვლა არ აპატიეს, სასწრაფოდ მოუწყეს საველე სასამართლო, გამოიყვანეს თავიანთი ამხანაგების თვალწინ ქამარშეხსნილი, ზურგს უკან ხელებგაკრულნი, თავიანთი ბედით გაოგნებულნი, დააყენეს მწკრივის წინ, ხმამაღლა წაუკითხეს განაჩენი რუსულ ენაზე და იქვე ჩაცხრილეს ავტომატის ჯერით. ამ დაუნდობელმა სისასტიკემ რუსის ჯარისადმი სრული უნდობლობის გრძნობა გაუღვიძა კაკოს. ბრძოლის ხალისი ისედაც არ ჰქონდა და კიდევ უფრო დაეკარგა. როცა ბატალიონი ფრონტის ხაზს მიუახლოვდა და ქვემეხების გრუხუნი მოისმა, კაკო დაუძლეველმა შიშმა შეიპყრო, გული სადღაც, დაბლა ჩაუვარდა. ჯარისკაცებს მღელვარება და შეშფოთება დაეტყოთ, რაც უფრო ძლიერდებოდა ომის ექო, მით უფრო იძაბებოდა ჯარისკაცთა სახეები, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ იქ, წინ, საშიშროებით აღსავსე ფრონტის ხაზზე რა ხდებოდა, აღგზნებულად აცეცებდნენ თვალებს, თითქოს მთებს შორის მოქცეულ ვაკეზე უჩუმრად მოთარეშე სიკვდილის აჩრდილს ხედავდნენ. მიტოვებული სანგრები დაჭრილებით და დახოცილებით იყო სავსე. ტყვია სეტყვასავით ცვიოდა და კაკო ცახცახმა აიტანა, თოფს ჩაბღაუჭებული სანგრის ნესტიან კედელს მიეკრა და თავს ვერ სწევდა მაღლა, ამიტომ არც კი იცოდა რა ხდებოდა ირგვლივ. ზოგიერთები წამოიმართებოდნენ და სროლას განაგრძობდნენ, ყოველი მხრიდან ისმოდა საშინელი ბათქა-ბუთქი, სრული განწირულება, სრული უპატრონობა აგრძნობინებდა, რომ ბოროტი გარემოებების მონად თუ სათამაშოდ ქცეულიყო, არ ჩანდა ხსნა, ავი ძალა, უცნობი, უჩინარი, განადგურებით ემუქრებოდა და როცა სანგრებს ნაღმსატყორცნები დაუშინეს და გადარჩენილი ჯარისკაცები თავის საშველად უკან გაიქცნენ, რათა შეტევაზე გადმოსულ მტერს ხელთ არ ჩავარდნოდნენ, კაკოც წამოხტა და გაედევნა მათ, უგზოუკვლოდ და უწესრიგოდ გაფანტულთ მდინარისპირა ვაკეზე. ზოგიერთი მორბენალი უცებ წაბორძიკდებოდა და ეცემოდა, აშკარა იყო, მტრის ტყვია ეწეოდა ზურგზე, მაგრამ მდინარეს რომ მიუახლოვდნენ გულამოვარდნილნი, ტყვია ორთავე მხრიდან წამოვიდა და კაკო მიხვდა, აძაღლებულ გაღმა ნაპირზე მდგარი შინსახკომის ჯარიც ესროდა უკან დახეულ მებრძოლებს. სიკვდილი გარდუვალი იყო და უცებ კაკომ თოფი დააგდო, წელში ღრმად მოხრილი მდინარისაკენ გაიქცა, წყალში ჩახტა და ტრიალ-ტრიალით მიჰყვა დინებას, რომელმაც იგი კარგა ხანს ათრია, ხან ჩაიძირა, ხან ამოაგ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დო ზედაპირზე და ბოლოს ერთი უზარმაზარი ლოდიანის ძირში შეაცურა. კაკომ ოდნავ სული მოითქვა. სროლა ახლა შორიდან ისმოდა, მდინარის ჩქრიალს ვერ ფარავდა. ასე თუ ისე, ეს უხიფათო ადგილი ჩანდა და კაკო მზად იყო დაუსრულებლად მჯდარიყო აქ დამალული. მაგრამ დაუსრულებლად აქ ჯდომა არ შეიძლებოდა, ბოლოსდაბოლოს იპოვნიდნენ, ან მტერი ჩამოიცლიდა, ან ჩვენიანი, და როცა დაღამდა, მთელი დღე წყალში მდგარი კაკო უხალისოდ გამოვიდა თავისი საფარიდან. უცბად იგრძნო, რომ კიდევ ერთხელ გადატანა იმ საშინელი წუთებისა მის ძალას აღემატებოდა, აქ გაჩერება აღარ შეეძლო და ძალიან მოუნდა საკუთარ სახლში ყოფნა. წამით წარმოუდგა მის თვალწინ დახვრეტილი ბიჭები, მაგრამ ამ მოგონებას არ შეუჩერებია, სახლში რამეს მიშველიანო, გადაწყვიტა და დაიძრა ქვემოთ, სამხრეთისაკენ. საითაც სამშობლო ეგულებოდა და საიდანაც მოიყვანეს ამ სასაკლაოზე. ღამღამობით მიდიოდა, როგორც ნადირი, ოდნავ ინათებდა თუ არა, მოხერხებულ ბუნაგს პოულობდა და მთელი დღე იცდიდა განაბული. ზოგჯერ ესმოდა გზაზე მიმავალი მანქანების ღმუილი, ცხენების ჭიხვინი, ადამიანების ყვირილი, ჯარი უკან იხევდა. ერთ ღამეს ცხენების ლეშს წააწყდა, რომელიც დამშეულ ჯარისკაცებს აეკუწათ, იქვე ცეცხლი დაენთოთ, მოეხარშათ და შეეჭამათ. შიმშილი ძალიან აწუხებდა, ჯიბეში ჩარჩენილ შავ პურს და შაქრის ნატეხს იზოგავდა და სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ზურგში, თუმცა ახლა ეს მისთვის მტრის ზურგი იყო, ყოველ ნაბიჯზე ხიფათის შემცველი, რადგან თუ დაიჭერდნენ, დახვრეტა არ ასცდებოდა. ეს მან რასაკვირველია, კარგად იცოდა, სიფრთხილის შეგრძნება გაუასკეცდა, რაღაცნაირად თავს არიდებდა ადამიანებს, ბოლოს და ბოლოს გადმოლახა მთები და შეძლო ხეობაში შემოძრომა. ადვილი იყო დღისით საიმედო სამალავის პოვნა, ღამით სწორი გეზის გაგნება, მაგრამ ერთ მთვარიან ღამეს მაინც მოაღწია წიფლნარამდე ტანსაცმელშემოფლეთილმა, გაძვალტყავებულმა. კიბე აიარა და უკანა ოთახის კარზე დააკაკუნა. ეს მისი ოთახი იყო, მისი და ბადრისა, მაგრამ ომში რომ წაიყვანეს მას მერე, ქეთევანი წიფლნარში სტუმრად მყოფ გიორგის აქ აძინებდა ხოლმე, ბადრის გვერდით, კაკოს ლოგინში, და იმ კაკუნზე პირველად სწორედ გიორგის გაეღვიძა.

— ვიღაც მოვიდა, — წამოიძახა მან.

— რომელი ხარ? — დაიყვირა ბადრიმ.

— გამიღეთ კარი, — ძლივს გაისმა კაკოს ხმა.

ყველანი წამოიშალნენ, კაკო ოთახში შემოიყვანეს, ქეთევანს ტირილი აუვარდა ესოდენ ნატანჯი და გაჭირვებული შვილის დანახვაზე.

— გამეიქეცი? — ჰკითხა ტიტიკომ შვილს.

— კი.

მერე გიორგის ისევ ჩაეძინა და აღარ ესმოდა, როგორ ბანდა დედა ლაფაროში კაკოს, არც მათი საუბარი გაუგონია, თუმცა მთელი ღამე ლაპარაკობდნენ. დილით, უფროსებმა გააფრთხილეს, არსად წამოგცდეს კაკო რომ ჩამოვიდაო, თორემ სუყველას დაგვიჭერენო, და ისიც ამაყად ინახავდა ამ საიდუმლოს. კაკოს სამხედრო ტანსაცმელი სადღაც გააქრეს, თვითონ კაკო ოთახიდან არ გადიოდა, მაგრამ როგორც ჩანს, წიფლნარისთანა დიდ სოფელში კაცის დამალვა საშიშ საქმედ მიიჩნიეს და რამდენიმე დღის შემდეგ ტიტიკომ შვილი თბილისში წაიყვანა, ალბათ იმედი ჰქონდა, იქ რამეს გაახერხებდა და როგორმე გადაარჩენდა სასჯელს.

თბილისში გიორგის კაკო აღარ უნახავს, თუმცა იცოდა, მამიდა ცუცასთან იმალებოდა, ვერაზე, ყოფილ ივანიძისეულ ბინაზე. რომელიც შამშესაგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერგო ცუცას. უფროსებისაგან გაგებული ჰქონდა, ივანიძე ერთხანს ჩიოდა ამ ბინის გამოო, მაგრამ მერე იგი ხელმეორედ დაუჭერიათ და ბინა ცუცას შერჩა, თურმე, სადაც ახლა თავის ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. აქაურობა გულზე არ ეხატებოდა გიორგის, ნახევრად სარდაფის ნესტიანი სუნი, კაპასი მამიდის განუწყვეტელი ჯუჯღუნი უსიამოვნო გუნებაზე აყენებდა. თუმცა ბიძამისი ვანო უყვარდა და მასთან შეთვისებული იყო, მაგრამ იმათთან სტუმრობას მაინც თავს არიდებდა, როგორც შეეძლო. ზოგჯერ ტიტიკო მოდიოდა და რაღაცაზე ელაპარაკებოდა ხოლმე შამშეს, ალბათ, კაკოზე, და შამშე დარბოდა სადღაც, გავლენიან ნაცნობებში და ცდილობდა როგორმე ეხსნა ძმისწული. ყოველივე ამას გიორგი ხედებოდა უფროსების საუბრიდან, ბოლოს ისიც გაიგო, რომ კაკო კვლავ წაიყვანეს ფრონტზე, ამჯერად საჯარიმო ბატალიონში, ტიტიკო კი ისევ წიფლნარში დაბრუნდა. იმ ხანად სულ ქერჩზე იყო ლაპარაკი, სადაც ქართველთა დივიზია თითქმის მთლიანად განადგურდა. ასახელებდნენ იქ დაღუპულ ნაცნობებს, ვიღაცას ვიღაცა სადღაც ენახა დაჭრილი, ბრძოლა ზღვის პირზე მიმდინარეობდა და ბევრი მებრძოლი ზღვაში ჩამხრჩვალიყო. ვიღაცა, გიორგის მშობლების მეგობარი, ჩაძირული გემიდან გადმომხტარიყო, ცურვის უცოდინარი წყალზე ატივტივებულ მორს მოსჭიდებოდა და სამშვიდობოს გამოსული ზედ ნაპირზე მტრის ტყვიას თუ ყუმბარას განუგმირავს. საშინელი დაბომბვისაგან გადასარჩენად გამოქვაბულში შეხიზნული მოსახლეობა და დაჭრილები ეხვეწებოდნენ, თურმე, შამშეს ყოფილ თანამშრომელს ახალგაზრდა ექიმ ქალს, შენ ახალგაზრდა, უცოდველი ადამიანი ხარ, ილოცე, იქნებ, რამე გვეშველოსო. ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ. ასე მიიწურა ზამთარი. ერთხელ ცუცამ ამბავი მოიტანა, კაკო ქერჩში დაღუპულაო.

ომში ბევრნი იღუპებოდნენ, მეზობლები, ნათესავები. ეს იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ გიორგი ამას სრულიად ჩვეულებრივად აღიქვამდა. ერთხელ, მეზობელმა ნელი ძაძამიამ, რომელიც მაშინ სტუდენტი იყო, გიორგის შავი სასკოლო ჩანთა თავის ასეთსავე ყავისფერ ჩანთაში გაუცვალა. ნელის ძმა შოთა ომში დაღუპულიყო, ნელი შავებით დადიოდა და უნდოდა ჩანთაც შავი ჰქონოდა. გიორგის ახსოვდა შოთა, იგი სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ზოგჯერ, მკლავს მოღუნავდა და გიორგის თავის მაგარ კუნთებს ასინჯვინებდა. ეს იყო და ეს. ომში მოკლული კაცი გიორგის არ ენახა და იქ სიკვდილი არ მიაჩნდა საშინელ რამედ. ერთხელ, სოფელში ამბავი მოვიდა, ვიღაც ნათესავი დაღუპულიყო. იმ ნათესავს გიორგი არ იცნობდა. წავიდნენ მისასამძიმრებლად. ბაბუამ ტექნიკუმის „პრალიოტკა“ მოიყვანა. ჩასხდნენ შიგ ქალები: ბებია, მართა, დედა, თინა. შავი კაბები ეცვათ, შავი ხილაბანდები ეფარათ თავზე. გიორგი ბაბუას გვერდით მოთავსდა კოფოზე და მთელი გზა ცხენის რიტმულად მოძრავ ფეხებს შესცქეროდა. მშვენიერი ამინდი იდგა. შარაზე გადმოწოლილ ხის ტოტებქვეშ მიმავალ ეტლში, თავი ფოთლების მწვანე გვირაბში გეგონებოდა. ბაბუა ალვირით ცხენს მიმართულებას აძლევდა და ისმოდა ფლოქვების მონოტონური თქარუნი. ზოგჯერ ალვირს გიორგისაც აჭერინებდა და გიორგი სიხარულით მეშვიდე ცაზე იყო. მერე ერთ უზარმაზარ ეზოს წინ გაჩერდნენ. მწვანე მოლით აბიბინებულ ეზოს სიღრმეში ორსართულიანი ხის ოდა-სახლი მოჩანდა, სახლის წინ დიდი ცაცხვი შრიალებდა. ჩამოვიდნენ ვიშვიშით პრალიოტკიდან, გადაიარეს თხრილზე გადებული ქვის ბოგირი, გააღეს რკინის ჭიშკარი, შევიდნენ ეზოში. ბაბუამ ცხენი ხეზე მიაბა, თივა დაუყარა, გიორგის ხელი მოჰკიდა და მიჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებს. სახლის აივანზე ვიღაც შაოსანი ქალი გადმოდგა. მერე ყველანი მოთქვამდნენ, იცრემლებოდნენ. შევიდნენ ოთახში და კედელზე გაკრულ სამხედროფორმიანი მამაკაცის გადიდებულ სურათს მიაჩერდნენ. ტირილს რომ მორჩნენ, დამხვდურმა ქალმა გიორგის თავზე ხელი გადაუსვა. მერე აივანზე გამოვიდნენ, დასხდნენ და ლაპარაკობდნენ. გიორგი ეზოში ჩავიდა და გაიარ-გამოიარა. სახლის უკან, ბოსტნის ღობესთან, პატარა ბოჩოლა ბალახს ძოვდა. გიორგი მივიდა ბოჩოლასთან და მოეფერა. იქვე, წითელბიბილოიანი ჭრელი მამალი დედლებს უკუტკუტებდა, ზოგჯერ გაბრაზებული იფხორებოდა, მაგრამ ეტყობოდა, გიორგისა მაინც ეშინოდა, ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა, თუმცა შიშს არ იმჩნევდა. სანამ უფროსები აივანზე ისხდნენ, გიორგიმ მთელი ეზო მოირბინა, ხიდან მწიფე მსხალი მოწყვიტა და გემრიელად ჩაკბიჩა. ღობის გადალმა, ტოტებჩაწმახნულ თხმელის ბუჩქებს შორის პატარა ღელე გადიოდა, რომელზედაც ვიწრო ბოგირი იყო გადებული, სულ ორი, ერთმანეთზე მსხვილი მავთულით გადაბმული ფიცარი. გიორგი ღობეს დაეყრდნო და მღვრიე წყალს დააკვირდა. წყალი ჩქრიალით მოედინებოდა, შიგ ქარაგოზით დაფარული ქვები ეყარა. უცებ, გიორგის მოაგონდა აქეთობისას ბებიას ნათქვამი, ღიდი ხნის წინათ, ამ ოჯახის უფროსი შვილი, ეზოს გვერდით ჩამავალ ღელეში ჩაიხრჩო. იგი მაშინ სამი წლისა ყოფილა, მეზობლისას გადასულ დედას გასდევნებია, ბოგირზე ფეხი დასცდენია, ღელეში ჩავარდნილა და ჩამხრჩვალა. ახლა მეორე ვაჟიც დაეღუპათ ომში. წამით გიორგი ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას მისწვდა, ხილული ქვეყნის მიღმა ჩახლართულ განრიგს, მაგრამ ყოველივე ამას ისე აღიქვამდა, როგორც შორეულ, მითიურ ამბავს, დროისა და სივრცის დაუსაბამო წიაღში უკვალოდ განფენილს.

მერე უფროსები აივნიდან ჩამოვიდნენ და პრალიოტკისაკენ გაემართნენ. გამომშვიდობებისას, ომში დაღუპული ნათესავის დედამ გიორგის ისევ გადაუსვა თავზე ხელი. ერთი წუთითაც არ უფიქრია გიორგის, რომ სატირალში იყო, რომ ამ ოჯახში უბედურება ტრიალებდა. ის მგზავრობა სასიამოვნოდ დაამახსოვრდა. სალამოს, უკანა ოთახში, ლამპის შუქზე ჩაის რომ სვამდნენ, ბაბუამ ახალგაზრდობის დროინდელი ამბავი მოიგონა. ნიკოლზის დროს, ბათუმში ორი ძმები ცხოვრობდნენ, ძალიან მდიდარი ვაჭრებიო. ცოლ-შვილი არცერთს არა ჰყავდაო. ერთხელ, ერთი ძმა მომკვდარა და სოუქსუს სასაფლაოზე დაუმარხავთ, მეორე ძმა ამ დროს ბათუმში არა ყოფილა, სავაჭროდ გამგზავრებულიყო რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე, სადაც მთელი ქვეყნის ვაჭრები იკრიბებოდნენ. რომ ჩამოსულა, აუჩემებია, ამოთხარეთ საფლავი და ჩემი ძმა მაჩვენეთ. ძალიან ცუდი სიზმარი ვნახეო. ამოთხარეს საფლავი, ახადეს კუბოს თავი და რა ნახეს? მიცვალებული პირქვე იწვა და სიმწრისაგან თითები დაჭმული ჰქონდა, ცოცხლად დაუმარხავთ, თურმე.

— რატომ დამარხეს ცოცხლად? — მიაშტერდა გიორგი ბაბუას.

— მკვდარი ჰგონებიათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თურმე საღათას ძილით სძინებია და ვერ მიმხვდარან, სამარეში გაღვიძებია, მაგრამ რას ამოვიდოდა ზემოთ? მერე სასაფლაოს დარაჯი ყვებოდა, მაგ საფლავიდან ერთ ღამეს ყვირილი მესმოდაო...

— მთელი ბათუმი ამაზე ლაპარაკობდა მაშინ, — ჩაურთო ბებიამ.

— ბევრი უბედურება ხდება ქვეყანაზე, ჩემო ბატონო, — დაასკვნა ბაბუამ და ჩაი მოხვრიპა, გიორგი კი, ლოგინში რომ ჩააწვინეს იმ ღამეს კარგა ხანს წრიალებდა, ვერ იძინებდა, თითქოს საიდანღაც უცნაური და დაგუბული ყვირილი ესმოდა.

სიკვდილის საზარელ რაობას იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, გრძნობდა. მიცვალებულს რომ ჩამოასვენებდნენ ქუჩაში და აჟივჟივებული ბავშვები დაედევნებოდნენ პროცესიას, გიორგი დამფრთხალი, შემკრთალი, თან დაინტერესებული აეკრობოდა ხოლმე კედელს, მიცვალებულის ცივი, გაყინული მდუმარებით და გამსვენებელთა გამძაფრებული ქოთქოთით დაბნეული. ერთხელ თეთრ კუბოში ჩასვენებული პატარა ბიჭი ჩამოასვენეს და დოლის და ზურნის ხმაზე შეშფოთებასთან ერთად სიბრალული იგრძნო იმ უცნობი ბიჭის მიმართ. მაგრამ როცა მიცვალებულს ვერ ხედავდა, როცა ამბობდნენ ვიღაცაზე ომში დაიღუპაო, ამას გიორგი ვერ განიცდიდა. ვერ ირდგენდა, ომი მის ცნობიერებაში გმირულ ქმედებასთან იყო დაკავშირებული და არა სიკვდილისა და განადგურების შემზარაობასთან. ამიტომ, კაკოს სიკვდილი რომ გაიგო, სკოლაში ამაყად განაცხადა, ფრონტზე ბიძაშვილი დამელუპაო.

იმ წელიწადს, ერთი თვე სოფლის სკოლაში გაატარა. სექტემბრის დამლევს, თბილისში რომ ჩამოიყვანეს, აქ მას დიდი სიახლე დახვდა. კლასში გოგოები აღარ იყვნენ, მათ ნაცვლად ახალი ბიჭები მოეყვანათ, სკოლასაც ახლა ვაჟთა პირველი სკოლა ეწოდებოდა. გიორგის ძლიერ მოეწონა, რომ ამიერიდან ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე ისწავლიდნენ და თავიანთი სკოლები ექნებოდათ. მის აღქმაში გოგონები იყვნენ სრულიად უცხო, დაპირისპირებული, თითქმის მტრული არსებანი, რომლებიც ყოველნაირად ხელს უშლიდნენ, ზღუდავდნენ, რომელთა საქციელი, ლაპარაკი, თამაშობანი და აღნაგობა მისთვის სრულიად გაუგებარი იყო.

რა თქმა უნდა, კარგი იყო გოგოები და ბიჭები ერთმანეთს რომ დააშორეს, მაგრამ სოფლის სკოლაში გიორგი თავს უფრო შინაურულად, მყუდროდ გრძნობდა. მასწავლებელი ბებუცა ახალგაზრდა ჩამრგვალებული ქალი იყო რომელსაც შავი თმა ლოყებზე ჩამოსდიოდა ბუსუსებად ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ თავში, თითქოს ამით ჭკუა შეემატებოდათ. ბავშვები ხელებს იფარებდნენ სახეზე და ღრიალებდნენ, მათი შეშინებული სახეები და ცემატყეპა გიორგის უსიამოვნო გუნებაზე აყენებდა, მაგრამ ამავე დროს პირველობის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ სანიმუშო მოსწავლეა და სხვებს აღემატება, დაფარული სიამაყით ავსებდა.

თბილისში ეს გრძნობა გაუქრა. აქ სხვა ბიჭებისგან არაფრით გამოირჩეოდა, ზოგიერთები სჯობდნენ კიდეც, უკეთესად წერდნენ და კითხულობდნენ. აქ რაღაცნაირად შეზღუდული იყო, თვითონ ქალაქის დახშული სივრცე ბოჭავდა მას. არც სკოლის ცივი და ბნელი დერეფანი უყვარდა, სადაც შესვენების დროს ბავშვები თავდაყირა გადადიოდნენ. რა შეედრებოდა სოფლის სკოლის მყუდრო ეზოს, ხეებით დაბურულს, სურნელოვანს, შემოდგომის მზით გამთბარს, დრო და დრო ზარის წკრიალით აჟღერებულს, სადაც მეზობლის უფროსი ბავშვები შესვენებისას ზღმარტლით და უნაბით უმასპინძლდებოდნენ და მუჟამ უღიმოდნენ. თბილისში კი სკოლის შენობაც დიდი იყო, პირქუში, ცივი და ზოგჯერ, გაკვეთილის დროს, ფანჯრიდან გასცქეროდა ქაშვეთის ეკლესიის წვეტიან გუმბათს, ქალაქის უფერული ცის ფონზე გამოკვეთილს, და ოცნებით საყვარელ სოფელში გაფრენილს მარო მასწავლებლის მკაცრი შეძახილი აფხიზლებდა. მასწავლებლები უმეტესად ქალები იყვნენ, ხანდაზმულნიც და ახალგაზრდებიც, ისინი ვერ უმკლავდებოდნენ ერთად თავშეყრილ ამდენ ბიჭებს, წიოდნენ და კიოდნენ, და ალბათ სჯობდა ბიჭებს აღმზრდელებად მამაკაცები ჰყოლოდათ, რადგან კაცი კაცმა უნდა აღზარდოს, მაგრამ მამაკაცები ცოტანი იყვნენ მაშინ ქალაქში.

გიორგი თანდათან უახლოვდებოდა ამხანაგებს. მის გვერდით მერხზე ბადრი იჯდა, ქერათმიანი, ყოჩაღი ბიჭი, გიორგიზე ღონიერი და მაღალი. ისიც სოლოლაკის უბანში ცხოვრობდა და გაკვეთილების შემდეგ ხშირად ერთად მიდიოდნენ შინ. ბადრის მამა ომში იყო, დედა კი სადღაც ბუღალტრად მუშაობდა. ერთხელ, ბადრის სკოლაში მოაკითხა და თან ბადრის პატარა დაც მოიყვანა, ორიოდე წლის ოქროსკულულებიანი, ცისფერთვალება, ენატიკტიკა ნაზი ბავშვი. ერთად წავიდნენ მაშინ სახლში, გიორგიმ და ბადრიმ აქეთ-იქედან ხელები ჩასჭიდეს ბავშვს, ჰაერში აიტაცეს და გაარბენინეს და გახარებული გოგონა სიხარულისაგან ისე კისკისებდა, თითქოს ჩიტის ბარტყი ულურტულებსო. ეს იყო გაზაფხულზე, სწორედ მაშინ, კაკოს დაღუპვის ამბავი რომ გაიგეს. ამის შემდეგ გიორგის ბადრის პატარა და აღარ უნახავს. მალე არდადეგები დაიწყო და ბავშვები საზაფხულოდ მიმოიფანტნენ, ხოლო სექტემბერში, როცა ისევ დაიწყო სწავლა, ბადრი მოწყენილი, შეცვლილი დაბრუნდა სკოლაში. ერთ ბშვენიერ დღეს, გიორგიმ შეიტყო, რომ ბადრის და ამ ზაფხულს, ტვინის ანთებით მომკვდარა სოფელში.

როცა ეს უთხრა ბადრიმ, გიორგი გაშტერდა და უეცრად, თვითონაც ვერ იგრძნო ისე, თავი ჩაღუნა და ატირდა. ისინი პიონერთა სასახლის ბაღის კედელთან იდგნენ, ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა. გიორგის რცხვენოდა, რომ ტიროდა, ჩანთა დააგდო, სახეზე ხელები აიფარა. ვიღაცამ ჩანთა შეაჩეჩა და მხარზე ხელი დაადო. გიორგიმ თავი ასწია. ეს ბადრი იყო. იგი კუშტად შემოსცქეროდა. მერე მხარზე ხელი გადახვია და ნელ-ნელა, კედელ-კედელ, ჩანჩალ-ჩანჩალით გაუდგნენ გზას შინისაკენ.

ეს იყო პირველი შემთხვევა თვალით უნახავმა სიკვდილმა ასე რომ შეაძრწუნა, აგრეთვე პირველი შემთხვევა მოყვასისადმი თანაგრძნობამ ესოდენ რომ შეარყია და საკუთარი ინტერესების ნაჭუჭიდან გამოიყვანა. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიდან ბადრი უფრო ახლობელი გახდა, გადატანილმა უბედურებამ აამაღლა მის თვალში, ავბედითმა გამოცდილებამ რაღაცნაირი უპირატესობა მიანიჭა, დანარჩენი ამხანაგებისგან გამოარჩია, და რადგან ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ხშირად სკოლაში ერთად მოდიოდნენ, სკოლის შემდეგ კი შინ ყოველთვის ერთად ბრუნდებოდნენ, — მეგობრებად, ძმაკაცებად თვლიდნენ თავს. ერთუბნელობა ზოგჯერ სრულიად საკმარისი მიზეზი იყო ბიჭების დასაახლოებლად. თუკი ბადრის სხვა ბიჭებთან ჩხუბი მოუვიდოდა, გიორგი თავს მოვალედ თვლიდა დახმარებოდა, თუმცა ბუნებით მოჩხუბარი არ იყო, არ უყვარდა აყალ-მაყალი, ყველანაირად ერიდებოდა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული იყო თავი დაეცვა და ამხანაგებიც კარგ მოჩხუბარს უფრო აფასებდნენ. გიორგის შეეძლო ჩხუბი, თუმცა ბადრის ვერ შეედრებოდა, ის ამ საქმეში უფრო გამოცდილი და მარჯვე იყო, რადგან არასოდეს, არავის, არაფერს უთმობდა. ჩხუბის საბაბი ათასი წვრილმანი და მსხვილმანი იყო, ხან კოჭობანას თამაშის დროს დავა ატყდებოდა, ხან ვინმე შეგაგინებდა ან შემთხვევით დაგეჯახებოდა. ბადრი არასოდეს უკან არ იხევდა. მას პატივს ცემდნენ, ყოველშემთხვევაში, ანგარიშს უწევდნენ. უამრავი კოჭები ჰქონდა, სხვადასხვაფრად შეღებილი და თან დაატარებდა ჩანთაში, თუმცა მასწავლებლები კოჭების გამო მკაცრად სჯიდნენ ბავშვებს, თითქოს ეს სასარგებლო თამაში რაღაც დანაშაულთან იყო დაკავშირებული. ბადრი ამას არაფრად დაგიდევდათ, მოგებულ კოჭებს ცვლიდა, ზოგჯერ ჰყიდდა და აღებული გროშებით სკოლის ბუღეტში პატიჟებდა გიორგის, სადაც მუდამ ზედახორა და დამშეული ბავშვების წიოკობა იყო ერთი ციდა უგემური ფუნთუშის მოსაპოვებლად.

ზოგჯერ გაკვეთილების შემდეგ, ისინი კოლმეურნეობის მოედანზე ჩაუხვევდნენ, სადაც თავს იყრიდნენ ქალაქის სხვადასხვა კუთხეებიდან ჭრიალით, ხრიგინით, ზარის წკარუნით აქამდე მოსული სხვადასხვაფრად, წითლად და მწვანედ შეღებილი ტრამვაიები, რომელთაც მოჰყავდათ ჭრელი ხალხი, ტრამვაიდან ჩამოსვლისთანავე მოედანს რომ მოედებოდნენ, აქ დამხვდურებში ითქვიფეებოდნენ, შედიოდნენ დახურულ ბაზარში, ჯერ კიდევ სალდათის ბაზარს რომ ეძახდნენ ხანშიშესული მოქალაქეები, რადგან პირველი მსოფლიო ომის დროს, აქ თურმე, ჯარისკაცების თავშეყრის ადგილი იყო, ისევე, როგორც რკინიგზის სადგურთან, დეზერტირის ბაზარზე — დეზერტირებისა. ბიჭები ტრამვაიზე ახტომა- ჩამოხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს მეტად საშიში გართობა იყო, ეს იყო სიკვდილთან თამაში, ბევრი ბავშვი ეწირებოდა ამ საქმეს, ტრამვაის ქვეშ ვარდებოდნენ უბედურები და იღუპებოდნენ ან სამუდამოდ სახიჩრდებოდნენ, მაგრამ სხვებს ეს არ აშინებდათ, მაინც აგრძელებდნენ ტრამვაიზე ახტომა-ჩამოხტომას, რადგან გასართობებით მწირ და უბადრუკ ქვეყანაში, ეს სარისკო ვარჯიშობა ვაჟკაცობის გამოვლენად ითვლებოდა. ქურდი რისი ქურდი იყო, თუ ტრამვაის ვაგონში ვინმეს რამეს ააცლიდა და გაქანებული ტრამვაიდან გადმოხტომას ვერ მოახერხებდა, და რაკი ისეთი დრო დამდგარიყო, რომ ქურდი ვაჟკაცის ეტალონად ითვლებოდა, დაუფიქრებლად ბაძავდნენ მათ პატარა ბიჭები, ჯერ ტრამვაიზე ხტუნაობას იწყებდნენ, მერე სხვა ცდუნებანი ელოდათ წინ. ასეთი იყო დროის სული და ვერაფერი აღუდგებოდა მას. ერთი ბიჭი, გიორგის კლასელი და მეზობელი ნოდარი, გაკვეთილების შემდეგ ზურგზე ჩანთამოკიდებული, ბერიას მოედანს გადაირბენდა ხოლმე, პუშკინის ქუჩიდან ამომავალ ტრამვაის გაეკიდებოდა, ბიგელს ჩამოსწევდა, ტრამვაი ჩერდებოდა, ატყდებოდა ჩოჩქოლი, იგი კი ისევ უკან მორბოდა თავმომწონედ გახარებული, ამით იყო ცნობილი მთელ უბანში. ერთხელ, მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ამხანაგმა რაულმაც სცადა იგივეს გაკეთება, მაგრამ ვერ მოახერხა, გაქანებულ ტრამვაის ქვეშ შეუვარდა და დაიღუპა. ამ შემთხვევამ გიორგი შეაძრწუნა. მოედნის მეორე მხრიდან იგი ხედავდა, როგორ მირბოდა „მატროსკაში“ გამოწყობილი პატარა ბიჭი ტრამვაისკენ, როგორ ჩამოეკიდა ბიგელის დასამაგრებელ თოკს, მაგრამ ძვრა ვერ უყო, თოკმა ათრია და ბოლოს ბორბლებქვეშ შეაგდო. ტრამვაი გაჩერდა, ატყდა აურზაური, გიორგი ცახცახმა აიტანა. მას მერე დიდხანს ედგა თვალწინ მისი თანატოლი ბიჭის ჭორფლიანი სახე, ოდნავ წითური, აჩეჩილი თმა, ამ თმაზე დაკოსილი, ბერიას მოედნის კუთხეში ორსართულიანი უნივერმაღში ნაყიდი ფოჩიანი ესპანური ქუდი, ასეთი ქუდი მაშინ მოდაში იყო ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირთა საპატივსაცემოდ. ერთერთი ესპანელი გმირი ხოსე დიასი სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდა და ერთ ნაცრისფერ დღეს, სწორედ იმ დროს, ბავშვებს გაკვეთილები რომ დაუმთავრდათ და ქუჩაში გამოეფინნენ, ეს კაცი მეხუთე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა, ქვაფენილზე დაენარცხა და სული განუტევა. გიორგი ხედავდა, როგორ გადარბოდა ხალხი გამზირის მეორე მხარეს, ჯორჯიაშვილის ქუჩის დაღმართისკენ, სადაც ტროტუარზე ეგდო გასისხლიანებული, დალეწილი რევოლუციონერი. მერე იგი ოფიცერთა სახლიდან გამოასვენეს ზარბაზნის ლაფეტზე დადეს და დიდი პატივით დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. უფროსები ამბობდნენ, გერმანიის ჯარების ძლევამოსილმა წინსვლამ დეპრესიაში ჩააგდო და იმიტომ მოიკლა თავიო.

ამხანაგის დაკრძალვაზე რომ წაიყვანეს ბავშვები სკოლიდან, ყვავილებით დაფარულ კუბოში მწოლარე რაულის სრულიად თეთრმა, უფერო სახემ გააკვირვა გიორგი და კუბოსთან მდგარი მამამისი დაამახსოვრდა, მაღალი, გამხდარა, ჭაღარა მამაკაცი, ხელებს რომ იფშვნეტდა უსასოოდ და მხრებს იჩეჩავდა წარამარა. იმ ხანად რაულის მოგონება შიშს ჰგვრიდა, განსაკუთრებით საღამოობით, მაგრამ ტრამვაიზე სახტუნაოდ მაინც დაჰყვებოდა ბადრის, თითქოს ის საშიშროება, რაც ტრამვაიზე მხტომელებს ელოდათ, მათთვის არ არსებობდა. ერთხელ, მამამისის ამხანაგმა კოწია ჩიქოვანმა დაიჭირა და ყური აუწია, მეორედ არ გნახო ამ არემარესო. იმავე საღამოს შინ ეწვია და მშობლებთან დაასმინა, და ძლიერ გაუჯავრდნენ, დატუქსეს. ყველაზე მკაცრად კოწია ჩიქოვანი ელაპარაკა და ამის შემდეგ ეშინოდა ამ ხანშიშესული, მელოტი, მაღალი კაცისა, რომელსაც ჯარში არასოდეს უმსახურია, მაგრამ გალიფე შარვალს და აზიურ ჩექმებს ატარებდა, სამხედრო ხალათს იცვამდა წელზე შემოჭერილი მსხვილი ქამრით და ასევე ნახევრად სამხედრო გრძელკარტუზიან მაღალ ქუდს იხურავდა, ძველი ბოლშევიკების მოდის მიხედვით, თუმცა არც ბოლშევიკი ყოფილა ოდესმე. ამ შიშის მიუხედავად, ტრამვაიზე ხტუნაობისათვის თავი არ დაუნებებია და ბევრჯერ მართლაც დაუფარავს განგებას, მრავალჯერ გადარჩენილა გაქანებულ ვაგონზე ახტომისას ან ჩამოხტომისას, მაგრამ იგი ამას ვერ გრძნობდა. ის ბიჭები, ვინც გაქანებულ ტრამვაის დასდევდნენ, ქუჩის ბიჭად ითვლებოდნენ, თავზეხელაღებულ ხულიგნებად, ამ გატაცებას თანდათან დანაშაულის ელფცერი ეძლეოდა და გულის სიღრმეში გიორგის სულაც არ იტაცებდა ეს გასართობი, უბრალოდ არ უნდოდა სხვებს ჩამორჩენოდა, თორემ კოლმეურნეობის მოედანზე წანწალს პიონერთა სასახლეში სიარული ერჩივნა, მისი დიდი დარბაზები, სარკეებიანი ოთახები, ვიწრო კორიდორები და მყუდრო კაბინეტები მეტისმეტად იზიდავდა. მთელი ქალაქიდან მოდიოდნენ აქ ბავშვები და სხვადასხვა წრეებში ეწერებოდნენ. არსებობდა ლიტერატურის წრე, სადაც თურმე ლექსის წერას ასწავლიდნენ ბავშვებს, მხატვრების წრე, ნორჩი მხატვრების პეიზაჟები და ნატორმორტები კედელზე იყო გაკრული, ტურიზმის წრე, სამოგზაუროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაჰყავდათ ბავშვები ორ სანდომიან მანდილოსანს კოჯორში ან ბეთანიაში, მათემატიკის წრე და კიდევ სხვადასხვა წრეები, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმისა, სადაც რევოლუციის ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობას აცნობდნენ მოსწავლეებს. ამ წრეში, ზოგჯერ, პირდაპირ სკოლიდან მოჰყავდათ ბავშვები პიონერხელმძღვანელს საექსკურსიოდ, ეს დიდი, მაღალჭერიანი, ფართო ფანჯრებიანი ოთახი უყვარდა გიორგის. იგი პირდაპირ მეფისნაცვლის გაშენებულ ბაღს გადაჰყურებდა. აქედანვე შეიძლებოდა ბაღში გამავალ ლამაზ აივანზე გასვლა, მაგრამ ბავშვებს ბაღში არ უშვებდნენ, ეს რატომღაც აკრძალული იყო. სანამ ბავშვები ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტს ათვალიერებდნენ, ფანჯარასთან მდგარი გიორგი ბაღს გასცქეროდა. იქ სუროსა და მწვანე ფოთლების ფარჩაში გახვეული ასწლოვანი ხეები გარინდული იდგნენ, რათა არ დაერღვიათ ძველი ბაღის იდუმალი, დაბინდული სიჩუმე, რომელიც თითქოს გარდასულ დროთა ხსოვნას ინარჩუნებდა. ჩიტების გალობაც კი ისე ისმოდა იქედან, ვით შორეული, იმქვეყნიური ძახილი, საუკუნენახევრის წინათ აგებული ეს სასახლე მრავალი ამბების მომსწრე გახლდათ, მაღალი საზოგადოების დროსტარებისა, მხიარული მეჯლისებისა, მენშევიკური პარლამენტის შეხლაშემოხლისა. ახლა ბავშვების ერიამულით იყო აღსავსე და გიორგის უყვარდა აქ ყოფნა, მაგრამ ვერცერთი წრე ვერ აირჩია და ბოლოს ისე ბიბლიოთეკაში ჩაეწერა, სადაც სრულიად ჭაღარა, დაპატარავებული სახედანაოჭებული ბიბილიოთეკარი ქალი, უკბილობის გამო ჩიფჩიფით რომ ლაპარაკობდა და ცხვირი და ნიკაპი ერთნაირად ჰქონდა წაწვეტებული, თვითონ ურჩევდა წიგნებს ბავშვებს და გიორგი გატაცებით კითხულობდა მისგან შემოთავაზებულ „აივენგოს," „რობინზონ კრუზოს", „უსახლკაროს," „დავით კოპერფილდს," „საიდუმლო კუნძულს" და თანდათან უნვითარდებოდა წიგნის სიყვარული. ბერიას მოედნის კუთხეში, შტაბის გვერდით, სულ პატარა წიგნის მაღაზია იყო, შიგ ორი კაცი ვერ დატეოდა. აქვე იყიდებოდა საკანცელარიო საქონელი, კალმები და კალმისტრები, სამელნეები და სხვა ამგვარები და მოწაფეები ხშირად შედიოდნენ მაღაზიაში. ვიტრინაში წიგნები იყო გამოფენილი. სკოლიდან მომავალი გიორგი ხშირად ჩერდებოდა ამ ვიტრინის წინ და გულდასმით ათვალიერებდა თაროებზე განლაგებულ წიგნებს. ერთხელ გამყიდველი, სქელი, ხუჭუჭთმიანი, ჭაღარა და ღაჟღაჟა კაცი, გარეთ გამოვიდა და გიორგის დაუძახა, ბიძია, მოდი აქ. შენო!

— კითხვა იცი?

— დიახ!

— გიყვარს წიგნები?

— დიახ!

— აბა, მაშინ მე ერთ კარგ წიგნს შეგინახავ და უთხარი მშობლებს აუცილებლად გიყიდონ. შენისთანა ბიჭისთვის აუცილებელია ამ წიგნის წაკითხვა, ეს არის აკადემიკოს ტარლეს შრომა „ნაპოლეონი," — და თაროდან სქელი წიგნი გადმოიღო, რომლის ყდაზე გამოსახული იყო სამკუთხა ქუდიანი, მაზარის უბეში ხელჩაყოფილი იმპერატორის პორტრეტი.

შინ რომ ეს ამბავი მიიტანა, მეორე დღეს, მამამ მართლაც უყიდა ის წიგნი და მერე დიდხანს, დიდი გატაცებით კითხულობდა ნაპოლეონის ისტორიას, ეცნობოდა მის გმირულ ბრძოლებს და უდრეკ ხასიათს და უნდოდა თვითონაც მას დამსგავსებოდა. ნაპოლეონი მისთვის ისეთივე მისაბაძი გმირი გახდა, როგორც ტარიელი და ავთანდილი, აივენგო და რიჩარდ ლომგული, გიორგი სააკაძე და პატარა კახი. ამ დროისათვის მამისგან იცოდა ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრის, ჰანიბალის და დავით აღმაშენებლის არსებობა. რასაკვირველია, წიგნები აფართოებდნენ მის თვალსაწიერს და იგი სულ უფრო და უფრო ბევრს კითხულობდა განურჩეველ-ად, ხარბად, რაც კი ხელთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუვარდებოდა, „ინდიანა“ იქნებოდა ეს თუ „პოლი და ვირჟინი,“ „სამი მუშკეტერი“ თუ „ჩელკაში“, „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ თუ „ბაშიაჩუკი.“ ყველაფერს, რასაც კითხულობდა, სრულ ჭეშმარიტებად აღიქვამდა, გრძნეულ სინამდვილედ, ეს იყო ცხოვრება, რთული და მრავალსახოვანი და ერთხანს გაოგნებული დადიოდა წიგნში გაგებული გასაოცარი ამბებით შეპყრობილი, უცნობ სამყაროში გადახვეწილი, რომელიც კარგა ხანს ფლობდა მის ფიქრებს და ვინმესთვის სურდა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. იგი ბადრის უყვებოდა ყველა წაკითხული წიგნის შინაარს, ზოგ რამეს თვითონ უმატებდა, თვითონ იგონებდა რაღაც ამბავს. ბადრის კითხვა არ უყვარდა, მაგრამ მოსმენა შეეძლო და სიამოვნებით უსმენდა სკოლიდან შინისკენ მიმავალ გზაზე. ზოგჯერ, ისიც უყვებოდა გიორგის როგორ მოიგო ფული ყომარში. კოჭობანადან იგი თანდათან ზარზე გადავიდა, ბიჭები სარდაფში ჩადიოდნენ და მიწაზე ჩაცუცქულნი გატაცებით აგორებდნენ კამათლებს, და რადგან ბადრი საკმაოდ ხშირად იგებდა ხოლმე, მას მუდამ ჰქონდა ფული, რომ ერთ მუჭა მოხალულ მზესუმზირაზე დაეპატიჟებინა თავისი მეგობარი.

ზარის თამაში გიორგის არ იზიდავდა, თუმცა ბავშვებისათვის აკრძალულ ამ აზარტულ გატაცებას ზოგჯერ ისიც ესწრებოდა მეგობრის ხათრით. მაგრამ მან იცოდა, რომ ეს იყო ცუდი საქმე. ათას სისაძაგლეს ამბობდნენ ყომარბაზებზე ანუ ზარისტებზე. ერთი ცნობილი პროფესორის ვაჟმა თავი მოიკლა, რადგან საკუთარი საცოლე წააგო ზარშიო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საცოლე უნდა მიეგვარა მოგებულისთვის. უამრავი მახინჯი ნიძლავი არსებობდა მოთამაშეებისათვის, ყველაზე ბნელი, ყველაზე მდაბალი ინსტინქტების გამომვლინებელი და გამომხატველი, და ბავშვებიც ბაძავდნენ იმას, რაც მოწონებულ და მიღებულ იყო. ისინი თავის ნებაზე დაეხეტებოდნენ. ბადრის დედა უმცროსი შვილის სიკვდილის შემდეგ ხშირად ავადმყოფობდა, გიორგის დედა, მას შემდეგ, რაც მეორე შვილი შეეძინა, ყურადღებას ვერ აქცევდა გიორგის. შეიძლება იგი, საერთოდ, არც იყო ყურადღებიანი მშობელი. მას შეეძლო გვიან ღამით შინისკენ მიმავალს და მეგობრებთან ბაასით გართულს იქვე მყოფი შვილი გადავიწყებოდა. ერთხელ, გიორგი ისე გაამწარა ასეთმა უყურადღებობამ, რომ ნაბიჯს აუჩქარა, შინ მარტო მივიდა, აივნის კიბეებზე ჩამოჯდა და დაუწყო ლოდინი მშობლებს. კარგა ხნის მერე ისინი გულგახეთქილნი მოვარდნენ, ბოლოს და ბოლოს გიორგი მოჰგონებოდათ და რომ ვერ ეპოვათ, დაეწყოთ მისი ძებნა ქუჩაში. მერე ვიღაც მიმხვდარიყო, იქნებ გაგავასწრო და შინ მივიდაო...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წერილმანი იყო, მაგრამ გიორგი სხვაგვარად აღიქვამდა ამგვარ წვრილმანებს. არც ის უყვარდა, სადმე სტუმრად ან თეატრში მიმავალი მშობლები ელენა პეტროვნასთან ან მეზობელ მოხუც ბებო სათენიკასთან რომ ტოვებდნენ გვიან ღამემდე, ძილმორეულს, დაღლილს. მეორეს მხრივ, ამას თავისი უპირატესობა ჰქონდა, არავინ ამოწმებდა მის მარშრუტებს, სადაც უნდოდა იქ დადიოდა, მაშინ როდესაც ზოგიერთ ბიჭებს დედები კუდში დასდევდნენ, სკოლაში მოჰყავდათ და მიჰყავდათ შინ, და ასეთი მზრუნველობით მეტიმეტად ზღუდავდნენ, სხვების საცინლად ხდიდნენ. ამ მხრივ, გიორგი და ბადრი თავისუფალნი იყვნენ და იყენებდნენ კიდეც თავიანთ თავისუფლებას. მთელი უბანი შემოვლილი ჰქონდათ, ყველა ქუჩა და ყველა ეზო, ზოგჯერ მთაწმინდის კალთებზე ადიოდნენ და დაფოფხავდნენ ნუშის ხეებით დაფარულ ფლატე ფერდობებზე. ისინი იცნობდნენ უბნის ბიჭებსაც, თუ ჩხუბი იყო ან რაიმე მოსალაპარაკებელი, ესწრებოდნენ ამ შეკრებებს. ერთხელ, დავითაშვილის ქუჩის ბოლოში, ოქროყანიდან ჩამოშავებულ ღარტაფში, შეგროვილნი იყვნენ გიორგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი და კიდევ სამი ბიჭი, რომელთაგან ორს ერთმანეთში ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი სწორედ ამ დროს უჩამ ჩამოიარა. მათ არ იცოდნენ, რა უნდოდა უჩას აქ. გიორგის გაუხარდა უჩას დანახვა, რადგან ძლიერ მოსწონდა ეს ბიჭი. იგი ერთი კლასით წინ სწავლობდა. ლამაზი ბიჭი იყო, თამამი, ამაყი. შავი, ხუჭუჭი თმა შუბლზე ეყარა, ლურჯი თვალები მხიარულად უბრწყინავდა. ზამთარ-ზაფხულ მოკლე, მუხლზე შეკრული შარვალი და ხავერდის ქურთუკი ეცვა, პიონერის ყელსახვევის ნაცვლად შავი ბაფთა ეკეთა ხოლმე. ყველაფერში ყოჩაღი და მარჯვე იყო. ეტყობა, მამა არ ჰყავდა, რადგან მამას არასოდეს არ ახსენებდა. დედამისი კი მსახიობი იყო. გიორგის რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი უჩა დედასთან ერთად ქუჩაში მომავალი. რატომღაც ის ქალი არ მოსწონდა. იგი წარბებს იპუტავდა და იღებავდა, ტუჩებზე ყოველთვის წითელი პომადა ჰქონდა წასმული, გრძელი ფრჩხილებიც წითლად გაპრიალებული. რომელ თეატრში თამაშობდა ეს ქალი და რა როლებს ასრულებდა, გიორგიმ არ იცოდა და არც აინტერესებდა, თუმცა უჩა ყოველთვის ამაყობდა დედით, დიდი წარმატებები აქვსო. ეტყობა, მას თავისიანებით თავმოწონება უყვარდა. ტრაბახობდა ბიძითაც, რომელიც ბობოლა ჩეკისტი იყო. ეს კაციც ჰყავდა ნანახი გიორგის. შავი „ემადინით“ ზოგჯერ სკოლაში მოჰყავდა უჩა. გაბღენძილი კაცი იყო და მუდამ უკან იჯდა, უჩას დედასთან ერთად, უჩას კი მძღოლის გვერდით სვამდნენ. უჩა კმაყოფილი გადმოდიოდა ხოლმე მანქანიდან. ვისი მანქანაა, თუ შეეკითხებოდნენ ბიჭები, ბიძაჩემისაა, დედაჩემის ბიძაშვილისაო, ამაყად პასუხობდა.

იმ დღესაც სკოლაში მოუყვანიათ, დაუტოვებიათ და წასულან. მაგრამ მასწავლებელი ავად გამხდარიყო და გაკვეთილები გაცდა. უჩა ნელა დაბრუნდა შინისაკენ, მაღაზიების ვიტრინების თვალიერებით გართული, ზურგზე ჩანთა მოკიდეებული. შინ რომ მივიდა, გასაღები ამოიღო, კარი გააღო, ოთახში შევიდა. ამ დროს დედამისი ან რეპეტიციაზე იყო ან ეძინა, მაგრამ ახლა დედის ფარდებჩამოშვებული დაბნელებული ოთახიდან რაღაც ყრუ ხმაური, საწოლის ჭრიალი და კვნესა მოესმა. ჩანთა მოიხსნა, სავარძელზე მიაგდო და დედის ოთახის კარს მიაშურა. უცნაური რამ დაინახა: დედამისი და ბიძამისი ერთად იწვნენ ლოგინში გაშიშვლებულნი, ერთმანეთს ჩახუტებულნი, ულამაზოდ ამოძრავებულნი. სირცხვილისა და ელდისაგან ენა ჩაუვარდა. მიხვდა რა ბიძაც იყო ეს კაცი მისი, რა ბიძაშვილიც დედამისისა. თავზარდაცემული უკან გამობრუნდა. სკამზე დაგდებული შარვალი შეამჩნია, რომლის ქამარზე რევოლვერის ბუდე იყო მიმაგრებული ბუდე გახსნა, რევოლვერი ამოიღო, უბეში შეინახა, კარი გაიბრახუნა და ქუჩაში გავიდა. კარის ბრახუნმა მიჯნურები გამოაფხიზლა „ვაიმე, მგონი, უჩა მოვიდა,“ წამოიძახა მსახიობმა. „შეუძლებელია,“ ვითომ დაამშვიდა შეშფოთებულმა ჩეკისტმა. „უჩა!“ დაიძახა ქალმა. ხმა არვინ გასცა. იგი წამოდგა, ხალათი მოისხა და მეორე ოთახში გაიხედა. სასოწარკვეთილი უკან შემობრუნდა, ფერწასული, მობარბაცე, ვითარცა ქალი კამელიებით. „უჩა ყოფილა, ჩანთა გდია სავარძელში. დავიღუპე!“ „იქნებ, ამ ოთახში არც შემოუხედავს?!“ ისევ იმშვიდებდა თავს შეშფოთებული ჩეკისტი. ისიც წამოდგა და შარვალს ეცა. „ბიჭოს, ჩემი იარაღი აღარ არის...“

უჩა კი ამ დროს დავითაშვილის აღმართს მიუყვებოდა, შეურაცხყოფილი, დამცირებული, გულგატეხილი და უსაზღვროდ საყვარელი დედისადმი ზიზღით გამსჭვალული. ქუჩა რომ მოათავა, ხევს აუყვა. ქვემოთ ბიჭები დაინახა და სცადა არიდებოდა მათ. „უჩა, უჩა!“ დაუძახეს ბიჭებმა, გიორგიმ და ბადრიმ, მაგრამ არ უპასუხა, გზა განაგრძო. არავის დანახვა და არვის ხმის გაგონება მას არ სურდა, ზედა ბილიკზე გადაინაცვლა და კლდის ძირს მიადგა. ტინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზარში წყალი მოწურწურებდა და მიწა სველი იყო. უჩა მობრუნდა, გახედა მისთვის აწ უკვე საძულველ ქალაქს, ატირებულმა, აცახცახებულმა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე, „იქნებ არ ღირს," გაუელვა წამით, მაგრამ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, რევოლვერი უბიდან ამოიღო, საფეთქელთან მიიდო და ჩახმახს გამოჰკრა.

გაისმა სროლის ხმა, თითქოს ცა ჩამოინგრაო, იქუხა ექომ. შეშინებულმა ბიჭებმა ერთმანეთთან დავას თავი დაანებეს. „ბიჭო, მგონი უჩამ ისროლა," წარმოსთქვა ბადრიმ. იმ სამმა სწრაფად მოჰკურცხლა, რამე შარს არ გადავეკიდოთო. ბადრი ქაცვიან კორდს აუყვა და ზედა ბილიკზე აძვრა, სადაც წეღან უჩამ გაიარა. გიორიც უკან მიჰყვა. მან გაიგონა ბუჩქებში შემძვრალი ბადრის ყვირილი, წამის შემდეგ კი დაინახა მიწაზე გულაღმა გაშხლართული, გაშეშებული, სისხლით მოსვრილი პატარა ბიჭის გვამი. ხელიდან გავარდნილი რევოლვერი, იქვე, შორიახლო ეგდო. „თავი მოუკლავს!" წამოიძახა ბადრიმ, გიორგის ხელი ჩაავლო და ორივენი გულგახეთქილები გამოიქცნენ. ქალაქისკენ ჩამავალ ბილიკზე ვიღაც დალანდეს ზემოთკენ სწრაფად ამომავალი და გიორგიმ დაუძახა:

— ძია, აქ ერთმა ბიჭმა თავი მოიკლა!

— სადა?

— აგე იქა! — და ისევ გაიქცნენ, იელის ბუჩქებში იძრომიალეს ფერდობის გასწვრივ და სანამ სამშვიდობოზე გამოაღწევდნენ, ერთ მოფარებულ ადგილას, ნაშალი კლდის ძირში, უცნაურ სანახაობას წააწყდნენ: ქალის მაღლა აშვერილ ფეხებს და მათ შორის მოქცეული თვალებგადმოკარკლული მამაკაცის ბანჯგვლიან სახეს. ერთხანს, მონუსხულებივით შესჩქეროდნენ გააფთრებულ ძალისხმევას, წეღან ნანახ სიკვდილზე არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ეს საიდუმლო სანახაობა. რეტდასხმული იდგნენ, დაფარული რეალობის ნიღაბჩამოგლეჯილი სიშიშვლე ჟრუანტელს ჰგვრიდათ, პირი გაშრობოდათ, გული ბაგა-ბუგით უცემდათ და ბოლოს, როცა უცნაური ჭიდილი დამთავრდა, შერცხვათ, ქურდებივით ჩამოიპარნენ ქალაქში და ერთმანეთს ხმის ამოუღებლად დაშორდნენ.

სიცხიანი ავადმყოფივით ცუდად გრძნობდა თავს გიორგი მთელი საღამო. აუტანელი სიმძიმე ზედ დაერთო თითქოს. შიში და გაოცება ტალღასავით ასკდებოდა მის გულს, ხან ტყვიით განგმირული უჩა ედგა თვალწინ, ხან ბუჩქებით დაფარულ ნაშალთან ნანახი ამაჟრჟოლებელი სურათი და ყველაფერი ეს ერთად, მახინჯი კალეიდოსკოპივით ტრიალებდა მის თავში. იგი რაღაცას ელოდა, გაურკვეველი მოლოდინი სულს უფორიაქებდა. ბოლოს, ძილის დრომ რომ მოაწია, ვიღაც ამობრახუნდა აივანზე და კარზე მოაკაკუნა. ეს იყო მილიციელი.

— უნდილაძე გიორგი აქა ცხოვრობს? — იკითხა მან.

— დიახ, — უპასუხა დედამ.

— განყოფილებაში უნდა წავიყვანო ჩვენების ჩამოსართმევად!

— რაშია, ამხანაგო, საქმე? — სკამიდან წამოდგა მამა.

— დღეს სოლოლაკის ხევში ერთმა ბიჭმა თავი მოიკლა, თქვენი შვილი იქა ყოფილა იმ დროს...

— რა გინდოდა, ბიჭო იქ? — დაუსისინა გიორგის გამწარებულმა დედამ, — ნეტავ სად დეეთრევა, სად დაბოდიალობს ეს ბავშვი?! — და უცებ, საშინელი განწირულობისა და სიმარტოვის შეგრძნება ყელში მაჯლაჯუნასავით მოებჯინა, გიორგი აცახცახდა, ატირდა, დედის დაფეთებულ, გაფითრებულ სახეს, რომელზეც თანაგრძნობის მაგიერ შიში და წყრომა დაინახა, თვალი მოარიდა და მამას შეევედრა: „არ მინდა, მამა, მილიციაში," მაგრამ არაფერი გაუვიდა, მაინც წაიყვანეს. მამას არ შეეძლო მისი დაცვა და თუმცა გზად მილიციისაკენ გული მახეში გაბმული ჩიტივით უფართხალებდა, მამის ხელი, რომელსაც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ხელი ეჭირა, რაღაც იმედს მაინც უნერგავდა.

გამომძიებელთან მამაც შეჰყვა, უღიმ-ღამო, ნახევრად ბნელ, დახუთულ ოთახ-ში. გიორგი კუთხეში დასვეს, მილიციელი თავზე ადგა, ვითომ რა, გიორგი გაიქცეოდა? მამა და გამომძიებელი კარგა ხანს ლაპარაკობდნენ, დავობდნენ, ხან ერთი უწევდა ხმას, ხან მეორე და გიორგიმ იცოდა, მისი ბედი წყდებოდა. ბოლოს ისიც იხმეს მაგიდასთან.

— იცნობდი უჩას? — მკაცრად შეეკითხა გამომძიებელი.

გიორგიმ თავი დააქნია.

— რატომ არ განაცხადე, რომ რევოლვერი ისროლა?

— ერთ კაცს ვუთხარი.

— ვის?

— ვიღაც კაცს.

— ჰმ. შენ თუ წესიერი პიონერი ხარ, მოსულიყავი მილიციაში და აქ გეთქვა, რაც ნახე.

ბოლოს და ბოლოს, გაუთავებელი, უაზრო შეკითხვების შემდეგ, გიორგი მიხვდა, რომ უჩას თვითმკვლელობის გამჟღავნებისთანავე, ერთერთ მის ამხანაგს დაეტრაბახებინა, მაგ დროს მეც იქ ვიყავიო, ეს გარემოება მილიციისთვის ცნობილი გამხდარიყო და ახლა ყველა ის ბიჭები, მათ შორის ბადრიც, მილიციის სარდაფში ისხდნენ და ისხდებოდნენ დილამდე, ვიდრე უფროსი არ მოვიდოდა და არ გადაწყვეტდა მათ საქმეს. გამომძიებელმა გიორგის დაწვრილებით მოაყოლინა, რაც მან ნახა და იცოდა და გულდასმით ჩაიწერა.

— დასაჭერები ხართ ყველანი! — იმუქრებოდა გამომძიებელი, თითქოს სიამოვნებდა იმის შეგრძნება, რომ პატარა ბავშვზე მეტი ძალა ჰქონდა.

უცნაური იყო, მაგრამ გამომძიებლის ოთახში მყოფ გიორგის თავისი თავი მართლა დამნაშავე ეგონა, თუნდაც იმის გამო, რომ ამ საშინელ ამბავს შეესწრო შემთხვევით. მხოლოდ დიდი ხნის მერე გაიაზრა მან, რომ ეს გრძნობა დაუცველობისა, უპატრონობისა სულ ადრეულ ასაკში უყალიბდებოდათ და უვითარდებოდათ მისი თაობის ადამიანებს ამ ყოვლად უსამართლო ქვეყანაში, სადაც ძალადობაზე იყო დამყარებული ყველაფერი. ამიტომ სამორიგეოში რომ გაიყვანეს და ფიცრულ გალიაში ჩასვეს, გიორგი თავჩაღუნული დაჯდა სკამზე, თითქმის იმედგადაწურული, სასოწარკვეთილი. სამორიგეოში მთელი ღამე არ შეწყვეტილა ღრიალი, დედის გინება, იყო გაწევ-გამოწევა, მთელი ღამე მოათრევდნენ ვიღაც მაწანწალებს, კახპებს ჯიბგირებს, ზოგს ქვემოთ, საკნებში ათავსებდნენ, სადაც გიორგის ამხანაგებიც ისხდნენ, ზოგს ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ აქვე. მამამისი დერეფანში იდგა უმწეოდ მხრებჩამოყრილი და მილიციის უფროსის მობრძანებას ელოდა. ავი ღამე ყველაფრისადმი უნდობლობით მსჭვალავდა გიორგის სულს და შეიძლება, საპატიმროს გისოსებით ერთმანეთს დაშორებულ მამაშვილს შორის შეუმჩნევლად იბზარებოდა ცივი ნაპრალი მომავალი გაუცხოვებისა და დაპირისპირებისა, ურთიერთ ბრალდებებით და უკმაყოფილებით დამძიმებული, ცხოვრების წინააღმდეგობებით და ბედისწერის ნებით განსაზღვრული, რომელშიც ბრალი არავის მიუძღვოდა.

7.

გარიჟრაჟზე გიორგის ჩაეძინა და ერთბაშად გაქრა ბინძური სამორიგეო, განიავდა ბნელ კორიდორში საპირპარეშოს მყრალი სუნით გაჟღენთილი ჰაერი, თვალს მიეფარა კედელთან ატუზული მამა, მთელი ღამე რომ იყურყუტა აქ, და ძილმა გიორგი სულ მარტო დატოვა თავის თავთან, თავის შიშთან და უიმედობასთან და სიმახინჯის განმასახიერებელი უპირსახო ურჩხული გისოსებაკრული ფანჯრიდან ცალი თვალით უთვალთვალებდა უცნობ ოთახში ჩაკეტილ გიორგის. ოთახი ცარიელი იყო, ვერსად ვერ დაიმალებოდი, და როცა მახინჯი სახე სარკმელში გამოჩნდებოდა, შიშისგან აცახცახებული გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელს ეკვროდა. ის გრძნობდა, რომ სადღაც უნდა წაეყვანათ ამ ოთახიდან და საშინელების მოლოდინისგან გული ეწურებოდა. მერე კარი გაიღო, შემზარავი არსება ოთახში შემოღრიალდა და გულგახეთქილი გიორგი ზეზე წამოვა-

მორიგე მილიციელი ახლადმოყვანილ პატიმარს უყვიროდა. აცახცახებული და რეტდასხმული გიორგი ძლივს მოეგო გონს. ოფლში იყო გაწურული. თავი ტკიოდა, სხეული უხურდა, პირი უშრებოდა, სინამდვილე წეღანდელი სიზმარივით უნუგეშო იყო. ისევ დაჯდა. სახეზე ხელები აიფარა. ამ დროს მორიგემ ფიცრულის კარი გააღო და გიორგი გარეთ იხმო, უფროსთან გეძახიანო. იგი თავჩაღანული მიჰყვა მილიციელს ნახევრად ბნელ კორიდორში. მამამისი არსად ჩანდა, ალბათ შინ წავიდაო, გულდაწყვეტით გაიფიქრა გიორგიმ და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სიცოცხლეს ეთხოვებოდა. მაგრამ უფროსის ოთახში რომ შეიყვანეს, ჰამამისიც იქ დახვდა, უფროსის მაგიდის გვერდით სკამზე მჯდარი და ისევ მიეცა რაღაცის იმედი. მისი ამხანაგები თავჩაქინდრულნი იდგნენ კედელთან, მათი მშობლები – მეორე მხარეს. მილიციის უფროსი სქელი, გაბღენძილი კაცი იყო. იგი მკაცრად უმზერდა კედელთან ატუზულ ბავშვებს და მათ მშობლებსაც. მერე ტუქსვა დაუწყო, სად დაეთრევით, სად დაწანწალებთ, გაკვეთილების შემდეგ რატომ შინ არ მიდიხართო, თქვენ თუ წესიერი ხალხი ხართ, რა გინდოდათ ოქროყანის ხევშიო, იქნებ, ის უბედური ბიჭი სულად რომელიმე თქვენგანმა მოჰკლაო. იგი ზოგჯერ მშობლებსაც უბრალებდა თვალებს, თქვენს შვილებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთო და უცებ გიორგიმ შეამჩნია, რომ ამ საყვედურებს მამამისი დამამცირებელი, პირმოთნე ღიმილით ისმენდა, როგორც სამართლიან შენიშვნას, ალბათ, მილიციის უფროსის საამებლად, და ძალიან გული დაწყდა. ბოლოს მილიციის უფროსმა დაამთავრა თავისი მკაცრი სიტყვა, ახლა ყველას შინ გაგიშვებთ, მაგრამ კიდევ თუ ჩამივარდით ხელში, ყველას ავჭალის კოლონიაში გიკრავთ თავსო, და გამოუშვა ისინი გარეთ, მზით განათებულ დილის წიაღში, იმ ჩვეულ განზომილებაში, რომელიც მირაჟივით გამქრალიყო მათი ცნობიერებიდან, ვიდრე ისინი პირქუში სატუსაღოს საკნებში შეყრილნი თან მიჰყვებოდნენ უთავჟამო ღამის დინებას. ქალაქი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, აყაყანებული ხალხი პურისა და ნავთის რიგში იდგა, მოქალაქეები მიდი-მოდიოდნენ თავიანთ საქმეებზე. გიორგის უჩა მოაგონდა და ტანში გააჟრჟოლა, რადგან ცხადად გაიაზრა, რომ ის აღარ იყო, თუმცა ყველაფერი ისევ ისე იყო.

შინ მისვლამდე მამას ხმა არ ამოუღია და შინ რომ მივიდნენ, არც დედას უთქვამს საყვედური, მაგრამ ორივენი ისე გამოიყურებოდნენ, რომ გიორგიმ თავი დამნაშავედ იგრძნო. მისთვის არსებობა დანაშაულს დაუკავშირდა და ამ შეგნებით გამსჭვალული თავჩაღუნული იდგა კედელთან. დედის შემოთავაზებულ საუზმეზე უარი თქვა, მამამ საათს დახედა და უბრძანა, სკოლაში წასულიყო და შინ დროზე დაბრუნებულიყო და მან ჩანთა აიღო, ეზოში ჩალასლასდა, მაგრამ ალაყაფის გვირაბს რომ გასცდა, გული აერია, მუხლები მოკვეთა და წაიქცა. მეზობელმა მეწაღემ, რომელსაც მოპირდაპირე სადარბაზოში ედგა ჯიხური, დაინახა და ხელში აყვანილი მიუყვანა მშობლებს, მიტკალივით გაფითრებული. გულგახეთქილმა მშობლებმა სასწრაფოდ გახადეს და ლოგინში ჩააწვინეს. მამამისი ექიმებთან გაიქცა, ბურანში წასული გიორგი ლოგინშიც ცახცახებდა, კბილს კბილზე აცემინებდა, დედა კი ცხელ შუბლზე სველ ტილოს ადებდა. მერე მიხვდა, რომ ექიმი მოვიდა, თვალები გაახილა. ეს იყო პროფესორი ლორთქიფანიძე, ცნობილი ბავშვთა მკურნალი, გიორგი წინათაც გაუსინჯავს მას. ის იყო ალერსიანი ბავშვების მოყვარული ადამიანი და მისი ღიმილი და კეთილი თვალები გიორგის ამხნევებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგივიდა, ვაჟკაცო? — თავზე ხელი გადაუსვა პროფესორმა, საბანი გადახადა, პერანგი აუწია და ცივი ხელი დაადო გავარვარებულ სხეულზე. იგი დიდხანს სინჯავდა გიორგის და აქეთ-იქეთ ატრიალებდა. ბოლოს პერანგი ჩამოუწია, საბანი გადააფარა, სტეთოსკოპი შეინახა, ისევ აუჩეჩა შუბლზე ჩამოყრილი თმა და პირსაბანთან მივიდა ხელების დასაბანად. ექიმი მამამისს ელაპარაკებოდა, გიორგიმ კი კვლავ მილულა თვალები და კედლისკენ გადაბრუნდა. უცებ მან იგრძნო, რომ ეს კედელი იყო მისი თავშესაფარი, მისი დასაყრდენი, მყუდრო ნავსაყუდელი, თვალი გაახილა და სიცხიანი ხელი მოუთათუნა კედელს. უფრო სწორად კედელზე აკრულ ძველებურ ნოხს, უცნაური ორნამენტებით, ნახაზებით და ფერებით აჭრელებულს. ერთხანს უცქირა ამ ჩუქურთმებს, ეს იყო მეტად მახლობელი და მიმზიდველი სამყარო, ფარული აზრით გასჭვალული, სითბოსა და იმედით ჩამნერგავი უცნაური სინამდვილე და იგი თითს აყოლებდა სხვადასხვა ხაზებს, სხვადასხვა გამიზნული მიმართულებით რომ მიემართებოდნენ, და თან მიჰყვებოდა მათ თავის ოცნებით სრულებით არამქვეყნიურ რეალობაში და ეს მოგზაურობა უჩვეულო ნუგეშს უნერგავდა. მას შემდეგ, როგორც კი ბურანიდან გამოერკვეოდა, ესოდენ მახლობელი კედლისკენ შებრუნდებოდა ხოლმე, თითს ააყოლებდა რომელიმე ჩუქურთმის ხაზს, სადღაც ცაში რომ მიდიოდნენ და სხვა ხაზებში იხლართებოდნენ, და თვითონაც მუხლებზე წამომჯდარი მაღლა მიჰყვებოდა იმ ფერადებით ნაქსოვ გზას, ვიდრე დედა ლოგინში არ ჩააწვენდა.

გიორგიმ დიდხანს იავადმყოფა. ხან ეგონათ რომ ციება ჰქონდა, ხან ნერვების დაავადება, ხან ერთიც და მეორეც. სიცხე რომ დაუვარდა, კიდევ დიდხანს იყო სუსტად და ექიმი არ აძლევდა ლოგინიდან ადგომის უფლებას. ისიც იწვა ლოგინში, ხატავდა, წიგნებს ათვალიერებდა, ხოლო როცა მამამ ჭადრაკის სვლები ასწავლა, [illegible] ჭადრაკს და თავის თავს ეთამაშებოდა. ხოლო როცა ისიც შეიტყო, რომ ჭადრაკის პარტიის ჩაწერა შეიძლება და ამ ჩანაწერის მიხედვით ნათამაშევი ხელის ხელახლა აღდგენა-გამეორება, ეს მისთვის ისეთივე უცნაური და ფანტასტიური აღმოჩენა იყო, როგორც ალბათ, თავის დროზე, კაცობრიობისათვის გუტენბერგის სტამბა. ახალი სამყარო გადაეშალა თვალწინ, ჭადრაკის უცნაური კანონები, ფიგურების განსხვავებული თავისებურებანი და შესაძლებლობანი, მათი ერთობლივი მოქმედება საერთო მიზნის მისაღწევად ცხოვრებისა და ომის წესებს ჰგავდა პატარა დაფაზე დატეულსა და აღბეჭდილს. ადრეც უყვარდა ჭადრაკის თამაშის ცქერა, გამოსავლის ძიებაში დაფასთან დახრილი, დაფიქრებული სახეები იდუმალებით ავსებდა შავ-თეთრ უჯრებზე განლაგებულ, უჩინარი ავბედითობით გამსჭვალულ ფიგურებს, ახლა კი, როცა ფარდა აეხადა აქამდე დაფარულ უცნობ სამყაროს, როცა ზოგი რამ შეიტყო იმ წესებისა, როცა ოდნავ შეაღწია მანამდე განუცხადებელ საიდუმლოს მიღმა, გრძნობდა ზეაღმტაც სიხარულს შეცნობისას, ავადმყოფობამ თითქმის მთლიანად გამოდევნა ძველი შთაბეჭდილებები მისი ცნობიერებიდან და განწმენდილი და განახლებული ეგებებოდა საბოლოო გამოჯანმრთელებას.

ერთ მშვენიერ დღეს დედამ კარი გააღო და ოთახში პატარა გოგონა შემოიყვანა. ეს იყო გულიკო. სანამ ბიჭებსა და გოგონებს განაცალკევებდნენ, ისინი ერთ კლასში სწავლობდნენ. ისიც დადიოდა პიონერთა სასახლის ბიბლიოთეკაში და გიორგი მას ესალმებოდა. ზოგჯერ გულიკო გამოელაპარაკებოდა, მაგრამ გიორგის გოგოებისა ძალიან ერიდებოდა და ამიტომ გრძელ ბაასს არასოდეს უბამდა. დედამისი პიონერთა სასახლეში მუშაობდა გერმანულის მასწავლებლად. საკმაოდ ახალგაზრდა და გაპრანჭული ქალი იყო, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარი, ტანის რხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მოსიარულე, ტუჩებ და ფრჩხილებ შეღებილი. მისი ქმარი ომში იყო და ამიტომ ამ კოპწია ქალზე ცუდი ხმები დადიოდა, ლამის კახპად გამოჰყავდათ. იმ სიდუხჭირის ჟამს, ყველა გამოპრანჭული და კოხტა ქალი კახპად აღიქმებოდა პატარა ბიჭების ცნობიერებაში. უქმროდ დარჩენილ ქალებს, ამხანაგების დედები იქნებოდნენ, მასწავლებლები თუ სხვანი, ისინი ეჭვის თვალით უმზერდნენ და ხშირად ჭორებსაც უგონებდნენ. არც გულიკოს დედას ინდობდნენ, მხოლოდ სიღარიბე და მოწყენილობა ითვლებოდა ნორმად, და ამის გამო გიორგის ამ გოგოსადმი გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა, ზიზღნარევ გრძნობას კახპის შვილისადმი ებრძოდა აშკარა სიმპათია, გიორგის თან გული მიუწევდა მისკენ, რადგან მასში ხედავდა წესიერების, გულისხმიერების, სიბეჯითისა და სერიოზულობის განსახიერებას და თან დანაშაულისა თუ ბიწიერების ლაფით შელახულადაც მიაჩნდა. გიორგის დედას გულიკო ძლიერ მოეწონა, მოეფერა, გულში ჩაიხუტა, ავადმყოფის საწოლთან სკამი დაუდგა და დასვა, თავზე ხელი გადაუსვა. გულიკოს ჰქონდა ნახშირივით შავი ხუჭუჭი თმა, შავი თვალწარბი, გრძელი წამწამები, თითქოს გაკვირვებული, მომლოდინე მზერა. გოგოების სამყარო იმდენად უცხო იყო გიორგისთვის, რომ გულიკოს სტუმრობამ ძალიან გააკვირვა და თან დაამორცხვა, მაგრამ მიზეზი უბრალო აღმოჩნდა, გულიკოს გაეგო გიორგის ავადმყოფობა ერთი მისი ამხანაგისგან და რადგან ბიბლიოთეკაში კარგა ხანია არ გამოჩნდა, ბიბლიოთეკარის დავალებით თვითონ მოუტანა წიგნი. ეს იყო „ელინური მითები". გიორგის დედა სიყვარულით შესცქეროდა გულიკოს და ჩაი შესთავაზა. გულიკომ დალია ჩაი და წავიდა.

და უცებ, გიორგიმ იგრძნო, რომ გული დაწყდა. როგორც ჩანს, გულიკოსთან საუბარი სიამოვნებდა, თუმცა თვითონ საწინააღმდეგოში იყო დარწმუნებული და სიმორცხვესა და სიუცხოვეს განიცდიდა. გოგოებში იყო რაღაც გამომწვევი, ბუნდოვანი, მიუღებელი და მიმზიდველი ამავე დროს, ისინი რაღაც იდუმალების მატარებელი იყვნენ და ეს მან სრულებით ნათლად შეიგრძნო გულიკოს წასვლისთანავე. წამით მან განიცადა სწრაფვა იმ არსებისაკენ, რომლისთვისაც მზად ხარ თავი გასწირო, მაგრამ მერე ელინური მითების სამყაროში ჩაეფლო და წამით განცდილი კვლავ დაავიწყდა.

მალე სკოლაში წასვლის უფლება მისცეს. აქ არაფერი შეცვლილიყო, გარდა იმისა, რომ ბავშვები წინ წასულიყვნენ სწავლაში, გიორგი საკმაოდ ჩამორჩენოდა მათ და კლასის დამრიგებელმა მოწინავე მოწაფეს გუგას დაავალა გაკვეთილების შემდეგ ცოტა ხანს დარჩენილიყვნენ ბიბლიოთეკაში და დახმარებოდა გიორგის უცნობი მასალის ათვისებაში. გარდა ამისა, ბადრიც არ დახვდა კლასში და გიორგიმ შეიტყო, რომ ის სხვა სკოლაში გადასულიყო, სადღაც პლეხანოვზე, რადგან დედა მოჰკვდომოდა და ობლად დარჩენილი მარტოხელა მამიდას წაეყვანა თავისთან საცხოვრებლად, თუმცა ზოგიერთები ამბობდნენ, ბავშვთა სახლში მიაბარესო.

ამ გარემოებამ გიორგი დააღონა, ეცოდებოდა ბადრი, მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ იმ ასაკში იყო, როცა ადამიანს საკუთარი მიზნებისთვის ბრძოლა არ შეუძლია, იოლად დამორჩილდა ბედს, შეეგუა საუკეთესო მეგობრის დაკარგვას და თუმცა ახსოვდა იგი, მისი მოძებნა არც უცდია და არც უფიქრია. სად უნდა ეძებნა, ქალაქი დიდი იყო, ადამიანთა გამთიშველი იდუმალებით აღსავსე და ისევ მარტო იყო გიორგი ამ დიდ და პირქუშ ქალაქში.

სულ მალე გიორგის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა, მისი ოჯახი ახალ ბინაში გადავიდა.

ეს ბინა არც ისე შორს იყო, იქვე, წერეთლის ქუჩაზე, ძველ სახლში, სამი დიდი და ნათელი ოთახი, შუშაბანდი, ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ, შუშაბანდი მომცრო ეზოს. ბინა მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართულზე იყო, ვიწრო და ბნელი კიბით უნდა ასულიყო ზემოთ. იქ ახლა რუსი ლტოლვილები ცხოვრობდნენ, რამდენიმე ოჯახი, მანამდე კი რაღაც დაწესებულება თავსდებოდა თურმე, სადაც ერთხელ დიდი სკანდალი მომხდარა, ერთერთი თანამშრომელი შუშაბანდში პისტოლეტის გასროლით დაუჭრია თავის საყვარელ ქალს, რომელთანაც შვილი შესძენია, მაგრამ შერთვას არ აპირებდა. ეს ქალიშვილი კონსერვატორიის სტუდენტი ყოფილა, შესანიშნავი ხმის პატრონი და დიდი იმედების მომცემი, მაგრამ იმ გასროლის შემდეგ აღარ შედგა მისი სასცენო კარიერა, დაჭრილმა მიჯნურმა ყელში ისე წაუჭირა ხელი, რომ ძლივს გამოსტაცეს, მაგრამ ~~ვის მშობლებსაც შეემთხვათ ეს ამბავი~~, გიორგიმ უფროსებისგან შეიტყო მოგვიანებით, რადგან ის უიღბლო ბიჭი, ვის მშობლებსაც შეემთხვათ ეს ამბავი, ამჟამად გიორგისთან ერთად სწავლობდა, მისი კლასის ამხანაგი იყო. იგი მუდამ დედას მოჰყავდა სკოლაში და დედასვე მიჰყავდა. დედა მუდამ თავს დასტრიალებდა ვით კრუხი წიწილას, მუდამ სკოლაში იყო, მუდამ დაფუსფუსებდა და სხვას ამ ბიჭის, ნუკრის ადგილზე, ამხანაგები ალბათ მასხრად აიგდებდნენ, მაგრამ ნუკრი ისეთი ღონიერი და ბრაზიანი იყო, რომ ვერაფერს უბედავდნენ, მით უმეტეს რომ, დედამისი, დეიდა ჯულიეტა იყო უაღრესად სათნო ადამიანი, კეთილი, ბავშვების მოყვარული, ოხუნჯი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს მუდამ მხრებში მოხრილი, პირში სიგარეტგაჩრილი, ცუდად ჩაცმული, ნაადრევად გაჭაღარავებული და სახედაღარული ქალი ოდესღაც ოპერის სცენაზე გამოდიოდა.

ომი რომ დაიწყო, ის დაწესებულება სადღაც სხვაგან გადაიტანეს და რუსეთიდან დევნილნი შეასახლეს სიფრიფანა ფანერით გადატიხრულ ოთახებში. გიორგის მამას, შამშეს, ბინით და ფულით უნდა უზრუნველეყო თვითოეული, აქედან რომ გადასულიყვნენ. ამ საქმეს შამშე, თავს ვერ მოაბამდა ~~ვერ~~ მარჯვე ამხანაგები რომ არ ჰყოლოდნენ, კოწია ჩიქოვანი და რაფიელა ბოთერაშვილი, კულაშელი ებრაელი, კულაშურ-ებრაელი სასაცილო კილოთი მოსაუბრე, შავულვაშდამშვენებული, კოწია ჩიქოვანის მსგავსად მუდამ სამხედრო კიტელში, განიერ გალიფეში და ჩექმებში გამოწკეპილი. იგი შამშესთან იურისკონსულტად მუშაობდა ყოველთვის ყველა საქმეში მხარში ედგა, მოხერხებული და მოუსვენარი კაცი ჩანდა, ოჯახში შინაურად ითვლებოდა, ისე იყო ყველასთან დაახლოებული, ღორის ხორცსაც გემრიელად მიირთმევდა ხოლმე, რაც გიორგის ძლიერ აკვირვებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ებრაელები და მუსულმანები ღორებისადმი სიძულვილით განსხვავდებიან სხვა დანარჩენი ხალხებისაგან. როგორც ჩანს, რაფიელი ამ წესებს არ დაგიდევდათ. კოწიასთან ერთად ისიც მუდამ საყვედურობდა შამშეს, უმარიფათო, ზედმეტად მორიდებული კაცი ხარო, მაგრამ ამ საყვედურში უფრო მოწონება, ღირსების აღიარება იგულისხმებოდა. ახლაც ისინი დარბოდნენ ლტოლვილების გასახიზნად, საბუთების შესადგენად, ვიღაცასთან რაღაცაზე მოსალაპარაკებლად და ბოლოს საქმე მოგვარდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ-გასახლებგამოსახლება და ახალი ბინის რემონტი მიმდინარეობდა, გიორგი მამიდას მიაბარეს.

მამიდამისი ავი ქალი, მუდამ გაუცინარი, კუშტად მომზირალი, გიორგის არ უყვარდა იგი. გაკვეთილების შემდეგ, მამიდის სახლისკენ რომ მიჩანჩალებდა, თავს უპატრონოდ, ობლად გრძნობდა, იმდენად უჭირდა იმ უცხო გარემოში ყოფნა. ბიძასთან, ვანო ჯაფარიძესთან დაახლოებული იყო ჯერ ლაგოდეხიდან, პატარა რუზე სათამაშო წისქვილებს რომ უკეთებდა, ის იყო ბავშვების მოყვარული მხიარული კაცი, მაგრამ უჟმური ცოლის შემხედვარეს შინ ხასიათი უფუჭდებოდა, და ესეც არ ყოფილიყო, სამუშაოდან გვიან ბრუნდებოდა და გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორვი მამიდის და მისი პატარა შვილების გარემოცვაში მუდამ დათრგუნული იყო, აშკარად გრძნობდა მამიდას მასზე ზრუნვა სულ რომ არ ეხატებოდა ყელში, წყინდა აქ რომ მოიყვანეს და დატოვეს მშობლებმა. მამიდა საკუთარ შვილებს დღეში რამდენჯერმე აჟღავლებდა და გიორგის სძულდა აქაურობა. ხშირად მოწყენით ფიქრობდა იმაზე, რომ მის ძველ, მშობლიურ სახლში ახლა უცხონი ცხოვრობდნენ. ახალი ბინა კი თავიდანვე არ მოეწონა, როცა ერთხელ, ძალზე მონატრებული დედის საანახავად კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნო ახალ სამყოფელს, სადაც [illegible] ბით იყო მოთხვრილი ყველაფერი. გალესილი კედლები, ქაღალდის ნაგლეჯებით მოფენილი იატაკი, თეთრი სითხით სავსე ვედროები, სხვადასხვა ზომის ფუნჯები; ორფეხა კიბეები, მაშინვე უგრძნო გულმა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა, შეიცვალა, გაქრა ძველი ეზოს საამო მყუდროება, სამუდამოდ დაემხო ის პატარა სამყარო, სადაც აქამდე უწევდა ცხოვრება. მერე კი ავად გახდა, ეტყობა, როცა დარდობდა, ავადაც ხდებოდა და რამდენიმე დღე სიცხიანი იწვა ჩუმად მამიდის სახლში, უცხო გარემოში უცხოთა შორის, კედლისკენ პირშექცეული. სიცხე რომ დაუვარდა, მამა მოვიდა და ახალ ბინაში წაიყვანა.

აქაურობა შეცვლილი იყო, ოთახები დაელაგებინათ, გაპრიალებინათ, ავეჯი დაედგათ, წებოსა და საღებავების სუნი გამქრალიყო, აქ სივრცეც მეტი იყო, მაგრამ მაინც არ განიცდიდა სიხარულს, ბნელი და ვიწრო შემოსასვლელი და ასეთივე კიბეები იმითაც არ სიამოვნებდა, რომ გაგებული ჰქონდა, აქ მცხოვრებმა ერთერთმა ლტოლვილმა, ახალგაზრდა ყმაწვილმა, სწორედ ამ კიბის სახელურზე ჩამოიხრჩო თავი. საღამოობით, ამ კიბეზე ასვლისა ეშინოდა, იმ წამსვე წარმოუდგებოდა თოკზე ჩამოკიდებული სხეული და დაღმეჭილი სახე. ფოტოზე და კინოში ნანახი ჭყავდა ჩამოხრჩობილები, ძირითადად [illegible] მანელთა მიერ დასჯილი პარტიზანები, ჰაერში არაბუნებრივად მოქანავენი, თითქოს სირცხვილისაგან გვერდზე მოქცეული, ჩაქინდრული თავით. თვითმკვლელი კი გიორგის არ ენახა, ან სად უნდა ენახა, რით განსხვავდება კიბის სახელურზე ჩამოკიდებული სახრჩობელაზე დაკიდულისგან? მას ეგონა, რომ თვითმკვლელის სული სადღაც აქვე, შორიახლო დახეტიალობდა. ამ მიდამოებში, ამ კიბესა და დერეფანში და მუდმივი შიში ჰქონდა აჩრდილთან შეხვედრისა. ამბობდნენ, აჩრდილები არსებობენო და ზოგჯერ ცოცხალ ადამიანებს ეცხადებიანო. ეს ცნობა წიგნებშიც ჰქონდა ამოკითხული და ამხანაგებისგანაც გაგებული და ქვეცნობიერი დაძაბულობა არ ტოვებდა და უკარგავდა იმ სილაღეს, რომლითაც სავსე იყო, ვიდრე აქ გადმოვიდოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, სკოლიდან რომ დაბრუნდა შინ, ხმამაღლა მოლაპარაკე კაცის ბოხი ხმა შემოესმა დერეფანში. ოთახის კარი შეაღო და მაგიდასთან მჯდარი, სამხედროფორმიანი, ხელშეხვეული ბრგე ჯაჭკაცი დაინახა, რომელიც მის მშობლებს ელაპარაკებოდა. ეს იყო ბიძამისი ავთო. სიხარულით მისკენ გაქცეული გიორგი ავთომ გულში ჩაიკრა, გადაკოცნა, მუხლზე დაისვა, მერე საუბარი განაგრძო. იგი დას და სიძეს თავის თავგადასავალს უყვებოდა.

8.

ქუთაისიდან დილით დაძრული ეშელონი საღამო ხანს ჩავიდა ნავთლუღში. ვაგონებიდან ჩამოყრილი თმაგადახოტრილი წვევამდელები მწკრივად დააწყეს და ყაზარმებში შერეკეს. არავინ იცოდა ვის სად უკრავდნენ თავს, რომელ ფრონტზე, რომელ სასაკლაოზე. წითელი არმია განუწყვეტლივ უკან იხევდა და დამარცხებული ჯარის კაცობა სულ არ უმაგრებდა გულს საბრძოლველად მიმავალთ. ყველა ფიქრობდა თავის გადარჩენაზე, არავინ იცოდა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ომი. ყველა გრძნობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა სისხლი დაიღვრებოდა და ბევრი ვაჟკაცი, ნავთლუღის ყაზარმებში თავშეყრილთაგან, სადღაც, უცხო მიწაზე დაასრულებდა თავის ხანმოკლე სიცოცხლეს. მაგრამ არავის ტოვებდა იმედი, რომ სწორედ თვითონ გადაურჩებოდა განსაცდელს, რომ სწორედ მას დაიფარავდა განგება. ხმები გავრცელდა, თითქოს საბჭოთა ჯარები ირანში შესვლას აპირებდნენ. ყველას უნდოდა იმ ნაწილებში მოხვედრა, რადგან ირანი შორს იყო სულ უფრო და უფრო მოახლოებული ფრონტის ხაზისგან, სადაც ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იხოცებოდა და გამანადგურებული ცეცხლი ბუგავდა ქვეყანას.

როცა ავთო სომხეთში გაამწესეს, მან შვებით ამოისუნთქა. აქ უნდა გაეველო მომზადება, სანამ ფრონტზე გაისტუმრებდნენ. ეს პატარა სომხური ქალაქი არ იწვევდა ისეთ შიშს, როგორც ფრონტთან ახლოს მდებარე ადგილები.

სამხედრო ნაწილი ქალაქის განაპირას, გახრუკული მაღალი მთებით შემოსაზღვრულ მოტიტვლებულ ზეგანზე იდგა. სავარჯიშოდ მიმავალი ჯარისკაცები ხედავდნენ შორეული, მიხაკისფერი ფერდობების ფონზე მეჩხერად დარჩენილ ხეთა შორის დაფენილ მდელოს და ზედ შავ წინწკლებად გაფანტულ ზანტად მცოხნი კამეჩების ჯოგს. ეს ჯოგი სიმშვიდეს ბადებდა, ომი აქედან შორს იყო, მაგრამ მაინც ომის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი ქვეყანა. ზოგჯერ, ნათესავების, მეგობრების და ნაცნობი ბიჭების დაღუპვის ამბავს გებულობდნენ შინიდან გამოგზავნილი ბარათების წყალობით. ბევრი ქართველი ემზადებოდა აქ, მათ შორის ასაკში განსხვავება ათი წელი მაინც იყო. დათოს დედა კლდიაშვილის ქალი ჰყავდა და თავისი მეგობრის ხათრით ზოგჯერ იგი იმერულადაც უქცევდა. მაგრამ მათ სხვა რამე აკავშირებდათ. თავისი აღნაგობით და ჯანღონით, ეს ბიჭი ჯობდა, თორემ სულ არ ჩამოუვარდებოდა ავთოს. მეცადინეობის დროს, ყველაზე მძიმე საგნებს, ტყვიამფრქვევი იქნებოდა [illegible] სავსე ხის ყუთები, სწორედ ამათ აჰკიდებდნენ და დაათრევდნენ, რადგან მთელ ნაწილში ეს ორი ითვლებოდა ყველაზე ჯანმაგარ ჯარისკაცებად და და სწორედ ეს ორნი, ტყუპებივით განუყრელად რომ იყვნენ ყველგან, მთელი ნაწილის უსაყვარლეს ფალავნებს წარმოადგენდნენ. არავის აზრად არ მოსდიოდა ამათთან შეხლა, დაპირისპირება და ისინიც კეთილად იყვნენ განწყობილნი ყველას მიმართ, უსამართლოდ არასოდეს არავინ დაუჩაგრავთ და არავისთვის უწყენინებიათ, თავისი ძალა არასოდეს გამოუყენებიათ ამხანაგების საზიანოთ. ისინი იყვნენ ყველა სუსტის ქომაგნი და დამცველნი. ნაწილში ერთი ონელი ებრაელი ბიჭი იყო, წითელთმიანი, ჭორფლიანი სახით, ჩია ტანის დათიკო სეფიაშვილი. ერთ საღამოს ავთო ყაზარმის კედელთან ატუზულ, ცხარედ ატირებულ დათიკოს წააწყდა.

— რა გატირებს, ბიჭო?

დათიკო დიდხანს არ აძლევდა პასუხს, ბოლოს ძლივს ამოილუღლუღა, ბიჭებმა ქუდი წამართვეს და შიგ ჩამიფსესო, ამას პირველად კი არ მიკეთებენო.

— აბა, მითხარი, ვინ იყვნენ, — დაიღრიალა ავთომ, მაგრამ დათიკო არ ეუბნებოდა. უარესს მიზამენო. ავთომ მაინც ათქმევინა, მუჯლუგუნებით და პანღურით გამორეკა ის ბიჭები გარეთ, ქუდები წაართვა და დათიკოს უბრძანა, ჩაფსი შიგო. დათიკომ იუარა, მაშინ თვითონ შეასრულა დანაქადნევი, ფსლიკიანი ქუდები მოძალადეებს მიუყარა და გააფრთხილა, კიდევ რომ გავიგო დათიკოს ჩაგრავთ, ქუდში ჩაფსმას არ გაკმარებთო. ამ ამბავმა მტრები შეუძინა, მაგრამ ომის დრო იყო, წვრილმანებზე ანგარიშსწორებისათვის არავის ცხელოდა, დათიკო კი ავთოსა და დათოს აღარ შორდებოდა და აღარც არავის მოუნდომებია მისი აბუჩად აგდება.

ზოგჯერ ავთო და დათო ერთმანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეძიებილავებოდნენ ახალგაზრდა დათვებივით და იმათი ბუღრაობა ართობდა და ამხიარულებდა ათასი საფიქრალით შეჭირვებულ ჯარისკაცებს. დათოს სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, მამამისი რუსთაველის თეატრის მსახიობი ყოფილიყო, ოცდაჩვიდმეტ წელს დაეჭირათ და დაეხვრიტათ სანდრო ახმეტელთან ერთად. იგი დედისერთა შვილი იყო და ზოგჯერ ნაღვლობდა შინ მარტო დარჩენილ დედაზე. ავთოსაც თავისი ხელმიუკარებელი სატრფო ენატრებოდა და ხანდახან ერთმანეთს თავისგულის ნადებს უზიარებდნენ. ისინი უფროსებსაც მოსწონდათ და არც ამათ ჰქონდათ მაინცდამაინც დიდი ძრწოლა ოფიცრებისა, განსაკუთრებით, დათოს, რომელიც ბუნებით ავთოზე თამამი იყო. ძლიერი სხეული, კარგი გარეგნობა და მხიარული ხასიათი ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა მათ სხვა ბიჭებთან შედარებით, მაგრამ ომში მიმავალ კაცს შინაგანი სილაღე და განსაკუთრებული ჯანი რას უშველის, ტყვიის წინაშე ხომ ყველა ეს უპირატესობა ბათილდება.

მწყობრში ყველაზე მაღალნი ისინი იყვნენ, განიერი მხრები, ფართო ბეჭები, წვრილი წელი, ძლიერი მკლავები, დათოს გამოკვეთილი ყბა და ყვრიმალები. უტეხი მზერა, მჭექარე ხმა, ავთოს თხელი სახე ჩავარდნილი ღაწვები, ეშმაკური თვალები, ორივეს — შუბლზე ჩამოყრილი ქოჩორი. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ლენინაკანში გადიოდნენ მზადებას.

ბოლოს წვრთნა და ვარჯიში დამთავრდა. ერთ უკუნ ღამეს, თვალთან თითს რომ ვერ მიიტანდი, მთელი ათასეული მანქანებში ჩასხეს და გზას გაუყენეს. არავინ იცოდა სად მიდიოდნენ, ჯარისკაცებს ამას ვინ ეტყოდა, მაგრამ ისინი მაინც ჩურჩულებდნენ, ალბათ, თურქეთის საზღვარი უნდა გადავლახოთო, ზოგნი ამბობდნენ, ირანისკენ მივემართებითო. ეს ლაპარაკი აღგზნებდა ავთოს, რასაკვირველია, დათოსაც და ალბათ, ყველა ახალგაზრდა ჯარისკაცს, რომელთაც თავიანთი ასაკის გამო საშინლად მოსწყენოდათ ერთფეროვანი ყაზარმული ცხოვრება და ცვლილებას. სიახლეს მაინც ხალისით აღიქვამდნენ. გულის სიღრმეში, უცხო მხარეთა ხილვის სურვილიც ახარებდათ და ახალ შთაბეჭდილებათა განცდის სრულიად ქვეშეცნეული სწრაფვაც, მით უმეტეს, ირანიც და თურქეთიც შედარებით უსაფრთხოო ადგილებად იყო მიჩნეული ამჟამად, ომის ცეცხლით აგიზგიზებულ რუსეთთან, ევროპასთან და ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებთან შედარებით, თუმცა ერთ დროს, სწორედ ირანიდან და თურქეთიდან მოემართებოდა ის პირქუში, უნაპირო სივრცეების გადმომლახავი, ყოვლის წამლეკავი ულმობელი ძალა, საქართველოს რომ ანადგურებდა, წელში ტეხდა, მომავალს უბინდებდა, და იქნებ, სწორედ ამიტომ აღგზნებდათ ახალგაზრდა ქართველ ჯარისკაცებს ამ ქვეყნებში შესვლის წადილი, იქნებ, იმიტომაც სურდათ გაცნობა იმ გარემოსი, საიდანაც დაძრული მარადიული საშიშროება ღრმად ჩამჯდარიყო ყოველივე მათგანის ცნობიერებაში, რომ შურისძიების გაუაზრებელი, მინავლებული ვნება, მაინც ჩქეფდა იმათ სისხლში. წყვდიადში მძიმე ტექნიკის მუხლუხების ხრიალი ირგვლივ შავად წამომართულ მთების კალთებს ეხეთქებოდა და შორს განფენილ სივრცეში იკარგებოდა.

განთიადისას, მოტიტვლებულ ხრიოკ ველზე ჩამოსხეს ჯარი. ახლად გათხრილ სანგრებში გაანაწილეს, თან უბრძანეს, სანგრიდან თავი არ ამოეყოთ. ახლა უკვე ყველამ იცოდა, რომ ირანის აზერბაიჯანის საზღვრებთან იდგნენ. მთელი კვირა თხუნელებივით მიწაში ჩამძვრალნი, მხოლოდ ღამღამობით სარგებლობდნენ სანგრიდან ამოსვლის უფლებით. მერე კი, ისევ უმთვარო ღამით, დიდი ფაციფუცი ატყდა. ტანკები წესრიგში მოჰყავდათ, ტელეფონის სადენები გაჰყავდათ სადღაც, ჯარისკაცებს ხმელი ულუფა დაური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს. „რას გვიპირებენ ეს ოჯახქორები?“ ბუზღუნებდა ავთო, დათო და დათიკოც ღელავდნენ. მეთაურები იგინებოდნენ. ყვირილით ამყარებდნენ წესრიგს, ცხენებს აქეთ-იქით დააჭენებდნენ, როგორც კი იშუქა, არტილერიის გრიალი გაისმა. საპასუხო სროლა საზღვრის იქეთა მხრიდან მალე შეწყდა. „წინ!“ გაისმა ბრძანება და ჯარი დაიძრა უცხო ქვეყნის დასაპყრობად.

კარგად რომ გათენდა, უნაპირო უდაბნო გადაიშალა თვალწინ. ერთი ხე, ერთი ბუჩქიც, ერთი მოსახლეც კი არ ჩანდა იმ არემარეზე. მზისგან გახრუკულ, გამოფიტულ ქვიშრობს თანდათან ალმური ასდიოდა. ველზე გაფანტულ ლოდიანებში მკლავის სისხო გველები თვლემდნენ. უდაბნოს შუაგულში, ნახევრად დანგრეულ, დაბზარულ საურმე გზას გრძელი კოლონა მიუყვებოდა, წინიდან ტანკების მუხლუხების ხმა ისმოდა, გზაზე მტვერი ასვეტილიყო. დაღლილ ჯარისკაცებს ოფლი ხვითქად ასკდებოდათ, გზას კი ბოლო არ უჩანდა. ზოგჯერ თვითმფრინავები სერავდნენ კრიალა ცას, ზოგჯერ ისმოდა ფორნებში შებმული, ხერგილებთან შეჩერებული ცხენების ჭიხვინი. სიცხე სულ უფრო და უფრო ხარშავდა ჰაერს და სუნთქვა ჭირდა.

მზე რომ შუბისწვერზე შედგა, ჰორიზონტის ხაზთან მთების კონტურები გამოისახა. ისინი თანდათან წამოიმართნენ, მოახლოვდნენ, ამაღლდნენ, გარუხდნენ და ბოლოს პიტალო კლდეებად გადაიქცნენ, რომელთა შორის დარჩენილ ვიწროებში დაკლაკნილ გზას, თითქმის წყალდამშრალ ხევის პირზე, შეუყვა წითელი ჯარის კოლონა. დღე ღამეს ეყრებოდა, როცა წინიდან ტყვიამფრქვევის კაკანი გაისმა. კოლონა შეჩერდა. დაბნეული ჯარისკაცები აღელდნენ განსაცდელის მოლოდინში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სროლა შეწყდა და ჯარი ისევ დაიძრა, პირქუში ხეობის სიღრმეში შეაღწია. ორთვალების ხრიგინი რულს გვრიდა ქანცმილეულ ჯარისკაცებს. გზის გარჩევა შეუძლებელი შეიქნა. კოლონა ფენერდა-პირდაპირ შარაზე დაბანაკდნენ. მხოლოდ ყარაულები ფხიზლობდნენ. ქართველებმა ერთად მოიყარეს თავი. ავთოს, დათოს და ებრაელ დათიკოს ხაშურელი გლეხი ფირანა და ჭიათურელი ბიჭი სეხნია შემოუერთდნენ. ფირანა ხანშიშესული კაცი იყო, ჭაღარაშერეული, შინ უპატრონოდ დატოვებული ოთხი შვილის დარდი ღრღნიდა. სეხნიას ხუთი ძმა ჰყავდა და ხუთივეს ფრონტზე უკრეს თავი.

— ერთი მაინც დაეტოვებინათ სახლში მშობლების მოსავლელად, — ჩიოდა სეხნია.

— ნიკოლოზის დროს, ოჯახის მარჩენალი არ მიყავდათ ჯარში, — ამბობდა ავთო.

— ეეჰ, მევესწრები ჩემი შვილების ნახვასა? — ოხრავდა ფირანა, — სულ პატარა ორი წლისა არი, რო მოვკვდე, არც კი დავამახსოვრდები.

— ნუ გეშინია ფირან, მოესწრები, მა რა იქნება, — ამხნევებდა დათო.

სიარულით დამაშვრალნი ერთად მიწვნენ და მკვდარი ძილით დაეძინათ, უთენია კი, უცნაურმა და ხმამაღალმა მოთქმამ გამოაღვიძათ. თავები წამოყვეს. მოპირდაპირე ციცაბო ფერდობზე სოფელი დაინახეს. კლდეზე მიშენებული მიზგითის მაღალ მინარეთზე მუეძინი გადმომდგარიყო და დილის ლოცვისთვის მოეწოდებდა მორწმუნეთ. რაღაცნაირი სიუცხოვე ჟღერდა იდუმალი სივრცისკენ მიმართულ ამ უპასუხო ამოძახილში. ქართველებისთვის ეს იყო რაღაც ავბედითის, საბედისწეროს გახსენება, მარტყოფში, მარაბდაში, კრწანისში თუ თბილისში ოდესღაც დაღვრილი სისხლის ამონაკვესი. ისინი განაბულნი უსმენდნენ მუეძინის ძახილს და როცა ეს მყივანა ხმა საბოლოოდ ჩაჩუმდა, მხოლოდ მაშინ წამოიშალნენ.

გამოღვიძებული ჯარი ამოძრავდა და ამოძრავდნენ იმ სოფლის მკვიდრნიც, ყვავის ბუდესავით რომ აკვროდა სალი კლდეების მრუმე სიშიშვლეს. ჭრელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანსაცმელში გამოწყობილი ჯანბაზებივით ეშვებოდნენ ისინი ქვემოთ თოკებივით დაკიდებულ ბილიკებზე და შორიახლო მდგარნი, ერთმანეთში რაღაცაზე მოჩურჩულენი, ცნობისმოყვარეობით, შიშნარევი მოლოდინით და შეიძლება მალული ზიზღითაც შესცქეროდნენ უცხო ჯარის მზადებას დილის საუზმისათვის.

— რა გქვია, ბიჭო, შენ? — ქართულად შესძახა დათომ გზის პირას მდგარ თვალებჩაბურულ ახალგაზრდა სპარსელს.

პასუხი ვერ მიიღო.

— არ იცი, ბიჭო, ქართული? — გაუწყრა დათო სპარსელს, — აბა, რა იცი? — მერე ავთოს მიუბრუნდა, — აქ ქართველები ბლომად სახლობენ, იქნებ, ვინმეს შემთხვევით წავაწყდეთ.

— მიდი, მიდი, — გაამხნევა ავთომ.

აგიზგიზებულ სალაშქრო სამზარეულოსთან თავიანთი კარდალებით ხელში, მხარზე შაშხანაგადაკიდებული და ზურგზე საველეჩანთა მოკიდებული მშიერი ჯარისკაცების რიგი იდგა. ბევრი ხანდაზმული ერია მათში, ფირანასავით მობილიზაციით წამოყვანილი. ამათ უფრო დინჯად ეჭირათ თავი. ახალგაზრდები ხმაურობდნენ, ჯარისკაცული მწირი ულუფა არ აკმაყოფილებდათ. მაინც მადიანად ილუკმებოდნენ. ავთო და დათო გზის პირას დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ. წარბშეჭმუხნული დათო ქორივით გასცქეროდა ირგვლივ შეგროვილ ‹‹ავტუხა სპარსელების ჯგროს›.

— ჩვენი სისხლი ბლომადა აქვთ ამათ დაღვრილი, — ჩაილაპარაკა მან, — თუმცა ამათ ნაკლები აქვთ? — გვერდზე, რუსი ჯარისკაცებისკენ მიაბრუნა თავი.

— ბიჭო, ენას კბილი დააჭირე, წერას ხომ არ აუტანიხარ, ვინმე არ გისმენდეს! — შეუღრინა ავთომ მეგობარს.

ასეთი ლაპარაკი მართლაც საშიში იყო. რუსებს ქართული არ ესმოდათ, მაგრამ ქართველთა შორის იყვნენ დამსმენნი. ყველამ იცოდა, რომ შინსახკომის აგენტები ჯარისკაცებში დაძრწოდნენ, ზოგიერთ შინსახკომელს ჯარისკაცის ფორმა გადაეცვა. ტყუილი იმედი იყო. რომ ქართველი ქართველს არ გაიმეტებდა. ძალიან კარგად იმეტებდნენ. არც აქ, უცხო ჯარში მყოფ ქართველთა შორის არსებობდა ; ერთსულოვნება. სხვადასხვა მრწამსი აქაც ხლეჩდა ერთად შეგროვილ თანამემამულეთ. კომკავშირლებს და პარტიულებს ეს ჯარი სულ არ მიაჩნდათ უცხოდ, მათი სამშობლო იყო დიადი საბჭოთა კავშირი და არა პატარა საქართველო, როგორც დათოსათვის და ავთოსათვის, ფირანა და სეხნია ამაზე ალბათ, არც ფიქრობდნენ, ისინი თავიანთი ოჯახის საზრუნავით იფარგლებოდნენ, დათიკოსთვის კი, ვითარცა ებრაელისთვის, გულის სიღრმეში რუსეთიც უცხო იყო და საქართველოც, თუმცა საქართველო აღთქმული მიწის გარდა, სხვა ქვეყნებზე მეტად უყვარდა, მაგრამ თანდაყოლილი განსხვავებულობის შეგრძნება აიძულებდა მხოლოდ ვითარებასთან შეგუებაზე, თავის გატანაზე ეფიქრა, როგორც ყველა მისი რჯულის კაცს, დედამიწის ყველა კუთხეში. არავის ნდობა არ შეიძლებოდა. ერთი კომკავშირელი ზემდეგი, გვარად გეგია, იმდენად ერთგული იყო საბჭოეთისა და წითელი არმიისა, შინსახკომელზე უფრო საშიშ ძალას წარმოადგენდა და ეს საუბარი რომ მოესმინა, თვითონ დაასმენდა თავისიანებს რუსებთან, შეიძლება, მის დასჯაშიც მიეღო მონაწილეობა. მიუხედავად ასეთი გახლეჩისა, ქართველთათვის უკვე სამწუხარო ტრადიციად ქცეული დაპირისპირებისა და გაუტანლობისა, მაინც არსებობდა რაღაც საერთო, გამაერთიანებელი და სხვებისაგან განმასხვავებელი ქართველ ჯარისკაცთა შორისაც. ზოგჯერ, თვით შინსახკომელები და ჯარში მოხალისედ წამოსული, საბჭოეთის ერთგული პატრიოტი კომკავშირელი მებრძოლებიც შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, თუ რუსებისაგან დაცინვას ან მათი ქვეყნის დამამცირებელ სიტყვას გაიგონებდნენ, ან მეთაურებს გაღიზიანებას თუ შეამჩნევდნენ რუსულის უცოდინარ ქართველ ჯარისკაცთა ქართული საუბრის მოსმენისას.

ამასობაში, ვიღაცამ ამბავი მოიტანა, წუხელის ერთ მოწინავე ასეულს სპარსელები დასხმიან და ყველას დანებით ყელი გამოჭრესო. ზოგმა დაიჯერა და აფორიაქდა, ზოგმა მონაჩმახად მიიჩნია ეს ამბავი. სინამდვილეში კი არავინ იცოდა სად მიდიოდნენ, წინ რა ხდებოდა, რატომ აკაკანდა ტყვიამფრქვევი ხეობაში შემოსვლისას.

ცოტა ხანში ჯარი ისევ დაიძრა, ისევ გაუდგა გვირაბივით ვიწრო და ბნელ ხეობას, სადაც მზის სხივი არ ატანდა. ყორნების გუნდი ფრთხიალებდა ჰაერში, თითქოს საკბილოს უთვალთვალებდა| და მათი ყრანტალი ჯარისკაცებს გუნებას უწამლავდა. ხეობა კი თანდათან ფართოვდებოდა და როცა დაბინდდა, კვლავ გაშლილ ველზე გავიდა ჯარი. უდაბნოს ცაზე დაკიდული ნამგალა მთვარე მუქ ხავერდზე დაბნეულ ოქროს სამკაულივით ბრჭყვიალებდა. ორსაათიანი დასვენების შემდეგ, კოლონა კვლავ გაუდგა უთავბოლო გზას. არაქათგამოცლილი ხანდაზმული ჯარისკაცები უკანასკნელ ძალას იკრებდნენ, მაგრამ ხან ერთი ეცემოდა ძირს, ხან მეორე ეფლობოდა მკვდარი უდაბნოს ფხვიერ სილაში. ისევ აჩურჩულდნენ ჯარისკაცები, რიზაიეს ტბისაკენ მივემართებითო.

— სადა ვართ, ბიჭო, ხომ არ იცი? — ჰკითხა ავთომ გვერდით მომავალ დათოს. — ურმიის ტბასთან, თურქეთის საზღვარზე. „ლამბალო და ყაშა“ წაკითხული გაქვს?

ავთოს ეს ნაწარმოები არც კი გაეგო, დათოს კი „ლამბალო და ყაშაც“ წაკითხული ჰქონდა და „გველის პერანგიც“, ამ ნაწერებში ბრწყინვალედ იყო აღწერილი ის გარემო, სადაც ახლა იმყოფებოდა და ოდესღაც წაკითხული საოცარ ცხოველმყოფელობას იძენდა. იგი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა, გრძნობდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოები, ეს არის რეალობა, რომლის ცენტრში დგას ავტორი, მაგრამ მწერლის შექმნილი სუბიექტური სამყარო დროთა ვითარებაში გადაიქცევა ობიექტურ რეალობად, მწერლის შექმნილი გმირები ცოცხალ, ხელშესახებ ადამიანებად, თან რომ გახლავან მთელი ცხოვრების მანძილზე, და ერთბაშად დათო თავის საყვარელი მწერლების ბედზე დაფიქრდა, ერთი რომ მოჰკლეს დაუნდობლად, მეორე კი სამშობლოდან გადახვეწეს. „მარტო ეს არ უნდა შერჩეთ ქართველ კომუნისტებს,“ წარმოსთქვა მან და შეიგინა.

— რა იყო, ბიჭო? — ჰკითხა ავთომ.

— არაფერი.

მის ოჯახში ამ მწერლების პატივისცემით იყო გამსჭვალული ყველა. სულ პატარა რუსთაველის თეატრში დაჰყავდა დედას „ლამარას“ წარმოდგენებზე. ახსოვდა სასიამოვნო საღამოები, უფროსების სტუმრობა, ჩაის სმა და საუბრები სპექტაკლების ავ-კარგზე. ის ხალხი სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. ყოველ შაბათს მშობლებს ოპერის თეატრში დაჰყავდათ ოპერის მოლარე, ყოფილი თავადის ქალი წერეთელი, წინასწარ ურეკავდა მამას ტელეფონით, „შეგინახოთ, ბატონო, შაბათისთვის ბილეთები?“ „აუცილებლად, ბატონო, აუცილებლად!“ იყო პასუხი. „კვაჭი კვაჭანტირაძე,“ „გივი შადური,“ „ჯაყოს ხიზნები“ წაკითხულიც კი არ ჰქონდა, როცა ამ წიგნებზე ცხარე კამათს ისმენდა ოჯახში. მერე მამამისი დაიჭირეს და დახვრიტეს, ვითარცა ხალხის მტერი და მავნებელი. ოჯახის ბევრი ახლობელი, რომელიც მას უყვარდა, პატივს ცემდა და სამაგალითოდ მიაჩნდა, სადღაც გააქრეს. ის წიგნებიც, შუშიან კარადაში თვალსაჩინო ადგილზე რომ ეწყო, გადამალეს, მოსპეს, შეიძლება დაწვეს კიდევაც. ცხოვრება გაღატაკდა, გაუხეშდა და დაუდგა მას ჟამი შიშის, შიმშილის, მუდამ მჭმუნვარე დედის ცქერისა, და გავიდა იგი ქუჩაში, და ვინაიდან დიდი ჯანი ჰქონდა და მხნე გული, ჯერ მთელ უბანში და მერე მთელ ქალაქში ცნობილი ბიჭი გახდა, მაგარი დამრტყელი და დარდიმანდი, შეუპოვარი და გულადი, ყველანი რომ ანგარიშს უწევდნენ, მოძველბიჭონიც და წიგნიხ ჭიებიც, რადგან ქუჩამ წიგნი ვერ შეაძულა, ღ: ცხოვრობდა ასე, ვიდრე ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში არ უკრეს თავი და ახლა, ირანის ხრიოკ უდაბნოში რომ მიაბიჯებდა, თავის პატარა სამშობლოს მონატრება თვალს უხელდა იმაზე, რომ საქართველო ნამცეცა ნაფოტივით იყო მიგდებული სადღაც და იმის ირგვლივ განფენილ უსაზღვრო სივრცეებზე აღზევებული ძალა ყოველთვის თავის ნებაზე ათამაშებდა. ცხადია, ქვეყნის ბედი უამრავ გარეშე მიზეზზეც არის დამოკიდებული, თუნდაც ადგილმდებარეობაზე, ამჟამად არსებული ძალთა განლაგება და წესრიგი არ შეიცვლებოდა, საქართველო თავს ვერ დააღწევდა რუსეთის კოლონიის სავალალო მდგომარეობას, მისდამი მტრული ინტერესებით გამსჭვალული მეზობლებით გარშემორტყმული, მაგრამ თუ ახალი სულისკვეთება და წესრიგი გავრცელდებოდა დედამიწაზე, თუ განგებასაც ასე სურდა, მაშინ იქნებ მის პატარა ქვეყანასაც გამარჯვება უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო საქართველოსათვის? მეყვსეულად შემოჭრილმა მკრეხელურმა აზრმა თვითონვე გააკვირვა. ოჯახში ხშირად ისმენდა თამამ აზრებს. მამამისის მეგობრები საქართველოს ევროპულ ქვეყნად გარდაქმნაზე ოცნებობდნენ. „ბოლშევიზმი წმინდა რუსული, აზიური მოვლენაა," ხშირად სმენია მათგან, ბარბაროსულმა ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სწორედ რუსეთში, ამ ვრცელ დაბლობში, სადაც არ არის მთა-გორები, არავითარი ამაღლება ზედაპირისა, მხოლოდ სისწორე, რაც საკუთარი თვალით ნახა, როცა ერთხელ, თეატრი მოსკოვში საგასტროლოდ გაემგზავრა, მშობლებმა თან წაიყვანეს და იგი მატარებლის ფანჯრიდან ხედავდა უნაპირო სივრცეს, ბრტყლად გაჭიმულ ვაკეს. ალბათ, ამიტომაა, რომ ამ გარემოს ადამიანს არა აქვს მისწრაფება ამაღლებისაკენ, მხოლოდ გათანაბრებისაკენ, თანასწორობისაკენ მიილტვის იგი და ამან წარმოშვა ასეთივე დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, ქონებისადმი, და რადგან სისწორე გავრცელებას, გაშლასაც გულისხმობს, თავის თავში შეიწოვა ირგვლივ მდებარე სივრცეები, წალეკა პატარა საქართველო, გააცამტვერა, გარყვნა და დააამახინჯა, ამბობდა ძია დიტო. იგი მამამისის მეგობარი იყო, ისტორიის პროფესორი. განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, გერმანული ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა ბერიასავით პენსიას ხმარობდა. მიქოიანივით ოთხკუთხა ულვაშს ატარებდა, კალინინივით ბეკეკასებურ, ცანცარა წვერს. ოცდაჩვიდმეტ წელს მაინც დაიჭირეს და დახვრიტეს. მიუხედავად ისტორიული პარალელების არსებობისა, ერთი და იგივე რამ ზუსტად არასოდეს მეორდება, ცხოვრება წინ მიდის, განუწყვეტლივ იცვლება და ქმნის ახალ ფორმებს, ხშირად ამბობდა საწყალი ძია დიტო, დადგება დრო, როცა ის ხალხები, რომლებიც დღეს ისტორიის ასპარესზზე თაოსნობენ, გადაშენდებიან, გაქრება მათი კულტურა, მათი სულიერი მონაპოვარი, რადგან ყველა ხალხი, ყველა კულტურა განიცდის ამ ასაკობრივ საფეხურებს, რომელსაც განიცდის ცალკეული ადამიანი. სხვანი მოვლენ დღევანდელთა მაგივრად. მაშინ საქართველოს რა ეშველება? გაიფიქრა დათომ. ნუთუ აღარ დაგვიბრუნდება დავითის და თამარის დროინდელი ძალმოსილება, ნუთუ ეს ისევე შეუძლებელია, როგორც ბებრისთვის ახალგაზრდული ქმედების გამეორება? ამოიოხრა მან და კიდევ ერთხელ შეიგინა.

რა იყო, ბიჭო, დაიღალე? — ჰკითხა ავთომ.

— შენ არ დაიღალე? — შეუღრინა დათომ.

— კი.

— ჰოდა, მეც დავიღალე.

აღმოსავლეთი სისხლისფრად იღებებოდა. ნაცრისფერი უდაბნო მკრთალად იწყებდა ციმციმს. უდაბნოს ფერი ისეთ გრძნობას ბადებდა სულში, თითქოს ძალზე შორეულის, ოდესღაც გარდასულის მიმართ გაღვიძებული სევდით გაჟღენთილიყო გარემო. შორს, ცის კაბადონი დედამიწას უერთდებოდა, სადღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, აისორების და ქურთების დასახლებები იყო. უეცრად ტყვიამფრქვევი აკაკანდა, წინა რიგები უკანას მიაწყდნენ გამაყრუებელი ხმაური ერთბაშად ატეხილ ორომტრიალში ჩაიქცა. ტყვია სეტყვასავით ცვიოდა, კოლონა აირია, ჯარისკაცები საფარს ეძებდნენ. ავთომ ვერც კი გაიაზრა როდის ისკუპა განზე და ლოდიანებში ჩარგო თავი. ვერც იმას ეიხვდა საიდან ისროდნენ, წინიდან, უკნიდან, გვერდიდან თუ ზევიდან. ყოველი ეხრიდან მოდიოდა თავაშვებული სიკვდილი, ტყვია მიწას ბურღავდა, ზოგჯერ, აფეთქების ხმა ისმოდა. იგი იწვა და თავის აწევას ვერ ბედავდა, მაგრამ თანდათან ეგუებოდა მოულოდნელად შექმნილ ვითარებას, რომელშიც ბედმა შეაგდო უცებ. სროლის ხმა წამით არ წყდებოდა, სადღაც წინიდან ქვემეხების ქუხილი ისმოდა. იქ რაღაც ხდებოდა გაუგებარი, საბედისწერო ან სანუგეშო, მაგრამ თვითონ ამაში არ მონაწილეობდა, რადგან არც იცოდა რა ექნა, გარდა იმისა, რომ გადარჩენილიყო. ბოლოს გაბედა ოდნავ წამოწევა. ირგვლივ ჯარისკაცები იწვნენ მასავით, ქვებს და ლოდებს ამოფარებულნი, გზაზე გვამები ეყარნენ უწესრიგოდ, დალეწილი ტრანსპორტი ხერგავდა ვიწრო ხევს, დაფეთებული ცხენები ყალყზე დგებოდნენ, თავაგლეჯილი იწევდნენ სადღაც, წინ კი, ისევ სროლა ისმოდა. ვიღაც ყვიროდა, გაიფანტეთ, ჩასაფრდით, წაიწიეთ, ისროლეთ, მაგრამ ვისთვის ესროლა, როცა მტერს ვერ ხედავდა, სად წასულიყო, როცა ყველა იმალებოდა. ფართო ლოდიანმა მის თავთან ბრმა ტყვია აისხლიტა და ატკეცილი ქვის ნაფხშვენი სახეში შეეყარა. მერე, ისევ რომ გაანარა მზერა ირიბად, კლდის ქიმს ამოფარებული დათო დაინახა, მოხერხებულად მდგარი, შაშხანა მოემარჯვებინა და განუწყვეტლივ ისროდა. წუთით სროლა შეწყდა და „დათო, დათო!“ შესძახა ავთომ. დათომ თავი მოაბრუნა, ადგილი მიათვალ-მოათვალიერა, თავისთვის შეაფასა და დაუძახა:

— ადე, გამოიქეც ჩემსკენ!

ავთო წამოხტა და ერთბაშად აფეთქების ტალღამ განზე ისროლა, მწვავე ტკივილმა მარჯვენა ხელი მოუდუნა, შაშხანა გაუვარდა, წაფორხილდა და დაეცა, ხელი დაუბუჟდა, უხვად გადმოღვრილმა სისხლმა მთელი მტევანი შეუღება. იგი მარცხენა ხელით დასწვდა შაშხანას, წამოიმართა და გულამოვარდნილმა მეგობართან მიირბინა. დათომ უკან ამოიყენა.

— აქ ჯობს, მთლად მოტიტვლებულ ადგილას იწექი.

— დავიჭერი, მაგის დედაც ვატირე, — შეიგინა ავთომ.

— მაჩვენე!

დაფლეთილი ჭრილობიდან სისხლი მოსჩქეფდა. დათომ პერანგი შემოიხია და ხელი გადაუხვია. ავთო ტკივილისაგან იმანჭებოდა და თან ბრძოლის ველს გასცქეროდა. აქედან იგი კარგად ჩანდა. მტრის ცხენოსანი რაზმი ქვემეხების ბათქმა უკუაქცია. ალაგ-ალაგ შადრევანივით ისვეტებოდა მიწა. წელში მოხრილი ჯარისკაცები თავქუდმოგლეჯილი გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით. მერე თვითმფრინავების ესკადრილია გამოჩნდა ცაში და ჯაგნარს შეფარებულ მოწინააღმდეგეს ბომბები დააყარა.

ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება ირანის არმიისა. ირანის ჯარი განადგურებულ იქნა. ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა საწყალი ფირანასათვის. გადმობრუნებულ ორთვალასთან იპოვეს იგი პირაღმა დაგდებული. ტყვია ყელში მოხვედროდა, გახელილი, გაყინული თვალები უცხო ცისთვის მიეჯინა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი ბრძოლა ავთოსი. ნადმის ნამსხვრევმა სახსარი დაუმსხვრია და თუმცა ეს მაინცდამაინც მძიმე ჭრილობად არ ითვლებოდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითი მოსაჭრელი შეექნა. ერთი კვირის შემდეგ, როცა წითელი არმია თურქეთის საზღვარზე, მცხუნვარე მზის ქვეშ გაშლილ კარვებში დაბანაკდა, როცა სახელდახელოდ მოჩიჩქნილ ძმათა სასაფლაოზე ძერების გუნდმა დაიწყო ტრიალი, ავთო ზურგში, ჰოსპიტალში გაისტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს. მეგობრებთან განშორება გულს წყვეტდა, მაგრამ მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს.

ჰოსპიტალში ჭრილობა დაუმუშავეს და მალე მოუშუშდა კიდეც. მართალია, ორი თითი დაკარგა, მაგრამ თავს იღბლიან კაცად თვლიდა, თუნდაც იმიტომ, რომ უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთ მშვენიერ დღეს საექიმო კომისიაზე გაიყვანეს. გამოჯანმრთელებული ჯარისკაცები სრულიად გაშიშვლებულნი შეჰყავდათ ფართოფანჯრებიან დიდ და ნათელ ოთახში, სადაც სამხედრო ფორმაზე თეთრხალათ გადაცმული ექიმები მაგიდებს უსხდნენ და გულდასმით სინჯავდნენ რიგრიგობით შემოსულთ. მედპერსონალში ახალგაზრდა ქალებიც ერივნენ, საკმაოდ სანდომიანნი და მომხიბლავნიც და ზოგიერთებს რცხვენოდათ მათი, სარცხვინელზე ხელებს იფარებდნენ, მაგრამ საქმით გართული მკაცრსახიანი ქალები ყურადღებას არ აქცევდნენ მათ. მაგრამ როცა ავთო წარსდგა კომისიის წინაშე, ბევრმა გააპარა მისკენ თვალი. სრულიად შიშველი, იგი ძველი ბერძენი ატლეტის ქანდაკებას ჰგავდა, ძნელი იყო ამ ჩაფსკვნილ სხეულში ინვალიდი დაგენახა. ექიმი შუახნის გამხდარი მამაკაცი იყო, სათვალიანი, სუფთად გაპარსული, თმაგაფხეულებული. მან დაღლილი მზერით აათვალჩაათვალიერა ავთო. გვერდით მისივე ტოლი საკმაოდ მკვრივი ქალი ეჯდა, მისი მკერდი ხალათიდან გამოსხლტომას ლამობდა.

— რა გაწუხებთ? — ჰკითხა მან.

ავთომ მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა. ქალმა ხელზე ხელი მოჰკიდა და ნაჭრილობებს თვალიერება დაუწყო. მისი გულგრილი სახე ოდნავადაც არ შეცვლილა, მაგრამ თვალები ვერ ფარავდნენ პაციენტისადმი კეთილგანწყობას და ერთ მომენტში ავთომ შეამჩნია, რომ ირიბი მზერა მის დაუფარავ ასოსაკენ გაექცა. მამაკაცი ავთოს საბუთებში იქექებოდა.

— სროლა შეგიძლიათ? — ჰკითხა ქალმა.

— უთითოდ?

— უთითოდ ჩახმახის გამოწევა, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ექიმები ერთმანეთში აჩურჩულდნენ, შეადგინეს ქაღალდები. კომისიამ ავთო სამწყობრო სამსახურისათვის უვარგისად ცნო. მალე ხელშეხვეული, ჯარიდან განთავისუფლებული ავთო თბილისში დაბრუნდა.

ქალაქში მამაკაცების ნაკლებობა შეიმჩნეოდა და პირველ ხანებში, სამხედრო ფორმა რომ გაიხადა, ავთო უხერხულობას განიცდიდა ქუჩაში ჩავლილი გამვლელთა ყურადღებას რომ იპყრობდა თავისი აღნაგობით. ვინ იცის, ფიქრობდნენ, ეს ამოდენა დათვი აქ დაბობღავს და იქ ჩვენი ბიჭები მტერს ეწირებიანო. მერე თანდათან მიეჩვია არაკეთილგანწყობილ მზერას, ბოლოს სულ ველარ ამჩნევდა, რა მისი ბრალი იყო, რომ ნახევრამდე წარკვეთილმა თითმა ბრძოლისთვის გამოუსადეგარად აქცია. მარჯვენა ხელზე ხელთათმანი ჩაიცვა. ჩამოსვლისთანავე უთხრა დას და სიძეს, რომ თბილისში დარჩენა სურდა საცხოვრებლად, იმათ ეს განზრახვა მოუწონეს, შამშემ საბავშვო სახლში მნედ მოაწყო. ეს იყო ერთადერთი მამაკაცი ამ დაწესებულებაში, თუ არ ჩავთვლით მოხუცებულ დარაჯს, რომელიც მეცეცხლურის მოვალეობასაც ასრულებდა. თანამშრომელ ქალებს ძალიან უყვარდათ ავთო, ისიც ყველასთან შეამხანაგებულ-შეხუმრებული იყო. ეს თეთრხალათიანი ქალები გიორგისაც ალერსით ეექცეოდნენ, როცა ბიძას მოჰყავდა თავის სამფლობელოში. ერთი ექთანი, სახელად როზა, შავგვრემანი, დაბალი, კნაჭა ქალიშვილი, გიორგის აზრით, საკმაოდ შეუხედავი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ბიძის და დისწულის დანახვაზე წითლდებოდა და ამისმაგვარი სხვა ნიშნების მიხედვითაც, გიორგიმ დაასკვნა, რომ როზას ავთოსთან უფრო ახლო დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე თანამშრომლობა და ამხანაგობაა. სამსახურში რომ მიიყვანდა ავთო დისშვილს, იქედან თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატანდა ცოტა თეთრ პურს, ცოტა შაქარს, ცოტა კარაქს. ყველა რაღაცას იპარავდა, ვისაც რა შეეძლო, ნოქრები წონაში ატყუებდნენ მუშტარს, არც ავთო იყო სხვაზე ნაკლები. საკვებს მონატრებული, დამშეული ბავშვი მუდამ კმაყოფილი ბრუნდებოდა ბიძის სამსახურიდან, ჩიტაძის ქუჩაზე რომ იყო, ქალთა სკოლის ზემოთ, უცხო, აკრძალულ, თითქმის ნაძრახ ადგილად რომ წარმოედგინა, სადაც ახლა მისი ყოფილი თანაკლასელი გოგონები სწავლობდნენ, ზოგიერთ მათგანს ბიძასთან მიმავალი ან იქედან მომავალი ქუჩაში ხვდებოდა და ესალმებოდა, იშვიათად ერთმანეთს თუ გამოელაპარაკებოდნენ. ბიძას დღითი დღე უახლოვდებოდა, ხოლო როცა მამამისიც გაიწვიეს და სადღაც ჩრდილო კავკასიაში გააგზავნეს, როცა მისი ოჯახი მთლიანად ავთოს დააწვა მხრებზე, ახალგაზრდა ბიძამ მის გულში მკვიდრი ადგილი დაიკავა. ის იყო მათი პატრონი, მაგრამ ეს ამბავი ძლიერ აღიზიანებდა თინას, ავთოს ცოლს, რომელიც მან წიფლნარიდან ჩამოიყვანა და ერთხანს ავლაბარში დასახლდა კოლასთან, შამშეს ძმასთან და გიორგის უფროს ბიძასთან, ვისი სახლის კარი ყველასთვის ღია იყო, მერე კი თავის რძალთან, უგზოუკვლოდ დაკარგული უფროსი ძმის ბიძინას ცოლთან, მაიკოსთან გადავიდა ვერაზე, მაგრამ ასე სხვის კარად დიდხანს ყოფნა, შეუძლებელი იყო და სწორედ მაშინ ჩამოვარდა ლაპარაკი მეზობელი სახლის ბინადრის, ოცდაჩვიდმეტ წელს რეპრესირებული ვინმე გურულის ბინის, ხელში ჩაგდებაზე. ეს კაცი დაეხვრიტათ, ვითარცა ხალხის მტერი, მისი ცოლი გადასახლებული იყო, შვილები ნათესავებთან შეფარებულნი, ბინა დალუქული. შამშეს მეცადინეობით ავთო ამ ბინაში შეასახლეს. მზამზარეულ გამართულ ოჯახში ცხოვრებას რა სჯობდა, თინა ხშირ-ხშირად იცვლიდა ყოფილი დიასახლისის კაბებს და რადგან ნათელას, გიორგის დედას, რძლის საქციელი არ მოსწონდა, ხშირად მოსდიოდათ შელაპარაკება, მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. მეზობლები და ნაცნობები ალმაცერად უყურებდნენ სხვის უბედურებაზე ხელმომთბარ ახალგაზრდებს, ალმაცერად უცქერდნენ შამშესაც, ვინაც ეს ბინა გაუხერხა ცოლისძმას, მისგან განსაკუთრებით უკვირდათ ეს საქციელი, რადგან ისეთი კაცის სახელი ჰქონდა, ვისაც სხვისი გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვს. ეს მართლაც ასე იყო, იგი დღემდე ხელს უმართავდა ოცდაჩვიდმეტ წელს დახვრეტილი პროფესორის თავისი მასწავლებლის რცხილაძის ოჯახს, აქ კი თვითონ შეუვარდა იმავე მიზეზით დაღუპულ კაცს ოჯახში. ეტყობა ისეთი ადამიანი იყო, რომლის ხასიათში იოლად თავსდება ერთმანეთის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი თვისებები.

ამასობაში, გურულის ცოლმა სასჯელი მოიხადა, თბილისში ჩამოვიდა და ჩივილი დაიწყო თავისი ბინის დასაბრუნებლად. ეზოში რომ ჩაივლიდა, ამ ქალს აუწერელი ზიზღი ეწერებოდა სახეზე გიორგისთვის ყველაზე მახლობელი ადამიანების დანახვისას, არც გიორგი ეხატებოდა იმას გულზე და თუმცა გიორგის არ ესმოდა თავისიანების დანაშაული, პირიქით, შინ მოსმენილი საუბრების საფუძველზე ის ქალი მიაჩნდა ბოროტ სულად, საყვარელ ბიძას და ბიცოლას ქუჩაში გამოყრას რომ უპირებდა, — მაინც ქენჯნიდა სინდისი, ბუნდოვნად გრძნობდა თავისიანების უკეთურ საქციელს და რაღაცის, ბოლომდე გაუაზრებლის, რცხვენოდა კიდეც. იქნებ, მაშინ გაუჩნდა პირველად ეჭვი და კრიტიკული დამოკიდებულება ამის მიმართ, ვინც გიყვარს და რაც გიყვარს. განა ადვილია შენიანის თვალში არათუ დვირეს, ბეწვის დანახვა?

ბოლოს და ბოლოს, ბევრი დავისა და სასამართლოს მერე, ავთო და თინა გამოასახლეს, მაგრამ სწორედ ჩრდილო კავკასიაში გამგზავრების წინ, შამშემ ისევ კოწია ჩიქოვანის და რაფიელა ბოთერაშვილის დახმარებით გაუხერხა მათ ერთი პატარა ოთახი თავის პატარა შუშაბანდით სოლოლაკში, კოჯრის ქუჩაზე, ნარიყალას კლდოვან ფერდობს მიბჯენილ ერთ ძველებურ სახლში, და დასახლდნენ ისინი იქ.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იზა ორჯონიკიძე

ლექსები

●

ჩემი საბრალო,
შეშლილი დედა,
როგორ მიყვარდა,
ვერასოდეს ვერ გავუმხილე,
მკერდზე ვერა და ვერ ავაბობღდი,
გულზე მჯიღი ვერ ვიბრაგუნე.

ჩემი საბრალო,
შეშლილი დედა,
არცერთ ღირსეულ მემკვიდრეს
რომ არ გაუფრთხილდა,
არ იფხიზლა შვილებისათვის,
მშფოთვარე და ბორგნეული
ძილ-ღვიძილის ზღვარზე ყველა
თვითონ მოსრისა,
თავად მოსპო,
თავად მოიდნო!

ჩემი საბრალო,
შეშლილი დედა!
როგორ მიყვარდა,
როგორ,
როგორ უღმერთო იყო!

●

რა გიკვირს ნეტა
საკუთარი სიგიჟით დაღლილს?!
არ გაგონდება დღეისდღეზე სხვა — უარესი?!
რად სტირი, როგორც გაგდებული წვიმაში ძაღლი,
რომელსაც ახსოვს
ნებიერი ბავშვის ალერსი...

მოიშრიტა მატყუარა იმედის თვალიც,
ასე წერილა: შენს განაჩენს ვერავინ შეცვლის,
მაშ, რაღად ბორგავ, როგორც დიდი ჩანჩქერის წყალი,
როგორც ღრუბლებში
გახლართული ელვა და ცეცხლი?!

●

უდროოდ გაჩნდი, სიყვარულო,
ისე უდროოდ,
რომ შენი მოსვლა ჩემს მეტს არვის გაჰხარებია!
მდიდრულ ფარჩაში გახვეული ცოდვისშვილივით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გიპოვნე შუაღამით კარსმოგდებული...
ვერ მოგიშორე,
სამუდამოდ ვერ გაგიმეტე,
ვერ მოვიკელი სანატრელი შენი ტიტინი...
უდროოდ, ჩემო სიყვარულო, უდროოდ გაჩნდი!

ჩემი საღამო

1.

რას ვიფიქრებდი,
გამოკეტილ გულში დარჩენა
თუ აგრერიგად გამიტკბებოდა,
თუ ასკილივით დავყვებოდი
მზის ჩასვლამდე ჩამომდგარ სითბოს,
ენკენისთვის გარინდებულ საღამოთა
გრილ მყუდროებას...

2.

წირვაგამოსულ ეკლესიაში
ცხელ სასანთლეებს ალაგ-ალაგ
მილეული კელაპტრები შემორჩენიათ,
უფლის სახლის კარი ღიაა.
მიმწუხრის ნიავს
ძალზე უჭირს
სქელ კედლებში ჩამომდგარი
ბუღის გარღვევა,
მრავალთ ნასუნთქის,
ოფლნარევი ოხშივარის გარეთ გატანა..

მეც იმ წამს ვუცდი,
ჰაერი რომ დაიწმინდება
და მაცხოვარი
თვალნაღვლიან მზერას მომაპყრობს.

წვიმების გახსენება

კარლო კეჭარავას ხსოვნისადმი

მომაგონდება თუ არა წვიმა —
ძველი ლექსის ორიოდ ბწკარი,
შენც მაშინვე ჩემთან გაჩნდები,
ჩამომიჯდები გვერდით და ჩემთვის
სანუკვარზე ბაასს გამიბამ...

მერამდენე დღე არის უკვე,
რაც ჩვენ ვსაუბრობთ —
გასაყოფი არაფერი გვაქვს,
რად ითქვა ნეტა,
რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება?!

შენი აქ მოსვლაც
ასწრაფებულ სიცოცხლის შემდეგ
სულაც არ მიკვირს,
რა კარგია, რომ მაინც შევხვდით,
მაინც შედგა ეს მეგობრობა
და შენი ფიქრი,
ყმაწვილურად ზღვარდაუდები,
ჩემს თანშეზრდილ ნაღველს
სანდოდ ეხმიანება,
რადგან შენსავით
მეც დაკარგულ სამშობლოსა და
ჩემს დაკარგულ ნათესავს ვეძებ.

წამომტკივდება თუ არა გულზე
გადაკრული ვარდისფერი ლიბრი
ბავშვობის,
ჩვენი ცხოვრების უიღბლო ომში
დაღუპული ვაჟივით გნატრობ...
და რამდენჯერაც წვიმიდან მოხვალ,
მე — შინ დაგხვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რაც უფრო ვკვდები,
სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები,
რომ აქ ჩემი არაფერია,
გარდა
ფხიზელი მარტოობის გრძელი ღამისა.
არც ეს ოქრო არ არის ჩემი —
აუხდენელის სახსოვარი,
შესიებულ არათითზე შემორჩენილი...
არაფერიც არ არის ჩემი:
არც სამშობლო,
არც მონაგარი,
არც მეგობრები,
აღარცა წიგნები —
წერა-კითხვის ძლივას მცოდნე
ბრბოსგან ცეცხლით შეგინებული...
რაც უფრო ვკვდები,
სულ უფრო და უფრო ერწმუნდები.

გაუგზავნელი ბარათი

ჩემს ძველ მეგობარს — თამაზ ჩხენკელს

მაგიდა, წიგნი, მაგარი სკამი
და სიგარეტის გაბმული ბოლი,
შინა ხარ დღეც და შინა ხარ ღამეც,
მშვიდია შენი დაღლილი ცოლი.

ო, სალონების კეკლუცო ლომო,
ცოტათი მჩატე, ცოტათი შლეგო,
ვით ურჩი სატრფო, ამაოდ ომობ,
ეს გაზაფხულიც სულ სხვა ბიჭს ერგო.

გაიწელა და დამძიმდა ჟამი,
არ სტყუის სარკეც — რაღად გეფეროს?!
შენც სიჭაბუკის არეულ ამინდს,
ტყუილად უღრენ ჩემო ბებერო!

●

ო, ეს ბღენძები,
ერთი უბნის კლასიკოსები,
პანთეონებში საფლავთა შორის
დატოვებულ ბილიკებზე წამოწოლილნი!

აბა, თავი თუ გაიმეტეს,
აბა, თუ ერთხელ
გულისგული წამოსტკივდებათ..

●

შენ რომ კაც იყო,
მეგობრები გეყოლებოდა,
ნაკლულთა და მანიაკთა
ყოჩად ყოფნას ითაკილებდი!

შენ რომ კაც იყო
უსიყვარულოდ
არ იფრენდი მკერდიდან მკერდზე
შვილს გაზრდიდი შენსავ უბეში,
სუნთქვას მისას
სიყრმიდანვე ყურს დაუგდებდი.

შენ რომ კაც იყო
ქალნი ცრემლით
მოგიგონებდენ —
რაღაც მშვენებას
შეიძენდა შენი ცხოვრება.

შენ რომ კაც იყო,
ჯერ თავს შექმნიდი,
ძერე ოჯახს,
ილოს — სამშობლოს!

შენ რომ კაც იყო...
სიკვდილამდე კიდევ დრო არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის მონოლოგი

(წარსულში მეგობრის მონატრების ჟამს
ჩემს მიერ შეთხზული)

მე ირონიით
ვუმზერდი ყმაწვილთ შორიდან,
მთელი სიცოცხლე შაში მსურდა,
შაშიც მოვიდა!

მაგრამ სად არის სიხარული
და მოსვენება,
დაფნების ტევრში ჩემს დარდიან
გულს რომ ენება?!

სად არის ძველი მეგობარი?!
სად არის ლხინი?!
სად არის კაცის ღირსება და
საქვეყნო ტვინი?!

რა არის ჩემს თავს,
ამოდენა რა ცოდვა ვზიდე,
აღარ მეღირსა არც ღვიძილი,
არც ძილი მშვიდი.

რეაქტიული პოეტები სჩადიან ღალატს!
რა პასუხს გასცემს ეს თაობა
დიდებულ გალას?!
ეს საუკუნეც უსულგულო და
სულსწრაფია,
ეხ, მშურს
ფრანსუა ვიიონის ბიოგრაფია!

მონაზონს

როგორ დალუპე თავი შენი,
როგორ დალუპე.

მიჯნური შენი, ძვირფას წიგნთა ბინადარი,
უფლისწული ხორცშეუსხმელი,
ისე მი კვდა, არც გაგიგია!

არ გაგიგია, ვით დადამდა შენს სამშობლოში,
სარკეელიც კი არ გამოაღე,
რომ ეზოში გადაგეხედა!
ქალის პერანგი შემოქმედის კვართზე უფრო
მძიმე გეგონა!

როგორ დაგლუპეს მაქებართა, როგორ დაგლუპეს,
ნატვრის ხესავით ჭრელაჭრელა სიტყვებით მოგრთეს
და გარს ახლა ისე გივლიან, თითქოს შენს სხეულს,
დამძიმებულს უქარიშხლებოდ,
სული არც ედგას,
მარმარილოს სამუდამო თოვლი ემოსოს...

როგორ დალუპე თავი შენი, როგორ დალუპე,
მთელი სიცოცხლე აბრეშუმის პარკში იცხოვრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიპტიქი რექვიემის მაგივრად

აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეგობრის დათო პაპუაშვილისადმი

1.

ახლა, როცა მარტო სიკვდილისა მჯერა,
როცა უკან მორბის ალუფხული ჯარი,
მენატრება შენი ფიქრიანი მზერა,
შეპარული ხმაში ნაღველი და ბზარი.

გაწყვეტილი სიტყვის გაგრძელებაც მინდა,
მოურჩენლად მტკივა ნაუბარი ბოლო...
თუკი კიდევ არის სამშობლოში წმინდა,
დაკარგული შენი სამარეა მხოლოდ.

2.

შენი წითელი,
დანჯღრეული ავტომობილი
წერაქვის აღმართს შეუდგა და მიჰქრის ხრიგინით,
ტყეებს აცვია ოქტომბრის ქარვა —
სევდით და მშვიდი, იდუმალი ღირსებით სავსე.

ნაკადულებში წყალმა იკლო და თივის ზვინებს
თუმც მიწის ფერი დაედოთ უკვე,
ჯერ მზე აქ არის!
ხალისიან შენს აღმართს მოსდევს,
და კარს რომ შეხსნი, ზღურბლსაც ერთად გადააბიჯებთ.
თონის პურებსაც ისევ თბილ-თბილს გადმოიღებ
და გამიღიმებ, როგორც პატრონი
ამ შემოდგომით გულსავსე მიწის, ამ ეზო-კარის,
ამ ერთადერთი
და შენი მზის შემყურე ქალის!

ო, ეს ღიმილი მეპატრონის,
ძველისძველი, ძლევამოსილი,
ვითომ ამ წუთს უეცრად და უნებურად დაბადებული,
ო, ეს ღიმილი,
მყარად ნაგებ კედელივით სანდო და თბილი.

3.

შენს ირგვლივ ახლა სიჩუმე სუფევს,
ყოვლისმთქმელი, სიტყვაზე სავსე,
ამ სიჩუმეს
აქ შენს მეტი სხვა ვერ დაარღვევს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული დაჭკნა, ჰყვავის მხოლოდ შენი ეკალი,
დოლბანდით გაკრულ
საფეთქლებზე სამუდამოდ შემოსალტული...
ჩიტი კი გალობს,
ჩამოსხეპილ ტოტზე შემხმარ სისხლსაც ჩაუფრენს
და წაქცეული ღობის სარზე შემოსკუპდება...

არ იქნებოდა, სიყვარულს რომ არ მოეკალი!
გულმოცარულნი არ მიდიან წაგებულ ომში...
ჩუმმომღიმარი სადა ხარ ნეტა?
ღამეგატეხილს უსასრულოდ სად მიგეძინა?
იქნებ შენც ღია, გახელილი დაგრჩა თვალები
და ამ წუთშიაც გაზაფხულის თოვლით გევსება...

ერთი უკვდავი კაცის შესახებ

წიგნიერებით,
მგზნებარე სიტყვით,
მოზომილი ცხოვრების წესით,
როგორ ატყუე ჯერ თავი და
შემდეგ კი — ყველა!

სადა ხარ ახლა ცრუწმინდანო,
ცრუწინამძღოლო,
სად გატრუნულხარ,
შენი ხელით დანთებულ ხანძარს,
საიდან უჭვრეტ?
ნაცარიც კი მუდამ სხვებს გააქვთ!

რა გვიან მივხვდი!
არ არსებობ,
მარტოოდენ მოჩვენება ხარ,
ცრუბრწყინვალებით შემოსილი
რაღაც ქიმერა,
მოუსვენარი ხალხის ფიქრში გამოჩორკნილი,
რომელსაც მერე, აღტკინება როცა დაცხრება,
იგივე ხალხი სიამოვნებით დასწვავს,
ანდა სანაგვეზე მოისვრის სულაც,

ხოლო როცა დამშეულნი გამოძღებიან,
აღლუმებიც მოენატრებათ!
აი, მაშინ მოგძებნიან,
სანაგვიდან ამოგბერტყავენ,
ყველა ქიმერა მუდამ ხალხის საკუთრებაა,
ხალხის სახელით მატყუარა,
უშფოთველი და თავში მტკიცედ დაჯერებული,
ბაგეთაგან სულ სიმართლის ცეცხლისმფრქვეველი...
უკვდავია უმეცართა აღტკინებით შექმნილი კაცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შენი წარსული,
როგორც თხზულება,
ვიდრე საქვეყნოდ გამოიტანდი,
ჯერ ჩაასწორე,
მერე კარგად გაიზეპირე
და რაც გზადაგზა ალამაზე,
რაც რანდე და აშალაშინე,
ირწმუნე კიდეც.
ახლა რომც მოგგკლან,
ამ თხზულებას
ერთ სიტყვასაც არ გამოაკლებ!

დღესდღეობით კი,
მსოფლიოზე გულაღრენილი,
თუკი სადმე სკამს დაგიდგამენ,
გაუთავებლად ლაპარაკობ საკუთარ თავზე
და არც გახსოვს მერამდენედ იმეორებ
შენგანვე შეთხზულს.

ჩვენს სასარგებლოდ,
ჩვენივ წარსულის დალაგების
ხერხი და ნიჭი თვითდამშვიდების უძველესი,
უებარი საშუალებაა!

სწორედ ამ ნიჭის პირმშო გახლავს შენი ლირიკაც,
ბოლოქანქარა ჩიტუნიას ცოტა ლექსები!

გაცემულ გროშებს
როგორი ცხარე სინანულით მიეტირები,
სამშობლოს თურმე ვალიც მართებს
პროფესიით პატრიოტების!
მომაკვდავ დედას ვინც კი ერთი ღამე უთია,
ახლა სუყველამ ანგარიში წარმოადგინა!

ომში კი, ომში, პირტიტვლები უნდა წავიდნენ,
დედისერთები, ბედისწერით თვალანთებულნი,
ანდა ისინი, ვინც უკან რომ შემობრუნდება,
დას ნაშუსს ახდის, ძმებს დახოცავს,
დაარბევს და ტყავს გააძრობს კუდის რიკამდე!

შენ არსად წახვალ —
მაგრამ ბიჭებს მაინც შეკრებ,
გვარდიიდან კაცსაც მოიწვევ,
თანადგომასაც დაპირდები მამულის დამცველთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არსად წახვალ!
შენ მომავალს უფრო სჭირდები,
ვიდრე ისინი, ვისაც სამშობლოს სიყვარულზე
არსად სიტყვაც არ დასცდენიათ,
მაგრამ მოკვდნენ სამშობლოსათვის!

შენ არსად წახვალ!
შენ ქალაქში საქმეები გაქვს!
შენს სამშობლოზე მხოლოდ უნდა ლექსები წერო —
ბოლოქანქარა ჩიტუნიას ცოტა ლექსები.

●

რით განსხვავდებით
შენ და აგერ ის მათხოვარი?

შენ ცნობილი მათხოვარი ხარ, სახელგანთქმული.
შესაძლოა სახელმწიფოს ხარჯზეც დაგმარხონ,
შესაძლოა ძეგლიც დაგიდგან...
და თუ ესენი გაჭირვეულდნენ,
მომავლისაგან ხომ მოელი გამოსარჩლებას!

შენ ცნობილი მათხოვარი ხარ!

●

განგებისაგან
ჭუჭყიანი ფიქრით დასჯილნო,
უსიყვარულოდ მომაკვდავნო,
თქვენ,
თქვენ ახსენებთ
დიდ ქალბატონთა უკვდავ სახელებს?!

ზამთრის მიწურულს

წვრილი წვიმების
გაცრეცილი ფარდების მიღმა,
კენტად მბჟუტავ ლამპიონზე შიშინებს ლეშხი...
იმ ლამპიონს ყოველ ღამე შიშით შევყურებ —
ხომ შეიძლება, დასველდეს და ისიც გამოქრეს?
ღია დატოვე რკინის კარი,
ღია დატოვე...
წვრილი წვიმების გაცრეცილი ფარდების მიღმა,
ჩაბნელებულ ფულუროებში ხომ ფუთფუთებს მატლი,
რომელიც
შენ გიყვარდა თავდავიწყებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

როცა მაქებენ,
ვაჟკაცობას მიქებენ მუდამ,
მაძაგებენ და
მიწუნებენ სწორედ ქალობას!

გამეღიმება ნაღვლიანად —
არ მიყვარს ხურდა,
არც ამ უკაცო
საქართველოს შევთხოვ წყალობას.

●

ო, მარტოობა,
სამუდამო მდგმური ამ სახლის,
რას ჩურჩულებს,
გულს რად ასკდება?!

ამ სარკმლიდან
რახანია არაფერი ჩანს...
და არც შენი ნაბიჯების ხმა
არყევს კიბეს...

●

მე ვერც ვჭიკჭიკებ და ვერც ვღულუნებ,
ენის მოჩლექაც ვერასდროს გკადრე.

როგორ მინდოდა სხვა საუკუნე...
ან უფრო გვიან, ან უფრო ადრე.

●

შენ,
შეიძლება, წინ აღუდგე ქვეყნიერებას,
მაგრამ ჭეშმარიტ არსებობას
ვერ შეეხები,
შენს ნებაზე ხელსაც,

ხელსაც ვერ გააქანებ!
გინახავს როგორ მკიან ყანას
ქართლში გლეხები,
როგორ მღერიან,
როცა ვერხვი ქართან ქაქანებს?

უეცარი წვიმის ჯანგზე

1.

წამოუშინა შხაპუნამ,
თავებს უშვერენ ბავშვები,
გადი, შენც გადაერიე,
დასველდები და.. გაშრები!

2.

გადაიარა შხაპუნამ —
დიდ ცაცხვქვეშ მიწა მშრალია,

გაიჭრიალა ჭიშკარმა,
ალბათ ამ წვიმის წყალია!

3.

უცებ ატეხეს ჩიტებმა,
ჩხუბი და აყალმაყალი,
თურმე დაუსკდა ტუჩები,
თურმე დამწიფდა მაყვალი!

●

ხ. გ. ხადმი.

მოვიდა თოვლი და გადნა უცებ,
ოვალის შევლებაც ვერ მოვასწარი,

სახლს უკაცრიელს და შეშლილ ქუჩებს
გადააფარა ღმერთმა ნაცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაინთქა შენი აღმართი ბოლო
და მიხაკების გზა შემზარავი...
სამარის კარიც, სამარის მოლიც
და ქარიც, ქარიც – ცრემლის მპარავი.

მე კი ვფიქრობდი იყოს რაც არი...
და მოთმინებით ვავსებდი ფურცელს
და მაინც რაღაც ვერ მოვასწარი,
მოვიდა თოვლი და გაქრა უცებ.

ახალი წლის ღამეს

1.

არ წკრიალებს ძველისძველი ბროლი,
და არც თეთრი შადრევნები ჩქეფენ...
ვზივარ მარტო,
ვუჩხიკინებ ბუხარს
და პაწაწა იმედს ვუთბობ ფეფებს.

2.

ბევრს აღარაფერს,
ცეცხლთან გამთბარი
ნამდვილი ნაძვის სურნელს ვინატრი,
მე ვიცი რატომ მიყვარდნენ მუდამ
რაინდი, სანჩო და როსინანტი...

3.

მაინც მოვრთე ხელოვნური ნაძვი,
მაინც შევდგი ცეცხლზე ქვაბი გრილი...
დაიქუხა, ალბათ უკვე აწვიმს
მაშხალები
გამოპრანჭულ თბილისს...

●

გუშინ მინახულა კაცმა,
წაქცეულმა,
ცოდვით სავსემ,
თვალებიდან მოჟონავდა
გულზე მოდებული ხავსი...

ღმერთო,
შენ განსაჯე იგი.
მე კი,
ცეცხლთან ახლოს დავსვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

კიბე იაკობისი

რომანი

21

ძღვიბი თოლორაია კვდებაო. ამ ცნობამ თავზარი დასცა მანცხვარკარს. მავანი ახლობლებში თუ გაბედავდა თქმას, ხანდახან ავადმყოფობსო. ამაზე ლაპარაკი გულწრფელი დანანებითაც საშიში იყო, ვინმეს ხომ შეიძლებოდა ამ გულწრფელობაში ფარული სიხარული ამოეკითხა.

თვითონაც არ ახსოვდა ძღვიბის, სად შეეყარა უკურნებელი სენი. მოულოდნელად, თითქოს უმიზეზოდ, მთელ ტანს დაფოთლავდა წითელი ლაქებით, მოაყრიდა წვრილ მუწუკს და აუტყდებოდა გაუსაძლისი ქავილი. ითმენდა ძღვიბი, ითმენდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა და იწყებდა გიჟივით ფხანას. რაც უფრო იფხანდა, მით უფრო მწარედ ექავებოდა, სისხლამდე ჩადიოდა და მოჰყვებოდა იატაკზე კოტრიალსა და ბღავილს... მერე ოდნავ დაუამდებოდა, იმედის ნაპერწკალი მოეცემოდა, იფიქრებდა, გადავრჩიო და ყველაფერი თავიდან ეწყებოდა.

ვერ გაეგო ძღვიბის, ვინ დასაჯა ასე, ღმერთი მაგას არა სწამდა და ეშმაკი, საკუთარ ბედ-იღბალს აგინებდა საშინელი სიტყვებით. თვითონ ხომ მწარდებოდა, უფრო ავი და დაუნდობელი ხდებოდა. სიტყვა რომ სიტყვაა, შემთხვევით, გულუბრყვილოდ დაგდებულს არავის აპატიებდა, რაკიღა მტერი მრავალთავიან ჰიდრად წარმოედგინა, ერთ თავს რომ წარჰკვეთდი, ათი ამოვიდოდა.

ვერას გახდნენ მანცხვარკარელი ექიმები. უცნაური სენის შინაარსი ვერავინ ამოიკითხა. თან იმასაც ფრთხილობდნენ, შემთხვევით არ შემოგვაკვდეს ეს უბედურ დღეზე გაჩენილი, მას ვერაფერს ვუშველით, ჩვენ კი თავებს დაგვაყრევინებენო. მაღალმა ხელისუფლებამ გულთან მიიტანა „ძველი ბოლშევიკისა“ და „ერთგული რევოლუციონერის“ გაჭირვება და ცნობილი სპეციალისტი გამოუგზავნა. იმან თავი საეჭვოდ აქნია და იგივე მიქსტურები და მალამოები გამოუწერა, რასაც მანცხვარკარელი ექიმები ახმარდნენ.

გვიან მიხვდა ძღვიბი თოლორაია. ადრევე უნდა ეზრუნა საკუთარ თავზე, ძირშივე უნდა ემკურნალა წყეული სენისათვის, მაგრამ მთელი ცხოვრება თოკზე მოსიარულესავით განვლო, არ თავდებოდა ხმლის ქნევა და ჩახაჩუხი, ბოლო წლებში კი სამეულის სხდომები,

---

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 3-4.

ტყუპისცალივით მსგავსი საქმეების გარჩევა. მტერს ყნოსვით შეიცნობდა. უბრალოს არ დასჯიდა, ოღონდ მის თვალში ბრალეულობის ნუსხა უსასრულოდ დიდი ბოლო, სტერილურად უდანაშაულოს კი იშვიათად შეხვედრია. განაჩენი მუდამ მკაცრი და უკიდურესი გამოჰქონდა, აღსრულებასაც არ აყოვნებდა. დღისით მსჯავრდადებული, ღამით უკვე გაჰყავდათ, თავის მართლების საშუალება არავის რჩებოდა...

მიეჩვია სიკვდილს! ქათმის დაკვლა უჭირდა, თორემ ადამიანს კეფაზე ტყვიას ისე იოლად დაახლიდა, ხელი არ აუკანკალდებოდა... რა არის ადამიანი საერთოდ? — ფილოსოფოსობდა ხანდახან. — ადამიანი გვამია, რომელსაც დროებით აჩუქეს სიცოცხლე. იმის წართმევაზე იოლი არაფერია, ამ დროს იგი საწყის ვითარებას უბრუნდება, ესე იგი კვლავ გვამად გადაიქცევა. ამიტომ სიცოცხლე იმას უნდა გაუხანგრძლივო, ვინც ღირსია. ღირსი კი ის არის, ვინც კაცობრიობას დიად მომავალს უშენებს. ვინც საკაცობრიო წინსვლას ფეხებში ებორკება, ის უნდა მოისპოს, ამით გზა ჭეშმარიტებისა განიწმინდება...

კაცობრიობა ყველაფერია, ადამიანი — არაფერი, — ასეთი იყო მარტივი არითმეტიკა.

ერთხელ, ღამის სიბნელეში, სამარის პირას წაჩოქებულ, შიშველ გვამებს რომ ჩაუარა, ერთმა თეთრწვეროსანმა, ალბათ წუთის წინ ანაფორა რომ გახადეს, მსხვერპლისათვის დაუჯერებელი სითამამით ამოჰხედა და უთხრა:

— ღვთის რისხვა რომ მოგევლინება, მაშინლა მიხვდები, გზაი შენი ცრუ არს!

— გიშველოს, აბა, შენმა ღმერთმა! — უპასუხა ძღვიბიმ და კეფაზე დაახალა.

წელანდელი „მამაო“ გადავარდა შავ ხაროში, სადაც სხვა გვამები უკვე ეყარა გარდი-გარდმო.

ძღვიბის მაინც შერჩა წყენა, რადგან ძალაუნებურად პატივი უნდა ეცა მტრის სივაუკაცისათვის. მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ხომ შაშისაგან კარგავდა ადამიანურ თვისებებს, ეწყებდა ტირილსა და ვაებას, ან ცახცახს ვერ იოკებდა, ან ბოლომდე სჯეროდა გადარჩენისა, ცდილობდა ჯალათის გული პირფერობით მოელბო... ამათ სიცოცხლეშივე უკვე ასდიოდა გულისამრევი სუნი სიკვდილისა. ეს სუნი აგიჟებდა ძღვიბის, თითქოს ჭუჭყი და ბიწი ლპობისა მასაც ეცხებოდა. შინ დაბრუნებული დიდხანს იბანდა, ოღონდაც თავს დაბანილად მაინც ვერ გრძნობდა.

„სიკვდილს სენი შემეყარა!“ — გაიფიქრა ერთხელ.

სწორედ რომ სიკვდილის სენი შეჰყროდა, სულს არც ართმევდა და არც აცოცხლებდა, ყოველი წამი არსებობისა მისთვის ჯოჯოხეთად გადაექცია. ამაზრზენი იყო ეს ტკივილნარევი ფხანა, სიგიჟემდე რომ მიჰყავდა. საშველი როცა აღარ ჰქონდა, ჩაიკეტებოდა ოთახში, იწყებდა მოთქმა-ტირილს, თანდათან თავდავიწყება ეუფლებოდა, ხმას უმატებდა და ბოლოს ღრიალს მორთავდა. ამ დროს კარს მიღმა ბიკენტი გაყუჩდებოდა, უსმენდა მამის გოდებას და მეათასეჯერ ეკითხებოდა თავის თავს: „მამაჩემი წმინდა კაცია, ნაღდი კომუნისტია, სიცოცხლე რევოლუციასა და სოციალიზმს შესწირა, მაშ, რატომ იტანჯება ასე, სადაა სამართალი?..“

დიახაც, სამართალი არსად იყო!

იდგა 1937 წლის სიცხიანი აგვისტო. ძღვიბი თოლორაიამ ჩასთვლიმა, ძილმა წუთით წაიღო საშინელი ქავილი, დაუამა. ფანჯარში ნელი ნიავი ფაჩუნობდა და ვარსკვლავიანი ცა იყურებოდა. უცბად ორად გაირღვა ზეცა. გაიხსნა შავი კარები და იქიდან მირიადი ვარსკვლავი დაიძრა, წვიმად წამოვიდა, ძირს ჩამოეფინა... მოქროდნენ ვარსკვლავები და ზანზალაკებივით წკრიალებდნენ. მიხვდა ძღვიბი, ვარსკვლავები კი არა, ადამიანთა სულები მოქრიანო... ისინი ძღვიბიმ გაათავისუფლა გვამების ტყვეობიდან და ახლა მსუბუქად დაფარფატებდნენ ეთერში... შეშურდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლად მოფარფატე სულებისა, რომლებიც უკან, ცის გახსნილ კარში შეფრინდნენ, ძღვიბი კი შეატოვეს თავის ხრწნად გვამს, რომლისაგან ვერასოდეს განთავისუფლდებოდა. გააჟრჟოლა ძღვიბის, გამოეღვიძა, სხეულს მიუგდო გულისყური... დაიძრა ათასი ჭიანჭველა, მიესია და დაუწყო წიწკნა. კბილს კბილი დააჭირა ქოსა ძღვიბიამ, რომ არ ეყვირა. სურდა ათასი ფრჩხილი ჰქონოდა, რათა ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯა ეს უგვანი ჭურჭელი შავი სულისა...

„ნუთუ არასოდეს მოვკვდები?" — ამაზე უარესი ხვედრი არ არსებობდა.

იხმო ძღვიბიმ ბიკენტი, თავისი ვაჟიშვილი, უბრძანა ტატაჩი მომგვარეო.

უმალ მოვარდა ტატაჩი თოდუა. წელგამართული შემოვიდა, თუმცა ძღვიბიმ შეამჩნია, პირისახე მიწისფერი გახდომოდა, უპეები ჩაჟამებოდა და თვალებში სიცოცხლე ჩაქრობოდა.

— დაჯექი! — უბრძანა.

ტატაჩიმ სკამი გამოაჩოჩა, ასევე წელგამართული დაჯდა. კარგა ხანია შიშიანი თრთოლვა აღარ უვლიდა ძარღვებში. ეზიზღებოდა ეს საზარელი კაცი, სძულდა და ამას აღარც მალავდა. ძღვიბი მიუხვდა ადრევე, ოღონდ წყენის არც დრო შერჩა, არც ღონე. ახლა ეს სიძულვილი იყო მისი გადამრჩენი.

— იარაღი თუ გაქვს?

ტატაჩიმ რევოლვერის ბუდეზე დაიხედა გაკვირვებით. რა თქმა უნდა, იარაღი თან ჰქონდა.

— ძალიანაც კარგი! — კვნესა ჩაიხშო ძღვიბიმ, წამით თვალები დახუჭა.—ჩემი ღღეები დათვლილია, ტატაჩი! — ხმა აუკანკალდა, სიმტკიცემ უღალატა.

ტატაჩი წამოიწია ხელები გაასავსავა, ალბათ უნდოდა ყალბი თანაგრძნობის გამოხატვა, მაგრამ ძღვიბიმ ანიშნა, საჭირო არ არის, ისედაც ყველაფერი ვიციო.

—ამას არაფერი ეშველება, ჩემი ღღეები დათვლილია, — გაიმეორა, თან ხმას კაჟი შესძინა, თვალები დაუწვრილდა, თითქოს აყვირებას აპირებდა. ლანძღვის კორიანტელს, როგორც ადრე ჩვეოდა, მაგრამ ხმადაბლა, ითმენის ჩურჩულით განაგრძო, თან ტატაჩის კუთხეში ავი ღიმილი გამოესახა: — საფლავში არ მინდა საიდუმლო წავიღო! აქამდე არავისთვის გამიმხელია, გულს ვერავის გადავუშლიდი... მარტო შენ გამოგიტყდები, დასკვნები კი რანაირიც გინდოდეს, იმნაირი გამოიტანე!

ტატაჩის მოუთმენლობა დაეტყო. ეს ჩია კაცი თავისი სიმძიმით ჩაგრავდა, მიწასთან ასწორებდა. ვერასოდეს ხვდებოდა, რა ბადესაც ქსოვდა ხოლმე ძღვიბი თოლორაია, ვირთხის თვალებით ისეთ რამეებს ამჩნევდა, რასაც ახალგაზრდა გამომძიებელი ვერასოდეს ჩასწვდებოდა. ბნელი იყო მისი წარსული, მისი ცხოვრება, მისი სული... ვერა და ვერ შეეღწია ტატაჩის ამ სიბნელეში, ვერა და ვერ გაეგო რა იმალებოდა მის კუთხე-კუჭულებში. ახლა კი, სიკვდილის პირზე ძღვიბია თვითონვე აპირებდა კარის გახსნას.

— შენი სიმამრი, გერა კვარაცხელია, კაი კაცი იყო, — თქვა ძღვიბიმ. — ოღონდ, ცხონებული ცოტათი შერეკილი ბრძანდებოდა. მისი ხასიათი მავნე გახდა რევოლუციის საქმისათვის და მე და მამაშენმა, ნესტორმა დავლუპეთ ის საცოდავი...

ტატაჩი გაშრა. სკამიდან ისე წამოდგა, მერე ვერც იხსენებდა, საერთოდ იჯდა თუ არა. თავზარდაცემული უყურებდა ამ დაჯღანულ მაიმუნს, უნდოდა რაღაცა ეთქვა და ვერას ამბობდა.

— არ გჯერა ხომ? — იქედნურად ჩაიხითხითა ძღვიბიმ. — მაშინ იმასაც არ დაგიმალავ, რომ ნესტორიც მე მოვკალი, აი, იმ კიბეზე გავაგორე, გერამ რომ ააშენა!.. ნესტორიც არ ვარგოდა რევოლუციის დიადი საქმისათვის და იმიტომ მივაჭედე ტყვია!

ტატაჩიმ უცბად რევოლვერის ბუდეზე იკრა ხელი, თითით ღილაკს აწვალედა, ეს ოხერი არ იხსნებოდა.

ძღვიბი არ განძრეულა, ჩუმად ხითხითებდა და მისი ხიოის მოძრაობას უყურებდა.

— ტყუი, ტყუი! — გათეთრებული ტუჩებით წარმოთქვა ტატაჩიმ, რევოლვერი დააძრო, მაგრამ ხელი უკანკალებდა და თითი სასხლეტს ვერაფრით მოახვედრა.

ძღვიბი ინტერესით უთვალთვალებდა რევოლვერს, თითქოს ამხნევებდა კიდეც ტატაჩის, ოღონდ ამას რევოლვერი გაუვარდა და ისტერიულად შეჰკივლა:

— ვირთხა, ვირთხა!

შეტრიალდა და კარი გაიჯახუნა.

ძღვიბის პირზე ღიმილი შეადნა, სიცილი ჩაუქრა, სახე გაეყინა. კვლავ აფუთფუთდა ათასი ჭიანჭველა და მის უმაქნის სხეულს დაუწყო წიწკნა.

ატირდა ძღვიბი თოლორაია, მუშტები თავში წაიშინა და საშინელი სიტყვებით დაუწყო გინება ტატჩის, გერას, თავის თავს, მთელ ქვეყანას, მაღლა ღმერთს და ჯოჯოხეთში ეშმაკს...

შემოვარდა ბიკენტი.

— რა იყო, ბაბაია, ხომ არ გაწყენინა?

— მომკალი, შვილო, გაფიცებ დედის სულს, აიღე რევოლვერი და მესროლე! მომკალი, გაფიცებ დედის სულს!..

— რას ამბობ, ბაბაია, ასე როგორ გაგამწარა ტატაჩიმ?

— ტატაჩი მთხლეა, ტყვიაც ვერ დამახალა!.. შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, უტეხი და უშიშარი, ჩემი შველა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, მომკალი, გაფიცებ დედის სულს!

— გაგიჟდი, ბაბაია?!

—ამაზე იოლი რა არის? ჩახმახს თითს ვერ გამოკრავ?.. გაბრაზდი და გაგიიოლდება!.. იცი, ვინ მოკლა დედაშენი?.. იცი?

ბიკენტიმ ენა გადაყლაპა, თვალები დაუმრგვალდა.

— ვინა და მე!.. დიახ, მე მოვკალი!.. აი, ამ ხელებით დავახრჩვე, მივასიკვდილე!

კიოდა ძღვიბი, ხმას იგლეჯდა, სული ეხუთებოდა, კრუნჩხვები უვლიდა, რაც უფრო ცოფდებოდა, მით უფრო უმძაფრდებოდა ტკივილნარევი, გულისწამღები ქავილი.

გაძლება შეუძლებელი გახდა.

ბიკენტის სულში საშინელი რამ ხდებოდა — გაოცება, თავზარდაცემა, შიში, ზიზღი — ყველაფერი ერთმანეთში აერია. არ უნდოდა დაეჯერებინა ბაბაიას სიტყვები, მაგრამ უმალ ირწმუნა, იგი სიმართლეს ეუბნებოდა, სიკვდილის მოსურნეს სიცრუე არ სჭირდებოდა.

უსაზღვროდ შეურაცხყოფილმა ანგარიშმიუცემლად აიტაცა რევოლვერი, სწრაფად დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოკრა. თითქოს მისმა მფარველმა ანგელოზმა აუკრა ხელი, ვიღაცამ არ ინება მამისმკვლელად ექცია, ორი ნაბიჯიდან დამიზნებული ტყვია ძღვიბის აცდა და ფანჯრის რაფას ეძგერა.

— ოო! — მწუხარებით აღმოხდა ძღვიბი თოლორაიას, უკან გადავარდა და მოულოდნელად საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, მოსწყდა საკუთარ სხეულს და სივრცეში გაიჭრა. დიდხანს ვარდებოდა უსასრულოდ თეთრ გვირაბში, წამი საუკუნედ გადაექცა, მაგრამ საუკუნეც მიილია და მაღალ კარებთან აღმოჩნდა.

შეყოყმანდა ძღვიბი, უჩვეულო რიდი დაეუფლა.

დააკაკუნა.

უზარმაზარი კარები მსუბუქად გაიღო. ზღურბლზე მჭიდროდ იდგნენ ქალები და კაცები.

დააკვირდა ძღვიბი, იცნო.

ნესტორ თოდუას დოინჯი შემოეყარა, გერა კვარაცხელია ამოსდგომოდა გვერდით... ამათ უკან უამრავ სახეებში ძღვიბიმ გაარჩია ჩორნა, მთასავით აყუდებულს ფერმკრთალი ჩათა ეკვროდა მხარზე... ზოგი სხვაც ემცნაურა, ბევრი ვეღარ იცნო... ყველანი შეუბრალებლი თვალებით შემოსცქეროდნენ.

გერა კვარაცხელიამ თითი მიუშვირა, ჰკითხა:

„აქ რამ მოგიყვანა?“

„შვილმა ტყვია დამახალა, ბიკენტიმ, ცოცხალი აღარა ვარ!“ — სიხარულით ამცნო ძღვიბიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ის ტყვია აგცდა, ბიკენტი გადაურჩა საუკუნო ცოდვას! დაბრუნდი უკან, ცოცხლებში!“

მუხლებზე დაეცა ძღვიბი, ხელები ვედრებით აღაპყრო.

„შემიშვით, გერა, აღარ შემიძლია უკან დაბრუნება, გავთავდი კაცი!“

„ეს კარი შენთვის დახშულია, ძღვიბი თოლორაიავ, გაბრუნდი უკან!“ — მკაცრად თქვა გერამ.

შეხედა ძღვიბიმ ნესტორს, ჩორნას, ჩათას, ნაცნობთ და უცნობთ, მათს გამოხედვაში თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა.

უკან გაბრუნდა, სწრაფად მოლია თეთრი გვირაბი და შინ აღმოჩნდა.

ძღვიბის პატარა გვამი ყვავილების ზვინში ჩაფლულ წითელ კუბოში ესვენა. ზედ წითელი დროშა ეფინა, ოქროს ვარსკვლავით, ნამგალით და ეროთი დამშვენებული. კუბოს ირგვლივ და მთელ ეზო-გარემოში გვირგვინების ტევა არ იყო. სასულე ორკესტრი უკრავდა „ინტერნაციონალს“. მთელი ქალაქი დაძრულიყო ძღვიბი თოლორაიასთან გამოსამშვიდობებლად. ქალაქის თავნი ყინჩად იდგნენ საპატიო ყარაულში. პარტიულებსა და კომკავშირლებს შავარშიანი წითელი სამკლავურები ეკეთათ, პიონერებს წითელი ყელსახვევები. სკოლებიდან ოქტომბრელებიც მოიყვანეს და პატარები შეშინებულნი აცეცებდნენ თვალებს.

მოვიდნენ ცაცანა და ეფროც. ცაცანა მჯიღს მკერდზე იცემდა და მოთქვამდა. ეფროს ბაგე მკაცრად მოეკუმა, გვამს გაუცხოებული მზერა ესროლა, თითქოს არ სჯეროდა, ძღვიბი რომ მოკვდა. ნამტირალევ ბიკენტის მოუბოდიშა, ტატაჩი ცუდადაა და იმიტომ ვერ მოვიდაო. მართა არ უხსენებია. ბიკენტიმ თავი დაუქნია, გულში კი ეჭვიანი შხამი ჩაეღვარა, კარგად ხვდებოდა ტატაჩის რა ტკივილიც შეეყარა.

მოულოდნელად ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ორად გაიყო და ცოცხალ დერეფანში მელოტი, პირმრგვალი კაცი გამოჩნდა. ოქროს პენსნე ეკეთა. ფეხდაფეხ დაცვის ბრგე ვაჟკაცები მოჰყვებოდნენ. კაცმა აჩქარებული, ენერგიული ნაბიჯებით გადმოკვეთა ეზო და კუბოსთან გაჩერდა.

მიცვალებულმა მკვდარი თვალებით ამოჰხედა, პირზე ამაზრზენი ღიმილი გამოესახა და უთხრა:

„ლავრენტი, მე ჯერ აქა ვარ, ვერა და ვერ მოვკვდი!“

ლავრენტი პავლეს ძემ სამძიმრის დეპეშა ამოიღო, მთლად პირველი კაცის გამოგზავნილი უპირველესი ქალაქიდან. დეპეშაში მოკლედ ეწერა, ვწუხვარ ცნობილი რევოლუციონერისა და ძველი ბოლშევიკის უდროოდ დაღუპვის გამოო... ბიკენტის თვალთაგან ცრემლი დასდინდა. აღარ მოელოდა ასეთ დაფასებას. ლავრენტი პავლეს ძემ მხარზე ხელი მოუთათუნა.

— დიდი კაცი იყო ამხანაგი ძღვიბი თოლორაია! — ნელა, დამარცვლით ბრძანა. — მისი საქმე არ დაიღუპება! მან დატოვა შვილი, რომლის ერთგულებაში პარტიას ეჭვი არ ეპარება! ამხანაგი ბიკენტი გააგრძელებს მამის სახელოვან საქმეებს!

ესა თქვა და შეტრიალდა, კვლავ ფეხაჩქარებით გადაკვეთა ეზო. ბიკენტი ცოტაზე აედევნა, მადლიერების ლუღლუღი თუ შეეძლო, მხრებაწურული შეჩერდა, მიმოიხედა, აწი რაღა ვქნაო. არც სხვებმა იცოდნენ როგორ მოქცელიყვნენ. ამასობაში ლავრენტი პავლეს ძე და მისი თანმხლები პირები მანქანებში ჩასხდნენ და გაქრნენ. დამსწრე საზოგადოებამ შვებით ამოისუნთქა.

„დროა!“ — გაიფიქრა ძღვიბიმ, რომელიც კუბოს სასთუმალთან, ყვავილებში იჯდა და საკუთარ გვამში დაბრუნება ვერაფრით გადაეწყვიტა.

— დროა! — გაისმა აქა-იქ ჩურჩული.

ახლობლებმა დაავლეს კუბოს ხელი და ციმციმ წაასვენეს.

ძღვიბიც მიჰყვა და ზევიდან დაჰყურებდა მილეთის ხალხს, მის საპატივცემლოდ კუბოს რომ მიჰყვებოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მზემ დასავლეთისაკენ გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა.

ამოთხრილ სამარესთან შექუჩდნენ. მოკლე, ნაჩქარევი მიტინგი ჩააბულ-ბულეს... პარტიის რაიკომის სახელითო... კომკავშირელთა სახელითო... პიონერთა სახელითო... პროფკავშირების სახელითო... დიდი ლენინის მოწაფეო... დიდი სტალინის მოწაფეო... ლავრენტი პავლეს ძეს მოწაფეო... სიკვდილამდე სულ მოწაფედ დარჩენილიყო ძღვიბი თოლორაია.

— არიქა, ვირთხა! — შეჰყვირა უცებ ვიღაცამ.

მგლოვიარენი შეჩოჩქოლდნენ, ქალებმა შიშიანად შეჰკივლეს, კაცებს ფერი ეცვალათ.

შორიახლოს საფლავის ვირთხა მიათრევდა გრძელ კუდს, ცდილობდა გასწრებას.

— გამეცალეთ, დამაცადეთ! — რევოლვერი იშიშვლა ბიკენტიმ, ტყვია წერტილში მოარტყა და ვირთხა გააგორა.

მიტინგი სწრაფად ჩაიფარცხა. კუბოს სახურავი დააჭედეს და სამარეში ჩაუშვეს. მერე მიწაც მიაყარეს და გვირგვინები ზედ დააზვინეს.

შეჭირვებული ძღვიბი თოლორაია ზევიდან დაჰყურებდა საკუთარ საფლავს. აღარ იცოდა სად წაეღო თავისი უკვდავი სული. ძირს დაგდებული საფლავის ვირთხა რომ იხილა, ბევრი არ უყოყმანია. შიგ სწრაფად მოთავსდა. ქავილით დატანჯულმა ნატყვიარის ტკივილი არაფრად ჩააგდო.

ვირთხამ ფეხები გაასავსავა, წვრილი, ბოროტი თვალები დაკუსა და ახლო ბარდებში გახვანხვალდა...

22

— ისე, მამაჩემს კი ეკუთვნოდა შენგან ერთი წვეთი ცრემლი! — უბოროტოდ, წყნარად უთხრა ბიკენტიმ ტატაჩის.

ბიკენტი ძღვიბი თოლორაიას სკამზე იჯდა, ძღვიბის კაბინეტში. ტატაჩი ფეხზე იდგა. ჯიბეს უწვავდა ოთხად დაკეცილი განცხადების ფურცელი, ვინაიდან ახალ ხელმძღვანელთან უბრალოდ ვარ, გთხოვთ სამსახურიდან დამითხოვოთო... ეს განცხადება, ცხადია, სიგიჟე იყო. თავისი ნებით აქედან არავინ მიდიოდა. აქედან გზა ზღაპარივით სამად იყოფოდა: ერთი პენსიისაკენ მიემართებოდა, მეორე — სიკვდილისაკენ, მესამე — ციმბირისაკენ. და ამ დროს სიტყვა „ციმბირი“ მოიცავდა მთელ საბჭოეთს, რაკი ზუსტად არავინ იცოდა, უგზოუკლოდ დაკარგულნი რომელ უფსკრულში ცვიოდნენ.

ბიკენტიმ არ იცოდა, თუ რა ედო ტატაჩის ჯიბეში, იგი კარგ გუნებაზე იყო და ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ჰქონდა გასაყოფი, არაფერი ჰქონდა სადავო, პირიქით, ორი დიდ რევოლუციონერის შთამომავალთა ძმობას ბზარი არსად აჩნდა.

— დაჯექი, რა უცხოსავით დგახარ! — გაკვირვებითა თქვა და ტატაჩიმ გადაიფიქრა ჯიბიდან განცხადების ამოღება. იქნებ მართლაც გულწრფელი კაცია ბიკენტი. ახლა ხომ დიდ თანამდებობაზეა, დაივიწყა ძველი მტრობა და მეგობრობის ხელს უწვდის...

ხავსს ეჭიდებოდა ტატაჩი, თავს იტყუებდა. ულმობელი ხელი უკვე აღიმართა მის თავზე. კარგა ხანია დარწმუნდა, საფრთხეს ვერ აიცდენდა.

იჭერდნენ იმ წელს... ადრეც იჭერდნენ! რაც ტატაჩის თავი ახსოვს, ყოველთვის იჭერდნენ... თავდაპირველად მხოლოდ მტრებსო, დარწმუნებული იყო. მერე და მერე თავგზა აებნა, რაკი მტერი უსასრულოდ მრავლდებოდა. დაჭერების ტალღა ტალღას მოჰყვებოდა. ყოველი ახალი მოქნევა ცელისა, მეტ თავებს აგორებდა და თანდათან გაუგებარი გახდა, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე... დიახ, მისი რიგიც დამდგარიყო! ამაში დარწმუნდა ტატაჩი თოდუა, ცელის პირი სადღაც მის კისერთან ელავდა უკვე. საკმარისია, მთიბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმა ნაბიჯი გადმოდგას, ტატაჩისაც მისწვდება იგი, მისი თავიც გაგორდება ძირს...

წინათგრძნობა გულს უღრღნიდა, სიცოცხლეს უმწარებდა... იქნებ მართლაც დაეაშავა რამე? იქნებ სადღაც არ მოიქცა სწორად?.. ბევრჯერ აწონ-დაწონა, ფიქრში მრავალგზის გაიარა საკუთარი ცხოვრების გზა... ღვთისა და ადამიანთა წინაშე იმაზე მეტი დანაშაული რა იქნებოდა, რომ ძღვიბის მიჰყვა, თოლორაიას, მის განკარგულებებს ასრულებდა... პირველსავე შემთხვევაში ვერ დაიცვა იგივე ირიდიონ რიგვავა, ვერც ვერავინ სხვა, რომელთა სახელია „მრავალნი“. არათუ ვერ დაიცვა, თვითონაც იძულებული გახდა ჯალათობა ეკისრა... იძულებული გახდა?.. გამოსავალი არ ჰქონდა?.. სიკვდილის გამოსავალი ხომ ჰქონდა!

— შეუძლოდ ვიყავი იმ დღეს. — თავი იმართლა, — შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა ძღვიბი ბიძია!

ამ გულსგარეშე ნათქვამმა სიცრუემ თავი უფრო შეაზიზღა. არასოდეს ყვარებია ძღვიბი თოლორაია, მით უფრო ბიკენტი... ტყვიას არ დაიშურებდა მისთვის, ოღონდ თავზევით ძალა არ იყო... ან ბიკენტის რატომ უნდა ყვარებოდა ტატაჩი, რატომ უნდა დაენდო?.. ძმაკაცის როლს თამაშობს. კატასავით კრუტუნებს, ტატაჩი თაგვი ჰგონია. ფერება-ფერებაში სურს მოწინააღმდეგეს სული ამოჰხადოს... ფრთხილად უნდ იყოს ტატაჩი, შეცდომის უფლება მას არა აქვს, თორემ თავს წააგებს... იქნებ სჯობია, თავი მოიკატუნოს, არ გაამჟღავნოს, რომ ყველაფერს ხვდება... არაფრის საბაბი არ უნდა მისცეს. თუმცა რად უნდა საბაბი? წუთში შეუძლია დაამტკიცონ, რომ ძღვიბი თოლორაიას სატირალში იმიტომ არ მოვიდა, ჩვენი სახელოვანი „ენკევედე“ აღარ მოსწონსო... მეტი არაფერი სჭირდება „სტოლიპინის ვაგონის“ ბილეთს... იქნებ დაასწროს მოწინააღმდეგეს, სასწრაფოდ გაიჩინოს მფარველი, იმას შესჩივლოს... მაგრამ ვინღაა ისეთი დიდი კაცი, „ძღვიბიევიჩს“ ეტყვიდან თითს რომ დაუქნევს?.. ლავრენტი პავლეს ძე?... ამხანაგი ლავრენტი?.. ამის „ვაფიქრებაზე თრთოლვამ დაუარა ტატაჩის. ლავრენტისთან მისვლა ლომის ხახაში თავის შეყოფასა ჰგავს. სანამ ლავრენტი საქართველოში იყო, კიდევ ჰო.. მოსკოვი შორსაა და იქაური კარები დახშულია...

შინ რომ ბრუნდებოდა, ამაზე ფიქრობდა ტატაჩი. იხსენებდა ერთ უჩვეულო ამბავს, თავად რომ გადახდა და ამაზე კრინტის დაძვრასაც ერიდებოდა.

„წყალტუბოში ისვენებდა მთლად დიდი ბელადი. მეორე სართულის აივანზე ლავრენტი პავლეს ძე იმყოფებოდა, ქვევით, ეზოში, ახალგაზრდა ჩეკისტი, ამ მომენტისათვის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. სხვა ჩეკისტებიც იყვნენ შორი-შორ მიმალულნი, ცხვირის გამოყოფასაც ვერ ბედავდნენ, რადგან დიდმა ბელადმა დაცვა არ ინება.

დილის ათ საათზე ეზოში შავი მანქანა შემოვიდა ნელი თუხთუხით. ახალგაზრდა ჩეკისტი სმენაზე დადგა.

მანქანის კარი გაიღო და რესპუბლიკის პირველმა კაცმა გამოიხედა, ახალგაზრდა მოიხმო და უთხრა:

— გეთაყვა, აირბინე და იოსებ ბესარიონის ძეს მოახსენე, რომ თბილისიდან ჩამოვიდა ამხანაგი №!

ჩეკისტი შეტრიალდა, კიბეზე თავქუდმოგლეჯით ავარდა და აივნიდან მოყურადე ლავრენტის მიეახლა.

— ლავრენტი პავლეს ძევ! თბილისიდან ჩამოვიდა ამხანაგი №, ითხოვს სტალინთან მიღებას!

— მოიცადოს! — მოჭრით დაადო ლავრენტიმ.

ჩეკისტი შეტრიალდა, კიბეზე დაეშვა და დანაბარები სტუმარს გადსცა. ამხანაგი № უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა, მაგრამ არაფერი უთქვამს, საზურგეს მიეყრდნო და თვალი მილულა. ეტყობა, მგზავრობას დაეღალა.

დრო ზოზინით მიდიოდა. თბილოდა. ბაღში ჩიტი ჭახჭახებდა.

ᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ძლივძლივობით ერთი საათი გადაგორდა.

ამხანაგმა №-მა თვალი გაახილა. ჩეკისტი კვლავ მოიხმო და უთხრა:

— გეთაყვა, ერთხელაც ნუ დაიზარებ, ადი და შეახსენე ამხანაგ სტალინს, რომ თბილისიდან ჩამოვედი და მიღებას ვითხოვ!

კვლავ ადგილს მოწყდა ახალგაზრდა ჩეკისტი, კიბეზე სულმოუთქმელად აირბინა.

— ლავრენტი პავლეს ძევ! ამხანაგი № მიღებას თხოულობს!

— მოიცადოს! — მეორეჯერაც მოჭრა ლავრენტიმ.

ახალგაზრდა ჩეკისტი ეზოში ჩავიდა და დანაბარები გადასცა.

ამხანაგმა №-მა ამოიხვნეშა, არაფერი უთქვამს, საქაღალდე ამოიღო, გახსნა და ქაღალდებს ჩაულრმავდა.

მძღოლს საჭეზე ხელები ჩამოეყრდნო, წინ იყურებოდა და თოჯინასავით გაყუჩულიყო.

კიდევ ერთი საათი გადაგორდა. მზემ აიწია, დააცხუნა.

ამხანაგმა №-მა შეხედა ახალგაზრდა ჩეკისტს. ის უთქმელად მიუხვდა და კიბეზე მესამედ ავარდა.

ლავრენტიმ უკმაყოფილოდ მოიხედა და მესამეჯერაც იგივე უპასუხა:

— მოიცადოს!

ისევ გაგრძელდა მოსაწყენი წუთები. ამხანაგმა №-მა ქაღალდებს გული ვერ დაუდო, დაკეცა, ისე ამოიოხრა, თან გული ამოატანაო და დასიცხულ ეზოგარემოს გახედა.

სამ საათზე ახალგაზრდა ჩეკისტი კვლავ ავიდა კიბეზე. ლავრენტიმ უკმეხად შეაგება:

— მოიცადოს!

ოთხ საათზე ჩეკისტს ასვლა ეზარებოდა, წელს ძლივს მიათრევდა.

— მოიცადოს!

ხუთ საათზეც იგივე პასუხი ჩამოიტანა:

— მოიცადოს!

ამხანაგმა №-მა თავი გამოყო, აივანს ახედა. აქედან იგი ლავრენტის ვერ ხედავდა. დაღლა და ჭოჭმანი დაეტყო. კვლავ თითით მოიხმო ახალგაზრდა ჩეკისტი და შეწუხებულმა უთხრა:

— ეტყობა, ამხანაგ სტალინს არ სურს დღეს მიმიღოს! გეთაყვა, მოახსენე, რომ ვიყავი და წავედი!

მძღოლს თავი დაუქნია და ისიც გამოცოცხლდა, მანქანა აამუშავა.

ახალგაზრდა ჩეკისტი კისრისტეხით ავარდა აივანზე.

— ლავრენტი პავლეს ძევ, ამხანაგი № მიემგზავრება!

— წაეთრიოს! — მოჭრა ლავრენტიმ. აივნიდან გადაიხარა, მიმავალ მანქანას თვალი მიადევნა. პენსნეზე მზის მეწამური სხივები აირეკლა.

ლავრენტი შებრუნდა და კარი დაუკაკუნებლად შეაღო.

ჩეკისტმა ფეხი მოინაცვლა, წასვლა დააპირა, მაგრამ შეყოვნდა და მაშინ მოესმა ლავრენტის ხმა:

— ამხანაგო სტალინ, ამხანაგი № გეახლათ თბილისიდან!

— შემოვიდეს!

— წავიდა კიდეც!

— რატომ? — გაკვირვებით იკითხა იოსებ ბესარიონის ძემ.

— ერთი-ორი წუთით მოითმინე-მეთქი და იწყინა, ადგა და გაემგზავრა!

— მერე და წავიდეს! — უკმაყოფილოდ შეეპასუხა დიდი ბელადი.

ახალგაზრდა ჩეკისტი კიბეზე დაეშვა და ეზოს ჩრდილს შეეფარა.

ამხანაგი № ახლა არც პირველი კაცია და არც სხვა რამ რანგისა. მის ადგილას სულ მალე ლავრენტი გამწესდა... ამ პატარა ამბავში დიდი შინაარსი ამოიკითხა ტატაჩიმ. დიახ, უნდა იყო ეშმაკი, ცბიერი, ცრუ, ღალატიანი, გახსოვდეს მხოლოდ საკუთარი თავი, ეცადე ფეხი არ დაგიცდეს, თორემ ხელს არავინ გამოგიწოდებს.

— რა იყო, მართა, შეცვლილი მეჩვენები!

მართა იცრიცება, თეთრი ფერი გადაჰკრავს, პირისახე სისხლისაგან ეწრიტება. აკვანზე იხრება, ქმარს თვალს არიდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიღლები!

ჩვილმა მართალიმ დრო შეიბრუნა, ღღისით სძინავს, ღამ-ღამობით ჩხავის, უფროსებს ძილს უფრთხობს. მართა დასტუტუნებს, ხანდახან წაუმღერებს: „ნა-ნა-ა!.. ნანაია-ა!..“ ოღონდ რაღაცნაირად უხალისოდ. კარგა ხანია გულის სიღრმიდან სიმღერა აღარ ამოსდის

— რამ დაგღალა, ქალო?

— შიშმა!

— შენ მაინც რისი გეშინია! — ნაძალადევი უდარდელობით ეუბნება ტატაჩი. — შენ ვინ დაგიჭერს? ქმარი ენკევედეშნიკი გყავს, ვისაც უნდა, თვითონ დაიჭერს!

მართა არაფერს ამბობს. ტატაჩიც ყუჩდება. უსაგნო, ღრმად ჩამალული შიში გულს ჩაჰფენია, თავს არ ანებებს. იცოდეს მაინც საიდან ელის დარტყმა! ანდა იმდენი ღონე ჰქონდეს, შიშის მახინჯ ხატს თვალი გაუსწოროს... თუმცაღა ამ ურჩხულს ხატი არა აქვს, ვერ შეხედავ, ხელს ვერ შეახებ, იგი არსებობის ნაწილია, ცხოვრების სტილია...

„ეჰ, სხვა დროს მაინც დავბადებულიყავი!“ — ფიქრობს ტატაჩი.

— ეჰ, სხვა დროს მაინც გავჩენილიყავით! — ოხრავს მართა.

ეს უკვე საშიშია, ამისი გაფიქრებაც არ შეიძლება. ქვეყნაზე სოციალიზმი იმარჯვებს, სხვა დრო რანაირად იქნება ამაზე უკეთესი, ამაზე ბედნიერი. ასეთი რამ მხოლოდ„ მტრულ ელემენტებს მოუვა თავში...

— არ თქვა მაგი მართა! — მკაცრად ჩურჩულებს ტატაჩი. — არ გაიკარო მაგეთი აზრი, ნურავის ეტყვი მსგავს რამეს! საწუწუნო რა გაქვს, მალე ალბათ ხელფასსაც მომიმატებენ!

—მოგიმატებს მაგი შენ ხელფასს!—ბოღმით, მძულვარედ თქვა მართამ.

გაუკვირდა ტატაჩის, ბიკენტი ამას მაინც რამ შეაძულაო. აღარ წყენია ეს აღმოჩენა, მაინც ცალყბად გამოექომაგა თავის მტერ-მეგობარს:

— რა დაგიშავა იმ კაცმა? მაინცადამაინც მე ხომ არ გამიშვებდნენ უფროსად. მაგის მამას ლავრენტი იცნობდა პირადად, სატირალში ჩამოვიდა!.. კაი თვალით მიყურებს მეც და რა შენაღვლება მეტი!

მართა გაისუსა, აღარ ინება სახიფათო გზის გაკვლევა. ბიჭის აკვანი დაარწია, ნაძალადევად, უხალისოდ წაუმღერა — „ნა-ნა-ა!..

„რა ხდება? — უძილობა ტანჯავდა ტატაჩის. — რა ხდება მანცხვარკარში?.. საქართველოში?.. მთელ ქვეყანაში?..“

იქნებ მხოლოდ მანცხვარკარშია ეს უსასრულო რბევა? იქნებ მხოლოდ აქ პარპაშებენ ჯერ ძღვები თოლორაია და მერე მისი ძე... უკვე აღარავინ დარჩა ისეთი, ცოტათი ჭკუა რომ მოეკითხება... ნუთუ ტატაჩიც ვერ აიცდენს მძიმე ხვედრს? ნუთუ მის ნაკვალევსაც დაადგა მაძებარი და, აჰა, საცაა მიეწევა...

სამსახურში მიდის ტატაჩი. ბიკენტი ღიმილით ხვდება. თვალებს მოწკურავს და ჩუმად კრუტუნებს... თითქოს ეფერება, ელაციცება... მის ბრჭყალებს ქედზე გრძნობს ტატაჩი. ვერ ბედავს ხმის ამოღებას, ვერ ბედავს წინააღმდეგობას... არცა აქვს ამის საფუძველი, რადგან ვერ იგებს, საიდან არტყამენ ალყას, ვერ ხვდება, რა დანაშაულს უძებნიან... იქნებ ყოველივე ეს ტყუილი ეჭვებია, არავინ იწუხებს თავს ტატაჩიზე ფიქრით! არავის აზრად არ მოსვლია მისი დაჭერა!.. შეუძლია მშვიდად იმუშაოს... იმდენი დამსახურება კი აქვს, რომ აპატიონ!.. რაო?.. აპატიონო?.. რა აქვს საპატიებელი, რა დაუშავებია სახელმწიფოსათვის?..

ევროპაში უკვე ომია. გაზეთებიდან გამდნარი ტყვია მოედინება...

მართალი ორი წლისაა, დაბაჯბაჯებს... აკვანს მაინც არ ტოვებს, ძილის დროს ითხოვს, თავიდან ბოლომდე ავსებს, ტიტინებს, კიჭები უჩანს.

ტატაჩი ნერვიულად შეხედავს მართას, დარწმუნებით იტყვის:

— ამაღამ მოვლენ, მართა!

23.

მსუბუქად დააკაკუნეს. ბერიმ თავი ასწია, კარს მიაჩერდა. შიშისაგან გული აუჩქარდა. სისხლი კეფაზე მოაწვა,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საფეთქლებზე ფეთქავს და სმენას უხშობს... ალბათ მოეჩვენა!..

ფანჯარაში წკვარამი ღამე იყურება, ვარსკვლავები გამქრალა... ღამეს თვალები აქვს, კარსა და კედლებს — ყურები და თავის ბინაში განმარტოებული ბერი ზაქარია ვერსად დაიმალება...

ამ უკიდეგანო ქვეყანაში ვერსად ვერავინ დაიმალება. სულიერსა და უსულოს თვალი და ყური ასხია. გაფაჩუნებაც არ გამოეპარება იმას, ვინაც ვალდებულია ყველაფერი იცოდეს. მაშ როგორღა გაქრა ტატაჩი თოდუა, როგორ აორთქლდა იმ ბნელ ღამეში... ათი წელი მკვდრებში ეგულებოდათ. მერე ჩიტმა ამბავი მოიტანა, ბერი ზაქარაიას ყურში ჩაუწვეთა, ოღონდ სხვებს ნუ გაუმხელ და ცოცხალია ის კაცი... სიბნელეს შეერწყო, უკუნში იარა და აქამდე ისე მოაღწია, მზის სინათლე აღარ უხილავსო... სხვა დასამალი ადგილი არსად ეგულებოდა და ჯოჯოხეთში თავისი ფეხით ჩასულაო...

იჯდა ბერი ზაქარაია, მისჩერებოდა ბნელ ფანჯარას და წარმოსახვაში აცოცხლებდა ჯოჯოხეთში გადამალული კაცის ხატს.

უკუნში დიდხანს გარბოდა ტატაჩი თოდუა, ცდილობდა ჩქარა გაშორებოდა მშობლიურ კერას და ქალაქს, გუშინ მშობლიურს, დღეს ბოროტ დედინაცვლად გადაქცეულს. გაქცევით თუ გადაირჩენდა სიცოცხლეს, ერთადერთ ფასეულობას, რაც ადმიანს კიდევ შერჩენია, როცა მას თავისუფლებას ართმევენ, თუნდაც ამ მოჩვენებით თავისუფლებას....

ფეხი ლიანდაგს რომ წამოჰკრა, მაშინ იაზრა, რომ რკინიგზაზე გაეღწია. მიჰყვა უსწორმასწოროდ დაწყობილ შპალებს. უსახელო ბაქანზე სუსტი ნათურები ბჟუტავდა. სატვირთო მატარებელი იდგა, შემხვედრის მოლოდინში ორთქლმავალი ფშვინავდა. მიეპარა, ვაგონების გასწვრივ ლანდად იარა, კიბეს წააწყდა და ღია ბაქნის იატაკზე გაწვა, გაყუჩდა. ჩამოიგრიალა შემხვედრმა. დაუსტვინეს და დაიძრა, არახუნდა ვაგონების რიგი, რელსებზე აკაკუნდა რკინის ბორბლები და შატარებელი რიტმული დაგადუგითა და ტაატით წავიდა.

უსასოობას შეეპყრო ტატაჩი. არ იცოდა, საით მიჰყვებოდა ბედისწერას, არ იცოდა, რა მოემოქმედა. მეობას ვერსად გაამჟღავნებდა. უსაბუთო კაცი ხომ ადამიანთა სიიდან ამოგდებულია, პურის ნატეხს არავინ გამოუწვდის, წყალს არ დაალევინებს. პირველივე შემხვედრი, სიკეთის ქმნას მოწადინებული, უმალ მთვრობას ჩააბარებს, რაკი „მთავრობა სამართლიანია“, „ავსა და კარგს გაარჩევს“, „უდანაშაულოს არ დასჯის“...

დაღლილობამ უწია. ვაგონის რწევაში ჩაეძინა, ეშმაკი დაესიზმრა, მთელი ტანი ბანჯგვლით ჰქონდა დაფარული. თხის ფეხებზე იდგა, ხუჭუჭა თმებში ორი პატარა რქა მოუჩანდა. გრძელი კუდი მკლავზე გადაეგდო. იმ კუდის წვერით ტატაჩის ცხვირში უღიტინებდა და აღტაცებით ქირქილებდა.

ელდანაცემს გამოეღვიძა. ლაპარაკი შემოესმა. მატარებელი გაჩერებულიყო. მოისმოდა უცნაური ხმაური, დაგადუგი, გადაძახილი, სტვენა, რახუნი, ფშვინვა... ორთქლსა და კვამლში ძლივს აღწევდა მეწამული პროჟექტორების ნათება. შორიახლო კაცები ყაყანებდნენ არაქართულად. მზაკვარი ერთი გამოეყო იმ კაცებს, კიბესთან მოვიდა და თითით მოიხმო:

„ძირს ჩამოდი!“

გაქცევას აზრი არა ჰქონდა. ტატაჩიმ წელი ძლივს აზიდა, ძირს ჩამოვიდა.

მზაკვარს ბინდში ორი თვალი ფოსფორებრ უკიაფებდა.

„საბუთი!“

ტატაჩიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო, ცხადია, საბუთები არა ჰქონდა.

„ვინა ხარ?“

„კუზმა მქვია! — სახელდახელოდ იცრუა. — ცოლმა შინიდან გამომაგდო, ლოთი და მაწანწალა ხარო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამას დავადგენთ! — მკაცრად თქვა მზაკვარმა და დანარჩენებს მიუბრუნდა. — წაიყვანეთ!“

შუაში ჩაიყენეს და ტალახიან გზას დაადგნენ. კაცებს გრძელკალთებიანი ლაბადები ეცვათ, ტყავის კოზიროკიანი ქუდები ეხურათ. ქუდებზე წითელი ვარსკვლავები ბრჭყვიალებდა.

„ალბათ ამ ქუდებქვეშ პაწია რქები იმალება, — ფიქრობდა ტატაჩი, — ლაბადებს ქვეშ კი გრძელი კუდები...“

ბინდიან ნისლში შავად გაჭიმულიყო ეკლიანი მავთულხლართები, აქა-იქ სათვალთვალო კოშკები გამოცურდებოდა, რომლებზეც სისხლისფერი ელვარებით გამოანათებდა პროჟექტორები.

გაიღო ეკლიანი ჭიშკარი და მზაკვრებმა ტატაჩი ეზოში შეაგდეს.

„ესეც ახალი!“ — გაისმა ჩახლეჩილი ხმა.

მზაკვარმა მწარედ უბიძგა ტატაჩის და უხეშად უბრძანა:

„წინ იარე! არსად გადაუხვიო! დაუმორჩილებლობა სიკვდილს ნიშნავს“!

ტატაჩი წინ წავიდა. ორსავე მხრივ ჩამწკრივებულიყვნენ მზაკვრები, ხელში გრძელი ჯოხები ეჭირათ. პირველმა ზურგზე რომ გადაჰკრა, ტატაჩიმ სიმწრით შეჰყვირა და ძირს დაეცა. უმალ მიცვივდნენ სხვებიც და ჯოხები დააყარეს. მიხვდა ტატაჩი, ყვირილის დრო არ იყო, უნდა გაესწრო. ძალა მოიკრიბა, წამოიწია და მთვრალივით ბარბაცით გასწია, თან ხელებს თავზე იფარებდა, ცდილობდა დარტყმა აეცილებინა. დაოსტატებული მზაკვრები ზუსტად არჩევდნენ ყველაზე მტკივნეულ ადგილებს და დაუნდობლად ურტყამდნენ.

ასე განვლო გრძელი მანძილი. რამდენჯერმე ფეხი წამოჰკრა იმათ, ვინც ვერ გაუძლო და დროზე ადრე დაეცა, ვისაც ღონე არ ეყო და ლეშად გადაიქცა.

ბუნდოვანებაში დაინახა ძელური ბილიკი, ვრცელ ჭაობს რომ კვეთდა. სხვა გზა არსაითკენ ჩანდა და იმას მიაშურა. ფეხქვეშ იზნიქებოდა დამპალი ძელური, ტყდებოდა. ირგვლივ ბნელში ლაპლაპებდა უძირო ოთონთო, რომელშიც გველ-ღრიანკალნი და ნიანგნი ფუთფუთებდნენ, ელოდნენ მსხვერპლთ, ვისაც ძალა არ ეყოფოდა განევლო ჯოჯხეთის ეს საფეხურიც.

ძრწოდა ტატაჩი. ჯოხით გვემა გადავიწყებოდა შიშით ატაცებულს. ხაშმისაგან გული მისდიოდა, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მცირე სისუსტეც კმაროდა, რათა ბილიკიდან გადავარდნილიყო და საშინელი სიკვდილი მიეღო. ხედავდა კიდეც სისუსტის მსხვერპლთ, თეთრი ჩონჩხები ქათქათებდა ბნელში, მავანი ლანდები კი წინ მიიკვლევდნენ გზას. კვალზე სხვა მისებრ ტანჯულნიც მოიწევდნენ და უამრავი ფეხისაგან ირწეოდა ჭაობზე გადებული ფუტურო ძელური.

„გადავრჩი!“ — გაიფიქრა ტატაჩიმ და მტკიცე ყინულოვან ნაპირზე შედგა ფეხი. წინ თეთრად ქათქათებდა თოვლიანი ტრამალი. ცივმა ქარაშოტმა დაუბერა, ყინულოვანი ხვევნით შემოესალტა, სიცივისაგან ააძაგძაგა. წინ, წინ, როგორმე უნდა განევლო ტანჯვის ეს ბილიკიც, როგორმე უნდა მიეღწია იმ ჰორიზონტამდე, სადაც ციმციმებდა გადარჩენის ელვარე ცეცხლი.

რამდენი ღონე აქვს თურმე ადამიანს! რამდენი გაძლება შეუძლია! მირბოდა ტატაჩი ვრცელ ტრამალზე, ქარაშოტის ცივ შხუილს თან მოჰქონდა მზაკვართა და მგელთა შემაძრწუნებელი ყმუილი... ალბათ მალე წამოეწევიან ნაღირნი კვალზე, ტანჯვისაგან გასაცოდავებულ მის გვამს კბილებით დაგლეჯენ და ეს იქნება ყოველივეს დასასრული...

მირბოდა და გზად აწყდებოდა დაცემულთ, იმათ, ვინც ვერ შეძლო, ვერ გადალახა.. აქა-იქ ეყარნენ ჩონჩხადქცეულნი, ყორანთა და მგელთა ნასუფრალნი, ან ისინი , ვინც ხელი აიღო სიცოცხლისათვის ბრძოლაზე და ყინულეთში დატოვა თავისი უმაქნისი გვამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის ანგარიში დაეკარგა. თვითონაც ვერ გაეგო, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს მტანჯველი სრბოლა მომავლის ნათელ ჰორიზონტამდე?.. შორიდან მოჩანდა მეწამული ცეცხლის ელვარება და ტატაჩი მიისწრაფოდა მისკენ, რაკი იქ მისვლა ნიშნავდა გადარჩენას, ახალი არსებობის დასაწყისს; ვალდებულიც იყო გაეძლო მტანჯველი გზისათვის, მიეღწია და მაშინ ეზიარებოდა ბედნიერებას, რაიც აქამდე უსხლტებოდა...

აგერ გამოჩნდა ყინულოვანი ტრამალის კიდე. ბილიკი დაბლა ეშვებოდა და იმ მხრიდან მოისმა წყლის უწყვეტი ხმაური. ფართო მდინარე მოგუგუნებდა, მღვრიე ტალღები მოჰქონდა, ყინულის ნატეხებსა და თოშს მოატივტივებდა. ალბათ ვერც გაუძლებდა ამდენ განსაცდელს, აქვე ჩამოჯდებოდა და სიკვდილს დაელოდებოდა, მაგრამ სულ ახლოს მოისმა მგლის ხროვის შემზარავი ყმუილი და ტატაჩიმ გადაწყვიტა ბედი წყალში ეძია. ფერდობი ჩაირბინა და თოშიან წყალში გადაეშვა, მხარული გაუსვა.

უკანასკნელ ღონემდე ებრძოდა ტატაჩი მღვრიე მდინარეს. დინებამ წაატივტივა, ფსკერისაკენ ჩაითრია, მაგრამ წყალში სიკვდილი ალბათ არ ეწერა და მეორე ნაპირზე ტალღამ რომ მიაგდო, იქ მზაკვარმა ვინმემ ხელი გამოუწოდა.

„მოაღწიე, კუზმავ!“ — დაცინვით შეეხმიანა.

პასუხი ვერ მოასწრო ტატაჩიმ. საიდანღაც გამოცვივდნენ გრძელლაბადიანი მზაკვრები, სტაცეს ხელი და ციმციმ წაარბენინეს...

ყოველ ნაბიჯზე ენთო ცეცხლი, გურგურებდა კოცონი. უზარმაზარი შავი ქვაბები იდგა სამფეხებზე. შიგ ბუყბუყებდა ადუღებული კუპრი. მზაკვრები მიმორბოდნენ მხიარულად, შეშა დაჰქონდათ, ბეჯითად უკეთებდნენ ცეცხლს, რათა არ განელებულიყო, დახტოდნენ და ყირაზე გადადიოდნენ.

ერთგან მზაკვართა სასულე ორკესტრი იდგა და მონდომებით „ინტერნაციონალს“ აგრიალებდა.

„აი, ეს ქვაბი თავისუფალია!“ — ბრძანა ერთმა მზაკვარმა და ტატაჩის შიგ გადაუძახეს.

ერთიანად დაითუთქა. თავი ამოყო მდუღარე კუპრიდან და არაადამიანურად იკივლა — „აა!..“ ოღონდ მისი კივილი ყურად არავინ იღო, იგი ჩაიხშო ცეცხლის გუგუნსა და სასულე ორკესტრის გრიალში...

იქ, იმ კუპრის ქვაბში დარჩა ტატაჩი თოდუა, დროებით კუზმად წოდებული. მრავალი დღე და ღამე, კვირა და თვე იხარშებოდა, სიკვდილით კი მაინც არ კვდებოდა. მისი არსებობა გადაქცეულიყო ერთ უწყვეტ ტანჯვად, რისი ღირსიც ნამდვილადაა უსაბუთო ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია ალიბი იმისა, რომ არ არის ტროცკისტი, ბუხარინელი, რიკოველი, მოკლედ, არ არის „ხალხის მტერი“...

ბედნიერება წამიერია, ტანჯვა საუკუნო... დროის საზომი დაკარგული იყო ტატაჩი თოდუასათვის, მისი ტანჯვის წამები წლებს უდრიდა ალბათ, მაგრამ ერთ დღეს რაღაც შეიცვალა... ამ ჯოჯოხეთს სხვა ჯოჯოხეთური არმია შემოესია და სამყარო გადაიქცა არმაგედონად... საყოველთაო სისხლისღვრა და სიკვდილი გამეფდა...

მოვიდა ტატაჩისთან წითელვარსკვლავიანი მზაკვარი, კუპრიდან ამოიყვანა და წყალობად თოფი უბოძა.

„შენს თავისუფლებას, ამხანაგო კუზმა, სვასტიკიანი მზაკვარი ემუქრება, თუ მონობა არ გვინდა, მტერი უნდა დავამარცხოთ!“

ტატაჩი თოდუას მონობა არ უნდოდა. აიღო თოფი და ბრძოლაში გადაეშვა, რათა ჩვეული მზაკვარი დაეცვა უცხო მზაკვრისაგან. ოთხი წელი იბრძოდა თავგანწირვით, სხვისი სისხლიც ბევრი ღვარა, საკუთარიც არაერთგზის. ყველა კუზმად იცნობდა და უმაღლესი მზაკვრის მადლობა და მედლებიც კუზმამ მიიღო... ტატაჩი თოდუას მეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუჯანყდა ამ უსამართლობას, ამდენი თავგანწირვის წილ ხომ ჰქონდა უფლება შეწყალებისა... მაგრამ მზაკვართა სახელმწიფოში შეწყალება დანაშაულს უდრიდა და ტატაჩი თოდუას გზა ჩხერიის მზიანი სანახებისაკენ კიდევ დიდხანს გაგრძელდა...

ბერი ზაქარაიას გააჟრჟოლა. ამ უცნაურმა ზმანებებმა ძილი საბოლოოდ დაუფრთხო, შიში გაუმძაფრდა. ბინის კედლების იმედიც არ დარჩა. მოეჩვენა, რომ ბნელი ფანჯრიდან უთვალთვალებენ, მოეჩვენა, რომ კარს მიღმა მოყურადე დგას, ყური კარისათვის მიუდვია და ბერი ზაქარაიას მფრთხალ, მაგრამ მეამბოხურ ფიქრებს უსმენს...

ქუჩაში თითქოს ვიღაცამ გაიარა... ვის უნდა გაევლო ნეტავ ასე გვიან?

ფეხზე წამოდგა, ფანჯარას გაშორდა. ნერვები აეწეწა ალბათ, ჯობდა, დროზე ჩაწოლილიყო ლოგინში, დასძინებოდა... მეზობლებს გადავუკაკუნებო, ისიც იფიქრა, მაგრამ საკუთარი სიმხდალისა შერცხვა...

დერეფნის ბოლოს რაღაცამ გაიჩხაკუნა... სახლი გასუსულა, არსაიდან ჩქამი არ ისმის... კვლავ მომეჩვენაო, გაიფიქრა და ამ დროს ფეხის ხმა მოესმა... ფეხსაცმლის ლანჩები ფრთხილად ეხება ხატაკს... მოდიან... რამდენიმე კაცია, ორი, სამი, ხუთი... რომელ კართან გაჩერდებიან? დერეფანი გრძელია და კარები ორ რიგადაა ჩამწკრივებული... ვის წასაყვანად მოვიდნენ? ამაღამ ხელს ვის დაადებენ?.. ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდება... აი, გამოსცდნენ ბოლო კარსაც... ყველაფერი ნათელია, ბერის მოაკითხეს...

ბერი ზაქარაია წელში გაიმართა, შიშიანი თრთოლვა ჩაიხშო და სივაჟკაცეს მოუხმო... ასე სჯობია!.. რაც მოსახდენია, დაე, დროულად მოხდეს, ბევრად უფრო მძიმე ასატანია უსასრულო ლოდინი...

კარზე დააკაკუნეს.

ბერიმ ურდული გადასწია, კარს ხელი ჰკრა და მტკიცედ თქვა:

— აქა ვარ!

ზღურბლს მიღმა გრძელლაბადიანი სამი მზაკვარი იდგა...

24.

—ხვალ სტალინის სურათი უნდა წავიღოთ! — თქვა მართალიმ და ლუკმა მიაყოლა.

ჩქარობს. დედაბრები სასაფლაოზე წასასვლელად გაემზადნენ და მას ელოდებიან.

— ნუ ხტუნაობ ლუკმა არ გადაგცდეს! — ცაცანას პირისახე თეთრად უქათქათებს.

— ყველი გამოიზოგე! — ეფროს პატარა, კუშტი სახე უთბება. — ხომ იცი, დიდი ღომი უნდა ჭამო და ცოტა ყველი!

ყველი ძვირად ფასობს. ისედაც ცოტას ჭამენ. განსაკუთრებით ეფრო ციცქნის ფინჩხებს და დაილია კიდეც. არც სიმინდია იაფი. დუქანში პური ბევრი არ მოაქვთ და ისეთი ზედახორა დგება, ახლო ვერ გაეკარები.

— გავათავე, წავიდეთ!

შაბათობით მიდიან ხოლმე მართასთან, სასაფლაოზე.

ფეხით მიჰყვებიან შარას, ნელა, აუჩქარებლად. მართალის ჩაიყენებენ შუაში და მხრებზე ეყრდნობიან. ეფრო იოლად, მსუბუქად მიფარფატებს, ცაცანა კი ისე ადგამს ნაბიჯებს, თითქოს ადგილს სინჯავსო. მთელი გზა ამინდზე და მართაზე პუტუნებენ. თუ კარგი ამინდია, მართას სული გათბებაო, თუ ავი — მართასათვის სულ ერთია, ის მაინც ვეღარაფერს იგრძნობსო... რა კარგი იყო მართა და რა კარგი იყო ტატაჩიო...

ოღონდაც ტატაჩიც გაქრა და მართაც...

ზღაპარივით დაამახსოვრდა მართალის...

ბიკენტის ხმა ჩაესმა, თოლორაიასი:

— ჩივილს აპირებ, მართა?

როდის უთხრა მართას ბიკენტიმ ეს სიტყვები? ან ვითომც ბიკენტის ხმა იყო?.. კაცის ხატი წარიშალა მეხსიერებაში, დარჩა მხოლოდ მუქარის ხმა:

— ჩივილს აპირებ, მართა?

იქნებ ეს ხმაც სიზმარი იყო, რადგან ამ სიტყვებს გამოღვიძება მოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ეძინა პატარა მართალის. სიზმრების ფერადი ელვარება უკვალოდ დაიფანტა... ღამეა, ბნელა... სახლში სიწყნარეა. ოთახში დედიკო დადის. სიბნელეში ბიჭი შავ ლანდს ხედავს. ხვდება, რომ დედაა, რადგან ლანდს თან სითბო და დედობრივი სურნელი დააქვს.

— ნუ გეშინია, მე ვარ! — ჩურჩულებს მართა. — გაიღვიძე, უნდა წაგიყვანო!

მართალი საწოლზე დგება. ძილიდან გამოსვლა უჭირს, მუხლები ეკეცება. მკლავებს კისერზე შემოხვევს მართას, ცხვირით ყურისძირში მიებჯინება და კვლავ ძილისაკენ გაუტევს.

— გაიღვიძე, უნდა ჩაგაცვა! — ხმადაბლა ეუბნება მართა.

— სად მივდივართ? — ენას ძლივს აბრუნებს ბიჭი.

— ნუ გეშინია, წავალთ და მალე დავბრუნდებით!

— ჰო, წავალთ! — უაზროდ იმეორებს მართალი, დედის ხელებს ემორჩილება, ჩასაცმელი ბევრი არაფერია, შარვალი, ბლუზა და ტილოს ფეხსაცმელები.

ღამე იცრიცება. ნაცრისფერ ცაზე ვარსკვლავები ქრება. მანცხვარკარს სძინავს. აქა-იქ თუ გაიელვებს ობოლი ნათურა.

ყივის მამალი.

ეზოს კუთხეში ბნელი რამ იგვერგვება.

მართამ შვილი აიყვანა, ჩახუტებული მიჰყავს.

მამალი ყივის... ტრიფოლიატს ძაღლი მოაწყდა... ბიჭმა თვალი ჭყიტა, გათენებულა...

— გეშინია?

— არა!

— მაშინ ფეხით იარე!

ბიჭს უკვე არ ეშინია, თუმცა ცოტათი კი... გათენებულა, მაგრამ ორღობე ჯერაც დუმს, ოდა-სახლებიც და ეზო-კარებიც... ჭაჭანება არსადაა... მანცხვარკარი თითქოს დაცარიელებულა, მანცხვარკარელები სადღაც გადაიხვეწნენ... მართაც და მართალიც მიიჩქარიან, ოღონდ გაუგებარია საითკენ...

მანქანის მსუბუქი თუხთუხი ისმის... მორიდებით, ხმადაბლა თუხთუხებს, თითქოს ეშინია, მიმკვდარუნებული ქალაქი არ გავაღვიძოო...

მართამ მოიხედა. ტალახაძის ქუჩა ცარიელია. დედის ამ შიშნეულმა მოძრაობამ მართალის გულშიც შიში ჩაუტოვა.

ქალაქის მდუმარებას მანქარის თუხთუხი არღვევს და ის მანქანა სადღაც მეზობელ ქუჩებში მოიპარება, იქნებ მთლად დედა-შვილის კვალს დაეძებს.

ქუჩიდან გადაუხვიეს. მართამ ფეხს აუჩქარა, ანგარიშმიუცემლად, უნებლიედ. ბიჭი ველარ ასწრებს, დაიღალა, წუწუნს კი ვერ ბედავს.

ჯანღი თანდათან გაქრა, ნათელი გათანაბრდა. შორეულ ქედებზე მზის სხივები აბრჭყვიალდა, მაგრამ მზეს ბარისაკენ ჯერ ვერ გადმოეხედა.

მანქანის ხმა უკვე არ ისმოდა. იქნებ არავითარი მანქანა არ არსებობდა, ან იქნებ ქუჩის კუთხეში მიჩუმდა, დაელოდა .

ბიჭის წარმოსახვაში დაიხატა უჩვეულო მანქანა, შუშის ორი თვალი რომ მოუშტერებია და მზერით ბურღავს...

მართა მოწყვეტით გაჩერდა, შვილი კვლავ აიტაცა და ჩაიხუტა. ბიჭმა იგრძნო დედის გულის ძალუმი ფეთქვა.

ქუჩის კუთხიდან მართლაც ცხვირი გამოყო მწვანე „ვილისმა“, შუშის ჩაბნელებული თვალები მოაპყრო დედა-შვილს.

გადმოიხედა ბიკენტი თოლორაიამ, შეათვალიერა, შემპარავი, მუქარანარევი ხმით იკითხა:

— საჩივლელად მიდიხარ, მართა?

ქალმა არაფერი უპასუხა, ბავშვი უფრო მაგრად ჩაიხუტა.

— იქამდე არავინ მიგიშვებს, ტყუილად! — კაცის ხმაში თანაგრძნობა გაკრთა.

მართამ კვლავ არაფერი უპასუხა.

მანქანა დაიძრა და თავის გზას დაადგა.

მოგვიანებით მართალი ცდილობდა გაეხსენებინა, მართლა შედგა ეს მოკლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა, თუ იმ წუთს დედის კისერზე ცხვირჩარგულს ეძინა და ყოველივე სიზმარში ჩაესმა.

მართა იდგა და იმისი ღონე აღარა ჰქონდა, ბიჭი ძირს დაესვა. მართალი თვითონ დაუსხლტა, ძირს დაეშვა და კალთაზე მოჰქაჩა:

— დედიკო!

— ჰო, ნუ გეშინია!—ჩასჩურჩულა მართამ, ხელი ჩაავლო და გზა განაგრძეს.

სასაფლაოზე გაიარეს. მდუმარება სუფევდა და ბიჭის გულს ისევ წიწკნიდა შიში...

რკინიგზის ლიანდაგი აბრჭყვიალდა. ჩაის მინდორი გადაკვეთეს. ჩამუქებული რიგების ბოლოს ეკალბარდები კედლად იდგა და ბილიკის თავზე თითქოს მიწიდანო, კაცი ამოიზარდა. ჩეკისტის ტანისამოსი ეცვა, ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო.

— არ შეიძლება, მოქალაქევ, უკან გაბრუნდით! — ისეთი კილოთი თქვა, შეკამათება გამოირიცხა.

შებრუნდნენ, ჩაის მინდორი კვლავ გადაჭრეს და სხვა ბილიკს დაადგნენ, ლიანდაგს რომ გვერდი-გვერდ მიჰყვებოდა.

წინას ტყუპისცალი, ან იქნებ მთლად იგივე ჩეკისტი დახვდათ გზაზე, აათვალიერა, მკაცრად, შეუვალად თქვა:

— არ შეიძლება! უკან გაბრუნდით!

ისევ გაბრუნდნენ მართა და მართალი, ლიანდაგი გადაკვეთეს და ფლატეზე ამავალ ბილიკს აჰყვნენ.

აქედან კარგად ჩანდა რკინიგზის საღგურის ყვითელი შენობა, პატარ-პატარა ბუდრუგანები... უცნაური მატარებელი გაწოლილიყო, მწვანე ფერის ძეხვსა ჰგავდა, მუხლუხა ჭიას... ისმოდა ორთქლმავლის ქშინვა და ჰაერში ორთქლის ბოლქვები ეკიდა.

საღგურზეც და მის ირგვლივ, თითქოს ღაწყდნენო, სულიერი არავინ ჭაჭანებდა.

შორიდან მოუარეს. ბიჭი დაიღალა. სლუკუნსაც ვერ ბედავდა. არ იცოდა, სად მიდიოდა, რისთვის, საერთოდ რა ხდებოდა მის თავს.

საღგურის მისადგომთან კვლავ ჩეკისტი აისვეტა. ბიჭს ეგონა, ესეც იგივეაო, მაგრამ ალბათ სხვა იქნებოდა.

— არ შეიძლება, გაბრუნდით უკან!

შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. მერამდენეჯერ გაბრუნდნენ, წრეს შემოუარეს. ამ მხარეს მწირი ბუჩქნარისა და გვიმრის მეტი არაფერი ხარობდა. ამჯერად არავინ შეხვედრიათ. წამით მოუდუნდა ვიღაცას სიფხიზლე, ჩასთვლიმა, კარი ღია დარჩა და იმ კარში მართა და მართალი შევიდნენ. ასე ბიჭი ფიქრობდა, თორემ არავითარი კარი აქ არ იყო... იყო რკინიგზის უსახელო საღგური, მხოლოდ კილომეტრის ფირნიშით აღნიშნული. იყო ქვაფენილიანი ბაქანი, პირველ ლიანდაგზე იდგა მეტად უცნაური სამგზავრო მატარებელი... თავში და ბოლოში ორ-ორი ღია სატვირთო ვაგონი მიებათ, აქედან და იქიდან შავად გაპრიალებული, სუფთა ორთქლმავლები, შუაში კი მუქი-მწვანე ვაგონები...

ცარიელ ბაქანზე მარტოკაცი ბოლთასა სცემდა. დინჯად, აუჩქარებლად მიმოდიოდა. ცალი ხელი ფრენჩის ღილკილოში შეეყო, მეორეში ჩიბუხი ეჭირა.

ამ დროს ამოიწვერა მზე, მთის თავზე შემოჯდა და სივრცე მოულოდნელად მეწამული გახდა. მეწამულ სხივებში გაეხვია ბაქანზე მოსეირნე კაციც. ჩრდილი დაუგრძელდა, ძირს გაწვა, ბაქანს გადასცდა, დედა-შვილს გადმოეფინა და სადღაც მათს ზურგს უკან განივრცო.

თითქოს გრილი სუნთქვა იგრძნო ბიჭმა.

მართას კი ბაგე აუკანკალდა, შვილს ხელი უშვა, წინ გაიშვირა და მღელვარებისაგან ჩახლეჩილი, არაბუნებრივი ხმით, რომელშიც სიხარულზე მეტად შიში და სასოწარკვეთა მოისმოდა, შესძახა:

— დიდება დიდ ბელადს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა ბოლთა შეწყვიტა, მოიხედა. აქედან ძნელი იყო მისი სახის გარჩევა. ჩიბუხიანი ხელი აიქნია, იქნებ მისალმების ნიშნად, ან იქნებ სიბრაზისა, რაკი მყუდროება დაურღვიეს.

შებრუნდა და ვაგონისაკენ გაემართა.

მართა ადგილს მოწყდა, ასევე ხელებგაწვდილი გაიქცა. მატარებელმა შეჰკივლა მრისხანედ, შიშისმომგვრელად. აქამდე ჩუმად მიმალული ჩეკისტები გამოცვივდნენ, გზას უჭრიდნენ მართას. ქალი კი ამათ ველარ ხედავდა. ხელებგაწვდილი მირბოდა კაცისაკენ, რომელიც მეწამულ სხივების შარავანდში უკვე კიბეზე ადიოდა და თავისი უსაზღვროდ განფენილი ჩრდილი თითქოს ვაგონში შეჰყავდა, თუმცა ნაჩრდილევის უცნაური სუსხი მაინც რჩებოდა.

ორთქლმავლებმა თავში და ბოლოში ბორბლები ადგილზე დაატრიალეს, გამაფრთხილებლად შეჰკივლეს და ნელი დაგადუგით ადგილიდან დაიძრნენ.

ბიჭს ყველაფერი აერია. ვაგონების მსუბუქი ტაატი, ხელებგაწვდილი მართა, კაცები, რომლებიც აგერ-აგერ მოიმწყვდევდნენ... მართამ მოიხედა, მდევარი დაინახა... რა იფიქრა მაშინ? რა გადაწყვიტა? რა მოხდა იმ წუთას მის გონებაში?.. იქნებ რეალურის ზღვარს გადასცდა, დაავიწყდა ერთადერთი შვილი, ადგილიდან მოსხლეტა და გაფრენა მოინდომა... ან იქნებ მიხვდა საშიშროებას, გონს მოეგო და გაქცევას შეეცადა...

შეტრიალდა, განზე გახტა და უკვე აჩქარებით მიმავალ ვაგონს შეენარცხა.

თითქოს გაიყინა მართალის გონება. ვერაფრით მოიაზრა, რაც მოხდა... მეწამული სხივები ოქროსფრით შეიცვალა, მზე აბარჩხალდა ცაზე.

მატარებელი წავიდა, გაქრა.

აქამდე ცარიელ ბაქანზე ახლა უამრავი კაცი მიმორბოდა.

ვიღაცა თავზე წამოადგა, აღელვებით იკითხა:

— ვისია ეს ბავშვი?

— იმ ქალისაა!

— გაარკვიეთ!

საიდანღაც მოირბინა ბიკენტი თოლორაიამ. პირისახეზე მიწისფერი ედო. დასტაცა ხელი მართალის, წამით ჩაიხუტა. გაიქცა, თავის მწვანე „ვილისში“ ჩასვა და მძღოლს უბრძანა:

— ბებიებს ჩააბარე!

„ვილისში“ ჩამწყვდეულმა მართალიმ უცებ ზმუილი მორთო — „დედიკო მინდა!“ მძღოლმა კი არაფერი აუხსნა, მანქანა მანცხვარკარისაკენ გააქანა.

„რა უჭკუო ვიყავი! — სევდით გაიფიქრა მართალიმ. — ვერაფერს მივხვდი!“

ვერც ახლა ხვდებოდა ყოველივეს. მხრებზე ორი ბებიის ხელებსა გრძნობდა — ერთს რბილს, ფუმფულას, მეორეს — ჩხინკას, და დღესასწაულის წინა დღეს, შაბათს, ექვს ნოემბერს მიდიოდა სასაფლაოსაკენ, რათა მართას არ მოეწყინა.

ცაცანა და ეფრო ერთმანეთში პუტუნებდნენ, ისევ მართას და ტატაჩის იხსენებდნენ.

კუბოში ჩაჭედილი მოასვენეს მართა. მოვიდა ბიკენტი, ხმამაღლა ტირილი აუკრძალა დედაბრებს, მოთქმა აუკრძალა, სასახლის გახსნაც... ბატონების წაყვანილივით დაკრძალეს მართა.

ლამაზად მოვლილ ბორცვაკთან ჩამოსხდებიან დედაბრები, თაფლის სანთლებს დაანთებენ.

— იქნებ შიგ მართა არც იყო, ჰა!

— იქნებ ტატაჩიც დაგვიბრუნდეს, ვინ იცის!

25

ძილში დედა დაესიზმრა. ვითომ კვლავ პატარა იყო, გზაზე ერთად მოდიოდნენ და მართალი წამდაუწუმ ეკითხებოდა: „ რა გინდა, დედა, იმ კაცთან? რა უნდა შესჩივლო?“ მართა სდუმდა, წინ იყურებოდა, პირსახე ქაღალდივით თეთრი და უსისხლო ჰქონდა. გზაჯვარედინთან გაჩერდა, შეხედა მართალის და უთხრა: „ ის კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკურნალია! იმიტომ დაიბადა, ყველა ჩვენს ტკივილს უმკურნალოს! მე ახლა უკვე არაფერი მტკივა!“ უცებ გაქრა. ბიჭი იდგა, არ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდა, რომელი იყო მართას გზა...

მუსიკამ გამოაღვიძა. სასულე ორკესტრი უკრავდა. ცენტრში, ბულვარზე რეპროდუქტორებიდან საზეიმო მარშები ქუხდა. მართალი ჩუმად იწვა, გონს მოდიოდა. ბულვარი შორსაა, ხმა კი ისე აღწევს, თითქოს ყურისძირშიაო. მანცხვარკარში მდუმარებაა და ეთერი მხოლოდ რადიოს შეუვსია. მუსიკა მოულოდნელი ხრიალით მთავრდება და უცებ პატარა ბავშვი ენის მოჩლექით ლექსს კითხულობს:

როცა მტკვრის პირას შუქი დგას
დილის, —
დილის მზესავით გული წრფელია, —
ჩვენ კვლავ სიმღერით ვაღვიძებთ
თბილისს,
და ჩვენს სიმღერას ჰქვია ბერია!..

ლექსს ისევ მუსიკა მოსდევს... „და ჩვენს სიმღერას ჰქვია ბერია!“ —ეჭვით გაიმეორა გუნებაში მართალიმ... მთელი თვე წერდა ცაცანა უსტარს. ლავრენტის პირადად ვიცნობ და გავუგზავნი, გამიგოს, ჩვენი ტატაჩი სად დაიკარგაო. ეფრომ ურჩია, გაჩერდი, შარს ნუ გადაეკიდებიო...არ გაჩერდა ცაცანა, უსტარი სამკუთხად დაკეცა და მისამართიც დააწერა... იქ, სატახტო ქალაქში ალბათ უზარმაზარი საფოსტო ყუთი დგას, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული საჩივრის წერილები შიგ იყრება და ქრება... გაქრა ცაცანას წერილიც.

მუსიკას კვლავ სიტყვები ცვლის. აზრის გამოტანა ჭირს, სიტყვებს ხრიალი აბრჩობს, მერე მამაკაცი ვარკვევით, მჭახედ გაარღვევს სივრცეს — „დიდ ბელადსა და მასწავლებელს ძვირფას იოსებ ბესარიონის ძე სტალინს“! „უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ...“ „მოგახსენებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ...“ „ სიხარულით მოგახსენებთ, რომ“... ბიჭი ხვდება, რომ ეს გაზეთების მიმოხილვაა...

კარს მიღმა ჩქარი ჩურჩული ისმის, დედაბრები ალბათ კინკლაობენ. მართალი დგება. ფეხშიშველა მიტყაპუნებს კარისაკენ. ეფროს ხელში მოკლე, ლურჯი შარვალი და თეთრი პერანგი უჭირავს, ჩუმ-ჩუმა ღამ-ღამობით რომ შეუკერავს, ცაცანას — ახლადდაუთოებული წითელი ყელსახვევი, თავისი კაპიკიანი პენსიიდან გამოზოგილი ფულით რომ უყიდა თურმე შვილიშვილს.

მართალიმ პუტკუნა ლოყაზე აკოცა ცაცანა ბებიას, დამჭკნარ ლოყაზე — ეფრო ბებიას.

საუზმეზე, ჩაის რომ ტკბილ ბისკვიტს აყოლებდა, მოხუცები წინ უსხდნენ, დანამული თვალებით შემოსცინებდნენ.

— დღეს სტალინის დი-იდი სურათი უნდა წავიღოთ! — თქვა მართალიმ. — მე, დურუმ და არიქამ!

— თქვენზე ღონივრები ვერ მონახეს? — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ეფრო. — წელი მოგწყდებათ!

—კუკური მასწავლებელმა გამოგვარჩია!

—რადიოს გამოუცხადებია, სტალინის მეორე ტომი გამოვიდაო! — ცაცანას ხმაში მოკრძალებული აღტაცება გამოსჭვივის.

რა თქმა უნდა, პირველი ტომი ჩაბულბულებული ჰქონდა.

ბულვარიდან კვლავაც მუსიკა მოისმის. სასულე ორკესტრი აგრიალებს თავის ტრადიციულ „ძუმპაპა-ძუმპაპას“. მერე ახალგაზრდული ხმა ლექსს ისვრის მჭახედ, ყელის სიმების დაწყვეტამდე:

ძვირფასო სტალინ, ფიცსა ვდებთ
საბჭოთა ქვეყნის შვილები,
ყველგან, მინდვრად თუ დაზგაზე ვი-
შრომებთ მხრებგაშლილები...

მართალი გამოკოპწიავებულია. ტილოს ფეხსაცმელი კი შეელახა, მაგრამ არა უშავს...

— წავედი! — მოუთმენლად ცმუკავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა! — ეფროს სავარცხელი მოუმარჯვია, ვარცხნის, თმას აწიწკნის, ჯაგარა თმები სავარცხელს არ ემორჩილება,

— ჰა, წავედი, მაგვიანდება!

— მოიცა! — ცაცანა ჯიბიდან სასოებით აძრობს წითელ სამთუმნიანს, ხელისგულზე იდებს და მეორე ხელისგულით ვითომც აუთოებს. — ჰა, კინოში შედი, ან კამფეტი იყიდე!

ბიჭი გახარებული შეკუნტრუშდება და კიბეზე ბრაგაბრუგით ჩარბის.

დღე ნათელია. შემოდგომის მზეს მცხუნვარება აკლია. ცა ლურჯია. აქაიქ ღრუბლის თეთრი ქულა ჰკიდია. ხეთა ფოთლები ყვითლად და ვარდისფრად შეფერილა, ძირს ეფინება.

მირბის მართალი, სადღესასწაულოდ მიეჩქარება.

— დურუ-უ!

— აქა ვა-არ!

ახლა ორნი მირბიან.

— არიქა-ა!

— მოვ-დი-ვარ!

ახლა სამნი მირბიან.

ტალახაძის ქუჩის გარდიგარდმო დიდი, წითელი ნაჭერი გადაჭიმულა, ზედ მეტრიანი ციფრები აწერია: „1917 — 1947“.

აივნებზე და ელექტრობოძებზე კი უსასრულოდ მეორდება: 30,30,30...

სკოლის ეზოში ერთი ჟივილ-ხივილია.

კუკური მასწავლებელს პირთან თუნუქის მეგაფონი მიუდვია და ჩაჰყვირის:

— და-აეწყვეთ!.. გა-ასწორდით!..

აივანზე გადმომდგარი მასწავლებლები გამოკოხტავებულან, საზეიმო ელფერი დაჰკრავთ. თამარა-დირექტორი მოაჯირს გადმოყრდნობია, მოთმინებით ელოდება ბავშვების დაწყნარებას. გრიშა ყოლბაია ვერ ითმენს, ბოლთასა სცემს და თავის ხის ფეხს იატაკზე არახუნებს. აქლემა-პარმენი დირექტორს ამოსდგომია, ცხვირზე სათვალე წამოუცვია და ტუჩების ცმაცუნით კითხულობს ტექსტს, დემონსტრაციის დროს რომ უნდა უკარნახოს ბავშვებს.

კუკური მასწავლებელი აღელვებული დარბის წინ და უკან. უფროსკლასელები მკაცრ წესრიგს იცავენ. ბიჭები გრძელ შუბებზე წამოცმულ ალმებს აფრიალებენ. ოცდაათი მაინც იქნება და მედროშეების თავზე თითქოს სისხლის ჩანჩქერი იღვრება... კომკავშირელთა კოლონას პიონერები მისდევენ, სულ ბოლოს პატარა ბიჭბუჭებია, — ოქტომბრელები მოუსვენრად წრიალებენ, რიგს არღვევენ და ისედაც გამოსავათებულ კუკური მასწავლებელს აგიჟებენ. ისიც ანჩხლად ყვირის:

—მო-ოისვენე, შე შო-ობელძაღლო!

სამი მეგობარი, სამი ძმაკაცი მედროშეთა წინა დგას. სტალინის პორტრეტი მართლაც უზარმაზარია, ორი კაცის სიმაღლისა იქნება. ხის ჩარჩოს გადაკრულ ტილოზეა დახატული. კიტელი, გალიფე და ჩექმები აცვია. ხელში თავისი განუყრელი ჩიბუხი უჭირავს. გამჭრიახი თვალებით იყურება სივრცისაკენ, მაგრამ ვინც პორტრეტის უკან დადგება, მიხვდება, რომ დიდი ბელადის მზერა შებრუნებულია, იგი უკანაც ისევე გამჭრიახად იყურება.

დურუ და არიქა აქეთ-იქით ამოსდგომიან, ჩარჩოზე მოხერხებული სახელურებია მიჭედილი და იმით უჭირავთ. მართალი კი უკანა დგას და სურათს გრძელი ჭოკით აწონასწორებს.

— პი-ირდაპირ ი-იაარ! — ყვირის კუკური მასწავლებელი. — მა-არჯვენა, მა-არჯვენა!..

კოლონები ეზოს გასწვრივ მოძრაობენ. წინ ბელადის სურათი მოქანაობს. მერე სისხლისფერი ალმები მოფრიალებენ ტკაცა-ტკუცით. ბიჭები ფეხის აწყობას ცდილობენ, სულ ბოლოს პატარები მოჩანჩალებენ არეულად.

ყველანი აივნის წინ ჩაივლიან, რათა ერთხელ კიდევ, უკვე მერამდენედ ყელი გაივარჯიშონ.

—ვაშა, ახალგაზრდებო!

—ვაშა, ვაშა, ვაშა! — სამგზის ყვირიან ბავშვები, სამგზის შესძახეს დურუმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არიქამ, სამგზის შესძახა მართალიმაც და უცებ შერცხვა, არ კი იცოდა რისი...

მოულოდნელად გაახსენდა მართალის, მართა რომ გარბოდა მატარებლისაკენ, გარბოდა და მიიძახოდა: „დიდება!..“

— მა-არჯვნისაკენ ი-ააარ!

სკოლის ჭიშკარი ფართოდ გაიხსნა და კოლონა რუსთაველის ქუჩაში გავიდა...

26

—იქ მართლაც იყო ვიღაცა! — თქვა ხმადაბლა მართალიმ.

დურუმ და არიქამ ყური ცქვიტეს.

სასკოლო კოლონა შეჩერებულა. წინ, სანამ თვალი გაწვდება, და უკანაც, ქუჩა გადაიჭედა დემონსტრანტებით... ოქტომბრის მოედანზე ჯერ სხვები მოძრაობენ. ათ საათზე სამხედრო პარადი ჩატარდებოდა, ჯავშნოსანი მატარებლის ჯარისკაცები ჩაივლიდნენ მწყობრი ნაბიჯით... ლამაზი სანახაობა კი იქნებოდა, მაგრამ ვინ მიგიშვებდა, ყველა გზა და გასავლელი მილიციას გადაეკეტა... სამხედრო პარადის შემდეგ ადგილიდან დაიძროდნენ ცენტრის დაწესებულებებისა და სკოლების კოლონები. ასე რომ, ტალახაძას ქუჩის მცხოვრებლებსა და სკოლას კარგა ხანს მოუწევდა ყურყუტი.

მზემ უსიამოვნოდ დააცხუნა. ბიჭებმა სტალინის პორტრეტი ძირს დადგეს. მართალიმ ჭოკის ბოლო მიწაში ჩაარჭო და ახლა ბელადის ჩრდილს შეჰფარებოდა.

— კი, იყო ვიღაცა! — გაიმეორა მართალიმ.

—ჩვენ რატომ ვერ ვნახეთ? — ცხარედ აჩურჩულდა დურუ.

—გუმანით ვიგრძენი მეც! — არიქამ ფრთხილად მიმოიხედა. ყურს არავინ უგდებდა. ყველა თავისთვის ერთობოდა. მხოლოდ სტალინი შემოსცქეროდა გამჭრიახი თვალებით, აქაოდა ვერაფერს დამიმალავთო.

არიქამ შიშიანად აარიდა მზერა. ითკენ არ გაიწევდა, ბელადიც თითქოს იქითკენ მიბრუნდებოდა... დურუც და მართალიც პირს განზე აბრუნებდნენ, ბელადს ვერ უსწორებდნენ თვალს.

ბულვარიდან სასულე ორკესტრმა დასცხო. რადიოში ვიღაცა გრძელ ლოზუნგს ჩასძახოდა — სიტყვები გაუგებარი იყო, პასუხად კი უწყვეტი „ვაშა“ აიჭრებოდა, აშხუვლდებოდა, სახურავებს გადაუვლიდა და ექო მრავალგზის ბრუნდებოდა.

წინ, სადაც ქუჩა რკალივით უხვევდა, ხალხი აჩოჩქოლდა. დემონსტრანტებმა ღობეებსა და ხეებზე მიყუდებული დროშები და ტრანსპარანტები აკრიფეს და ხელახლა ეწყობოდნენ.

კუკური მასწავლებელი მოქაქანდა თავისი განუყრელი მეგაფონით.

— და-აეწყვეთ, და-აეწყვეთ!

არიქამ და დურუმ სახელურებს ჩასჭიდეს ხელი, მართალიმ ჭოკი ასწია და ბელადის უზარმაზარი პორტრეტი შექანდა, ტილოს თითქოს ტალღამ გადაურბინაო, შეთრთოლდა... მოეჩვენა მართალის, ძია სტალინმა უკმაყოფილოდ გადმოხედა და ულვაშებში ჩაიდუდუნა:

—ნელა, ყმაწვილო, ნუ გადმომაგდე! — ჭალარა ვეტერანმა გაიარა და ყმაწვილებმა უნებლიედ გზა გადაუღობეს, ღობისძირა თხრილისაკენ უბიძგეს.

— ნაბიჯით ი-ააარ! — იყვირა კუკური მასწავლებელმა.

დაიძრნენ.

ალმები აფარფატდა, ატყლაშუნდა, ჰაერში წითელი გადმოიღვარა.

სტალინის პორტრეტი მიჰყვა. ისე ჩანდა, თითქოს დევგმირი სტალინი თავისი ფეხით გამოსულა დემონსტრაციაზე და აუჩქარებლად მიაბიჯებსო.

„იქ, ჩხერიის სათავესთან ვიღაცა იყო! — ფიქრი აეკიდა მართალის. — იქნებ მტერი, შპიონი, ტროცკისტი... მე კი არ გავაცხადე!“

გაისად ალბათ კომკავშირში მიიღებენ. გამოიძახებენ კომკავშირულ სამსჯავროზე და მკაცრად მოიკითხავენ: „პიონერო მართალი თოდუა! შენ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი კაცი ხარ და საკუთარ სახელს არ არცხვენ, ხელი რად გადააფარე მტერს, ბუჩქებში რომ მოიპარებოდი და ჩვენს დიად სამშობლოს საშინელ დივერსიას უმზადებდა?!“

აგერ, ბელადის გამჭრიახ თვალებშიც ასეთივე კითხვა ამოიცნობა...

კვლავ შეფერხდნენ. ბიჭებმა ტვირთი ძირს დადგეს და შეისვენეს.

ბერიას ქუჩიდან ქალთა კოლონა მოიწევდა და იმას უთმობდნენ გზას. კოლონას სატვირთო „პალტარატონკა“ მოუძღოდა. ცხვირზე იმასაც სტალინის პორტრეტი ედგა. გვერდებზე წითელი ტილო შემოევლოთ, რომელზეც თეთრი ასოებით ეწერა: „ყვავილებივით გაღაშლილები, ჩვენ ვართ ილიჩის შვილიშვილები!“ ძარაზე ჩაის ბუჩქები ჩაერგოთ, შუაში კი წლის მონაგარის პირამიდა იდგა — სიმინდის ტაროები, გოგრები, ყურძნის მტევნები, ნაირ-ნარი ხილი. ეს ყველაფერი ერთიერთმანეთზე ეწყო, ხოლო სულ მაღლა, პირამიდის თავზე წითელფოჩება კაბიანი პატარა ფერია იდგა. ერთი ხელით თეჯირს ჩასჭიდებოდა, მეორე წინ გაეწვდინა, თითქოს კოლონის თავზე გაფრენას ლამობდა...

მანქანას წითელ მაისურებიანი, შავ ქვედატანებში ჩაცმული გოგონები მიჰყვებიან. უფროსკლასელ, ყანჩა გოგოებს ჭოკებზე წამოცმული ხელისგულისდადება პორტრეტები მიაქვთ, ალბათ პარტიის ბელადებისა, დიდი სტალინის თანამოაზრეებისა... თუმცა შორიდან გარჩევა ჭირს და წკირზე წამოცმულ თავებსა გვანან...

— კეკეა! — იცნო არიქამ,—ჩვენი ლესტამბეს და!

— აუ, რა ხილია! — პირი გააწკლაპუნა ღურუმ.

მაღალი, ალაყული ლესტამბე მედროშეებში დგას და გოგონებს პირდაღებული მისჩერებია.

მზემ უფრო მოუჭირა, ჰაერში მტვრისა და ოფლის სუნი დადგა.

— და-აეწყვეთ! — ისევ შოვარდა კუკური მასწავლებელი. — ნა-აბიჯით ი-აარ!

— მერე კინოში წავიდეთ! — არიქამ ეტყობა კინოს ფელი იშოვა. — „ფიცი“ გადის!

„იქ ვიღაცა იყო, — ფიქრი კვლავ შეუბრუნდა მართალის. — ვიღაცა იმალება! იქნებ მტერია!.. აიღებს და ჩხერიას დაწამლავს...“

იყო ასეთი ცნობა გაზეთებში, მტრის აგენტებმა სასმელი წყალი დაწამლესო.

წარმოიდგინა ბიჭმა ანკარა, კამკამა წყალი, რომელშიც სიკვდილი იმალება და უმალ წყურვილი მოეძალა, პირი გაუშრა...

ჭოკზე ჩამოყრდნობილი პორტრეტი დამძიმდა, ხელისგულები ეტკინა... უნდა ეთმინა. ის ხომ უბრალო ბიჭი არ იყო, ის დიდი წინაპრების წიაღში დაიბადა და მან სხვაზე მეტი ტვირთი უნდა ზიდოს.

დიახ, პატარა მართალიმ გამხდარი მხრებით უნდა ზიდოს ტვირთი, რაც მას ორმა დიდმა ბაბუამ დაუტოვა. ამ ქალაქში კიდევ ერთი კაცია, ვინაც ასეთ ტვირთს ეზიდება — ბიკენტი თოლორაია, ლესტამბეს მამა... რაღაცა იზიდავდა ამ კაცში, იქნებ შიში ან კიდევ სხვა რამ. რაღაც ძაფები აკავშირებდა მასთან, ალბათ, ეს ის ძაფებია, გერასა და ნესტორს რომ აკავშირებდათ ძღვიბი თოლორაიასთან... ამისი გარკვევა ბიჭს არ შეეძლო... შემკრთალი შეხედავდა სტალინის მომლოდინე მზერას — დიდმა ბელადმა ძირისძირამდე იცოდა ყველაფერი, ის ხომ ბრძენთა ბრძენია... რა დროს ფიქრია! ირგვლივ გაუთავებელი ჩოჩქოლია, ბიჭების ჭყანაობა, სიცილი, ქირქილი, ჭიჭყინი... კოლონა დაიღალა!

წინიდან უკვე გამოკვეთილად მოისმის სასულე ორკესტრის ენერგიული მარში და დოლების ბრაგუნი... რადიო ახრიალდა, სიტყვების გარჩევა შეუძლებელი გახდა... ისევ და ისევ უწყვეტი „ვაშა“ აიჭრა ცისკენ, ხან ომახიანი, ხან გაუბედავი, მიკნავლებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზართან ქუჩა გაფართოვდა. კოლონა კოლონას მიეწია და ვაჟები და გოგონები გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, კარგა ხნით გაიჭედნენ. თეთრბაფთიანი, მწყაზარი გოგონები ინაზებიან, მეტიჩრულად ნაბავენ თვალებს. ბიჭები ცმუკავენ, ენას უყოფენ, ჯღანაობენ.

იქვე, გვერდით ბაზარი ბაზრობს, ხალხი გაცხოველებით ვაჭრობს, მიდიმოდის, დემონსტრანტებს ყურადღებას არ აქცევენ. ურიას ბიჭები დარბიან და გაჰკივიან: „ცივი წყალი! ჭის წყალი!“ რუსის ფაშფაშა დედაკაცებს „ვარენიკები“ დააქვთ, ბოშებს — მამალოები... ბიჭებს პირი აუწყლიანდათ...

— მინდა და... — დურუმ. — მერე კინოსთვის არ მეყოფა!

— იყიდე, კინოსთვის მე მაქვს! — თქვა მართალიმ.

არიქამ კი —

— მამალოს აი, ის გოგო არ გირჩევნია?

— იჰ! — დურუმ თაფში ჩაუტყაპუნა და გაიქცა.

— მო-ოემზადეთ! — ყვირის კუკური მასწავლებელი, თუმცა წინ, ოქტომბრის რევოლუციის პროსპექტამდე გზა გადაჭედილია და ადგილიდან არავინ იძვრის.

ნაცნობი „პალტარატონკა“ შორიახლო დგას. მანქანის ცხვირთან მეფანდურე გოგონები ფანდურებს აჩხაკუნებენ. პირამიდის თავზე კეკემ მოიწყინა, შეწუხებული აცეცებს თვალებს, მუხლისთავებს ერთმანეთზე ახახუნებს.

„რა უნდა, რას წვალობს?“ — გაიფიქრა ბიჭმა და დურუც მოვარდა. გამყიდველთან ზედახორა იყო და მხოლოდ ერთი მამალო შემხვდაო.

—მომაწუწნინე, რა! — არიქა დაეჯღანა.

— მეც მომაწუწნინე!.. მეც!.. მეც!.. — აქეთ-იქიდან შეუძახეს.

დურუმ კუდი მართალის მოუტეხა, თავი არიქას, დანარჩენი პირში იტაცა და კოლონა დაიძრა.

კოლონის თავი ოქტომბრის რევოლუციის პროსპექტზე მიმავალ ხალხს შეერთო. იქ, ბულვარში სივრცე მეტია და ამოდენა ბრბოს თითქოს იწოვსო.

მეფანდურე გოგონები დალაგდნენ, თითები მწყობრად ჩამოჰკრეს და ტალღას მიჰყვნენ.

„რამ შეაწუხა?“ — გაიფიქრა მართალიმ. ამასობაში დურუმ და არიქამ პორტრეტი აიტაცეს და მართალიმ ჭოკს სტაცა ხელი.

გოგონათა კოლონამ კვლავ გაასწრო ვაჟებს. ისინი უკვე ბულვარზე გავიდნენ, ვაჟები კი მხოლოდ ბაზრისწინა მოედანს გაშორდნენ. აქედან კეკე პატარა ჩიტუნასავით, მოჩანს. მალე პორტრეტმა მთელი წინახედი დაუფარა, მართალის თვალები კვლავ ბელადის მზერას შეეფეთა, თითქოს საყვედურობდა დიდი ბელადი, თავში ეშმაკური ფიქრები გიღუტუნებსო...

ამ ადგილას ქუჩას მოწინავეთა სტენდი გასდევდა, კრემლის კედელსა ჰგავდა, მთელი კვარტალი ეკავა. სამი კოშკი ჰქონდა ჩაყოლებული, თითოზე თითო უშველებელი პორტრეტი გაეკრათ — ლენინის, სტალინის და ბერიასი... კოშკებს შორის ამოყვანილ კედლებზე ერთგან ბელადის ერთგულ თანამებრძოლთა უფრო ზომიერი პორტრეტები ეკიდა, მეორეგან — მოწინავე მუშების, მეჩაიეთა და ძველ რევოლუციონერთა სურათები... აგერ, ზედ ბერიას ფერხთან, სამი მამაცი რევოლუციონერი — გერა კვარაცხელია, ნესტორ თოდუა და ძღვიბი თოლორაია მოაფრიალებენ წითელ ალმებს...

ბულვარსაც მიაღწიეს. მამალოს ნატეხი პირში დადნა, წყურვილი გაუმძაფრა. „იქ ვიღაცა იყო!“ — მერამდენედ გაიფიქრა. დიახაც, ჩხერიის სათავეში ვიღაცა იმალებოდა... რა უნდა იმ „ვიღაცას“ ჩხერიის სათავეში?.. ვაითუ მტერია და საწამლავს ყრიდა წყალში!.. ახლა ჩხერია მოწამლულია... მოჩუხჩუხებს, ანკარა, გამჭვირვალე წყალი. ფიქრობ, სუფთაა, სინამდვილეში კი თან სიკვდილი მოაქვს... სიცხეა, წყურვილისაგან პირი შრება, წყლის დალევა კი აკრძალულია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიშალენით, გაიშალენით!.. ყვირის კუკური მასწავლებელი.

წინ ოქტომბრის სახელობის მოედანია. მეტი სივრცეა, მეტი სიხალვათე და ბავშვები ცდილობენ მწობრი დაიცვან. გოგონათა და ვაჟთა კოლონები კვლავ გვერდიგვერდ მოძრაობენ. ვაჟებს ალისფერი დროშები და სტალინის პორტრეტი მიუძღვით, გოგონებს მეფანდურენი და ჭირნახულით დახუნძლული „პალტარატონკა". პირამიდის თავზე კეკე გადასაფრენ ჩიტს აღარა ჰგავს, შესაბრალისად, საწყლად იყურება და ანგარიშმიუცემლად მუხლს მუხლზე უსვამს.

„რა ემართება, რას ცმუკავს?" — — უკვირს მართალის და უცებ მიხვდება.

საზეიმო წუთები დგება, კოლონები მოედანზე გადიან.

მეფანდურეებმა სიმების უაზრო ჩხაკუნი შეწყვიტეს, „ჰეიო!" — ერთმანეთს ანიშნეს და სიმებს სწრაფად, ენერგიულად ჩამოჰკრეს. სოლისტმა სიტყვები ჩქარჩქარა მიაყარა:

ჩქიმი სქვამი საქორთუოს
მაფშალიეფქ დიკათეს,
სტალინიშ ოძირაფუშა, მოსკოვიშა
მიდართეს, ნა...

სოლისტს მთელი გუნდი აჰყვა ერთი ამოსუნთქვით:

ურაიდა-რაიდა, ურაიდა-რაიდა,
ვო-რაიდა, რანინა-ნა!..

მთელი ძალით აგრიალდა სასულე ორკესტრი. ძუმპა-ძუმპა-ძუმპას დოლების ბრაგუნი დაერთო და მომღერალთა მცდელობამ უქმად ჩაიარა.

ორი სასკოლო კოლონა — გოგონათა და ვაჟთა, გვერდიგვერდ შევიდა ფართო მოედანზე. გოგონებს წინ აუჩქარებლად მიუძღოდა ის „პალტარატონკა" და მართალიმ გუნებაში ჩაიკითხა:

„ყვავილებივით გადაშლილები, ჩვენ ვართ ილიჩის შვილები!"

კეკემ, ეტყობა, ღონე მოიკრიფა. გასაფრენად გამზადებულივით ხელი წინ გაწვართა, თუმცა ამ დროს თვალები ცრემლიანი ჰქონდა... მართალიმ ჭოკი მაგრად ჩაბღუჯა, პორტრეტს არ უნდა ეყანყალა, დიდებულად უნდა ჩაევლო. დურუ და არიქა ხვნეშოდნენ, მაგრამ სიამაყე ბიჭებს ძალას მატებდა.

აგერ ორკესტრის ბიძები, ჩასუქებული, გოდორა კაცები, ლოყებს სასაცილოდ ბერავენ. ამათ უკან თეთრად შეფეთქილი ტრიბუნაა. ზედ შავლაბადიანი და შლაპიანი კაცები დგანან, პირისახეზე ოპტიმისტური ღიმილი აზით, ყველას ერთად კი ქუფრი გადაჰკრავს, ე მანდ ჩემმა ღიმილმა ზედმეტად არავინ გაათამამოსო. ამათ მიღმა, მომცრო კვარცხლბეკზე შესაფერისად მომცრო ლენინია, ისიც თეთრად შეფეთქილი, ნაბიჯი გადმოუდგამს, მარჯვენას შორს, თოვლიანი მთების მიმართულებით იშვერს...

საიდანღაც აქლემა-პარმენმა ამოყავა თავი, ჩახლეჩილი ხმით კარნახობს:

—საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცის ვინ არის გამომსახველი...

ყმაწვილები მჭექარედ, — უფროსები ხმაშეწყობილად, უმცროსები წაღმაუკუღმა, — იმეორებენ:

— საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცის ვინ არის გამომსახველი...

აქლემა პარმენი სათვალიდან ბეცად იყურება და ცდილობს ხმას მეტი მგზნებარება შესძინოს:

—მზესავით გზას ვინ გვინათებს, ვისი ძვირფასი სახელი!

ბავშვები ამჯერად ხმას უკეთ უწყობენ:

—მზესავით გზას ვინ გვინათებს, ვისი ძვირფასი სახელი!

აქლემა-პარმენი ნერვიულობს:

—ერთხმად, ბავშვებო, აბა, ერთხმად! ვიღაცა წვიკინებს:

— ერთხმად! — მიხვდება, რომ კარგად არ გამოუვიდა და ენას გადაყლაპავს.

—სტალინი, დიდი სტალინი, დიდ ბელადს ჩვენი მადლობა!

---

* ჩვენს ლამაზ საქართველოში ბულბულები შეიყარნენ, სტალინის მოსანახულებლად მოსკოვში გაფრინდნენ, ნა.....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვირის აქლემა-პარმენი და ბავშვები მწყობრად იმეორებენ:

— სტალინი, დიდი სტალინი, დიდ ბელადს ჩვენი მადლობა!

აქლემა-პარმენი ქაღალდს ჭმუჭნის, ჯიბეში იტენის, აკანკალებული ხელით სათვალესაც იხსნის, იმასაც ჯიბეში იჩრის და თითქმის ხრიალებს:

—მის სადიდებლად გუგუნებს საბჭოთა ახალგაზრდობა!

ყველანი — ერთად:

—მის სადიდებლად გუგუნებს საბჭოთა ახალგაზრდობა!

— დიდება დიდ სტალინს, ვაშა ამხანაგებო! — მჭექარედ ჩასძახა ვიღაცამ მიკროფონში და ხმა განივრცო მოედანზე, გადაუფრინა ყველას და ყველაფერს, მიეხეთქა ეთერს და მრავალგზისი ექო უკან დაბრუნდა.

— ვაშა-ა! — თვალები გადმოკარკლა კუკური მასწავლებელმა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა! — სამგზის მოაღლეს პირი ბავშვებმა. ყელის სიმები ეტკინა მართალის, გიჟებივით ზმუოდნენ დურუ და არიქა... წვრილი ხმით გაჰკიოდნენ გოგონები... „ააა..“ — გადაუარა მთელ ქალაქს და მართალიმ გაიფიქრა: „ბელურებს შევაშინებთ!“ თუმცაღა სად იყვნენ ბელურები...

გოგონათა და ვაჟთა კოლონები მომიჯნავე ქუჩამ შეიწოვა. „პალტარატონაკის“ თავზე კეკე ჩაცუცქულიყო და საცოდავად სლუკუნებდა.

—შეხე, გაეპარა! — ჩაიხითხითა დურუმ.

27

— ამხანაგი სტალინი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ჩვენს ქვეყანას ეზრდება პარტიის ერთგული ახალგაზრდობა!—დინჯად, აუჩქარებლად თქვა იოსებ ბესარიონის ძემ და პორტრეტიდან გადმოვიდა. ხელში ჩიბუხი ეჭირა, თამბაქოს ტენიდა. მიიხედ-მოიხედა, ასანთს ვინ მომაწოდებსო. გამვლელი შეჩერდა, ასანთს მოუკიდა, თან გაკვირვებისაგან თვალები დაუმრგვალდა, ხან იოსებ ბესარიონის ძეს მიაშტერდა, ხან ჩარჩოს, რომლის ტილოზე კაცის მოხაზულობა იყო ამოგლეჯილი. რაკი ვერაფერს მიხვდა, სასოწარკვეთით ამოიოხრა და თავის გზას უტია.

იოსებ ბესარიონის ძემ ულვაშებში ჩაიღიმა, თვალის უპეები ჩაეჭუჭკა. წვრილი ნაოჭებით დაექსელა. ბიჭებს — დურუს, არიქას და მართალის, სათითაოდ თავზე ხელი გადაუსვა. მართალიმ იგრძნო, რომ დიდ ბელადს მძიმე და ცივი ხელი ჰქონდა, გული შიშისაგან მოეწურა. დურუ და არიქაც ლენჩებივით იდგნენ...

— ადრეც ვყოფილვარ მანცხვარკარში! — იოსებ ბესარიონის ძემ ჩიბუხით ჰაერი შემოხაზა, მაცხოვრის გორისაკენ გაიშვირა: — ის გორაკი მომეწონა, შესანიშნავი ადგილია კვარცხლბეკისათვის!

ბიჭები თითქოს დაავიწყდაო, ფიქრიანი თვალებით გახედა ხალხმრავალ მოედანს. იქ კვლავაც ომახიანი „ვაშა“ გრიალებდა და ორკესტრის ხმას ისე ახშობდა, რომ სმენას მხოლოდ დოლის ბრაგუნი წვდებოდა — „ბუმ-ბუმ-ბუმბუმ-ბუმ!..“

იოსებ ბესარიონის ძე ნელი ნაბიჯით დაიძრა. ადამიანთა ტალღა ტალღას მიჰყვებოდა, მოედანი მთლიანად წაელეკა, მაგრამ დიდი ბელადის გზაზე ბრბო ორად იხლიჩებოდა, დერეფანი კეთდებოდა. ეს აუარებელი ხალხი უწყვეტად ბღაოდა — „სტალინი, სტალინი, სტალინი!..“ იოსებ ბესარიონის ძეს კი თითქოს ეს ხმები არცა სწვდებოდა. ისე მიაბიჯებდა, ცარიელ სივრცეს მიაპობსო. მხრებით ამაღლებულიყო ბრბოზე. მის გვერდით ყველაზე მოსული ვაჟკაცებიც ჩია და ბეჩავნი ჩანდნენ. ის კი გმირთა-გმირი, ბუმბერაზთა-ბუმბერაზი დინჯად კვეთდა მოედანს, მის წინ გახსნილ დერეფანს მიჰყვებოდა, აღფრთოვანებულ ბრბოს კი — ბავშვებს, დიდებს, ტრიბუნაზე წამოჭიმულ შავლაბადიან-შლაპიან კაცებსაც სიზმრადაც არ დაესიზმრებოდათ, რომ იოსებ ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიონის ძე აქაა, მანცხვარკარშია, მოედანს ირიბად ჭრის და ეს საიდუმლოება მხოლოდ სამად სამმა ბიჭმა — დურუმ, არიქამ და მართალიმ იცის...

— კუკური მასწავლებელი მოგვკლავს! — ჩაიწუწუნა არიქამ.

— ჰო, სურათი გაგვიფუჭდა! — კეფა მოიფხანა დურუმ.

— დავედევნოთ! — თქვა მართალიმ.

დასტაცეს ჩარჩოს ხელი, ფეხს აუჩქარეს.

იოსებ ბესარიონის ძე მოედნის ბოლომდე ჩავიდა, ბულვარის ჩრდილს მიჰყვა, იქიდან მაცხოვრისგორის გზას დაადგა.

კაკლების ჩრდილში, სალუდესთან კაცები იდგნენ. არიქას მამაც აქ იყო, ხელში კათხა ლუდი ეჭირა და უბერავდა.

დიდმა ბელადმა ნაბიჯი შეანელა, იქნებ სიცხეში ლუდი მოუნდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ამ ლოთებთან ხომ არ დადგება! — ჩაიხითხითა დურუმ.

იოსებ ბესარიონის ძე ხიდზე შეყოვნდა, ჩხერიის წყალს ჩააცქერდა, ალბათ გრილი ნიავი ესიამოვნა.

ბიჭებიც შეყოვნდნენ. ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას, ან როგორ უნდა ეთქვათ, ძია სტალინ, ჩარჩოში დაბრუნდი, თორემ კუკური მასწავლებელს ვერ გადავურჩებითო.

გზა ქვით მოკირწყლულ, ვიწრო ორღობით გრძელდებოდა. ალაგ-ალაგ ამოგრეულ ოღრო-ჩოღროებში გუბეები ჩამდგარიყო.

— ფეხს არ ადგამს! — ჩაიჩურჩულა მართალიმ.

იოსებ ბესარიონის ძე მართლაც ისე მიდიოდა, მიწისპირს ფეხს არ აკარებდა. არც ნაბიჯის ხმა ისმოდა. გუბურას თუ გადაუვლიდა, წყალი არ ირხეოდა, ფეხსაცმელზე ტალახი არ ეცხებოდა.

კაცმა გამოიარა. ტანმაღალი ვინმე იყო, შორიდან თავაღებული მოდიოდა. ბელადს რომ შეხედა, ნირი ეცვალა, ღობეს ზურგით აეკრა.

იოსებ ბესარიონის ძემ ჩაუარა, თურმე ის კაცი იდაყვამდე ძლივსღა წვდებოდა.

— მართლაც დიდია! — შიშნარევი აღფრთოვანებით ჩურჩულებს არიქა. დურუ და მართალი თავს უქნევენ.

ესენი კვლავ ცარიელ ჩარჩოს მიათრევენ. უფრო და უფრო უმძიმთ, ხშირ-ხშირად ისვენებენ, არ ჩამოვრჩეთო და წინ წასულს სირბილით მიეწევიან.

მაცხოვრისგორის ფერდობი გამოჩნდა, შემოდგომას მისთვის ოდინდელი სიხასხასე წაურთმევია.

კიბის საფეხურები ჯაჭვით გაბმულა, ბოლო არ უჩანს.

იოსებ ბესარიონის ძემ მოიხედა, ბიჭებს ჩიბუხი შეთქმულივით დაუქნია და კიბეებს აუყვა. აუჩქარებლად და მსუბუქად მიიწევდა, ბიჭები კი ქოშინით მიჰყვებოდნენ.

ძნელი იყო აღმასვლა. წინ მიმავალი დიდზე დიდი ბელადი საფეხურებს ფეხს თითქოს არც აკარებდა. ბიჭებს კი ღონე დააკლდა... ჩხერიისპირას გაწოლილი მანცხვარკარი დაბლა იწევდა, შემოდგომის ყვითელ, ვარდისფერ და მწვანე ფერებად განფენილიყო... ბულვარიდან, მოედნიდან, ქუჩებიდან მხიარული მუსიკის ხმა ისმოდა. ალბათ დემონსტრაცია დამთავრდა და სასულე ორკესტრი სასეირნოდ გამოსულ მოქალაქეებს ართობს.

—უჰ, მეტი არ შემიძლია! — საფეხურზე დაეშვაარიქა.

დურუსაც და მართალისაც გაუჭირდათ, მაგრამ არიქა მთლად უღონო იყო, ისედაც ლიფსიტას ჰგავდა.

შეისვენეს.

იოსებ ბესარიონის ძეც შეჩერდა. საკმაოდ შორს იყო წასული, გორაკის თავამდე ცოტაღა აკლდა და არ ჩქარობდა. ალბათ ქალაქს გადაჰყურებდა. აქედან მანცხვარკარი უფრო ფართო ჩანდა. მისი შორეული გარეუბნები ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ჩაყვითლებულ ყანებში გადადიოდა.

შორით შორ ჰორიზონტს ბურუსი ეხვია, ზღვის ᲜᲘᲚᲣᲠᲯᲔᲡ ფარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ! — თავს ძალა დაატანა არიქამ, მეგობრებისა რცხვენოდა.

—ნელა იარე, ჩარჩოს ჩვენ წამოვიღებთ! — დიდსულოვნად შესთავაზა დურუმ.

გზა განაგრძეს. ყოჩაღად მიმავალ ძმაკაცებს არიქაც ნელი-ნელ მიჰყვა. აგერ ასმეერთე საფეხურიც.

აქედან ვიწრო ბილიკი იკლაკნებოდა და ბიჭები ბუჩქებს ებღაუჭებოდნენ.

დიდი ბელადი აღმა მიიწევდა, მიწას ფეხს არც ადგამდა.

და აი, მაცხოვრისგორის თავიც გამოჩნდა. ოდესღაც აქ თეთრი ტაძარი იდგა. ახლა მხოლოდ ნანგრევები დარჩენილიყო, რუხი ლოდები, სუროთი ჩახლართული, კატაბალახითა და ჭინჭრით მოსილი... ზედ გადმოსახედზე ზღუდის ნარჩენი გადარჩენილიყო და იოსებ ბესარიონის ძე მასზე შეჩერდა. იდგა და გადაჰყურებდა შორეულ ჰორიზონტს. იქნებ იგი უფრო შორს იხედებოდა, ვიდრე ერთად აღებული ყველა ბიჭი, იმ ბურუსიანი ცის კიდის მიღმა გაშლილ ზღვასაც ხედავდა და ზღვათა მიღმა გაწოლილ ქვეყნებსაც...

ბიჭებმაც ბილიკი ამოათავეს. ზღუდესთან მოკრძალებით გაჩერდნენ. დიდი ბელადი ისეთი ახოვანი ჩანდა, ისე მტკიცედ იდგა, სალდათურ შინელსა და ქირზის ჩექმაში, ჩიბუხით ხელში, საკუთარ ძლიერებასა და ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული, რომ შემკრთალმა ბიჭებმა ჩარჩო დადეს და პირდაღებულნი მიაჩერდნენ.

მზე დაბლა გადაქანდა, მეწამული დაედო. იოსებ ბესარიონის ძის ფეხებთან მეწამული ჩრდილი გაწვა, დაგრძელდა, ბიჭებს გადმოეფინა. წამში აცივდა. ჩრდილი კი თანდთან განივრცო, ქალაქის თავზე გაიშალა და სამყაროს ფერადოვნება ერთიანმა რუხმა ფერმა შეცვალა.

იოსებ ბესარიონის ძემ გაყუჩებულ ბავშვებს გადმოხედა და თქვა ერთხელაც:

— შესანიშნავი კვარცხლბეკია!

ყალიონი გადმობერტყა, შეტრიალდა და ჩარჩოში აღმოჩნდა.

— რა თქვა? — ჩურჩულით იკითხა არიქამ.

— რაღაც შესანიშნავიაო! — დურუმ მხრები აიჩეჩა.

— აქ ბელადის ძეგლი უნდა აღიმართოს! — განაცხადა მართალიმ.

— ერთი ამათ დამიხედე, სად ამოხეტებულან! — თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ბიკენტი თოლორაია ზღუდის ნანგრევზე შედგა, ჩექმაზე მათრახი გაიტკაცუნა.

ბიჭებს მოულოდნელობისაგან გული გადაუქანდათ.

— ვინ ამოიტანა ეს პორტრეტი? — მკაცრად იკითხა ბიკენტიმ. — რას აპირებდით?

— ჩვენ ხომ პიონერები ვართ... — თავი მოისაწყლა მართალიმ. — აქ კარგი ადგილია... აი ეს კვარცხლბეკია სტალინის ძეგლისათვის...

ბიკენტიმ მიმოიხედა, ზღუდის ნანგრევს ფეხი დაჰკრა, სიმტკიცე შეამოწმა.

—მართლაც შესანიშნავი კვარცხლბეკია. — გაიკვირვა. — ყოჩაღ, კარგი მოგიფიქრებიათ!

ჩამოხტა, მართალის მეგობრულად მოხვია მხარზე ხელი, მერე ჩამოჯდა და მთლად შინაურულად ალაპარაკდა:

— კარგი ბიჭები ყოფილხართ! ეს პორტრეტი დიდი კია, მაგრამ ქვევიდან არ გამოჩნდება, აქ უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლი უნდა დაიდგას... ამიტომ პორტრეტი უკან, სკოლაში წაიღეთ, თანაც, — ხმაში უკმაყოფილება გაერია, — ეს დიდი სტალინის სურათია, აქეთ-იქით მისი ტარება არ შეიძლება! სად არის თქვენი მასწავლებელი, ან დირექტორი, მაგათ ჩვენ ყურებს ავუწევთ! — ნაძალადევად ჩაიცინა, ვითომც ვხუმრობო, — ახლა ეს მითხარით, იმ დღეს რომ შემხვდით, იქითა მხარეს, საეჭვო ვერაფერი ნახეთ?

და მაშინ მართალიმ, სულსწრაფად, ალბათ იმიტომ, მასწავლებელსა და დირექტორზე საშიში საუბარი ჩაეფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხა, ბავშვური გულუბრყვილობით დაავდო:

— კი, ნეანდარტალელი ვნახეთ!

— ნეანდარტალელი? — გაოცდა ბიკენტი, სიწითლემ გადაუარა, ბავშვი დამცინისო თუ იფიქრა.

— ჰო, ნეანდარტალელი... ჩხერიის სათავესთან...

— თქვენც ნახეთ? — დურუს და არიქას დაეკითხა ბიკენტი.

— ჰო! — თქვა ორივემ, თავი კი უარის ნიშნად გააქნიეს.

— ჰო თუ არა? — ჩაეკინდა ბიკენტი.

— შეგვეშინდა, მაგრამ არ გვინახავს! — ხმა ჩაუვარდა არიქას.

— თითქოს გვიყურებდა, ჩვენ კი არ გვინახავს! — დაემოწმა დურუ.

მართალიმ ენა მოიკვნიტა. იგრძნო, რომ რაღაც ცუდი მოხდა, ოღონდ ვერ მიხვდა კი... „მე ხომ გავიხუმრე? — წყენით გაიფიქრა. — ნეანდარტალელი მუზეუმის კედელზეა!..“

დიდხანს ჩამოდიოდნენ ფერდობზე, დაღლილად, უხალისოდ, თან მოათრევდნენ ვეებერთელა პორტრეტს. სურათზე გაწოლილი დიდი ბელადი ახლა ცისკენ იყურებოდა. „მეორე მხარეს რომ ჩანს, ის ალბათ-მიწისკენ!“ — გაიფიქრა მართალიმ.

28

— მამაშენია, შვილო! — ეფრომ მხარზე ხელი მოუჭირა. ხელისგული ყინულივით ცივი ჰქონდა და ფრჩხილები კანში მტკივნეულად ჩაეჭდო.

ტატაჩი წუმპეში ეგდო, სისხლისაგან იცლებოდა... თითებით ტალახი მოფხოჭნა, კრუნჩხვამ დაუარა და გაყუჩდა, გაშეშდა... თავდაღმა იწვა, კისერი უხერხულად მოეღრიცა. გაუპარსავი, შიშით გათანგული, ტანჯული პირისახე თითქოს დაუწყნარდა. თვალები ღია დარჩა და შიგ ცის ლურჯი ანარეკლი თანდათან ქრებოდა.

—ესეც ასე! — თქვა ვავა ზარქუამ და მაუზერი ბუდეში შეინახა.

ოთხი სხვა ჩეკისტი ლობის ძიძა იდგა...

გადაიგრიალა საშვიდნოემბრო ზეიმმა, ახლა მანცხვარკარს თვლემისმომგვრელი სიწყნარე ეფინა... სადმე დედალი თუ აკაკანდებოდა, ანდა სიმინდით დატვირთული ურემი ჩაივლიდა ჭრიალით.

ეზოში, მზეზე თბებოდნენ. ბიჭი ცდილობდა მოწყენილობა ძველი, დანჯღრეული პატეფონით გაექარვებინა. სახელურს აწვალებდა. ფირფიტა მრავალგზის იყო ნახმარი და გაფხაჭნილი, ხმა ეხრინწებოდა. მეფანდურე ქალები სიხარულით მღეროდნენ: „ჩქიმი სქვამი საქორთუოს, მაფშალიეფქ დიკათეს..“ ხალისს თანდათან უმატებდნენ — „ურაიდა-რაიდა, ურაიდა-რაიდა, ვო-რაიდა, ვარაიდა, ნა...“

ეზოს მწვანე მოლი ეფინა, თუმცა ფერი შემოდგომას შეერბილებინა... ერთგან კი ღორის ნაჩიჩქნზე წუმპე ჩამდგარიყო.

ცაცანას მუხლზე ბელადის პირველი ტომი ედო და უკვე მერამდენედ უღრმავდებოდა.

ეფრო ჯორკოზე წელგამართული იჯდა. ახლადდავარცხნილ ჭაღარას თავშლით იკრავდა და ხელები ასევე გაუშეშდა კეფასთან.

— მოიცა!

ეზოს კუთხეში ნეზვი იჩიჩქნებოდა, ხანდახან დინგს აწევდა და ფირფიტის გახრიალებას გაოცებული ღრუტუნით შეეხმიანებოდა.

— მოიცა! — გაიმეორა ეფრომ.

ქუჩაში ჩოჩქოლი და მამაკაცების შეძახილი გაისმა.

ჰაერში ტყვიამ გაიზუზუნა.

ცაცანას წიგნი დაუვარდა, მუხლებზე ხელები დააყრდნო და წამოიწია, მაგრამ ველარ წამოდგა.

ეფრო ადგილიდან არ დაძრულა.

ჭიშკარი შემოხეთქა კაცმა, ისე ჩქარობდა, ჩექმებიდან ამოხტომას ლამობსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიტკალებულს, თვალები ფოსოებში ჩასცვენოდა, გაუპარსავი ნიკაპი უკანკალებდა.

ხელები გამოიწოდა, ძლივსღა თქვა:

— დედა, მიშველე!

ეფრო წამოიმართა, რაც იყო, იმაზე მაღალი გამოჩნდა. თმას შეეშვა და ხელები გაშალა, თითქოს ლტოლვილის გულში ჩაკვრას და გადარჩენას ლამობსო.

მდევართა შეძახილი და ფეხების ბრაგაბრუგი სულ ახლოს გაისმა.

კაცი გაიქცა, ეკლიან ღობეს მიაწყდა. ადრე ალბათ იოლად გადაევლებოდა, ოღონდ ტრიფოლიატს არავინ კაფავდა, ზომაზე მეტად გაიზარდა, ეკლის კედლად გადაიქცა. ლტოლვილი გვიან მიხვდა შეცდომას, ის მშველელი წამიც შემოადნა, უკანა ეზოსაკენ შებრუნდა, უცაბედად ფეხი დაუსხლტა და მოტრიალდა.

ვავა ზარქუას ნასროლი ტყვია მაშინ მისწვდა, როცა უკვე ეცემოდა.

წუმპეში ჩაემხო ტატაჩი და სიმწრით მიწა და ტალახი მოფხოჭნა.

— ესეც ასე! — თქვა ვავა ზარქუამ.

ბიკენტი თოლორაიამ მოირბინა ამ დროს. მრგვალი პირისახე გასთეთრებოდა. ხელი ოდნავ შესამჩნევად უცახცახებდა. ავად გადახედა ვავა ზარქუას, თქმით კი არაფერი უთქვამს.

პატეფონი ხმას იხლეჩდა. ნაფხაჭნზე ნემსი ველარ გადადიოდა და მეფანდურე ქალებს სიხარულით ამოეჩემებინათ: „ჩქიმი სქვამი... ჩქიმი სქვამი... ჩქიმი სქვამი...“

ცაცანამ ამოისლუკუნა, ეტყობა გული მისდიოდა, მერე ჭალარა თავი მუხლებზე ჩამოუვარდა და ყრუ ზმუილი გამოსცა.

ეფრო გახევებული იდგა. გამხდარი თითები შვილიშვილის, მხრებისთვის ჩაეჭდო. თვალმოუცილებლად, კუშტად უყურებდა ბიკენტის.

— დეზერტირი იყო და მოღალატე! — ზიზღით თქვა ვავა ზარქუამ.

— დეზერტირი იყო და მოღალატე! — გაიმეორა ბიკენტიმ, პირი კი განზე მიაბრუნა. — ძლივს მოვიმწყვდიეთ!

— უხ, უხ, უხ, — შეეხმიანა ნეზვი ეზოს კუთხიდან, დინგი აიშვირა, ჰაერში სისხლის სუნს იჭერდა.

მართალის შესცივდა, ცახცახმა დაუარა. ხელისგული პატეფონის სახელურს მიეწება და ველარ უშვებდა... „ნეანდარტალელი... ნეანდარტალელი...“ — ტვინში რეკდა და ვერ მიმხვდარიყო რისთვის ამოეჩემებინა.

— საცოდავი ჩემი შვილი! — ხმადაბლა გამოსცრა ეფრომ.

— დეზერტირი იყო და მოღალატე, შენც კარგად იცი მაგი! — ბრაზით გაიმეორა ბიკენტიმ.

მართალის აზრი ზოზინით მოძრაობდა. ალბათ ყოველივე სიზმარში ხდებოდა, მაგრამ ტკივილიანი იყო ეს სიზმარი. აგერ კაცი გდია. მთელი ეზო მოლითაა დაფარული. ის კი მაინცადამაინც წუმპეში ჩავარდნილა... მამა იყო, მაგრამ მოღალატე და დეზერტირი, და მართალის გული ორად გაიხლიჩა, სიბრალული და სირცხვილი ერთმანეთს ვერ შეარიგა.

— საცოდავი ჩემი შვილი! — ჯიუტად გაიმეორა ეფრომ.

ცაცანამ ზმუილს უკლო, გაყუჩდა.

ბიკენტი არ შეპასუხებია ეფროს, ბიჭისაკენ გადმოალაჯა.

მართალი მოიკუნტა, თავი კისერში ჩაუძვრა, თითქოს დარტყმას ელისო. ბიკენტიმ ფირფიტა ააგლიჯა პატეფონს და მოისროლა.

გახედა ეფრომ თავის საცოდავ შვილს მერე ბიკენტის და შურისგებით უთხრა:

— სტალინზეა ეგ სიმღერა, ბიკენტი!

ბიკენტიმ ზურგი შეაქცია, კაცებს გასძახა:

— რა ჭირისუფლებივით დამდგარხართ, მანქანა მოიყვანეთ!

— უხ, უხ, უხ, — ნეზვი დაიძრა ეზოს კუთხიდან, თავი მაღლა აეშვირა და ხროტინებდა, სისხლის სუნს გადაერია.

მითუხთუხდა წუმპეში ჩაგდებულ კაცთან, დინგი სისხლის გუბეს ატაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაძაგძაგა მართალის, უცბად რაღაც ძალამ აიტაცა, ბებიის ხელს დაუძვრა და წინ გავარდა.

ნეზვმა სისხლიანი დინგი შემოაგება, კბილები საზარლად გააწკლაპუნა. საიდანღაც ჯოხი დააძრო მართალიმ, დაუზოგავად ჩასცხო და ჩასცხო პირუტყვს, გაქცეულსა და აჭყივლებულს სდია.

მერე ყველაფერი დაავიწყდა... თვალთ დაუბნელდა, ყურებში შხუილი ჩაესმა და სმენა დაეხშო.

სიწყნარე ჩამოეფინა მართალი თოდუას სულში...

ვითომ ეძინა და თვალი გაახილა ბიჭმა. ვითომ თავის ოთახში წევს. ფართოდ გახსნილი კარიდან და ფანჯრებიდან სინათლე უხვად იღვრება, ოთახს პირთამდე ავსებს, იმდენია, საგნების გარჩევა ჭირს... ეგერ წითელყდიან, ოქროსვარაყიან ტომებზე ათინათობს... კარს იქით გრძელი აივანია, ფართოდ გაშლილ მანცხვარკარს გადაჰყურებს, რაღაცნაირად გაკამკამებული, ნათელი სივრცე იშლება, ლურჯი ცით, თეთრი მთებითა და ჩხერიას მწვანე სანახებით შემოსაზღვრული.

მოულოდნელად ჩრდილი ეცემა, თითქოს უხილავი ღრუბელი გადაეკრაო ცას. აგერ ისიც! წარმოუდგენლად დიადი რაღაც... თავით ცის გუმბათს სწვდება... კიტელი და გალიფე, გაპრიალებული სალდათური ჩექმები... ხელში ჩიბუხი უჭირავს და ფიქრიანად დასცქერის ფერხთით აფუსფუსებულ ქალაქს... შიში და აღტაცება ავსებს მართალის სულს... „ვაშას“ უტყვ ძახილში იხრჩობა, სურვილი თაყვანისცემისა პირთამდე ვასებს...

— მართალი, შვილო! — ეფრო ბებიას სუსტი ხმა წვდება სმენას.

— მართალი, შვილო! — კვნესის ცა-ცანა ბებია.

თითქოს უკუღმა დატრიალდა დროის სათვალავი. მართალი აწვალებს პატეფონის სახელურს. ფირფიტა ტრიალებს და ჩახლეჩილ ხმებს გამოცემს. მეფენდურე ქალები მონდომებით აბულბულებენ: „ჩქიმი სქვამი საქორთუოს, მაფშალიეფქ დიკათესი... ურაიდა-რაიდა, ურაიდა-რაიდა, ვო-რაიდა, ვარაიდა-ნა...“

ეზო გადაირბინა დეზერტირმა და მოღალატემ. დიდი ხნის გაუპარსავ წვერში ჭაღარა მომრავლებია. შიშისაგან სახე გამიტკლებია. ტყე-ღრეში გდებისაგან ტანისამოსი შელახვია. ღამის ყაჩაღსა ჰგავს და ბიჭმა ამ კაცში ნაცნობი და მშობლიური ვერაფერი ამოიცნო.

ფეხი დაუსხლტა ტატაჩის და, როცა ვარდებოდა, ვავა ზარქუას ტყვია მაშინ მიეწია.

წუმპეში ჩავარდა და სისხლისაგან დაიწრიტა... ეფრომ თმას ხელი უშვა, ჭაღრა, ბუწკა თმები აეწეწა. ბიჭის მხარს ფრჩხილებით ჩაჰფრენოდა, მზერა ბიკენტის მიაყინა... „სტალინზეა ეგ სიმღერა, ბიკენტი!“ — შურისგებით გამოსცრა ეფრომ. ეზოს კუთხიდან კი გაავებული ნეზვი წამოვიდა ხროტინით, სისხლის სუნს მიეტანა...

როდის მოხდა ეს? ნუთუ მართლა მოხდა?

— მამაშენია, შვილო! — ყრუდ, დაღლილად წარმოსთქვა ეფრომ.

ბიკენტის შეხედა მართალიმ, კაცს ჩექმებზე ტალახი მოსცხებოდა. რუხი გალიფე და კიტელი ეცვა. ყველა ღილი მჭიდროდ შეეკრა. საულვაშეზე პაწია, ვიწრო ულვაში დაეტოვებინა. ცხვირზე პენსნე მოერგო და მრგვალი სახე სწავლულს მიუგავდა... როდის დაიყენა ულვაში ასე ბიკენტიმ? — გაუკვირდა მართალის. — ან სათვალე როდის მოირგო?

— ჰო, ნეანდარტალელი! — თქვა უნებლიედ.

— რა? — წამოწითლდა ბიკენტი, ჯიქურ შეხედა დედაბრებს. — ერთი საათის დრო მომიცია ეფრო! — ასე ბრძანა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გიორგობიანი

კვეთა

თუმც სიყვარულში უფრო მეტი თანალმობაა,
უპირველეს ერთმანეთი უნდა მოგვწონდეს,
რადგან სინატიფე არის სწორედ ის სახე სულის,
საითკენაც იხრება მხოლოდ გამორჩეული.
დახვეწილს, ლამაზს მიჰყვება თვალი,
მაგრამ შემხვედრიც ხომ ამას ითხოვს,
ხოლო როდესაც ქალის და კაცის სათუთი
მზერა ერთმანეთს კვეთავს,
აი ნამდვილი აღმაფრენა იწყება მაშინ!

ასახვა

ავისახები კი ოდესმე
თუ დავრჩები მტვერგადაყრილი,
ან ავინთები სამუდამოდ
თუ დავრჩები ნაღვერდალივით,
ანდა როცა ვლოცულობ,
ჭარბს რას მოვითხოვ!
უბრალოდ მე ის მალაპარაკებს,
არსში არსობა რომ აისახოს.
ციცინათელაც იმიტომ გვხიბლავს
და მის მიმართ
ოდნავ შურიც ჩაგვესახება,
რადგან ის არის პირველსახის
უსრულქმნილესი გამოვლინება!

გამოსხმა

რა ცხოვრებაც განვვლეთ,
ის მოვიმკეთო, რომ ვთქვათ,
არ იქნება სრულად მართალი,
მაგრამ მაინც ყველამ ის მივიღეთ,
რაც ჩვენში თავად ღვიოდა.
როდესაც ჩემი ყმაწვილკაცობისაკენ ვიცქირები,
მქონდა კიდეც წარმატებანი,
თუმცა იმასაც ვგრძნობდი,
სწრაფვაც არ აღმოჩნდა ჩემთვის მთავარი,
ადამიანმა უნდა ჰპოვოს თავისი თავი,
რადგან ეს გახლავთ უიშვიათესი განძი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმაღლესი განცდა განცდათა შორის.
მე არ ვიცი, თვალი რამ ამიხილა,
ერთი უდაოა, რაც ზეციდან ჩამესმა,
ეს იყო ჭეშმარიტი,
რომ ჩემი თავი დიდი ცოდნით კი არ მეზარდა,
არამედ უბრალოდ ხედ შემეცნო
და თვითონ ზოგჯერ მომერწყა იგი.
დიახ, მე ვიწყე ფოთლით შემოსვა
და იმასაც ნათლად ვხედავდი,
ნაყოფს თანდათან როგორ ვისხამდი!

ნება

ადამიანს უხდება კიდეც გარდახდილი ფათერაკები,
სალ კლდეზე რომ იტვიფრება ლეგენდასავით,
მაგრამ როდესაც ცოდვილს აცდუნებს საცთუნებელი,
ვისთვისაც ვარდისფრად მოჩანს
ზამთრის მკაცრი პეიზაჟები,
აი მაშინ მძლავრობს
ავისქმნელიც და ბელზებელიც.
ამიტომაც შესაგონი უფრო ის არის:
ჩვენი არსიდან თუ ამოვიტანთ
ნიჟარასავით განსხეულებულ რაღაც ქმნილებას,
მაშინ გვაქვს ნება მოლივლივე წყლის ზედაპირზე
გავწვეთ ტივივით!

განწყობა

როცა გამწყრალს ნაცნობი მეგებება,
ჩემს წინ საკიდარს წარმოვიდგენ
და რაც კი ენაზე იმ წამს მაქვს
მომდგარი,
მასზე ჩამოვკიდებ
მერე ვსაუბრობთ, თემებს რა გამოლევს
ხოლო განშორებისას
ან მავიწყდება თვით საკიდზე რაც
ჩამოვაბი,
ანდა უფრო ვგრძნობ ჩემში სიმძიმეს!

ჩემი გამოსახულება

როცა ეულად ვარ,
პოეზია მეახლება ხოლმე
და მაშინ მარტოსულად როდი ვგრძნობ თავს,
ხოლო თუკი ვინმეს შევეყრები,
საუბრისათვის განვეწყობი კიდეც,
დილიდან საღამომდე თამადობაც შემიძლია გავწიო
და წინმჯდომთან,
ვისაც რა გასხივოსნებაც ძალუძს,
სწორედ იმ გაელვებით წარმოვჩნდები.
მაგრამ აი, სამნი თუ ვართ,
ეს ჩემთვის უკვე მართლაც ბევრია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოსდა ზღვაში ვიკარგებოდე,
ვტივტივებ მხოლოდ.
ამიტომაც ძალმიძს რომ ვიყო:
ამაღლებულიც, მჭევრმეტყველიც და უჩინარიც!..

ფარი და მახვილი

ო, ღვთაებრივო,
უმამაცესო და უსრულქმნილესო,
თქვენთან პაექრობას როდი ვაპირებ
ან შეტოლებას,
მაგრამ მარცვალი, რისგანაც ვიშვით,
ჩვენ ერთი გვქონდა.
„დიდო მეფეო“, როცა მოგმართავდნენ,
სახეზე ოდნავი ღიმილიც კი გადაგივლიდათ,
რადგან ბუნების შვილმა შეიცანით ჭეშმარიტება
და არა ვით მეფემ,
ამიტომაც უპირველეს, სწორედ ამით იყავით ძალმოსილი,
მომნუსხველი იყო თქვენი მზერაც
და ჩანჩქერს ჰგავდით,
როცა ის პიტალო კლდიდან ეშვება
და მისი დგაფუნის ხმაში ვლინდება მისი სიმაღლეც.
მახსოვს, როგორ მოგვეწონა ერთი მახვილგონიერება,
რომ ბუნიობისას,
ორი ადამიანის ხვედრი ერთია,
როცა ერთი მათგანი მეფეა ცხადში და მექისე ძილში,
მეორე კი მექისეა სინამდვილეში და მეფე სიზმარში.
ჰგავს ჭეშმარიტს და მაინც,
თქვენ ხართ ყველაზე აღმატებული,
თქვენ შეიგრძენით უმაღლესიც და უმდაბლესიც,
ხოლო თავად უშიშარს, მებრძოლს,
თვით გძულდათ ომი,
თანაც დასძენდით, რომ ამ ქვეყნად
არ არისო იმაზე მეტი სილაჩრე,
ვიდრე გეჭიროს მეფის კვერთხი
და ბრძოლის ველს მხოლოდ უცქერდე!
და რარიგ არიან ასეთები,
რომელთა ხსენებითაც ამაყობენ,
მაშინ როდესაც მათი წარმოჩენისა
უნდა გვრცხვენოდეს...
მიწისძვრის გამო რომელიღაც ზეგანს,
ტუჩებად რომ გაიპო, აღმოხდენია:
„მგონი, ერთმანეთს დაგვაშორეს ჩვენ სამუდამოდ!“
ადამიანიც თითქოს დაცილდა თავისავე არსს
და იერარქიულ კიბეზე იწყო სიარული,
მაგრამ მე და თქვენ ხომ შემეცნებისთვის ვიშვით
და არა განცხრომისათვის და თვით ოცნებაც
მხოლოდ სინანულს ჰბადებდა ჩვენში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ბუნება თვით საწყისში
რასაც გვარგუნებს,
უნდა მივსდიოთ კიდეც და რეალურთან შეხებაში
ჩვენს წარმოსახვებს უნდა ვესახოთ.
ო, როგორ ვგრძნობდი,
ჯანსაღი ხედვანი როცა მეწყებოდა,
სწორედ მაშინ ვითრგუნებოდი.
არადა, ანთებულ სანთლად ყოფნა მუდამ მეწადა,
სანთლის რაობა და მისი სიმარტივე შთამბეჭდავია,
რადგანაც ამ დროს არა როკვისაკენ სწრაფვა,
არამედ რაღაც ქმნადობის სურვილი
აღგვეძვრის ხოლმე...
ტკივილის გარეშე ეს ცხოვრება როდი არსებობს
და განა თქვენი სატანჯველი არ განვიცადე?
იმ სიმძიმეს, ბედმა რომ გარგუნათ,
დედამიწის ზურგზე რაც კი სახედარი იყო,
მას ვერ გაწევდა.
ყოველივე ამას თქვენ უმადლოდით თქვენს აღმზრდელებსაც,
მათი წვლილი ჯეროვნადაც კი დააფასეთ,
ხოლო თავად მე არსთა გამრიგემ
ცხოვრებაში თუ რამ დამაკლო,
სამაგიეროდ სულიერება აღაგზნო ჩემში,
მაგრამ თქვენი უპირატესობა სწორედ ის იყო,
რომ ყველა კითხვას პირუთვნელად
უპასუხეთ თქვენი „ფიქრებით“,
ამითაც შესძელით შეუძლებელი,
თავად კი შეუძლებლობიდან მხოლოდ თავი დავაღწიე
და ნუ განვიკითხავთ, რომელია აქ უფრო ძნელი?!
ერთია, თქვენი არსებობა მუდამ მაკეთილშობილებდა,
ძალას მმატებდა და უსასრულობის არსსაც
უფრო მეტი სიღრმით აღვიქვამდი.
ალბათ იმიტომაც, რომ არსად ჩანდა
არც მღვრიე წყალი და არცა ქაფი,
მხოლოდ ჭეშმარიტი სახეები მეცხადებოდნენ
და მასში ვინთქებოდი როგორც სრულქმნილი.
ამიტომაც ჩვენი ზრახვანი მუდამ იყო უმორჩილესი,
ჩვენი ნაფიქრი ღვთიური ძალით იყო ცხებული,
ჩვენი მიზანი მუდამ სულის განფენა გახლდათ,
ვით ხასხასა მოლი ან მოლივლივე ზღვის ზედაპირი
და თუმცა ყოველთვის დასერილი გვქონდა სხეული,
მაინც მუდამ ვაახლებდით ჩვენსავე სახეს,
რადგან თავად ვიყავით ჩვენივე თავის ფარიც, მახვილიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ შათირიშვილი

საკენის ცოდვა

მოთხრობა

ცა საშინლად იყო მოქუფრული.

ახალგაზრდა ღვთის მსახურმა მკერდზე დაკიდულ გიშრისთვლიან ჯვარს დამზრალი ხელები შეახო, ჩურჩულით აღუვლინა მამაზეციერს ლოცვა-ვედრება; ტალახით მოსვრილი ანაფორის ბოლოები ნაღვლიანად დაიფერთხა და მძიმე ნაბიჯით შეუდგა აღმართს. გაუკაცრიელებულ, გუბეებითა და ლაფით დაფარულ გზას დასასრული არ უჩანდა. მღვდელი დაღლილი გამოიყურებოდა. ხშირად ახედავდა ხოლმე ავისმომასწავებლად მოღრუბლულ ცას და თავს უკმაყოფილოდ აქნევდა.

მის კვალდაკვალ ჯარისკაცი მიაბიჯებდა.

იდუმალებით მოცულ სიმყუდროვეში გაუბედურებული, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების ფეხის ხმა და ხვნეშა ისმოდა. ოკრობოკრო გზას კაცთა ნატერფალი, ტალახში გამოკვეთილი ნაფეხურებიღა აჩნდა.

თოვდა.

ეროვნული გვარდიის მებრძოლს მხარზე ავტომატი ეკიდა. ცივ ფოლადს უმწეო მწერებივით აწყდებოდნენ თოვლის ფთილები და წყლის წვეთებად დნებოდნენ.

ეკლესიის მსახურისთვის ჯვარი იყო რწმენის სათავე; ჯარისკაცისთვის კი სალოცავ ხატად იარაღი ქცეულიყო, რითაც ომის ქარცეცხლი გამოიარა. ვიდრე თანამებრძოლებთან ერთად კოდორის ხეობას ამოათავებდა და საკენის უღელტეხილს შეუდგებოდა, თავისუფლად რომ ევლო, სათადარიგო ტყვიაწამლით სავსე ხელჩანთა ხევში გადაადგდო, ავტომატი კი ძვირფას ნივთივით მაგრად ჩაბღუჯა, შვილივით მიიხუტა გულზე.

გვარდიელი ზოგჯერ ავტომატის ღვედს ისწორებდა მხარზე და ისიც, მღვდლის მსგავსად, წამდაუწუმ მაღლა იცქირებოდა; გაგულისებული ჩანდა. უდაბნოსავით გახრიოკებულ მთაგრეხილებს მწყრალად შეავლებდა ხოლმე თვალს და გულში მკაცრი ბუნების გამჩენს წყევლიდა.

გაუსაძლისი მგზავრობისაგან დაოსებული ღვთის მსახური სულის სიმხნევეს ინარჩუნებდა, უფლის შემწეობით ძალმოსილი მოსალოდნელ საფრთხეს არაფრად აგდებდა და სიკვდილ-სიცოცხლის მაწონასწორებელ გზას წარბშეუხრელად მიარღვევდა.

დაუმცხრალ ბუნებასთან ჭიდილში ჯარისკაცსაც გაწყვეტოდა ქანცი. და მაინც მთელი არსებით ეურჩებოდა სულისა და ხორცის დამთრგუნველ ქარაშოტს. მოძრაობაში ხედავდა სიცოცხლის ძალას. კარგად იცოდა, თუ ამ საშინელ უღელტეხილს ვერ გაუმკლავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, სიკვდილი არ აცდებოდა.

გარემო თოვლის ბურუსში გახვეულიყო. ყინავდა. საშინელი ქარი უბერავდა, ძვალ-რბილში ატანდა.

მღვდელს ანაფორის უბეში მომცროყდიანი ლოცვანი ედო, ჯიბეში-ქაღალდში გახვეული პურის ნატეხი; რომელთაც იმედიანად შეავლებდა ხოლმე ხელს და კმაყოფილებით აღაპყრობდა ზეცისკენ თვალებს. გვარდიელმა წმინდა წიგნისა და პურის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა.

ისინი აფხაზეთის ომიდან ბრუნდებოდნენ. მტერთან განცდილი მარცხი სულსა და გულს უმძიმებდათ. მოძღვარს ის აზრი აწუხებდა, ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხების მთავარი მიზეზი ერის სულიერად მოუმზადებლობა იყოო. მეომარი კი სხვაგვარად ფიქრობდა. ომში დამარცხებას ფიზიკური ფაქტორით ხსნიდა. მისი ღრმა რწმენით, მოძმეთა მხრიდან ღალატს რომ არ ეჩინა თავი, ამ ომში უსათუოდ გაიმარჯვებდნენ.

მთლიანად სხეული რომ ორ ნაწილად გაიხლიჩება, ერთ ნაწილს ყვავი მოულებს ბოლოს, მეორეს — ყვავის ბახალა.

მტრის მახვილს გამოქცეული დაბეჩავებული მოსახლეობა, ცოცხლად დარჩენილი მებრძოლების მხარდამხარ, ფათერაკებით სავსე გზაზე მიაბიჯებდა. გზა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ, სიცოცხლის მომსვრელ ბოროტებად ქცეულიყო და უმოწყალო სტიქიონის ხელშემწეობით წამდაუწუმ სიკვდილს თესავდა.

ვეებერთელა, ბურუსით მოცულ მთაგრეხილებზე იდუმალი სიკვდილი დათარეშობდა. ცადაწვდენილი მიწის ზვინებსა და ქვაღორღიან კორტოხებზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ შეიმჩნეოდა. ავისმომასწავებლად წიოდა ქარი და თოვლის ბუქს აყრიდა ხახადაღებულ კლდეთა ნაპრალებს.

მღვდელი და ჯარისკაცი მოძალებულა სიცივისაგან ითოშებოდნენ, ხელები პირთან მიჰქონდათ და მონდომებით იორთქლებდნენ.

თვითგადარჩენის ინსტიქტით დაძრულ ადამიანებს შორის ბევრმა ვერ გაუძლო აუტანელ მგზავრობას და უკაცრიელ ცისქვეშეთში ჰპოვა სამარე. დევნილები იხოცებოდნენ შიმშილით ან სიცივით, სწრაფად მოქმედი სნეულებით; ველური, კენკროვანი მცენარეებითაც იწამლებოდნენ.

საშინელი ფსიქოზით შეპყრობილები ვისაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მუხლებში ძალა, თავდაუზოგავად მიაპობდნენ თოვლსა და ტალახს. გაჩერება სიკვდილს ნიშნავდა: „ღამით მოთოვს და უღელტეხილი ჩაიკეტებაო!“ მეხივით დაირხა ხმა დევნილთა შორის. დაუყოვნებლივ აიყარნენ კოდორის ხეობიდან და დაკიდულ აღმართებს შეუდგნენ. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დაღამებამდე, სოფელ ჭუბერამდის უნდა ჩაეღწიათ. აქ უკვე შეეულმფრენები დაფრინავდნენ და პირველადი დახმარებაც თან ჩამოჰქონდათ. ლტოლვილებს მაშველი რაზმების გამოჩენის იმედიც ჰქონდათ. მცირეოდენმა იმედმა და გულში დაბუდებულმა შიშმა, ერთბაშად, თითოეულის გონებას საღი განსჯის უნარი წაართვა, ვერავინ გაითვალისწინებდა გზად რომ შემოაღამდებოდათ, ყინვა და თოვლი მოუსწრებდათ და დროებით თავშესაფარს, სულის მოსაბრუნებელ ადგილსაც ვერ იპოვნიდნენ. სიკვდილის შიშითა და სიცოცხლის უზომო წყურვილით აბორგებული ადამიანთა დინება გონებას აღარ ემორჩილებოდა. მხოლოდ ბედისწერა იყო მათი ბიბლიური მოსე და მათი არსობის დამპურებელი.

გვარდიელმა ნაბიჯი შეანელა, ავტომატის ღვედი შეისწორა და სასხვათაშორისოდ მოიჩხრიკა ჯიბეები.

— ეხ, ერთი ღერი პაპიროსი მომაწევინა და მერე თუგინდა მომკლა! — სინანულით ამოთქვა მან და ტალახიდან ამოთხლეშილი ფეხი ბრაზიანად გაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაო, შემთხვევით, სიგარეტი ხომ არ გექნება? — უიმედოდ დასძინა.

— არა, ძმობილო, არ ვეწევი. — ხმადაბლა გამოსცრა მღვდელმა და ცოტა არ იყოს ეწყინა, მისმა თანატოლმა სიტყვა „მამაო“ თითქოსდა რაღაცნაირი ირონიით წარმოთქვა.

— ისე, ფრიად საინტერესოა, მღვდლების უმრავლესობა რატომ არ ეწევით? — საქმედალეული კაცის შეხუმრებით იკითხა მებრძოლმა და მკლავზე ჩამოცურებული ავტომატი კვლავ შეისწორა.

— საკმევლის ბოლიც გვეკმარისება! თითქოს ხუმრობითვე უპასუხა ანაფორიანმა და ამ ხნის განმავლობაში, პირველად გამოაჩინა თოვლივით თეთრი კბილები.

მოძღვარი და ჯარისკაცი თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ. არც ერთი მათგანი ოცდახუთ წელს არ იქნებოდა გადაცილებული.

მღვდელი საშუალოზე მაღალი, როგორც ღვთის მსახურს სჩვევიათ, ოდნავ ბეჭებში მოხრილი იყო. ფართო, შესამჩნევად გამოზნექილი შუბლი და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. წაბლისფერ თმას და ამავე ფერის წვერულვაშს ატარებდა. მოზრდილი თმა გაჭუჭყიანებოდა და ალაგ-ალაგ გაბურდოდა.

მართლა, მამაო, რა სახელით უნდა მოგმართო? — სიჩუმე დაარღვია გვარდიელმა და ყინვისაგან დასუსხულ ნიკაპზე ხელისგული ჩამოისვა. მასაც კარგა ხნის გაუპარსავი წვერი ჰქონდა. მღვდელზე ოდნავ მაღალი იქნებოდა. შავ, თითქოსდა დაუვარცხნელობისგან დატალღულ თმაზე დაფიფქული ფანტელები ხნულში გაბნეულ სიმინდის მარცვლებს მოგაგონებდათ. მარცხენა ყვრიმალზე, ყურის ნიჟარასთან ჭრილობის ნაწიბურები აჩნდა. დამაბნეველი, სიღრმისეული გამოხედვა ჰქონდა; მისი თვალების ფერის დადგენა ზოგჯერ შეუძლებელი ხდებოდა.

— ჩემი საერო სახელი, ბიძინა ებანოიძეა, სასულიერო — ფარვიზი... ასე ინება უზენაესმა! — კარგა ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს სივრცეს უპასუხა მოძღვარმა და მისდაუნებურად ლოცვანისაკენ წაიღო ხელი.

— მე, გიორგი სადრაძე ვარ! — მხედრული რიხით სთქვა გვარდიელმა და რატომღაც უხერხულად ჩაახველა.

— მაღალი ღმერთი გფარავდეს, ძმაო გიორგი უფლის შეწევნა არ მოგკლებოდეს, როგორც შენ, ასევე ამ გაუბედურებულ ადამიანებს! — გულით დაილოცა მამამ და ზეცას ახედა, სამგზის გადაიწერა პირჯვარი.

„ამინ“-ო, დასტური უნდოდა ეთქვა გიორგის, მაგრამ, რატომღაც, თავი შეიკავა.

ბიძინა ებანოიძე და გიორგი სადრაძე ერთმანეთს შემთხვევით დაემგზავრნენ. მათ შორის თითქოს იდუმალი ძაფი გაიბა. ორი სხვადასხვა შეხედულებისა და მისიის ადამიანი, რა ძალამ დააკავშირა ღმერთმა უწყის.

მღვდელმა გიორგის ყურადღება ჯერ კიდევ კოდორის ხეობაში მიიქცია; იქედან მოყოლებული, ჯარისკაცი თვალს არ აშორებდა, ცდილობდა დევნილებს შორის არ გაბნეოდა.

ახალგაზრდა მოძღვარი კი სხვა რამით იყო დაკავებული. განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს ეხმარებოდა. გაიხედავდით და ვიღაც მოხუც ქალს მხარში ედგა, სიარულში ეშველებოდა; სულიერად და ფიზიკურად გატეხილ, შიმშილისაგან დაოსებულ დევნილებს საღვთო სიტყვებით ამხნევებდა. ლოცვებითა და რწმენის აღმდგენი ქადაგებით აპურებდა, სიმტკიცეს შთააგონებდა: შეძლებისდაგვარად, ყველას სატანჯველს უმსუბუქებდა.

ფარვიზმა, ვიდრე დევნილთა ნაკადი კოდორის ხეობიდან უღელტეხილისაკენ დაიძრებოდა, გზად მომაკვდავი მოხუცი კაცი აზიარა. მერე მიმოიხედა და შორიახლოს მდგარ ჯარისკაცებს თავისთან უხმო. მორიდებით სთხოვა მიცვალებულის დაკრძალვაში დამეხმარეთო.

გვარდიელები დაუზარებლად შეუდგნენ საქმეს. დანოტივებულ მიწას ჯო-

ეროვნული

ხებითა და საბრძოლო დანებით დაუწყეს ჩიჩქნა. მათ შორის ერთ-ერთი, მუხლებზე ჩაჩოქილი, მესაფლავის მონდომებით თხრიდა სამარეს. სახეზე წურწურით სდიოდა ოფლი. უცებ საშინელი ხველა აუტყდა, თითქოს ჰაერი არ ყოფნის და სადაც არის ფილტვები დაუსკდებაო.

ასე ხდება, გარეგნულად ჯანსაღ, ტანმაგარ ხეს თუ შეუჩნდება ფარული სენი, შიგნიდან დაღრღნის ნება-ნება მოულებს ბოლოს.

მღვდელი შეწუხდა, გვარდიელს მიუახლოვდა, ანაფორის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მორიდებით გაუწოდა.

— დაისვენეთ, ესენიც აუვლენ საქმეს! — გულწრფელად ურჩია.

მებრძოლმა მადლიერებით ახედა უცნობს და გულში რაღაცნაირი შვება იგრძნო.

როცა უღელტეხილის პირველ აღმართს შეუდგნენ, იმდენი საზრუნავი გაუჩნდა მოძღვარს, მისი მცირედი ყურადღებით კმაყოფილი მეომრის არსებობა არც გახსენებია.

გზის დიდი მონაკვეთი უამრავი ავტომობილით ჩახერგილიყო. უგულისყუროდ მიყრილ-მოყრილი, ყოფიერებიდან ამოვარდნილი მანქანები, გამოუსადეგარ რკინის დეტალებს მოგაგონებდათ. მათი მფლობელები, სინანულისდა მიუხედავად, იძულებულნი იყვნენ მსუბუქი ბარგი აეკრათ ზურგზე და ახლობლებთან ერთად ფეხით შედგომოდნენ გზას.

ციცაბო აღმართზე მიმავალ, ახალგაზრდა ქალს ზურგზე სავსე თოფრა ეკიდა, მკერდზე კი — თბილი სახვევებით შეფუთნული უმწეო ბავშვი. ჩვილის დედა ჯვრისმტვირთელის შეუპოვრობით მიაბიჯებდა. მღვდელმა ფეხს აუჩქარა და ქალს წამოეწია, პაწია უხმოდ ჩამოართვა, ფრთხილად მიიხუტა მკერდზე; სანუკვარი ტვირთისაგან გათავისუფლებული დედაკაცი თითქოს ანაფორის კალთას მოეჭიდაო, კვალდაკვალ მიჰყვა მოძღვარს.

მომაბეზრებელ აღმართს დასასრული არ უჩანდა.

ფარვიზს ფეხები თანდათან უმძიმდებოდა, მუხლებში ძალ-ღონე ეცლებოდა. წებოვანი ტალახით დაზვინულ ფეხსაცმელს ძლივს მიათრევდა.

გარემო ნისლში გახვეულიყო. ათიოდე მეტრის იქეთ ვერაფერს გაარჩევდა კაცი.

ძლივს ავლილი აღმართის შემდეგ მორიგი აღმართების ბუნდოვანი სილუეტები იკვეთებოდა, ზღაპრული ურჩხულის წაჭრილი თავებივით დაუსრულებლად რომ მრავლდებოდნენ.

მღვდელი თანდათან დაიქანცა. მეტის ატანა აღარ შეეძლო. თუმცა ითმენდა; ამ დროს, ვიღაცამ მხარზე შეახო ხელი და მოქნილი მოძრაობით მკერდიდან ბავშვი ააცალა. ფარვიზმა მუხლებში ენერგიის მოჭარბება იგრძნო. მისი ხვედრის შემმსუბუქებელს, გულისხმიერ ჭაბუკს მადლიერებით გახედა, და იცნო. სწორედ ის ჯარისკაცი აღმოჩნდა, კოდორის ხეობაში, საფლავის გათხრისას საშინელი ხველა რომ აუტყდა.

ფიზიკურ შვებასთან ერთად სინდისის ქეჯნაც იგრძნო. ნაღვლიანად ამოიოხრა, უბეში ჩამალული ლოცვანსა და პურის ნატეხს შეუმჩნევლად შეახო ხელი, ნისლით დაბურულ ზეცას ახედა. „ღმერთო ძლიერო, შენ შეეწიე ყველა უბედურს, მიეც რწმენა და ჩაუნერგე სულის მხნეობა!“.

ცივი ქარი ავისმანიშნებლად ბუქნაობდა.

ყოველ წუთს ზვავის ჩამოწოლა იყო მოსალოდნელი.

გაუბედურებული ადამიანები, შვიდმაგ სიმძიმეს შეჭიდებული ჭიანჭველებივით მიიწევდნენ წინ და ვისაც მათ შორის ოდნავ მაინც სწამდათ ღმერთის, სწორედ ამ გზაზე მოელოდათ დიდი გამოცდა.

შუადღე მიიწურა. დაუზოგავად თოვდა. ყინავდა.

მღვდელმა და ჯარისკაცმა, ვიდრე ყველაზე საშინელი მონაკვეთი, უღელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხილის უკაცრიელი ადგილები დაიწყებოდა, შუა ხანს მიტანებული ცოლქმრის ცხედრები მიაბარეს გაყინულ მიწას. ჯერ დედაკაცი დავარდნილა მშიერს, შეცივნულს, იქვე განუტევებია სული. კაცი უხმოდ ჩამომჯდარა ლოდზე, მკვდრისფერი დადებია სახეზე, რაღაც სათქმელი პირზე შეყინვია და მასაც გაშტერებია სამიდღემჩიოდ თვალი.

ამის შემდეგ დიდხანს იარეს.

მოძღვარი ფიქრებით დამძიმებული მიაბიჯებდა. „მიცვალებულთა სულები ვაზიარე, ქრისტიანულადაც ავუგეწესი, როგორც ჭეშმარიტ მართმადიდებელს შეჰფერის, მაინც ეჭვი მღრღნის, შენდობის ამ ნაჩქარევ ლოცვებს, ყალბი ვალმოხდის ელფერი დაკრავს. შემინდე, უფალო ჩემო! რამეთუ ვუწყი, საღვთო წერილთან, ყოველგვარი სიყალბე რომ შეუთავსებელია. თავად დროჟამია ყალბობის, ღორმუცელობის და ხორცისათვის ზრუნვის; სულის ცთუნების, ამპარტავნობის და გაუტანლობის. ქვეყნიერების შემოქმედო, ყოვლის მჭვრეტელო, ალბათ რაც ვთესეთ, იმასვე ვიმკით; რისი ღირსნიც ვართ, იმ სასჯელს ვიხდით!...“

უსიამო ფიქრებში წასული მღვდელი, ბონს გვარდიელის გაბზარულმა ხმამ მოიყვანა.

— ჩქარა მამაო, აგერ, მიწაზე ვიღაც ქალი საშინლად წვალობს!

გასიპული კლდის ნაპრალთან შავით მოსილი ორი დედაკაცი მოჩვენებასავით იდგა. დაბნეული სახით დაჰყურებდნენ მიწაზე მწოლიარე საბრალო ქალს, რომელსაც უცაბედი მშობიარობა დაწყებოდა.

საშინელი ქარბუქი იყო. აუტანლად ციოდა.

მღვდელი უმალ გამოცოცხლდა. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილმა ანაფორის სამკლაურები დაიკაპიწა და შაოსანთა შემაგულიანებლად საქმიან ფაციფუცს მოჰყვა.

თითქოს სამყარო გაირინდა, ბუნებამ და ადამიანმა წინასწარ შეთქმულებივით პირი შეკრეს. უცებ, ამ გაუსაძლის სიმყუდროვეში, მელოგინე ქალის არამიწიერი კივილი გაისმა, შემდეგ მიინავლა და დაბურულ სივრცეში ჰაერს შეყინული სევდიანი ნოტივით გაქრა.

ქალმა იმშობიარა. მისი საშოდან პაწია გვამი გამოსხლტა.

მელოგინე დედაკაცმა მუცლიდან სიკვდილი შვა და იმავდროულად თვითონაც გათავდა.

მალე, საკენის უღელტეხილზე დატრიალებული ტრაგედიის ამბავს მთელი ცივილიზებული სამყარო შეიტყობს. სამაშველო რაზმებიც გამოჩნდებიან. კავკასიონის თავზე შვეულმფრენებიც დაიწყებენ ფარფატს, გვამებად ქცეულ დედა-შვილს კი აღარაფერი ეშველებათ.

მღვდელი მწუხარე სახით, დამძიმებული სხეულითა და მწარე ფიქრებით მიაბიჯებდა.

„ღმერთო ჩემო! ეს, რა მკრეხელური აზრები შემომჩენიან და გახურებულ ისრებივით მიშანთავენ წყეულ გონებას?... მომიტევე უზენაესო... უნდა გკითხო... იქნებ, შენმა ღვთიური სიბრძნით შუქმოსილმა პასუხმა გამინათოს დახშული ტვინი? გამაგებინე, დედის საშოდან მკვდრად შობილმა რა დაავშავა?! რად გასწირე უმანკო კრავი, რომელსაც ამ ცოდვიან დედამიწაზე, ჯერაც არ დაედგა ფეხი?!... ოო... არსთა გამრიგევ, მომიტევე კადნიერება!“

გიორგის საშინელი ხველა აუტყდა. ფარვიზი გამოერკვა. დაუსრულებელი ხველებისაგან თვალაწყლიანებულ ჯარისკაცს ნაღვლიანად გახედა და რატომღაც შემდეგი აზრი დაებადა: აქაოდა, ჯარისკაცის მასთან ერთად გამგზავრებაში, უსათუოდ ღვთის ხელი ურევიაო.

გულდაგულ თოვდა.

— გიორგი, როგორც ჩანს, გაციებულხარ! — თანაგრძნობით მიმართა მღვდელმა ჯარისკაცს. და გაბმული ხველებისაგან მოცახცახე ბეჭზე გათოშილი ხელისგული დაადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა.. რა! — ძლივს ამოთქვა გვარდიელმა და ხველებითვე დასძინა, — ძველი ჭრილობა არ მასვენებს... მარჯვენა ფილტვში ვარ დანაჭერი. ნაიარევზე ცივი ჰაერი როგორც კი მომხვდება... ველარ დაასრულა სათქმელი, ბოლოს როგორც იქნა, დაწყნარდა და გზა ჩვეული მონდომებით გააგრძელა.

— გიორგი, მომეცი ავტომატი, ცოტა ხნით შეგეხიდები! — მეგობრულად შესთავაზა მღვდელმა.

გიორგიმ გაღიზიანებითა და იმავდროულად მადლიერების გრძნობით გახედა მოძღვარს და მხრიდან ავტომატი მორჩილად მოიხსნა.

შიშველი, ხრიოკი ქედების ზემოდან ზოგჯერ ბუნდოვნად გამოჩნდებოდა რუხი კლდეები, რომელთა მიღმა მონაცრისფრო, თოვლით მოფარული მწვერვალების სილუეტები აზიდულიყო. ხრამებსა და ნაპრალებში ახლად დადებული თოვლი ზვინებად ელაგა.

უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანების გმინვა და ოხვრა შორეულ გადაძახილებივით მიჰქონდა ნიავს და თოვლის ბურუსში კარგავდა.

მოჩვენებასავით მიმავალი მღვდელი და ჯარისკაცი, მათდაუნებურად, გზის გარკვეულ მონაკვეთზე, სხვებისაგან განცალკევებით აღმოჩნდნენ.

უკაცრიელ მიდამოს ბინდი ეპარებოდა. დამრეცად ბარდნიდა და ხშირი ფანტელების ნისლისფერი ფარდა ხილვადობას ახშობდა. გამყინავი ქარი ძვალ-რბილში ატანდა.

უხმოდ მიაბიჯებდნენ.

ფარვიზს მხარზე ავტომატი ეკიდა.

გიორგი რაღაცას ფიქრობდა.

თოვდა. ყინავდა.

მღვდელი თანდათან დაღლას გრძნობდა. თითქოს მხარზე გავარვარებული რკინა ეკიდა. ავტომატი, რომელიც იდუმალ სიკვდილს თან ატარებდა, ნება-ნება მძიმდებოდა, იარაღის ტარებას შეუჩვეველი ჭაბუკის მხარ-ბეჭს მიწისკენ ხრიდა.

მგზავრები იდუმალ მყუდროებას თითქოს შეგნებულად არ არღვევდნენ, გეგონებოდათ, საკუთარ სხეულს აყურადებენ და გულდასმით ამოწმებენ, ბედი არ გაუწყრეს და შუა გზაში არ გვიღალატოსო.

მწვერვალები მონაცრისფრო ბურუსში გახვეულიყვნენ. ველურ სიჩუმეს მძიმე ნაბიჯებისა და ნაპრალებში დასრიალებული აყალო მიწის ხრიალი არღვევდა.

ღვთის მსახური წამით შეყოვნდა და ცას ახედა. მერე ისე მოუსვენრად შეარხია ბეჭი, თითქოს ზედ ეშმაკი აზის და მისი გადმოგდება უნდაო.

ქარბუქი თანდათან მატულობდა.

მოძღვრის მოუსვენრობის ძირითადი მიზეზი, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანებისაგან დაშორება იყო. სინდისი ქენჯნიდა. გაჭირვებულთა მანუგეშებლის ღვთიურ მოვალეობისაგან გაქცეულად მიიჩნევდა თავს. ერთი პირობა, კიდეც შეყოვნდა და წინ და უკან იწყო ყურება, თოვლის ბურუსში ვერაფერი გაარჩია.

უეცრად ცაზე მეხის შემზარავი გრუხუნი გაისმა. დანისლული სივრცე ელვამ გაკვეთა და მთათა გრეხილებზე გასისხლიანებულ მათრახივით გადაიკლაკნა.

ეკლესიის მსახური შეცბა, პირჯვარი გადაიწერა. ავტომატი უნდილად შეისწორა მხარზე და, ღმერთო შეუნდე ამ ცოდვილ ქვეყანასო ჩაიჩურჩულა.

გიორგიმ ნაბიჯს უკლო და შეშფოთებულ მღვდლისკენ შებრუნდა, იარაღის გამოსართმევად უხმოდ გაუწოდა ხელი.

ხეობაში ბინდი წვებოდა. პირქუში მთები ავისმეტყველად დუმდნენ.

ღამდებოდა.

მღვდელს და ჯარისკაცს წყურვილი კლავდათ. სხვა საშველს რომ ვერ ხედავდნენ, პეშვით იღებდნენ ხშირხშირად თოვლს და შაქარყინულივით ლოკავდნენ.

ამ დროს, როგორც იქნა, ერთი მომაბეზრებელი აღმართი აათავეს და ვიდრე მომდევნოს შეუდგებოდნენ, გზის პირას, უზარმაზარ ლოდთან ადამიანის გვამი შენიშნეს. დაუყოვნებლივ შეცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს გეზი და სავალი გზიდან განაპირდნენ. მერე გვარდიელი, თითქოს რაღაც არასასიამოვნო სუნი იყნოსაო, გულგრილი თავარიდებით განზე გადგა და მოძღვარს ნაძალადევი ინტერესით დაუწყო თვალთვალი, უადგილოდ ჩაახველა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ უკაცრიელ გზაზე მღვდლის უანგარო საქციელს მთლად გამართლებულად არ მიიჩნევდა. მისი აზრით, ვიდრე კარგად არ დაღამდებოდა, როგორმე ტყემდე უნდა ჩაეღწიათ, თორემ ცუდ დღეში ჩავარდებოდნენ.

ფარვიზი ლოდთან ჩაცუცქდა, თვალისცეცებით დააკვირდა; თხელ, ხმარებისაგან გაცვეთილ-გაჭუჭყიანებულ საბანში გახვეულ სხეულს, რომელსაც ამ ქვეყნიერის არაფერი ეტყობოდა. „ღმერთო ჩემო!“ უნებლიეთ აღმოხდა მღვდელს და საბანში გახვეულს ფრთხილად შეეხო.

— გიორგი, რას უდგეხარ, მოდი მომეშველე! — თრთოლანარევი უკმაყოფილებით გასძახა გვარდიელს და უგონო მოკვდავს სახიდან საბნის კიდე გადააცალა; მოულოდნელობისგან გაშეშდა, სუნთქვა შეეკრა, მარჯვენა ხელი ჰაერში სანთელივით აღერილი დარჩა.

უკაცრიელ ბინდბუნდში, ოციოდე წლის გოგონას განაცრისფერებული, მაგრამ მაინც სილამაზეშენარჩუნებული სახე ამოტივტივდა, რომელსაც შუბლზე ქერა, შეყინული კულულები პაწია ზარებივით უკონწიალებდა.

ფარვიზი წამიერად დაიბნა, წელში გაიმართა და უმოქმედო წრიალს მოყვა, მერე ისევ ჩაცუცქდა და მიბნედილი ქალიშვილის ხელები ფაციფუცით მონახა, თავის ხელებშუა მოიქცია და გალიგვულ თითებს მონდომებით დაუწყო სრესა, ხანგამოშვებით, პირთან მიჰქონდა და ისე უბერავდა სულს, თითქოს მინავლული ნაკვერჩხალის გაღვივება სურსო.

სადღაც, შორს, დათოვლილი მთების გადაღმა კვლავ დაიჭექა მეხმა.

გიორგი საქმეში გართულ მღვდელს ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა, რას აკეთებსო, დაინტერესდა. მიბნედილ გოგონას რო დააცქერდა, უცებ მოიხსნა ავტომატი და იქვე, ლოდზე შემოდო.

— მამაო, შენ ყურის ძირები დაუზილე, ხელები მე მომეცი, სუნთქვის ვარჯიშებს ჩავუტარებ! — ნერწყვისყლაპვით უთხრა მოძღვარს და უსიცოცხლო ხელებს დაწვდა.

მღვდელი და ჯარისკაცი თავგამოდებით ფაციფუცობდნენ, იფიქრებდით, საკუთარი სხეულიდან სიცოცხლის განდევნა და უცნობის გვამში ჩასახლება განუზრახავთო.

გიორგი სწრაფად ამოძრავებდა გოგონას უსიცოცხლო მაჯებს, ხოლო ფარვიზი მონოტონური სიფრთხილით უჟღვლემდა გაყინულ ყვრიმალებს. პირობა დადებულებივით ებრძოდნენ სიკვდილს. ბოლოს, როგორც იყო ქერათმიანმა გოგონამ მძიმედ შეარხია წამწამები და მის თავთან აქოშინებულ ჭაბუკებს სუსტი მზერა შეავლო.

მას ცისფერი, ღრმა სევდის გამომხატველი თვალები ჰქონდა.

— ბიჭებო... თუ ღმერთი გწამთ... მარტოს ნუ დამტოვებთ! — ვედრებით გამოსცრა და კვლავ ბურანში ჩაიძირა. ამ სიტყვებს თითქოს უკანასკნელი ენერგიაც თან ამოაყოლა და საღათას ძილს მიეცა.

ერთხანს სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— ღმერთო მაღალო, ისმინე ვედრება მონისა შენისა და შეეწიე ამ უბედურს! — შთაგონებით აღმოხდა მღვდელს და გონმიბნედილის ფეხებთან პირქვე დაემხო.

„უფალო უშველე, უფალო უშველე!“ — ჩურჩულებდა იგი.

გიორგი დაფიფქულ ავტომატს უხალისოდ დაწვდა, მხარზე მოიგდო, მერე გვამისკენ დაიხარა და სახეზე საბანი წააფარა ბექობიდან გზაზე გავიდა, თანამგზავრს მოთმინებით დაელოდა.

ირგვლივ კუნაპეტი ღამე ჩამოწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი კვლავ ლოცვა-ვედრების აგონიაში იყო. ხმა და ხელები ნერვიულად უცახცახებდა. ბოლოს მუხლებზე ოდნავ წამოიწია და შენელებული მოძრაობით ცხედრის თავისკენ გადაინაცვლა. ქალიშვილს გაყინული ხელები მკერდზე წესისამებრ დაუკრიფა. ანაფორის უბიდან ხელისცეცებით ამოაძვრინა მომცროყდიანი ლოცვანი და მიცვალებულს ხელებქვეშ ამოუდო: ქაღალდში გახვეული პურის ნატეხი იქვე, საბნის ნაკეცში ჩუმად შეაცურა. ჯარისკაცისკენ ქურდულად გააპარა მზერა; სათითაოდ მოიჩხრიკა ყველა ჯიბე და ერთში პატარა, ნაკურთხ ჯვარს წააწყდა, რომელიც ისეთი მოკრძალებით შემოუდო სასთუმალქვეშ, იფიქრებდით, ეშინია ტკბილად მძინარე არ გააღვიძოსო; წელში გასწორდა, თოვლის ბურანში გახვეულ ზეცას ნაღვლიანად ახედა: „უფალო უშველე!“ — ერთხელაც აღმოხდა და ადგილზე უსიამოდ შეტოკდა. მოეჩვენა, თითქოს ცხოვრებამ სარკის წინ დააყენა, საიდანაც მისი უმწეო ორეული მისჩერებოდა.

მან ჩუმი უკმაყოფილობით გახედა გზაზე მდგარ ჯარისკაცს, რომელსაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ფარვიზმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სათქმელი ხორხში გაეჩხირა, რიყეზე მოფართხალე თევზივით დააღო პირი. საკუთარი უმწეობა და გვარდიელის გარეგნული გულქვაობა ჭკუას აკარგვინებდა. „სიცოცხლისათვის რას არ ჩაიდენს თურმე კაცი!“

მღვდელი კარგად გრძნობდა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანის დატოვება, მიუტევებელ საქციელად რომ ჩაეთვლებოდა. ამიტომაც განაგრძობდა ჯიუტად დგომას და რაზე ფიქრობდა, ღმერთმა უწყოდა.

— მამაო, დაუჩქარე, თორემ დაგვიანდება და ტყემდე ვერ ჩავაღწევთ! — ჯარისკაცი თითქოს მიხვდა მღვდლის ორჭოფობას და გამაფრთხილებელი ტონით გასძახა.

ფარვიზი შეცბა.

— როგორ, ეს საბრალო უსუგეოდ მივაგდოთ?! — ბრაზმორევით იკითხა მღვდელმა და მიცვალებულისკენ შებრუნდა.

— მამაო, წავიდეთ! ჩვენს აქ დაყოვნებას აზრი არა აქვს, სულ ერთია ვერაფერს გავხდებით... ჩვენც დავიღუპებით! გესმის?

მამაოს ხმა არ გაუღია, აქაოდა, მართლაც არაფერი ესმოდა. ღრმად ამოისუნთქა და მონუსხულივით შებრუნდა გზისკენ. კვლავ შედგა, რას ჩავდივარო, იფიქრა; ზეცას ახედა. მოეჩვენა, თითქოს ბურანიდან ორი ცისფერი თვალი სულის შემძვრელად დაშტერებოდა და მის სხეულს რენტგენივით აშუქებდა. „ბიჭებო, თუ ღმერთი გწამთ, მართოს ნუ დამტოვებთ!“ — ჩაესმოდა იდუმალი ხმა.

—. მამაო დაუჩქარე! — ბრძანებასავით გაისმა ბოლოს.

მღვდელმა მისდაუნებურად ნაბიჯი წადგა და ცოტათი დაწინაურებულ ჯარისკაცს ფეხათრევით მიჰყვა.

დიდხანს იარეს უხმოდ. მხოლოდ მათი ნაბიჯის ხმა არღვევდა ირგვლივ დავანებულ სიმყუდროვეს.

ორივე ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

მოძღვარს დაქანცული, ფათერაკებით გაწამებული მოგზაურის გამომეტყველება ჰქონდა: „ნუთუ დავმარცხდი, განვუდექი ზეციერს და მიწიერ სურვილს დავემონე? საწრთობი სული ვასაზრდოვე ხორცის ცთუნებით?!“

ის ხომ თავის დროზე ნებით გაეშურა აფხაზეთს. ეკლესიის წინამძღვარს, მამა თადეოზს გულწრფელად სთხოვა ფრონტზე გაშვება. ჩემი ადგილი ახლა იქ არის-მებრძოლთა გვერდით, დაჭრილების მხარდამხარ, მომაკვდავის სასთუმალთანო, განუცხადა.

„იქ ომში უნდა ვილოცო; მამულისათვის თავდადებულ ბიჭებს მამაზეციერს შევავედრებ, გამარჯვების რწმენით აღვანთებ. დაჭრილებს ღვთიური ნუგეშით ვუმკურნალებ; ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა სულების სადიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელ ლოცვებს აღვავლენ!“ — ამ მისიით ვაუდგა გზას აფხაზეთისკენ.

მართლაცდა, რამდენგზის მოხვედრილა ცეცხლის შუაგულში, ღმერთის რწმენით ძალმოსილ მსახურს ტყვიების წვიმა ვერაფერს აკლებდა. ბრძოლის ველიდან დაჭრილები ხოხვით გაჰყავდა. მოშიებულ, განუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცულ ბიჭებს, თავად მშიერი და ღამენათევი, ლოცვებით აფხიზლებდა, რწმენით აპურებდა. ყველგან და ყოველწამს ეშმაკს ებრძოდა.

აქ კი, საკენის უღელტეხილზე, რამ დააბეჩავა? — რა ეშმა შეუჩნდა მის გონებას? ნუთუ ცხადია ეს ყველაფერი: ხორციელმა ცთუნებამ სძლია მის სულიერებას და სიკვდილის მარწუხებში მომწყვდეული მოყვასის გვერდზე ყოფნაზე ხელი ააღებინა? და შესცოდა, დაძაბუნდა სულით ხორცამდე, გადაუდგა ღმერთის კანონებს?!

„უფელო ჩემო, ეს რა მწარე ხვედრი მარგუნე? რა მიყავი სულწაწყმენდილს?“ — სინანულით ფიქრობდა იგი. სიკვდილ-სიცოცხლის მარათონში ჩაბმულს, საკუთარი საქციელისადმი მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა. გვარდიელსაც არ ამართლებდა.

ამ დროს გიორგი სხვა ფიქრებში ჩაფლულიყო. მის ცნობიერებაში, რატომღაც ომის ერთ-ერთი ეპიზოდი ამოტივტივდა.

ბრძოლის დროს უკან იხევდნენ. ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი განაპირა სოფლის ბოლოს, ფერმის სადგომში გამაგრდნენ. სულ ათნი იყვნენ.. ბიჭებმა მალე შენიშნეს, რომ მათი გომურიდან, ოცდაათიოდე მეტრში მდებარე მეორე გომურში, მტრის ჯარისკაცები ჩასაფრდნენ. მთელი სამი დღის განმავლობაში ბოსელიდან ბოსელს შორის, თითქმის გამუდმებული ტყვიების წვიმა მიმოდინებოდა. რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა, ორივე შენობა სანახევროდ დაიწვა. მეოთხე დღეს აფხაზების ბოსელში სიჩუმემ დაისადგურა, ქართველი მეომრები გაფაციცებით მიჩერებოდნენ მტრის საფარს და იქედან ცეცხლის გახსნას წუთიწუთზე ელოდნენ. გომურებს შორის მკრთალი ნისლი ზეწარივით გაწოლილიყო. ნერვებისამშლელმა დუმილმა კარგა ხანს გასტანა. ამ დროს მტრის ბოსელიდან რვა-ცხრა წლის ბიჭუნა გამოვიდა და ფრთხილი ნაბიჯით გამოუყვა მეორე ბოსლისკენ. ბიჭები დაიძაბნენ, მოქიშპე მახეს ხომ არ გვიგებსო, ავტომატები ბიჭუნასკენ მიმართეს და მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით დაუწყეს თვალთვალი. ყმაწვილმა მშვიდობიანი ღიმილით გამოიარა სამიზნე მანძილი და გომურიდან რამდენიმე ნაბიჯზე შედგა. ჩასაფრებულ მებრძოლებს მეგრულად მიესალმა, ცალი ხელი უხერხულად ასწია: „ბიჭებმა, სიგარეტი გაგვითავდა და თუ გაქვთ გამოაგზავნეთო!“ მორიდებანარევი სითამამით დასძინა. ბიჭუნას ეშმაკურად ელიმებოდა, ლბილი ქართულით რაღაცეებს ეკითხებოდა ჯარისკაცებს და ნაუცბათევად შეგროვილ სიგარეტის ღერებს ტოტებდაფხრეწილი შარვლის ჯიბეებში იტენიდა. იმ დღეს, სამშვიდობო მისიით, რამდენიმეგზის მოუწია მეგრელ ბიჭუნას ერთი ბოსლიდან მეორეში გადასვლა. სიგარეტის სანაცვლოდ აფხაზებმა ორი ბოთლი არაყი გამოუგზავნეს ქართველებს და მშვიდობის სადღეგრძელო შესვითო, შემოუთვალეს. პატარა ბიჭი უვნებლად მიდი-მოდიოდა გომურებს შორის და ერთი მოწინააღმდეგის კეთილ სურვილებს მეორეს გადასცემდა. გვიან ღამით უკვე ფერმის ეზოში, ტრადიციული სიმღერები და იქეთ-აქეთა გადაძახილები ისმოდა. ბოლოს ორთავე მხარე საფარიდან გამოვიდა, მთავარის შუქზე ერთმანეთს მეგობრულად დაუქნიეს ხელი. ხმამაღლა შესვეს ძმობის სადღეგრძელო. ხოლო როცა შუაღამე გადავიდა, თავიანთ გომურებს მიაშურეს. ქართველი მეომრები გამთენიისას დაუბრკოლებლად გაეცალნენ სოფლის ფერმას და ტყეში შეიმალნენ.

„ვინ ჩაგვითრია ნეტავ ამ ძმათა მკვლელ ომში?, როგორც ჩანს, უკუღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართად ყოფილა ეს ქვეყანა მოწყობილი“.

მღვდელი ფარული გულისწყრომით გახედავდა ხოლმე უსიამოვნო ფიქრებში წასულ ჯარისკაცს, მასში ღვთის მგმობელ, დამმორჩილებელ ძალას ჭვრეტდა. იქნებ, ეს სატანისებური ძალა, ერთგვარი ხსნის, თავის მართლების საშუალებად გამოდგომოდა? იქნებ, სწორედ ამ ძალამ, მიწიერი სიცხადის განმასახიერებელმა დემონმა აცდუნა იგი და არა სიცოცხლის, საკუთარი თავზე ზრუნვის ქვეცნობიერმა სურვილმა?

დიდხანს იარეს ხმისგაუცემლად.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. დაიწყო უღელტეხილის უკანასკნელი აღმართი.

კუნაპეტში გახვეულ მიდამოს თოვლის ბურუსი აფერმკრთალებდა.

როგორც იქნა, ერთი საათის შემდეგ, ძლივს აათავეს ციცაბო აღმართი და მთის თხემიდან ჩასკვარამებულ ხეობისკენ დაუყვნენ. შორს, ტყის ნაპირ-ნაპირ, სანთლებივით მოციალე კოცონები მოჩანდა.

უკვე თანდათან წყდებოდა თოვა. წვრილ-წვრილად ცრიდა.

თოვლის ბურუსი ნაბიჯ-ნაბიჯ უკან რჩებოდა. მალე დაწმენდილი ცა და მთვარე გამოჩნდა. გზის თითქმის ყველა მოსახვევში ნაკადული მორაკრაკებდა. მოძღვარი და გვარდიელი ხარბად ეწაფებოდნენ მთის წყალს და ნება-ნება იკლავდნენ წყურვილს.

სამშვიდობოს გაღწეულ ღვთის მსახურს სიხარულის ნიშანკვალი არ ეტყობოდა. დაღვრემილი მიაბიჯებდა

— გიორგი ძმაო, ღმერთის წამს? — თითქოს დიდხანს ფიქრობდაო ამაზე, არცთუ მშვიდი ტონით იკითხა მღვდელმა.

გიორგიმ ბურანიდან გამოსულივით შეანელა ნაბიჯი. ავტომატის სამხრე შეისწორა და უადგილოდ ჩაახველა. უსიტყვოდ გააგრძელა გზა.

მღვდელი გამომცდელ[illegible] აცილებდა ნერვებმომშლელად ღადუმებულ ჯარისკაცს.

— საერთოდ, მწამს, როგორ არა! მაგრამ, ღმერთისთვის ახლა ვისლა სცალია?! ქართველ კაცს, ის დრო არ უდგას, უფლის მცნებებით სძლიოს ბოროტს! — მშვიდად, თითქოსდა ნიშნისმოგებით თქვა გვარდიელმა.

— მიწიერი ცხოვრება, დროშია განსაზღვრული და მის ავკარგიანობაზეა დამყარებული, თუკი სააქაოდან არ იზრუნე საიქიოსათვის, სულიერ სამყაროსთან აბსოლუტურ შეუსაბამობაში აღმოჩნდები — ფილოსოფიური გაღიზიანებით განმარტა მღვდელმა და მკერდზე დაკიდული ჯვრისკენ უნებლიეთ გაექცა ხელი.

— მამაო, შენ გინდა თქვა, რომ ეს ჯვარი და ... — ამ დროს მებრძოლმა გულისპირი გაიხსნა და მთვარის მკრთალ შუქზე ოქროს პატარა ჯვარი გამოაჩინა,—ეს ცეცხლსასროლი იარაღი აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია? — ძლივს დაასრულა სათქმელი მან და შინაგანი დაძაბულობისაგან ხველა აუტყდა.

— დიახ! თუ კაცს ღმერთის გწამს, მაშინ იარაღს არ უნდა გაეკარო, ხოლო თუ პირიქითაა, — ჯვარს არ უნდა სცე თაყვანი!

მოძღვრისთვის, იმ წუთში რომ გეკითხათ, ამ უადგილო მსჯელობით რისი დამტკიცება გსურსო, ვერ აგიხსნიდათ.

— მესმის, მამაო! — დროებით დათმობა არჩია გიორგიმ, გრძნობდა, საღვთო წერილზე აგებული ლოგიკა შეუვალი რომ იყო. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, თავისი სათქმელი მაინც თქვა:

— ჯვარი რომ ადამიანის სულისმიერი სარკეა, ხოლო იარაღი დასაყრდენია ბოროტებისა და ძალმომრეობის, ეს, მეც კარგად მესმის, მაგრამ, იმ დროს როცა უსამართლობასთან გექნება საქმე, რას გააწყობ, იარაღით თუ არ იღვაწე?! — მწარე ირონიით დასძინა მან და თითების ნერვიული ცახცახით ავტომატის კონდახს შეეხო. მერე გაღელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გულისპირი შეიკრა. გამშრალი ტუჩები ენით მოილოკა და კვლავ განაგრძო:

— კაცს თუ იმის შიში შეგიპყრობს, ძვირფასი ჭურჭელი ხელიდან გამივარდება და ნამსხვრევებად იქცევაო, მაშინ, საერთოდ არ უნდა მიეახლო მას. ასეა, ძმაო, თუ სიკვდილის გეშინია, უმჯობესია, ავტომატი არ გადიკიდო და ომში არ წახვიდე. მხდალი ჯვარსაც უნდა ეკრძალებოდეს, მითუმეტეს, ღვთის სამსახურში არ უნდა ჩადგეს. მართალია, ომს არ გამოვქცევივარ, მაგრამ, კარგად მაქვს შეგნებული, დღესდღეობით, ჩემი ომი რომ წაგებულია. ვიდრე თანამებრძოლების, ვაჟკაცურად დაცემული ძმების სისხლს არ ავიღებ, იქამდე ვერ დავთმობ ამ ეშმაკის მოციქულს! — გიორგიმ კიდევ ერთხელ შეახო თითები ავტომატს და რაღაც მწყრალად ჩაიბურდღუნა.

— ვინც წინდაწინ არ არის მზად, მამულისათვის რომ დასდოს თავი, ის ქვეყნის საქმეს ვერას უშველის, გინდ მეომარი იყოს და გინდა მოძღვარი!

სმენად ქცეულ მღვდელს სახეზე სინსლი მოაწვა.

— ძმაო გიორგი, შენ, გინდა დაამტკიცო, რომ თუ ომში დამარცხებულს, სიცოცხლე შერჩა, მას მხოლოდ ღირსეული სიკვდილისთვის უნდა გაუფრთხილდეს? — გამომცდელად იკითხა მღვდელმა.

— მამაო ფარვიზ, შენ ხომ სულიერ ცხოვრებას, უფლის საქმეს ემსახურები, გიგემია ჯერ დამარცხება ამ ღვთიურ გზაზე? — იქეთ შეუბრუნა კითხვა გიორგიმ.

ფარვიზი მწარედ ჩაფიქრდა.

— მიგემია, ძმაო, მიგემია და... ეს მარცხი სწორედ, სულ ცოტა ხნის წინ, ერთად ვიწვნიეთ!

მღვდელმა თავი დაღუნა, იმ წუთში მუშა ხარს მოგაგონებდათ, ქედით ორმაგ უღელს რომ შებმია და ჭაპანწყვეტისგან ქანცი გაწყვეტია.

გვარდიელმა ცალი ხელი ისტერიულად აიქნია ჰაერში, გესლიანად გაიხედა მოძღვარს და გაგულისებით თქვა:

— მამაო, გაიგე, ეს ოხერი სიცოცხლე, კბილებით რომ ჩავჭიდებივარ, არაფრად მიღირს. ამ ჯოჯოხეთიდან, კი მხოლოდ იმიტომ მივათრევ რომ ვიცი დღესდღეობით იგი არც ღმერთს ეკუთვნის, და მითუმეტეს, არც მე ვარ მისი ბატონ-პატრონი. იცი თუ არა! — ჯარისკაცმა ხმას აუწია — სამაჩაბლოდან დაწყებული აფხაზეთამდე, რამდენი ჩემი თანატოლის შუქი დაბნელდა?!.. სულ ერთია, იმ საბრალო გოგოს — გიორგიმ ამ დროს შორს, ბურუსში გახვეულ მწვერვალებისკენ გაიშვირა ხელი — მაინც ვერაფერს ვუშველიდით. ის ბედისწერამ ნაადრევად გარიყა გზიდან და ჩვენს ზრუნვას აზრი არ ჰქონდა. გარდაუვალს მაინც ვერ აღვუდგებოდით წინ და ჩვენს სიცოცხლესაც შევუქმნიდით საშიშროებას! — გვარდიელი ზედმეტი მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა-მე, ომმა, კაცთა კვლის ამ საშინელმა ორომტრიალმა, საკუთარი სიცოცხლის გაფრთხილებას დამაჩვია, მისი ფასი მასწავლა, შემდგომში მტერს ძვირად დავუჯინო!

გიორგის ხველა აუვარდა.

ფარვიზი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. „ამას რაღას ვხვევ ცოდვაში? ალბათ მხდალი ვარ, ცოდვის სიმძიმის მეშინია... ვცახცახებ. ო, ღმერთო ჩემო, გემუდარები, განსაცდელისაგან დაიხსენი საბრალო გოგო!..“

თავით ფეხამდე ტალახით მოსვრილი მგზავრები უხმოდ მიჩლახუნებდნენ. გვარდიელს დროდადრო სუნთქვა უჭირდა, ჩუმად ახველებდა, თითქოს შიშობდა, ძველი ჭრილობა არ გამეხსნასო.

— მაპატიე გიორგი- — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მყუდროება დაარღვია მღვდელმა.

გიორგის ხმა არ გაუღია. ნაღვლიანად ახედა ზეცას და სამსჯავრო სკამიდან გათავისუფლებული პატიმარივით ამოისუნთქა.

ტყემდე რომ ჩააღწიეს, ღამის ორი საათი იყო. კოცონთან მოშორებით ჭრელა-ჭრელა ქსოვილებში გახვეული ადამიანები პირდაპირ მიწაზე ეყარნენ და ღრმად ეძინათ. ზოგიერთები ფხიზლობდნენ. ცეცხლს მიფიცხებოდნენ და დაღლილ სხეულს ითბობდნენ.

გვარდიელი და მღვდელი ისე ცივად დაცილდნენ ერთმანეთს, როგორც ორი მოწინააღმდეგე, რომლებმაც თითქოს, ეს ესაა, ხვალისთვის ღუელი დანიშნეს.

„ღმერთი თუ ადამინი?!“ — მის სიცოცხლეში პირველად დაებადა მოძღვარს ასეთი კითხვა. კადნიერი ფიქრი რომ თავიდან ამოეგდო, სიბნელეში გაუჩინარებულ ჯარისკაცს ალალ-ბედზე მიადევნა მზერა. წყვდიადში ვერაფერი გაარჩია, რაღაცნაირი შვება იგრძნო, თითქოსდა უღელტეხილზე ჩადენილი ცოდვის მთელი სიმძიმე გვარდიელს თან გაეყოლებინოს.

ფარვიზმა ხეებს შორის გახლართული ბილიკიდან განზე გაუხვია და კოცონთან მივიდა. მოშორებით, ხის ძირში გამწკრივებული, ქსოვილებში გახვეული რამდენიმე კაცის გვამი იდო. მათ ხელის თითებში მოქცეულ, უხეშ ეპიტაფიად გაელვებულ ქაღალდის ნაგლეჯს, თითოეულის ვინაობის დამადასტურებელ მოწმობას, ცივი ნიავი აფრიალებდა.

მღვდელი კოცონთან ჩამოჯდა და მალე მკვდარივით ჩაეძინა.

დილის ხუთი საათი იქნებოდა. მოწკრიალებულ ზეცას სისასტიკის ნიშანკვალიც არ ეტყობოდა. მალე ფოთლებისაგან გაფერთხილ ხეებს განთიადის სხივმა დაანათა და მძინარე ადამიანთა ბანაკი გამოაფხიზლა. მხოლოდ ისინი არ იძროდნენ, რომელთა თითებს შორისაც მოქცეულ ქაღალდის ნაგლეჯს დილის ნიავი აწვალებდა.

ამ დროს გიორგი სადრაძე სოფლის შარას მიუყვებოდა. ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირული ძლივს მილასლასებდა. მანამ არ მოასვენა ნამგზავრი ფეხები, ვიდრე სოფელ ჭუბერამდე — არ ჩააღწია. მას ახლა უღელტეხილზე დაშორებული თანამებრძოლების ბედი აწუხებდა. სვანეთის მთიანეთში, სიცოცხლის ოაზისად ქცეული სოფლის ცენტრიდან, ასაფრენად გამზადებული შვეულმფრენის ძრავის თუხთუხი ისმოდა. შორს, ცაზე ფუტკარივით მოზუზუნე წერტილი მოჩანდა.

იმ დღეს ჭუბერიდან საკენის უღელტეხილისაკენ მაშველი რაზმი დაიძრა. შვეულმფრენებმა უკვე მოუხშირეს მიმოსვლას. მათ დევნილებისათვის პირველადი დახმარება ჩამოჰქონდათ. ბარგისგან დაცლილებს უმწეო ბავშვები, ქალები და მოხუცები გადაჰყავდათ ქალაქ ქუთაისში.

სამი დღის განმავლობაში, დაჭრილების, დაუძლურებული ადამიანებისა თუ ჩვილბავშიანი დედების უმეტესი ნაწილი, ვინც კი იმ ხანებში საკენის უღელტეხილს თავი დააღწია, სამშვიდობოს გადაიყვანეს.

მამა ფარვიზი ხის მორზე იჯდა. დაღლილ-დაქანცულს ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი და მიწას დაშტერებოდა, თითქოს მის სიღრმეში ჩახედვა სურდა. ამ დროს მის თვალთა არეალში წყვილი, წებოვანი ტალახით მოთხვრილი ჩექმები გამოჩნდა. თითქოს რაღაც ემცნაურა, უხალისოდ წამოწია თავი და ჩამავალი მზის შუქზე წვერგაბურძგნული გვარდიელი ძლივს გაარჩია. ჯოჯოხეთური გზის ნაცნობები უსიტყვოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს. ჯარისკაცს ავტომატი ისე ეჭირა ხელში, იფიქრებდით, ვიღაცის მიზანში ამოსაღებად ემზადებაო.

გიორგი, მას შემდეგ, რაც მღვდელს დაშორდა, თანამებრძოლებს შეუერთდა და მათთან ერთად შვეულმფრენის გადმოტვირთვა-დატვირთვაში მონაწილეობდა. თავისუფალ დროს თუ იხელთებდა, მეგობრებს გაეცლებოდა და ლოდზე ან მორზე ჩამომჯდარი ღრმა ფიქრებს ეძლეოდა. საკენის უღელტეხილზე გადმოსული, დევნილებს ყურადღებით აკვირდებოდა: აქაოდა მათ შორის ვიღაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ას დაეძებსო, თითქმის ყველა მათგანი განზე გაყავდა და რაღაცას ეკითხებოდა: ფარვიზსაც ხშირად ამჩნევდა, ხედავდა, თავდაუზოგავად რომ ფაციფუცობდა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისთვის შეძლებას არ იშურებდა. როცა მოძღვარი უღელტეხილზე გადმოსულ დევნილთ განცალკევებით ელაპარაკებოდა, ჯარისკაცმა კარგად იცოდა, რა ჭიაც ღრღნიდა მღვდელს, ვისი ბედიც არ ასვენებდა.

ღვთის მსახური და გვარდიელი, მას შემდეგ, რაც მათი გზები გაიყარა ერთმანეთს სათოფეზე არ გაკარებიან, თითქოს ეშინოდათ, საკენის უღელტეხილზე ჩადენილი ცოდვა არ გამჟღავნდესო.

— მამაო ფარვიზ, ადექი, ვერტმფრენი გელოდება! — ბრძანებასავით ჩაესმა მღვდელს.

მას გაუკვირდა, ვერ გავიგეო თვალებით იკითხა.

— აქედან წასვლის დროა უკვე, გასაგებია?! — გიორგის ხმაში ბზარი გაერია თვალი აარიდა ანაფორიანს და სადღაც შორს, მთის მწვერვალს გახედა.

ფარვიზმა უმწეოდ დახარა თავი. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე წელათრევით წამოიმართა და ზედამხედველის ნებას დაყოლილი ტუსაღივით ნაბიჯი წარდგა.

ვიდრე შვეულმფრენის სალონის კარი არ ჩაიკეტა, გვარდიელი იქაურობას არ მოშორებია. მალე ძრავა ათუსთუხდა, თანდათან გახურდა და ყურისწამღებად აწივლდა. პროპელერი საშინელი სისწრაფით დატრიალდა, ჰაერს მოეჭიდა და გაუბედურებული ადამიანებით სავსე მანქანა დედამიწას ააგლიჯა.

მღვდელი სალონის კუთხეში მიყუჟულიყო. იმ ჭირდათმენილ ჭირისუფალს მოგაგონებდათ, რომელმაც, ეს ესაა, უახლოესი ადამიანი მიწას სამუდამოდ მიაბარა.

ამაღლებისკენ

თბილისის ქუჩებში გვიანი შემოდგომის სუსხიანი ნიავი ქროდა. ფანრები გახუნებულიყო. ტროტუარებზე მოფანტული ხმელი ფოთლები ქარს ალმაცერად უბზეკდნენ გვერდებს და უსიცოცხლოდ შარიშურობდნენ. მამა ფარვიზი, იგივე ბიძინა ებანოიძე, მღვდლის სამოსელის ნაცვლად სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილიყო და რუსთაველის გამზირს ფიქრიანი ნაბიჯით მიუყვებოდა. თმა და წვერი კოხტად შეეკრიჭა; პალტოს საყელოში ისე წაერგო თავი, თითქოს ვიღაცას ეშალებაო. სასტუმრო „ევრიას" რომ ჩაუარა, გაუბედურებულ, საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილებად ქცეულ ადამიანების საცვლებით აჭრელებულ აივნებს შეავლო თვალი და უკვე კარგად ნაცნობმა სევდამ შეიპყრო.

ჭუბერიდან დაბრუნების შემდეგ, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარს, მამა თადეოზს სააღმსარებლოში მიაკითხა და საკენის უღელტეხილზე თავსგადამხდარი ამბავი გულწრფელად მოუთხრო.

— ზოძღვარო, ცოდვა მაწევს კისერზე.... არა ვარ ღვთის სამსახურში ყოფნის ღირსი; წმინდა სამოსელი უნდა განვიძარცვო და, როგორც უღირსი მონა ღვთისა, ქრისტეს სალოცავს განვერიდო! — დასძინა ბოლოს.

ქაშვეთის წინამძღვარი დიდხანს ესაუბრა. არწმუნებდა, ნუ შიშობ, შენს ლოცვა-ვედრებას უსათუოდ შეისმენდა მაღალი ღმერთი და განსაცდელიდან დაიხსნიდა საბრალო გოგოსო. უსაყვედურა კიდეც: უზენაესის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი როგორ შეგაქვსო, არაფერი გამოუვიდა.

— სინდისის ქენჯნა რომ შევიმსუბუქო, სულის შფოთვაში არ განვლიო წუთისოფელი, უფლის ტაძარი უნდა დავტოვო, ცოდვილს ღმერთის სახლში ადგილი არა მაქვსო, თავისას გაიძახოდა ფარვიზი, რომელსაც თადეოზის დათაფლული მჭევრმეტყველება, საღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო მოძღვრებით გაჟღენთილი მისი სიტყვები, უბედურებაში მიტოვებულ გოგონას ფონზე, ვისაც, მისი ღრმა რწმენით, ლოცვა კი არა, მხოლოდ თავგანწირვა გადაარჩენდა, ლიტონ ფრაზებად ეჩვენებოდა.

— ეკლესიის კედლებში თავს დაზაფრულად ვიგრძნობ, მოუსვენრად. ჩემს სულს ცოდვის ჭუჭყი აცხია, ხოლო მოუნანიებელი, შებილწული სულიერებით ღვთის სამსახურში დარჩენა უდიდესი მკრეხელობა მგონია! — თავდახრით მოახსენა მღვდელმა წინამძღვარს და თვალები სინანულით აუწყლიანდა.

— შენი სული, სულიერო ძმაო ჩემო, უფლის მადლცხებულ ნიადაგზეა აღმოცენებული, ხოლო გასაფურჩქნად მოღერებულ კოკორს, რომელსაც უნებლიეთ ჩადენილი ცოდვის მატლი შეჩენია და დღენიადაგ ღრღნის, ლოცვა-ვედრების აიაზმა უნდა აპკურო. ნუ ჩაეფლობი ჭმუნვის ჭაობში, თორემ ჭაობმა ჩათრევა იცის და ფსკერისკენ ჩატანიება. სიღრმე ეშმაკისეულია, სიმაღლე კი-სიკეთისეული. შენც შენი გულისთქმა ზეცისკენ მიმართე. მერე რაა, რომ ზენაარსის საუფლო საშიშ სიმაღლეზეა? მაინც უნდა ილტვოდე მისკენ — მუდმივი მონანიებითა და ცოდვათა შენდობით იმედმოცემული. ნუ განერიდები ღმერთის სავანეს. საკენის ცოდვა ისე გაითავისე, როგორც ცხოვრებისეულ გამოცდაზე მიღებული მამაზეციერის შეფასება, რომლის შემდეგაც სულიერად მოემზადები და მომავალში უსათუოდ გამოასწორებ! — ბრძნულად ურჩია წინამძღვარმა დანაღვლიანებულ მღვდელს და შუბლზე მამაშვილურად ეამბორა.

— სულიერისა და ხორციელის გზასაყართან მსურს რომ შევყოვნდე, ვიფიქრო, გავერკვიო და ავწონ-დავწონო. ამ ქვეყანაზე ჩემს ჭეშმარიტ დანიშნულებას მინდა მივაგნო — სწორად განვსაზღვრო მომავლის გეზი. იქნებ შევცდი არჩევანში, ან ვიჩქარე და უმწიფარი თვითშეგნებით მოვამზადე ღვთის სამსახურში?!

— ეჭვი, საშინელი ეჭვი დაუფლებია ძმაო შენს გონებას! — წუხილით აღმოხდა მამა თადეოზს.

ახალგაზრდა მღვდელმა შერისხულივით დახარა თავი, სიტყვა არ უთქვამს.

— ნება შენია, მხოლოდ იცოდე, რომ ეკლესიის კარი შენთვის უზენაესს არ დაუხშვია. წადი, რახან არ იშლი, იფიქრე, ილოცე და მოინანიე, თავად გაეცი კითხვებს პასუხი. ეს დაიხსომე, არასოდეს განსაჯო! — დასძინა თადეოზმა და ეკლის გვირგვინისან ქრისტეს ხატებას სევდიანი მზერა მიაპყრო.

ღვთის სახლიდან წამოსული ფარვიზი მთელი მისი არსებით მაინც ეკლესიას ეკუთვნოდა. ქაშვეთის სალოცავს დილაუთენია მიაშურებდა და ვიდრე წირვა დასრულდებოდა, წმინდანთა ხატების წინაშე მდგარი, მხურვალედ ლოცულობდა. მერე შეუმჩნევლად ტოვებდა დარბაზს და ალაყაფის ჭიშკართან უხერხულნარევი დაძაბულობით ჩაივლიდა, სადაც ხელგაშვერილი მოწყალების მთხოვნელები ორ მწკრივად იდგნენ. თუ რაიმე ედო ჯიბეში, გაჭირვებულებს დაურიგებდა და გუდიაშვილის ქუჩის გავლით სამების ეკლესიას მიადგებოდა: იქაც ილოცებდა, რის შემდეგაც სიონის საკათედრო ტაძრისკენ მიეშურებოდა. ღამეებს უსიამოვნო ფიქრებში ათენებდა, ეწამებოდა, ბორგავდა. ძილსა თუ ცხადში ქერათმიანი ქალიშვილი ეზმანებოდა: იდუმალი ხმა არ ასვენებდა: „თუ ღმერთი გწამთ, მარტოს ნუ დამტოვებთ!“.

ბიძინასთვის ღამე თანდათან ჯოჯოხეთად იქცა. ბოლო ხანებში კი უცნაურმა წინათგრძნობამ შეიპყრო: თითქოს ქერათმიანი გოგონა ცოცხალი იყო და თბილისის ქუჩებში დაბიჯებდა, ერთხელაც პირისპირ შეეყრებოდა, „თქვენ ის მღვდელი არა ხართ!“ დამცინავი ჩურჩულით ჩაულაპარაკებდა და თავის გზას გაუყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღელტეხილზე გაცნობილი გვარდიელი იშვიათად ახსენდებოდა. თუ რა ბედი ეწია მას, დიდად არც აწუხებდა; სადღაც, გულის კუნჭულში, შურდა კიდეც მისი. დაუდგრომელ, ცხოვრების დინებას აყოლილ კაცად თვლიდა — იმ უხეშ ძალად, რომელიც ყველგან და ყველაფერში საკუთარი სიცოცხლის გამართლებას ეძებს.

გადიოდა დღეები-კვირეები.

ბიძინა ებანოიძეს წარმოსახვაში საკენის უღელტეხილზე განცდილი წუთები, გაწამებული ადამიანების სახეები, თოვლი, ქარბუქი, ყინვა და სვანეთის უკაცრიელი მთის მწვერვალები, კინოქრონიკის კადრებივით მეორდებოდნენ.

იმ საღამოს რუსთაველის გამზირზე ფიქრიანად მიაბიჯებდა. წინდაწინ ზარავდა იმის შეგრძნება, იდუმალებით მოცულ ღამესთან ორთაბრძოლა რომ უქადდა.

ქუჩებში მტკვრის ხეობიდან მონაბერი სუსხიანი სიო უბერავდა. მთაწმინდა ცხოვრების მორევში ჩაძირულ ქალაქს მარადისობაში გარინდულ მშვენებასავით გადმოჰყურებდა. მამადავითის ეკლესიას ნაცრისფერი ნისლი შემობურვოდა. თბილისის თავზე გადმომხობილი ცა პირქუშად გამოიყურებოდა. დასალიერში, მოტიეტივე ღრუბლებს მიღმა, თითო-ოროლა ვარსკვლავი უღიმღამოდ კრთოდა. ყოველდღიური საზრუნავით შეწუხებული ადამიანები ტროტუარებს ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდნენ. უცებ, მტკვრის იქეთა მხრიდან, ავტომატის კაკანმა სივრცე გაკვეთა და სადღაც, ავლაბრის გადაღმა ექოდ განმეორდა.

ქალაქში კომენდატის საათი ახლოვდებოდა.

„ღმერთო ძლიერო შენ შეეწიე ყველა გაჭირვებულს, ცხოვრებაში ხელჩაქნეულს, — იმედი ჩაუნერგე, ეჭვები განუქარვე!“

ქუჩაში ზოგჯერ თავაწყვეტილი ავტომობილები თუ ჩაიქროლებდნენ და ფეხით მოსიარულეთა სმენას, ქალის ავხორცული კისკისითა და თანამედროვე მუსიკის გაწყვეტილი ჰანგებით აღიზიანებდნენ.

თბილისის ცას მალე ალბათ მოთმინების ფიალა აევსებოდა და შიშითა და უნდობლობით შეპყრობილ ქალაქს თავსხმას დაატეხდა.

მთაწმინდაზე წამოკოსებული სატელევიზიო ანძის წვერს ვეებერთელა ღრუბლის ფთილები გარს ეხვეოდნენ. მამადავითის სალოცავი ნაცრისფერ ბინდბუნდში გახვეულ ოქროს შანდალს მოგაგონებდათ.

„უფალო ჩემო, ცხოვრება ამოუცნობი რამ ყოფილა!... სიკეთის თესვა. მისი ქმედებაში განხორციელება, თურმე მოკვდავის ძალებს აღემატება. წუთისოფელში, ადამიანი, როგორც ჩანს, მუდამ უძლურებისა და ყოვლისშემძლეობის ზღვართან დგას, ორჭოფობს და ფესვდამპალ ხესავით ირყევა. მოყვასისათვის ნუგეშის ცემა მისი სულიერად გამოფხიზლება, ხშირ შემთხვევაში, ბოროტების ტოლფასია, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილის გულიდან კაეშნის დროებით გაფანტვა, როდი ნიშნავს მის გადარჩენას! ჭრილობაზე უხეიროდ დაფენილი სალბუნი, მომწამვლელ სიმპტომებს აღვივებს და მთელ ორგანიზმს ფარულად შხამავს. ორმოში ჩავარდნილ კაცს მარტო ნუგეში ვერაფერს უშველის; გაცრუებული ლოდინის შემდეგ, უიმედობა ბოლოს მოულებს: თუ მას ჩასძახებ, დაითმინე და თოკს მოგიტანო. თავპირისმტვრევით გავარდე უნდა და დროზე ადრე მოურბენინო. — ადამიანის მოტყუება ღმერთის მოტყუებას ნიშნავს, ასე რომ ჩვეულებრივი ყოფიერება და ეკლესიური ცხოვრება მოკვდავისაგან, თითქმის ერთნაირ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მხოლოდ სულიერებაზე ფიქრი და ზრუნვა, იმ ადამიანსაც შეურყევს რწმენას, მოადუნებს და ხორციელად დააძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებს, ვინც ჩამდგარია წუთისოფლის ოროშტრიალში და უპირატეს დანიშნულებად პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა დაუსახავს. ამ წესის კაცი შინაგან ეკლესიურობას უნდა ერიდოს, თორემ თანდათან მოეშვება, გაფაქიზდება, ცხოველმყოფელურ ძალას დაკარგავს და უმოქმედობას დაემონება. ეკლესიის მსახური კი, რომელიც მხოლოდ ქადაგებს სიკეთეს ეშმაკთანაა წილნაყარი. დანაპირებით გაწბილებული მოკვდავი ბოროტებას უფრო იწამებს, ვიდრე სიკეთეს, ხოლო რაც უფრო მეტი ცოდვილი იარსებებს დედამიწაზე, მით უფრო მალე დაკარგავს ფასს უსაქმო სიტყვა"....

ბიძინას მაშინ გაუწყდა ფიქრების ძაფი, როცა ფეხი საკუთარი სახლის კიბეზე შედგა. ჩუმად შეაღო კარი, დერეფანი ფეხაკრეფით გაიარა და საძინებელ ოთახში შევიდა. საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე მოთავსებულ მაცხოვრის ხატს დაბინდული მზერა მიაპყრო.

„ღმერთო ძლიერო, გამაგებინე, ერთნი თუ სიკეთეს შენი ძალისხმევით სჩადიან, მაშინ მეორენი საპირისპიროდ რად იქცევიან? ბოროტებამ უფრო მოიკიდა ფეხი დედამიწაზე, ვიდრე კეთილისმყოფელობამ: გამოდის, რომ სატანა მეტ გავლენას ახდენს კაცთა მოდგმაზე, ვიდრე შენ?!"

საკანივით ვიწრო ოთახის ერთ-ერთ კედელზე სასულიერო მოღვაწის გადიდებული სურათი ეკიდა. სათნო თვალებით მაცქერალი კაცი ბიძინას აწგანსვენებული მამა იყო; კაცი, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურს შეალია.. ის 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ (მან იმ ავბედით ღამეს, საკუთარი თვალით იხილა, ჯალათებმა, როგორი ულმობლობა გამოიჩინეს თავისუფლებას მოწყურებული გოგო-ბიჭების მიმართ) შესამჩნევად მოტყდა. შიგნით დაგუბებული ბოღმა, გაუნელებელი დარდი ახრჩობდა და არც უცოცხლია დიდხანს. ეკლესიის მსახური მის ერთადერთ ვაჟს, ბავშვობიდანვე უნერგავდა ღვთის შიშს და სჯულის კანონებს აყვარებდა. სახარება გაუხადა მას სულის საწრთობად. ხოლო ქრისტეს მოწამებრივი ცხოვრება, ქვეყნიერებაზე ყოფნისა და ჭეშმარიტი დანიშნულების მუდმივ მაგალითად.

ბიძინა დამნაშავის თვალებით მიჩერებოდა მშობელი მამის გამოსახულებას, სანთლის მორონინე შუქზე გამომკრთალი გამზრდელის თვალებში ნუგეშსა და რწმენას ეძებდა.

ის ღამე მოუსვენრად გაატარა. ისე დაათენდა თავზე, თვალი წუთით არ მოუხუჭავს.

ირიჟრაჟა. ცისკრის ნათელმა გამუდმებული ლოცვითა და დაუსრულებელი ფიქრით გათანგულ ოთახს დაურიდებლად მოჰფინა შუქი.

ბიძინა მთელი დღეები თითქმის შინ იჯდა. ზოგჯერ, დედის თვალის ასახვევად, ქუჩაში გადიოდა და უმალ ბრუნდებოდა უკან. გაშორდებოდა თუ არა სახლს, ამოუცნობი შიში იპყრობდა, გამვლელ-გამომვლელს ერიდებოდა, სახეს მალავდა.

სამზარეულოში ნაუცბათევად წაიცქნიდა საჭმელს და მისი ბოლოდროინდელი საქციელით შეფიქრიანებულ დედას, სულიერი განმარტოების მომიზეზებით, მოხერხებულად გაურბოდა; თავის ოთახში გამოკეტილი საღვთო წერილებს ჩაჰკირკიტებდა. გრძნობდა, გარკვეული ხნით განდეგილივით ცხოვრება, საკუთარ სულში ჩაღრმავება და განვლილი წლების აწონ-დაწონვა, აზროვნების უკიდურეს ჩიხში რომ მიაქანებდა. მაგრამ რა ექნა, ჯერჯერობით ხსნას ვერ ხედავდა.

მან ხომ სულიერი დარტყმა სწორედ იმ დროს იწვნია, როცა ჯერ კიდევ მომწიფების ხანაში იყო. სასულიერო ცხოვრების წესებზე აღზრდილი, როგორც კი შეეყარა წუთისოფლის ავბედითობას, იმწუთსავე მარცხი იწვნია. როცა გონს მოეგო, იგრძნო, რომ ზნეობრივი მწვერვალებისკენ განსაზღვრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საფეხურები არ ჰქონდა ავლილი. ამან სულის აფორიაქებასთან ერთად, მიწიერებისადმი შეცნობის სურვილიც აღუძრა. ცოდვის განცდამ მის სახარებისეულ აზროვნებას ბურუსი ჩამოაფარა და ეკლესიური ცხოვრების გავლით სასუფეველისკენ მიმავალი გზა დაუხშო.

კაცი სრულყოფილებას ვერ მიაღწევ, თუკი ცოდვის სიმწარე ბოლომდე არ განიცადე. ამის შემდეგ კი, გეცოდინება სად ჩაყარო სიკეთის თესლი, უკეთურებას ნიადაგშივე რომ მოუსპო აღმოცენების საშუალება. ცოდვა, როგორც ჩანს, მიწიდან მოდის, მისი ამოძირკვაც მიწიდანვეა შესაძლებელი. ასე რომ, ზეციურ ბილიკზე ფიქრი, მოკვდავთათვის ჯერჯერობით ნაადრევია.

ბიძინა თანდათან ხვდებოდა, რომ სულის სიმშვიდეს მარტო მომნანიებელი ლოცვებით ვერ მიაღწევდა. იგი გამოსავალს ყოველდღიურ ყოფაში ადამიანებთან ურთიერთობასა და მათი გასაჭირის გაზიარებაში ხედავდა, მაგრამ უძნელდებოდა, არ იცოდა რითი დაეწყო.

იმ დილით, ვიდრე სახლიდან გავიდოდა, სამზარეულოში მოფუსფუსე დედას ფეხაკრეფით მიუახლოვდა და კეფაზე აკოცა, თითქოს ამ საქციელით პატიებას სთხოვდა. ფიქრებში წასულ მშობელს სახეზე ნათელი მოეფინა, შვებით ამოისუნთქა.

ბიძინამ შეღამებამდე რუსთაველის გამზირზე ხეტიალში გაატარა. გამვლელ-გამომვლელთა შორის გაფაციცებით დაეძებდა ვიღაცას. ასე ეგონა იმ ადამიანს უსათუოდ გადაეყრებოდა, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროებოდა..

მაგრამ ამაოდ, მსგავს ვერავის წააწყდა. იმედგაცრუებულმა ქაშვეთის სალოცავს მიაშურა. ეკლესიაში მწუხრის ჟამი იდგა, მორწმუნეებით სავსე დარბაზში საამოდ გალობდა ქორო, მღვდელი დაბოხებული ხმით ღაღადებდა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“.

ბიძინამ ილოცა, სანთლები დაანთო და ტაძრიდან სულიერად განტვირთული გამოვიდა. მთავარ ჭიშკართან თავმოყრილ მათხოვრებს თვალი რომ შეავლო, შეჩერდა. მარჯვნივ გამზირის მხარეს მდებარე კიბისკენ აიღო გეზი.

ქუჩებში ბინდი წვებოდა.

ადრეული ზამთრის ცივი ქარი ქროდა. ტროტუარებზე მიმავალი მოქალაქეები ეპიზოდურ როლებში მოთამაშე მსახიობებს მოგაგონებდათ.

ბიძინას ჯიბეში გროში არ ედო. კიბის საფეხურები დინჯად აიარა და ვიდრე ბაქანზე ფეხს შედგამდა, იქვე, მოაჯირზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა ქალი შენიშნა. ალბათ ესეც მოწყალებას ითხოვსო, იფიქრა. თავი დაღუნა და გვერდის ავლა დააპირა. ამ დროს, მისი ყურადღება, უცნობის ხელებში მომწყვდეულმა, მცირეყდიანმა ლოცვანმა მიიქცია. ბიძინა შეცბა, მისდაუნებურად შეანელა ნაბიჯი და ვიდრე მოაჯირისკენ მიბრუნდებოდა, უხილავ მახეში გაბმულივით წაიფორხილა. ცივ ქვაზე მჯდარი გოგონა მიუსაფარი ჩანდა. დიდხანს ხმარებისაგან შელახული თავსაფრის ბოლოები ისე მაგრად გაენასკვა ნიკაპქვეშ, იფიქრებდით, სახელდახელოდ განუზრახავსო თავის დახრჩობაო. ალაგ-ალაგ დაკემსილ-დაკერებულ პალტოში ჩამძვრალს ძლივს მოუჩანდა ფერმკრთალი სახე. ფეხებთან არც ფულის მოსაქუჩებელი ყუთი ედო და არც ხელი ჰქონდა სამათხოვროდ გამოშვერილი. მან თითქოს რაღაც იგრძნო და თავი უხალისოდ ასწია, მის წინ შეყოვნებულ ჭაბუკს ნაღვლიანად ახედა.

და მოხდა საოცრება: შემოდგომის წარმავლობას გადარჩენილი, გახუნებული ფოთლების იდუმალ შრიალსა და განათების ბოძიდან დაღვრილი შუქის ფონზე ორმა, ცისფერმა თვალმა გაიელვა. გაცრეცილი პალტოს საყელოს ქვეშ კი სწორედ ის ჯვარი გამოჩნდა, ახალგაზრდა მოძღვარმა, საკენის უღელტეხილზე, სიკვდილის კლანჭებში გარინდულ ქალიშვილს რომ უსახსოვრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთო ძლიერო! ყოველთა არსთა გამრიგევ და ჭეშმარიტების დიდო მსაჯულო, ნუთუ ცხადია ეს ყველაფერი? თუ ჩემი წაწყმენდილი გონების, ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია?!“.

ბიძინას თვალთ დაუბნელდა, ერთ ადგილზე გაშეშდა.

ცისფერთვალება გოგონას ცნობიერებაში თითქოს შორეული მოგონება ამოტივტივდა; სახეზე ოდნავი გამოცოცხლება დაეტყო, თვალები უცნაურად აუციმციმდა. მერე ერთბაშად მოეშვა და მონუსხულივით მდგარ ჭაბუკს შიშნარევი მზერით დააკვირდა, იმავდროულად, თავი ჩაღუნა და მოფილაქნებულ ბაქანს ნაღვლიანად დააჩერდა.

მოულოდნელობისგან გაოგნებულ ბიძინას აზროვნების უნარი წაერთვა. ფეხათრევით გაეცალა იქაურობას და და უახლოეს ჭადარს მიუახლოვდა. შიგნიდან დაძრული მღელვარება ყელში აწვებოდა, თითქოს ჭრილობაგახსნილივით ერღვეოდა სხეული. ჭადარზე მიყრდნობილს უკან მიხედვის ეშინოდა, სული ეხუთებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ტაძრისკენ შებრუნდა. მოაჯირზე აღარავინ იჯდა. ბიძინა კიბის ბაქანზე ჩქარი ნაბიჯით მივიდა და ეკლესიის ეზო გულდასმით მოათვალიერა. ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გაცვეთილ-პალტოიანი გოგონა მოჩვენებასავით გამქრალიყო.

ბიძინამ ის ღამეც წამებაში გაატარა. ბორგავდა. ვერ ისვენებდა, თავისთავს ეკამათებოდა, რაღაცას გმობდა — ამართლებდა, უზენაესის იდუმალი განზრახვის ჩახვდომას ლამობდა. ერთბაშად, ღმერთის საშიშ სიახლოვესაც გრძნობდა, ეჩვენებოდა, თითქოს ცოდვისაგან მისი განწმენდის ჟამი დგებოდა.

„მამაზეციერო, ვირწმუნო ბოლომდე არ გამწირე?!.. იმ საბრალო გოგონას გვამთან მუხლმოდრეკილის, შენი მონა-მორჩილის ვედრება შეისმინე და შეწყნარების ნიშნად, შენივე ძალისხმევით სიკვდილს განარიდები მოყვასი მომივლინე?! ღმერთო მაღალო, ნუ შემრისხავ, გონს რომ ვეგები და ნათლად ვხედავ, თუ რა უსასოო ყოფილა მოკვდავი შენი რწმენის გარეშე!“

ბიძინას, ვიდრე კარგად ირიჟრაჟებდა, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის, მამა თადეოზის შეგონება გაახსენდა: „ნუ დაემონები ეჭვებს, უფალი ყოვლის მხილველი და ყოვლის მსმენელია!“.

სარკმლიდან ოთახში განთიადის სხივი შემოიჭრა. დღის სინათლემ, მომქანცველი ფიქრებისგან ნაწამები ჭაბუკის გულში, იმედის მომგვრელი სითბო ჩაღვარა. თუ იგი ამჯერად გაუძლებდა ღმერთის გამოცდას, მის საკალ ბილიკს კვლავ ნათელი დაადგებოდა.

ბიძინა რუსთაველის გამზირს წონასწორობააღდგენილი სიმშვიდით მიუყვებოდა — იმედით იყო გონმოცული, მისი აზრით, ქაშვეთის ეკლესიასთან ქერათმიანი ქალიშვილი უსათუოდ დაუხვდებოდა, რის შემდეგაც გამოემცნაურებოდა, მის ბედზე იზრუნებდა. ჯერ უფლის ნებას აღვასრულებ, ჩადენილ ცოდვას გამოვისყიდი, მერე ღვთის სამსახურში კვლავ ჩავდგები, ფიქრობდა თავისთვის.

ქაშვეთის ეკლესიას რომ მიუახლოვდა, დილის წირვა ჯერაც არ იყო დაწყებული. იქვე სამხატვრო გალერეის შენობის კუთხესთან შეჩერდა და კიბის მოაჯირს ქურდულად გახედა. მისდაგასაოცრად, რეალურმა სურათმა იმედგაცრუებული დატოვა, ქვეცნობიერებით წარმოსახული გოგონა მოაჯირიდან სადღაც გამქრალიყო. ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ დაიმედდა, იქნებ ამ დილაუთენია ვერ მოახერხა აქ მოსვლაო.

ტაძარში შევიდა. წირვის დროსაც ცისფერთვალებიან გოგოზე ფიქრობდა. ღმერთს ჩუმად შესთხოვდა, გარეთ რომ გავალ, აუცილებლად მახილვინეო. მისთვის ილოცა, ღვთისმშობლის ხატთან სანთელი დაანთო. მღვდელი ხმამაღლა ქადაგებდა, მრევლი ციდან მოსავლენ მოწყალების მოლოდინში გარინდულიყო.

ბიძინამ წირვის დასრულებამდე ვერ მოითმინა, ეზოში გავიდა, მაგრამ კიბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაჯირზე არავინ დაუხვდა. ერთხანს ტაძრის შემოგარენში უაზროდ იხეტიალა. მერე გუდიაშვილის ქუჩას დაადგა და საშენის ეკლესიისკენ დაეშვა. „იქნებ ყოველივე მოჩვენება იყო, ცოდვიანი წარმოსახვის ფუჭი ნაყოფი? ალბათ, ეშმაკი დაეუფლა საბოლოოდ ჩემს სულს და ჩადენილი ცოდვის ტკივილი რომ განმიახლოს, მოჩვენება მომივლინა გოგონას სახით!“.

სამების სალოცავის სვეტებიანი შესასვლელი გულდასმით მოათვალიერა, სადაც მათხოვრებს მოეყარათ თავი, მათ შორის გაცვეთილპალტოიან გოგონას რომ ვერ მოკრა თვალი, მზერა ეკლესიის მთავარ გუმბათზე გადაიტანა, სამგზის გადაიწერა პირჯვარი და ვიწრო გასასვლელით ქალაქის ძველი უბნისკენ აიღო გეზი.

სიონის ტაძარში წირვა ახალი დასრულებული იყო. მლოცველები ჩუმი დანანებით ტოვებდნენ წმინდა სავანეს და ცხოვრების ორომტრიალს უერთდებოდნენ.

ბიძინამ ტაძრის ეზოში კარგა ხანს დაჰყო.

ქერათმიანი ქალიშვილი არსად ჩანდა.

დღის პირველი საათი იქნებოდა. იმედგაცრუებული ჭაბუკი ქვაფენილიან აღმართს მიუყვებოდა, ეჭვები ღრღნიდა: „ნაღდად ვიღაცაში შემეშალა, თორემ, იმ უბედურის გადარჩენა მართლაც ხომ წარმოუდგენელია!“ სამი დღის განმავლობაში, ჭუბერში ყოფნისას, ერთ დევნილსაც არ შეხვედრია, განსაცდელში მიტოვებულის შესახებ რაიმე რომ სცოდნოდა; ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ღმერთმა იცოდა.

და აგერ, გუშინ, შემთხვევა იყო თუ — განგების ნება, საღსალამათს გადაეყარა! საკვირველია, მაგრამ ლოცვანი და ნაკურთხი ჯვარი, თავისი ხელით რომ უსახსოვრა საბრალო მოკვდავს, სარწმუნო ნივთებს არ წარმოადგენდნენ? თუ ესეც მოჩვენება იყო?!.

იქნებ, თადეოზ წინამძღვრისა არ იყოს, მართლაც გაჭრა მისმა ვედრებამ და უფალმაც აღარ დააყოვნა [illegible] სიკვდილთან მიტოვებული? ან იქნებ, სულაც არ ერია ღმერთის ხელი ამ საქმეში და მხოლოდ კაცთაგან შეძლო შეუძლებელი?.

„მამაზეციერო! მომიტევე, ამას რას ვბოდავ: უბრალო მოკვდავის ამქვეყნიურ დანიშნულებას, როგორ ვადარებ შენი ძალის ღვთიურ საზომებს? სულწაწყმენდილი ვკადნიერდები და უმეცარი გატოლების ფონზე, მოკვდავს ვანიჭებ იმ დიდ უფლებას, რაც მის შეძლებას აღემატება? მოკვდავს, როგორც მიწიერ შემომქმედს და სიკეთის ქმნის უშუალო მუშაკს?“

ბიძინამ შინაგანი გაორების უსიამო შეგრძნებით აუარა მთავრობის სასახლეს და ძმათამკვლელი ომისას ქვემეხის ჭურვებისაგან დასახიჩრებული ვეებერთელა სვეტები (რომლებსაც უკვე აღარ აჩნდათ ნაიარევი) სევდნარევი უკმაყოფილებით შეათვალიერა. ქაშვეთის ტაძრის გარეთა ხედი კი უჭირისუფლო ხეიბარს გავდა, სარესტავრაციო ხარაჩოებით დაბინტულიყო. ხოლო მის კედლებზე ჭორფლებივით დაჩენილი ნატყვიარები, ადამიანების უღვთობასა და ურთიერთგაუტანლობაზე მეტყველებდა.

ზვიგენი კუდს წყალში სიბრტყეზე აქნევს, ხოლო დელფინი — სიმაღლეზე: ამიტომაცაა, ერთი ბოროტებას რომ განასახიერებს, ხოლო მეორე — სათნოებას. შეიძლება ითქვას, რომ ბოროტება სიბრტყეზე ვრცელდება, ხოლო სიკეთე — სიმაღლეზე. მაშინ, რა ძალა უნდა მართავდეს ბოროტს, რომ სიბრტყიდანაც წვდება სიმაღლეს და სათნოებას ეძალავება?

ქაშვეთის ეკლესიასთან მიახლოებულმა ბიძინამ, მოულოდნელობისაგან პირი დააღო მოაჯირზე ქერათმიანი ქალიშვილი იჯდა. იგი უწყინარ კრავს გავდა. ერთდროულად, ცოდვასა და სათნოებას რომ განასახიერებს. მის მოპირდაპირედ, ძველმანებში გახვეული დედაკაცი დაყუნცულიყო, წინ ფეხსაცმლის ცარიელი ყუთი ედო, სამათხოვრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ გამოწვდილ ხელში კი გამვლელთაგან მიცემული ფული მოუჩანდა. ცისფერთვალება გოგონას გვერდით, სუსხისაგან დალაქავებულ ფილაქანზე, სამადლოდ გაღებული კუპონები ეყარა. გოგონა თითქოს ვერც ამჩნევდა მათ არსებობას: დედაბერს კი ხშირად გაურბოდა თვალი ფულისკენ.

გოგონა იმ მგლოვიარე ჭირისუფალივით თავდახრილი იჯდა, რომლის წუხილი უფლისას წვდება, ამიტომაც მისგან მოელის შველას, მხოლოდ მისი იმედით ცოცხლობს. იგი გაბუტულ ბავშვსაც გავდა, საყვარელი თოჯინა რომ გაუტეხეს, ანდა უხეშად წაუბიძგეს და საქანელადან ძირს გადმოაგდეს, რის შემდეგაც, ეშინია საქანელასი და მის ზურგსუკან ჩასაფრებული წამბიძგებლისაც.

ბიძინას, როგორც ჩანს, გამბედაობამ უმტყუნა. მოაჯირს თავი აარიდა, სალოცავის ცენტრალურ შესასვლელისკენ გაეშურა. ჭიშკართან თავმოყრილ მთხოვნელებს დამნაშავესავით აუქცია გვერდი და ეზოში შევიდა. როგორ მოქცეულიყო, ვერ საზრობდა. თანაც შიშობდა, გოგონა არ ადგეს და ისე არ გაეცალოს აქაურობას, მასთან მისვლა ვერ მოვახერხოო. ბოლოს, როგორც იყო, პირჯვარი გადაიწერა და კიბისკენ დაიძრა. საფეხურებზე ამავალს ფეხები საშინლად დაუმძიმდა, ბაქნამდე ძლივს ააღწია, მერე, მისდაუნებურად, ჯიბისკენ წაიღო ხელი და იმავდროულად გოგონასკენ მიბრუნდა. ეს უკანასკნელი, თითქოს იგრძნოო რაღაც, უსიამოდ შეირხა და ვაჟს სიმწყრალენარევი წყენით ახედა. ბიძინა ამ გამოხედვამ სასტიკად დააბნია, ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, ჯარისკაცივით იცვალა მხარი და იქვე, გოგონას პირდაპირ დაყუნცულ დედაბერს ასკუპონიანი ჩასჩარა ხელში.

ქერათმიანი ქალიშვილი რომელიღაც უწყინარ, მაგრამ, ამავე დროს მიუკარებელ არსებას გავდა, რას მოიმოქმედებს ვერასოდეს რომ ვერ მიხვდები. ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირული, სხვა სამყაროშიაო, ეგონებოდათ.

ბიძინა საგონებელში ჩავარდა: აშკარად გრძნობდა, იმ გასაღებს რომ ვერ მიაგნო, რომლითაც გოგონას ამოუცნობი ხასიათის გახსნა იყო შესაძლებელი.

ბიძინა სინანულით გაეცალა იქაურობას. შორიახლოს გაჩერდა. განათების ბოძს მიეყრდნო და მისდაუნებურად ეკლესიის მთავარი შესასვლელისკენ გაუშეშდა მზერა. უეცრად, მისი ყურადღება, თხუთმეტიოდე წლის აყლაყუდა ბიჭმა მიიქცია, რომელიც სულელივით იღრიჭებოდა, წინ და უკან დახტოდა, ვიღაც ხანში შესულ მათხოვარ ქალს აჯავრებდა და თან თონის პურს მადიანად ილუკმებოდა. ბიძინას თითქოს გონება გაუნათდა, ადგილიდან მოწყდა და ჯორჯაძის ქუჩისკენ დაეშვა. სამების ეკლესიის უკან მდებარე საცხობს მიადგა, თონის პური იყიდა და უკან გამობრუნდა. ქაშვეთის ტაძრის ჭიშკარს ქოშინით აუარა, ძველმანებში გახვეულ გოგონას მორიდებით მიუახლოვდა და თონის პური გაუწოდა. გოგონამ ზანტად წამოწია თავი და უხერხულად მომღიმარ ჭაბუკს ცისფერი თვალები შეანათა. მისკენ გამოწვდილი პური რომ დაინახა, კმაყოფილებისგან ნათელი მოეფინა: ლოცვანისაგან გათავისუფლებული ხელი პურისკენ ცახცახით წაიღო ვიდრე კეთილ მწყალობელს არსობის ლუკმას გამოართმევდა, უაზროდ გაუშეშდა ხელი ჰაერში. გამჭოლი მზერა ესროლა ვაჟს და წამით თვალები გაუცისკროვნდა, თითქოს დიდი ხნის მივიწყებული, ბედნიერი წუთები გაახსენდაო. მერე ისევ მოიღუშა, თავის ოდნავი დაქნევით მადლობა გადაუხადა უცნობს და კიბის ბაქანს უმწეო ბავშვივით დააშტერდა.

ბიძინა, როგორც კი გადასცა პური გოგონას, სწრაფად შეტრიალდა და ალექსანდროვის ბაღისკენ დაუყვა. ბაღში შევიდა, ძელსკამზე ჩამოჯდა, სადაც კარგა ხანს დაჰყო. ფიქრობდა. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დაჯდომოდა, ცისფერთვალება ქალიშვილს უნდა გამოცნაურებოდა. ბაღი დატოვა, კიბის მოაჯირთან მოახლოებულს გოგონა იქ უკვე აღარ დაუხვდა, ხოლო გაპრიალებულ ფილაქანზე უგულისყუროდ მიყრილ კუპონებს ცივი ნიავი აწვალებდა და სადაც იყო ძირს გადმოყრიდა. მოაჯირთან ახლოს, საეჭვოდ შეყოვნებული ახალგაზრდა კაცის დანახვისას მათხოვარი დედაკაცი ხელჯოხს დაეყრდნო, ადგილიდან კუთვით წამოდგა და კუპონებამდე ბორძიკით მიაღწია.

ბიძინამ ეკლესიის ეზო მოათვალიერა. გუმანით მიხვდა, რომ საბრალო გოგოს იმ დღეს მეტს ვეღარ ნახავდა.

ის ღამეც მოუსვენრად გაატარა. ირიჟრაჟა თუ არა, სახლიდან გავიდა. ქუჩებში დიდხანს უაზროდ იხეტიალა.

ცოდა. მტკვრის ხეობიდან სუსხიანი ნიავი ქროდა. მახათას მთაზე თოვლი მკრთალად მოჩანდა.

წირვის ჟამი ახლოვდებოდა. ქალაქის თითქმის ყველა ტაძრის სამრეკლოზე ზარები რეკდა.

ქაშვეთის ეკლესიის ეზოში მლოცველებს შეეყარათ. თავი. მოწყალების მთხოვნელებს თადარიგი დროზე ადრე დაეჭირათ.

ბიძინა ტაძარში შევიდა. წირვას ბოლომდე დაესწრო. მერე ილოცა. ქერათმიანი გოგონა შეავედრა წმინდანთა ხატებს.

სალოცავიდან სულიერად დამშვიდებული გამოვიდა. შუა ეზოში აღმართულ ნაძვის ხეს, წელიწადის ფერისცვალება ოდნავადაც არ დატყობოდა.

იმ დილით სამებისა და სიონის ტაძრები შემოიარა. თანდათან მოსვენებას კარგავდა, ვაითუ, საერთოდ ვეღარ ვიპოვიო საბრალო გოგოს.

ნაშუადღევს, კვლავ ქაშუეთთან გადაეყარა, დაუყოვნებლივ თონისკენ გაეშურა. შოთის პური იყიდა, უკან გამობრუნდა და ეკლესიამდე თითქმის სირბილით მიაღწია. კიბის მოაჯირს მიუახლოვდა და თავჩაქინდრულ გოგონას პური უხმოდ გაუწოდა. ამ უკანასკნელმა მადლიერი თვალით ახედა წყალობის გამღებს და ნაცნობ სახეს რომ წააწყდა, აშკარად ესიამოვნა, მერე თითქოს შერცხვა, თავი დაღუნა, ისევ მოიწყინა.

ბიძინა უხერხულად შეიშმუშნა, რაღაცის თქმა დააპირა, ვერაფერი თქვა და იქაურობას მუნჯივით გაეცალა.

მას შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, თითქმის ყოველ დღე აკითხავდა იგი საბრალო ლტოლვილს და თონის პურს აძლევდა. ზოგჯერ სამების ეკლესიასთან გადანაცვლებულს წააწყდებოდა, ხანაც სიონის ტაძრის წინ პოულობდა. გამოლაპარაკებას ჯერჯერობით ვერ ახერხებდა.

ერთ დღეს, იმ ქვეცნობიერი შიშის კარნახით, შეიძლება ქერათმიანი გოგონა სამუდამოდ დავკარგოო, რაც ჩემს სულში, საკენის ცოდვას კიდევ უფრო გამიმძაფრებსო, გადაწყვიტა უკან შეუმჩნევლად გაყოლოდა და მისი ადგილსამყოფელი დაედგინა.

მიწისქვეშა მატარებელში ჩამჯდარი გოგონა ვაგონის კუთხეში მიყუჟულიყო. იგი ბოლო გაჩერებაზე ჩავიდა. ქალაქის გარეუბანი ავადმყოფური ლასლასით გაიარა, საცხოვრებელი კორპუსები უკან მოიტოვა და ნაგვის პირამიდებით დაფარულ მინდორს დაადგა. ირგვლივ საშინელი სიმყრალის სუნი ტრიალებდა. იქაურობა ისე იყო გადათხრილ-გადაჩიჩქნილი, ომგადახდილი გეგონებოდათ. მინდორში, სადაც ოდესღაც მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საძირკველი გაეთხარათ და მშენებლობა შუა გზაზე მიეტოვებინათ, ვეებერთელა ორმო შლამიანი წყლითა და ჭუჭყით გავსებულიყო. იქვე, მიწაყრილის გადაღმა, ჩონჩხადქცეული ვაგონი იდგა, რომელიც ერთ დროს, როგორც ჩანს, მუშების ბარაკს წარმოადგენდა.

შელამების ბინდბუნდში გახვეული, გაუკაცრიელებული მშენებლობის ნარჩენები, ამქვეყნიური წარმავლობის იდუმალ შიშს ბადებდნენ, დრო-ჟამის სისასტიკეზე მეტყველებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილი გოგონა ვაგონის შესასვლელთან წამით შეყოვნდა, როგორც სიკვდილმისჯილი შეყოვნდება სახრჩობელასთან. მალე იგი მოჩვენებასავით გაქრა.

ვერცხლისფერი მთვარე ღრუბლებში შეცურდა, თითქოს ამქვეყნიური ვალი პირნათლად მოიხადა, საბრალო მოკვდავს მეგზურობა გაუწია და ზეციურ ბილიკებს მიაშურაო.

ბიძინა დაღონებული გაბრუნდა უკან.

სადღაც ძაღლი ამოჩემებულად ყეფდა. კატა კნაოდა.

რომელიღაც კორპუსიდან ბავშვის შესაბრალისი ტირილი ისმოდა.

რა უნდა ეღონა ბიძინას? როგორ გადაერჩინა ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანი, ისე, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეელახა?

ღმერთო ძლიერო, რა უსუსურია ადამის მოდგმა: მოკვდავი სიკეთეს ვერ ჩაიდენს, თუ შენი ნება ზედ არ დაერთვის!

კაცმა სიკეთე ისეთი სიფრთხილით უნდა შემოდოს ქვაზე, რომ ქვამ არ იგრძნოს, თაროსავით მომიხმარესო.

იმ დღიდან გოგონა აღარ გამოჩენილა.

ბიძინა დილიდან დაღამებამდე მის ძებნაში ატარებდა. ნერვიულობდა: უკან დადევნებული ხომ არ შემნიშნა, შეურაცხყოფილად ხომ არ იგრძნო თავი და სამუდამოდ გაუჩინარდაო.

წმინდა ნინოობის დილა გათენდა.

თბილისის სალოცავებში საღვთო ლიტურგიის ჟამი სუფევდა.

ბიძინა ქაშვეთის ეკლესიიდან სამების ტაძრისკენ გაეშურა. ცოტა ხანს დაჰყო იქ და სიონისაკენ დაუყვა. გადაწყვეტილი ჰქონდა, შუადღემდე თუ ვერ იპოვიდა გოგონას ნაშუადღევს ქალაქის გარეუბანში წასულიყო და იქ მოეძებნა.

იგი სიონის ტაძრის ჩრდილოეთ შესასვლელთან წამით შეყოვნდა, ტაძრის ეზოს გულდასმით მოავლო თვალი და ოვალური კიბის საფეხურებზე ფიქრიანი ნაბიჯით დაეშვა. ამ დროს, მისი ყურადღება, კიბეზე შემხვედრ სასულიერო ტანსაცმელში გამოწყობილმა ვაჟმა მიიპყრო. ბიძინას მოეჩვენა, რომ ახალგაზრდა ღვთის მსახურს ძალზე ნაცნობი სახე ჰქონდა. ის იყო ვაჟისთვის გვერდი უნდა აევლო რომ ამ დროს მისი გაოცებული ხმა ჩაესმა:

— ნუთუ ეს თქვენა ხართ, მამაო ფარვიზ?! გამარჯობათ! — ვერ მიცანით? — ღვთის მორჩილმა შინდისფერ-ყდიანი სახარება მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და განცვიფრებულ ბიძინას პატივისცემით მიაჩერდა.

ბიძინამ მისდაუნებურად პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, ძმაო გიორგი! — როგორც იქნა, ძლივს ამოღერღა ამ უკანასკნელმა და გამოწვდილ მარჯვენას თავისიც მიაგება.

— მამაო, თქვენ რა, საეკლესიო მოღვაწეობაზე ხელი აიღეთ?! — იკითხა გიორგიმ და ბიძინას სამოქალაქო სამოსელს დაეჭვებით ახედ-დახედა.

— არა, ეს ისე... დროებით. სულიერად გადავიღალე და ამიტომაც დასვენება განვიზრახე. შენ... რამ მოგიყვანა ეკლესიაში?! — სათნო ღიმილით დასძინა ბიძინამ და ყოფილ ჯარისკაცს მხარზე გამამხნევებლად მოუთათუნა ხელი.

— ჰოო, მე!.. — არეულად დაიწყო გიორგიმ — ბევრი ვიფიქრე, ფიქრმა, როგორც ხედავ, აქ მომიყვანა. საკენის უღელტეხილზე განცდილმა, ჩემი ცხოვრების გეზი სხვაგვარად წარმართა... გულახდილად რომ გითხრა, წარსული მინდა მოვინანიო: იქნებ ლოცვა-ვედრებით და სინდისიერი მოღვაწეობით, ჭეშმარიტებას მივაგნო! — გიორგი ხმის დიაპაზონს თანდათან უწევდა და თვალები რაღაცნაირი აღტკინებით უბრწყინდებოდა — პირველ რიგში საღვთო სჯულს უნდა დაეუფლო, მერე სასულიერო განათლების მიღება მაქვს გადაწყვეტილი!

ბიძინა ვერ ფარავდა აღფრთოვანებას, მოწონების ნიშნად თავს აქნევდა და თბილად იღიმებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთით უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

ტაძარში გალობდნენ. მოძღვარი ხმამაღლა კითხულობდა ლოცვებს.

— ხო, მართლა, გიორგი, ბოლო დღეებში ტაძართან შალის თავსაფარსა და ძველ პალტოში გახვეული გოგონა ხომ არ გინახავს? — რაც შეიძლება გულგრილი ინტერესით იკითხა ბიძინამ.

გიორგი დაფიქრდა, თითქოს რაღაც ენიშნაო.

— ხოო, თუ არ ვცდები, ის უნდა იყოს, აი, იქ ძელსკამზე რომ ზის ხოლმე და მწყალობელთაგან ფულს არ იღებს!

— სწორედ მაგაზე გეუბნები! — უცებ გამოცოცხლდა ბიძინა.

— ამ ბოლო ხანს ნამდვილად არ მომიკრავს თვალი! — დამაჯერებლად თქვა გიორგიმ და წასავლელად მოემზადა. — მაპატიე უნდა გავიქცე, ეკლესიის წინამძღვარმა საპატრიარქოში გამგზავნა გადაუდებელ საქმეზე: იმედია, კვლავ შევხვდებით! — ღიმილით დასძინა მან და ნახევრად ფიქრებში წასულ ბიძინას თბილად დაემშვიდობა.

ბიძინა, ერთხანს კიბეზე იდგა: იგი გაოცებასა და ბოლომდე გაურკვეველობას შორის მერყეობდა.

„დიდება შენდა მაღალო ღმერთო, რამეთუ მიუწვდომელია ზრახვანი შენი და ღვთიური ბურუსითაა მოცული სასუფევლისკენ მავალი გზა. და თუკი, ამ გზას ის უნდა დაადგეს, ვინაც ცოდვისგან სწავლობს სიკეთეს, მაშინ ის კაცი როგორ მოიქცეს, ვისაც სიკეთის კეთება უნდა, მაგრამ ცოდვისგან არ აქვს საშველი?“.

ბიძინამ ლესელიძის ქვაფენილიანი აღმართი ჩქარი ნაბიჯით აიარა და თავისუფლების მოედანი ისე გადაჭრა, უწყვეტად მოძრავ ავტომობილებს შორის მოქცეულს, აინუნშიაც არ ჩაუგდია წესრიგის დამცველის გაბმული სტვენა.

ფიქრებით ისევ ღმერთთან იყო.

„უფალო ჩემო, შენით უზომოდ მადლიერი ვარ, შენს მონა-მორჩილს, სულიერი განწმენდის გზაზე შემდგარი ქრისტიანისთვის, სინამდვილეს ალვა რომ შთამაგონე, მისთვის როგორც ჩანს, საკენის ცოდვა სინდისის ქენჯნად გადაქცეულა. ჩადენილი დანაშაული სიკეთის სათავე გამხდარა — საზომი სამართლიანობის, უკეთურისა და კეთილის გარჩევის. ცოდვამ მას შენსკენ სავალი გზა გაუხსნა, მე კი დამიხშო ჯერჯერობით განზე გამრიყა!“

მიწისქვეშა მატარებელი მთელი სისწრაფით მიქროდა, თითქოს ფიქრებში წასული ჭაბუკის გულისთქმას აჰყოლიაო.

ბინდდებოდა, ბიძინა საცხოვრებელ სახლებს გასცდა და მყრალ მინდორს ფრთხილად დაადგა.

მთვარე ღრუბლებში ანცობდა. ცივი ქარი უბერავდა.

მინდორში წყვდიადი წვებოდა.

ბიძინა ვაგონ-საცხოვრებელს ქურდივით მიეპარა. ბოლოს ხავსმოდებულ კიბეზე შედგა ფეხი. ვაგონში შესულს თვალები დაუელამდა, ვერაფერი გაარჩია. მერე თანდათან შეაჩვია თვალი სიბნელეს და ვაგონის კუთხეში, იატაკზე მოკუნტული ადამიანის გვამი შენიშნა. საშინელი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს უჰაერო საკანში იყო და სული ეხუთებოდა. თავს ძალას ატანდა, მერე, როგორც იქნა, ნაბიჯი წარსდგა და ვაგონის ღრიჭო იატაკი უსიამოდ ააჭრაჭუნა. კუთხეში მისულმა დაიხარა, თვალისცეცებით დააცქერდა ნაცნობ თავშალს. იატაკზე მწოლიარე არ განძრეულა, რომელსაც მცირეყდიანი ლოცვანი განძივით მიეხუტებინა გულზე. იქვე, იატაკზე გაქვავებული პურის ნატეხები ეყარა.

ბიძინას მოეჩვენა, თითქოს ქერათმიან გოგონასა და მას შორის უკიდეგანო სივრცე აღიმართა. შინაგანი გამოუვალობის კარნახით ხელი გაიშვირა მისკენ და უძრავ სხეულს შეეხო, ერთიორჯერ ფრთხილად შეანჯღრია.

გონწასულს სასიცოცხლო ნიშანი არ ეტყობოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინამ ეხლა მომეტებით შეანჯღრია იგი.

— შემეშვით! — თითქოს სამარიდან გაისმაო მიმკვდარებული ხმა და ისე სწრაფად მიიკარგა ღამის წყვდიადში, როგორც ხრამში ჩაგდებული ქვის პატარა კენჭი.

ვაგონში სიკვდილის სიჩუმე გამეფდა. იატაკისკენ დახრილი ბიძინა სიმწრის ოფლში ცურავდა. წელში ძლივს გასწორდა. ვაგონიდან გონებადაბინდული გამოვიდა. კიბის ვიწრო საფეხურზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

გონს გვიან მოეგო. თავი ასწია და სივრცეს გახედა. ცა, სიბნელისა და სინათლის მუდმივი ბრძოლის არენა, წყვდიადს მოეცვა. ბოლოს შორს, საცხოვრებელი კორპუსებიდან დაღვრილი შუქის ათინათზე, გზაზე მიმავალი, ყავარჯნიანი ხეიბრის სილუეტს კიდა თვალი. უეცრად, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, ფეხზე წამოდგა, ცივი ჰაერი ღრმად შეისუნთქა, ტუჩებზე იდუმალი ღიმილი გაუკრთა. ისეთი გამოცოცხლება დაეტყო, აქაოდა, ეს წუთია, რაც გაუთავებელ, შინაგან ყოყმანს თავი დააღწიაო.

— ვიდრე პირში სული მიდგას! — ავისმომასწავებელი ჩურჩულით გამოსცრა მან კაცური დანაქადი და სუსხიან ნიავს შორს გაატანა.

●

101-ე ბრიგადაში, მეთაურის ოთახის კარი, მისაღებში კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ახალგაზრდა კაცმა მორიდებით შეაღო და სადუელო მანძილზე მჯდარი სამხედრო პირის მიერ მითითებულ სკამს კი არ მიაშურა, პირდაპირ შუა ოთახში შედგა და სათქმელი ისე მოახსენა ხანმოკლე კითხვა-პასუხის შემდეგ, ოთახში შესულმა, სარდლისაგან რაღაცაზე თანხმობა მიიღო და უკან კმაყოფილი სახით გაბრუნდა. მოსაცდელში თავმოყრილ ოფიცრებს შორის ზრდილობიანად გაიარა და დერეფანში გავიდა, კადრების განყოფილებისაკენ აიღო გეზი.

ამ დროს მეთაურის მისაღებში, ერთერთ ოფიცერს გაოცებით აღმოხდა:

— ღმერთო, ამას ჩვენთან რა უნდა?! ეს ხომ ის მღვდელია, საკენის უღელტეხილი რომ გადმოლახა?!

— მერე რა გიკვირს? განა ჩვენი მეთაური ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი არ არის?! — მხედრული სიამაყით გაეპასუხა სხვა ოფიცერი და იქვე, მაგიდაზე აზრიალებულ ტელეფონის ყურმილს საქმიანი სახით დასწვდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ბაქრაძე

ესენინის მოჩვენება

ამდენ ჭირ-ვარამს როგორ იტანდი,
როგორ გაგიძლეს მიკვირს ნერვებმა,
რაა ცხოვრება ერთი მითხარი,
სიცოცხლე, ერთი სულის შებერვა.
აქ, ამ ადგილას კვლავ მახსენდები,
„ასტორიასთან“ როცა ჩავიარ,
და ულურტულებენ შენი ლექსები,
ნევის გამზირზე თეთრი ღამეა.
მუზებმა სული გამიმზიანა,
და ტკივილებიც წამით მიყუჩდნენ,
წამში მოვიცალი ფიქრში რიაზანს,
ვარდისფერ ცხენით მოხატულ ქუჩებს.
არყის ხეები ხელებგაწვდილნი,
ჩემს შესახვედრად ისევ იცდიან,
და მთვარე ცაზე ცისფერ ყანწივით,
ხელში უჭირავს თითქოს ტიციანს.
კაცის ცხოვრება ტანჯვაა მხოლოდ,
უკურნებელი სენი — სახადი,
ჩაიბუხუნებს მწარედ პაოლო,
„შემართულია ფეხზე ჩახმახი“.
სადღაც გაისმის ძველი რომანსი
კვლავ სიყვარულის ჟინი მერევა,
ცხოვრება ერთი ცეკვაა ვალსის,
სიცოცხლე, ერთი სულის შებერვა...

●

ლოთობას თავი დავანებე დიდი ხანია,
ვერ გამიგია ქვეყნად რა მწყინს, რა მიხარია.
ზოგჯერ მცირედზე ვერ გეტყვით რად ვლიზიანდები,
მერე ლექსებში იფანტება ჩემი აზრები.
უყურადღებოდ ზოგჯერ საქმეს ვტოვებ სრულიად,
ჩემში მთავარი მაინც ძმებო, მაინც სულია.
ზოგჯერ პატარა უფრო მახსოვს, უფრო ვიხარე,
ბევრჯერ სიკეთე სიგლახითაც გადამიხადეს.
წუთისოფელმა ვინ ახარა მეც სულ მახაროს
და ბოლოს ისე დამეყრება გულზე აყალო,
რომ ვერ ამოვხსნი, თუმცა ვფიქრობ დიდი ხანია,
და მაინც რა მწყინს ამ ქვეყნად და რა მიხარია...

გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალის ბაღში

ჩიტი ნიბლია ფრთებს ისწორებს ცვრიან მესერზე,
თმებს ივარცხნიან ბაღში ვარდნი მზისკენ მზირალნი,
დაეხეტება ქუჩა-ქუჩა კურკა მელექსე,

ნოდარ ბაქრაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორთაჭალაში მუშტში იწვევს თვით იარალის.
დუქანში თავი მოეყარათ ისევ კინტოებს,
ხაშით, არაყით, გაჟღენთილებს ფეხი ერევათ,
— ჩვენ, ძმაო ჩემო! იარალის ჩვენთან ვიტოვებთ,
თქვენ კი თავადნო მოუარეთ ამ თქვენს ღენერალს.
მეტეხის ხიდთან ქარი იწყებს ისევ გოდებას,
ჩამოივლიან გედებივით მტკვარზე ტივები,
და მთვარე მთაზე ტატოს მერნის ნალისოდენა,
კიდევ ანათებს მიბჟუტული ჩირაღდანივით.
მოედინება ცისიერზე ხალხის ნაკადი
და ორთქლი ასდით გოგირდის წყლით სავსე აუზებს,
ნარიყალასთან დედალ ხოხბის მწარე კაკანი,
კურკა მელექსეს ცხარე ცრემლით თვალებს აუვსებს,
— ეჰ, თაო ჩემო, აწი ოხვრით რაღას გიშველი,
წუთისოფელმა შხამიც მასვა, ცრემლიც მადინა,
რამდენი შემხვდნენ მიმზიდველი ქალიშვილები,
მაგრამ ეს გული ვერცერთმა ვერ მოინადირა.
ჩიტი ნიბლია ფრთებს ისწორებს ცვრიან მესერზე,
თმებს ივარცხნიან ბაღში ვარდნი მზისკენ მზირალნი,
დაეხეტება ქუჩა-ქუჩა კურკა მელექსე,
ორთაჭალაში მუშტში იწვევს თვით იარალის...

მზე შემოდგომის

მზე შემოდგომის ოქროსფერ მთებს თავზე ადნება,
მიფრიალებენ ქუჩა-ქუჩა ხმელი ფოთლები,
— დალიე ძმაო, — ამ გულს უფრო გაუხარდება,
ჭიქა არაყზე მპატიჟებენ „ჭინკა“ ლოთები.
მჟავე წიწაკით, ხმელი ჰურით, კბილა ნიორით,
სული მოვითქვით, მაგრამ დარდი ვერ გამოვლიეთ,
ნაივლის ქალი, შემოდგომის ცივ ირონიით,
და მერცხლებივით ჩვენს გულებსაც გაიყოლიებს.
სადღაც, ვიღაცამ პატეფონი ააკაკანა,
და ქარს შემოაქვს სურნელება ახალ ღვინისი,
„ნელად მოღელავს, მოელვარე მტკვარი ანკარა“
და ნიავს მოაქვს მთაწმინდიდან მოთქმა ნინოსი.
ვით მიცვალებულს შუბლზე შვილის ბოლო ამბორი
შემოდგომის მზე ყვითელ ფოთოლს გულზე აფარებს,
სასაფლაოზე აკვნესდება მერე „გარმონი“
და „თაო ჩემოს“ მღერის ისევ ის მესაფლავე.
მზე შემოდგომის ოქროსფერ მთებს თავზე ადნება,
მიფრიალებენ ქუჩა-ქუჩა ხმელი ფოთლები,
— დალიე ძმაო, — ამ გულს უფრო გაეხარდება,
ჭიქა არაყზე მპატიჟებენ „ჭინკა“ ლოთები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ცხადსიზმარია

(თავგადასავალი)

ნაწილი მეორე

მიმოწერები ჭაბუა ამირეჯიბთან

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. გულდასმით უცქეროდა ცოქალა ატრფიალებულ სტუმარს. გაურკვეველი გრძნობით შეზავებული გაკვირვება ჩაბუდებულიყო მის თვალებში. მტკვრის დუდუნი შემოესმა, საიდანღაც კრიმანჭული ჩამოაპნია ბულბულმა. საზის ჟღერა მოესმა ქუჩაბანდიდან, ჰანგმა წარსტაცა ცოქალას გულისყური, მშობლიურმა, უბრალომ, უფრო მეტიც — მისთვის შეთხზულმა ჰანგმა:

„...გადასწი განზე ჩიტო, ფარდები,
ვერცხლით ნაქარგი არშია
გმალავს“.

მოისმა მაჩაბლის სიმღერა და ფარდასავით ჩამოიშალა ჯალილსა და ცოქალას შორის. მყისვე ჰანგს აჰყვა გოგონას სულის თრთოლვა, თითქოს ბორკილი მოხსნა ჰანგმა ასულის განწყობილებას.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 3-4.

— რას მეტყვი, სუქალა-ხანუმ? შენს გულისპასუხს ელის ჯალილა-ეფენდი! — თქვა თურქმა.

შემაზრზენად იმოქმედა ცოქალაზე ჯალილის შეკითხვამ. უმადური თვალები სჭიდა სტუმარს და როდესაც კვლავ მოატანა გაყუჩებულ სივრცეს მაჩაბლის მუხამბაზმა:

„სიხარულის სული ხარ,
ყალმით დახატული ხარ,
არავისგან თქმული ხარ,
ნეტავ სით მოსული ხარ,
სიმღერებში სამეფოდ“ —

სახე გაუბრწყინდა, ბაგეზე მომდგარმა სიცილმა მკერდი აუხტუნავა, თავი ვეღარ შეიკავა და გადამდებად, ბედნიერად, თავისუფლად გადაიკისკისა. ქუჩაბანდიდან მას შემოსტრფოდა დედაქალაქის უპირველესი რაინდი და მგოსანი.

— სხვადასხვა მხარეს გვიძევს გზები, ჯალილ-ეფენდი! — დააყოლა მან, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა გადმომსკდარი სიცილი ამოათავა, — შენ დაღმა, მე აღმა!

აღარაფერი დაუნახავს მას. პაპას სიამაყით აღსავსე ღიმილი, არც ჯალილას გაფითრებული, ბრაზით აკანკალებული სახის ნაკვთები. ქუჩაბანდისკენ გასწია მან ნელი ნაბიჯით. როცა შეღმართს აჰყვა, ფეხს აუჩქარა. ბექობზე უკვე სირბილით გავიდა. არ შეჩერებულა, არ მოუთქვამს სული გამარჯვებით დაღლილ გოგონას. ნაზი მუხამბაზით აფრიალებულ ფოთლიანს მისცა თავი".

მპირდები, დაბეჭდილებს გამოგიგზავნიო. აბა, შენ იცი და შენმა ძმაკაცობამ. იწერები, რა წიგნები გინდაო. საქმე ისაა, რომ უნდა ზედმიწევნით შევისწავლო მეცხრამეტე საუკუნის საქართველო. სხვაფრივ მეორე ნაწარმოებს ვერ დავწერ. თუ ეპოქის სულით არ არის გაჟღენთილი ძვალი, რბილი და ტვინი, ამ ეპოქის ხელის ხლება ყოვლად შეუძლებელია. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი იმდენად ზედმიწევნით მაქვს ნაგრძნობი, როცა ვწერ, ასე მგონია, იმ დროში ვცხოვრობ და ყველა ჩემი გმირები თანამედროვენი არიან ჩემნი. ასეთსავე მდგომარეობას უნდა მივაღწიო მეცხრამეტე საუკუნის მიმართაც, მაგრამ ამისთვის არა მარტო აჯანყებები შეთქმულებები უნდა შევისწავლო, არამედ პერიოდიკა და მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ თუ მეორეხარისხოვან პიროვნებათა ბიოგრაფიებიც. ზოგ რამეს, რა თქმა უნდა, ისეც ვგრძნობ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის... აი, ამ სახის ლიტერატურა მჭირდება, ე. ი. ისეთი, რაც მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებას შეეხება. თუ გაქვს რაიმე, გამომიგზავნე, დროა მოვკიდო ხელი. ეს ნაწარმოები თითქმის დავამთავრე და შიგადაშიგ ახლის კეთებას შევუდგებოდი.

დამავიწყდა! უეჭველად მომწერე ზემოთ მოტანილ ეპიზოდში ხომ არ გხვდება მოქმედების, მოძრაობის, ჟესტის, მიმიკის, თვალთა გამომეტყველების აღწერის სიმრავლე. გადამეტებული ხომ არ არის, ხომ არ [illegible] ბელეტრისტს და საერთოდ მომბეზრებელ შთაბეჭდილებას ხომ არ ტოვებს.

ამჟამად მე ვიმყოფები ორასმეორმოცე საავადმყოფოში. შენი წერილი ოსეტროვოში მივიღე 30—31 მაისს. იქიდან აქ წამომიყვანეს დღეს, ანუ ოთხშაბათს, ახლავე გპასუხობ, აქაური მისამართია: Иркутская область, Чунскийр-н, п/о Чукша п/я 90—240

ახლახანს მივიღე (ათი წუთის წინ), როდამის დეპეშა მოსკოვიდან. მოდის ჩემთან. გამოდის მოსკოვიდან ხუთში, ანუ ხვალ და ვგონივარ ისევ ოსეტროვოში, გავაგზავნე იმწამსვე ელვა, რომ მისამართი გამომეცვალა, არ ვიცი, ჩაუსწრებს თუ არა, მაგრამ მე მაინც დავახვედრებ კაცს ოსეტროვოში და ჩამოვიყვან. ხვალ გავუგზავნი დეპეშას სახლშიც და ისინი მატარებელში გადასცემენ როდამს. ამგვარად გაიგებს, სადა ვარ.

ერთი სათხოვარი მაქვს შენთან: თუ შეიძლო, გამომიგზავნე შენი სურათი ან ცალკე, ან ბიჭიკოსთან ერთად გადაღებული. მამაშვილის სურათი მექნება, ხოლო მთლად უკეთესი იქნებოდა საოჯახო ფოტო. იქნებ გაქვს გადაღებული. გამომიგზავნე.

სხვა რა მოგწერო, ჩემო ლადო. ისეც გაჭიანურებული გამომივიდა წერილი. ალბათ თავიც მოგაბეზრე და არც დრო გაქვს ყოველივე ამის საკითხავად.

დამიკოცნე შენი პატარა ბიჭი, მომიკითხე მეუღლე და დედმამა, ძმა. გისურვებ შენცა და მათაც ყოველივეს, რაც ადამიანისა და ოჯახის ბედნიერებას, კეთილდღეობას უნდა. ინებოს განგებამ, რომ თბილისში შევხვედრილიყავით.

მშვიდობით თუ ნახვამდის შენი
ძმა და ნიჭის თაყვანისმცემელი

ჭაბუა
აღ. ციმბირი
ჩუშკა

29 ივნისი. 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 ივნისი, 1956.

გაგიმარჯოს,ხელი მოგიმართოს ღმერთმა, ძმაო ლადო!

გუშინ, ოცდარვა ივნისს მივიღე შენი სრულიად დაუმსახურებელი ხოტბის გუჯარი, გამოგზავნილი ჩემი სცენარის ნაწყვეტების გამო და „ლიტერატურული გაზეთის“ ნომერი „ჩემი ოცნებით“. მანამდე როდამის მიერ ჩამოტანილ გაზეთებში აღმოვაჩინე „მეზობლები“. ამგვარად, ჩემს ხელთ არის ორი ნაბეჭდი ნაწარმოები ბატონ ლადო სულაბერიძისა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საერთოდაც გაცნობილი ვარ შენს პოეტურ პიროვნებასთან, უფლება მაქვს გამოვთქვა ორიოდე ფრიად დადებითი აზრი. ეჭვს გარეშეა ჩემი კრიტიკა უპრეტენზიოა სრულიად, შეიძლება ახალი არაფერი იყოს ჩემს მიერ გამოთქმულ აზრებში, მაგრამ მსურს უეჭველად მიაქციო ყურადღება იმას, რაც მე მთავრად მიმაჩნია შენს შემოქმედებაში. შეიძლება და ალბათ ასეც არის, რომ მრავალჯერ მაქვს გაგონილი უკვე, რასაც ქვევით მოგწერ, მაგრამ მაინც გავიმეორებ შენივე ყურადღების გამახვილების მიზნით.

„ჰუმანისტი“. თუ გახსოვს ამ სიტყვის არსისა და ჭეშმარიტი მოცულობის შესახებ წარსულში არაერთხელ გვქონია საუბარი. აზრი გამოგვითქვამ ორთავეს, — ანალოგიური აზრი. გავიმეორებ. ჰუმანისტი უპირველეს ყოვლისა მებრძოლია. მედგარი, თავდადებული, მაგრამ გარკვეული პრინციპების მატარებელი მებრძოლი კი არა, არამედ ერთადერთი პრინციპის მატარებელი რაინდი. აი, ეს ერთადერთი პრინციპი: სიკეთე საერთო საკაცობრიო, საყოველთაო და არა რომელიმე გარკვეული კლასისთვის, ფენისთვის, საზოგადოებრივი დაჯგუფებისთვის, კასტისთვის. არ არსებობს ჰუმანისტები სხვადასხვა იდეოლოგიური ნორმების მატარებელი. თუ ხელოვანი ვინმეს აპოლოგეტია და ამიტომ ამ მოწინააღმდეგის ცეცხლითა და მახვილით ამოშანთავს ქადაგებს, იგი ჰუმანიზმს ისევეა [illegible]ული, როგორც სიკეთე ბოროტებას, **ჰუმანისტი — საკაცობრიო, საყოველთაო ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი რაინდია** და არა ჰანიბალის დაქირავებული ჯარისკაცი. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, ყველა ნამდვილ, ჭეშმარიტ ჰუმანისტებს ერთი, მკაფიო ნათლად გამოხატული იდეოლოგიური კვარცხლბეკი აქვთ. ამ კვარცხლბეკიდან მართავენ ისინი, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ადამიანის აზრსა და მისწრაფებას. მხოლოდ იმიტომ არიან ისინი საყოველთაოდ აღიარებულნი, რომ საყოველთაოდ მისაღებ იდეებს ქადაგებენ, რომ მათი გონებრივი მოღვაწეობის რეზულტატი საერთოდ საკაცობრიო, საყოველთაო, გარდუვალი ღირებულებაა.

ყოველი ჭეშმარიტი ჰუმანისტის უპირველესი დამახასიათებელი თვისება — სიყვარულია. დიდი, მთლიანი, ყოვლის მიმტევებელი და მპატიებელი სიყვარული, რომელსაც საფუძვლად უდევს არა სიძულვილი სხვა რაიმესი ან ვისიმე და ამიტომ სიყვარული სახელდობრ **ამისა თუ იმისა,** არამედ სიყვარული, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო საკაცობრიო სამართლიანობის, სიბრალულის, სილამაზის თაყვანისცემის, ბოროტების მავნეობის გრძნობა. ჩვენი შოთაა ჭეშმარიტი ჰუმანისტი, განა თაყვანისცემის ღირსი არ არის ნატურა, რომელიც ამოდენ სიყვარულს იტევს. ნატურა, ტარიელის ველად გაჭრას, ავთანდილის თავდადებულ მეგობრობას, ასმათის განდეგილობასა და ნესტანის ტანჯვას შეჰღაღადებს ზეადამიანური მგრძნობიარებითა და სიყვარულით. ჩემის აზრით, კრედო ვეფხისტყაოსნისა, ფილოსოფიური ქვაკუთხედი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ არიან ცუდი, ვერაგი, ავი, ბოროტი ადამიანები, არა. არიან მხოლოდ სათნო, კეთილი ადამიანები და ცუდი, ვერაგი, ავი, ბოროტი გარემოებანი, რომელთაც გამოჰყავთ **ადამიანი თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან — სიკეთიდან, სათნო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებიდან. კაცობრიობის მოუწყობლობა — აი, წყარო ადამიანთა ტრაგედიისა. თუ არის საჭირო შანთი, ცეცხლი და მახვილი, — საჭიროა საკაცობრიო მოუწყობლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და არა ბრძოლისათვის ადამიანის წინააღმდეგ, რარიგ ბოროტნიც უნდა იყვნენ ისინი. ასეთია, ჩემის აზრით, ჭეშმარიტი ჰუმანიზმის ბუნება. არ არის დიდი ხელოვნება იქ, სადაც **არ არის დიდი ყოვლისშემცველი და მიმტევებელი სიყვარული.**

ეხლა გადმოვდივარ შენზე. ზემოთქმული შეიძლება რამდენადმე ბუნდოვნად ხმოვანებდეს, ტექსტი არ გადამიწერია და კორექტივები არ შემიტანია, მაგრამ ვსასოებ იმით, რომ ჩემგან არაერთხელ გაქვს მოსმენილი ასეთი მსჯელობა და ამ წერილსაც ხომ პირადად შენთვის ვწერ. ამიტომ, მგონი არ უნდა დავრჩე გაუგებელი... ვუბრუნდები საკითხს: ჩემის აზრით შენს შემოქმედებას ორი მთავარი, ორიგინალური მომენტი ახასიათებს. პირველი, ესაა სწორედ ის ჰუმანიზმი, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე. **აღფრთოვანებული,** ლამაზი სიყვარული ადამიანებისა და მათი ფაქიზი განცდებისა, — შენი ლ**ექსების სასუნთქავია.** მერწმუნე, რომ გგულით გეუბნები: რაც ზემოთ ვილაპარაკე, მთლიანად ვრცელდება შენს, ჩემს მიერ ცნობილ დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ ნაწარმოებებზე. მიკვირს და მიხარია, საიდან ატარებ გულით ამოდენ სიკეთესა და სიყვარულს ეს ნაწამები, ნატანჯი და დასახიჩრებული კაცი. ვინ ჩაგინერგა ამოდენი ადამიანობა, მომთმენობა და მიმტევებლობა. ამან მე მაშინვე გამაკვირვა ხუთასოცდამესამეზე „დედა“ რომ დაწერე —“... უკან გაბრუნდნენ სარკინოზები“. იმ ბეგას დედა და მისი განცდების გარშემო აშლილი სახეები ჰუმანისტური აზროვნების შედევრია ნამდვილი. ძმაო ლადო, ვერ წარმოიდგენ, როგორ მახარებს ის აზრი, რომ ქართული პოეზიის მრავალფეროვნებას შენი ლექსების რბილი, ნარნარი ვარდისფერი ემატება. დარწმუნებული ვარ, რომ შენი ეს აზროვნებითი გეზი სტიქიური რამ კი არ არის, არამედ მრავალი წლების მიერ მოტანილი და შთანერგილი მსოფლმხედველობაა და სახელდობრ ეს მოვლენაა პირობა შენი დიდი მომავლისა.

მეორე, რისთვისაც მინდა შეგაქო, — ესაა ზომის გრძნობა. რა კარგია, რა სასიამოვნო საკითხავია ნაწარმოები, რომელშიც აღტაცება ზომიერია. მშვიდობის თემაზე ათასი რამ არის დაწერილი, მაგრამ ადამიანის უღრმეს, უალალეს გრძნობებთან „ჩემს ოცნებაზე“ მეტად შერწყმული იდეა ძნელი საპოვნელია. რაც აქამდის წამიკითხავს სხვისი, ყოველგან ერთი და იგივეა, სახელდობრ, იდეებიდან განწარმოებული გრძნობა და ამიტომ ჭეშმარიტი გრძნობის ნატამალიც კი არსადაა. შენთან კი მართებულად არის განწარმოებული იდეებისგან დამოუკიდებლად, ხოლო იდეა კი ამ გრძნობების ზედნაშენია, ინტელექტუალური რეზულტაცია. ვკითხულობ და მჯერა, რომ შენ დოგმების დორბლმორეული მოქადაგე კი არა ხარ, არამედ კაცთმოყვარე, კეთილი, მძლავრი, ფეხმოუცვლელი მღაღადებელი საკაცობრიო მოუწყობლობისა. ყოჩაღ, ლადო! მიიღე ჩემი ალალი მადლობა აწ და სამარადისოდ. ქართულ ხელოვნებას სინდისი სჭირია. თუ ეს, პირველ გვერდზე დაბეჭდილი ლექსი, მომავალში ამ გაზეთის სინდისად იქცევა, გავალთ ფონს, აღარავისი შეგვრცხვება, პირდაპირ, გაბედულად მივაპყრობთ თვალს, ყველას, ვინც არ უნდა შემოგვახვედროს ისტორიამ.

მოვრჩი, სხვა შენიშვნები არა მაქვს. მშურს შენი.რომ გარს ხალხი გარტყია, რომელთაც, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ ძალუძთ შენი რჩევაც, დარიგებაც, ქებაც და ტუქსვაც. არ მინდოდა მაგრამ სულმა წამძლია.

შენს მიერ შეპირებული მეორე წერილი ჯერ არ მიმიღია. მოუთმენლად ველი ყოველდღე და არსად ჩანს. „მნათობს“ როდისღა გამომიგზავნი? ჩემო ლადო! მეცხრამეტე საუკუნის საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების ცხოვრების შესახებ, ლიტერატურა რახან შემპირდი, ვიმედოვნებ, რომ გამომიგზავნი კიდეც. შენ ალბათ გესმის — ყველაფერი საინტერესო და საყურადღებოა ჩემთვის, სადაც გაკვრით მაინც არის ლაპარაკი ამ თემაზე, ან თემის გარშემო საკითხებზე. აუცილებელი არ არის პუბლიცისტიკა. მე მინდა ვიპოვო დამახასიათებელი მოვლენები და ნიშნები, ხოლო ანალიზს მე თვითონ გავუკეთებ. თუ იშოვო სადმე „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", — პლატონ იოსელიანისა — იქნებ ჩემს დედაბრებსაც კი ჰქონდეთ. ილიას პიროვნება, აკაკი, ვანო მაჩაბელი, გაგარინი (მხატვარი), ვორონცოვი — მთავარმართებელი, გლეხთა აჯანყებები, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ეგნატე ნინოშვილი, ცხრაას ხუთი წლის ამბები... ამათში ალბათ გესმის რასაც ვეძებ. რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად. გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულება" — უსათუოდ აი, ამაებიდან რაც მოგხვდეს ხელში, გამომიგზავნე, ნუ მიმატოვებ ღვთის ანაბარა, — ეს არის ჩემი ერთადერთი ლხინი, წერა.

ალე სოხაძის მისამართს მეკითხები, ამჟამად არ ვიცი. მოიყვანეს 405-ში და იქიდან ეტაპი წავიდა რიბინსკში. იმ ეტაპს გააყოლეს და შემდეგ მისი ასავალ-დასავალი დავკარგე.

ერთი დელიკატური წინადადება, — იფიქრე და მომწერე შენი აზრი. ჩემის აზრით ფრიად სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის ვინმე ინტელექტუალურ ქალთან მიწერ-მოწერის გაბმა. არ გაიკვირვო და დონ-ჟუანობას არ მიაწერო ეს. ჩემთვის სულერთია მისი ხნოვანება და გარეგნობა. მე მსურს ჭკვიანი, განვითარებული კორესპონდენტის ყოლა. უეჭველად მჭირდება ზოგიერთი მხატვრული საკითხების ქალის პოზიციებიდან გაშუქება, უეჭველად ქართველი ქალის პოზიციებიდან. გეგულვება ვინმე ასეთი? კიდეც რომ იყოს, ძნელია მისი იმ ზომამდე დაინტერესება, რომ მიწერ-მოწერა გამიბას, მაგრამ როგორმე შევძლებ ამას შენი ნაწილობრივი დახმარებისა და შუამდგომლობისა ლობით. ნუთუ არავინ ტრიალებს მანდ, მაჩაბლის ქუჩაზე, შესაფერისი? იფიქრე და მომწერე, თუ არ დაიზარებ.

შენი ძმა ჭაბუა

24 თებერვალი, 1957

ძმაო ლადო!

უპირველეს ყოვლისა გთხოვ პატიებას ამდენი ხნის სიჩუმის გამო. მერწმუნე, რომ მხოლოდ დაუდევრობის ბრალი როდია ეს. ჩავები მუშაობაში და წუთი დრო არ მრჩება, რომ ადამიანებს, რომელთაც ჩემზე შესტკივათ გული, პასუხი გავცე წერილებზე. ერთი შეხედვით სრულიად გაუმართლებელია ჩემი უყურადღებობა, მაგრამ რა ვქნა, რა მიზეზით ვიმართლო თავი? ვინ იცის, გაჯავრებულიც კი ხარ ჩემზე. არ ვიცი რითი გამოვისყიდო დანაშაული. არ გეგონოს, თითქოს მარტო შენ არ გწერ. ვფიცავ, ბარე ხუთი თვეა აღარავისთვის მიმიწერია წერილი.

ვმუშაობ ძველებურად, მაგრამ ახალ ადგილზე. ამჟამად საავადმყოფოში აღარ ვარ. 201 ლაგპუნქტზე ვმუშაობ წარმოების ეკონომისტ-ნორმადარად. უწინ ორი კაცი იყო ამ თანამდებობაზე. და ორივეს ყელამდე ყოფნიდა საქმე. ეხლა, შემცირების გამო, ორივე მოხსნეს და მელა ვეწევი ჭაპანს, ჭაპანს, რომელიც დღე-ღამეში 16 საათის მუშაობად მიღირს. ამაზე მიტომ განვაცხადე თანხმობა, რომ ზონის გარეთ გაყვანას შემპირდნენ და ამასთან დაკავშირებით თავისუფალი კაცის ჯამაგირს (1200 მან.), ჩამოვედი, დამასახლეს ზონის გარეთ, მაგრამ სანამ დოკუმენტები გაფორმდებოდა, 443 მანეთზე გადამატარეს. ამასობაში „ოზიორლაგმა" ჩაბარა ზოგიერთი ლაგპუნქტი და მათ შორის 201-ც. აიწეწ-დაიწეწა საქმე. ძალლი პატრონს ვეღარ ცნობს და ვარ ასე, ცასა და მიწას შორის გაკიდული. ამჟამად ვცხოვრობ ზონაში, მაგრამ ძლიერ კარგი საკუთარი ოთახი მაქვს, თბილი, ნათელი და დიდი. დღეს კვირა დღეა. აუარებელი სამუშაო მაქვს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ კაბინეტი დაკეტილი დამხვდა. აღარ დავიწყე გასაღების მოძიება, წამოვედი სახლში და წერილების წერას შევუდექი.

წერას ვერ ვახერხებ დროის უქონლობის გამო. აფსუს, რა გეგმები მქონდა. ვფიქრობდი, გამიყვანდნენ თუ არა ზონის გარეთ, საცხოვრებლად, ავადმყოფობას მოვიმიზეზებდი, ეკონომისტ-ნორმადარობას თავს დავანებებდი, მოვეწყობოდი სადმე ღამის დარაჯად და მაშინ კი დღეში 10—12 საათს წერას მოვანდომებდი. რას ვიქმ, რომ ყველაფერი, უკულმართად გამომდის?!

როგორ მიდის შენი საქმეები? დაიბეჭდა წიგნი? სად არის ჟურნალები, რომელშიც შენი ლექსები უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული და გამოგზავნას შემპირდი? ხომ მშვიდობა და ბედნიერებაა ოჯახში? შენ თვითონ რასა იქმ? მომწერე, შენი ჭირიმე, ორიოდე სიტყვა, გაძლევ პირობას, რომ შეუფერხებლად გიპასუხებ.

რა არის ახალი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში? შენი გამოგზავნილი „ლიტ. გაზეთი“ ქართული მუსიკალური ანბანის ამოხსნის სტატიითურთ მივიღე და სიმართლე გითხრა ასეთ აღტაცებაში კარგა ხანია არაფერს მოვუყვანივარ. გახსოვს, თუ არ ვცდები, პავლე ინგოროყვას მიუძღვნა ვალერიან გაფრინდაშვილმა: „შავ ჭიანურის აჩრდილს გადარებ, ხარ დაფერფლილი ცეცხლის ნაცარი“, დაფერფლილი და ნაცარი კი არა, ინტუიციის კოცონი ყოფილა ეგ ბერიკაცი. ვგონებ, განსვენებული ბატონი ივანეს მეტს, სხვას არავის მიუძღოდეს ქართული კულტურის წინაშე ამდენად მნიშვნელოვანი დამსახურება. ძალიან მაინტერესებს, რას წარმოადგენს თვით ჰანგი ამოხსნილი ნაწარმოებებისა? ბერძნული საეკლესიო მუსიკის გავლენის პროდუქტია, თუ წმინდა ქართული მუსიკის ნიმუში? წავიკითხე ირაკლი აბაშიძის ჩინებული „ევროპა თვალის ერთი გადავლებით“. ყოჩაღ, ირაკლი აბაშიძევ! ტალანტით და ზომის გრძნობით დაჯილდოვებული რამ არის, წინააღმდეგ ალიო მაშაშვილის ჩინური დღიურებისა, რომლებშიც მაშაშვილობის მეტი არა იგრძნობა რა. მიკვირს, ქართული კულტურა, რომელსაც ასეთი ჟანრის უძველესი ტრადიცია გააჩნია, როგორ უნდა იძლეოდეს ამდენად მდარე და უსუსურ ნიმუშს ალიო მირცხულავას ხელითაც კი.

ჯანმრთელობის მხრივ არა მიშავს რა, მაგრამ თვეში ორჯერ მაინც მიხდება კონსულტაციისთვის და პნევმოტორაქსისათვის საავადმყოფოში ჩასვლა. ცოტა ხანს ვუყურებ კიდევ და იქნებ კვლავ ჩუკშაში გავწიო. ვნახოთ, რას მეტყვის უახლესი მომავალი.

ნუ დაიზარებ, მომწერე ორიოდე სიტყვისა და გაზეთების გზავნაც აღადგინე თუ არ გაგიჭირდება, მისამართით, რომელიც კონვერტზე სწერია. Иркутская об. Чунский р-н п/о Ново-Чунка Чибуниной Александре Ефимовне. ეს ქალი ჩვენი განყოფილების ეკონომისტია, ჩემი უშუალო უფროსი და კეთილისმსურველი. (ერთი ახალგაზრდა კეთილისმსურველი არავინ გამომიჩნდა მდედრობითი სქესისა. ეს დალოცვილი 56 წლისაა. ასე ამბობს, თორემ ბარე 65-ისაც იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა).

აბა, იყავი ბედნიერად და მხიარულად. გისურვებ ყოველივე კარგს. დამიკოცნე ავთანდილი, მომიკითხე დიდის პატივისცემით ქალბატონი ეთერი.

შენი ძმა ჭაბუა ამირეჯიბი.

ფული თუ გაწუხებს ზედმეტი, ორას-სამას მანეთს დიახაც, სიამოვნებით მივიღებდი — იმავე მისამართით, ჭაბუასათვის, შედარებითმა თავისუფლებამ ტანსაცმლის საჭიროების საკითხი მეტისმეტად მწვავედ დამისვა, ამიტომ ცოტ-ცოტას ყველას ვთხოვ (ვისაც ეთხოვება), მაგრამ ვაი, თუ შენ თითონ გიჭირს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ივნისი, 1957

ძმაო ლადო!

ერთი უზარმაზარი წერილი მივწერე ჩვენებს, ლადოსაც წააკითხეთ-მეთქი, წარმოდგენას მოგცემს ჩემი ახლანდელი ცხოვრების შესახებ. ამიტომ ამ წერილში აღარ მოგაბეზრებ თავს ჩემზე ლაყბობით. გარდა ამისა ნოვო-ჩუნკოდან მოგწერე რუსულ ენაზე დაწერილი წერილი, ალბათ მიღებული გექნება.

დღეს ერთი საყურადღებო რამ მომხვდა თვალში. არ შემიძლია ვისმეს არ გავუზიარო. ვის? გარშემო არავინ არის ამის გამგები და არც იმაში ვარ დარწმუნებული, შევძლებ თუ არა სწორად გადმოგცე სიტყვებით ის, რაც მინდა. იმედი მაქვს, რომ ხარვეზებს შენი გონება თვით შეაფასებს.

აბანოში ვიყავი დღეს. აბანოში სიარული მიყვარს. არ იფიქრო თითქოს სისუფთავის ზომასგადაცილებული მოტრფიალე ვიყვე, ან არსენასავით მხსნელ ქლიბს მოველოდე ვისმესგან. უბრალოდ, აბანო მშვენიერი ადგილია ადამიანებზე დაკვირვებისათვის. ყოველდღიური ყოფაცხოვრება საშუალებას იძლევა დაინახო ადამიანების მიხვრა-მოხვრა, სიარული, საქციელი, სახისა და თვალების გამომეტყველება , მოისმინო ლაპარაკი და სხვა. რა თქმა უნდა, ეს სრულიად საკმარისიც არის ადამიანებზე დაკვირვებისათვის მაგრამ აბანო უფრო მეტ საშუალებას იძლევა, უშუალოდ და ნათლად დაინახო ის, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში პეწიანად შეკერილი ტანსაცმელი ფარავს. აბანო იძლევა შიშველი სხეულის ნახვის შესაძლებლობას. აქაც: მოქანდაკის ან ფერმწერის თვალი სხვაა და ფიქრის მოყვარული კაცისა — სხვა. კუნთების წყობასა და ფეხებზე ნაკლებ ვფიქრობ, თითქმის არ ვფიქრობ. ამაზე უკეთესი გასართობი სხვა რამ არის. კერძოდ: წინა წლებში პატიმართა აგებულება სხვანაირი იყო, დღეს სულ სხვანაირია.

ამ წერილის მიღების შემდეგ მწერე ძველი მისამართით. ანუ Иркутская область, Чунский р-н п/о Ново-Чунка, Чибуиной Александре Ефимовне. ამას თავისი მიზეზი აქვს. კერძოდ ის, რომ ჯერჯერობით მყარად არ ვარ რომელიმე ადგილზე. ველი ადგილის შეცვლას, ხოლო ეს ქალი ყოველთვის გადმომცემს იქ, სადაც ვიქნები.

ვწერ ცოტ-ცოტას, უხეიროდ, მაგრამ მგონი უკეთესად. ერთ მოთხრობა დავიწყე, ველარაფრით ვერ გავაღწიე ბოლოში. რაღაც მიშლის ხელს. ჯერ ექსპოზიციას კინაღამ შევაკვდი. ეხლა მოგონებაა საჭირო ერთ-ერთი გმირისა. კომპოზიციურად, ჩემის აზრით, ზედმიწევნით სწორი და აუცილებელი დასწყევლოს ღმერთმა, ტემპი ვერ შემირჩევია. ეს, რა თქმა უნდა, ნაწყვეტის შინაგან ექსპრესიას ეხება და არა ფორმას, ან ფრაზის მუსიკას. სიუჟეტი იმდენი არაფერია. უფრო ფსიქოლოგიურ ეტიუდს წააგავს. ერთი სიტყვით, ვნახოთ რაც გამოვა.

ამ წერილს გიგზავნი ძველი მისამართით იმიტომ, რომ ახალი არ ვიცი, დაგვიწყნია მოცემა. მომწერე. „ლაშარელას“ და შენს კრებულს ველი მოუთმენლად.

მოკითხვა მშობლებს და ეთერის.

გისურვებ გამარჯვებას ყველაფერში.

შენი ძმა ჭაბუა ამირეჯიბი.

14 აგვისტო, 1957

გამოგიტყდები, კარგა ხანია მივიღე შენი წერილიც და ბანდეროლიც, მაგრამ პასუხი აქამდე ვერ მოვახერხე. დავიწყე მუშაობა ნორმადარად, აქ, საავადმყოფოში. თვიური ანგარიში, როგორც ყოველთვის და ყველგან, — სამაგალითო, არეულ-დარეულობა საბუთებში და ამიტომ ოცდახუთი ივლისიდან დღემდე უძილო ღამეები. რა თქმა უნდა, წერის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია და დღეს გადავწყვიტე, როგორმე მოგწერო. ამ წერილის გარდა ოთხი კიდევ სხვა მაქვს დასაწერი, ვინაიდან ზემოაღნიშნული ხნის განმავლობაში არც ერთ მიღებულ წერილზე პასუხი არ გამიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ლადო არ ვიცი, როგორ მოხდა და რას მივაწერო, მაგრამ შენი მეორე წერილი, რომელსაც მოუთმენლად ველოდი, არ მიმიღია. წერილების მიღების საქმე ისე მაქვს გაკვარახჭინებული, რომ დაუბრკოლებლად ვღებულობ უშუალოდ ჩუკშის ფოსტიდან. შენი წერილის ცენზურაში მოხვედრა და ამიტომ დაკარგვა გამორიცხულია. საფიქრალია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ: აქამდე არ მოაწია. სადღაც გზაში ან მანდვე დაიკარგა. გული დამწყვიტა ამ ამბავმა მეტისმეტად და არამარტო იმიტომ, იმ წერილს შენი აზრი უნდა მოეტანა, არამედ იმიტომაც, რომ ალბათ შეიცავდა პასუხებს ჩემს შეკითხვებსა და თხოვნებზეც. ერთი სიტყვით ვწუხვარ მის დაკარგვას. ბანდეროლისათვის უსაზღვრო და გულითად მადლობას გიხდი, მაგრამ იცოდე, რომ ამით ვერ დამიძვრები ხელიდან. ილიას პუბლიცისტიკა, ივ. მაჩაბელი და რაც მოგხვდეს ხელში რევოლუციური მოძრაობის დაწყებამდელ პერიოდის შესახებ. ჩემო ლადო! ვიცი და მესმის კარგად, რომ ახლა საქმეებითა ხარ გადატვირთული, ჩემთვის მაინცა და მაინც არ ვცალია. პირადი თუ საზოგადო ჰფლობს მთლიანად შენს გონებასა და განწყობილებას და მიუხედავად შენი გრძნობატევადი ბუნებისა, იქნებ მძიმე ტვირთად გაწევს ჩემდამი ყურადღების მოვალეობა. მაგრამ ჩემის აზრით, ეს მისია სწორედ შენ უნდა იკისრო, ვინაიდან ჩემთვის აუცილებელია მეგობარი-ხელოვანი. ამ მხრივ ობოლი ვარ და მხოლოდ შენი იმედი მაქვს. ადამიანები მეტისმეტად გართულნი არიან საკუთარი პიროვნებით, საკუთარი არსების გარშემო წამოჭრილი საკითხებით და იმდენად გატაცებულნი ყოველივე ამით, რომ ჰგონიათ მხოლოდ მათი სიტყვანი და საქმენი უფრო მნიშვნელოვანია სხვათა სიტყვასა და საქმეზე. ცხოვრება წააგავს დოღს. ყველა ფინიშისკენ მიიწევს, მაგრამ ყველა მხედარი ერთნაირი არ არის. ზოგს არა მარტო პირადი ამოძრავებს, არამედ სურს მიაღწიოს ფინიშის ბაფთს, გავიდეს ფონს, მაგრამ ისე კი, რომ გაიყოლოს სამშვიდობოს მოყვასი თვისი, სხვა არა იყოს რა, იმისთვის მაინც, რომ დაპყრობილ „სამოთხეში“ მარტოობამ არ დათრგუნოს. ზოგნი კი ამას არაფრად დაგიდევენ. საბედნიეროდ შენდა, შენ ის მხედარი ხარ, რომელსაც ლელოს გატანა არამარტო პირადი კეთილდღეობისათვის სურს, არამედ მოყვასისა თავისისათვისაც. ბრალი მათი, ვისშიაც პირადს დაუნთქავს საერთო. ჯვარი სწერია მათაც. მადლობა განგებას, რომ სიავე და ბოროტებაც მოავლინა ჯვარცმულ მსოფლიოს, თორემ სათნოებისა და სიკეთის საზომად რაღას გამოვიყენებდით. „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს...“ და ა. შ. — ეს მოტივი ადამიანთა აზროვნების ისტორიაში აზროვნების ისტორიასავით მოხუცია, ეს მოტივი იმ მარადისობათაგანია, რომელნიც მუდამ აღელვებენ კაცობრიობას და მეც ნუ ჩამომართმევ მანსლურობაში მის აქ მოტანას. არც გახსენება გჭირდება ამდაგვარი. არა ხარ შენ ისეთი კაცი, რომელიც ამ მოტივის შეხსენებას იმსახურებს. ეს ქათინაური არ არის, — ჩემი აზრია. სიყვარული და გულშემატკივრობა რომ გეყოფა, ვიცი, მაგრამ გეყოფა თუ არა დრო? თუ გაბეზრებს თავს ჩემზედ ზრუნვა, უნდა შემატყობინო გულახდილად, ღმერთია მოწამე, არც მეწყინება და არც მგონია, ჩემზე უკეთ გაგიგოს ვინმემ, ხოლო სანამ არ მოგბეზრებივარ, შეპირებული ამისრულე. წამლები რომ გთხოვე, შორს ნუ გადამიდებ, და რაც მთავარია, ლიტერატურა არ მომაკლო. „მნათობის“ ნომერმა ძლიერ დიდი სიამოვნება მომგვარა. მარტო ის რად ღირს, რომ საწყალი ლადო ასათიანი დავიწყებას არ არის მიცემული. გახსოვს, რა ხშირად ვიგონებდით მას? ეგნატე ნინოშვილიც სწორედ რიგიანად მოგისაზრებია. ეს სწორედ ისაა, რაც მჭირდება. აუცილებელია ხელმეორედ გადაკითხვა. ერთი სიტყვით, დიდი მადლობა და სინანული, რომ სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომონ ლეონიძის მჭერმეტყველება არ მოუცია ღმერთს, სრულიად დამსახურებული მადლობის მოსაძღვნელად.

ორიოდე სიტყვა ბიძია გერონტის შესახებ. ყოჩაღ, რომ მოკითხვას გადასცემ ხოლმე და ამჯერად განსაკუთრებით თბილი გულწრფელი სურვილებით აღსავსე მოკითხვას გავალებ. ადამიანო! ერთი საკვირველი გრძნობა თან მდევს ბავშვობიდანვე მაგ პიროვნებისადმი. კერძოდ: რაღაც გადამეტებული რიდი. მის ოჯახში ხშირადაც დავდიოდი, როგორც ძმისწული და ბიძაშვილი. იცი, ძალიან მოსიყვარულე და თბილი ადამიანია, ჩინებული ნათესავი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შინაურები ვართ, მაგ ადამიანში ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც ისეთ ძალას, რომელსაც განსაზღვრულ მანძილზე ვეჭირე მუდამ. ჩვენს ოჯახში ძლიერ ხშირი სტუმრები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე და სხვანი და სხვანი ეთიმ გურჯით დამთავრებული, მაგრამ ბიძია გერონტი სულ სხვანაირ სიდიდედ მეჩვენებოდა ყოველთვის და ახლაც რატომღაც მოკითხვაც კი რომ გადასცე შენ, ამისიც მერიდება. შეიძლება ამაში ისიც თამაშობდეს როლს, ჩემი ბედისწერა — თავგადასავალით მღელვარება მივაყენე საკმაოდ საგრძნობი. ისე მენატრება მისი ნახვა. მისი დარბაისლური, განუმეორებელი იერი და მუსაიფის მანერა, რომ შინ დაბრუნების სურვილის მთავარი ნაწილი ბიძია გერონტის ნახვაა. ნეტავი როდის ვეღირსები ასეთ დღეს?

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩემი საქმისა და ჯანმრთელობის გარშემო. ორი-სამი დღის წინ როდამის წერილი მივიღე. გაასაჩივრეს მთავარ სამხედრო პროკურატურაში, მაგრამ წელიწადზე ადრე არაფერი იქნებაო, მოთმინებას მირჩევს. ისე გამოდის „ერთმან კაცმან კაცი ნახა, ჩავარდნილი შიგან ჭასა“. რა გზა მაქვს არ მოვითმინო? ერთი სიტყვით, წინ არაფერი მოჩანს დამამშვიდებელი, გარდა ანდაზისა: „აცე, ვირო! ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო“. რაც შეეხება ჯანმრთელობას, თითქოს არა მიშავს რა. ყოველშემთხვევაში მიუხედავად პნევმოტორაქსისა უკეთ ვარ, ვიდრე მაშინ, ერთად რო ვიყავით. ან იქნებ მივეჩვიე ჯანმრთელობის ამგვარ მდგომარეობას. არ ვიცი. ამით მოვრჩები საყოფაცხოვრებო წვრილმანებს..ჰო! ფესტვენიძისა არაფერი ვიცი, ხოლო ვახტანგი გუნაშვილი რაც ლენაზე მოვიდა, მას შემდეგ აღარ გავყრილვართ. ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, ვერ იცოცხლებს, მაგრამ ადამიანს თურმე მეტი შესძლებია, ვიდრე ჩვენ გვგონია. სასამართლომ ორჯერ უთხრა უარი, მესამედ — მოსკოვის კომისიამ. ახლა საჩივარის პასუხს ელის. ლოგინიდან ვეღარ დგება. ვუვლი, რაც შემიძლია, მაგრამ რას გავხდები, როდესაც თითონ არ უნდა სიცოცხლე. ამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში სისტემატურად და დაჟინებით იწამლავს თავს კოდეინით, ხოლო წამლებს არ სვამს და ექიმის რჩევა-დარიგებებს არაფრად აგდებს. სიცოცხლე რომ უნდოდეს, ასე ხომ არ მოიქცეოდა? გადავეცი შენი მოკითხვა. დიდათ გაიხარა და მთხოვა მოგწერო მისგან შემდეგი: დიდი მადლობა, რომ ვახსოვარო, ჩემს მდგომარეობაში ასეთი მოკითხვა და ძმური სალამი ყოველგვარ მკურნალობაზე უმჯობესიაო.

ძლიერ დამაინტერესა შენი სცენარისტობის ამბავმა, მეტიც — ამაღელვა. ეს ძლიერ კარგი ნაბიჯი გადაგიდგამს, ღმერთმანი. ჩემის აზრით თანამედროვე ხელოვანმა კინოს არამც და არამც არ უნდა აუქციოს გზა. ეს ჟანრი ჩვენი საუკუნის ჟანრია და ამიტომ საყურადღებო ჩვენთვის. თუმცა ეს უკანასკნელი წელიწადი კინოს ჩავახარჯე, მაინც მდგრადი და დასრულებული აზრები თითქმის არ მაქვს. მთელი ჩემი მუშაობა, დაუსრულებელი ძიებაა და არჩევანი. რატომღაც მწამს, რომ სცენარი უეჭველად გამოგივათ. ერთი აზრი მინდა გამოვთქვა თვალსაზრისის გაზიარების სახით, ოღონდ აქვე ვაღიარებ, რომ არც ორიგინალურობის პრეტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიის მქონეა ეს აზრი და არც ორიგინალურობას მოკლებული. ჩემი საკუთარია თუ სხვისია, არც ამას აქვს მნიშვნელობა, სხვისი არ არის იმიტომ, რომ პირდაპირ ამგვარი სახით არსად შემხვედრია, ჩემი არ არის იმიტომ, რომ სხვათა მრავალი შეხედულებებიდან არის ნასესხები.

ყველას ამოუჩემებია და ერთხმად გაიძახის ყველა, რომ კინოხელოვნება სინთეტური ხელოვნება არისო, კინო შეიცავს ხელოვნების ყველა ჟანრებსაო, კინოს ახასიათებს კომპილატიურობაო, კინო-ხელოვნება შესდგება ხელოვნების სხვა ჟანრების ელემენტებისგანაო. ასე: თურმე კინოს სკულპტურის უძრავი მოძრაობაც სჩვევია, ფერწერის განათება და რაკურსიც, ლექსის სისხარტეც, პროზის დეტალურობა და ფსიქიური ანალიზიც, თეატრის სივრცე და დროც, მუსიკის ლეიტ-მოტივურობაც. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს დებულება ასეთი თუ სხვა სახით აღიარებული საძირკვლიანად მისანგრევია და დასაშლელი. იმისთვის, რომ განისაზღვროს ჟანრის რაობა, სრულიადაც არ არის საკმარისი მრავალი, ერთი შეხედვით დამახასიათებელი ელემენტების ჩამოთვლა, მხედველობაში მაქვს სხვა ჟანრებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ მოვლენა თუ გარკვეული ფორმა ცნობიერებისა, უპირველესად ყოვლისა ვიპოვოთ და აღვნიშნოთ ისეთი თვისება, რომელიც მხოლოდ ამ მოვლენას თუ ცნობიერების ფორმას ახასიათებს, თვისება, რომელსაც მხოლოდ ეს მოვლენა თუ ცნობიერების ფორმა შეიცავს. იმისათვის, რომ კინოხელოვნების თავისებურობა და ჟანრობრივი ორიგინალურობა შევიცნოთ, უპირველესად ყოვლისა საჭიროა მოვნახოთ ისეთი თვისება, რომელიც მხოლოდ კინოს ახასიათებს. ასეთი კი უდავოთ არის. რა? ვპასუხობ: რამდენიც არ უნდა ვეძებოთ ნაწარმოები, ხელოვნების ნიმუში, რომელშიც მკითხველი თუ მაყურებელი უშუალო მონაწილეობას იღებდეს, ვერ ვიპოვით. არ დაწერილა პროზა, რომელშიც მკითხველი გმირთან თანაბრდებოდეს, ანუ მკითხველი მხოლოდ გრძნობს და განიცდის გმირს, მაგრამ არასოდეს არ სცვლის მას. არ შექმნილა ლექსი, რომელსაც შესძლებოდეს მასში გამოხატული სახის შეცვლა მკითხველის არსებით. მკითხველი მხოლოდ გრძნობს და განიცდის სახეს, მაგრამ არასოდეს არ აყენებს თავს სახის მაგივრად. არ გამოქანდაკებულა სკულპტურა, რომელსაც აეძულებინოს ადამიანი თავისი თავი წარმოედგინოს მასში, მაყურებელია ადამიანი, მგრძნობი და განმცდელი ქანდაკებაში განსახიერებული გრძნობებისა და აზრებისა და არა ერთერთი გრძნობა ან განცდა ქანდაკებაში ჩაკირული. არ არის ნატურმორტი, რომელშიაც მაყურებელმა ვაშლად იგრძნოს თავი ან ჟანრული ფერწერა, სადაც მაყურებელმა ქრისტედ ან ზაპოროჟელ კაზაკად ჩათვალოს თავი. არ განხორციელებულა თეატრალური დადგმა, რომელშიც მაყურებელმა წამით მაინც ჩათვალოს თავი სიტუაციის უშუალო მონაწილედ. ხელოვნება ადამიანისგარეთია და არა ადამიანის შიგნითი. მართალია ხელოვნების ისტორიას მრავალი მაგალითი მოეპოვება ისეთი, როდესაც მაყურებელმა გმირს ესროლა პარტერიდან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ოტელოს პიროვნება შეცვალა სცენაზე და ღირსეული ხვედრი მიუზღო იაგოს, არამედ იმიტომ, რომ სიტუაციამ აღაშფოთა იგი, მას მხოლოდ გმირის განცდები და გრძნობები გადაედო. ბევრი ცრემლი დაღვრილა გმირის ბედზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მწერალმა აიძულა მკითხველი გმირის ადგილი დაეკავებია ნაწარმოებში, არამედ იმიტომ, რომ გმირის განცდებმა გამოხმაურება ჰპოვეს მკითხველის სულში. ერთი სიტყვით, არ არის ხელოვნების ჟანრი, რომელსაც ძალუძდეს გმირისა და მკითხველის (მნახველის, მაყურებლის) გაიგივება, იდენტიფიცირება, ერთადერთი ადამიანი, რომელიც მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობს ფუნქციაში, ოსტატია, შემქმნელი, ხელოვანი. სხვა არავინ. ხელოვნების ყველა ჟანრს შესწევს უნარი გამოითიშოს ადამიანის ცნობიერება არსებული გარემოდან, სინამდვილიდან და გადაისროლოს თავის სამყაროში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი სიტუაციის მონაწილე ხდებოდეს. **არა, უშუალო მონაწილე იგი მხოლოდ კინოში ხდება, მხოლოდ კინოში.** ყოველივე ზემოთქმული ხელოვნების ის აუცილებელი პირობაა, რომელსაც ობიექტისა და სუბიექტის სინთეზი ეწოდება, მაგრამ კინოს თვისება სინთეზიც არის და გაიგივებაც. სინთეზი იმდენად ახასიათებს კინოს, რამდენადაც იგი ხელოვნების ერთ-ერთი დარგია და მაშასადამე გააჩნია აუცილებელი პირობა ობიექტისა და სუბიექტის სინთეზისა, ხოლო მაყურებლისა და გმირის გაიგივება, იდენტიფიცირება, მაყურებლის უშუალო მონაწილეობა სიტუაციაში, მხოლოდ კინოსთვის დამახასიათებელი თვისებაა.

ვერ ვიტყვი, საკმარისად გასაგებად გადმოგეცი თუ არა ჩემი აზრი. იქნებ შთამაგონებელი არ იყოს ჩემი მსჯელობა, მაგრამ ძირითადად ეს ასეა. სცენარის წარმატების უპირველესი პირობაა, მისი მკითხველის ანუ დამდგმელი კოლექტივის წევრთა გაიგივება-იდენტიფიცირება გმირებთან. სცენარი უპირველესად ყოვლისა ლაღუმი უნდა იყოს, ფეთქებადი ნივთიერება, რომელმაც უნდა სამოქმედოდ აღძრას დამდგმელი კოლექტივის შემოქმედებითი ძალა, ხოლო ამის გამოწვევა ზემოთგანხილულ ხერხზე უკეთ არაფერს შეუძლია. საკმაოდ დაგღალე ალბათ და წაგართვი დრო, მაგრამ რა ვქნა, რომ ვინმესთან საუბარი აუცილებელია ჩემთვის

მივიღე შენი მეოთხე წერილი ეზეცაა ახლა, გერონტის წერილიანი „ლიტგაზეთი". ბარაქალა, ძმაო, რომ არ მივიწყებ. იქნებ როდისმე ინებოს ღმერთმა და მოგიზღო სამაგიერო ძმობით და მეგობრობით. ოთახი რომ გიქირავებია, მასე ჯობია, სამას მანეთს როგორც იქნება აუხვალ ყოველთვიურად, სამაგიეროდ უფრო მოსვენება იქნება, მუშაობა გაგიადვილდება.

არ ინება ღმერთმა ამ წერილის დამთავრება. ეს არის ეხლა დამიძახეს სასწრაფოდ. მივდივარ ზაიარსკში. მიბარებს უზენაესი საბჭოს კომისია, ალბათ საქმის გადასინჯავად. იქნება ცაცა ნახო და უთხრა, თორემ ვაპირებდი ამ წერილის შემდეგ წერილის მიწერას მასთან და ველარ ვასწრებ. მთავარი, რისი მოწერაც მინდოდა, ვერ მოვასწარი, — შენი „მნათობში" გამოქვეყნებული ლექსების შესახებ რამოდენიმე შენიშვნა მაქვს. იქნება ზაიარსკიდან მოგაწოდო ამ წერილის გაგრძელება. ჯერჯერობით კი: თქვა ჭაბუკამან — ლადო ასათიანური:

რად დაასწავლე რედაქტორთ ღმერთო,
უნაკლო ლექსში ნაკლის პოვნანი, —
— „პატარა ჩიხში" ლექსია ერთობ
ნაკალანდაძარ-ნაჩიქოვნარი.

ძმაო ლადო, წამლები, რომლებიც გთხოვე, უეჭველად მჭირდება მიუხედავად საქმის გადასინჯვის ნებისმიერი შედეგისა. ამიტომ ვერ განთავისუფლებ ამ ბეგარისაგან და გთხოვ გამომიგზავნო იმავე მისამართით, იმავე წესით, რაც შეიძლება მალე და რამდენიც შეძლო.

აბა, იყავი მაგრად და მისურვე გამარჯვება!

ჭაბუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მიბაჩუანი

ვინ მოუგო ომი ქართველებს

(პასუხი ბ-ონ ვ. კოჟინოვს)

ქართველი და რუსი ხალხების კეთილმეგობრული და მეზობლური ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა ურთიერთ დაახლოების სულიერ მისწრაფებათა საფუძველზე. მას დრო და დრო განამტკიცებდნენ მოწინავე ქართული და რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ მეგობრობის ხიდს საძირკველს უთხრიდნენ. მე-19 საუკუნეში ანტიქართული განწყობით განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ვინმე კატკოვმა, რომელსაც დიდმა ილია ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი გასცა. მეოცე საუკუნეში ჩვენს ხალხებს შორის სიძულვილის დანერგვის პროპაგანდით სახელი გაითქვეს ლ. და ი. ვორონოვებმა, ასტაფიევმა, კოჟინოვმა, ზატულინმა, ბაბურინმა, ჟირინოვსკიმ, კალმიკოვმა, ციკმა, ფინკომ და სხვ.

ცნობილი ენათმეცნიერი, აწ განსვენებული ლენინგრადელი პროფასორი გ. ტურჩანინოვი, რომელიც დასასვენებლად ხშირად ჩამოდიოდა აფხაზეთში, ამტკიცებდა, რომ ანბანური დამწერლობა ფინიკელებმა კი არა, აფხაზთა წინაპრებმა შექმნესო, მაგრამ ამის გამხელის უფლებას ქართველი მეცნიერები არ იძლეოდნენო. ამ სიცრუისათვის ეს სახელოვანი მეცნიერი მსოფლიოს გამოჩენილმა ლინგვისტებმა და ისტორიკოსებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს და ავტორთან ერთად მისი „აღმოჩენის“ მზეც ნება-ნება ჩაესვენა, მაგრამ დარჩა იდეა — აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის მკვებავი შხამი.

უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა მეორე პროფესორის, ი. ვორონოვის სიცრუის მარათონი. ი. ვორონოვმა თავისი სიცრუით (რომელიც აფხაზ სეპარატისტებს რატომღაც ძალიან მოსწონდათ) ალბათ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამასთანავე სახელი და დიდება დაიმკვიდრა აფხაზური ინტელიგენციის ერთ ნაწილში. ამ ყბადაღებულმა, აწ განსვენებულმა, მკვლევარმა აფხაზ სეპარატისტებს გული იმით გაუხარა, რომ თითქოს აფხაზები არიან არა იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის წევრი, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ თავიანთი წარმომავლობით ისინი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ენათესავებიანო სინო-ტიბეტურ, ენისეურ, ინდურ, სუბამერიკულ ენოვან ხალხებს. ცრუ მეცნიერის „მტკიცებით“ მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე (ევროპა, აზია აფრიკა, ამერიკა) მოსახლე ხალხების ეთნოსუბსტრატად აფხაზები ითვლებიანო და ასკვნის:

Абхазы — кровные родственники всех народов земли» («Белая книга Абхазии». М., 1993, с. 23). როგორც ვხედავთ, აფხაზთა წინაპრების ოიკუმენის არეალში ავსტრალია და საქართველო არ შედის. საქართველო რომ არ შედის ეს გასაგებია, მაგრამ რა დააშავა ავსტრალიამ? იქნებ ის, რომ აწ გადაშენებული ბუშმენების სამშობლო იყო?!

ი. ვორონოვმა თავისი ცრუ მეცნიერული აღმოჩენებით დიდად აამო აფხაზ სეპარატისტებსა და მათ დამქაშებს, რის წყალობითაც მან კარიერა გაიკეთა მეცნიერებაშიც და აფხაზეთის ხელისუფლებაშიც, იგი აფხაზეთის ცრუ პრეზიდენტ ვლ. არძინბას მარჯვენა ხელი გახდა. ვლ. არძინბამაც ი. ვორონოვი იმსახურა მანამ სანამ იგი მას სჭირდებოდა, მერე კი...

ტურჩანინოვისა და ვორონოვის მიერ გამასხარავებული აფხაზი ხალხის ისტორიას სეპარატისტები ისეთ გულმოდგინე პროპაგანდას უწევენ, რომ სიცრუის მღვრიე ტალღებმა ლამის ქვეყანა წალეკოს.

მწერალმა ასტაფიევმა თავის დროზე საკადრისი პასუხი მიიღო, ხოლო თუ რას ემყარება პუბლიცისტ-ჟურნალიტის ვ. კოჟინოვის განზრახვა — ჩირქი მოსცხოს ქართველებს და ხოტბა შეასხას აფხაზ სეპარატისტებს, ამაში ახლავე გავერკვევით. აფხაზი სეპარატისტების სამსახურში მდგარი ვ. კოჟინოვი ქართველებისადმი თავის სიძულვილს უხვად ანთხევს ჯერ კიდევ 1993 წელს გამოცემულ ე. წ. „აფხაზეთის თეთრ წიგნში“, სადაც მისი ერთ-ერთი პუბლიკაციიდან, რომელიც „ლიტერიტურნაია როსია“-ში გამოქვეყნდა, ვკითხულობთ:

«Мне кажется чрезвычайно проблематичным плодотворный диалог между весьма уважаемым мной абхазским руководством и весьма неуважаемим — грузинским» (с. 110).

მაშინ ჩეჩნეთის ომი დაწყებული არ იყო და მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ დღეს ჯ. დუდაევთან ალიანსში მყოფი ვლ. არძინბა ვ. კოჟინოვისათვის მიუღებელი ფიგურა იქნება. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვლ. არძინბასა და სხვა აფხაზი სეპარატისტებისადმი სიმპატიებს ვ. კოჟინოვი მტკიცედ იცავს მას მიერ 1995 წლის მარტში, იმავე გაზ. „ლიტერატურნაია როსია“-ში (№11, 12, 13) გამოქვეყნებული წერილების სერიაში, საერთო სათაურით „კავკაზსკი უზელ“, რომელსაც რედაქცია განსაკუთრებულ რეკლამას უკეთებს, ხოლო ჟურნალისტი ვ. კოჟინოვი წარმოდგენილია კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის უბადლო მცოდნედ (?). გამოდის, რომ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსული ის საჯილდაო ქვაა, რომელზეც ხელის წაპოტინების უფლება ყველას ეძლევა, რათა თავისი უნარი მეცნიერებაშიც გამოსცადოს.

აფხაზ სეპარატისტთა „გამარჯვებით“ აღრფრთოვანებული კოჟინოვი ქართველთა ლანძღვაში ქვას-ქვაზე არ ტოვებს, თან ციინიკურად დაგვცინის მ. ლერმონტოვის სიტყვებით „ბეჟალი რობკიე გრუზინი“. კი, ბატონო, გარბოდნენ ქართველები, მაგრამ ვისგან? არძინბას ბანდებისაგან, თუ რუსეთის კბილებამდე შეიარაღებული, უახლოესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი არმიისაგან, რომელმაც მიწასთან გაასწორა აფხაზეთის სოფლები და ქალაქები, ფერფლად აქცია წალკოტად ქცეული ზღვისპირა კურორტები, მუსრი გაავლო აფხაზეთის მოსახლეობას, მათ შორის 30 ათას ქართველს. რუსეთის არმიას საქართველომ კი არა, მილიტარისტულმა გერმანიამაც ვერ გაუძლო, რომლის ხელშიც თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ევროპის სამხედრო პოტენციალი იყრიდა თავს. იმპერიის არმადის შემოტევებს თუ ქართველებმა ვერ გაუძლეს, განა ეს გასაკვირია? მაშინ იგივე უნდა ითქვას საბჭოთა რუსეთზეც და საბჭოთა არმიაზეც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე უკან იხევდა, ბრძოლის ველიდან გარბოდნენ და მხოლოდ მოსკოვთან შეჩერდნენ და სხვ. თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, ბატონო კოჟინოვ, რომ ეს იყო აფხაზების ეგიდით წარმართული რუსეთ-საქართველოს ომი, ომი სასტიკი და ულმობელი, სადაც რუსეთის მხარემ ყველა თავისი შესაძლებლობლები გამოიყენა, გარდა წყალბადისა და ატომური ბომბებისა, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ამის გამჟღავნებას ოფიციალურად ქართული მხარე ერიდებოდა, იმ იმედით რომ რუსეთშიც გამოჩნდებოდნენ გონივრული ძალები, რომლებიც ამ უაზრო სისხლისღვრას წერტილს დაუსვამდნენ... დღეს თქვენ გვაიძულებთ, რომ სიმართლე ვთქვათ, თუმცა საქართველოში ეს სიმართლე არც აქამდე დაუმალავს ვინმეს. აფხაზები ამ ომში ჭადრაკის ფიგურები იყვნენ, არძინბა კი იმ ჭანჭიკის როლს ასრულებდა, რომლის სამართავი პულტიც მოსკოვშია. ეს ომი წლების განმავლობაში მზადდებოდა. აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთის იმპერიისათვის ის საცეცხლე წერტილები იყო, რომელიც მას საჭიროების შემთხვევაში უნდა აემოქმედებინა, ასეც მოხდა, მაგრამ თქვენ იმდენი ვაჟკაცობა არ გაქვთ, რომ სიმართლე აღიაროთ, დიახ, სიმართლის თქმა მხოლოდ უმამაცეს ადამიანთა ხვედრია, საბედნიეროდ რუსეთში ასეთებიც არიან, იყვნენ და იქნებიან მომავალშიც. თქვენისთანა პროვოკატორებსა და სეირის მაყურებლებს არც ერთი ხალხისათვის სიკეთე არ მოუტანია და ვერც მოიტანენ. ქართველები თქვენისთანა ვაი-კალმოსნებს დასაცინი, რომ იყვნენ, მაშინ ისინი ვერც დღემდე მოაღწევდნენ თავიანთი უძველესი ცივილიზაციით, კულტურით, მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერებით, მწერლებით, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეებით. ბრძოლის ველზე ქართველის სიმამაცეს აღფრთოვანებაში მოჰყავდა ყველა დროის გამოჩენილი ადამიანი. დიდი ფრანგი მწერალი ალ. დიუმა (1803-1870 წწ.). ამასთან დაკავშირებით წერდა: „ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ“. ბრძოლის ველზე ქართველთა დამარცხების მიზეზი ყოველთვის მათი განსაკუთრებული მცირერიცხოვნება იყო, თუმცა ყველა ბრძოლებში ისინი მუდამ მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებდნენ გონიერებისა და სიმამაცის წყალობით.

თუ თქვენ, ბატონო კოჟინოვ, რუსეთის ისტორიაში გათვითცნობიერებული ხართ, მაშინ ალბათ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ 1812 წლის სამამულო ომის გმირი პეტრე ბაგრატიონი ეროვნებით ქართველი გახლდათ. სხვათაშორის, ბოროდინოს ბრძოლის წინ ნაპოლეონმა მეფის ელჩს ასეთი რამ უთხრა: „რუსეთში ამჟამად არ არიან კარგი გენერლები. ერთად ერთი გამონაკლისია ბაგრატიონი“. პეტრე ბაგრატიონი საქართველოს სამეფოს იმ დინასტიის შტოს განეკუთვნებოდა, რომელიც რუსეთის ცარიზმმა დედა-ბუდიანად მოსპო....

აფხაზეთის პროვოკაციულ ომში ქართველმა მეომრებმა გაუგონარი სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს. 1993 წლის იანვარში , მარტში, ივლისში, როცა რუსეთის არმიის ნაწილები ჯიქურ უტევდნენ ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან. მცირერიცხოვანმა ქართველმა სახალხო რაზმელებმა სამივეჯერ მოიგერიეს იერიში. ვინ ცის, რამდენმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა გაიმეორა კოშევოის, კოსმოდემიანსკაიას, მატროსოვისა თუ გასტელოს გმირობა. რუსეთის არმადასთან ერთად ქართულ მხარეს უტევდნენ ე. წ. კონფედერაციის მოიერიშე რაზმები, კაზაკთა შენაერთები. ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლებს რუსეთის არმიის გენერალიტეტი გეგმავდა. გასაკვირი ის არის, თუ როგორ შესძლეს ქართველთა მოხალისე რაზმებმა მთელი წლის განმავლობაში ძლიერი ინტერვენციის შეჩერება. ქართველთა ამ სიმამაცემ და ქედმოუხრელობამ გააცოფა მოწინააღმდეგე და რადგან პირდაპირი ბრძოლით ვერაფერს გახდა, მუხანათურ ხერხს მიმართა — ქართველთა მოტყუების მიზნით ხელი მოაწერეს 1993 წლის 27 ივლისს ე. წ. სამშვიდობო ხელშეკრულებას. რუსეთი მშვიდობის გარანტად გამოდიოდა. ქართველები ენდნენ რუსეთის ხელისუფლებას. სამშვიდობო ხელშეკრულება აფხაზეთის დემილიტარიზაციას ითვალისწინებდა.

მალე საწადელსაც მიაღწიეს — ქართული მხარე პირწმინდად განაიარაღეს. როცა მოწინააღმდეგე დარწმუნდა, რომ ქართული მხარე მთლიანად განიარაღებულია, მისი ზონიდან გაყვანილია საბრძოლო ტექნიკა (რაშიც რუსეთის მხარემ აქტიური დახმარება გაგვიწია), როცა აფხაზეთი დატოვეს ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა, როცა აფხაზეთს დაუბრუნდნენ გახიზნული ქართული ოჯახები, ბავშვები, ქალები და მოხუცები, როცა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა აღსდგა, ამ დროს მოწინააღმდეგემ ვერაგულად დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება და 16 სექტემბერს მუხანათურად თავს დაესხა განიარაღებულ ქართულ მხარეს, დაიწყო ქ. სოხუმის ინტენსიური დაბომბვა ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან. ცეცხლის ალში გახვეული სოხუმი ქარშხლის დროს ოკეანეში მოტორტმანე ხომალდს ჰგავდა. იღუპებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, ინგრეოდნენ მაღლივი კორპუსები, ნადგურდებოდა მატერიალური კულტურის ძეგლები, კულტურის კერები, ათეული წლების განმავლობაში შექმნილი დოვლათი და ბარაქა.

ეს იყო გაუგონარი ღალატი რუსეთის მხრიდან, რომელსაც ენდო ქართული მხარე და ვისაც ეკისრა სამშვიდობო მისია. აქ არაფერ შუაშია აფხაზები. ისინი თქვენი გამოგონილი გმირები არიან. ამ ბინძურ ომში დამარცხდნენ აფხაზებიც და ქართველებიც, რუსებმა კი ამ ომით ჩეჩნეთის ომი მოიპოვეს...

განიარაღებულმა ქართულმა მხარემ ბარბაროსულ დაბომბვას თერთმეტი დღე გაუძლო, ე. ი. მანამ, ვიდრე მთელი ქალაქი მიწასთან არ გაასწორეს. ასეთმა ვითარებამ განაპირობა ქართველთა მარცხი, სოხუმის დატოვება და სამასი ათასი ადამიანის ლტოლვილად ქცევა...

მიუხედავად ამისა, ქართველები თავს დამარცხებულად არ თვლიან... ადრე თუ გვიან პატიოსანი რუსი პოლიტიკოსები ამ სიმართლეს აღიარებენ. ამის პრეცენდენტიც გამოჩნდა, 1994 წლის მარტში, საქართველოში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ბ. ელცინმა, აკი განაცხადა, რომ აფხაზეთის ომთან დაკავშირებით რუსეთი თავის წილ პასუხისმგებლობას არ იხსნისო. რუსეთის პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, ბატონმა შუმეიკომ, 1995 წელს საქართველოში ვიზიტის დროს და რუსეთის ტელევიზიითაც განაცხადა, რომ აფხაზეთის ომთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ „ისტორიული შეცდომა დაუშვა“ და სხვ. მხოლოდ თქვენისთანა ბოროტმზრახველები ამღვრევენ ჩვენ ხალხებს შორის წყალს, რომლის სიწმინდის დაცვას საუკუნეების განმავლობაში ვცდილობთ. მაგრამ ნუ გავიწყდებათ გენიალური შოთა რუსთაველის შეგონება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ეს ისტორიულად დასაბუთებული ჭეშმარიტებაა!

ქართველები ღირსეულ მტერს ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდნენ. მათ ამ ღირსებას მტერიც უფასებდათ (გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაკლისია რეაქციული რუსეთი). აი, რას წერდა ამის შესახებ ფრანგი ავტორი რემონ დიუგე: „გასაკვირია, ისეთი მტრებიც კი, როგორიც იყვნენ მონღოლები, თურქები, პატივს სცემდნენ ქართველებს. ეს იმ დროს, როცა სხვა მეზობელი ხალხების მიმართ ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი. საოცარია ქართველებისადმი ეს პატივისცემა მათი ყველაზე დაუძინებელი მტრების მხრიდან“ (რ. დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ. 31. ეს ნაშრომი ფრანგულ ენაზე 1927 წ. გამოიცა).

ქართველები მ. ლერმონტოვის ნიჭის თაყვანისმცემლები არიან. არც ლერმონტოვი იყო ქართველების მიმართ გულგრილი. მ. ლერმონტოვის ის სიტყვები, რომელსაც თქვენ ოქტომბრის დროშასავით აფრიალებთ, იმ გაგებით არ უთქვამს, რა გაგებითაც გსურთ გაიგოთ. დიდი რუსი პოეტი ქართველთა შემართების, კაცურკაცობის, რაინდობისა და სტუმარ-მასპინძლობის მეხოტბე იყო. ერთგან პოეტი წერდა:

„ხანჯალო ჩემო, რვალისაო
მიყვარხარ მეტად,
გიმზერ ამხანაგს მოელვარეს,
ცივსა და მჭრელსა.
შენ შურისმგებლად ფიქრიანმა
ქართველმა გჭედა...“

ამ სტრიქონებში ქართველებისადმი დიდი სიმპათია და თანაგრძნობაა გამოხატული, მაგრამ თქვენ მხოლოდ თქვენთვის სასიამოვნო ციტატებს იშველიებთ. ქართველებს კი ღმერთმა ნუ მოუშალოს შურისმგებელი ქართული ხმალი.

თუ თქვენ მაინც და მაინც გსურთ, რომ სხვათა სიტყვების გაუკუღმართებით აფსუა სეპარატისტები ქართველებზე მაღლა დააყენოთ და ამით ჩირქი მოსცხოთ ჩვენს ხალხს, იძულებული ვარ მეც სხვისი სიტყვებით გიპასუხოთ, უფრო სწორად თქვენი მემამულის, გენერლისა და სამხედრო ისტორიკოსის, აკადემიკოს ნ. დუბროვინის (1837-1904), რომელიც წერს:

«Абхазец вообще грубъ и невежественен, в нем нет стойкости характера, он непостоянен, не смел и даже робок, вероломен и всегда покорен перед сильнейшим» (Н. Дубровин, Соб. соч., т. I, 1871, с. 39).

დავიჯეროთ, რომ ყველა აფხაზი ასეთია? თუ გნებავთ, რუსებზეც მოგახსენებთ დიდი ფრანგი მეცნიერის ელიზე რეკლიუს (1830-1905) ნათქვამს: „როგორც ჩრდილოეთის მხარეს ხილი კარგად ვერ დამწიფდება, ისე ჩრდილოეთის ცის ქვეშ მყოფი რუსი ხალხის გონება უმწიფარია პოლიტიკურად და საეჭვოა ოდესმე დამწიფდეს.“

დავიჯეროთ, რომ ეს მართლა ასეა?

თქვენს დასაცინ ქართველებზე სხვა რამეს ამბობდა იტალიელი მოგზაური და ისტორიკოსი პიეტრო დელა ვალე (1586-1652): „შაჰ-აბასს უნდოდა ქართველების სრული მოსპობა და მდიდარი ქვეყნის ხელში ჩაგდება... შახს განსაკუთრებით ეშინოდა ქართველებისა, რადგან იცოდა, მათი საბოლოოდ დამორჩილება შეუძლებელი იყო. ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებ ერთიანნი! ცდილობენ შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ... საერთოდ, წყნარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან; მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარნი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება“ (პიეტრო დელა ვალე, სპარსეთის მეფის აბასის მდგომარეობა, 1628 წ.).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მე-17 ს. პირველ ნახევარში ევროპელმა ავტორმა ზუსტად გამოიცნო ქართველთა ხასიათი, და თვისებები, ხოლო ღღევანდელ რუს კოჟინოვს ქართველებზე ერთი კეთილი სიტყვაც არ წასცდენია, ცუდი – რამდენიც გნებავთ. განა ამას არ ჰქვია დაკომპლექსებული დერჟამორდი?

რასაც იტალიელი ავტორი წერს, ქართველებმა ყველა ეს თვისება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც გამოავლინეს, რითაც ბოროტად ისარგებლა მოწინააღმდეგემ. რაც შეეხება შაჰ-აბასს და სხვებს, რომლებმაც არაერთხელ სცადეს ქართველთა მოსპობა, — აუხდენელ ოცნებად დარჩათ სამაგიეროდ მოისპო მათი ძლევამოსილი იმპერიები, საქართველო კი საქართველოდ დარჩა.

რუსეთის რეაქციულ წრეებს იგივე მიზანი ამოძრავებდათ და ამოძრავებთ დღესაც, ამიტომ მართალია ლ. კუზმიჩევა, როდესაც წერს: „ჩვენ, რუსები, მივეჩვიეთ „უფროსი ძმის“ როლს და მოვუსპეთ ქართველებს საშუალება იცხოვრონ საკუთარ სახლში, როგორც მისმა პატრონებმა“. საკუთარ სახლში ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევენ თქვენისთანა რეაქციონერი მწერლები და მეცნიერები, ვაი-პოლიტიკოსები და ცრუ-პატრიოტები, რომელთა პასკვილები ხშირად პოლიტიკური ამინდის რადიკალურ ცვლილებებს იწვევს. ეს აქვს მხედველობაში გამოჩენილ რუს პოეტს რიმა კაზაკოვას, როცა წერს: „რუს-ქართველთა მეგობრობას ბზარი გაავლეს 9 აპრილს... მთელმა ერმა უნდა აგოს პასუხი... ერთი უმადური კალმოსნის — ასტაფიევის თევზაობის გამო. მე არაფერი ბრალი არ მიმიძღვის, მაგრამ მინდა დავიჩოქო, შენდობა გთხოვოთ იმ ურიცხვი რუსის სახელით, რომელნიც თქვენს უბედურებას საკუთარივით განიცდიდა“.

დიახ, ქართველებს ბევრი კეთილის მსურველი და გულშემატკივარი ჰყავთ რუსეთში. თქვენ და თქვენი გაზეთი უმცირესობათა რიცხვს ეკუთვნით.

განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ სსრკ-ს ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში რუსები დევნასა და შევიწროებას განიცდიან, გამონაკლისია მხოლოდ საქართველო. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ რუსეთის ოფიციალურ წრეებში მაღალი რანგის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები: ამაზე თვალს თქვენ და თქვენისთანა პროვოკატორები ხუჭავენ ხოლმე.

9 აპრილს თბილისში დატრიალებული უბედურობით შეძრწუნებული — აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი ამბობდა: „რაც აქ მოხდა 9 აპრილს, შემზარავი დანაშაულია... აქვე მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა სიმპათიები ქართველი ერის მიმართ. ეს ის ხალხია, ვინც ისტორიის რთულ ქარტეხილებს გაუძლო და დღემდე შეინარჩუნა თვითმყოფობა, მაღალი კულტურა“.

სხვათაშორის, როცა 9 აპრილის ტრაგედიის ამბავი აფხაზმა სეპარატისტებმა გაიგეს, გუდაუთაში თავი მოიყარეს, ხარები დაკლეს და ლხინი გამართეს. აი, ვის ასხამთ ხოტბას, ბატონო კოჟინოვ, თან ცინიკურად დასცინით თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს. ეს თქვენისთანა „ჰუმანისტი“ ვაი-კალმოსნის მხრიდან გასაკვირი შეიძლება არც იყოს, რადგან საკუთარ ცხვირს იქით ვინც ვერ იხედება, მას რეალობის შეგრძნება ღალატობს. ცნობილი შვეიცარიელი მოღვაწე ედგარ მილო კი ასე ფიქრობს: „კაცობრიობა ვერ განთავისუფლდება, თუ საქართველო არ განთავისუფლდა“. ეს სიტყვები მას ათქმევინა ქართული მწერლობის, ხელოვნების, კულტურის, ქართული გენიის ღრმად შეცნობამ, რაც თქვენ დღემდე ვერ აღიქვით. სამაგიეროდ ხოტბას ასხამთ აფხაზურ ფაშიზმს, სეპარატისტთა მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს.

მიუხედავად იმისა, რომ ვლ. არძინბას უკვე ჩამოშორდნენ ზოგიერთი მისი უახლოესი თანამებრძოლები, რომლებიც გრძნობენ თუ რა მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, თქვენ მაინც მისი ერთგული რჩებით. უფრო მეტიც აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოდიან საერთაშორისო ორგანიზაციები, დსთ-ს ქვეყნები, თქვენ მაინც აფხაზურ ფაშიზმს ასხამთ ხოტბას. საინტერესოა, რა ისეთი შარბათი გასვათ ვლ. არძინბამ, რომ მისადმი სამსახურს რუსეთის ინტერესებსაც კი სწირავთ თქვენ და თქვენი გაზეთი „ლიტერატურნაია როსია“. თავის დროზე თქვენისთანა ერთგული მეხოტბენი ადოლფ ჰიტლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსაც არ აკლდა, მაგრამ ფიურერთან ერთად, მათი პარნასის მზეც ჩაესვენა..;

ყველა დიდ რუს მწერალს საქართველო კეთილშობილების გრძნობას უორკეცებდა: „მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“, — წერდა ლევ ტოლსტოი. არც საშუალო მწერლებმა და თუ გნებავთ რუსმა ჟურნალისტებმა დაიშურეს თავიანთი თბილი სიტყვა საქართველოს მიმართ. მაშ, თქვენ რამ მოგწამლათ? იქნებ კომუნისტური რეჟიმის ნოსტალგია გჭირთ და ამით იყო განპირობებული თქვენი გაბოროტება? სხვათაშორის, კომუნისტებიც აღფრთოვანებაში მოჰყავდა საქართველოს და მის ხალხს: „საბჭოთა ხალხებს შორის საქართველო ყველაზე უფრო ძველი კულტურის ქვეყანაა“ (მ. კალინინი).

ქართველებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურის საგანძურში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ბრძოლების ისტორია ქრისტიანული სამყაროს დაცვის საქმეში, რასაც განსაკუთრებული შეფასება მისცა ცნობილმა ავსტრიელმა პოეტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ჰაინეს პრემიის ლაურეატმა ჰუგო ჰუპერტმა (1902—1982); „თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთანები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“.

თქვენ მკითხველებს უსაბუთებთ, რომ აფხაზებზე განსაკუთრებით ხართ შეყვარებული. ჩვენ კი გვგონია, რომ თქვენ უფრო აფხაზეთის კურორტებზე ხართ შეყვარებული. ვინ იცის, იქნებ ვლ. არძინბასთან სარფიან გარიგებას ვერ ელევით და თქვენი ოინებიც ამის შედეგია?! ი. ვორონოვივით, თქვენც აფხაზეთსა და მის ისტორიას საქართველოს კი არა, მსოფლიოს შემადგენელ ნაწილად თვლით. კი, ბატონო, საქართველოც ხომ მსოფლიოს შემადგენელი ნაწილია, სხვათაშორის — რუსეთიც, მაგრამ იმავე სტატიაში, როცა ჩეჩნეთზე წერთ, ასეთ რამეს არ ამბობთ. ჩეჩნეთში რუსეთის მოქმედებას ამართლებთ, რადგან ჩეჩნეთი მე-18 საუკუნიდან რუსეთის ნაწილიაო. აფხაზეთი, რომ უხსოვარი დროიდან საქართველოს ორგანული ნაწილია, ამას ანგარიშს არ უწევთ. თქვენგან ისიც მოსალოდნელია, რომ საქართველოს სხვა კუთხეებიც (სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი და ა. შ.) ცალკე, სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადოთ. გიმეორებთ, რომ აფხაზეთი ისეთივე საქართველოა, როგორი რუსეთიც არის ასტრახანის, სმოლენსკის, არხანგელსკის, კუიბიშევის... ოლქები. 1989 წლის მონაცემებით, აფხაზები საქართველოში მოსახლეობის 1,8 პროცენტს შეადგენდნენ. ზემოთ ჩამოთვლილ რუსულ ოლქებში ამაზე გაცილებით მეტი არარუსი მოსახლეობა ცხოვრობს. ბოლშევიკებმა საქართველოში სამი ავტონომიური ოლქი შექმნეს, რუსეთში კი 31. თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, მაშინ რუსეთში 31 კი არა, 244 ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკა უნდა შეექმნათ, რადგან რუსეთი საქართველოზე 244-ჯერ უფრო დიდია ტერიტორიული და არარუსი მოსახლეობის კომპაქტური დასახლების თვალსაზრისით. მაგრამ ამაზე უკვე ლაპარაკი არ ღირს.

თქვენ ჯ. დუდაევს ამტყუნებთ, ვლ. არძინბას კი ამართლებთ, მაშინ როცა ვლ. არძინბა ჯ. დუდაევის მოკავშირეა რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთის ომში. ვინ იცის რამდენი თქვენი თანამემამულე განგმირეს აფხაზმა ბოევიკებმა. მაგრამ ეს თქვენ სულაც არ გაწუხებთ, პირადულ ინტერესებთან შედარებით. თქვენს გაზეთსა და რუსეთის რეაქციულ წრეებს ალბათ ჰგონიათ, რომ თქვენ არძინბას რუსეთის ინტერესებისათვის იყენებთ. ასეთი რამ იყო, არძინბა გამოიყენეთ, მაგრამ ამჯერად არძინბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყენებთ თქვენ და თქვენისთანა ვაიპოლიტიკოსებს. არძინბა იმედის თვალით უყურებს მუსულმანურ სამყაროს, თქვენთან კი თვალთმაქცობს, მაგრამ სანამ თქვენ ამას მიხვდებოდეთ, მანამ, ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი

თქვენი აზრით ჩეჩნეთი — რუსეთია, აფხაზეთი კი საქართველო არაა! უცნაური ლოგიკაა! თუმცა არც ისე უცნაური, რადგან საქმე გვაქვს ჩვეულებრივ, რუსული ველიკოდერჟავული აზროვნების ჩვეულებრივ შემთხვევასთან.

სხვათაშორის, რუსეთის რეაქციულ წრეებში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩეჩნები ჩეჩნეთიდან უნდა განდევნონ. სად? — აფხაზეთში! ჩეჩნეთის ტერიტორია და ნავთობი რუსეთს დარჩება. ამით თუ რა პრობლემები შეექმნება საქართველოს, მათ ეს სულაც არ აწუხებთ. ეს აშკარად განაცხადა, 1996 წლის 18 იანვრის რუსეთის ტელევიზიის გადაცემაში („ვზგლიად") ვ. ჟირინოვსკის პარტიის წევრმა, დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა.

ასე, რომ — შუბი ხალთაში არ დაიმალება! არც თქვენი და თქვენი თანამოაზრეების ბოროტი განზრახვა იმალება, ბატონო კოჟინოვ!

ნურავის ნურაფერს ნუ დააბრალებთ, რუსეთის ხმპერიას ანგრევს მისივე პოლიტიკა. ეს ძალიან კარგად ესმით გონიერ რუს პოლიტიკოსებსაც...

გაგრა რომ დაეცემოდა, ეს კოჟინოვს წინასწარ ცოდნია. თუმცა არც ამაშია რაიმე გასაკვირი, რადგან კოჟინოვი რუსეთის გენერალიტეტთან დაახლოებული პირია. ეს საიდუმლოება მან თურმე იმჟამად აფხაზეთში მყოფ ს. ბაბურინს გაანდო. ამასთან დაკავშირებით ვ. კოჟინოვი წერს, რომ ამას ყური მოკრაო მიუნხენის ყბადაღებული რადიოსადგურ „სვობოდას" კორესპონდენტმა, რომელმაც ჩვენი საუბარი იმ დღესვე გაუშვაო. ავტორის თქმით, მისი ამ „წინასწარმეტყველებით" აღფრთოვანებაში მოსულან პოეტი ბაგრატ შინკუბა და მისი თანასოფლელები.

ბ. შინკუბა ომის დაწყებამდე ვლ. არძინბას ოპოზიციაში ედგა, რის გამოც ამ უკანასკნელმა თანამდებობიდან გაანთავისუფლა მისი ვაჟი. ბ. შინკუბა და პროფესორი შალვა ინალ-იფა აფხაზური სეპარატიზმის აღიარებული ლიდერები იყვნენ, ვიდრე მათი აღზრდილი ახალი თაობა მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში ვლ. არძინბას მეთაურობით.

ვ. კოჟინოვი შემდეგ წერს, რომ მართალია აფხაზები რაოდენობრივად უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ ქართველთა მატება ხელოვნურ ხასიათს ატარებდაო. სინამდვილეში საქმე პირიქით იყო. აი, ფაქტებიც: 1886 წელს აფხაზეთის ქალაქებიდან აფხაზები ცხოვრობდნენ მხოლოდ გუდაუთაში (87 სული), თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ამ დროს სოხუმში ორი მამაკაცი და ერთი აფხაზი ქალია დაფიქსირებული. ამ დროს აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (34806) ქართველები შეადგენდნენ. თუ 1886 წელს გუდაუთაში 87 სული აფხაზი ცხოვრობდა, 1989 წელს გუდაუთაში მათი რიცხვი 30541-დე გაიზარდა. ეს რეკორდული მაჩვენებელია მსოფლიო დემოგრაფიის ისტორიაში. დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ ჩაიხედონ მოსახლეობის აღწერის მასალებში და თვითონვე დარწმუნდებიან ამ ჭეშმარიტებაში. ამის შემდეგ ამაზე საუბრის გაგრძელება, ვფიქრობთ არ ღირს. თუმცა იმას კი დავძენდით, რომ აფხაზთა ასეთი სწრაფი ზრდა ხდებოდა არააფხაზების „გააფხაზების" ნიადაგზე, უპირველეს ყოვლისა ქართველების, რომლებიც აფხაზების საერთო რაოდენობის დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენენ და დღემდე ატარებენ ქართულ გვარებს. მათგან აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის ქართული, ხოლო აბსოლუტურმა უმცირესობამ იცის აფსუური (აბაზური). აფსუათა (ასე უწოდებენ თავიანთ თავს ჩრდილო კავკასიური წარმოშობის აფხაზები) 12-13 პროცენტი ადიღურ-აბაზიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოშობისაა, რომელთა ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე იწყება XVI საუკუნის შემდეგ, როცა ერთიანი ფეოდალური საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება თათარ-მონღოლთა სისტემატური შემოსევების შედეგად სამეფო-სამთავროებად იშლება და ქართული მოსახლეობა ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

ქართველთა „გააფხაზება“ 70 წლის მანძილზე გამოიწვია აფხაზთა განსაკუთრებულმა ; პრივილეგირებულმა მდგომარეობამ. ჯერ იყო და აფხაზებს სამხედრო სამსახურში არ იწვევდნენ. შემდეგ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთ დაპირისპირების მიზნით, აფხაზებს ისეთი განსაკუთრებული პრივილეგიები შეუქმნეს, როგორიც დღემდე არც ერთ მცირერიცხოვან ერს არ ჰქონია მთელ მსოფლიოში. ასე მაგალითად: აფხაზეთის მოსახლეობის 17,8 %-ს აფხაზები შეადგენდნენ, ხოლო 49 %-ს ქართველები. მიუხედავად ამისა, სსრკ უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო, დანარჩენი სხვა ეროვნებების წარმომადგენლები, აფხაზეთის ასსრ 140 დეპუტატიდან 57 აფხაზი იყო, 53 ქართველი; აფხაზეთის 12 მინისტრიდან 8 აფხაზი იყო, 2 ქართველი... იგივე პრინციპი იყო გატარებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში.

აფხაზებს ჰქონდათ უნივერსიტეტი, ეროვნული სკოლები, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები. მაშინ, როდესაც აფხაზები ავტონომიური რესპუბლიკის საერთო შემოსავლის მხოლოდ 3 %-ს იძლეოდნენ. გარდა ამისა საკავშირო მთავრობის საგანგებო დადგენილებით აფხაზი ახალგაზრდები სსრკ უმაღლეს სასწავლებლებში (მათ შორის საქართველოში) შეღავათებით ირიცხებოდნენ, რამაც აფხაზებში მწარმოებელი მუშახელის რადიკალური შემცირება გამოიწვია. ყველა აფხაზი უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე ხდებოდა.

1991 წელს აფხაზეთში ჩატარდა პარტიულ არჩევნები. აფხაზეთის უზენაეს საბჭოში აფხაზებმა წარადგინეს 28 დეპუტატი, ქართველებმა — 26 და 11-იც დანარჩენებმა. ქართველ დეპუტატთა უმცირესობა მალე ჩამოიშორეს, ხოლო აფხაზეთი საქართველოსაგან გამოყოფილად გამოაცხადეს, რასაც მოჰყვა აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების ნანატრი ომი, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა.

ასეთია სიმართლე, რომელსაც თქვენ გაურბიხართ და მკითხველებს აბდაუბდას თავაზობთ, ბატონო კოჟინოვ.

ვ. კოჟინოვის თავზე სახარების კითხვას აზრი არ აქვს, მგელი მგლობას არ მოიშლის. სხვა მკითხველებს მეტ ინფორმაციასაც მივაწვდით, კერძოდ:

1) 1621 წლამდე აფხაზეთში არც ერთი ჩრდილო კავკასიური წარმოშობის გვარი არ გვხვდება. აფხაზეთის მოსახლეობის ყველა მანამდელი გვარები მხოლოდ ქართულია. ეს დასტურდება აფხაზეთის საეკლესიო, სულთა მატიანებით. ყველა ეს მასალა ქართულ ენაზე ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოქვეყნდა,

2) XVII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი ადილურ-აბაზური წარმოშობის ტოპონიმი არ გვხვდება. ყველა ისინი ქართველურია!

3) აფხაზეთში არ გვხვდება არც ერთი ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლი.

I-დან XVII საუკუნემდე შედგენილ აფხაზეთის არც ერთი რუკა, აფხაზ ავტორებს არ გამოუყენებიათ და არ დაურთავთ თავიანთ შრომებში იმის გამო, რომ ეს მათ ხელს არ აძლევდათ.

გვიანობამდე ჩრდილო კავკასიური წარმოშობის აფსუები (რომლებიც დღეს „აფხაზებად“ იწოდებიან — ავიძბა, აჟიბა, აკაბა, არძინბა, არშბა,...) თავიანთ მიცვალებულებს ჩრდილოეთ კავკასიაში მიასვენებდნენ, ამიტომაც აფსუებს აფხაზეთში სასაფლაოებიც კი არ გააჩნიათ. მათ ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობას ასაბუთებენ ფოლკლორული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალებიც. ასე მაგალითად, 145 წლის მაჟაგვ ადლეიბას თქმით აფსუები ყარაჩაიდან გადმოვსახლდით, როცა აფხაზეთის მოსახლეობის დაცარიელება გავიგეთ"-ო (Труды Абнин, 1934,с. 108). ეს ჩაწერილია აფხაზი მკვლევარის მიერ. ანალოგიური გადმოცემების მოტანა შორს წაგვიყვანდა.

„აფხაზები" ეწოდებოდათ აფხაზეთის ქართველებს მხარის სახელწოდებიდან გამომდინარე. აფსუებმაც ამ სახელქვეშ მონახეს ბინა. ანალოგიურად მხარის სახელით არიან ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები სვანები (სვანეთი) მეგრელები (სამეგრელო), გურულები (გურია), აჭარლები (აჭარა), კახელები (კახეთი), იმერლები (იმერეთი), რაჭველები (რაჭა) და ა. შ.

აფხაზეთი საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი მესაჭე იყო. ეგრის-აფხაზეთის მეფე-მთავრები იყვნენ ხან ადგილობრივი ქართველები (მარუშიან-მარშანიები, შავლიანები, შარვაშიძეები, დადიანები), ხან სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) ბაგრატიონთა წარმომადგენლები. X საუკუნეში კი აფხაზეთისა და გაერთიანებული საქართველოს მეფე ხდება ბაგრატ III ბაგრატიონი, — საქართველოს სამეფო დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი.

აფხაზთა საერო ენა ყოველთვის იყო ქართული, ხოლო IX საუკუნიდან აფხაზეთში და მთელ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა ბერძნულის მაგიერ, აგრეთვე ხდება ქართული.

ყველა აფხაზური დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე (XIX საუკუნემდე).

ვ. კოჟინოვი იმდენად გაუტაცნია აფხაზთა ისტორიის გაიდეალების (მას ყველა აფხაზი ადიღური წარმოშობის ჰგონია), რომ საქართველოს მეფეებიც კი აფხაზებად ჰყავს წარმოდგენილი. კიდევ კარგი, რომ გენიალური შოთა რუსთაველი არ „გააააფხაზა" და მისი „ვეფხისტყაოსანი" ადიღურ ქმნილებად არ გამოაცხადა.

აი, ასეთი გახლავთ კავკასიის ხალხების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში „ღრმად განსწავლული" ბადიმ კოჟინოვის ცოდნის მარაგი, რაც თავისი სიმცდარით მის პოლიტიკურ შეხედულებებს არაფრით არ ჩამოუვარდება.

ვფიქრობთ ამის შემდეგ ვ. კოჟინოვთან, საქართველოს ისტორიის საკითხებზე კამათი არც ღირს.

საქვეყნოდ ცნობილ ტერორისტს, შამილ ბასაევს, რომელმაც ქართველთა გენოციდი არ იკმარა და თავი რუსი ქალების დატერორებაშიც გამოიჩინა, რაც ცნობილი გახდა მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის, აფხაზეთის თვით მარქვია პრეზიდენტის განკარგულებით ძეგლი უნდა დაუდგან სოხუმში თავის ბოევიკებთან ერთად. ეს იქნება ქრისტიანებზე ისლამური ფუნდამენტალიზმის გამარჯვების სიმბოლო. ახლა მე თქვენ გეკითხებით, ბატონო კოჟინოვ, თუ არძინბა და მისი ხელისუფლება თქვენთვის „ვესმა უვაჟაემია", მაშინ იგივე არიან თქვენთვის ბასაევი და დუდაევი. ასეთია ლოგიკა თქვენი აზროვნებისა. გამოდის, რომ თქვენ და თქვენი გაზეთი „ლიტერატურნაია როსია" საკუთარი ხალხის შვილების მკვლელებს გუნდრუკს უკმევთ, რის გამოც უპირისპირდებით არა მარტო ქართველებს, არამედ რუსეთსაც, მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ასეთ ახსნამდე მივყავართ ამ ბინძურ თამაშს.

მაგრამ ასე ადვილად მაინც ვერ შეგელევით, ბატონო კოჟინოვ. ახლა მინდა იმის შესახებ მოგახსენოთ, თუ რას წერენ თქვენი თანამემამულეები თქვენგან განსხვავებით, დოკუმენტური და უტყუარი მასალის საფუძველზე იმის შესახებ თუ ვინ მოუგო ომი ქართველებს. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციის საჰერო თავდაცვის მე-19 ცალკეული არმიის დაზვერვის სამსახურის ყოფილი უფროსი ვალერი სიმონოვი თავის სტატიაში „მათ უნდა მოეკლათ ერთმანეთი", გარკვევით წერს, თუ ვისი ხელით და დახმარებით „მოუგეს" აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველებს. აი, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფყვეტი ამ წერილიდან: „უმთავრესი ძიზეზი იმაშია, რომ რეგიონს გამუდმებით ამარაგებდნენ შეიარაღებისა და ტყვია-წამლის უდიდესი რაოდენობით... 1992 წლის 14 აგვისტოს (აფხაზეთში ომის დაწყების დღეს, — თ. მ.) გუდაუთაში უბრძოლველად იქნა განიარაღებული და გაძარცვული საჰაერო თავდაცვის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი. აფხაზი ეროვნების შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 600 სასიგნალო რაკეტა, 500-ზე მეტი ხელყუმბარა და ნახევარ მილიონზე მეტი სხვადასხვა ყალიბრის ვაზნა. გარდა ამისა, გატაცებულ იქნა საავტომობილო ტექნიკა. გაიძარცვა სამხედრო დასახელების ყველა შენობა, საწყობები, ქიმიური და საინჟინრო სამსახურების საკუთრება. ამ თავდასხმამდე, ხუთი თვის განმავლობაში, სააეროდრომო-ტექნიკური უზრუნველყოფის ცალკეული ბატალიონის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ა. დოლგოპოლოვმა გუდაუთის ადგილობრივ ხელისუფალთ გადასცა 6 ფეხოსანთა საბრძოლო მანქანა (ბმპ) სრული საბრძოლო კომპლექტით, 6 ტყვიამფრქვევი, 367 ხელყუმბარა ფ-1 და 50 ,ათასამდე ვაზნა“.

ცხადია, ამ „თავდასხმების“ განხორციელება აფხაზ სეპარატისტებსა და რუს სამხედროებს შორის წინასწარი შეთანხმებით ხდებოდა.

გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ სპეციალური კორესპონდენტი იულია კალინინა სტატიაში „ტერაქტი ქვეყნის მასშტაბით“, წერს: „აფხაზებმა ომი დაიწყეს 2 ბტრ-თა და ერთი ბმპ-თი. მფრინავი მათ ჰყავდათ ერთი, კვალიფიცირებული სპეციალისტები საერთოდ არცერთი, ხოლო ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 1 ოქტომბერს, მათ გაგრაზე შტურმი მიიტანეს უამრავი ტანკით, გაუბიცებითა და ბმპ-ით. რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, ბორის პასტუხოვმა იმავე დღეს პრივატულ საუბარში განაცხადა, რომ აფხაზებს უკვე დახადგარები „იგლა“ და „გრადიც“ გააჩნიათ. კითხვაზე „საიდან?“ პასტუხოვმა უპასუხა: „განა ეს პრობლემაა, თუ კი არის ფული“.

საიდან გაუჩნდათ აფხაზებს ფული, თუკი ომის წინ აფხაზეთის ბიუჯეტში კაპიკი არ იყო? პასუხი, ალბათ უნდა ვეძიოთ რუსეთის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 25 სექტემბრის განცხადებაში, რომლითაც რუსეთის პარლამენტმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა აფხაზეთს... ელცინს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია... უფრო მეტიც რუსეთმა აფხაზეთს 14 მლნ. მანეთი გამოუყო. მოსკოვში გაიხსნა სპეციალური ბანკი“.

გაზეთ „სმენის“ (სანკტ-პეტერბურგი) სპეციალური კორესპონდენტის ვლადლენ ჩერტინოვის სტატიაში „დასჯილი საქართველო“ ვკითხულობთ:

„შემდგომ ყველაფერი უზომოდ ცინიკურად და უბრალოდ წარიმართა დღიდან დღემდე აფხაზები სულ უფრო ძლიერნი ხდებოდნენ. რუსეთი სულ უფრო დაუფარავად ეხმარებოდა არძინბას.... აფხაზთა და მოხალისეთა ფორმირებების მაგივრად ქართველები სულ უფრო ნათლად ხედავდნენ იმ მოწინააღმდეგეს, ვისთანაც მათ ყველაზე ნაკლებად სურდათ შეხვედრა.

თავიდან აფხაზებს საომარი მოქმედების წარმოებას ასწავლიდნენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ოპერაციებს გეგმავდნენ და თვითონვე მონაწილეობდნენ ყველაზე მნიშვნელოვან მათგანში. სოხუმს ბომბავდნენ მაიაკოპიდან და როსტოვის ოლქიდან ჰაერში აფრენილი თვითმფრინავები. ერთი ასეთი სუ-27, რომელსაც მაიორი ვაცლავ შიბკო მართავდა, კიდეც ჩამოაგდეს. აფხაზებს ცეცხლით ზურგს უმაგრებდნენ სადესანტო ნაწილები ფსკოვიდან და გიანჯიდან, ტყვედ აყვანილ რუს სამხედრო მოსამსახურეებს და ნებაყოფლობით გადმოსულებს (ისინი ათობით აღირიცხებოდნენ) არაერთხელ მიუციათ ჩვენებები იმის თაობაზე, რომ სამხედრო მოსამსახურეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აფხაზეთში მიპატიჟება ხშირად უშუალოდ მათ სამხედრო ნაწილებში ხდებოდა. რეგისტრირებულია აგრეთვე კონფლიქტის ზონაში იძულებითი გაგზავნა სამხედრო სამსახურში დაშვებული დარღვევების გამო დასჯის სახით. მოსკოვში, სოჭში და სხვა ქალაქებში თითქმის რეგულარულად მოქმედებდნენ დაქირავებულთა გადმობირების პუნქტები. არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთში იარაღის შეტანის ერთ-ერთი არხი სანკ-პეტერბურგზე გადიოდა. ტყვედ აყვანილმა და შემდეგ 20 (!) ტყვე ქართველ სამხედრო მოსამსახურეში გაცვლილმა ჩვენმა თანამემამულემ მიხეილ დემიანოვმა (საკვარაუდოა, რომ იგი არძინბას მრჩეველი იყო რუსეთის სპეცსამსახურების ხაზით) დაკითხვისას უჩვენა, რომ აფხაზები იარაღს ყიდულობდნენ, კერძოდ, პრიაზოისკში ონეგის ფლოტილიის ყოფილი მეთაურის ადმირალ ი. ვ. კოლესნიკოვის მეშვეობით, ხოლო მისი ტრანსპორტირება ხდებოდა პეტერბურგის „სოვტრანსავტოს“ მანქანებით. პეტერბურგიდანვე, იმავე დემიანოვის სიტყვებით, აფხაზეთში მიეწოდებოდა სპეციალიზებული ზემძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერება.

რუსეთის სამხედროებსა და სპეცსამსახურებს არც რუსეთის დიპლომატია ჩამორჩებოდა. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ომის პირველივე დღეებიდან და მის დამთავრებამდე საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებების უწყვეტი პროცესი. მაგრამ ეს იყო უცნაური მოლაპარაკებები.

1992 წლის 2 ოქტომბერს შევარდნაძისა და ელცინის მოსკოვის მოლაპარაკებების ცოტა ხნის შემდეგ, მეორე დღეს იმის შმდგომ, რაც სამმხრივმა ქართულ-აფხაზურ-რუსულმა კომისიამ ხელი მოაწერა აფხაზეთიდან ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანის შესახებ და ქართულმა ნაწილებმა დატოვეს გაგრა, აფხაზებმა და კონფედერატებმა, რუს მედესანტეთა ქვეგანაყოფების მონაწილობით თითქმის ულაზარაკოდ აიღს ეს დაუცველი ქალაქი.

1993 წლის 16 მარტს, მოსკოვში მიმდინარე მორიგი ქართულ-რუსული მოლაპარაკებების დროს, სოხუმზე განხორციელდა დიდი შტურმი. იგი დაიწყო იმით, რომ რუსეთის თვითმფრინავებმა და არტილერიამ ისე დაამუშავეს ქართველთა წინა ხაზი, რომ იქ არც ერთი ცოცხალი არსება არ უნდა დარჩენილიყო. ამის შემდეგ შეტევაზე ფეხოსანთა ნაწილები გადავიდნენ. საქართველო მაშინ იხსნა არტილერიამ და, რა რიგ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართველთა შორის არსებულმა უდისციპლინობამ. საქმე იმაშია, რომ იმ საბედისწერო დღეს პოზიციებზე თითქმის არც ერთი მათგანი არ იმყოფებოდა. როდესაც ისინი გონს მოეგნენ, შესძლეს კონტრშეტევის ორგანიზება....

მაშინ ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგემ დატოვა 1790 გვამი, მათ შორის 644 რუსი სამხედროებისა იყო, ისინი ძმათა საფლავში დამარხეს, რადგანაც აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა მათ მიღებაზე.

1993 წლის 2 ივლისს, ისევ მორიგი ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მომენტში, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებიდან ოჩამჩირის რაიონში გადმოსხეს დესანტი, რომელიც სანახევროდ (ისევ და ისევ გვამების საფუძველზე, მათი რაოდენობა ათასამდე აღწევდა) რუსეთის დაქირავებულების ბატალიონ „დნესტრის“ ბოევიკებისა და მე-14 არმიის შვებულებაში მყოფი ოფიცრებისაგან შესდგებოდა.

მოლაპარაკებათა პროცესის კულმინაციად იქცა 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმება, რომლის თანახმად კონფლიქტში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ საომარი პოზიციებიდან გაეყვანათ მძიმე ტექნიკა, ხოლო საარტელერიო დანადგარებიდან მოეხსნათ საკეტები. ამასთან რუსეთი გამოდიოდა იმის გარანტად, რომ აფხაზური მხარე შეასრულებდა შეთანხმების პირობებს. შემდგომში ქართველებიც და აფხაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც მრავალჯერ ადანაშაულებდნენ ერთმანეთს შეთანხმებების დაუცველობაში, მაგრამ საბოლოო წერტილი ამ კამათს 16 სექტემბერს დაესვა, როდესაც დაიწყო სოხუმის გადამწყვეტი შტურმი. აფხაზური არტილერია, რომელიც კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი და რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფად ითვლებოდა, მთელი ძალით ამოქმედდა, ხოლო ქართულ არტილერიას ამის გაკეთება უკვე არ შეეძლო".

იგივე იულია კალინინა და მისი კოლეგა ალექსანდრე ბუდბერგი იმავე მოსკოვსკი კომსომოლეცში" გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთის ინტერესების მკვდარი ზონა" წერენ:

„რუსეთი, რომელსაც სურდა საქართველოს შესვლა დსთ-ში თავიდანვე შეეცადა ჩარეულიყო კონფლიქტში, ხოლო თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა 1993 წლის თებერვალში შესთავაზა შეეყვანა ჯარი, რათა დაეშორიშორებინა ქართული და აფხაზური ფორმირებები. შევარდნაძემ ეს ვერ გაიგო და უარზე დადგა...

სოხუმის შტურმი განხორციელდა რუსეთის არმიის 345-ე საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონის მიერ რომელიც გუდაუთაშია განლაგებული... სისულელეა იმის მტკიცება. თითქოს -და ყოველივე ეს აფხაზებმა „დაიქირავეს". ტექნიკა იმდენად რთულია, რომ მართვა მხოლოდ სპეციალისტებს შეეძლოთ... ეს ფაქტი აღიარა თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმაც...

რამდენიმე დღეში „აფხაზურმა" ძალებმა აღადგინეს კონტროლი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ადრე ქართული ჯარის მიერ იყო დაკავებული. ამასთან მოიელ დაქირავებულ ბოევიკებს, რომლებსაც ქირას ვერ უხდიდნენ, ნება დართეს ემარადიორათ. ქვეყანას მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ჩვილთა ხოცვა-ულეტის საშინელმა ტალღამ გადაუარა. თუკი ქალებს პატიებდნენ, მათ აუცილებლად აუპატიურებდნენ, ანხორციელებდნენ „ეთნიკური წმენდის კამპანიას"... ..

ჭრიდნენ ყელს და ჭრილიდან ენა ამოჭქონდათ, ამას „კოლუმბიური ჰალსტუხი" ერქვა. ასეთი რამ ასობით იყო. სანამ რუსეთის არმია ქალაქს გამორჩეულად ბომბავდა, აფხაზები „ჰალსტუხებს კრავდნენ".

გაზეთ „იზვესტიას" კორესპონდენტი ალექსი ჩელნოკოვი სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც განუკითხაობა დაატრიალა სოხუმში, თავის წერილში „გუდაუთელ სეპარატისთა სისხლიანი ღრეობა" და თვითონვე პასუხობს: „წამყვანი ძალა ქალაქის შტურმისას კაზაკები იყვნენ. შემდეგ მოდიოდნენ აფხაზთა, ჩეჩენთა, ოსების, ადიღელეების ბატალიონები, სულ 10 ბატალიონი... ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე შეტევას უძღვებოდა ყუბანის ‍ კაზაკთა ჯარის ატამანი ნიკოლოზ გუსკო".

აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ შემდეგი რუსი ბოევიკები: გადამდგარი პოლკოვნიკი ბორის იურის ძე აკულინიჩევი, ბორის ოგლებსკის მკვიდრი, 27 წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში, იბრძოდა ანგოლაში, სირიაში, ავღანეთში, მეტსახელად „აკულა",

მიხეილ ბონდარენკო, საჰაეროსადესანტო ჯარების კაპიტანი, მეტსახელად „ბონდარი", უშუალოდ ხელმძღვანელობდა სოხუმის შტურმს რამდენიმე მიმართულებით.

იგორ დუნევი, მეტსახელად „რუსაკი", სანკტ-პეტერბურგის მკვიდრი, ჩამოიყვანა 32 დაქირავებული ბოევიკი — რუსები, ჩეჩნები, ადიღეელები;

მაიორი გენადი კოლოდინი, მეტსახელად „კოლოდა", ვიატკის მკვიდრი. მის ჯგუფში იბრძოდნენ ბოევიკები, რომლებიც დისციპლინირებული ბატალიონიდან გაიქცნენ.

სნაიპერი მარინა კოზინა, მეტსახელად „ლუდოედკა";

ოლეგ ტინიცკი, სარანსკის მკვიდრი, მეტსახელად „ცალთვალა"; თვალი დაკარგა დნესტრისპირეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკითხვის ოქმიდან: „ტყვედ აყვანილმა ვალერი დიმიტრის ძე ზაბოტინმა, სმოლენსკის ოლქის მკვიდრმა, დაკითხვაზე უჩვენა, რომ 27 ივლისის შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებული იყო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ფორმირებებისა და მოხალისეთა ყველა რაზმის გაყვანა, ქაღალდზე დარჩა. შეთანხმების მიუხედავად პოზიციებზე დატოვებულ იქნა ოლეგ პეტროვის კაზაკთა ცალკეული ნაწილები, კაზაკთა ბირველი ასეული ატამან ნიკოლოზ გუსკოს მეთაურობით, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის გაერთიანებული პოლკი და ბატალიონი. ყველა ამ ნაწილს კურირებდა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარის პოლკოვნიკი ანატოლ სიდორენკო. არტილერიის უმთავრესი ნაწილიც დატოვებულ იქნა პოზიციებზე. ზაბოტინის ეს ჩვენებები დაადასტურა საჰაერო-სადესანტო ჯარების კაპიტანმა ნიკოლაევმა. ნიკოლაევის განცხადებით, ყოველი ოპერაციისთვის მას დაპირდნენ ორ-ორი ათას დოლარს. ეს ფული მას არ მიუღია“.

ასეთი ჩვენებები და მტკიცებები უამრავია. ამით მტკიცდება, რომ არძინბას ზურგს უკან დგანან ისინი ვისაც საბჭოთა კავშირის აღდგენა სურს, ასევე სამხედროები და გარკვეული ფინანსური წრეები. ამის საილუსტრაციოდ კიდევ რამდენიმე ფაქტი გვინდა დავიმოწმოთ. დაკითხვის ოქმიდან: „მიხეილ დემიანოვმა ტყვედ აყვანილმა 1993 წ. 19 სექტემბერს, უჩვენა, რომ სოხუმის შტურმზე არძინბამ თანხმობა რუცკოისაგან მიიღო“.

დაკითხვის ოქმიდან „აფხაზეთისათვის ბოევიკთა დაქირავებას აწარმოებდა რუსეთის ეროვნული ლეგიონი ნიკოლოზ ლისენკოს ხელმძღვანელობით, მოსკოვში შეიქმნა ფირმა „კონტინენტი“, რომლის ჭერქვეშ წარმოებდა ყველა გარიგება“.

„მრავალჯერ მოლაპარაკებებზე და პირად საუბრებში რუსეთის უმაღლეს სამხედრო ჩინებს უთქვამთ, რომ აფხაზეთი წაართვეს არა საქართველოს, არამედ შევარდნაძეს. ისინი შურს იძიებენ იმაზე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას მან დაანგრია საბჭოთა კავშირი და ხელი მოაწერა შეთანხმებას დასავლეთ ევროპიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ“ და სხვ.

ზემოთ მოტანილი მასალები გამოქვეყნებულია რუსულ პრესაში, რომელთა დიდი ნაწილი შევიდა წიგნში «Распятая Грузия» (Санкт-Петербург, 1995).

ასეა, ბატონო კოჟინოვ, სიცრუის გზა ძალიან მოკლეა. ჩვენ ისიც ვიცით, ბატონო კოჟინოვ, რომ აფხაზეთს რუსეთი არ დაგვიბრუნებს მანამ, სანამ რუსეთი იძულებული არ გახდება, რუსეთს პატარა საქართველო იძულებულს ვერ გახდის, მაგრამ დიდ რუსეთს ადრე თუ გვიან იძულებულს გახდის მისი „ბრძნული“ საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს დროც მოახლოებულია.

ეს წერილი მინდა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე რადიშჩევის (1749-1802) სიტყვებით დავამთავრო: „ჩვენ განსაკუთრებული ხალხი ვართ... თითქოს იმისათვის ვარსებობთ, რომ მსოფლიოს ვაჩვენოთ საშინელი გაკვეთილი“.

თუ აფხაზეთი დროზე არ დაუბრუნეს საქართველოს, იგი შეიძლება რუსეთის იმპერიის ბოლომდე დაშლის ინსტრუმენტად იქცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

არც იანიჩრებს ინდობდნენ, არც თავისი ერის ერთგულებს

ადამიანზე, რომელზეც ახლა გვექნება საუბარი, შეიძლება ითქვას ეს სიტყვები პოეტ გივი გეგეჭკორის ლექსიდან „უზურპატორი“: „შენ კი სხვა დროშას ემსახურე...“

სხვათა დროშას საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი მწერალიც და სხვა პროფესიის ადამიანიც გაჰყვა, მაგრამ იყვნენ ისეთნიც, რომლებსაც საქართველო ასპარეზად არ ეყოთ და საკავშირო მასშტაბებით ემსახურებოდნენ სხვათა საქმეებს.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა რევოლუციონერი და პარტიული მოღვაწე, ილარიონ ბესარიონის ძე ვარდინი (1890-1941).

ი. ვარდინი პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპული დამცველი იყო, ამისათვის თავდაყირა აყენებდა ყველაფერს, თვით დემოკრატიას, უფრო მეტიც, „საბჭოთა დემოკრატიასაც“ არ ითვენდა. აი, მისი პასუხი სეით დევდარიანის ფორმულაზე — „საბჭოთა დემოკრატიზმის გზით სიციალიზმისაკენ“:

„დემოკრატია“ გადადის ფაშიზმში, დემოკრატიული პარტიები, მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც, განიცდიან ფაშისტურ გადაგვარებას. ამიტომ ყველგან — საქართველოშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც პოლიტიკურ დემოკრატიას უნდა დაუპირისპიროთ პროლეტარული დიქტატურა“ (ი. ვარდინი, „კომუნისტი“, 1925. 6. VIII №180).

ი. ვარდინი რომ მხოლოდ რევოლუციური და პარტიული მოღვაწე ყოფილიყო, ამ ჩვენს ნარკვევში ვერ მოხვდებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ის მწერლობაშიც ასეთივე უკიდურესი შეხედულებების დანერგვას ცდილობდა. ის იყო რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის (რაპპ) აქტიური მოღვაწე, განხეთქილების შემდეგ (1926) ამ ასოციაციის მემარცხენე ხელმძღვანელთა ჯგუფის წევრი, ჟურნალ „ნა პოსტუს“ ერთერთი დამაარსებელი.

ესეც არ იქნებოდა ჩვენი სადარდებელი, მაგრამ ეს ვარდინი ამავე დროს მგელაძეც იყო. რუსეთში გადახვეწილ და იქაურ კომპარტიაში შესულ ამ იანიჩარს ხანდახან საქართველოს ფრონტზე გადმოისროდნენ, რათა აქ ბოლშევიკური საქმე ეკეთებინა. ასე მაგალითად, 1925-26 წლებში ი. ვარდინი-მგელაძე თბილისში ცხოვრობდა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში კულტურისა და პროპაგანდის საქმეებს განაგებდა, თანაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორიც იყო. აქ ყოფნისას რამდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენიმე წერილი დაბეჭდა ჩვენს გაზეთში ვარდოსანიძის ხელმოწერით. მან მხარი დაუჭირა (განსაკუთრებით ცნობილ დისპუტზე 1925 წელს) საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მემარცხენე ფრთის ბრძოლას დემოკრატიული საქართველოსა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს პლატონ ქიქოძემ განაცხადა დაკითხვისას 1937 წ. 7 თებერვალს (იხ. ლიდა გასვიანის საქმე №7982, ფურც. 701-704) — ი. ვარდინი ხომ პ. ქიქოძის მასწავლებელი და მეგობარი იყო!

1925 წ. 20 ივლისს შედგა თბილისის პროლეტარულ მწერალთა კრება, რომლის, უმთავრესი მიზანი იყო თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსება, „ამ მიზნით მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვარდინი-მგელაძე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში გაურკვია დამსწრეთ „პროლეტარული ლიტერატურის მორიგი ამოცანები“.

ახლა ვნახოთ როგორ „გაურკვია“:

„დღეს როდესაც პარტია იძლევა პირდაპირ დირექტივებს პროლეტარული ლიტერატურისათვის ხელის შეწყობის შესახებ, ყველა პარტიულ ძალებისა და მით უფრო თვით ჩვენგან, პროლეტარულ მწერლებისაგან, აუცილებელია და სავალდებულო პარტიის ამ მოწოდების შესრულება ჩვენს, თბილისის პირობებში“.

მკითხველო! მინდა დაიმახსოვრო ძველი ბოლშევიკის აღიარება: პარტია პროლეტარული ლიტერატურისათვის ხელის შეწყობის პირდაპირ დირექტივას იძლევაო. და ისიც მინდა იცოდე, რომ თავად ი. ვარდინ-მგელაძემ თავისი უმთავრესი ენერგია და ნიჭი შეალია პროლეტარულ მწერლობაში მემარცხენე ძალების ბრძოლების წარმართვას სხვა ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენლებთან, მათი სრული პარალიზების ცდას, მათ წინააღმდეგ ლიტერატურული **საგანგებო კომისიის** შექმნას.

დიახ, დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ახლავე დარწმუნდებით, რომ ეს მისი სიტყვებია, ასეთი კომისიის შექმნის მომხრე იყო. თათბირზე „რკპ (ბ) პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში“ (1924. 9. V) ი. ვარდინმა თავის გამოსვლაში მოიტანა ადგილი ესერული გაზეთიდან „ვოლია როსიი“ იმის თაობაზე, რომ კომუნიზმი ჯერ მატერიალური გამარჯვების მიღწევას ცდილობს და ამაში მას გარეგანი საგანგებო კომისია (ე. ი. „ჩეკა“) ეხმარებაო; მაგრამ სულიერ ფრონტზეც აპირებს სრული გამარჯვების მიღწევას, რათა მთელი რუსეთი, შემდეგ კი მსოფლიო შებოჭოს ერთნაირი აზრისა და გრძნობის ჯაჭვით. ამისათვის კი საჭირო შეიქნა შინაგანი საგანგებო კომისიაო.

ი. ვარდინი-მგელაძე ადასტურებს ლიტერატურის „ჩეკას“ შექმნის საჭიროებას: „ესერებმა სწორად გაიგეს ჩვენი ამოცანა. მათ სწორად გაიგეს, რომ სახელმწიფო საჭიროა სულიერადაც შებოჭო, რომ სახელმწიფომ უნდა დაიპყროს იდეოლოგიური ფრონტი... რამდენადაც ჩვენ აქ ამ სფეროში ბრძოლას ვაწარმოებთ, იმდენად ლიტერატურული საგანგებო კომისიაც გვესაჭიროება ჩვენ“...

მაგრამ, წარმოიდგინეთ, სწორედ იმ საგანგებო კომისიამ არ დაინდო ი. ვარდინი-მგელაძე, არაფრად ჩაუთვალა არც ბოლშევიზმის დაცვა (იხ. მისი წიგნები: „მაისკი პრაზდნიკ კომუნიზმა“, ხარკოვი, 1920; „ესეროვსკიე უბიიცი ი სოციალ-დემოკრატიჩესკიე ადვოკატი“, მოსკოვი, 1922; „პრესა ბოლშევიზმა“, 1925; „ვოროშილოვ, რაბოჩი ვოუდ კრასნოი არმიი“, მოსკოვი-ლენინგრადი, 1926...), არ დაუფასეს არც ლიტერატურის საგანგებო კომისიაში თავდადებული ბრძოლა თავისუფალი მხატვრული სიტყვის წინააღმდეგ, — ჯერ 1927 წელს დაატიმრეს და მოსკოვიდან გაასახლეს, მაგრამ 1928 წელს პარტიაში აღადგინეს და ისევ განაგრძო ერთგული სამსახური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეჯერ 1934 წ. 20 დეკემბერს დაატუსაღეს, 1935 წ. 16 იანვარს საგანგებო სათათბირომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ზუსტად 1939 წ. 20 დეკემბრამდე პატიმრობაში იყო (იხ. პ. ქიქოძის, ფრ. ნაროუშვილის და სხვ. საქმე №233, ტ. 2, ფ. 26).

ბოლოს კი, 1940 წ. თებერვალში წაიყვანეს, მომდევნო წლის 27 ივლისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახვრეტა მიუსაჯა და 27 ივლისს დახვრიტეს ეს განათლებული, ნიჭიერი, მაგრამ გზადაბნეული ადამიანი...

თითქმის ზუსტად ერთსა და იმავე დროში ცხოვრობდნენ, ერთსა და იმავე დროს დაასრულებინეს სიცოცხლე ი. მგელაძესა და მიხეილ უზნაძეს.

პირველი, შეიძლება ითქვას, ქვეყანას აზანზარებდა, მაგრამ რა, — ვარდინად ქცეულს თავისი მამა-პაპანი დავიწყნოდა და სხვას სტიროდა.

მეორე ერთი ჩუმი პროვიზორი, პატარა პოეტი იყო, მაგრამ თავისი სამშობლოს ბედი აწუხებდა, ქართულ სიტყვას და ლექსს ეჭიდებოდა როგორც შეეძლო და ამით იყო პირველზე დიდი, ამით ჯობდა პირველს.

და ვინაიდან, საბედნიეროდ, მამაპაპათა სამშობლოს ერთგულნი ჭარბობენ ამქვეყნად, ამ ნარკვევშიც ვარდინ-მგელაძეს მ. უზნაძესთან ერთად შალვა ღლონტიც დავუპირისპირე.

მიხეილ ნესტორის ძე უზნაძემ (1888-1942) 1924 წელს დაამთავრა ხარკოვის ქიმიურ-ფარმაკოლოგიური ინსტიტუტი და თავისი სპეციალობით მუშაობდა თბილისის სხვადასხვა აფთიაქში.

ამავე დროს ოციან წლებში ჟურნალ „ტარტაროზში“ „მუზეს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა იუმორისტულ იგავ-არაკებს, ხოლო „ტრიბუნასა“ და „კომუნისტში“ — ლექსებს.

ამ ლექსებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს 1921 წ. 26 მაისს გაზეთ „სოციალ-ფედერალისტში“ (№21) დაბეჭდილი ლექსი „26 მაისი“, რომელშიც ავტორი წუხს, რომ ამჯერად, განაბჭოების გამო „სამშობლოს შარშანდულ, გულგანაცივი ველარ შეაკრთობს მძინარ არწივთ ვაშას ძახილი!“ და წყევლის საქართველოს გამყიდველებს: „ძრწოდეს ის შვილი, მომავალი შეუთვლის კიცხვას, ვინც ფერად ხმებში გაახვიოს ზრახვა მზაკვარი“.

ასევე უნდა აღინიშნოს „მწუხრის ფიქრები“. ძნელი არაა „ტრიბუნაში“ დაბეჭდილ ამ ლექსში (1921, 2, XII), თუმცა პირდაპირ არაა თქმული, მაგრამ მაინც ამოვიკითხოთ, რომ პოეტის წუხილი გამოწვეულია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვით:

გული ფარგლებში ველარ ეტევა,
ვერ ეგუება ფლიდთ პირფერობას,
დე, მან იხაროს, ვინაც ეჩვევა
სხვის სალამურზე ფიქრთ
ერთფერობას!..
მომეცით ფრთები, რომ გულის
ძგერით
სამშობლოს მთები ჩამოვიარო:
გმირთ საფლავებზე გედურ
სიმღერით
შევქმნა ფსალმუნი სამგლოვიარო!

1925 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№2) დაბეჭდილ „ნოემბრის წიაღშიც“ დაუმორჩილებლობა და ბოღმა იგრძნობა:

მე მას ვუმღერებ, რაც სხვას არ
მოსწონს,
ქვემძრომთ მეობას ჩავუხშობ კარებს
და სიჯიუტით გზნებულ კოცონზე
დავსწვავ ფლიდთ კარნახს, არ
გავიკარებ!..

ხოლო შემდეგ... თავისიანებს არ ინდობდნენ და თავზე ხელს ვინ გადაუსვამდა კაცს, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს მისტიროდა.

1942 წელს მ. უზნაძე მობილიზებულ იქნა და მუშაობდა თბილისის ევაკო-ჰოსპიტალში აფთიაქის გამგედ. ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე წელს დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა...

მეათე კლასის მოსწავლე ყოფილა შალვა იოსების ძე ღლონტი (1912-1970), შემდგომში ლიტერატურათმცოდნე, რუსთველოლოგი, როდესაც ირიბად შეხედეს ძისი ნახევარძმის მიერ „გაურკვეველი მიზეზების“ გამო თავის ჩამოღრჩობასთან დაკავშირებით და კარგა ხანს აწვალეს.

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების (1939) შემდეგ შალვა დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევის სკოლის გამგე-მასწავლებლად მუშაობდა. ამავე დროს 1939-42 წლებში იყო საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი და ამ ხანებში (1940) გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი „ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“.

1942 წლის 3 მარტს მას აპატიმრებენ „დუშეთის რაიონში არსებული ფაშისტური ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით. წელიწადი და 4 თვე იძიებდნენ მის საქმეს. დუშელი გამომძიებლები დაჟინებით ცდილობდნენ გაეგოთ — რაიმე ანტისაბჭოურზე ხომ არ მსჯელობდა შალვა თავის დუშელ ნაცნობებთან — ჩოლოყაშვილებთან, ბალანჩივაძესთან ურთიერთობა — საუბრების დროს.

მეუღლემ მაკა კაპანაძემ შალვა დაახასიათა (1993. 3. VII) როგორც მოწაფეობიდანვე აქტიური, სიმართლის პირში მთქმელი პიროვნება, სკოლაში თუ რაიმეს არასწორად თვლიდა, აუცილებლად იტყოდაო.

ალბათ ამ თვისებებს შემდგომაც ავლენდა და სწორედ ამას იძიებდნენ შინსახკომის დუშეთის რაიგანყოფილების თანამშრომლები გაგუა და იამანიძე — ამა და ამასთან ასე გითქვამს, იმასთან — ისეთ და სასტიკი მეთოდებით ცდილობდნენ შალვას ეღიარებინა ის, რაც გამომძიებელთა ეჭვითა და ფიქრით მას უნდა ელაპარაკნა თავის ნაცნობ-მეგობრებთან.

მეორე მხრივ ქმრის სანახავად მისულ სრულიად ახალგაზრდა ფეხმძიმე ცოლს სასტიკად ნაცემი ქმარი სულ უმეორებდა: არაფერი მითქვამს, არაფერი დამიშავებია, რა უნდათ ვერ გამიგიაო.

ცოლიც ასეთსავე პასუხს აძლევდა გამომძიებლებს. მაგრამ მათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, უნდოდათ შალვასაგან აღიარება გამოეგლიჯათ. ამისათვის, თურმე, კომბლებით ცემასაც არ ერიდებოდნენ. მეუღლეს ახსოვს მისთვის შალვას ნათქვამი: ხელაწეულს პირით კედლისაკენ დამაყენებენ და ასე მაჩერებდნენ დიდხანსო.

გამომძიებელთა არაადამიანურობაზე ისიც მეტყველებს, რომ შალვას მის სანახავად მისული მეუღლის გასაგონად ეუბნებოდნენ: შენს მაკას მეტს ვეღარ იხილავო.

მაგრამ შალვას მეუღლე იმასაც არ ივიწყებს, რომ ის, თბილისში ჩაყვანილი შალვას სანახავად მისული ჩვილბავშვიანი ახალგაზრდა დედა, შესცოდებიათ აქაურ ახალგაზრდა გამომძიებლებს...

ვერც დუშეთში, ვერც თბილისში, ვერც ცემა-წვალებით თუ აბუჩად აგდებით შალვას ვერაფერი აღიარებინეს. ამიტომ გადაუწყვიტეს, ასე ვთქვათ, პროფილაქტიკური თვალსაზრისით (ომი იყო!) დასავლეთ ყაზახეთში, კამენსკის რაიონის სოფელ შუტოვოში გადაესახლებინათ.

იქ გაგზავნამდე 1943 წლის ივლისში სათანადო მიწერილობა მისცეს და სახლშიც გამოუშვეს მოსამზადებლად. შემდეგ მეუღლემ და ახლობლებმა გააცილეს...

შალვა ყაზახეთში გერმანულს ასწავლიდა, თან ფოსტის გამგედ მუშაობდა. სხვათაშორის შუტოვოში იხდიდნენ სასჯელს ზემოხსენებული დუშელი ჩოლოყაშვილები, ბალანჩივაძე...

მეუღლემ შალვას ყაზახეთშიც ჩააკითხა და ორი წლის ქალიშვილი პირველად იქ აჩვენა. გადასახლებულნი გაკვირვებულან: ამდენი წლის ცოლ-ქმრე-

ბი ვართ და ცოლი არავისთან ჩამოსულაო..

შალვას მეუღლემ კი ერთხელ კიდევ ჩააკითხა ქმარს.

ცოლი იგონებს: შალვას გადასახლებაში ყოფნისას რამდენჯერმე მინახულა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ (რომლის ასპირანტიც იყო შალვა) და მატერიალურადაც დაგვეხმარაო.

კიდევ ერთ ადამიანს ემადლიერება შალვას მეუღლე მაკა (იგივე — მაყვალა): მოგვიანებით, შალვას სიდედრის გასვენებაზე მისულ აკადემიკოს გიორგი წერეთელს გაკვირვებია — ასეთ ვიწრო ბინაში როგორ ცხოვრობთო, შეპირდა და მალე შალვას ბინა მიაღებინა.

შალვა ღლონტი 1947 წელს დაბრუნდა საქართველოში, 1949-ში უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც გადასახლებაში დაწერა. ამას გარდა იქვე „ვეფხისტყაოსანის" სიმფონიის შედგენითაც იქარვებდა სამშობლოს სიშორით მოძალებულ სევდას.

საქართველოში დაბრუნებული შალვა მეტწილად გადასახლებაში მომზადებულ სადოქტორო დისერტაციასაც იცავს. და საერთოდ, ბევრს დალხინებულ ცხოვრებაში არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც შალვა ღლონტმა (და მისი მსგავსი ბიოგრაფიის ბევრმა ადამიანმა) შესძლო გადასახლებასა და შემდგომ დროში, შეიძლება ითქვას, ნაჩუქარ წლებში: 1953 წელს გამოაქვეყნა „ქართული ენის გრამატიკის საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში", მერე კი მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შექმნილი გამოკვლევები: „ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე" (1955), „ქართული ისტორიული პოეტიკის შესავალი", ხოლო დაუბეჭდავი დარჩა „რუსთაველის პოეტიკა".

მერე სიკვდილი ნაადრევად წამოეწია, 1957 წელს რეაბილიტირებულს. ცხადია, დაპატიმრება-გადასახლების დროს გადატანილ-განცდილმაც დააჩქარა მისი სიკვდილი..

მიხეილ უზნაძეც ადრე, 54 წლის ასაკში, ჩამოაცილეს ცხოვრებას, ილარიონ ვარდინი-მგელაძის ნაადრევი დაღუპვაც დასანანია. მანაც ბევრი რამის გაკეთება მოასწრო, თუმცა საწყენია, რომ საქმე, რომელსაც ის ემსახურებოდა, იმთავითვე მრუდე იყო და ეს 70 წლის შემდეგ თავად მისმა პარტიამ აღიარა.

ასე, რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს გზის არჩევას! შალვა ღლონტმა და მიხეილ უზნაძემ სწორი გზით იარეს. იქნებ ერთმა მეტი გააკეთა, მეორემ — ცოტა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უმეტესთა მსგავსად სწორ გზას — საკუთარი ერის სამსახურს უერთგულეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ჯავახიშვილი

ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან

XI საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, 1054 წელს ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტი დაფიქსირდა. ქრისტიანობა 2 ძირითად მიმართულებად გაიყო: მართლმადიდებლობად და კათოლიკობად. ჩვენთვის საინტერესოა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისგან გამოყოფის თარიღის ან ისტორიული პერიოდის დადგენა. ამ მნიშვნელოვან საკითხს მიხეილ თამარაშვილი (1858-1911) შეეხო. მისი აზრით, საქართველოს ეკლესიას რომის ეკლესიასთან ქრისტიანული სამყაროს გათიშვისთანავე (1054 წელს) კავშირი არ გაუწყვიტავს.

განიხილავს რა ქართული ეკლესიის რომის ეკლესიისგან გამოყოფის საკითხს, მ. თამარაშვილი, ქართული ისტორიული დოკუმენტების გარდა, იშველიებს მიმოწერას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველ მეფეებსა და რომის პაპებს შორის.

პირველი წერილი, რომელსაც რუსუდან დედოფალი (1223-1245) წერს პაპ ონორიუს III-ს (1216-1227), მ. თამარაშვილი 1223 წლით ათარიღებს. თავად წერილს თარიღი არ ჰქონდა. მეცნიერმა დათარიღების საფუძვლად პაპის პასუხი გამოიყენა, რომელიც 1224 წლით იყო დათარიღებული, შესაბამისად, რუსუდანს წერილი უნდა მიეწერა არა უგვიანეს 1223 წლისა.[1] თუმცა ი. ტაბაღუა რუსუდანის წერილს 1224 წლით ათარიღებდა.[2]

რუსუდანი შემდეგნაირად მიმართავს პაპს: „უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფევ“[3]. დედოფალი ონორიუს III-ს ლაშა-გიორგის (1213–1223), საკუთარი ძმის გარდაცვალების ფაქტს აცნობებს და თავის გამეფებასაც ატყობინებს: „ვთხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომისათვის[4]“. წერილიდან ჩანს, რომ პაპს თხოვნით მიუმართავს საქართველოსთვის ჩაბმულიყო წმინდა მიწების გასათავისუფლებლად ჯვაროსნულ ლაშქრობაში. რუსუდანი წერს: „დამიეტში“ მყოფი შენი ლეგატივისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელა-

---

1. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ. გვ. 7-8.
2. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, 1984, ტ. I, გვ. 77.
3. იქვე, გვ. 176.
4. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, 1984, ტ. I, გვ. 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ემზადებოდა, მაგრამ"[5] ამ დროს „ბოროტნი თათარნი" შემოესივნენ საქართველოს! აქ საუბარია მონღოლთა შემოსევაზე, რის გამოც ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება ჯვაროსნულ ლაშქრობაში: „არა ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით"[6] რუსუდანისთვის ცნობილი ყოფილა, რომ ონორიუს III-ის ბრძანებით, სიცილიის მეფე – ფრიდრიხი (1197-1250) შეთაურობდა ჯვაროსნულ ლაშქრობას. რუსუდანი სთხოვდა პაპს, შეეტყობინებინა, თუ როდის მიდიოდა ფრიდრიხი სალაშქროდ, რათა ქართველებიც შეერთებოდნენ: „ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედარმთავარს ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად. წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად"[7] ასეთი შინაარსისაა რუსუდანის წერილი პაპისადმი.

ამ წერილზე დაყრდნობით მ. თამარაშვილი ასკვნის: „რუსუდან პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანების მთავრად. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა არსებობდა".[8] აშკარაა მკვლევარის ტენდენციური დამოკიდებულება. იმგვარად, როგორც რუსუდანი მიმართავს პაპს წერილში, რომის საყდრის მეთაურს მიმართავდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც. ამას მოითხოვდა დიპლომატიური ეტიკეტი. პაპს მრავალი ტიტული გააჩნდა: „რომის ეპისკოპოსი", „იესო ქრისტეს ნაცვალი", „მოციქულთა მთავრის მემკვიდრე", „მსოფლიო ეკლესიის უმაღლესი მწყემსი", „დასავლეთის პატრიარქი", „რომის პროვინციის არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი" და სხვ.[9] ამდენად, რუსუდანის მოკრძალებული ეპითეტები: „უწმინდესო პაპაო", და „ყველა ქრისტიანის მეუფევ, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო" მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების, ეტიკეტის დაცვად უნდა მივიჩნიოთ. პაპებს ძირითადად ასე მიმართავდნენ, „წმიდაო მამაო" ან „თქვენო უწმინდესობავ".[10] აქედან გამომდინარე, რუსუდანის მიმართვაში არაფერია განსაკუთრებული. ამდენად, ეს არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ არგუმენტად.

მ. თამარაშვილი განაგრძობს: „ამ დროს საქართველოს ეკლესია რომისგან გაყრილი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსუდან სრულიადაც არ მოსწერდა პაპს ასეთის შინაარსის წერილს და არც ისე ერთიანად მოემზადებოდა საქართველოს ერი და მეფე პაპის ელჩის მოწოდებით პალესტინაში საომრად წასასვლელად".[11] ჩემი აზრით, ტენდენციურია ეს არგუმენტიც. საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანა იყო. ჯვაროსნულ ომებში ჩაბმული იყო არა მარტო კათოლიკური სამყარო, არამედ მართლმადიდებლურიც. ლაშა-გიორგის, რუსუდანისა და სხვა ქართველთა სურვილი წმინდა მიწების განთავისუფლებისა სარწმუნოების ერთგულებაზე არ უნდა მიგვითითებდეს. თურქთაგან იერუსალიმის დახსნის სურვილით მთელი იმდროინდელი საქრისტიანო იყო ანთებული. მ. თამარაშვილი დასძენს: „ხოლო იმ დროს, ვინც რომისაგან გაყრილნი იყვნენ, არათუ პაპს ემორჩილებოდნენ, არამედ მის წინააღმდეგ ომობდნენ. მაგალითად ბერძნები (ამ დროს გაყრილნი იყვნენ რომისგან) ქრისტიანების წინააღმდეგ ოსმალებს შველოდნენ".[12]

განვიხილოთ მოკლედ ბიზანტიის მდგომარეობა ჯვაროსნული ომების პერიოდში. თურქ-სელჩუკები, პაჭანიკებთან ერთად, კონსტანტინოპოლს ემუქ-

---

5. იქვე, გვ. 176.
6. იქვე, გვ. 177.
7. იქვე, გვ. 177.
8. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.
9. Я. Ковальский, Папы и папство, 1991, стр. 14.
10. Там же, стр. 15.
11. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.
12. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდნენ. ალექსი I კომნენოსი დასავლეთის ქვეყნებს დახმარების თხოვნით მიმართავდა. ამ მიზნით მან პაპ ურბან II-ს (1088-1099) ელჩობაც კი გაუგზავნა. ამგვარი ვითარება შეიქმნა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე. მაგრამ შემდგომში ჯვაროსნებს თურქთაგან განთავისუფლებული ადგილები თვითონ სურდათ დაესაკუთრებინათ, როცა ისინი ბიზანტიის კუთვნილი მიწები იყო და მათ სამართლიანად მოითხოვდნენ ბიზანტიის იმპერატორები. I ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ალექსი I ცდილობდა, ჯვაროსანთა ძალების ბიზანტიის სასარგებლოდ წარმართვას, შემთიერიგა რა ევროპელი რაინდები, ისინი მცირე აზიისკენ გააცილა. ე.ი. ბიზანტიელები და ჯვაროსნები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ბიზანტიის უფლისწული ალექსი, ჯვაროსანთა ბელადის თანხლებით, ზეიმით შევიდა კონსტანტინეპოლში და იგი იმპერატორად აკურთხეს ალექსი IV-ის სახელით.[13] ამრიგად, კატეგორიულად იმის მტკიცება, რო ბიზანტიელები მუდმივად" ქრისტიანთა წინააღმდეგ" გამოდიოდნენ, სიმართლეს არ შეეფერება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომის ეკლესიის მიერ წამოწყებული ჯვაროსნული ლაშქრობები რელიგიის ფარს ამოფარებული პოლიტიკური ამბიციებისათვის ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქრისტეს საფლავის ურჯულოთაგან განთავისუფლების უანგარო მცდელობას ამრიგად, ჩვენი აზრით, რუსუდანის პირველი წერილი პაპისადმი არაფერს გვეუბნება ჩვენთვის საინტერესო კუთხით.

შინაარსობრივად რუსუდანის წერილის მსგავსია ივანე მხარგრძელის წერილი პაპისადმი. პაპისადმი მიმართვა თითქმის ზუსტად ემთხვევა რუსუდანის წერილს: „წერილი უფალ პაპს, უწმინდეს მამასა და მთელი ქრისტიანული სამყაროს მეუფეს"[14] პრინციპული განსხვავება ივანე მხარგრძელისა და საქართველოს დედოფლის წერილებს შორის არ არის. საქართველოს მთავარსარდალი პაპს მონღოლთა შემოსევას ატყობინებს, რის გამოც ჩვენმა ქვეყანამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმა ვერ მოახერხა. ივანეს სურს შეუერთდეს ფრიდრიხ II-ს წმინდა მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში: „პირადად მე ვაპირებ წმ. მიწებისთვის ომში მონაწილეობის მიღებას ორმოცი ათასი მებრძოლით, როდესაც ეს თქვენთვის სასურველი იქნება, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე და ჩვენი ქვეყნის ბევრმა წარჩინებულმა თავადმა ჯვარი მივიღეთ".[15] წერილის ბოლოს ივანე მხარგრძელი ლოცვა-კურთხევას სთხოვს პაპს. ამ წერილის სრულად მოყვანის შემდგომ მ. თამარაშვილი ამგვარ კომენტარს აკეთებს: „როგორც რუსუდანის წერილი, ეს წერილიც ცხადათ მოწმობს საქართველოს ერთგულებას და ერთობას რომთან. ჩვენის აზრით მეტი იქნება ამის უკეთესის საბუთის ძებნა იმ დროს საქართველოსა და რომის ეკლესიის ერთობის დასამტკიცებლად".[16]

რადგანაც ჩვენ უარვყავით. მ. თამარაშვილის არგუმენტები რუსუდან დედოფლის წერილთან დაკავშირებით და მივიჩნიეთ ისინი ტენდენციურად, ანალოგიური დასკვნის გაკეთება შეიძლება ივანე მხარგრძელის 1223 წლის თითქმის მსგავსი შინაარსის წერილთან დაკავშირებით. რომის პაპისადმი კუთვნილი ეპითეტებით მიმართვა და ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების სურვილი სულაც არ ნიშნავს კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლობას. შუა საუკუნეებში კი სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ქვეყნებს ერთმანეთთან

---

13. გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, 1987, გვ. 368–413.

14. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

15. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

16. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიური ურთიერთობა და მიმოწერა აკავშირებდათ.

1224 წლის 12 მაისს პაპმა რუსუდანს პასუხი მისწერა.

წერილის დასაწყისში ონორიუს III შემდეგი განწყობილებით წერს: „ამასთანავე, უფლის მიერ დიდად გავიხარეთ იმ პატივისცემით, რომლითაც შენ ხარ განწყობილი ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი — მთელი ქრისტიანობის დედისა და მასწავლებლისადმი და ასევე, შენი ღვთისმოსავი განზრახვით — მონაწილეობა მიიღოთ წმინდა ადგილების განთავისუფლებაში, სადაც უფალმა იესო ქრისტემ შეისმინა, ეღვაწა ადამიანთა თაობების გადარჩენისათვის, გამოუთქმელი გულმოწყალებით ჯვარზე ცმით სიკვდილს მიეცა, რათა ადამიანთა თაობები სამუდამო დაღუპვისაგან გადაერჩინა“.[17] გვეჩვენება, რომ პაპი გაკვირვებულ აღფრთოვანებას გამოთქვამს ქართველთა პატივისცემისადმი რომის ეკლესიის მიმართ და ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებაზე. „დიდად გავიხარეთ იმ პატივისცემით“, — გახაზავს ონორიუს III. ქართული ეკლესია კათოლიკური რომ ყოფილიყო, მაშინ არაფერი იყო გასაკვირი ამგვარ დადებით დამოკიდებულებაში. პაპიც არ აღნიშნავდა რუსუდანის პატივცემულ განწყობას რომის ეკლესიისადმი. შემდგომში პაპი უქებს რწმენისადმი ერთგულებას ქართველებს: „მის მიმართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შროშანი ეკლებში, რისთვისაც დაჯილდოვებული იქნებით, მიაღწევთ რა სასურველ მიზანს“.[18] პაპი უქებს რუსუდანს ფრიდრიხ II-თან შეერთების ანუ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების სურვილს: „ვაქებ უფლის-მიერ შენს მისწრაფებას, — ამ წერილით მოგახსენებთ, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მიიღოს მონაწილეობა ურწმუნოთა ხელიდან წმ. მიწების განთავისუფლებაში დიდმშვენიერებით და დიდსულოვნებით წმ. იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ“.[19] ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიმღებთ პაპი პირდებოდა ცოდვათა მიტევებას, შენდობას. ესეც ერთგვარი პოლიტიკა იყო რომის ეკლესიის მხრივ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეთა ჩართვის მიზნით.

პაპი ურჩევდა რუსუდანს, რომ მისი წერილი თავისი ქვეშევრდომებისთვის გაეცნო: „რომლებსაც ჩვენ შენი თხოვნით ვუბოძებთ მოციქულებრივ ლოცვა-კურთხევას. გპირდებით რა შენც და მათაც, ყველა შესაფერის შემთხვევაში, სამოციქულო საყდრის კეთილგანწყობილებას და მოწყალებას“.[20] ამგვარად გამოიყურება პაპის პასუხი რუსუდანისადმი. ახლა ყური დავუგდოთ მ. თამარაშვილს: „ეს წერილი, ჩვენის აზრით, ერთიან სპობს ყოველს ეჭვს და ცხადათ ამტკიცებს იმ დროის საქართველოსა და რომის ეკლესიის ერთობასა და კავშირს“.[21] მეცნიერს არგუმენტად მოჰყავს: „ვინაიდგან პაპი, როგორც მისი სიტყვებიდგინა ჩანს, მოხარულია ქართველების მორწმუნეობის გამო, მათ სხვას არაფერს ავალებს, თუ არა მხნეობასა და სარწმუნოების დაცვას ისე, როგორც მანამდე ყოფილან. ერთობა საეჭვო რომ ყოფილიყო, მაშინ პაპი მათ შეაგულიანებდა ჰსთხოვდა შეერთებას და არც შეუთვლიდა მოციქულებრივ შენდობასა და ცოდვების მიტევებას“.[22] პაპის აღფრთოვანებაზე ზემოთ გვქონდა სა-

---

17. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 180.
18. იქვე, გვ. 180.
19. იქვე, გვ. 181.
20. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 182.
21. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.
22. იქვე, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბარი, რამაც საწინააღმდეგო გვაფიქრებინა. ქართველები რომ კათოლიკეები ყოფილიყვნენ, ონორიუს III-ის განსაკუთრებულ სიხარულს არ გამოიწვევდა რომის ეკლესიის პატივისცემა. „საეჭვო ერთობის“ გამო იყო სწორედ პაპის ამგვარი რეაქციის მიზეზი. ონორიუს III წერილში რუსუდანს მიუთითებს ლაშქრობაში ჩაბმის თარიღსა და ადგილზე, — სწორედ ეს არის წერილის მთავარი დანიშნულება და საეკლესიო შეერთებაზე საუბარი სრულიად უადგილო იქნებოდა. ხოლო „მოციქულებრივ შენდობას და ცოდვების მიტევებას“ რომის პაპები ჰპირდებოდნენ ყველას, ვინც კი ჩაებმებოდა მათ მიერ წამოწყებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ეს ხომ მათი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საწინდარი იქნებოდა.

პირიქით, კათოლიკური ეკლესიისადმი მიმხრობის, გადმობირების, მრევლის გაზრდის მიზნით პაპები მრავალ მეთოდს მიმართავდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ხშირად ვაჭრობდნენ კიდეც მიზნის მისაღწევად ცოდვების მიტევებითა და შენდობით. ამრიგად, ქართველთა სამეფო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. პაპი თავის ჩვეულ ამპლუაშია, იგი მოუწოდებს ქართველებს ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმისკენ და ცდილობს ქართველთა კეთილგანწყობა დაიმსახუროს. მ. თამარაშვილი განაგრძობს: „ისიც ყურადსაღებია, რომ პაპი შენდობის მინიჭებაზედ ხმარობს ერთსა და იმავე ლექსებს, რომლის ხმარებაც მხოლოდ კათოლიკე მეფეებისა და ერისთვის მიღებული იყო ხოლმე. ცხადია პაპი არც ამ ლექსებს იხმარებდა, დედოფლისა და ქართველების ერთობაზედ რაიმე ეჭვი რომ შეეტანა“.[23] აქედან გამომდინარე, რომის პაპი სახარებიდან გარკვეულ ციტატებს ხმარობდა კათოლიკე მრევლისადმი და გარკვეულ ციტატებს სხვათა-

---

23. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

12. „მნათობი“ № 5-6.

ვის. წერილში მოტანილია ნაწყვეტი მათეს სახარებიდან: „ყოველმან რომელმაც აღიაროს ჩემდამი წინაშე კაცთა, მეც აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა“.[24] უფლის ეს სიტყვები არ შეიცავს იმ დოგმატურ საკითხს, რომელზეც შემდგომ ეკამათათ ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდევრებს. ვინც აღიარებდა იესო ქრისტეს მესიად, მხსნელად, ხოლო მის მოძღვრებას — ღვთაებრივად მიიჩნევდა, უფლის მიერ მამა-ღმერთის წინაშე იქნებოდა აღიარებული. გაუგებარია, თუ რატომ უნდა წაეკითხათ სახარების ეს ლექსი რომის პაპებს მხოლოდ კათოლიკეებისთვის, მასში ჩადებულია ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელიც ურწმუნოთათვის უნდა გამხდარიყო ცნობილი.[25] ამდენად, მკვლევარის დასაბუთება კვლავ საეჭვოდ მიგვაჩნია.

ახლა განვიხილოთ ონორიუს III-ის პასუხი ივანე მხარგრძელისადმი, რომელსაც იგივე თარიღი უზის. იგი მოცულობით უფრო მცირე ზომისაა, მაგრამ შინაარსობრივად პირველ პასუხს ჰგავს: „გიგზავნით რა მოციქულებრივ წერილს, შივუთითებთ შენს წარჩინებულებას და მოგიწოდებთ, რათა შენი საქებარი და დიდსულოვანი დაპირების თანახმად იზრუნო შენი ჯარის მომზადებაზე, რათა შესძლო, როგორც ეს შენს დიდებულებას შეეფერება, მოხვიდე საჭირო დროს ქრისტიანთა ჯარის საშველად და შეასრულო უფალ იესო ქრისტეს შესაფერისი სამსახური“[26] და სხვ. ამრიგად, პაპი უქებს ივანე მხარგრძელს გადაწყვეტილებას და აგულიანებს ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩასაბ-

---

24. მათე, 10,32. იხ. ქართული ოთხთავის 2 ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 290.

25. ეს აზრი დამიდასტურა თბილისის კათოლიკური ეკლესიის პატრმა იანის პავლოვსკიმ.

26. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელად. მ. თამარაშვილი წერილს კომ-ენტარებს არ ურთავს.

მ. თამარაშვილი ქართული და რომ-აული ეკლესიების ერთობის ეპოქის ბოლო წერილიდან ასახელებს პაპი გრიგოლ IX-ის წერილს საქართველოს მეფისადმი, რომელსაც 1233 წლით ათ-არიღებს.[27] ი. ტაბაღუა კი — 1234 წელს მიიჩნევს: „ვინაიდან პაპი გრიგოლ IX პაპის ტახტზე დაჯდა 1227 წლის 19 მარტს, ხოლო მისი პაპობის მეშვიდე წელი 1234 წლის აპრილი იქნებოდა".[28] როგორც მართებულად შენიშნა ი. ტაბ-აღუამ, წერილში საქართველოს მეფის სახელს პაპი არ ასახელებს.[29] სავარაუ-დოდ რუსუდან დედოფალი უნდა მივი-ჩნიოთ. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა წერილის შინაარსი ეკლესიური ერთო-ბის თუ გათიშულობის კუთხით.

წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლ IX-ს საქართველოს მდგომარეობის შესახებ ერთ-ერთი მისიონერის — იაკობ დე რუსანის ან იაკობ როგსანელის საშუა-ლებით მიუღია ცნობები. „ამ წერილის თქვენთან მიმტანის, მინორიტების ორ-დენის ბერის, საყვარელი შვილის იაკ-ობ დე რუსანის საშუალებით გავიგ-ეთ".[30] პაპი უქებს მეფეს სტუმართმოყვა-რეობას, ბერების ღირსეულად მიღებას და დასძენს: „როგორც ჩვენ გვწამს, გა-იგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოს-თა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათ-ოლიკური ეკლესია შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწ-აულებრივი მოქმედებით".[31] ე. ი. საქარ-თველოს მეფე იცავდა კათოლიკე ბერებს „ერეტიკოსთაგან" უსამართლო შეურა-ცხყოფისაგან; თუ საქართველო კათოლ-იკური ქვეყანა იყო, შესაბამისად, მისი-ონერებს, თუ ისინი ჩვენი ქვეყნის სხვა რჯულის ხალხის მოსანათლად იყვნენ

---

27. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.
28. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 185.
29. იქვე, გვ. 82.
30. იქვე, გვ. 185.
31. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

გამოგზავნილნი, პატივისცემით მოეკ-იდებოდნენ და მათ არავითარი დაცვა არ დასჭირდებოდათ. ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში მი-სიონერები უკვე მოღვაწეობდნენ. ძნე-ლი წარმოსადგენია, რომ ახლადჩამოყ-ალიბებულ კათოლიკურ ეკლესიას თავ-ისი ბერები გამოეგზავნა კათოლიკურ ქვეყანაში აქ მცხოვრები სხვა ურწმუნ-ოების მოსანათლად. თავდაპირველად რომი თავის მისიონერებს სწორედ არა-ქრისტიანულ ქვეყნებში გზავნიდა.

პაპი სთხოვს საქართველოს მეფ-ეს ყურადღებით მოეკიდოს მისიონერ-ებს და ყველანაირად დაეხმაროს მათ: „ჩვენთვის ახლობელი ხსენებული მო-რჩილი ძმა და ამ ორდენის სხვა ბერე-ბი სიღარიბის უღელ ქვეშ მოხალისე ლეგატებად მიდიან ქრისტიან ხალხებ-თან, იმათთანაც, ვინც არ ცნო უფალი და მის ნეტარ სახელს ამაოდ არ მოიხ-სენიებს".[32] შემდგომ პაპი კვლავ სთხოვს მეფეს თანაგრძნობას. საინტე-რესოა მ. თამარაშვილის კომენტარი: „იმ ხანებში მისიონერების გამოგზავნა ჩვენს ქვეყანაში უეჭველად იმას არ ნი-შნავს, რომ საქართველოს შეეწყვიტოს ერთობა რომთან, რადგან შეიძლება, ამ დროს ეს მისიონერები აქ ყოფილიყვნ-ენ არა ქართველებისათვის, არამედ ურწმუნოებისა და სხვა და სხვა გვარ მწვალებელთა მოსაქცევლად. თვით წერილიც საკმაოდ გვიჩვენებს ამ გარ-ემოებას".[33] გადაჭრით საუბარი, რომ მისიონერები საქართველოში ქართველ-თა მოსაქცევად არ ჩამოსულან, შეუძ-ლებელია. ამის საბუთი ჩვენ არ გაგვაჩ-ნია. მაგრამ ლოგიკურად, ქვეყანაში, სა-დაც კათოლიკე ბერები მოღვაწეობენ და რომის პაპი ამ ქვეყნის ხელისუფალს მათ მფარველობასა და შეურაცხყოფისა-გან დასაცავად მოუწოდებს, საწინააღმ-დეგოზე უნდა მეტყველებდეს. ჩვენი აზ-რით, გრიგოლ IX-ის 1234 წლის წერ-

---

32. იქვე, გვ. 185.
33. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესია აშკარად რომისაგან გამოყოფილა. ამით აიხსნება სწორედ პაპის დაჟინებული თხოვნა საქართველოს მეფისადმი კათოლიკე მისიონერების დაცვაზე. ჩვენს სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს პაპი გრიგოლ IX-ის წერილი აღმოსავლეთში მოღვაწე მინორიტი მისიონერებისადმი, რომელიც 1234 წლით თარიღდება.

წერილი ამგვარად იწყება: „ქართველების, სარკინოზების და სხვათა მიწებზე ურწმუნოთა შორის მომუშავე მინორიტების ორდენის მორჩილ ძმებს“.[34] საქართველო სარკინოზების ქვეყნის გვერდით იხსენიება. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ დროს კათოლიკური არ არის. წერილში პაპი მოუწოდებს ბერებს „ამოძირკვონ სარ-ეველა ბალახი“ უფლის ყანიდან. ყოველივე ამის შემდგომ მ. თამარაშვილი ასკვნის: „რადგან ხელთ არა გვაქვს უფრო ცხადი საბუთი, რომელსაც შეეძლოს გარდაწყვეტით გვიჩვენოს რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივის ერთობის გამძლეობა თუ ამ დროს და თუ მის შემდეგს წლებში, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ერთობა მტკიცედ დაცულა ვიდრე 1230 წლამდე. ხოლო ამ ხანების შემდგომ მომხდარა განცალკევება, მაგრამ რომელ წელში, ანუ რა შემთხვევაში, ეს ჯერ არა სჩანს“.[35]

ამრიგად, ეპისტოლარულ მასალაზე დაყრდნობით მ. თამარაშვილი ასკვნის: რომ რომისა და საქართველოს ეკლესიები ერთმანეთს გაემიჯნა არაუადრეს XIII-ის 30-იანი წლებისა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ უარგვყო მ. თამარაშვილის არგუმენტები და დაგვემტკიცებინა, რომ ამ წერილებზე დაყრდნობით თავისუფლად შეგვიძლია დავუშვათ საწინააღმდეგო — ქართული და რომაული ეკლესიების გათიშულობა. ბიზანტიის ეკლესია 1054 წელს გამოეყო რომის ეკლესიას და შესაბამისად, მთელმა აღმოსავლეთ საქრისტიანომ კონსტანტინოპოლის მაგალითს მიბაძა. მათ რიგში უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიაც. არც ქართული დოკუმენტები და არც ეპისტოლარული მასალა არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, ქართული ეკლესიის კათოლიკური რწმენის აღმსარებლობა XIII ს-ის 30-იან წლებამდე.

---

34. ი. ტაბაღუა, გვ. 186.

35. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით თევზაძე

ვასილ წერეთელი

ჩვენი მეცნიერების საკმაოდ დიდი არმია — აკადემიის ინსტიტუტების, უმაღლესი სკოლის კათედრებისა თუ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომლები — იკვლევს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ-პოლიტიკურ თუ მხატვრულ-თეორიულ აზროვნებას, მაგრამ ჯერჯერობით მაინც შეუსწავლელი რჩება მთელი რიგი ქართველი მწერლების, პუბლიცისტთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოვრების გზა და შეხედულებები, ხოლო ამის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ჩვენი ერის ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის სრულყოფილ ობიექტურ გაშუქებაზე.

ერთი მათგანი, რომლის პოლიტიკური, ეროვნული, ლიტერატურული შეხედულებები და საზოგადო მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ვასილ წერეთელია (1862-1937 წ.წ.).

●

ვასილ წერეთელი სპეციალობით თუმცა ექიმი-თერაპევტი იყო, მაგრამ ერთგულად ემსახურებოდა არა მარტო ჯანმრთელობის საქმეს, არამედ გაბედულად ეწეოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ქართველი ხალხის ეროვნულ-სოციალური განთავისუფლებისათვის; იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ოდესასა და კიევში ეცნობა მარქსიზმს და პირველ ხანებში თავისთავს „მარქსისტს“ უწოდებს, თუმცა ზოგი იმდროინდელი ქართველი მარქსისტისაგან განსხვავებით, არ ივიწყებს ეროვნულ იდეალებს. სწორედ ამ პოზიციიდან ეკამათება ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძეს, ა. წულუკიძეს, ს. ჯიბლაძეს...

1894 წელს ერთ-ერთ წერილში ირონიულად ეკიდება „მესამე დასის“ „პირველეს წევრს“ (ნ. ჟორდანიას), რომელიც არაფრად აგდებს ილიას მიერ დიდი მხატვრული ძალით აღწერილ „ხიდ-ჩატეხილობის“ პრობლემას.

ვ. წერეთელი მრავალმხრივი მოღვაწეა, მას ქართველი ხალხის სოციალურ-ეროვნული თავისუფლება მოაზრებული აქვს როგორც თანმიმდევრული ინტენსიური შრომისა და აქტიური ბრძოლის შედეგი, პირადად იგი არ კმაყოფილდება „ერთი დარგით“ და ფართო პროგრამით მოქმედებს; წერილებს აქვეყნებს როგორც სამედიცინო საკითხებზე, ასევე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, საზოგადოების ეკონომიკურ ნიადაგზე გაერთიანების აუცილებლობაზე, სამეურნეო ამხანაგობათა დაარსებაზე, კაპიტალისტურ ქვეყნებზე, კლასთა ბრძოლასა და მის ჰარმონიულ განვითარებაზე, მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებზე, ახალგაზრდების უმაღლესი განათლების მიღების საჭიროებაზე, ქალთა განათლებაზე, სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული წერილები, რომლებიც უთუოდ ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიჭერს გასული საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის პირველ მესამედში. მან ჯერ კიდევ 1899 წელს „აკაკის თვიურ კრებულში“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილები, რომლებშიც ძირითადად სწორად ჩამოაყალიბა რომანტიზმისა და რეალიზმის თეორიული პოსტულატები და მათზე დაყრდნობით განიხილა **გრიგოლ ორ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის შემოქმედება; რეალისტური პრინციპების ერთგული და აქტიური დამცველი დარჩა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, განიხილავდა ილიასა თუ გიორგი წერეთლის შემოქმედებას, ცისფერყანწელთა პოეზიას, გალაკტიონის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტერენტი გრანელისა თუ სხვათა თხზულებებს. თავის შეფასებაში ვ. წერეთელი ყოველთვის ამჟღავნებს ფართო განათლებას, ლიტერატურულ გემოვნებას, მაღალ მომთხოვნელობას;

ვ. წერეთლის წერილები, რომლებიც გამოქვეყნებულია გასული საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის 900-20-იანი წლების ქართულ პრესაში, დღემდე არ არის გამოცემული და შესწავლილი. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია მისი „მემუარები" ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი წერეთლის, ანტონ ფურცელაძის, ნიკო ნიკოლაძის, ვანო ჯაბადარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ვ. წერეთლის მოგონება „ილია ჭავჭავაძე" გამოვაქვეყნე გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში", 1987 წელს, ხოლო „აკაკი" მცირე შემოკლებით გაზ. „თბილისში", 1991 წელს, 14 აგვისტოს).

მისი მემუარები ემყარება ავტორის პირად შთაბეჭდილებებს, შეხვედრებს, მის მიერ ნახულსა და მოსმენილს. ამდენად არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს ამა თუ იმ მოღვაწის ყოველმხრივი დახასიათებისა, მაგრამ რაც არის, სანდოა და დაწერილია დიდი სიყვარულით, ობიექტურობით, წარსულის შელამაზების გარეშე. მათში სწორადაა გადმოცემული და ახსნილი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები, გვხვდება ახალი მასალები და ცნობები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული ცხოვრების შესწავლისას.

ვასილ წერეთელი წერილებს აქვეყნებდა, როგორც სახელითა და გვარით, ასევე ინიციალითა და ფსევდონიმებით **(ვ. წ. აურო, კვერი, ულმობელი, ისარი, გრდემლი, ზემო იმერელი).**

„მემუარები" გასაცნობად გადმოგვცა ვასილ წერეთლის ქალიშვილმა, აწ განსვენებულმა ცნობილმა ბაქტერიოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ქალბატონმა ელენე წერეთელმა, რისთვისაც უღრმესი მადლიერებით ვიგონებ.

ვასილ წერეთელი, როგორც ექიმი და საზოგადო მოღვაწე ცნობილია, მაგრამ როგორც ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და უცნობია დღევანდელი საზოგადოებრიობისათვის. თავის სიცოცხლეში კი — მოყოლებული გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახნიდან ოთხი ათეული წლის მანძილზე — სისტემატურად აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. ეს წერილები, რომლებიც დღემდე არ არის შეკრებილი, გამოცემული და შესწავლილი, დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას; განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძალებული პროპაგანდისა და გავრცელების პერიოდშიც ვ. წერეთელი არ იზიარებს მარქსიზმის უნიადაგო იდეებს არც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, არც ლიტერატურისმცოდნეობაში. ამ პოზიციებიდან იგი გაბედულად იბრძვის ქართველი ხალხის განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზით განვითარებისათვის.

რეალურ კავშირს ქვეყნიერებასთან ქმნის უმთავრესად ლიტერატურა, ამ მხრივ ლიტერატურას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყოველივე სხვას... ლიტერატურა არის ერთი ძლიერი იარაღთაგანი...

ვასილ წერეთელი

90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში მარქსისტული მსოფლმხედველობის შემოჭრიდან, ჩამოყალიბდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტულ-ულგარული კრიტიკის პრინციპები, რომლებიც ეფუძნებოდა „კლასთა ბრძოლის თეორიას“ და დაუპირისპირდა სამოციანელთა ეროვნული ერთიანობასა და „საერთო ნიადაგის“ პოზიციას. ქართველი სამოციანელები და მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე აღზრდილი თაობა წინ გადაეღობა ნ. ჟორდანიას, ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის, ს. ჯიბლაძისა და სხვათა იდეურ-პოლიტიკურ ესთეტიკურ-ლიტერატურულ პრინციპებს.

ილია ჭავჭავაძე მთელი შეგნებით იბრძვის ქართველი ერის დასებად დაყოფის წინააღმდეგ, როგორც მოქალაქე და მწერალი.[1]

არა გვგონია, ილიას ძლიერი ლოგიკით დაწერილი ცნობილი წერილი „ცხოვრება და კანონი“ ეწინააღმდეგებოდეს თვით ილიას შემოქმედებას.

მითითებულ წერილში ილია წერს: „დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია.. ამიტომაც არც ზნეობით და არც ჩვეულებით ჩვენი თავადაზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან...

ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოიფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს ერთს დიდებულს დენას შეერთებული ძალისას? ამიტომაც დიდად სცოდავენ ქვეყანასა და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყოსო წოდებათა შორის, რადგან ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს? (თხზ. სრ. კრ. ტ. VI, 1956, გვ. 55-57).

ანალოგიური იყო აკაკის შეხედულებაც. მან გააკრიტიკა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, რომლის რომანში („მოლიპულ გზაზე“) კონფლიქტს საფუძვლად უდევს წოდებათა უთანასწორობა და დაპირისპირება (იხ. აკაკის რეცენზია „მოლიპულ გზაზე“, ტ. XIII).

ქართველი მარქსისტები: ნ. ჟორდანია, ალ წულუკიძე, ს. ჯიბლაძე, ფ. მახარაძე (პირველ ხანებში ი. გომართელი) და სხვ. თავიანთ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში სახელმძღვანელო მოძღვრებად აღიარებენ მარქსიზმს და კლასობრივი ბრძოლის თეორიის პრინციპით განიხილავენ, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიასა და თანადროულ მხატვრულ პროცესებს.

ვ. წერეთლის აზრით, ამ მცდარ პრინციპს, სამწუხაროდ, ვერ ასცდა ნინოშვილიც, რომელმაც ტარიელ მკლავაძე, როგორც აზნაური, ტენდენციურად,

---

1. არ არის მართებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი ილიას, როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის, მისი პიროვნების გახლეჩისა, თითქოს ილია რეალისტი — მხატვარი დაუპირისპირდა ილია — მოაზროვნეს. ეს დებულება ნასესხებია ენგელსისა და ლენინისაგან (თითქოს ბალზაკი და ლევ ტოლსტოი როგორც რეალისტი-მხატვრები დაუპირისპირდნენ საკუთარ მოქალაქეობრივ პოლიტიკურ პოზიციას). მათი (ენგელსისა და ლენინის) ეს მანევრული ფანდი გაიზიარა საბჭოურმა ლიტერატურისმცოდნეობამ, რასაც მიმართავდა კლასიკური მწერლობის ანალიზის დროს.

არჩილ ჯორჯაძე 1910 წელს წერდა: „ბევრსა ჰგონია, ვითომ ორი ადამიანია ტოლსტოი — მხატვარი და ტოლსტოი მორალისტი-მოაზრე. მხატვრობის ნიჭი, რასაკვირველია, განსაკუთრებული ნიჭია, მაგრამ აბა გამოჰყავით ამ მხატვრული ნაწარმოებიდან მისი შინაარსი და ამ მხატვრობისაგან არაფერი დარჩება“ (წერილები“, გვ. 685).

მეთოდოლოგიურად სწორი არ იქნება რომ შემოქმედის ცალკეული ნაწარმოები მოწყვეტილად, იზოლირებულად განვიხილოთ მწერლის მთელი შემოქმედებისა და ინტელექტუალური მოღვაწეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ უარყოფითი ბუნებით დახატა. იგი ვერ ჩასწვდა მკვლავაძის სოციალური ფენის ბუნებას, მისი თავზეხელაღებულობის მიზეზს, მასში ავტორმა ადამიანურობის ვერც ერთი ნიშან-წყალი ვერ დაინახა და ამით მაღალი წოდება ერთიანად საზოგადოების ხორცმეტად დაგვისახა, რაზედაც უნდა ვიფიქროთ, რომ ზეგავლენა მოახდინა კლასობრივი ანტაგონიზმის მარქსისტულმა მოდელმა.

1902 წელს ვ. წერეთელი თუმცა მაღალ შეფასებას აძლევს ე. ნინოშვილს, როგორც მწერალსა და მოქალაქეს: უწოდებს „ჰუმანურ მწერალს", „უსამართლობის მტერს და ძმობისა და სიყვარულის მქადაგებელს", მაგრამ შენიშნავს, რომ „მისგან დახატული ტიპი ახლანდელის აზნაურისა ტარიელ მკლავაძე ცალმხრივია, ცალმოკვი. ტარიელ მკლავაძე, — წერს კრიტიკოსი, — მხოლოდ მტარვალად არის დახასიათებული, მისი ნაკლოვანებები გაზვიადებით არის გამოხატული. ადამიანური ღირსებანი კი სრულიად არ შეუმჩნევია მხატვარს. ტარიელ მკლავაძე მხოლოდ მხეცი, ყოველსავე ნიშან-წყალს მოკლებულია. კრიტიკოსის აზრით, მკლავაძეც შევიწროებულია „საშინელი ბრძოლის ასპარეზზე". იგი მხოლოდ მჩაგვრელი როდია, არამედ „ჩაგრულიცაა" და მასაც „ულვივის გულის სიღრმეში ადამიანური გრძნობათა ცეცხლი" (1).[2]

---

2. ჩემი აზრით, ვ. წერეთელს თავისი დებულება შეეძლო გაეძლიერებინა იმითაც, რომ რუსული დემოკრატიული აზროვნების ზეგავლენა და „კლასობრივი ბრძოლის" მარქსისტული პრინციპი თავს იჩენს ნინოშვილის ჯერ კიდევ ადრინდელ რომანში „ჯანყი გურიაში" (1888-89 წწ.). მასში 1841 წლის გურიის აჯანყება, როშელიც არსებითად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი სოციალური პრობლემა: ყმა-გლეხთა აჯანყება თავადაზნაურობის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ისტორიულად აჯანყება მიზნად ისახავდა რუსეთის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებას და

1. ესთეტიკური ნააზრევი

ქართული ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული აზრი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ახალ საფეხურზე აიყვანეს კიტა აბაშიძემ, არჩილ ჯორჯაძემ, გრ. რობაქიძემ, გ. ქიქოძემ და სხვ.

მათ უარი თქვეს ხელოვნების „ნაროდნიკულ" ვულგარულ-სოციოლოგიურ პრინციპებზე, რომლებიც რუსულის ზეგავლენით იჭრებოდა ჩვენში და დაამკვიდრეს ახალი, ევროპული ესთეტიკური შეხედულებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, გულისხმობდა რეალიზმის პრინციპების დაცვასაც. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გრ. რობაქიძე, გ. ქიქოძე „მარქსიზმის ეპოქაში" არ იზიარებდნენ არც ე. წ. მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკურ თეორიებს და არც მათ ეროვნულ ნიჰილიზმს.

ვასილ წერეთლის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები ჩამოყალიბდა ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ ნააზრევზე (არაიზოლირებულად იმდროინდელი ევროპელი მოაზრეებისაგან) და, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს რეალისტური პრინციპების დაცვას მწერლობაში. იგი თავისი დიდი წინაპრების დარად, მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებს ხალხის გონების გაფართოებისა და ზნეობრივი ბუნების ამაღლების საზოგადოებრივ ფუნქციებს; ასაბუთებს, „რომ რეალურ კავშირს ქვეყნიერებასთან ქმნის უმთავრესად ლიტერატურა, რომ ამ მხრივ ლიტერატურას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყოველივე სხვას... ლიტერატურა არის ერთი ძლიერი იარაღთაგანი მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობე-

---

ბრძოლის ავანგარდში სწორედ ქართველი თავადაზნაურები იყვნენ **(ამასთან დაკავშირებით იხ. ექვთიმე თაყაიშვილის „დაბრუნება", 1991 წ., გვ. 465—468 და 1841 წლის გურიის აჯანყებასთან დაკავშირებული ისტორიული მასალები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებისათვის", — წერს იგი (2, 1-2).

3. წერეთლის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებები გამომდინარეობს საზოგადოებრიობის ზეკლასობრივი ბუნებიდან; მარქსისტი კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, იგი ადამიანურს ეძებს ყველა ადამიანში მიუხედავად კლასობრივი წარმოშობისა და სოციალური მდგომარეობისა; ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ტიპობრივისა და ტიპურის განსაზღვრისას; ამდენად წინააღმდეგია ცალმხრივობის, ტენდენციურობის, რაც სქემატურობამდე მიიყვანდა ავტორს; მისთვის ყველა პერსონაჟი არის ადამიანური თვისება, ყველა ღვთისშვილია და ყველას ბუნებაში უნდა იქნეს დანახული არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითი მახასიათებლებიც.

ეს პრინციპები ვასილ წერეთლის პოსტულატებია, რომლებიც საფუძვლად უდევს მის ესთეტიკურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს.

ამჯერად, ჩვენ შევეხებით მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე არასრული იქნება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრი და, მაშასადამე, უახლესი ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების გზა.

ვასილ წერეთლის პირველი მნიშვნელოვანი ესთეტიკურ-ლიტერატურული წერილები გამოქვეყნდა „აკაკის კრებულში", 1890 წელს.

„კრიტიკული წერილების" პირველი ნაწილის პირველ თავში ავტორი განიხილავს მსგავსებასა და განსხვავებას ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ეს არის ფილოსოფიურ-ესთეტიკური განსჯა მხატვრული ლიტერატურის (ხელოვნების) სპეციფიკისა და მეცნიერების შესახებ; მათ საერთო ნიშნებსა და განსხვავებაზე. მართალია, ეს არ არის ამ დროისათვის „ახალი სიტყვა", ქართული ესთეტიკური აზრის განვითარებაში, მაგრამ ინტერესს აღძრავს ორიგინალური არგუმენტაციით, დებულებათა ლოგიკური გადმოცემით; იგი სწვდება სულის მოძრაობის უმცირესს ნიუანსებს, რაც ხელოვნების (მწერლობის) მახასიათებელს შეადგენს და მეცნიერებასთან შეჯერებით ახდენს მათ დიფერენცირებას. ამ დროს იგი ამაღლავნებს კრიტიკულ ალღოს და იცავს რეალისტური ხელოვნების ზოგადი კანონების, მისი ცალკეული დარგების სპეციფიკასა და მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ეხება რა მსგავსებას მეცნიერებასა და ხელოვნებაში, დასძენს რომ „ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ მეცნიერება და ხელოვნება ერთი და იგივე იყოს.. შექსპირის თხზულებებში ბევრი ფილოსოფიური ჭეშმარიტება არის გაფანტული, მაგრამ იგი მათს მეცნიერულად დამყარებას კი არ დასდევს; მას სხვა დიდი მიზანი აქვს: გააკეთილშობილოს ადამიანის გრძნობები" (3, 16).

მისი სიტყვით, „პოეტი ფსიქოლოგი და მეცნიერი-ფსიქოლოგი სხვადასხვა რიგად ეხებიან კაცის სულის მოძრაობას. პოეტს ესმის სულის მოძრაობა **გრძნობით**, და, მეცნიერ ფსიქოლოგს უფრო **გონებით**... თვით მეცნიერება არის უმაღლესი განვითარება **გონებისა** და პოეზია — უმაღლესი განვითარება **გრძნობისა, რთული გრძნობის.**

წერილს სიცხოველეს მატებს ის, რომ პოლემიკური ხაზი სკაბიჩევსკისთან ბოლომდე გასდევს.[3]

---

3. სკაბიჩევსკი „სრულიად ვერ არჩევს ერთმანეთში ხელოვნურსა და მეცნიერულ ლიტერატურას, მისი აზრით, ამ ორ ლიტერატურას შორის მხოლოდ გარეგანი, ფორმალური განსხვავებაა და არა შინაგანი არსებითი. ხელოვნურ ლიტერატურას უნდა ედვას ვალად მხოლოდ მეცნიერების სამსახური, მეცნიერული აზრების სახალხოდ ქადაგება, ანუ პოპულარიზაცია, მეორე მხრით, იგი ბევრად მაღლა აყენებს ხელოვნურ ლიტერატურას მეცნიერულზე. ჩვენ დიდი უმართლობა გვგონია — დასძენს ოპონენტი, — როგორც ასე დამცირება, ისე ასე ამაღლება ხელოვნური ლიტერატურისა" (3., 14—15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილის მეორე თავში ავტორი წარმოგვიდგება ერუდირებულ ფსიქოლოგ დამკვირვებელად; იგი განიხილავს გრძნობის რაობას, მის განზომილებებს (სასიამოვნო და უსიამოვნო), მასთან დაკავშირებით ზომიერების კატეგორიას და დამაჯერებელი საინტერესო არგუმენტებით გვარწმუნებს წამოყენებულ დებულებათა ჭეშმარიტებაში. ცალკეულ შემთხვევაში მეტი დამაჯერებლობისათვის იშველიებს შოპენჰაუერისა და სპენსერის შეხედულებებს.

რა არის სასიამოვნო და უსიამოვნო? ამ კითხვებს ავტორი უბრალოდ უპასუხებს: ის რაც სიამოვნებას გვანიჭებს სასიამოვნო გრძნობაა, ხოლო რაც უსიამოვნებას გვანიჭებს უსიამოვნებაა.

მათ განაპირობებს და განსაზღვრავს ზომიერების გრძნობა. ამასთან ავტორი სასიამოვნოს უკავშირებს სარგებლიანობას: „რაც კი სასარგებლოა, — წერს იგი, — სასიამოვნოა. აქედან გამომდინარე მესამე თავში დაასკვნის: „ხელოვნური თხზულება უნდა ქადაგებდეს კეთილშობილურ აზრებს და გრძნობებს; მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო მისი კითხვა, მხოლოდ ამგვარ თხზულებას შეუძლია მისცეს კაცს ნამდვილი სიამოვნება. თხზულება შეიძლება იქნეს სასარგებლო მაშინაც, როდესაც აღძრავს ჩვენში მწარე ფიქრებს და გრძნობებს, რომელნიც გვიხელენ თვალს სხვის უბედურებაზე და აღძრავენ ჩვენში სურვილს შველისას. ამ შემთხვევაში შეიძლება, კითხვის დროს უსიამოვნებაც იგრძნოს კაცმა, მაგრამ ამ კითხვის მიზეზით, იგი ხდება ალტრუისტად, გაჭირვებულთა შემწედ და დამხმარებლად... მაშასადამე, ამგვარ მწარედ დამაფიქრებელ თხზულებათა კითხვა გამოიწვევს ბოლოს და ბოლოს ხანგრძლივ სიამოვნებას... (31, 34).

მხატვრული ქმნილების შეფასების კრიტერიუმად ავტორი აღიარებს „გარეგანი ფორმის გარდა, შინაგან მხარესაც“, ე. ი. მას აანალიზებს ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში.

მკვლევარი მაშინდელი ესთეტიკის პოზიციებიდან განიხილავს ხელოვნების საგანსა და მისი წარმოსახვის მეთოდს. მას მიაჩნია, რომ ხელოვანი ლიტერატორი უნდა ხატავდეს ისეთს მოვლენებს, რომლებიც ეთანხმება მას მიზნის განხორციელებაში, იდეური საზრისის გამოვლინებაში; აკრიტიკებს მათს, რომლებიც მოითხოვენ სინამდვილის, „ფოტოგრაფიულ სურათოვნებას“ „პირდაპირ ფოტოგრაფიული სურათები, — წერს იგი, — ახდენენ ადამიანზე მკრთალ შთაბეჭდილებას. მისი აზრით, სურათმა რომ მოახდინოს შთაბეჭდილება, საჭიროა იგი წარმოადგენდეს საუკეთესო საგანს თავის გვარში, საჭიროა გაგვახსენებდეს იდეალურ, ტიპიურ მოვლენას. მისი აზრით, **სისრულე არ არის ბუნებაში და ცხოვრებაში.** სრული არსება, ტიპიური მოვლენა ძნელი მოსანახავია. ამიტომ ხელოვანმა ლიტერატორმა, საჭიროა შეისწავლოს ბუნება და ცხოვრება და ამოარჩიოს შესწავლილ საგნებში და მოვლენებში თავის **ხელოვნების საგნად ის, რაც უკეთ მიაღწევს მიზანს, რაც უფრო იდეალურია** (ხაზგასმა ყველგან ჩემია — დ. თ.).

განვიმეოროთ., — განაგრძობს იგი,— ხელოვანმა ლიტერატორმა უნდა ამოირჩიოს ცხოვრებიდან ტიპიური, არსებითი მოვლენები. ყოველივე, რაც არ ემსახურება იდეალს, რაც არ არის იდეალისათვის, უნდა გაცალოს მან სურათს იმიტომ, რომ ყოველივე ეს დაჰფარავს ამ სურათს და შთაბეჭდილებას“ (4, 36-37).

რა თქმა უნდა, ავტორს მიაჩნია, რომ „ტიპის“ დახატვა მოვლენების გაერთგვარება“ არ არის. ტიპიზაციისას ხდება მხოლოდ სხვადასხვა ერთეულისაგან „აღება“ იმ ნიშნისა, რომელიც შემოქმედს აინტერესებს.

„ვთქვათ, თქვენ შეამჩნიეთ ერთ ქალს მშვენიერი თვალები, მეორეს მშვენიერი ტანადობა, მესამეს კიდევ სხვა თვისება სილამაზისა. თქვენ შეგიძლიათ შეაერთოთ ეს სხვადასხვა თვისება სხვადასხვა ქალისა და დახატოთ ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზი ქალი, რომელშიაც ერთად იქნება შეზავებული ყველა ეს თვისებები“ (4, 40).

მაშასადამე, — დაასკვნის იგი, — ტიპი არ არის მეცნიერული გაერთგვარების ნაყოფი. ტიპი შეიცავს საერთო თვისებებს ადამიანებისას იმიტომ, რომ ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიან (31, 40-41).

დასასრულს უყურადღებოდ არ ტოვებს მეცნიერების როლს პოეზიაში. „მეცნიერება ამდიდრებს პოეზიას, — წერს იგი, — აძლიერებს, აკეთილშობილებს გრძნობებს. ამიტომ ყოველმა ხელოვანმა ლიტერატორმა უნდა დაიწეროს თავის დროშაზე: „მეცნიერება“ (4, 43).

2. XIX საუკუნის ქართული პოეზიის საკითხები

ა) გრიგოლ ორბელიანი.

ზემოთ მითითებულ თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით განხილული აქვს სამი პოეტის — გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზია. მკვლევარი პოულობს საკუთრივ მახასიათებლებს მათს შემოქმედებაში, არსებით მხატვრულ ინდივიდუალურ ნიშნებს, რომლებიც მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან; გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ანალიზისას მიმართავს შეპირისპირების ხერხს, რათა უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს საერთო ეპოქის ფონზე მათი პოეტური თავისებურებანი.

„გრიგოლ ორბელიანი იყო ნამდვილი შვილი საშუალო საუკუნეებისა, — წერს იგი, — მისი იდეალი არის იდეალი მეომრისა. ახალმა ცხოვრებამ დააჩნია მხოლოდ გარეგანი დაღი მას. მან არ იცის ის სულის შფოთვა, ის საშინელი, მქენჯნავი ეჭვები, რომლითაც იყო შეპყრობილი ბარათაშვილი. მისი გულის წადილი განსაზღვრულია. იგი არაფერს ეძებს ახალს; იგი სურს მხოლოდ ძველ დაკარგულ დიდებას. თუ ბარათაშვილს მომავლისაკენ მიუქცევია პირი, მომავალში ეძებს თავის ეჭვების განმაქარვებელ წამალს, თავისი წყლულების დამაყუჩებელ მალამოს, გრიგოლ ორბელიანს წარსულისაკენ უქნია პირი, იგი ნატრობს მხოლოდ წარსული იდეალების განახლებას, განხორციელებას ახალ ცხოვრებაში“ (4, 33).

ვასილ წერეთელი კრიტიკულად აფასებს გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულებას სამოციანელთა შეხედულებებისადმი, მაგრამ აღნიშნავს, რომ „აქვს მის ლექსებს ერთი კარგი მხარე, რომელიც არასოდეს არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ეს არის სიყვარული წინაპრების გმირული მოღვაწეობისა, თავგანწირული ბრძოლისადმი, თავისი არსებობის დასაცველად გარეშე მტერთაგან.

...ყველაზე უფრო შესანიშნავი ლექსი გრიგოლ ორბელიანის ლექსებში არის, ჩემის ფიქრით, „სადღეგრძელო“. აქ არის გამოთქმული წმიდათაწმიდა გრიგოლ ორბელიანის გულისა. ეს ლექსი არის ქება ჩვენი შესანიშნავი წინაპრებისა ფარნაოზიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე“.(4, 36-37). ნარკვევის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოეტს აქვს ნიჭი „ორი-სამი სიტყვით დაასურათოს ის, რასაც სხვა მრავალსიტყვაობითაც ვერ დაასურათებს“ (მიუთითებს დავით აღმაშენებლის სახეზე), ბოლოს დაასკვნის: „გრიგოლ ორბელიანის ნიჭი ჩაიღუპა ცხოვრების ავ პირობებში... მაგრამ განა მარტო გრიგოლ ორბელიანის ნიჭი დაუღუპავს ცხოვრებას“?! — სინანულის გრძნობით დასძენს ავტორი (4, 38).

ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი

დიდი ქართველი რომანტიკოსის დახასიათებისას მკვლევარი კვლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართავს ანალიზის შეჯერება-შეპირისპირების ხერხს. ბარათაშვილს იგი გრიგოლ ორბელიანის „ანტაგონისტს“ უწოდებს.

„თუ გრიგოლ ორბელიანს პირველ უკან მიუქცევია — შენიშნავს იგი, — ბარათაშვილს წინ, თუ გრიგოლ ორბელიანი თავისი რწმენებით ნამდვილი შვილია ძველი დროისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი წარმოადგენს პირველ მაგალითს ქართულის ეონებრივი და ზნეობრივი მოძღვრებისას, გამოფხიზლებისას. გრიგოლ ორბელიანში ყოველივე გრძნობა და ყოველივე აზრი განსაზღვრულია, შეურყეველი; ნიკოლოზ ბარათაშვილს კი დაკარგული აქვს სულიერი მყუდროება, იგი ეძიებს, შფოთავს, მას აწუხებენ, არ ასვენებენ სხვადასხვაგვარი ეჭვები, გრიგოლ ორბელიანის რწმენა და შეხედულება იყო რწმენა და შეხედულება იმ დროისა, იმ საზოგადოებისა, რომელშიაც იგი ცხოვრობდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი, როგორც სხვა, ახალი აზრებისა და გრძნობების კაცი, ვერ ურიგდებოდა მაშინდელ ცხოვრებას, მაშინდელ ჩვეულებას და ამიტომ ჰქონდა უკმაყოფილება ცხოვრებასთან. ნიკოლოზ ბარათაშვილს პირველად მიაშუქა ევროპის განათლების სხივმა, თუმცა პირდაპირ არა, ილმიცერად მაინც“ (4, 42).

ვფიქრობ, ამ დახასიათებაში მკაფიოდაა წარმოდგენილი ორი პოეტის მსოფლგანცდა და შენიშნულია თუ როგორ გადატყდა მათ მხატვრულ აზროვნებაში გარდამავალი პერიოდის ისტორიული ყოფა.

ფილოსოფიურ ასპექტშია განხილული ნ. ბარათაშვილის ლექსები: „სული ობოლი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „მირბის მიმაფრენს...“ („მერანი“ — დ. თ.), რომელსაც „შედევრს“ უწოდებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში. ამ ნაწარმოების ანალიზისას ვ. წერეთელი ლირიკული გმირის დაუოკებელი ბრძოლის აზრს ხედავს ჭეშმარიტების წვდომაში. „იგი (ლექსის ლირიკული გმირი — დ. თ.) დაჰკარგავს სწორსა და მეგობარს, მშობლებსა და სატრფოს, დაჰკარგავს თვით სამშობლოს, იგი იქნება უბედური, მაგრამ ყოველ ამას მოაქარვებიებს მაღალი, კეთილშობილური მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი“ (4, 48).

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სტრიქონი: „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო“ და სხვა ცნებები თუ თქმები (სიყვარული სწორის, მეგობრის, მშობლის, მამულის და ქარის გაკვეთა, წყლის გაპობა, კლდენისა და ღრენის გადალახვა) გამოყენებულია როგორც კონტრასტული ხერხი აბსოლუტურის გამოსახატავად, სწორედ თავისი აბსოლუტური სურვილის (გულისა საიდუმლოს გაცნობისა თანამავალთა ვარსკვლავთათვის) გამოხატვაა პოეტის მთავარი თეზა და ამას იგი ყველაფერს უმორჩილებს, მთელ თავის პირადულს ანაცვალებს, ოღონდ თანამავალთა ვარსკვლავთ ამცნოს გულისა საიდუმლო.

აქ დაფიქრება გვმართებს იმაზედ, რომ პოეტი უარს კი არ ამბობს თავის მამულზე, მშობლებზე, სატრფიალოზე, სწორსა და მეგობარზე, არამედ თავს სწირავს „გულის საიდუმლოს“, მაგრამ რა არის პოეტის „გულის საიდუმლო?“ თუ გავითვალისწინებთ პოეტის შემოქმედებასა და პირად წერილებს, ვფიქრობთ, მისი გული იდუმალად ატარებდა მხოლოდ დამონებული სამშობლოს ხსნის იდეას, ე. ი. ლექსის ლირიკული გმირის ოცნება ასეთია: დეე გავიწირო მე: „მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა... ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს“, ოღონდ ჩემი მამული ბედნიერი იყოსო... ცხადია, ეს არ ეწინააღმდეგება დიდი ილიას შეხედულებას: „ბარათაშვილს სურს, — წერს იგი, — საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს, ბაირონის კაენმა ამისათვის ლიუციფერი აირჩია, გიოტეს ფაუსტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი მერანი, ე ი. თავისი სულის ქროლა". თუ გავითვალისწინებთ რომანტიზმისა და თვით რომანტიკოსი პოეტის ბუნებას, რაც რეალური ყოფისაგან გაქცევასა და ინდივიდის აბსოლუტურ თავისუფლებას გულისხმობს, „მერანის" წერეთლისეული წაკითხვა, წერეთლის ისე, როგორც ილიასეული კონცეფცია, გასაზიარებელია, მაგრამ პოეტის „სულის ქროლვა", რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს უმიზნო და იგი — „დაუმონებელი მხედარი" როგორც მივუთითეთ, მიზნად ისახავს რომ „ვარსკვლავთა, თანამავალთა" ამცნოს გულის საიდუმლო (სამშობლოს ბედი და მისი ხსნის იდეა), რაც იმდენად სასწრაფოდ მიაჩნია რომ „მოუთმენელი" მოითხოვს „სავალ დღეთა" შემოკლებას.....

აღსანიშნავია, რომ „მერანის" იდეური საზრისის გახსნისას ვ. წერეთელი არ ჰკარგავს რეალური სამყაროს შეგრძნებას. წერს: „მას (ნ. ბარათაშვილს — დ. თ.), უჭირავს ხელში ბაირაღი, რომლითაც მოგვიწვევს წინ, შრომისა და ჭეშმარიტებისადმი!" — წერს იგი (4, 49).

აქვე გვინდა შეეეხოთ ნ. ბარათაშვილზე ვ. წერეთლის იმ შეხედულებას, რომელიც გამოთქვა მან აკაკის პოეზიის განხილვისას, მასში ავტორი 90 -იანი წლებში გაბატონებული ვულგალური კრიტიკის გავლენით წერს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი არ ეხებოდა საზოგადო კითხვებს, საზოგადო ურთიერთობას... იგი იყო მწერალი ერთი წრისა... პროგრამა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა იყო უფრო ვიწრო ((აკაკის პოეზიასთან შედარებით — დ. თ.). მართალია ამას მკვლევარი ხსნის ისტორიული ვითარებით (სხვაობა ბარათაშვილისა და აკაკის ეპოქებით), მაგრამ იგრძნობა ბარათაშვილის დიდი პოეტური დიაპაზონის მოწყვეტა „საზოგადო კითხვებისაგან", რაც მცდარი შეხედულებაა.

ამ შენიშვნების მიუხედავად, ვასილ წერეთლის დაკვირვებები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაზე საფუძვლიანია; ბევრი მისეული დებულება დღესაც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისითაც — გასაზიარებელია.

ბ) აკაკი

ვასილ წერეთელი აკაკის უწოდებს „მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის" პოეტს, რომელიც ყოველ წრეს საზოგადოებისას მოიწვევს პროგრესისაკენ"; „მან გააფართოვა პოეზიის პროგრამა მით, რომ მიაღებინა მონაწილეობა პოეზიას ცხოვრების ყველა ინტერესებში" (4, 50).

აკაკის პოეზია მან დაუკავშირა საქართველოში დემოკრატიული იდეების დამკვიდრებისა და ქართველი ხალხის პოლიტიკური გამოღვიძების ხანას. „როდესაც აკაკიმ დაიწყო თავისი მოღვაწეობა, — წერს იგი, — მაშინ ძირიანად შეირყა ძველი საფუძველი" (4, 51).

მკვლევარი ახასიათებს პოეტს, როგორც დაჩაგრულთა მესიტყვეს, ნ. ბარათაშვილთან შედარებით, მისი სიტყვით, „აკაკის უფრო მხიარული შეხედულება აქვს ცხოვრებაზე", იგი აკაკის პოეზიაში შენიშნავს „თავისუფალი შრომის" მოტივს;

„აკაკის, — განაგრძობს ვ. წერეთელი, — ლიტერატურა მაღალ მიზანთა მიღწევის საშუალებად მიაჩნია: „იგი ეძებს ხსნას საზოგადო მოღვაწეობაში" და ებრძვის ყოველსავე ავ თვისებას კაცისას.... (4, 54) ორპირობას, ლიქნს, მონურ ფსიქიკას, სამშობლოს მოღალატეს. კრიტიკოსი დასკვნის: „აკაკი იყო ჩვენში პირველი პოეტი, რომელმაც გამოუცხადა ბრძოლა ახლანდელი დროების უკუღმართებს, წინააღმდეგობას და იმ მტრობის და ორპირობის მაგიერ, რომელიც მოიტანა ახალმა დრომ, დასწერა თავის ბაირაღზე: თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლება, ძმობა და სიყვარული“... (4,58).

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აკაკის პოეტურ ტექნიკაზე: აკაკის იგი უწოდებს „უბრალო, ყველასათვის გასაგები ენის“ მწერალს, „ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელს“, აღნიშნავს, რომ აკაკის „დამორჩილებული, ძლეული ჰყავს ენა (4,60).

ციტირებს აკაკის იუმორისტულ ნიჭზე და ა. შ. საგანგებოდ გამოყოფს აკაკის პროზის ენას: შეგვიძლია ვთქვათ, — წერს იგი, — რომ ქართველის ყურს მეთორმეტე საუკუნის აქეთ არ სმენია ასე მშვენიერი ენაო (4,63).

აკაკის პორტრეტს ასრულებს ავტორის მოგონება „აკაკი“ (იხ. „მემუარები“).

IV

კრიტიკა

ქართული სიმბოლიზმის კრიტიკა

ვასილ წერეთელმა საყურადღებო ლიტერატურული წერილები გამოაქვეყნა ოციან წლებში. საბჭოური სინამდვილით შეშფოთებული ავტორი პროფესიულ თვალით და ჭეშმარიტი პატრიოტის გულმხურვალებით კრიტიკულად აფასებს დაქვეითების გზაზე დამდგარი ქართული ლიტერატურის მდგომარეობას: „ქართული ლიტერატურა დაქვეითდა, — წერს იგი. — აღარ არის აღარც აღმაფრენა, აღარც აზრის მუშაობა, აღარც ვნებათა ღელვა, არც ფართო გონებრივი თვალთახედვა, არც იდეალი.

არის მხოლოდ ბუნდოვნება, გაუგებრობა, სიტყვიერი ჯამბაზობა, უშინაარსობა.

და საკვირველია, რომ დაქვეითება თანასწორად დააჩნდა, როგორც შინაარსს, ისე ფორმასაც.

არსად და არასოდეს იმდენი უშნო ლექსი არ დაწერილა, რამდენიც დღეს საქართველოში იწერება.

აკაკის „აღმართ-აღმართის“ შემდეგ ხორკლიანი, უსულ-გულო ლექსები, ოჰ, წამებულო ლიტერატურა!... (მხედველობაში აქვს უპირატესად ცისფერყანწელთა და პროლეტმწერალთა ლექსები).

წერილში „ძველი და ახალი“, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ავტორი უპირისპირებს თანამედროვე მწერლობას (უპირატესად ქართულ სიმბოლიზმს) კლასიკურ მწერლობას და, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობას XIX საუკუნის ლიტერატურას ანიჭებს[4].

იგი აკრიტიკებს ვერლენის ლექსის („მუსიკა უპირველეს ყოვლისა...“) თარგმანს, რომელიც მისი სიტყვით, გაფრინდაშვილს „ხორკლიანი, ლექსით უთარგმნია“. (5,47). შემდეგ განიხილავს ჟურნ. „ილიონში“ (1992წ.) გამოქვეყნებული ი. გრიშაშვილის ლექსს — „ბებუთი მაგიდაზე“. კრიტიკოსის სიტყვით, „ლექსის იდეაა — მერყეობა ლიტერატორისა, რომელსაც არ აქვს უნარი აქტიურ ბრძოლაში ჩაერთიოს... მაშ, ავტორი კი არ ნანობს, რომ ბრძოლა არ შეუძლია, არამედ მას ბრძოლა აღარა სურს. ის დამშვიდებულია, შერიგებია ცხოვრებას, მერყევი აღარ არის, ზოოლოგიური კმაყოფილების სფეროში გადასულა“ (5, 47).

პესიმისტური განწყობილებისათვის აკრიტიკებს ტ. გრანელის ლექსს — „სიცოცხლის გრადაცია“.

რასაკვირველია. ეს სიკვდილია პოეზიის — დაასკვნის (5,48). აქვე აკრიტიკებს გრანელის კრებულს „სულიდან საფლავები“. „ტერენტი გრანელის პოეზია„ — წერს იგი, — არის მოწყენილობის, უიმედო მწუხარების, სიკვდილის წინათგრძნობის პოეზია, რომელშიც არ ურევია არც ერთი იმედი, არც

---

4. იხ. ჟურნალი „უქიმერიონი“, № 2, 1922, გვ. 47-57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საგაზაფხულო მოლოდინი და რომელიც იმავე დროს სრული უარყოფაა ბედთან ბრძოლის“ (5, 49). აკრიტიკებს ხ. ვარდოშვილის „მთვარის საცოლეს“, ნ. თარიშვილის ლექსს „შენი წიგნი“, მარიჯანის „პასუხი ჭიანურებს“ დასძენს; არც შინაარსის არც ფორმის მხრით ღირსი არ არიან, რომ კრიტიკა მათზე შეჩერდესო (5, 48).

ვ. წერეთელი შენიშნავს, რომ „თანამედროვე მოდერნისტულს ქართულ ლიტერატურას ახასიათებს დაუსრულებელი სიმბოლოების ხმარება, ლექსების დაუწყობლობა, ბუნდოვნობა, ლექსი ძნელად საკითხავია, არამუსიკალურია: „რომ იტყვიან, ენას მოიმტვრევ კითხვაზე“ (5, 49)

„ყველა დიდი პოეტი — ჰომეროსიდან დაწყებული ვიქტორ ჰიუგომდე — მარტივად, სადათ წერდნენ. არც ერთს მათგანს არც ერთი ზედმეტი, აზრის დამაბნელებელი სიტყვა არ წამოცდენია. მოკლედ, ნათლად ხატავდნენ სურათებს. მათი თითოეული სიტყვა ადვილად გასაგებია, მკვეთრი, მოჭრილი, მოკლე, სადაა.

ჩვენი სიმბოლისტები კი იმის ნაცვლად, რომ სთქვან: „ნაზი ვარდი“, „ნორჩი ვარდი“, ამბობენ: „ლურჯი სინაზე დაიკივლებს ვარდებში“, იმის მაგიერ, რომ სთქვან სადათ: „სინანული“, განგებ აგრძელებენ და აძნელებენ აზრს და ამბობენ: „მოგონება ფითრდება სინანულის აკორდებში“ და სხვ.“ (5, 49).

აქ და ქვემოთაც ცალკეულ შემთხვევაში იქნებ არც გავიზიაროთ ვ. წერეთლის შენიშვნა, მაგრამ პრინციპი პოეტური სახის სისადავისა, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი ეროვნული პოეზიისათვის, მისაღებია.

იგი მკაცრია და მომთხოვნი:

„გადავათვალიერე გალ. ტაბიძის ჟურნალი (№2, 3, 4), გული გამიტყდა. რისთვის იხარჯება ამდენი ქაღალდი?! შემდეგ აკრიტიკებს გობრონ აგარელის ერთ-ერთ ლექსს: „შერეული ფიქრები წვიმაში“, რომელიც არაფერს არ ეუბნება არც სულს, არც გულსო და ასე გრძობს:

„ი. მოსაშვილის ლექსი — „ჩემი გზა ვრცელი“ — უშინაარსოა.

ბაბილინას პაწაწა ლექსი გაუგებარია...

საფო მგელაძის „პრელუდიები“ ეროტიულია, ხელოვნური ღირსება აკლია.

ა. ნაქერალელის პაწაწა ლექსი — არარაა.

ი. მაღულარიას „შუაღამე ქალაქში“ — არარაა.

ი. ხინველის „შემოდგომის ფრაგმენტი“ — არარაა...

ასევე ლაკონურად გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მე-3 და მე-4 ნომრებისადმი.

კრიტიკოსი შეღავათს არც გალაკტიონს აძლევს, კერძოდ, აკრიტიკებს მის „ეფემერასა“ და ისევ ეფემერას“ (5, 50-51).

●

მკაცრია ჟურნალ „მშვილდოსანის“ (1920) განხილვისასაც. „როგორ არ უნდა იწერებოდეს?

ამის ნიმუშს „მშვილდოსნის“ მელექსეები გვაძლევენ“... (5, 51); აკრიტიკებს გრ. რობაქიძის ლექსს „ფრანგ პოეტს“, „ამოძახილი ლონდას“.

ტიციან ტაბიძის ლექსს „ღვდელი და მალარია“—ნამდვილი ბოდვაა... რა აქვს ამას საერთო ლიტერატურასთან?“ — წერს ვ. წერეთელი.

შეუძლებელია გაიგოს კაცმა აგრეთვე პაოლო იაშვილის ლექსის „ალი არსენიშვილს“ (5, 51).

კრიტიკულად შეაფასა კ. ნადარაძის „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან“, „ოცნება საქართველოზე“, ვ. გაფრინდაშვილის „საფერფლეს“, რ. გვეტაძის ლექსი „სასაფლაო და ყვავები“, „დატეხილი“, და „დამქვრალი სანთლები“; შ. აფხაიძის „ღვთისმშობელი პროსპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტზე“ და ნ. მიწიშვილის „დეკემბრის აგონია“.

გააკრიტიკა დია ჩიანელის მინიატურა „საუკუნეთა ორღობეში“.

მოიწონა მხოლოდ ნ. ლორთქიფანიძის მინიატურები: „ნარდაში“ და „ბებრები“;

ვ. წერეთელი არ უარყოფს სიმბოლიზმს;

„სიმბოლიზმი მხოლოდ მაშინ არის კარგი, — წერს, — როდესაც იდეას კი არ ფარავს, კი არ აბნელებს, არამედ ასურათებს, ანათებს. მეოცე საუკუნეში, რომელიც არის საუკუნე სინთეზის, — ცალმხრიობა ცოდვაა“.

პირიქით, საჭიროა პირდაპირი თქმაცა და სიმბოლოს ხმარებაც, ლექსიცა და პროზაც, რითმაცა და ასონანსიც, ხელოვნებაც — ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და მეცნიერება და ფილოსოფიაც“ (5, 33). სანიმუშოდ მაგალითები მოაქვს ვიქტორ ჰიუგოს, ვაჟას, აკაკის, ილიას შემოქმედებიდან.

●

წერილში „ჩვენს სიმბოლისტებს“[5] კვლავ ვ. ჰიუგოს მაგალითზე წერს „ჩვენში სიმბოლისტური მიმართულება ჯამბაზობის უკიდურეს განვითარებას წარმოადგენს. რა ახასიათებს ამ მიმართულების ლექსებს? აზრის, იდეის, არარაობა, გაუგებარი სიტყვების სიჭარბე, უცნაური თავისქება, განდიდების მანია... აკრიტიკებს 6 მაისის „პოეზიის დღეში“ (1922) გამოქვეყნებულ ტიციან ტაბიძის „მელიტას“, ვ. გაფრინდაშვილის „აბრაკა-დაბრას“, „მთელი ლექსი — წერს იგი, — შეიძლება ითქვას, იეროგლიფებით არის დაწერილი, რომელთა შიგნითაც რა არის დაფარული არავის არ შეუძლია გაიგოს, თუ თვითონ პოეტმა ლექსს მისი თარგმანი არ დაუმატა“ (6, 35).

---

5. ჟურნალი უქიმერიონი, 1922, № 2.

კრიტიკულად განიხილა — ჭ. ფალავანდიშვილის „ტანიტ-ტაბიძე“, ბ. ჟღენტის, ჟანგო ღოღობერიძის ლექსები, დია ჩიანელის სიმბოლისტური მინიატურა „უცნაური სარკე“, ჯაჯუ ჯოჯიკიას „ცხოვრების ნიუანსები“ და სხვ., მოიწონა ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „იმედის ვარსკვლავი“.

აშკარაა ვ. წერეთლის შემფასებლურ კრიტერიუმებზე ზეგავლენას ახდენს დრო, ოციან წლებში გავრცელებული ვულგარულ-ლიტერატურული შეხედულებები — მაგრამ პრინციპი, რომელსაც იცავს კრიტიკოსი, მართებულია. იგი აღიარებს სიმბოლიზმის მხატვრულ მონაპოვარს, ამასთან თავგამოდებით იცავს მხატვრულ აზროვნებაში სისადავისა და სინათლის პრინციპს, რაც ასე დამახასიათებელია ქართული კლასიკური მწერლობისათვის.

„კიდევ მოვუწოდებ ჩვენს სიმბოლისტებს, — წერს იგი, — ნუ გახდიან სიმბოლიზმს კერპად. ცხოვრება იმდენად რთულია, რომ მისი დასურათება არ შეიძლება მარტო ერთი მხრით. ამისთვის საჭიროა პირდაპირი თქმაც და სიმბოლოების მოხმარებაც, ლიტერატურაც, მხატვრობაც, ქანდაკებაც, მუსიკაც, მჭევრმეტყველებაც, მეცნიერებაც და ფილოსოფიაც.

და უდიდესი ლიტერატორები მდიდარი იყვნენ გარეგანი ფორმითაც და შინაარსითაც“ (6,37).[1]

ვასილ წერეთელს გამოქვეყნებული აქვს წერილები ევროპულ ლიტერატურულ მიმართულებებზე, სკოლებზე, ცალკეულ მწერლებსა და ნაწარმოებებზე; ხშირად ეს წერილები წარმოდგენილია სოციალურ-პოლიტიკური და ზოგადკაცობრიული კულტურის საკითხების ფართო არეალში და ავტორი მათ მიმართავს, როგორც მაგალითსა და არგუმენტს თავისი (არალიტერატურული) დებულების დასაბუთებისათვის. ამ დროს იგი ამჟღავნებს ფართო განათლებას არა მხოლოდ დასავლეთ ევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპის ლიტერატურაში, არამედ საზოგადოდ, მსოფლიო კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში; გამოირჩევა მხატვრულ პროცესში წვდომის უნარით და ორიგინალური ხედვით, მასშტაბური აზროვნებით, მისი მხატვრული პარალელები და დებულებები ჩვენში დღესაც აღძრავენ ინტერესს და გვაიძულებენ ანგარიში გავუწიოთ.

მითითებული ლიტერატურა

1. ვასილ წერეთელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღე ჩვენის თავადაზნაურობისა, ივერია, № 53, 1902.
2. ვასილ წერეთელი, ლიტერატურული ცილისმწამებლობა (პასუხად „ცნობის ფურცელს"), ივერია, № 88, 1902.
3. ვასილ წერეთელი, კრიტიკული წერილები, წერილი პირველი აკაკის თვიური კრებული, 1899, № 1.
4. ვასილ წერეთელი, იქვე, 1899, № 6.
5. ვასილ წერეთელი, ძველი და ახალი, ჟურ. უქიმერიონი, № 2, 1922.
6. ვასილ წერეთელი, ჩვენს სიმბოლისტებს, ჟურნ. კოლხეთი, № 1, 1923.

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61, მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 30. 04. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 06. 96 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 494. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". კოსტავას ქ. № 14.

ЦР 61/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი სახელშეკრულებო

ინდექსი

76125